

ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

Deutsche Grammatik

გერმანული
ენის
გრამატიკა



ცისანა კვერნაძე-მიქაძე

მ Deutsche
Grammatik
ე რ მ ა ნ უ ღ ი
ე ნ ი ს
მ რ ა მ ა თ ი პ ა

გერმანული ენის გრამატიკა

DEUTSCHE GRAMMATIK

ცისანა კვერნაძე-მიქაძე

გერმანული მასალის რედაქტორი და კონსულტანტი: ანეტე ზიპელი

ყდის დიზაინი: მაია აბაშიძე

დაკაბადონება: ნიკოლოზ ბაგრატიონი

ტექნიკური უზრუნველყოფა: პაატა ბერიძე

ყველა უფლება დაცულია.

ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი, გავრცელებული ან გამოქვეყნებული ელექტრონული, ფოტოგრაფიული, მექანიკური ან სხვა რაიმე საშუალებით, გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ქართული გამოცემა © 2016 ქარჩხაძის გამომცემლობა

www.karchkhadze.ge

ISBN 978-9941-452-17-8

 ქარჩხაძის
გამომცემლობა

წიგნი ეძღვნება ყველას, ვისაც გერმანული ენა უყვარს ან მომავალში შეიყვარებს.

ულრმესი მადლობა ჩემს გერმანელ მეგობრებს –

ქალბატონ პაულა ბერჩს

ბატონ იულიან/ქრისტიან რაბიუსს

ქალბატონ ანეტი ზიჰელს

წინასიტყვაობა

Vorwort

უცხო ენის შესასწავლად არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ამ ენის გრამატიკის მთლიანობაში აღქმას, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების საფუძვლიან ცოდნას. ურთულესი გრამატიკული სტრუქტურები, რასაც გერმანული ენა ეყრდნობა, მოითხოვს თანმიმდევრულ, მოწესრიგებულ შესწავლას, წესების ცოცხალ ენაში გამოყენებით, იქნება ეს ურთიერთობის (Umgangssprache) თუ ლიტერატურული ენა (literarische Sprache).

სახელმძღვანელო შედგენილია კლასიკური ფორმით. ყოველი უმთავრესი თუ მეორეხარისხოვანი გრამატიკული ფენომენი ახსნილია მარტივად და მოყვანილია სისტემაში. წიგნი მოიცავს გერმანული ენის სრულ გრამატიკას – ფონეტიკა (Phonetik), მორფოლოგია (Morphologie), სინტაქსი (Syntax).

ფონეტიკაში წარმოდგენილია ყველა თავისებურება, რაც უნდა გათვალისწინებულ იქნას ამა თუ იმ ბგერის, ასოთშენაერთის, დიფტონგის წარმოქმნისას. განმარტებულია მახვილის ადგილი და დანიშნულება. ფონეტიკის შესწავლის პარალელურად სასარგებლოა მცირე ზეპირმეტყველებითი კურსის გავლა თანამედროვე მოსასმენი თუ ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

მორფოლოგია მოიცავს მასალას მეტყველების ნაწილების – ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვების (მაგ., არსებითი სახელი (Nomen- Substantiv), წინდებული (Präposition) შესახებ. ყოველი წესი განმარტებულია ქართულ ენაზე მარტივად, რომელსაც მოსდევს ნიმუში თარგმანით. მაგ., მოცემულია ზმნის კლასიფიკაცია; 1. აგებულების მიხედვით (dem Bau nach) – მარტივი, ნაწარმოები, რთული; მოუცილებადთავსართიანი და მოცილებადთავსართიანი; 2. შინაარსის მიხედვით (dem Inhalt nach) – მთავარი და დამხმარე; მოდალური ზმნა ანუ მოდალური სიტყვა; გარდამავალი და გარდაუვალი; პირიანი და პირნაკლი; სუსტი, ძლიერი, არაწესიერი; რეფლექსური, ურთიერთდამოკიდებული; 3. ზმნის კატეგორიები (Kategorien des Verbs): პირი (Person); რიცხვი (Numerus) დროის ფორმები (Tempusformen); გვარი (Genus); კილო (Modus); ზმნის ძირითადი ფორმები (Hauptformen des Verbs); ზმნის სახელითი ფორმები (Infinitiv, Partizip) ზმნის მართვა წინდებულით (Rektion) და ა.შ.

სინტაქსის განყოფილებაში ასევე მარტივადაა ახსნილი წინადადების წევრების (ქვემდებარე (Subjekt), შემასმენელი (Prädikat) და ა. შ.) რობა, მათი ადგილი და დანიშნულება წინადადებაში; მათი ურთიერთდამოკიდებულება; წინადადების სახეები: 1. აგებულების მიხედვით (dem Bau nach) – მარტივი, გავრცობილი, რთული და ა. შ. 2. შინაარსის მიხედვით (dem Inhalt nach) – თხრობითი, კითხვითი და ა.შ. 3. მთავარი (Hauptsatz) და დამოკიდებული (Nebensatz). 4. დამოკიდებული წინადადების სახეები (Arten des Nebensatzes); 5. ჩარჩოს კონსტრუქცია (Rahmenkonstruktion); 6. სიტყვათა წყობა (Wortfolge ანუ Wortstellung.) და ა. შ.

ყოველი თემის ბოლოს თვალსაჩინოებისათვის მოცემულია სქემა. სადაც კი გერმანული ენის გრამატიკა საშუალებას იძლევა, წესები განხილულია ქართულ ენასთან მიმართებით, რადგან წიგნი ქართველ ადამიანზეა გათვლილი.

მაგალითების თემატიკა მრავალფეროვანია. თემების შერჩევას მხედველობაშია მიღებული, როგორც ქართველის, ასევე გერმანელის მსოფლადქმა. რადგან ენა, უპირველესად, ურთიერთობის საშუალებაა და სასურველია, თუ ენის შემსწავლელი კარგად გაეცნობა იმ ხალხის ფსიქიკას, ტრადიციებს, ისტორიას და ა.შ., ვის ენასაც ეუფლება. ამიტომ მაგალითი იმგვარადაა შერჩეული, რომ იგი მცირე ზომის ინფორმაციასაც იძლეოდეს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. გამოყენებულია როგორც სასაუბრო, ასევე ლიტერატურული გერმანული.

წიგნი აგებულია ასეთი მიმდევრობით: უმარტივესიდან ცოდნის თანდათანობითი გაღრმავებით თვით ურთულეს ფორმებამდე.

რაც შეეხება წიგნის ზომას, ეს საკითხიც მრავალმხრივ არის გათვლილ-გაანგარიშებული. მასალა მაქსიმალურადაა შეკუმშული, მაგრამ არა ისე, რომ თუნდაც ერთი ენობრივი ფორმა დარჩეს აუხსნელი. რადგან ენის შემსწავლელს მრავალ ტომად გაშლილ-გავრცობილ სახელმძღვანელოში უფრო ეძნელება გზის გაგება, ვიდრე მკაცრად ორგანიზებულ, ჩარჩოში მოქცეულ ტრადიციულ წიგნებში. ამ მოსაზრებას ძირს უმაგრებს პირადი პედაგოგიური გამოცდილება.

გრამატიკის იმ მოცულობით სრულყოფილი შესწავლა, რაც ამ წიგნშია მოცემული, სათანადო ლექსიკური მასალის ფლობასთან ერთად, სრულიად საკმარისია მაღალი საფეხურის სერტიფიკატის მისაღებად.

“გერმანული ენის გრამატიკა” გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის; აგრეთვე გერმანული ენის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის. როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე სახელმძღვანელოს შესწავლის საგანია გერმანული ენის გრამატიკა მისი სამი შემადგენელი ნაწილით:

ფონეტიკა მორფოლოგია სინტაქსი

გრამატიკა - GRAMMATIK - არის ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ამა თუ იმ ენის აგებულებას.

ფონეტიკა - (PHONETIK)
სწავლობს ენის ბგერით შემადგენლობას.

მორფოლოგია - (MORPHOLOGIE)
სწავლობს ენის სიტყვათა ფორმებს.

სინტაქსი - (SYNTAX)
სწავლობს წინადადების აგებულებას, წინადადების წევრთა შეკავშირების წესებს.

გისურვებთ წარმატებას!

ფონეტიკა (PHONETIK)

შესავალი (Einführung)

ფონეტიკა შეისწავლის ენის ბგერით შემადგენლობას. ბგერით ერთე-ულთა ანუ ფონემათა სისტემა ყოველ ენაში თავისებურია. თავისებურია ამა თუ იმ ენის ანბანი-დამწერლობა. გერმანული ანბანი მოიცავს 26 ასოს.

თითქმის ყველა ევროპული ერი ლათინურ ანბანს იყენებს. ანბანის საშუალებით ხდება ზეპირი მეტყველების წერილობითი ფიქსირება.

გერმანულ ენაში 40 სამეტყველო ბგერითი ერთეული – ფონემა. მათი გრაფიკული გამოსახვისთვის 26 ასო გამოიყენება, მაგრამ რადგან ეს არ არის საკმარისი, რათა გერმანული ფონემები სრულყოფილად აღინიშნოს, იყენებენ ასოთშენაერთებს (tsch-ჩ), ხმოვანთა წყვილებს (ლინგვ. **Diphthong**), უმლაუტს (ხმოვანთა შერბილება, ღია და დახურული ხმოვანი), ასო-ნიშანთა სიგრძე-სიმოკლის ნიშნებს.

ყველა თანხმოვანი გამოითქმის ბგერით "ჰაე" (**behaucht-mit „h“**).

არ არსებობს ქართული ასო-ნიშნები **ჰ, ტ, კ, წ, ყ**.

ფონემები და მათი გრაფიკული გამოსახულება სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია (მაგ., ქართულში ბგერითი და ასო-ნიშანთა სისტემები სავსებით შეესატყვისება ერთმანეთს). ზოგიერთ ენაში მართლწერა ახლოს დგას მის წარმოთქმასთან (რუსული, იტალიური, ესპანური). არსებობს ენები, რომელშიც ფონემათა სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი გრაფიკული გამოსახულებისაგან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული).

ანბანის სქემაში მოცემულია სამი სვეტი: პირველში – ლათინური შრიფტი-ბეჭდური, მეორეში ასო-ბგერათა გამოთქმის საერთაშორისო ნიშნები, (ფონეტიკური ტრანსკრიპცია) – **Lautschrift**); მესამეში – თითოეული ასოს სახელწოდება.

ა	A	ა	ა
ბ	B	ბ	ბ
გ	G	გ	გ
დ	D	დ	დ
ე	E	ე	ე
ვ	V	ვ	ვ
ზ	Z	ზ	ზ
თ	T	თ	თ
ი	I	ი	ი
კ	K	კ	კ
ქ	X	ქ	ქ
ღ	CH	ღ	ღ
ყ	Q	ყ	ყ
შ	S	შ	შ
ჩ	TSCH	ჩ	ჩ
ც	C	ც	ც
ძ	DZ	ძ	ძ
წ	CHW	წ	წ
ჭ	CH	ჭ	ჭ
ხ	X	ხ	ხ
ძველ. ზღუდა	au	ძველ. ზღუდა	აუ
ძველ. ზღუდა	ai	ძველ. ზღუდა	აი
ძველ. ზღუდა	oi	ძველ. ზღუდა	აი
ძველ. ზღუდა	ou	ძველ. ზღუდა	აუ
ძველ. ზღუდა	ou	ძველ. ზღუდა	აუ

ძველ. ზღუდა - აუ
 ძველ. ზღუდა - აი
 ძველ. ზღუდა - აი
 ძველ. ზღუდა - აი
 ძველ. ზღუდა - აი

ანბანი

Das Alphabet

ბეჭდური Druck-Buchstabe		ფონეტ. ტრანსკრიფცია Lautschrift	ასოს სახელწოდება Benennung des Buchstabens
A	a	a:	ა
B	b	be:	ბე:*
C	c	tse:	ცე:
D	d	de:	დე:
E	e	e:	ე:
F	f	ef	ეფ*
G	g	ge:	გე:
H	h	ha:	ჰა
I	i	i:	ი
J	j	jt	ჯთ*
K	k	ka:	კა
L	l	el	ელ
M	m	em	ემ
N	n	en	ენ
O	o	o:	ო:*
P	p	pe:	პე
Q	q	ku:	კუ:*
R	r	er	ერ ან ელ
S	s	es	ეს
T	t	te:	თე:
U	u	u:	უ:
V	v	fau	ფაუ
W	w	ve:	ვე
X	x	iks	იქს
Y	y	'ypsibn	'ყპსილონ
Z	z	tset	ცეთ
Ä	ä	a:'umlaut	ა'უმლაუთ
Ö	ö	o:'umlaut	ო'უმლაუთ
Ü	ü	u:'umlaut	უ'უმლაუთ
	ß	es'tset	ეს ცეთ

*e: - დახურული გრძელი

*o: - დახურული გრძელი

*u: - დახურული გრძელი

*ფ: - რუსული

*ჯ: - რუსული დაჭიმული

3 ასო-ბგერათა ძირითადი ფონეტიკური ჯგუფები

Grundlegende Laut – Buchstaben – Zuordnungen

3.1 ხმოვნები (Vokale)

ფონეტ. ტრანსკრიფცია	მაგალითები	განმარტებანი ქართულ ენაზე
Lautschrift	Beispiele	georgische Erklärungen
a a:	a Ball, Mama a Vater aa Waage ah Bahn	a ა ღია, მოკლე a: ა ღია, გრძელი
e e:	e begabt e geben, Regen ee See eh Reh	e დახურული, მოკლე e: დახურული, გრძელი
ɛ ɛ:	e gern, fett ä, ae März, mächtig ä, ae Mädchen, Bär äh zählen	ɛ-ე ღია, მოკლე ɛ: ღია, გრძელი
ə	e Junge, gering	მ ე გამოითქმის ყელში
 i i:	i still, immer ie Viertel i Figur y yvonne i Tiger, wir ie vier ih ihnen ieh ziehen y ysop	- ი მოკლე, მსუბუქი - ი მოკლე, მახვილი i: - ი გრძელი, მახვილი
o o: œ ó ó:	o Sonne, offen, normal o Moment o Mond, Ofen, rot oo Boot oh Sohn ö, œ können ö, œ möblieren ö, œ Löwe, schön öh Röhre	o - o მოკლე, ღია o - o მოკლე, დახურული o: - o გრძელი, დახურული, მომრგვალებული ბაგით დაჭიმულად œ - o უმლაუთი - მოკლე, ღია ó - o უმლაუთი-მოკლე, დახურული ó - o უმლაუთი-გრძელი, დახურული
u u: y Y y:	u Fluss u Humor u Fuß uh Uhr, Kuh, ü Brücke y Myrte Y Pyramide ü Hügel üh früh, Kühe Y Typ, Lyrik	u - u მოკლე, მსუბუქი u - u მოკლე, დახურული u: - გრძელი, დახურული y - პატარა იპსილონი, მოკლე, მსუბუქი Y - დიდი-იპსილონი, მოკლე, ღრმა Y: - დიდი იპსილონი, გრძელი, ღრმა
ai a u oy	ei reich, eilen ai Kaiser, Mainz ey Meyer ay Bayern y Nylon au Haus eu heute äu träumen oi ahoi oy Boykott	ai - აი a u - აუ oy - იი

3.2 თანხმოვნები (Konsonanten)

ყველა ბგერა ყოველთვის გამოითქმის „ჰაე“-თი (behaucht)

ფონეტ. ტრანსკრიფცია	მაგალიტები	განმარტებანი ქართულ ენაზე
Lautschrift	Beispiele	georgische Erklärungen
b	bitten	b-ბ
bb	Ebbe	
p	Klub, Herbst	p-ფ
ts	Cäsar, Ceylon	ts -ც
k	Cafe, Carl	k-ქ
tʃ	Cello	tʃ-ჩ
s	Farce, Chance	s-ს
x	Buch, acht	x-ხ
k	Chor, Christ,	k-ქ
ʃ	charmant, Chef	ʃ-შ
ç	Chirurg, ich, echt, Öfchen	ç-ხ-სა და ჰ-ს შორის
tʃ	Chile	tʃ-ჩ
ks	wachsen, sechs	ks-ქს
ç	nächste	ç-ხ-სა და ჰ-ს შორის
d	denken	d-დ
dd	Kladde	
t	Abend	t-თ
t	verwandt	t-თ
f	fahren	f-ფ(რუს. ყრუ)
ff	treffen	
g	geben	g-ბ
gg	Roggen	
g	Tag	k-ქ
ç	König, billig	ç-ხ-სა და ჰ-ს შორის
ʒ	Genie	ʒ-ჟ
ʒ	Gin	ʒ-ჯ
h	haben	h-ჰ
j	jagen, Objekt	j-ი
ʒ	Journalist	ʒ-ჟ
ʒ	Job	ʒ-ჯ
k	kommen	k-ქ
kk	Streptokokken	
ck	backen	
l	lachen	l-ლ (ლალი)
ll	belln	
m	malen	m-მ
mm	Sommer	
n	Name	n-ნ
nn	kennen	
ŋ	Frühling, singen	ŋ-იკითხება ყელში (გ-იყლაპება)
nk	danken	

ფონეტ. ტრანსკრიფცია	მაგალითები	განმარტებანი ქართულ ენაზე
Lautschrift	Beispiele	georgische Erklärungen
p	p pp Papier, Raupe Suppe	p-ფ
pf	pf Pferd, Apfel	pf-ფფ
f	ph Philosophie	f-ფ
kv	qu Qual, quellen	ქვ ყოველთვის u-სთან ერთად
რ რ	r rr th rrh regnen Pfarrer Rhein Katarrh	რ ან ლ (სხვადასხვა მხარეში გამოთქვამენ სხვადასხვანაირად)
o	r Vater, Friseur	რ სრულად არ გამოითქმის, ისმის „ა“
z s	s ss sehen, Sonne, Wiese Haus, hopsen wissen, Fluss	z-ზ მკლერი s-ს ყრუ
s	ß Fuß, draußen	s-ს ყრუ
ʃ	sch schön, Asche	ჩ-შ
ʃp öp	sp sp spät, Sport Espe	ჩp-შფ sp-სფ
ʃt st	st Stein Angst, Obst	ჩt-შთ st-სთ
t t	t tt th Tante, Garten Mutter Theater, Thron	t-თ t-თ
ts	t(ion) Nation	ts-ც-მხოლოდ -ion-თან
tʃ	tsch deutsch	t ʃ-ჩ
ts	tz Katze, sitzen	ts-ც
f v	v Vater, von Vase, Universität, Violine	f-ფ v- ვ
v f	w wegen, wann Löwchen	v-ვ ყოველთვის მკლერი f-ფ იშვიათად
ks	x Luxus, Xaver	ks-ქს
j i Y	y Yokohama, Yoga Yvonne Ypsilon	j-ი i-ი მოკლე Y-პატარა იფსილონი, მსუბუქი
ts z	z zz Zimmer, schmerzen Skizze Blizzard	ts-ც z-ზ

3.3 ასოთა წარმოთქმის წესები (Ausspracheregeln)

გერმანულ ენაში ხმოვნები ზოგიერთ სიტყვაში წარმოითქმის მოკლედ, ზოგში-გრძლად. ხმოვანთა ეს თვისება ზოგ შემთხვევაში სიტყვას მნიშვნელობას უცვლის. მაგ: er fehlt (e:)- ის აკლია (არ ესწრება), er fällt (e)-ის ეცემა.

3.3.1 გრძელი ხმოვნები (Lange Vokale)

- ა. ხმოვნის შემდეგ დგას სიგრძის ნიშნები: h (Dehnungs-h გრძელი), რომელიც გვხვდება ნებისმიერი თანხმოვნის შემდეგ და e (Dehnungs-e), რომელიც დგას i-ს შემდეგ. ამ შემთხვევაში h და e არ წარმოითქმის.

ihr – თქვენ (Dehnungs-h)
nie – არასოდეს (Dehnungs-e)

- ბ. ხმოვანი ორმაგდება.

Paar – წყვილი
Boot – ნავი

- გ. ხმოვანი დგას ერთი თანხმოვნის წინ.

wir – ჩვენ

3.3.2 მოკლე ხმოვნები (Kurze Vokale)

- ა. ორმაგი თანხმოვნის წინ.

Bellen – ყეფა
kommen – მოსვლა

- ბ. დიფტონგები (ორმაგი ხმოვანი) ei, ai, ey, ay, au, eu, äu, oi, oy.

reich – მდიდარი
Haus – სახლი
heute – დღეს

3.3.3 უმლაუტები (Umlaute) ხმოვნის დარბილება

უმლაუტები ä, ö, ü, არსებობს მოკლე და გრძელი.

ä წარმოითქმის, როგორც e (ე)

Männer – კაცები (მოკლე)
Zählen – თვლა (გრძელი)

ö წარმოითქმის მომრგვალებული, წინწამოწეული ტუჩებით, დაჭიმულად. არსებობს მოკლე და გრძელი ö.

können – შეძლება (მოკლე)
Löwe – ლომი (გრძელი)

ü წარმოითქმის მომრგვალებული ტუჩებით, დაჭიმულად; მოკლე-მსუბუქად, დახურული ბგერით; გრძელი-ღრმა ბგერით.

fünf – ხუთი (მოკლე)
grüßen-მისალმება (გრძელი)

3.3.4 ხმოვანთა წყვილები (Diphthonge)

ei, ai, ey, ay, au, eu, äu, oi, oy

Diphthong-ი არის ერთ მარცვალში მდგომი წყვილი ხმოვანი, რომელიც ერთად იკითხება.

ei, ai, ey, ay, წარმოითქმის როგორც ა + ი -აი

arbeiten – მუშაობა

Mai - მაისი

Mayonnaise – მაიონეზი

au წარმოითქმის, როგორც ა+ო – აო.

Hauch – ჩქამი

auch – აგრეთვე

eu, äu, oi, oy წარმოითქმის, როგორც ო+ი – ოი.

Freude – სიხარული

Boiler – ბოილერი

Räume – ოთახები

Boykott – ბოიკოტი

3.3.5 ბოლო ხმოვნები (Endlaute/Schlusslaute)

სიტყვის ბოლო ხმოვანი ყოველთვის რედუცირდება (სუსტდება)

e → ∅ Blüten – ყვავილი

er → ∅ რედუცირდება, r წარმოითქმის ყრუდ.

Maler – მხატვარი.

3.3.6 ასო-ბგერა s (s-Laute)

ა. S წარმოითქმის, როგორც ზ, თუ ის მარცვლის თავში ხმოვნის წინ ან ორ ხმოვანს შორის დგას.

Seele – სული

Salzdose – სამარილე

ბ. s სიტყვის ბოლოში, თანხმოვნებთან იკითხება, როგორც ს

Preis – ფასი

Frist – ვადა

გ. ss მოკლე ხმოვნის შემდეგ იკითხება, როგორც ს.

Gasse – ჩიხი

Messe – მესა

დ. ß წარმოითქმის, როგორც ს ორ ხმოვანს შორის ან გრძელი ხმოვნის შემდეგ.

Straße – ქუჩა

Fleiß – სიბეჯითე.

ე. sch (ასოთშენაერთი) წარმოითქმის, როგორც შ.

schon – უკვე

Fisch – თევზი.

ვ. St და Sp (ასოთშენაერთები) მარცვლის დასაწყისში წარმოითქმის, როგორც შთ და შფ.

Stille – სიმშვიდე

spielen – თამაში

ზ. st სიტყვის ბოლოში წარმოითქმის, როგორც სთ.

Angst – შიში

Obst – ხილი

3.3.7 თანხმოვნები V, H (Konsonanten v und h)

- ა. V იკითხება, როგორც ვ (v მჟღერი), უცხო, უმთავრესად, ლათინური წარმოშობის სიტყვებში და როგორც ფ (რუს) (f ყრუ).

Vase – (v) - ვაზა
Violine – (v)- ვიოლინო
Vater (f) – მამა
Verlag (f) – გამომცემლობა.

- ბ. h იკითხება, როგორც ჰ.

Haus – სახლი

არ წარმოითქმის სიტყვის შუაში და ბოლოში, აგრძელებს წინამდებარე ხმოვანს (Dehnungs-h)

gehen – წასვლა
Kuh – ძროხა
Jahr – წელიწადი

3.3.8 თანხმოვნებში b,d,g სიტყვის ბოლოს (Konsonanten im Endlaut)

თანხმოვნები b, d, g, მარცვლის ბოლოს ყრუვდება და წარმოითქმის.

b → ფ Klub – კლუბი
d → თ bald – მალე
g → ქ genug – საკმაო
v → ფ (რუს.) Gustav – გუსტავი

3.3.9 ასოთშენაერთები (Buchstabenkombinationen)

- ა. თანხმოვნები (Konsonanten) ch, ng, ck, tz, th, tsch, chs

- ch იკითხება, როგორც ხ ხმოვნების a, o, u და დიფტონგ au-ს შემდეგ.

lachen – სიცილი
Koch – მზარეული
Buch – წიგნი
Bauch – მუცელი

ხმოვნების i, e, ü, ö, ä, დიფტონგების eu, äu – შემდეგ ---ჰს (ც)

ich – მე
echt – ნამდვილი
Bücher – წიგნები

- ng იკითხება ცხვირისმიერად, g იკარგება (ჩ)

singen – სიმღერა

- ck → ქ

Stück – ცალი, პიესა

- tz → ც

sitzen – ჯდომა

- th → თ

Thron – სამეფო ტახტი

- tsch → ჩ

deutsch – გერმანული

- chs → ქს

Fuchs – მელა

ბ. ხმოვნები და თანხმოვნები (Vokale und Konsonanten) tion, qu, iq.

- tion → ციონ Position – პოზიცია
- qu → ქვ Quelle – წყარო
- ig → იჰ (ც) König – მეფე

გერმანული ფონეტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან თავისებურებად ითვლება ხმოვნის ზეაწევა (აქცენტი) განსაკუთრებით საგრძნობია იგი სიტყვის დასაწყისში. მას გერმანულად უწოდებენ **Knacklaut**-ს, წერაში აღნიშნავენ (') ნიშნით

- ' Abart – მრავალსახეობა
- ver' ordnen – დადგენა
- ' arbeiten – მუშაობა
- ' Lösungswort – პაროლი
- Ob'oe – ჰობოი
- 'übersetzen – გადაყვანა, გადატანა
- über'setzen – გადათარგმნა

2.2 არტიკლის ხმარება (Gebrauch des Artikels)

2.2.1 არტიკლის ადგილი (Stellung des Artikels)

არტიკლი დგას მოუცილებლად არსებითი სახელის, ან მისი განმსაზღვრელი სიტყვების წინ.

der Weinstock	ვაზი
der alte Weinstock	ძველი ვაზი
der alte, reichlich tragende Weinstock	ძველი, მსხმოიარე ვაზი
die Sonne	მზე
die alle Berge glutrot färbende Abendsonne	მთათა ნაკვერცხლისფრად დამფერავი ჩამავალი მზე
das Rad	ბორბალი
das vierte Rad	მეოთხე ბორბალი
ein Schriftsteller	მწერალი
ein berühmter Schriftsteller	ცნობილი მწერალი
eine Kirche	ეკლესია
eine neu erbaute Kirche	ახლადაშენებული ეკლესია
ein Bier	ლუდი
ein dunkles, bayerisches Bier	შავი, ბავარიული ლუდი

2.2.2 არტიკლის ადგილი არსებითი სახელების ჩამოთვლისას

(... in Aufzählungen)

არსებითი სახელების ჩამოთვლისას, განსაკუთრებით თუ ისინი სხვადასხვა სქესისაა, არტიკლი იკავებს ადგილს შემდეგნაირად:

das Mädchen und der Junge	გოგონა და ბიჭი
der Fuchs, der Hase und der Igel	მელა, კურდღელი და ზღარბი
die Leute des Dorfes und der Stadt	სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა
eine Tasche, ein Buch, ein Regenschirm	ჩანთა, წიგნი, ქოლგა

2.3 განუსაზღვრელი არტიკლის ხმარება (Gebrauch des unbestimmten Artikels)

განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება:

- იმ შემთხვევაში, როდესაც საგანს პირველად ვასახელებთ.
Im Dorf steht eine Kirche. სოფელში დგას ეკლესია.
- იმ არსებით სახელთან, რომელიც წარმოადგენს შედგენილი შემასმენლის სახელით ნაწილს და მის წინ განსაზღვრება დგას.
Er ist ein berühmter Schriftsteller. ის არის ცნობილი მწერალი
- Es gibt, haben, brauchen-ის შემდეგ.
In dieser Wüste gibt es eine Oase. ამ უდაბნოში არის ოაზისი.
Mein Freund hat einen Hund. ჩემს მეგობარს ჰყავს ძაღლი.
Ich brauche ein Computer. მე მჭირდება კომპიუტერი.
- იმ არსებით სახელთან, რომელიც გვხვდება კონტექსტში კავშირებთან wie ან als.
Ich schlief wie ein Toter. მე მკვდარივით ჩამეძინა.
- არსებით სახელთან, რომელიც გვხვდება კონტექსტში ზღაპრის ფორმებთან – es war einmal, es lebte einmal, es zog einmal (იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი, მოდიოდა).

Es zog einmal eine Karawane....

მოდიოდა ქარავანი.

- შედარება so - თი.

So ein Glück!

რა ბედნიერება!

2.4 განსაზღვრული არტიკლის ხმარება (Gebrauch des bestimmten Artikels)

განსაზღვრული არტიკლი იხმარება:

- უკვე ცნობილი, დასახელებული არსებითი სახელის წინ.

Opa hat einen Weinstock.

პაპას უდგას ვაზი.

Der Weinstock trägt gut.

ვაზი კარგად ისხამს.

- თუ არსებითი სახელი ერთადერთია.

Die Sonne scheint.

მზე ანათებს.

- როცა არსებით სახელს განსაზღვრებად წინ უძღვის ზედსართავი სახელი აღმატებით ხარისხში ან რიგობითი რიცხვითი სახელი.

Die schönste Frau...

ულამაზესი ქალი...

Das fünfte Kreuz...

მეხუთე ჯვარი...

- წელიწადის დროების, თვეების, კვირის დღეების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან.

der Frühling, der März, der Sonntag

გაზაფხული, მარტი, კვირა.

- მდინარეების, ტბების, ზღვების, მთების, ქვეყნების სახელწოდებებთან.

der Rhein

რაინი

die Isar

იზარი

die Alpen

ალპები

der Bodensee

ბოდენის ტბა

die Schweiz

შვეიცარია

die Ostsee

ბალტიის ზღვა

der Iran

ირანი

der Atlantik

ატლანტის ოკეანე

die Niederlande

ნიდერლანდები

die Zugspitze

ცუგშპიტცე

2.5. არტიკლის უგულებელყოფა (Weglassen des Artikels)

არსებითი სახელი არტიკლის გარეშე გვხვდება:

- ა. მიმართვებში: (Anrede)

Richard!

რიჰარდ!

Herr Meyer,...

ბატონო მაიერ,...

Frau Wissmann,...

ქალბატონო ვისმან,...

- ბ. საკუთარ სახელებში განსაზღვრების გარეშე (Eigennamen ohne Beifügung)

Ich treffe Sabine.

მე ვხვდები საბინეს.

Wilhelm Hauff hat viele Märchen geschrieben. ვილჰელმ ჰაუფმა ბევრი ზღაპარი დაწერა.

- გ. თუ არსებითი სახელი შედგენილი შემასმენლის სახელითი ნაწილია და აღნიშნავს ტიტულს (Ehrentitel), პროფესიას (Beruf), სადაურობას (Herkunft).

Er ist Präsident.

ის პრეზიდენტია.

Mein Mann ist Programmierer.

ჩემი მეუღლე პროგრამისტია.

Sind Sie Amerikanerin?

ამერიკელი ბრძანდებით?

დ. als-ისა და ohne-ს შემდეგ (als... und ohne...)

Sie arbeitet als Ärztin. ის ექიმად მუშაობს.
Nino ging ohne Mantel. ნინო უპალტოოდ წავიდა.

ე. ნივთიერებათა აღნიშვნელი სახელების წინ (ზომა-წონის, რაოდენობის აღნიშვნის გარეშე) (Stoffnamen unbestimmter Menge)

Ich kaufe Brot und Butter. მე ვყიდულობ პურსა და კარაქს.
Wurst wird aus Fleisch gemacht. ძეხვს ხორციტ აშხადებენ.
Wir heizen mit Holz oder Gas. ჩვენ ვათბობთ (ბინას) შეშით ან გაზით.

ვ. მტკიცედ დადგენილ სიტყვათა წყვილებში (Feststehende Doppelungen)

Hand in Hand ხელიხელჩაკიდებული
Tag und Nacht დღე და ღამე
Land und Leute ქვეყანა და ხალხი
Zahn und Zahn კბილი კბილისწილ

ზ. ზოგიერთ გამოთქმაში, ფრაზეოლოგიაში (Redewendungen)

• ანდაზებში –

Schweigen ist Gold. დუმილი ოქროა.
Liebe kennt keine Grenzen. სიყვარულს არ აქვს საზღვარი.
Wissen ist Kraft. ცოდნა ძალაა.

• არსებითი სახელის წინ Akkusativ – ბრუნვაში –

Atem holen სუნთქვის შეკვრა
Geld ausgeben ფულის ხარჯვა
Platz nehmen ადგილის დაკავება

• ზოგიერთი წინდებულებიანი არსებითი სახელის წინ –

auf Sylt ზულტის კუნძულზე
mit Geduld მოთმინებით
aus Angst შიშით
zu Hause სახლში

თ. მტკიცე სიტყვათშეთანხმებაში, არსებით სახელთან წინდებულებით, რომელსაც განსაზღვრებად აქვს მიმღეობა (Präpositionale Fügungen)

auf Anordnung des Gerichtes სასამართლოს გადაწყვეტილებით
bei passender Gelegenheit შესაფერის სიტუაციაში

ი. ლიტერატურაში, პოეზიაში, როცა არსებითი სახელის წინ დგას მეორე არსებითი Genitiv ბრუნვაში. (Dichtung)

in des Meeres Flut ზღვის მოქცევაში
eines armen Mädchens Trost საბრალო გოგონას ნუგეში

კ. ზოგჯერ არსებითი სახელების ჩამოთვლისას (Aufzählungen)

Wetter, Wein und Gastfreundschaft sind
ausgezeichnet. ამინდი, ღვინო და სტუმართმოყვარეობა
შესანიშნავი რამ არის.

2.6 განსაზღვრული არტიკლის შერწყმა წინდებულთან (Bestimmter Artikel mit Präposition)

გერმანული ენისთვის დამახასიათებელია, მეტწილ შემთხვევაში, არტიკლის შერწყმა მხოლოდ Dativ - ის ან Akkusativ - ის წინდებულთან მხოლოდით რიცხვში.

2.6.1 წინდებულები in (ში), an (თან), von (დან), bei (თან), zu (კენ) ხშირად შეერწყმის მამრობითი და საშუალო სქესის არტიკლს Dativ - ში (ანუ dem-ს).

im (in+dem) Kino – კინოში
am (an+dem) Theater – თეატრთან
vom (von+dem) Bahnhof – სადგურიდან
beim (bei+dem) Onkel – ბიძასთან
zum (zu+dem) Rathaus – რატუშისკენ

წინდებული zu ერთადერთია, რომელიც ერწყმის მდედრობითი სქესის არტიკლს Dativ - ში (ანუ der-ს).
zur (zu+der) Arbeit – სამუშაოდ
zur Post – ფოსტისკენ (ფოსტაში)

2.6.2 წინდებულები in, an, auf (ზე) შეიძლება შეერწყას საშუალო სქესის არტიკლს Akkusativ – ში (ანუ das-ს).

ins (in+das) Museum – მუზეუმში
ans (an+das) Hotel – სასტუმროსთან
aufs (auf+das) Land – ქალაქგარეთ

Akkusativ – ის წინდებულები für (თვის), um (ირგვლივ), durch (ით, გავლით) ზოგ შემთხვევაში ერწყმის საშუალო სქესის არტიკლს Akkusativ - ში (das-ს).

fürs (für+das) Kind – ბავშვისთვის
durchs (durch+das) Fenster – ფანჯარაში
ums (um+das) Haus – სახლის ირგვლივ და ა.შ.

Dativ	Akkusativ
in+dem=im	in+das=ins
an+dem=am	an+das=ans
von+dem=vom	auf+das=aufs
bei+dem=beim	für+das=fürs
zu+dem=zum	um+das=ums
zu+der=zur	durch+das=durchs

2.7 არტიკლის შეცვლა ნაცვალსახელით (Ersatz des Artikels durch Pronomen)

2.7.1 არტიკლის შეცვლა კუთვნილებითი ნაცვალსახელით (Possessivpronomen)

არტიკლის ფუნქციას წინადადებაში ასრულებს კუთვნილებითი ნაცვალსახელი: (Possessivpronomen) და იბრუნვის, როგორც უარყოფითი (negativ) არტიკლი. ყოველ პირის ნაცვალსახელს შეესაბამება თავისი კუთვნილებითი არტიკლი: ყოველი სიტყვა მოცემულია Nominativ (სახელობით) ბრუნვაში. (იხ. 6.3)

პირის ნაცვალსახელი	maskulin	feminin	neutral	Plural (m.f.n.)
ich-მე du-შენ er-ის (მამრ.) sie-ის (მდ.) es-ის (საშ.)	mein Tag dein Tag sein Tag ihr Tag sein Tag	meine Lampe deine Lampe seine Lampe ihre Lampe seine Lampe	mein Haus dein Haus sein Haus ihr Haus sein Haus	meine Tage (Lampen, Häuser) deine Tage (Lampen, Häuser) seine Tage (Lampen, Häuser) ihre Tage (Lampen, Häuser) seine Tage (Lampen, Häuser)
wir-ჩვენ ihr-თქვენ sie-ისინი Sie-თქვენ (თავაზ. ფორმა)	unser Tag euer Tag ihr Tag Ihr Tag	unsere Lampe eu(e)re Lampe ihre Lampe Ihre Lampe	unser Haus euer Haus ihr Haus Ihr Haus	unsere Tage (Lampen, Häuser) eu(e)re Tage (Lampen, Häuser) ihre Tage (Lampen, Häuser) Ihre Tage (Lampen, Häuser)
	ჩემი დღე შენი დღე და ა.შ.	ჩემი ლამპა შენი ლამპა და ა.შ.	ჩემი სახლი შენი სახლი და ა.შ.	ჩემი დღეები, (ლამპები, სახლები) შენი დღეები, (ლამპები, სახლები) და ა.შ.

2.7.2 არტიკლის შეცვლა ჩვენებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელით (Demonstrativ – und Indefinitpronomen).

ჩვენებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (ე.წ. die Artikelwörter) იბრუნვის, როგორც განსაზღვრული არტიკლი (იხ. 6.4 და 7).

maskulin	feminin	neutral	Plural (m.f.n.)
dieser Tag	diese Lampe	dieses Haus	diese Tage (Lampen, Häuser)
(ეს დღე (ლამპა, სახლი))			ეს დღეები (ლამპები, სახლები)
jeder Tag	jede Lampe	jedes Haus	alle Tage (Lampen, Häuser)
(ყოველი დღე (ლამპა, სახლი))			ყველა დღე (ლამპა, სახლი)

შენიშვნა: jede-ს მრავლობითია alle.

2.7.3 კითხვითი ნაცვალსახელით (Fragepronomen)

- welcher? welche? welches? / welche? – რომელი? (bestimmtes Fragepronomen) იბრუნვის, როგორც განსაზღვრული არტიკლი.
- was für ein? was für eine? was für ein? / was für ...? როგორი? (unbestimmtes Fragepronomen)

იბრუნვის, როგორც განუსაზღვრელი არტიკლი. (იხ. 6.7)

3 არსებითი სახელი

Das Substantiv / Das Nomen / Das Hauptwort

3.1 შესავალი (Einführung)

ყველა არსებითი სახელი იწერება (იწყება) დიდი ასოთი.

3.1.1 არსებითი სახელის სახეები (Arten der Substantive / Nomen)

- ა. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები (Konkrete und abstrakte Nomen)
Baum, Stein, Haus (ხე, ქვა, სახლი).
Liebe, Haß, Glück (სიყვარული, სიძულვილი, ბედნიერება)
- ბ. საკუთარი და საზოგადო სახელები (Eigennamen und Gattungsnamen)
Helene, Lessing, Elbrus (ელენე, ლესინგი, იალბუზი)
Mensch, Berg (ადამიანი, მთა)
- გ. სულიერი და უსულო საგნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (Lebewesen, Dinge) Tochter, Bibel (ქალიშვილი, ბიბლია)
- დ. კრებითი სახელები (Sammelnamen)
Gestirn, Chor, Herde (თანავარსკვლავედი, გუნდი, ფარა)
- ე. ნივთიერებათა სახელები (die Stoffnamen)
Honig, Holz, Silber (თაფლი, ხე (მასალა), ვერცხლი)

3.1.2 არსებითი სახელის წარმოქმნა (Bildung der Substantive / Nomen)

არსებობს ძირეული და წარმოქმნილი არსებითი სახელები. მათი წარმოქმნა ხდება თავსართებით, ბოლოსართებით, სუბსტანტივაციით (რომელიმე მეტყველების ნაწილის არსებით სახელად გარდაქმნა) ან ორი ან რამდენიმე სიტყვის შერწყმით.

- ა. ძირეული (Grundnamen ანუ ursprüngliche Substantive)
Uhr, Kind (საათი, ბავშვი)
- ბ. ნაწარმოები არსებითი სახელები (abgeleitete Substantive)
 - ზმნებით (mit Verben) აქ ზოგჯერ იცვლება ფუძისეული ხმოვანი ან დაირთავს თანხმოვანს.
liegen – Lage (დება, წოლა, ფენა)
fahren – Fahrt (გამგზავრება, მგზავრობა)
sehen – Sicht (ხედვა, ხედი)
 - თავსართებით, ბოლოსართებით (mit Vorsilben, Nachsilben)
Besuch, Buchung, Ereignis (სტუმრობა, განაცხადი, მოვლენა)
 - სუბსტანტივაცია (Substantivierung)
Lesen, Rechnen (კითხვა, ანგარიში)
- გ. რთული არსებითი სახელები (Zusammengesetzte Substantive / Komposita) ორი ან რამდენიმე სიტყვის შერწყმა.
Flughafen, Patenkind, Schifffahrtsbüro (აეროპორტი, ნათლული, გემით მოგზაურობის ბიურო).

3.1.3 არსებითი სახელის გრამატიკული კატეგორიები (Grammatische Kategorien der Substantive)

გერმანულ ენაში არსებით სახელს გააჩნია სამი კატეგორია:

გრამატიკული სქესი (Genus), რიცხვითი სახელი (Numerus), ბრუნვა (Kasus)

- ა. სქესი (Genus): მამრობითი (Maskulinum ანუ männliches Geschlecht)
მდედრობითი (Femininum ანუ weibliches Geschlecht)
საშუალო (Neutrum ანუ sächliches/neutrales Geschlecht)
- ბ. რიცხვი (Numerus): მხოლობითი (Singular)
მრავლობითი (Plural)
- გ. ბრუნვა (Kasus): სახელობითი (Nominativ)
ნათესაობითი (Genitiv)
მიცემითი (Dativ)
ბრალდებითი (Akkusativ)

3.2 არსებითი სახელის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Substantive)

3.2.1 აგებულების მიხედვით (...dem Bau nach)

3.2.1.1 არსებითი სახელის წარმოქმნა დაბოლოებით (mit Nachsilben):

ა. მამრობითი სქესი

-er: საქმიანობა – der Flieger, der Maler, der Räuber (მფრინავი, მხატვარი, ყაჩაღი)

წარმომავლობა – Deutscher, Georgier (გერმანელი, ქართველი)

ხელსაწყო – der Hammer, der Locher, der Zähler (ჩაქუჩი, სახვრეტი, მრიცხველი)

რიცხვები – der Fünfer, der Zwanziger (ხუთიანი, ოციანი)

და სხვა: der Tiger, der Falter, der Seufzer, der Walzer (ვეფხვი, პეპელა, ამოხვნეშა, ვალსის მოცეკვავე)

ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე:

-aner der Hannoveraner, (ჰანოვერელი)

-ser der Hallenser (ჰალეელი)

და ა.შ.

-ler, -ner, -ker მხოლოდ პიროვნებები:

der Künstler, der Heuchler, der Trommler (ხელოვანი, ფარისეველი, მედოლე)

der Gärtner, der Lügner, der Pförtner (მებაღე, მატყუარა, კარისკაცი)

der Chemiker, der Imker (ქიმიკოსი, მეფუტკრე)

და ა.შ.

-ling: ნაწარმოები:

არს. სახელებით - der Keimling, der Sträfling, der Fäustling (ჩანასახი, ტუსალი, უთითებო ხელთათმანი)

ზმნებით - der Lehrling, der Täufling (შეგირდი, მონათლული)

ზედსართ. სახელებით - der Fremdling, der Jüngling, der Frühling (უცხო კაცი, ყმაწვილკაცი, გაზაფხული)

და ა.შ.

-el: der Hobel, der Schlüssel, der Nebel, der Ärmel (შალაშინი, გასაღები, ღრუბელი, სახელო

და ა.შ.

- rich: პიროვნებები, ცხოველები

der Wüterich, der Gänserich (ბრაზიანი კაცი, მამალი ბატი)

და ა.შ.

რიგი უცხო წარმოშობის სუფიქსებზე დაბოლოებული არსებითი სახელებისა:

- ent – der Student, der Referent (სტუდენტი, რეფერენტი)
- ant – der Aspirant, der Brillant (ასპირანტი, ბრილიანტი)
- ist – der Hornist, der Karikaturist (მესაყვირე, კარიკატურისტი)
- at – der Soldat, der Salat (ჯარისკაცი, სალათი)
- soph – der Philosoph (ფილოსოფოსი)
- log(e) – der Dekalog, der Philologe (ათი მცნება, ფილოლოგი)
- nom – der Agronom, der Gastronom (აგრონომი, რესტორნის მეპატრონე)
- graph – der Kartograph, der Kalligraph (კარტოგრაფი, კალიგრაფი)

აბსტრაქტული არსებითი სახელები:

- mus – der Rhythmus (რიტმი)
- ismus – der Humanismus, der Egoismus (ჰუმანიზმი, ეგოიზმი)

და ა.შ.

ბ. მდედრობითი სქესი

მდედრობითი სქესის არსებით სახელებს აწარმოებს გერმანული წარმოშობის სუფიქსები:

- in – die Schülerin, die Fotografin, die Göttin (მოწაფე, ფოტოგრაფი, ქალღმერთი)
- ung – die Zeitung, die Meinung, die Strahlung (გაზეთი, მოსაზრება, სხივი)
- heit – die Einheit, die Freiheit, die Kindheit (ერთიანობა, თავისუფლება, ბავშვობა)
- keit – die Möglichkeit, die Kleinigkeit, die Süßigkeit (შესაძლებლობა, წვრილმანი, ტკბილეული)
- schaft – die Freundschaft, die Mannschaft, die Gesellschaft (მეგობრობა, კაცობრიობა, საზოგადოება)
- ei – Bäckerei, die Schmeichelei, die Abtei (ხაბაზი, ლაქუცა, სააბატო)
- e – die Hilfe, die Suche, die Liebe (დახმარება, ძებნა, სიყვარული)
- de – die Freude, die Herde, die Bürde (სიხარული, ფარა, ტვირთი)
- nis – die Finsternis, die Erlaubnis, die Kenntnis (სიბნელე, ნებართვა, ცოდნა)
- sal – die Trübsal (უგუნებობა)

და ა.შ.

რიგი უცხო წარმოშობის სუფიქსებისა:

- (t) ät – die Universität, die Diät (უნივერსიტეტი, დიეტა)
- ie – die Poesie, die Harmonie, die Fantasie (პოეზია, ჰარმონია, ფანტაზია)
- ur – die Frisur, die Klausur (ვარცხნილობა, განდევილობა)
- tur – die Diktatur, die Karikatur (დიქტატურა კარიკატურა)
- ion – die Union, die Million (კავშირი, მილიონი)
- tion – die Generation, die Kombination (შთამომავლობა, კომბინაცია)
- ik – die Logik, die Replik, die Romantik (ლოგიკა, რეპლიკა, რომანტიკა)

და ა.შ.

გ. საშუალო სქესი

საშუალო სქესის არსებით სახელებს აწარმოებს გერმანული წარმოშობის სუფიქსები:

- chen – das Tischchen, Wägelchen (პატარა მაგიდა, პატარა აკვანი)
- lein – das Büchlein das Äuglein (პატარა წიგნი, პატარა თვალი)

- sel – das Rätsel, das Mitbringsel (გამოცანა, სუვენირი)
- tel – das Viertel, das Achtel (მეოთხედი, მერვედი)
- de – das Gebäude, das Gemälde (შენობა, სურათი)
- nis – das Ereignis, das Bedürfnis (მოვლენა, მოთხოვნილება)
- sal – das Schicksal, das Scheusal (ბედისწერა, საზიზღრობა)
- tum – das Rittertum, das Brauchtum (რაინდობა, ტრადიცია)
- icht – das Dickicht (ნალექი)

და ა.შ.

რიგი უცხო წარმოშობის სუფიქსებისა, უსულო საგნების აღმნიშვნელ სიტყვებში:

- ment – das Parlament, das Element (პარლამენტი, ელემენტი)
- at – das Diktat, das Format (დიქტატი, ფორმატი)
- ett – das Parkett, das Korsett, das Ballett (პარკეტი, კორსეტი, ბალეტი)
- al – das Arsenal, das Areal, das Signal (არსენალი, არეალი, სიგნალი)
- ik – das Arsenik, das Mosaik (დარიშხანი, მოზაიკა)
- um – das Museum, das Visum, das Studium (მუზეუმი, ვიზა, სწავლა)
- iv – das Archiv, das Kollektiv, das Motiv (არქივი, კოლექტივი, მოტივი)

და ა.შ.

3.2.1.2 არსებითი სახელის წარმოქმნა თავსართებით (mit Vorsilben) არ იცვლება გრამატიკული სქესი.

ა. უმახვილო თავსართები:

- Be – der Betrag, die Behörde, das Besteck (თანხა, დაწესებულება, მოწყობილობა)
- Ent – der Entwurf, die Entschuldigung, das Entgelt (მონახაზი, ბოდიშის მოხდა, გასამრჯელო)
- Emp – der Empfang, die Empfindung (მიღება, შეგრძნება)
- Er – der Erfolg, die Erfahrung, das Erbarmen (წარმატება, გამოცდილება, ქველმოქმედება)
- Ge – der Genuss, die Gewalt, das Gehör (ტკბობა, ძალაუფლება, სმენა)
- Ver – der Verkehr, die Vernunft, das Vergnügen (მოძრაობა, გონიერება, სიამოვნება)
- Zer – der Zerfall, die Zerstörung (დაშლა, დანგრევა)

და ა.შ.

ბ. ზოგიერთი მახვილიანი თავსართი:

- Aber – der Aberglaube (ცრუმორწმუნეობა)
- Ant – das Antlitz, die Antwort (სახე – ხატი, პასუხი)
- Ein – der Einband, die Einheit, das Eingeweide (გადასაკრავი, ერთიანობა, შიგნეული)
- Erz – der Erzherzog, der Erzengel (ერცჰერცოგი, მთავარანგელოზი)
- Miss – der Misserfolg, die Missernte (წარუმატებლობა, მოუსავლიანობა)
- Un – der Unfall, die Unruhe (უბედური შემთხვევა, მოუსვენრობა)
- Ur – der Urmensch, die Urkunde (პირველყოფილი ადამიანი, დაბადების მოწმობა)

და ა.შ.

გ. რიგი უცხო წარმოშობის სიტყვებისა:

- **Anti** – der Antichrist, die Antipatie (ანტიქრისტე, ანტიპათია)
- **Bio** – der Biomüll, die Biologie (ბიონაგავი, ბიოლოგია)
- **Sub** – die Subkultur (პატარა კულტურა - დიდი კულტურის სიბრტყეზე)
- **Sym** – die Sympathie, die Symmetrie (სიმპათია, სიმეტრია)
- **Trans** – der Transport, das Transparent (ტრანსპორტი, ტრანსპარანტი)

და ა.შ.

3.2.1.3 არსებითი სახელის წარმოქმნა ზმნებით (Ableitung von Verben)

იცვლება ფუძისეული ხმოვანი ან თანხმოვანი.

fahren – die Fahrt, die Furt (გამგზავრება, მგზავრობა, ფონი)

biegen – der Bogen, die Bucht (მოხრა, რკალი, ყურე)

gehen – der Gang (წასვლა, სვლა)

fliegen – der Flug, die Fliege (ფრენა, რეისი, ბუზი)

liegen – die Lage (დება, ფენა)

schreiben – die Schrift (წერა, შრიფტი)

და ა.შ.

3.2.1.4 არსებითი სახელის წარმოქმნა სუბსტანტივაციით (Substantivierung)

არსებითი სახელის წარმოქმნაში დიდ როლს ასრულებს სუბსტანტივაცია ანუ სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან არსებითი სახელის მიღება.

ამ წესით არსებითი სახელი მიიღება:

- ა. ზმნებით (არ იცვლება ზმნის საწყისი ფორმა) ანუ ნებისმიერი ზმნის **Intinitiv** – ით. ამასთან, არსებით სახელს ექნება საშუალო სქესის არტიკლი. მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია და იბრუნვის ძლიერი ბრუნების წესით.

lesen – das Lesen (კითხვა - ზმნა, კითხვა – არსებითი სახელი)

schreiben – das Schreiben (წერა – ზმნა, წერა – არსებითი სახელი)

და ა.შ.

- წინდებულებიანი ზმნებით (**beim, zum, vom, ins, im, am** და სხვა) –
beim Telefonieren, vom Rauchen (ტელეფონზე საუბრისას, მოწევისაგან)
zum Arbeiten, zum Lernen (სამუშაოდ, სასწავლად)

და ა.შ.

ბ. ზედსართავი სახელით (Adjektiv)

- უმლაუტის გარეშე, მხოლოდ საშუალო სქესის –
gut – das Gute (კარგი, სიკეთე)
schön – das Schöne (ლამაზი, სილამაზე)
wahr – das Wahre (მართალი, სიმართლე)
dunkel – das Dunkel/das Dunkle (ბნელი, სიბნელე)
rot – das Rot/das Rote (წითელი, წითელი ფერი)

და ა.შ.

- უმლაუტით, ყოველთვის მდედრობითი სქესის –
rot – die Röte (სიწითლე)
gut – die Güte (სიკეთე)

და ა.შ.

3.2.1.5 არსებითი სახელის წარმოქმნა სიტყვათა შერწყმით (Zusammengesetzte Substantive/Komposita).

კომპოზიტი შედგება ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვისაგან. განასხვავებენ განმსაზღვრელ (*Bestimmungswort*) და ძირითად სიტყვას (*Grundwort*). ძირითადი სიტყვა ყოველთვის არსებითი სახელია და დგას მთლიანი სიტყვის ბოლოს (*am Ende*). ძირითადი სიტყვა განსაზღვრავს კომპოზიტის გრამატიკულ სქესს და იბრუნვის. განმსაზღვრელი სიტყვა დგას კომპოზიტის თავში და მახვილიანია. არსებობს სიტყვათა შერწყმის ოთხი სახეობა:

- ა. არსებითი სახელი + არსებითი სახელი – (*Nomen + Nomen*)
das Haus + die Tür – die Haustür – სახლის კარები
der Garten + das Haus – das Gartenhaus – ქობი ბაღში
die Schaukel + der Stuhl – der Schaukelstuhl – სარწყველა
die Wörter + das Buch – das Wörterbuch – ლექსიკონი.
- ბ. ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი (*Adjektiv + Nomen*)
klein + der Bus – der Kleinbus – მიკროავტობუსი
quer + die Straße – die Querstraße – გზაჯვარედინი
- გ. ზმნა + არსებითი სახელი (*Verb + Nomen*)
ზმნის ინფინიტივის დაბოლოება ზოგჯერ იკარგება.
tanzen + die Schule – die Tanzschule – ცეკვის სკოლა
rechnen + das Heft – das Rechenheft – უჯრედებიანი რვეული
- დ. წინდებული + არსებითი სახელი (*Präposition + Nomen*)
auf + der Satz – der Aufsatz – თხზულება
nach + die Speise – die Nachspeise – ჩაროზი
vor + das Urteil – das Vorurteil – ცრურწმენა.
- ე. სიტყვათა შერწყმა მაკავშირებელი სიტყვით (*Fugenelement*) ანუ (*Bindelaut*)
e - das Tagebuch, das Schweinefleisch – დღიური, ღორის ხორცი
n - der Zungenbrecher, der Sonnenhut – ენის გასატეხი, მზის ქუდი
en - die Menschenwürde, das Herrenhemd – ღირსება, მამაკაცის პერანგი
s - die Zukunftsmusik, das Weihnachtsgeschenk – მომავლის მუსიკა, საშობაო საჩუქარი
es - die Jahreszeit, die Landessprache – წელიწადის დრო, სახელმწიფო ენა.
er - der Kinderstuhl, der Bilderrahmen – საბავშვო სკამი, ჩარჩო (სურათის)
- ვ. რამდენიმე სიტყვის შერწყმა (*Mehrfachzusammensetzung*)
die Schönwetterperiode – კარგი ამინდის პერიოდი
der Gutenachtkuss – ძილისპირულის კოცნა
der Briefmarkensammler – ფილატელისტი

3.2.1.6 უცხო წარმოშობის სიტყვები (Internationalismen)

უცხო სიტყვების უმრავლესობა (ლათინური, ბერძნული, ფრანგული და ინგლისური ლექსიკონიდან შემოსული) მიიღება დაბოლოებებით (mit Endungen):

დაბოლოება	არს. სახელი	დაბოლოება	არს. სახელი	დაბოლოება	არს.სახელი
-ent	der Student სტუდენტი	-enz	die Tendenz ტენდენცია	-ur	die Literatur ლიტერატურა
-ant	der Emigrant ემიგრანტი	-anz	die Toleranz ტოლერანტობა	-üre	die Lektüre საკითხავი
-ist	der Germanist გერმანისტი	-ik	die Lyrik ლირიკა	-o	das Rondo რონდო
-at	der Bürokrat ბიუროკრატი	-ar	das Formular ფორმულარი	-esse	die Delikatesse დელიკატესი
-soph ან -sof	der Philosoph ფილოსოფოსი	-and	der Doktorand დოქტორანტი	-ing	das Marketing მარკეტინგი
-log (e)	der Philologe ფილოლოგი	-ade	die Limonade ლიმონათი	-um	das Studium სწავლა
-nom	der Astronom ასტრონომი	-age	die Reportage რეპორტაჟი	-a	das Thema თემა
-graph ან -graf	der Bibliograph ბიბლიოგრაფი	-ette	die Tablette აბი	-ment	das Kompliment კომპლიმენტი
-ar	der Kommissar კომისარი	-ie	die Harmonie ჰარმონია	-ismus	der Formalismus ფორმალიზმი
-är	der Millionär მილიონერი	-ion	die Region რეგიონი	-mus	der Enthusiasmus ენტუზიაზმი
-eur	der Ingenieur ინჟინერი	-tion	die Publikation პუბლიკაცია	-us	der Zirkus ცირკი
-it	der Kredit კრედიტი	-os	das Epos ეპოსი	-in	das Vitamin ვიტამინი
-or	der Doktor დოქტორი	-(t)ät	die Souveränität სუვერენიტეტი	-il	das Ventil სარქველი
-ell	das Rondell მრგვალი სკვერი	-isse	die Prämisse წინაპირობა	-ier	der Passagier მგზავრი

და 27

3.2.2 შინაარსის მიხედვით (...dem Inhalt nach)

3.2.2.1 კონკრეტული არსებითი სახელები (Konkrete Nomen)

კონკრეტულს მიეკუთვნება სულიერი არსებითი სახელები, საგნები, რომლებიც ხუთივე გრძობაზე (ხედვა, სმენა, დაგემოვნება, ყნოსვა, შეხება-შეგრძნება) აღიქმება.

ა. საკუთარი არსებითი სახელები (Eigennamen)

Helene, Peter, Schiller
München, Deutschland

ელენე, პეტრე, შილერი
მიუნხენი, გერმანია

ბ. საზოგადო არსებითი სახელები (Gattungsnamen)

Mensch, Tier, Adler, Berg, Wein ადამიანი, ცხოველი, არწივი, მთა, ღვინო

გ. კრებითი არსებითი სახელები (Sammelnamen)

Gebirge, Werkzeug, Familie მთიანეთი, ხელსაწყო (მოწყობილობა), ოჯახი

დ. ნივთიერებათა სახელები (Stoffnamen)

Honig, Holz, Silber თაფლი, ხის მასალა, ვერცხლი

3.2.2.2 აბსტრაქტული არსებითი სახელები (Abstrakte Nomen)

არსებითი სახელები, რომლებიც გონებით, წარმოსახვით აღიქმება

ა. დამოკიდებულება: Liebe, Hass, Entfernung – სიყვარული, სიძულვილი, დაშორება.

ბ. მდგომარეობა: Glück, Frieden, Ruhe – ბედნიერება, მშვიდობა, სიმშვიდე.

გ. თვისობრიობა: Treue, Fleiß – ერთგულება, სიბეჯითე.

დ. წარმოდგენა: Idee, Seele, Wissen – იდეა, სული, ცოდნა.

ე. ქმედება: Streik, Hilfe – აჯანყება, დახმარება.

ვ. პროცესი: Erlebnis, Schlaf – მოვლენა, ძილი.

ზ. მეცნიერება, ხელოვნება: Naturkunde, Musik – ბუნებისმეტყველება, მუსიკა.

თ. წონა, ზომა, დრო: Gramm, Kilometer, Minute – გრამი, კილომეტრი, წუთი.

3.2.3 არსებითი სახელები სქესის მიხედვით (...dem Geschlecht nach)

არსებობს 3 გრამატიკული სქესი: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო

das männliche (maskuline), das weibliche (feminine), das sächliche (neutrale) Geschlecht

ყოველ არსებით სახელს გააჩნია გრამატიკული სქესი. იგი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ემთხვევა ბიოლოგიურ სქესს. გრამატიკული სქესი მოქმედებს ზედსართავ და ნაცვალსახელებზე. მხოლოდ განსაზღვრული არტიკლი (der, die, das) მიუთითებს არსებითი სახელის გრამატიკულ სქესზე.

არსებით სახელს შეიძლება ჰქონდეს არა ერთი, არამედ ორი ან ზოგ შემთხვევაში სამი არტიკლიც. არტიკლი ხშირად უცვლის სიტყვას მნიშვნელობას.

ყოველი არსებითი სახელი შესწავლილ უნდა იქნეს თავისი განსაზღვრული არტიკლით!

3.2.3.1 მამრობით სქესს (Maskulina) მიეკუთვნება:

ა. მამრობითი სქესის სულიერი არსებითი სახელები:

der Mann - კაცი

der Nachbar - მეზობელი

der Vater - მამა

der Löwe - ლომი

der Bruder - ძმა

der Hund - ძაღლი

der Junge - ბიჭი

der Leopard - ლეოპარდი

der Herr - ბატონი

der Bock - თხა

der Hirt(e) - მწყემსი

der Ochse - ხარი

ბ. ზოგიერთი ფრინველის სახელი:

der Adler – არწივი	der Specht – კოდალა	der Geier – ძერა
der Rabe – ყორანი	der Spatz – ბელურა	der Pfau – ფარშევანგი
der Star – შოშია	der Falke – შევარდენი	der Schwan – გელი
der Papagei – თუთიყუში	der Fink – ნიბლია	და ა.შ.

გ. ქარების, მხარეების, წელიწადის დროთა, კვირის დღეების, დღის სხვადასხვა დროის მონაკვეთი:

der Taifun – ტაიფუნი	der Herbst – შემოდგომა	der Sonntag – კვირა
der Osten – აღმოსავლეთი	der März – მარტი	der Morgen – დილა
		და ა.შ.

დ. მთათა სახელები:

der Harz – ჰარცი	der Kaukasus – კავკასიონი	der Elbrus – იალბუზი
		და ა.შ.

ე. მინერალთა სახელები:

der Achat – აქატი	der Brillant – ბრილიანტი	der Diamant – ალმასი
der Mergel – მერგელი		და ა.შ.

ვ. ამინდის მოვლენების გამოხატველი:

der Schnee – თოვლი	der Regen – წვიმა	der Blitz – ელვა
		და ა.შ.

ზ. მანქანის მარკა:

der Opel – ოპელი	der Mercedes – მერსედესი	der Jeep – ჯიპი
		და ა.შ.

თ. ფულის ერთეულის ნიშნები (გარდა სიტყვებისა –a და –e დაბოლოებით):

der Euro – ევრო	der Dollar – დოლარი	der Lari – ლარი
		და ა.შ.

ი. უმეტესობა ერთმარცვლიანი (einsilbig) არსებითი სახელებისა:

der Biss – კბენა	der Krug – კათხა	der Ball – ბურთი
der Ruf – ძახილი	der Klang – რეკვა	der Bau – მშენებლობა
		და ა.შ.

კ. უმეტესობა სასმელთა სახელებისა:

der Brandy – ბრენდი	der Schnaps – არაყი	der Kaffee – ყავა
der Kognak – კონიაკი	der Whisky – ვისკი	der Tee – ჩაი
der Likör – ლიქიორი	der Wein – ღვინო	der Saft – წვენი

და ა.შ.

ლ. სულიერი არსებითი სახელები, რომლებიც ადამიანთა წარმომავლობას და პროფესიას გამოხატავს (მხოლოდ მამრობითი სქესის პიროვნებები) დაბოლოებით:

- er – der Republikaner – რესპუბლიკელი
- ler – der Künstler – ხელოვანი
- ner – der Schaffner – გამცილებელი

და ა.შ.

მ. ბევრი უსულო და სულიერი არსებითი სახელი სუფიქსებით:

- | | |
|---|-----------------------------------|
| - er – der Anker – ღუზა | - ling – der Liebling - საყვარელი |
| - el – der Apfel – ვაშლი | - ich – der Teppich - ხალიჩა |
| - en – der Boden – იატაკი | - am – der Bräutigam - საქმრო |
| - rich – der Gänserrich – ბატი (მამალი) | - ig – der Essig – ძმარი |

და ა.შ.

ნ. უცხო წარმოშობის სიტყვები სუფიქსებით (Fremdwörter)

- | | |
|-------------------------------------|------------------------------------|
| - ent – der Student – სტუდენტი | - mus – der Rhythmus – რიტმი |
| - ant – der Aspirant – ასპირანტი | - an – der Vulkan – ვულკანი |
| - ist – der Organist – ორღანისტი | - ier - der Passagier – მგზავრი |
| - at – der Diplomat – დიპლომატი | - eur – der Redakteur – რედაქტორი |
| - soph – der Philosoph – ფილოსოფოსი | - it – der Favorit – ფავორიტი |
| - log – der Prolog – პროლოგი | - ar – der Jubilar – იუბილარი |
| - nom – der Astronom – ასტრონომი | - arch – der Patriarch – პატრიარქი |
| - graf – der Fotograf – ფოტოგრაფი | - urg – der Chirurg - ქირურგი |
| - us – der Bambus – ბამბუკი | |

3.2.3.2 მდედრობით სქესს (Feminina) მიეკუთვნება -

ა. ყველა მდედრობითი სქესის სულიერი არსებითი სახელი (Lebewesen)

- | | |
|-------------------|-------------------------|
| die Frau – ქალი | die Tochter – ქალიშვილი |
| die Mutter – დედა | die Kuh – ძროხა |
| die Tante – დეიდა | die Gans – ბატი |

და ა.შ.

ბ. ყველა არსებითი სახელი დაბოლოებით - in:

- | | |
|--------------------------------------|------------------------------|
| die Schülerin – მოსწავლე (გოგონა) | die Löwin – ლომი (დედალი) |
| die Architektin – არქიტექტორი (ქალი) | die Äffin – მაიმუნი (დედალი) |
| die Schwedin – შვედი (ქალი) | |

და ა.შ.

გ. უმეტესობა ხეებისა (არა ხეხილი) (Waldbäume):

- | | |
|--------------------|-------------------------------------|
| die Linde – ცაცხვი | die Kiefer – ფიჭვი |
| die Tanne – ნაძვი | die Lärche – ლარაქსი (წიწვოვანი ხე) |
| die Pappel – ალვა | |

და ა.შ.

დ. უმეტესობა გერმანიის მდინარეებისა (Flüsse):

- | | |
|------------------|--------------------|
| die Elbe – ელბა | die Weser – ვეზერი |
| die Oder – ოდერი | |

და ა.შ.

ე. სხვა მდინარეები დაბოლოებებით -a, -e, -u:

- | | |
|--------------------|-------------------|
| die Wolga – ვოლგა | die Donau – დუნაი |
| die Themse – ტემზა | და ა.შ. |

ვ. ციფრების სახელწოდება (Zahlen):

- | | |
|-----------------|-----------------------|
| die Eins – ერთი | die Null – ნული |
| die Zwei – ორი | die Million – მილიონი |

და ა.შ.

ლ. უცხო წარმოშობის სუფიქსებით (უსულო) (Fremdwörter):

- | | |
|--|---|
| - ie - die Fotografie – ფოტოგრაფია | - (t)ur - die Diktatur – დიქტატურა |
| - ion - die Region – რეგიონი | - is - die Basis – ბაზისი |
| - tion - die Negation – უარყოფა | - isse - die Kulisse – კულისები |
| - (t)ät - die Universität – უნივერსიტეტი | - a - die Propaganda – პროპაგანდა |
| - ik - die Belletristik – ბელეტრისტიკა | - ette - die Zigarette – სიგარეტი. |
| - enz - die Konferenz – კონფერენცია | აგრეთვე: euse - die Masseuse – მასაჟისტი (ქალი) |
| - anz - die Distanz – დისტანცია | და ა.შ. |

3.2.3.3 საშუალო სქესს (Neutra) მიეკუთვნება -

ა. ბავშვთა და ცხოველთა ნაწიერების სახელები (Kinder - und Jungennamen):

- | | |
|-------------------------|-------------------|
| das Baby – ჩვილი ბავშვი | das Kind – ბავშვი |
| das Kalb – ხბო | das Ferkel – გოჭი |
| das Füllen – კვიცი | das Lamm – კრავი |

და ა.შ.

ბ. ორივე (ბიოლ.) სქესის ცხოველთა სახელები (Tiernamen):

- | | |
|---------------------|--------------------|
| das Pferd – ცხენი | das Schaf – ცხვარი |
| das Rind – საქონელი | das Schwein – ღორი |

და ა.შ.

გ. კონტინენტების, ქვეყნების, კუნძულთა, ნახევარკუნძულთა, ქალაქების, სოფლების სახელები განსაზღვრებით (mit Attribut):

- das antike Europa – ანტიკური ევროპა
das moderne Australien – თანამედროვე ავსტრალია
das Frankeich des 19. Jahrhunderts - XIX - საუკუნის საფრანგეთი
das historische Tbilissi – ისტორიული თბილისი

და ა.შ.

დ. უმეტესობა ქიმიური ელემენტებისა (Chemieelemente):

- | | |
|----------------------|----------------------|
| das Brom – ბრომი | das Helium – ჰელიუმი |
| das Uran – ურანი | das Gold – ოქრო |
| das Platin – პლატინა | das Silber – ვერცხლი |

და ა.შ.

ე. ასო – ბგერათა სახელწოდებანი (Namen der Buchstaben):

- das A – ანი
das Beta – ბეტა (ბერძ.)
das Alphabet – ანბანი

და ა.შ.

ვ. წილობითი რიცხვითი სახელები (Bruchzahlen):

- das Drittel – მესამედი
das Hundertstel – მესასედი

და ა.შ.

ზ. ყველა კნინობითი არსებითი სახელი დაბოლოებით – **chen, -lein, -sel**:

das Veilchen – ია

das Tischlein – პატარა მაგიდა

das Rätsel – გამოცანა

და ა.შ.

თ. უმეტესობა კრებითი სახელებისა (Sammelnamen):

das Volk – ხალხი

das Heer – ჯარი

das Wild – ნანადირევი

das Kraut – მწვანელი

და ა.შ.

ო. კრებითი სახელები თავსართით Ge - :

das Gebirge – მთები

das Gebäck – ნამცხვარი

და ა.შ.

კ. სხვა მეტყველების ნაწილებით წარმოქმნილი არსებითი სახელები:

• ზმნები: das Lesen – კითხვა

das Rauchen – მოწევა (მაგ. თამბაქოს)

და ა.შ.

• ზედსართავი სახელები:

das Dunkel – სიბნელე

das Rot – წითელი ფერი

და ა.შ.

• ფრაზები: das Ach und Weh – „ვაი და ვუი“

das Hin und Her – იქით - აქეთ

და ა.შ.

ლ. დიდი სასტუმროების, კაფეების, კინოთეატრების სახელწოდებანი:

das Sheraton – შერატონი

das Kranzler – კრანცლერი

das Maxim – მაქსიმი

და ა.შ.

მ. უმეტესობა არსებითი სახელებისა სუფიქსებით:

- tum – das Altertum – სიბველე

- nis – das Erlebnis – მოვლენა

- sal – das Schicksal – ბედისწერა

- icht – das Dickicht – გაუვალ ტყე

და ა.შ.

ნ. უცხო წარმოშობის არსებითი სახელები სუფიქსებით (უსულო) (Fremdwörter):

- ent – das Talent – ტალანტი

- ment – das Element – ელემენტი

- at – das Diktat – დიქტატი

- ett – das Etikett – ეტიკეტი

- ät – das Porträt – პორტრეტი

- il – das Ventil – სარქველი

- al – das Ideal – იდეალი

- o – das Solo – სოლო

- on – das Flakon – ფლაკონი

- all – das Metall – მეტალი

- it – das Requisit – რეკვიზიტი

- ell – das Karussell – კარუსელი

- är – das Militär – მხედრობა

- el – das Hotel – სასტუმრო

- iv – das Motiv – მოტივი

- um – das Zentrum – ცენტრი

- a – das Dilemma – დილემა

და ა.შ.

ძირითადი წესების გარდა არსებობს არა ერთი გამონაკლისი.

მაგალითად: der Skorpion, der Spion, der Katholik, der Name, der Käse
(მორიელი, ჯაშუში, კათოლიკე, სახელი, ყველი)
die Butter, die Insel (კარაქი, კუნძული)
das Auge, das Ende, das Futur, das Stadion
(თვალი, დასასრული, მომავალი, სტადიონი)

და ა.შ.

ვინაიდან არსებით სახელთა უმრავლესობა დადგენილ წესს არ ემორჩილება, უმჯობესია მათი დამახსოვრება მისხავე არტიკლთან ერთად!

3.2.3.4 არსებითი სახელი ხან ერთი, ხან მეორე არტიკლით (Nomen mit schwankendem Artikel)

ა. სხვადასხვა არტიკლით, ერთი და იმავე ფორმითა და მნიშვნელობით:

der Sims – ლავგარდანი der Traktat – ტრაქტატი
das Sims – ლავგარდანი das Traktat – ტრაქტატი

der Polster – ბალიში (ავეჯის) der Quell – წყარო
das Polster – ბალიში (ავეჯის) die Quelle – წყარო

der Filter – ფილტრი
das Filter – ფილტრი

და ა.შ.

ბ. სხვადასხვა არტიკლითა და მნიშვნელობით და ერთი და იმავე ფორმით.

der Band – ტომი (წიგნის) der Kunde – მყიდველი
das Band – შეკვრა die Kunde – ცნობა
die Band – მუსიკალური ჯგუფი

der Bauer – გლეხი der Leiter – წინამძღოლი
das Bauer – გალია die Leiter – კიბე

der Flur – შესასვლელი der Messer – საზომი
die Flur – ველი das Messer – დანა

der Gehalt – შინაარსი der See – ტბა
das Gehalt – გასამრჯელო die See – ზღვა

das Steuer – საჟე der Erbe – მემკვიდრე
die Steuer – გადასახადი das Erbe – მემკვიდრეობა

და ა.შ.

3.3 არსებითი სახელის რიცხვი (Numeri der Substantive)

არსებით სახელს გააჩნია ორი რიცხვი: მხოლოდითი (Singular ანუ Einzahl) და მრავლობითი (Plural ანუ Mehrzahl). არსებითი სახელის ძირითადი (საწყისი) ფორმა მხოლოდითია.

3.3.1 არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება (Pluralbildung der Nomen)

სამივე სქესის არსებით სახელს მრავლობით რიცხვში აქვს ერთი და იგივე არტიკლი die (განსაზღვრული). გერმანულ ენაში არსებით სახელს გააჩნია მრავლობითი რიცხვის წარმოების 5 ძირითადი ჯგუფი დაბოლოებით ან მის გარეშე. უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე. აგრეთვე, მრავლობითი რიცხვის წარმოების განსაკუთრებული შემთხვევები (Besondere Fälle der Pluralbildung).

1. - e უმლაუტით ან მის გარეშე (mit oder ohne Umlaut)
 2. - er უმლაუტით (mit Umlaut)
 3. - (e)n უმლაუტის გარეშე (ohne Umlaut)
 4. - დაბოლოება არ გააჩნია. უმლაუტით ან მის გარეშე (mit oder ohne Umlaut)
 5. - s (მიეკუთვნება უმეტესობა უცხო წარმოშობის სიტყვებისა (Fremdwörter))
- მრ. რიცხვის წარმოების განსაკუთრებული შემთხვევები (Besondere Fälle der Pluralbildung)

- ბ. მოძრაობის გამომხატველი (Bewegungsverben): **gehen** (წასვლა), **schwimmen** (ცურვა) და სხვა.
- გ. მოქმედების აღმნიშვნელი (Handlungsverben): **bauen** (შენება), **machen** (კეთება) და სხვა.

4.1.2.2 ცალკე ან წინადადების სხვა წევრთან მდგომი (allein oder mit Ergänzung stehend)

- ა. ე.წ. აბსოლუტური ზმნები (Absolute Verben): **schlafen** (ძილი), **wachsen** (ზრდა) და სხვა, ყოველთვის გარდაუვალი.
- ბ. არააბსოლუტური ზმნები (nichtabsolute Verben), რომლებიც მოითხოვენ დაბოლოებას (შევსებას):
 - ობიექტი, როგორც ზმნის დაბოლოება-შევსება (Objekt als Ergänzung)
 - გარდაუვალი (intransitiv):
 - დამატება **Genitiv** ბრუნვაში – **bedürfen** (მოთხოვნა, საჭიროება)
 - დამატება **Dativ** ბრუნვაში – **helfen** (დახმარება)
 - საკუთარწინდებულიანი (**Präposition als Ergänzung**) – **denken an ...**(ფიქრი რაღაცაზე)
 - გარემოება – როგორც ზმნის დამატება (**Umstandsbestimmung als Ergänzung**): **gelten (als)** - (ფასობს, ითვლება ...ად)
 - გარდამავალი (**transitiv**)
ობიექტი ყოველთვის **Akkusativ** – ბრუნვაშია: **lesen** – კითხვა
- გ. უკუქცევითი (Reflexive Verben): **sich rasieren** (პარსვა), **sich schminken** (მორთვა-მოკაზმვა)
 - ურთიერთსაპირისპირო (**Reziproke Verben**):
einander (sich) begrüßen (ურთიერთმისალმება), **einander (sich) lieben** (ურთიერთსიყვარული)

4.1.2.3 ფუნქციის გამომხატველი (Funktionaler Bezug)

- ა. მთავარი ზმნები (Vollverben): essen (ჭამა), trinken(სმა), lieben (სიყვარული), და სხვა
- ბ. დამხმარე ზმნები (Hilfsverben): haben (ქონა ყოლა), sein (ყოფნა), werden (გახდომა)
- გ. მოდალური ზმნები (Modalverben): wollen (სურვილი), mögen (სურვილი,სიყვარული), können (შესაძლებლობა), dürfen (ნებართვის ქონა), sollen (აუცილებლობა), müssen (აუცილებლობა)
- დ. მოდალური მნიშვნელობის ზმნები (Modifizierende Verben): brauchen (საჭიროება), scheinen (ჩენა, ჩანს), pflegen (მოვლა) და სხვა – Infinitiv zu-თი.

4.1.2.4 სუბიექტთან დამოკიდებულება (Bezug zum Subjekt)

- ა. პირიანი ზმნები (Persönliche Verben): malen (ხატვა), gehen (წასვლა), sagen (თქმა)
- ბ. უპირო ზმნები (Unpersönliche Verben): donnern (ქუხილი), regnen (წვიმა), tagen (გათენება) და სხვა

4.1.2.5 უღლების მიხედვით (Bezug zur Konjugation)

- ა. სუსტი უღლების ზმნები (Verben mit schwacher Konjugation): loben (ქება), machen (კეთება)
- ბ. ძლიერი უღლების ზმნები(Verben mit starker Konjugation):lesen(კითხვა), sehen(ხედვა)
- გ. შერეული უღლების ზმნები (Verben mit gemischter Konjugation): senden (გაგზავნა), mahlen (დაფქვა)
- დ. არაწესიერი ზმნები (Unregelmäßige Verben): tun (კეთება), მოდალური და დამხმარე ზმნები და სხვა

4.2 ზმნის კატეგორიები (Kategorien der Verben)

წინადადებაში ზმნა იცვლება რიცხვის, პირის, დროის, გვარისა და კილოს მიხედვით. ამრიგად, ზმნის კატეგორიებია:

- რიცხვი (Numeri ანუ Zahlformen)

ა. მხოლობითი (Singular ანუ Einzahl)

ბ. მრავლობითი (Plural ანუ Mehrzahl)

- პირი (Personen):

გერმანულ ენას გააჩნია პირის 6 ფორმა (Personalformen): სამი მხოლობით და სამი მრავლობით რიცხვში.

მხ. რიცხვის მესამე პირს გააჩნია სამი სქესი (Geschlecht):

er-მამრობითი
 sie-მდედრობითი
 es-საშუალო
 Sie – თქვენ (თავაზიანი ფორმა). } -ის

Person	Singular (Einzahl)	Plural (Mehrzahl)
პირველი პირი	ich - მე	wir - ჩვენ
მეორე პირი	du - შენ	ihr - თქვენ
მესამე პირი	er – ის (მამრ.სქ.) sie – ის (მდ.სქ.) es – ის (საშ.სქ.)	sie – ისინი Sie – თქვენ (თავაზ.ფორმა)

- დროის 6 ფორმა: (Tempusformen/Tempora ანუ Zeitstufen):

- ა. Präsens – აწმყო
 - ბ. Präteritum – ნამყო თხრობითი
 - გ. Perfekt – ნამყო სასაუბრო
 - დ. Plusquamperfekt – წინარე ნამყო
 - ე. Futur I – მყოფადი I
 - ვ. Futur II – მყოფადი II
- დროის მარტივი ფორმები დამხმარე ზმნის გარეშე
- დროის რთული ფორმები დამხმარე ზმნებით

- გვარი (Genera ანუ Verbgeschlechter)

- ა. მოქმედებითი (Aktiv ანუ Tatform)
- ბ. ვნებითი (Passiv ანუ Leideform)
ვნებით გვარს დროის იგივე ფორმები აქვს, რაც მოქმედებითს.

- კილო (Modi ანუ Aussageweisen)

- ა. თხრობითი (Indikativ ანუ Wirklichkeitsform)
- ბ. ბრძანებითი (Imperativ ანუ Befehlsform)
- გ. კავშირებითი (Konjunktiv ანუ Möglichkeitsform)

კავშირებით კილოს დროის იგივე ფორმები აქვს, რაც თხრობითს.

- კავშირებით კილოს გააჩნია აღწერითი ფორმა (Ersatzform- ersetzen- ჩანაცვლება):
Konditional I და Konditional II

- სახელითი ფორმები (Nominalformen ანუ infinite Formen)

- ა. Infinitiv I და Infinitiv II – (Grundform)
- ბ. Partizip I და Partizip II – (Mittelwort)

- ზმნის ძირითადი ფორმები: (Hauptformen des Verbs)

- ა. Infinitiv – საწყისი ანუ განუსაზღვრელი ფორმა
- ბ. Präteritum – წარსული (ეს ტერმინი აღნიშნავს ზმნის ძირითად ფორმას და დროის ფორმასაც)
- გ. Partizip II – მიმლეობა II

4.3 ზმნის ძირითადი ფორმები (Hauptformen der Verben)

ქართული ენისაგან განსხვავებით, ყოველ გერმანულ ზმნას გააჩნია 3 ძირითადი ფორმა:

- **Infinitiv** – საწყისი ანუ განუსაზღვრელი ფორმა
- **Präteritum** – წარსული (ეს ტერმინი აღნიშნავს ზმნის ძირითად ფორმასაც და დროის ფორმასაც)
- **Partizip II** – მიმღობა II

ზმნის ძირითადი ფორმების საშუალებით ხდება ზმნის დროების წარმოება - უღლება (Konjugation)- უღლებისათვის სამივე ფორმა, გარკვეული თვალსაზრისით, საწყისია. ძირითადი ფორმების აგებულების მიხედვით არსებობს სუსტი, ძლიერი, შერეული და არაწესიერი უღლების ზმნები.

სუსტი – malen – malte – gemalt – ხატვა (die Verben der schwachen Konjugation)

ძლიერი – sehen – sah – gesehen – დანახვა (die Verben der starken Konjugation)

შერეული – brennen – brannte – gebrannt – წვა (die Verben der Gemischten Konjugation)

არაწესიერი – tun – tat – getan – კეთება (die Verben der unregelmäßigen Konjugation)

4.3.1 Infinitiv I – იწარმოება ზმნის ფუძეზე (e) n დაბოლოების (Endung) დართვით:

gleichen – მსგავსება

trinken – დალევა

malen – ხატვა

rudern – ნიჩბოსნობა

schaukeln – ქანაობა

lächeln – ღიმილი

ზმნა, რომელიც ბოლოვდება -er და -el-ზე, იღებს მხოლოდ -n -ს (wandern - ხეტიალი).

4.3.2 Präteritum

- ა. სუსტი ზმნებისა იწარმოება ზმნის ფუძეზე-te დაბოლოების (Endung) დართვით:

bauen – baute – შენება

sagen – sagte – თქმა

fragen – fragte – შეკითხვა და ა.შ.

ზმნა, რომელიც ბოლოვდება d, t, dm, gn, bn, fn, tm, თანხმოვნებით (Konsonanten), Präteritum – ში დაირთავენ -e ხმოვანს ფუძესა და -te სუფიქსს შორის:

atmen – atmete – სუნთქვა

widmen – widmete – მიძღვნა

- e-ს არ დაირთავს -r+n ან -r+m

warnen – warnte – გაფრთხილება

lärmen – lärmte – ხმაური

- ბ. ძლიერი ზმნის Präteritum-ი იწარმოება ფუძისეული ხმოვნის შეცვლით (Ablaut), დაბოლოების გარეშე (ohne Endung):

graben – grub – თხრა

kommen – kam – მოსვლა

sehen – sah – ხედვა

preisen – pries – ქება

gehen – ging – წასვლა

და ა.შ.

- გ. შერეული უღლების ზმნის Präteritum-ი იწარმოება ფუძისეული ხმოვნის (ან თანხმოვნის) შეცვლით. გააჩნია როგორც სუსტი, ასევე ძლიერი უღლების ზმნის ნიშნები:

kennen – kannte – ცნობა

senden – sandte – გაგზავნა

brennen – brannte – წვა
denken – dachte – ფიქრი

wenden – wandte – მიმართვა

დ. არაწესიერი უღლები ზმნა იცვლის ხმოვანს, თანხმოვანს, ზოგჯერ ზმნის ბოლო მარცვალსაც.

h→nd stehen – stand – დგომა
h→ng gehen – ging – წასვლა
n→t tun – tat – კეთება

ე. მოუცილებადთავსართიან ზმნებს არ სცილდება თავსართი:

verteilen – verteilte – განაწილება
erklären – erklärte – ახსნა
beginnen – begann – დაწყება

ვ. მოცილებადთავსართიან ზმნებს სცილდება თავსართი და დგება ზმნის შემდეგ:

aufstehen – stand auf – ადგომა
anziehen – zog an – ჩაცმა
zumachen – machte zu – დახურვა

4.3.3 Partizip II (ანუ Partizip Perfekt)

ა. სუსტი ზმნებისათვის იწარმოება მეტწილად ზმნის ფუძეზე პრეფიქს (Vorsilbe) ge-სა და დაბოლოება (Endung) t-ს დართვით.

fragen – fragte – gefragt – შეკითხვა
bauen – baute – gebaut – შენება
sagen – sagte – gesagt – თქმა

ბ. ძლიერი ზმნის Partizip II იწარმოება მეტწილად ფუძეზე ge-პრეფიქსის (Vorsilbe) და დაბოლოება (Endung) –en-ის დართვით, აგრეთვე, უმეტეს შემთხვევაში, ფუძისეული ხმოვნის შეცვლით (Ablaut).

graben – grub – gegraben – თხრა	singen – sang – gesungen – სიმღერა
fliegen – flog – geflogen – ფრენა	kommen – kam – gekommen – მოსვლა
scheinen – schien – geschienen – ნათება	finden – fand – gefunden – პოვნა
preisen – pries – gepriesen – ქება	

გ. შერეული უღლების ზმნები e ფუძით იღებენ a-ს, გააჩნია როგორც სუსტი, ასევე ძლიერი უღლების ნიშნები:

kennen – kannte – gekannt – ცნობა	brennen – brannte – gebrannt – ანთება, წვა
denken – dachte – gedacht – ფიქრი	senden – sandte – gesandt – გაგზავნა
wenden – wandte – gewandt – მიმართვა	rennen – rannte – gerannt – ჯირითი

დ. არაწესიერი უღლების ზმნა იცვლის ხმოვანს, თანხმოვანს, ზოგჯერ მთელ ფუძეს:

stehen – stand – gestanden – დგომა	gehen – ging – gegangen – წასვლა
tun – tat – getan – კეთება	haben – hatte – gehabt – ქონა, ყოლა
sein – war – gewesen – ყოფნა	

ე. ge-პრეფიქსს არ დაირთავს:

- თავსართმოუცილებადი ზმნა (untrennbar) უმახვილო (unbetont) თავსართით
erfahren – erfuhr – erfahren – გაგება (ამბის)
versprechen – versprach – versprochen – დაპირება
vollenden – vollendete – vollendet – დაბოლოება

- ზმნა რომელსაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის (betont).
prophezeihen – prophezeite – prophezeit – წინასწარმეტყველება
kredenzen – kredenzte – kredenzt – მირთმევა (ლანგრიტ)
posaunen – posaunte – posaunt – ჩაბერვა (დაკვრა)
- -ieren- ზე დაბოლოებული
studieren – studierte – studiert – სწავლა
reagieren – reagierte – reagiert – რეაგირება
faszinieren – faszinierte – fasziniert – ტკობა

3. მოცილებადათავსართიან ზმნას (trennbar) -ge- მოუდის თავსართსა და ზმნას შორის.

- რთულ ზმნებში -ge- დეგბა ზმნასა და მის მეორე ნაწილს შორის:
anziehen – zog an – angezogen – ჩაცმა
kennenlernen – lernte kennen – kennengelernt – გაცნობა
vorbeigehen – ging vorbei – vorbeigegangen – ჩავლა

(იხ. IV დანართი - ზმნის ძირითადი ფორმების სია)

4.4 მთავარი და დამხმარე ზმნები (Voll- und Hilfsverben)

გერმანულ ენაში მნიშვნელობის, წინადადებაში მისი ფუნქციის შესრულების მიხედვით არსებობს მთავარი (Vollverb) და დამხმარე (Hilfsverb) ზმნები.

4.4.1 მთავარი ზმნები (Vollverben)

მთავარი ზმნა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას ან მდგომარეობას. მას გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მთავარ ზმნას აქვს ყველა კატეგორია (პირი, რიცხვი, დრო, გვარი, კილო). ასეთია ზმნათა უმრავლესობა. (იხ. ზმნის კატეგორიები 4.2)

Ich singe.

Der Palast steht .

Wir kaufen eine Flasche Wein.

Die Kinder treffen Peter.

მე ვმღერი.

სასახლე დგას.

ჩვენ ვყიდულობთ ბოთლით ღვინოს.

ბავშვები ხვდებიან პეტერს.

4.4.2 დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

ზმნის ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს დრო. არსებობს ზმნის დროის მარტივი (Präsens, Präteritum) და რთული (Perfekt, Plusquamperfekt, Futur I, Futur II) ფორმა.

დამხმარე ზმნები (haben, sein, werden) წინადადებაში გვხვდება როგორც დამოუკიდებელი, ასევე დამხმარე ზმნის მნიშვნელობით საულლებელი ზმნის დროის რთულ ფორმათა (zusammengesetzte / umschriebene Zeitformen) საწარმოებლად.

4.4.2.1 დამოუკიდებელი ზმნის მნიშვნელობით (als Vollverb):

ა. haben+Akkusativ (მნიშვნელობა: ყოლა, ქონა, ფლობა (besitzen), მიღება (bekommen, erhalten)

Er hat einen Hund.

Sie hat Fieber.

Er hat Hunger.

მას ჰყავს ძაღლი.

მას აქვს სიცხე.

მას შია.

ბ. **sein** (მნიშვნელობა: ყოფნა, არსებობა (existieren), მდებარეობა (sich befinden), შედგენა (შედგება) (statfinden)

In der Nähe ist ein Dorf. მახლობლად არის სოფელი.
Ich bin in Stuttgart. მე ვარ შტუტგარდში.
Das Konzert ist morgen. კონცერტი ხვალ შედგება.

გ. **werden** (მნიშვნელობა: გახდომა, წარმოქმნა (entstehen)

Thomas wird neun. თომასი ხდება ცხრა წლის.
Das Bild wird interessant. ნახატი საინტერესო გამოვა.

ზმნები **sein** და **werden** წინადადებაში ზოგჯერ გვხვდება არსებით და ზედსართავ სახელთან ერთად და ქმნის შედგენილ შემასმენელს (Prädikativum). ამ შემთხვევაში იგი მაერთის (Kopula) ფუნქციას ასრულებს:

Lukas ist Linkshänder. ლუკასი ცაციაა.
Das Mädchen ist hübsch. გოგონა მშვენიერია.
Der junge Sänger wird berühmt. ახალგაზრდა მომღერალი ცნობილი გახდება.

4.4.2.2 დამხმარე ზმნის მნიშვნელობით (als Hilfsverb):

• დამხმარე ზმნის მნიშვნელობით **haben, sein, werden** გამოიყენება ზმნის დროის რთული ფორმების **Perfekt, Plusquamperfekt, Futur**-ის საწარმოებლად, ეს წარმოადგენს წინადადებაში მის უმთავრეს ფუნქციას:

Ich habe gemalt. მე დავხატე.
Du warst gekommen. შენ მოხვედი.
Er wird bauen. ის ააშენებს.

• თუ **haben, sein, werden** წინადადებაში ასრულებს დამხმარე ზმნის როლს, იგი კარგავს მის თავდაპირველ მნიშვნელობას და ცალკე არ ითარგმნება:

Du bist gegangen. შენ წახვედი (და არა შენ ხარ წასული)
Er hatte einen Korb gebracht. მან მოიტანა კალათი.
Er wird sich besser fühlen. ის თავს უკეთ იგრძნობს.

• **haben**-ის დახმარებით იუღლება წარსულის რთულ დროებში (**Perfekt, Plusquamperfekt**) გარდამავალი, უკუქცევითი, პირნაკლი და მოდალური ზმნები. აგრეთვე ის გარდაუვალი ზმნები, რომლებიც მოძრაობას და მოქმედების გადაადგილებას არ გამოხატავს.

Du hast Zeit verloren. შენ დაკარგე დრო .
Sie hatten Kerzen gelöscht. მათ სანთლები ჩააქრეს.

• **sein**-ის დახმარებით იუღლება წარსულის რთულ დროებში (**Perfekt, Plusquamperfekt**) ის გარდაუვალი ზმნა, რომელიც მოძრაობას, მოქმედების გადანაცვლებას გამოხატავს.

Sie sind gefahren. ისინი გაემგზავრნენ.
Wir waren nach Dresden gezogen. ჩვენ დრეზდენში გადავსახლდით.

• **werden**-ის დახმარებით იუღლება ნებისმიერი ზმნა მომავალ დროში (**Futur**).

Georg wird sich auf den Weg machen. გიორგი გზას დაადგება.
Sie wird anrufen. ის დარეკავს.

4.4.2.3 მოდალური მნიშვნელობით (modifizierender Gebrauch)

- **haben** და **sein** წინადადებაში გვხვდება აგრეთვე დამხმარე ზმნის საწყის ფორმასთან (**Infinitiv**) ერთად, რომელსაც დაერთვის ნაწილაკი „zu“.
- **haben+Infinitiv „zu“**-თი გამოხატავს აუცილებლობას (**müssen**) ან შესაძლებლობას (**können**).
 Er hat das Haus zu bauen. მან უნდა ააშენოს სახლი.
 Ich habe viel zu tun. მე ბევრი სამუშაო მაქვს.
 Das hat nichts zu sagen. ეს არაფერს ამბობს (ეს არაფერს ნიშნავს).
 ამ შემთხვევაში ქვემდებარე (Subjekt) თვითონ მოქმედებს.
- **sein+Infinitiv „zu“**-თი გამოხატავს ასევე აუცილებლობას (**müssen**) ან შესაძლებლობას (**können**), განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინადადების ქვემდებარე თვითონ განიცდის ზემოქმედებას:
 Das Haus ist zu bauen. სახლი ასაშენებელია.
 Der Tisch ist zu verschenken. მაგიდა გასაჩუქებელია.
- **werden+Infinitiv „zu“**-ს გარეშე – ვარაუდი (**Vermutung**)
 Das wird in Ordnung sein. ჩემი აზრით, ეს წესრიგშია.
 Das wird sicher gehen. ეს ნამდვილად რიგზეა (გამოდგება)

4.5 ზმნის უღლება (Konjugation/Beugung der Verben)

გერმანულ ენაში ზმნას გააჩნია უღლების (Beugung) ოთხი ტიპი: სუსტი, ძლიერი, შერეული და არაწესიერი. ზმნის უღლების სახეობის ამოცნობა შეიძლება მისი ძირითადი ფორმების (Hauptformen) მიხედვით: **Infinitiv** (ზმნის განუსაზღვრელი ფორმა), **Präteritum** (თხრობითი ნამყო), **Partizip II** ანუ **Partizip Perfekt** (მიმღება II).

Infinitiv ოთხივე ტიპისთვის ერთნაირია. მისი დაბოლოებაა (e)n: singen (მღერა), sehen (ხედავ), brennen (წვა), gehen (წასვლა).

4.5.1 სუსტი უღლება (schwache Konjugation)

თუ **Präteritum**-ში ზმნა დაირთავს **-te**-ს, ხოლო **Partizip II**-ში პრეფიქს **ge-**სა და სუფიქს **-t**-ს, იგი სუსტი უღლების ზმნაა. ასეთი ზმნა ფუძისეულ ხმოვანს არ იცვლის. უმეტესობა გერმანული ზმნებისა იუღლება სუსტი უღლების წესით. აგრეთვე ყველა ნაწარმოები (abgeleitet) ზმნა და ზმნები გავრცობილი დაბოლოებით (mit erweiterten Endungen) **-eln, -ern, -ieren, -ifizieren, -igen, -isieren, -schen, -sen, -zen** და ახალი (neu) ზმნები.

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
ზმნის ფუძე (Stamm)+-en	ზმნის ფუძე (Stamm)+-te	ზმნის ფუძე ge+(Stamm)+-t	
lernen sagen fragen	lernte sagte fragte	gelernt gesagt gefragt	სწავლა თქმა შეკითხვა

და ა.შ.

ფუძეზე დართული (eingeschoben) e-თი

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
warten rechnen bürsten	wart(e)te rechn(e)te bürst(e)te	gewart(e)t gerechn(e)t gebürst(e)t	მოცდა ანგარიში ჯაგრისით წმენდა

და ა.შ.

ნაწარმოები ზმნები
(abgeleitete Verben)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
drängen rudern irren	drängte ruderte irrte	gedrängt gerudert geirrt	შეკრა ნიჩბოსნობა შეცდომა (შეცდა)

და ა.შ.

გავრცობილი დაბოლოებით
(mit erweiterten Endungen)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
zweifeln hindern modifizieren bescheinigen rutschen piepsen ächzen	zweifelte hinderte modifizierte bescheinigte rutschte piepste ächzte	gezweifelt gehindert modifiziert bescheinigt gerutscht gepiepst geächzt	ეჭვი ხელის შეშლა სახის შეცვლა დადასტურება ცოცვა ქღურტული ოხვრა

და ა.შ.

ახალი ზმნები
(neue Verben)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
flirten simsen fotografieren bomben filmen	flirtete simste fotografierte bombte filmte	gefirtet gesimst fotografiert gebombt gefilmt	ფლირტით თამაში მობ. ტელეფონით წერილის გაგზავნა ფოტოს გადაღება დაბომბვა ფილმის გადაღება

და ა.შ.

4.5.2 ძლიერი უღლება (starke Konjugation)

თუ Präteritum-ში (ზოგჯერ Partizip II-შიც) იცვლება ფუძისეული ხმოვანი (Stammvokaländerung) და დაბოლოება არ გააჩნია (Keine Endung), ხოლო Partizip II დაირთავს პრეფიქს ge-ს და სუფიქს -en-ს, იგი ძლიერი უღლების ზმნაა.

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
ზმნის ფუძე (Stamm)+-en	ფუძისეული ზმოვნის შეცვლა (Stammvokaländerung) დაბოლოების გარეშე (keine Endung)	ზმნის ფუძე ge +(Stamm)+-en	
nehmen finden geben laufen werden	nahm fand gab lief wurde	genommen gefunden gegeben gelaufen geworden	აღება პოვნა მიცემა სირბილი გახდომა

და ა.შ.

4.5.3 შერეული უღლება (gemischte Konjugation)

ზმნა იცვლის ფუძისეულ ხმოვანს (Stammvokaländerung), ზოგჯერ თანხმოვანს ან სიტყვის ბოლო მარცვალს (Stammauslautänderung) ატარებს როგორც სუსტი, ასევე ძლიერი უღლების ნიშნებს.

ა. ფუძისეული ხმოვნის შეცვლა სუსტი უღლებისას
(Stammvokaländerung bei schwacher Konjugation)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
nennen brennen wenden senden	nannte brannte wandte sandte	genannt gebrannt gewandt gesandt	დარქმევა, დასახელება წვა მობრუნება, მიმართვა გაგზავნა

და ა.შ.

ბ. ფუძისეული ხმოვნისა და სიტყვის ბოლო მარცვლის შეცვლა სუსტი უღლებიას (Stammvokal-und Stammauslautänderung bei schwacher Konjugation)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
bringen	brachte	gebracht	მოტანა
denken	dachte	gedacht	ფიქრი

და ა.შ.

გ. სუსტი ნამყო, ძლიერი მიმღეობა (წარსულის) (schwaches Präteritum, starkes Partizip Perfekt)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
spalten	spaltete	gespalten	გახეთქვა, გარღვევა
mahlen	mahlte	gemahlen	დაფქვა
salzen	salzte	gesalzen	დამარილება

და ა.შ.

4.5.4 არაწესიერი ზმნის უღლება (unregelmäßige Konjugation)

ზმნა იცვლის ფუძისეულ ხმოვანს (Stammvokaländerung), აგრეთვე ზმნის ბოლო მარცვალს (Stammauslautänderung) ძლიერი უღლებიას.

- ფუძისეული ხმოვნის და ზმნის ბოლო მარცვლის შეცვლა ძლიერი უღლებიას (Stammvokal-und Stammauslautänderung bei starker Konjugation)

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
gehen	ging	gegangen	წასვლა
stehen	stand	gestanden	დგომა
tun	tat	getan	კეთება
sein (Hilfsverb)	war	gewesen	ყოფნა

დამხმარე ზმნა **haben** ნაწილობრივ არაწესიერია, თუმცა მიეკუთვნება სუსტი უღლების ზმნებს (haben, hatte, gehabt).

გარდა ამისა, არაწესიერი უღლების ზმნებს მიეკუთვნება მოდალური ზმნები (die Modalverben) და ზმნა "wissen".

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
dürfen	durfte	gedurft	ნებართვა
können	konnte	gekonnt	შესაძლებლობა
mögen	mochte	gemocht	სურვილი, სიყვარული
müssen	musste	gemusst	აუცილებლობა
sollen	sollte	gesollt	აუცილებლობა
wollen	wollte	gewollt	სურვილი
wissen	wusste	gewusst	ცოდნა

4.5.5 უღლების ორმაგი ფორმები (Doppelformen)

ზოგიერთ ზმნას გააჩნია როგორც სუსტი, ასევე შერეული (sowohl schwach, als auch gemischt) ან ძლიერი (stark) უღლების წესი. ასეთი ზმნების გარჩევა შეიძლება მხოლოდ

ზმნის ძირითადი ფორმების მიხედვით, ხოლო მათი მნიშვნელობები იდენტური არ არის:

Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართულ ენაზე
stecken(შერეული) stecken(სუსტი)	stack steckte	gesteckt gesteckt	ჩადება ჩარჭობა
wiegen(ძლიერი) wiegen(სუსტი)	wog wiegte	gewogen gewiegt	აწონვა რწევა
schmelzen(ძლიერი) schmelzen(სუსტი)	schmolz schmelzte	geschmolzen geschmelzt	დნობა მობრაკვა
schaffen(ძლიერი) schaffen(სუსტი)	schuf schaffte	geschaffen geschafft	შექმნა მუშაობა, ათვისება

და ა.შ.

4.6 ზმნის დროის ფორმები (Tempusformen ანუ Tempora/Zeitstufen der Verben)

გერმანულ ენაში ზმნას გააჩნია 6 ფორმა

ახლანდელი

1. Präsens-აწმყო (Gegenwart)

წარსული

2. Präteritum – (Impervfekt) ნამყო (თხრობითი) (1. Vergangenheit)

3. Perfekt – ნამყო (სასაუბრო) (2. Vergangenheit)

4. Plusquamperfekt – წინარე ნამყო (3. Vergangenheit)

მომავალი

5. Futur I – მყოფადი I (1. Zukunft)

6. Futur II – მყოფადი II (2. Zukunft)

ამ თავში განმარტებული იქნება ზმნის თხრობითი კილო და მოქმედებითი გვარი

4.6.1 აწმყო (Präsens / Gegenwart)

4.6.1.1 დამხმარე ზმნები (Hilfsverben/Grundverben) haben, sein, werden

Numerus	Person	haben	sein	werden
Singular	ich	habe	bin	werde
	du	hast	bist	wirst
	er, sie, es	hat	ist	wird
Plural	wir	haben	sind	werden
	ihr	habt	seid	werdet
	sie, Sie	haben	sind	werden

haben ნაწილობრივ არაწესიერი უღლების ზმნაა, მიუხედავად ამისა, იგი სუსტი უღლების წესით იულდება. **sein** არაწესიერი უღლების ზმნაა, ხოლო **werden**-ძლიერი უღლებისა.

Frau Müller **hat** drei Kinder.

ქალბატონ მიულერს სამი შვილი ჰყავს.

Matthias **ist** draußen.

მატიასი გარეთაა.

Simon **wird** Architekt.

სიმონი არქიტექტორი გახდება.

4.6.1.2 მთავარი ზმნები (Vollverben)

- **Präsens**, ახლანდელი დრო იწარმოება ზმნის ფუძეზე (Stamm des Verbs) შემდეგი პირის ნიშნების (Personalendungen) დართვით:

Person	Singular	Person	Plural
1.	ich -e	1.	wir -en
2.	du -(e)st	2.	ihr -(e)t
3.	er, sie, es-(e)t	3.	sie, Sie -en

Stamm des Vollverbs + Präsens - Personalendungen = Präsens

kommen – წასვლა

ich komme – wir kommen

du kommst – ihr kommt

er, sie, es kommt – sie, Sie kommen

Du kommst morgen.

Er atmet schwer.

atmen – სუნთქვა

ich atme – wir atmen

du atmest – ihr atmet

er, sie, es, atmet – sie, Sie, atmen

შენ ხვალ მოხვალ.

ის მძიმედ სუნთქავს.

- **Präsens-ის გამონაკლისები (Ausnahmen)**

ზმნა, რომელსაც ფუძეში აქვს თანხმოვნები (Konsonanten) **d, t**, ასოთშენაერთები **bn, dn, chn, tm, dm**, მხოლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში და მრავლობითი რიცხვის მეორე პირში დაირთავს **e-ს**.

warten – მოლოდინი (მოცდა)

ich warte – wir warten

du wartest – ich ihr wartet

er, sie, es wartet – sie, Sie warten

Du wartest lange.

ordnen – მოწესრიგება

ich ordne – wir ordnen

du ordnest – ihr ordnet

er, sie, es, ordnet – sie, Sie ordnen

შენ დიდხანს იცდი.

ასევე იუღლება შემდეგი ზმნები:

schneiden – კრა

leiden – ტკივილი

finden – ძებნა

reden – ლაპარაკი

arbeiten – მუშაობა

richten – მიმართვა

beten – ლოცვა

fürchten – შიში

öffnen – გაღება

ebnen – მოსწორება

rechnen – ანგარიში

widmen – მიძღვნა

Beka öffnet die Tür.

ბეკა აღებს კარებს.

- ზმნა, რომელსაც ფუძეში აქვს ხმოვნები (Laute) **a, o** ან დიფთონგი (Diphthong) **au** მხოლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში იღებს უმლაუტს (Umlaut). უმლაუტს იღებს ზმნა მხოლოდ ძლიერი უღლებიას (nur bei starker Konjugation).

	a → ä	o → ö	au → äü
--	-------	-------	---------

tragen – ტარება

ich trage

du trägst

er, sie, es trägt

Der Vater trägt den Rucksack.

stoßen – ხელის კვრა

ich stoße

du stößt

er, sie, es stößt

laufen – სირბილი

ich laufe

du läufst

er, sie, es läuft

მამა ატარებს ზურგჩანთას.

ასევე იუღლება შემდეგი ზმნები:

fahren – გამგზავრება

halten – გაჩერება

raten – ამოცნობა, რჩევის მიცემა

schlafen – ძილი

blasen – ჩაბერვა (ჩას. ინსტრუმენტზე)

waschen – რეცხვა

და ა.შ.

- ზმნა, რომელსაც ფუძეში აქვს ხმოვანი (Stammvokal)e, მხოლოდითი რიცხვის მეორე და მესამე პირში იღებს გრძელ ან მოკლე i-ie –ს, (E-Wechsel) ან ხმოვანსა და თანხმოვანსაც იცვლის (Stammvokal+Konsonantänderung) ზმნა მხოლოდ ძლიერი უღლებისას (nur bei starker Konjugation).

	e → i	e → ie
--	-------	--------

geben – მიცემა

nehmen – აღება

empfehlen – შეთავაზება

ich gebe

ich nehme

ich empfehle

du gibst

du nimmst

du empfiehlst

er, sie, es gibt

er, sie, es nimmt

er, sie, es empfiehlt

მსგავსად იუღლება შემდეგი ზმნები:

sehen – ხედვა (ie)

befehlen – ბრძანება (ie)

essen – ჭამა (i)

sprechen – ლაპარაკი (i)

lesen – კითხვა (ie)

treffen – შეხვედრა (i)

brechen – გატეხვა (i)

helfen – დახმარება (i)

და ა.შ.

Du sprichst deutlich.

შენ გასაგებად ლაპარაკობ.

- ზმნა, რომელსაც ფუძეში აქვს თანხმოვნები (Konsonanten) –z, -tz, -s, -ss, -ß, -x, მხოლოდითი რიცხვის მეორე პირში კარგავს –s-ს, ანუ მეორე და მესამე პირი აქვს ერთნაირი (du liest, er liest).

tanzen –du tanzt – ცეკვა

sitzen –du sitzt – ჯდომა

lassen –du lässt – დატოვება

hexen –du hext – მოჯადოება

და ა.შ.

ზოგიერთი ასეთი ზმნა, გამონაკლისის სახით, დაირთავს უმახვილო –e-ს.

hassen – du hassest – სიძულვილი

და ა.შ.

- როგორც თავში აღვნიშნეთ, გერმანულ ზმნას ხშირ შემთხვევაში აწარმოებს მოუცილებადი თავსართი (Vorsilbe) ან მოცილებადი თავსართი-ზმნისწინი (ე.წ. **Bestimmungswort**). პირველი არის საკუთრივ თავსართი - ზმნის ორგანული ნაწილი, რომელიც მას არასდროს არ სცილდება (**un-trennbar/fest zusammengesetzt-be-,ge-,er-,ver-,zer-,ent-,emp-,miß-**) და მეორე-მეტყველების ნაწილი (წინდებული, ზედსართავი სახელი, ზმნა და სხვა.) über-,an-,voll-, stehen-), რომელიც სცილდება ზმნას ფორმების ცვლილებასთან ერთად (**trennbar/nicht fest zusammengesetzt**). თავსართი-ზმნისწინი, გამონაკლისის სახით, შეიძლება იყოს მოუცილებადი, თუ ის უმახვილოა (über-setzen – თარგმნა). მახვილიანი თავსართი ყოველთვის მოცილებადია.

შენიშვნა: «თავსართი-ზმნისწინი» ამ ტერმინით განვმარტავთ თავსართს, რომელიც წარმოადგენს მეტყველების ნაწილს, რადგან ქართულ ენაში მას შესატყვისი არ გააჩნია.

4.6.1.3 თავსართმოუცილებადი რთული ზმნები (Fest zusammengesetzte/untennbare Verben)

თავსართმოუცილებადი (fest mit einer Vorsilbe) ზმნა ან ზმნა უმახვილო ზმნისწინით (mit einem unbetonten Bestimmungswort) იუღლება როგორც ძირეული ზმნა.

kommen – bekommen

(მოსვლა) (მიღება)

ich bekomme - wir bekommen

du bekommst – ihr bekommt

er, sie, es bekommt – sie, Sie bekommen

finden –empfinden

(პოვნა) (შეგრძნება)

ich empfinde – wir empfinden

du empfindest – ihr empfindet

er, sie, es empfindet – sie, Sie empfinden

nehmen –übernehmen

(აღება) (თავზე აღება რაღაცის)

ich übernehme – wir übernehmen

du übernimmst – ihr übernehmt

er, sie, es übernimmt – sie, Sie übernehmen

და ა.შ.

Ihr bekommt den Rotwein.

Sie übernehmen die Reisekosten.

თქვენ მიიღებთ წითელ ღვინოს.

ისინი თავის თავზე იღებენ მგზავრობის ხარჯებს.

4.6.1.4 თავსართმოცილებადი რთული ზმნები (Nicht fest zusammengesetzte/trennbare Verben)

თავსართმოცილებად მახვილიან ზმნას (nicht fest mit einem betonten Bestimmungswort) სცილდება ეს თავსართი და გადადის მთავარი წინადადების ბოლოში.

Numerus	Person	anlegen-ჩაცმა გაშენება	aufstehen-ადგომა	stehenbleiben- გაჩერება
Singular	ich du er, sie, es	lege...an legst...an legt...an	stehe...auf stehst...auf steht...auf	bleibe...stehen bleibst...stehen bleibt...stehen
Plural	wir ihr sie, Sie	legen...an legt...an legen...an	stehen...auf steht...auf stehen...auf	bleiben...stehen bleibt...stehen bleiben...stehen

Der Winzer legt Weinberge an.

Wir stehen früh auf.

Der Komponist bleibt am Hotel stehen.

მევენახე ვენახს აშენებს.

ჩვენ ადრე ვდგებით.

კომპოზიტორი სასტუმროსთან ჩერდება.

შენიშვნა: 4.6.1.3 და 4.6.1.4 ქვეთავებში ნახსენები იყო „რთული ზმნები“ (zusammengesetzte Verben) – იგულისხმება ზმნები: მოუცილებადი თავსართებით (be, ge, er...), მოცილებადი თავსართებით (an,auf, zu...), აგრეთვე მეტყველების ნაწილებით (ზმნა, ზედსართავი სახელი... მაგ., stehenbleiben. აქ stehen მახვილიანია და როგორც მოცილებადი თავსართი, ზმნას სცილდება და უცვლელად გადადის წინადადების ბოლოში).

4.6.1.5 Präsens-ი წინადადებაში (Präsens im Satz)

Präsens-ი წინადადებაში ასრულებს სხვადასხვა როლს:

- გამოხატავს ახლანდელ დროს, მოქმედება ხდება აწმყოში.

Eva blässt die Kerze aus.

ევა სანთელს აქრობს.

- როცა ზმნა გამოხატავს ყველა დროის მოქმედებას:

Die Erde bewegt sich um die Sonne.

დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო.

- გამოხატავს მომავალ დროს და არ იხმარება Futur I (მომავალი დრო).

Morgen fahren wir in die Wüste David-Garedshi.

ხვალ დავით გარეჯის უდაბნოში მივმგზავრებით.

- თხრობის გამოსაცოცხლებლად:
Ich ging durch die Straße, plötzlich
sehe ich meinen alten Freund. ორი კვირის წინ მივდიოდი ქუჩაზე,
უცებ ვხედავ ჩემს ძველ მეგობარს.
- წარსულში მომხდარი მოქმედება, რომლის შესახებაც საუბარია გაზეთის სტატიაში, რეფერატში და ა.შ.
In seinem Roman „Krieg und Frieden“
beschreibt Tolstoi den Krieg von 1812. ტოლსტოი თავის რომანში
„ომი და მშვიდობა“ აღწერს 1812 წლის ომს.
- მოქმედება, რომელიც მეორდება:
Jedes Jahr feiern wir bei uns Weihnachten. შობას ყოველ წელიწადს ჩვენთან ვზეიმობთ.

4.6.2 თხრობითი ანუ პირველი წარსული (Präteritum/Imperfekt/1. Vergangenheit)

Präteritum-ი ანუ პირველი წარსული იწარმოება ზმნის მეორე ძირითადი ფორმით „Präteritum“ (lebte, sang) და Präsens-ის პირის ნიშნებით. ამასთან, მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მესამე პირში დაბოლოება არ აქვს (endungslos).

Präteritum =	Vollverb-Präteritum + Präsens-Personalendungen
	1. Person Singular=3. Person Singular (endungslos)

4.6.2.1 დახმარე ზმნები (Hilfsverben)

Numerus	Person	haben	sein	werden
Singular	ich	hatte	war	wurde
	du	hattest	warst	wurdest
	er, sie, es	hatte	war	wurde
Plural	wir	hatten	waren	wurden
	ihr	hattet	wart	wurdet
	sie, Sie	hatten	waren	wurden

- Inge hatte kein Geld. ინგეს არ ჰქონდა ფული.
- Ihr wart in Batumi. თქვენ იყავით ბათუმში.
- Sie wurden bewundert. ისინი აღფრთოვანდნენ.

4.6.2.2 მთავარი ზმნები (Vollverben)

- სუსტი ულლება (Schwache Konjugation)
- სუსტი ულლების ზმნის ამოსაცნობი ნიშანია „te“ ანუ მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვიც დაირთავს უმახვილო -e-ს t-ს შემდეგ. ფუძისეული ხმოვანი არ იცვლება.

Numerus	Person	Verbendung Präteritum
Singular	ich	-te
	du	-test
	er, sie, es	-te
Plural	wir	-ten
	ihr	-tet
	sie, Sie	-ten

Numerus	Person	lieben-სიყვარული	lernen-სწავლა	suchen-ძებნა	machen-კეთება
Singular	ich	liebte	lernte	suchte	machte
	du	liebtest	lernstest	suchtest	machtest
	er, sie, es	liebte	lernte	suchte	machte
Plural	wir	liebten	lernten	suchten	machten
	ihr	liebtet	lerntet	suchtet	machtet
	sie, Sie	liebten	lernten	suchten	machten

და ა.შ.

Die Kinder suchten Ostereier.

ბავშვები სააღდგომო კვერცხებს ეძებდნენ.

Wir dressierten ein Bärchen.

ჩვენ გავწვრთენით დათვის ბელი.

ზმნა, რომელსაც ფუძეში აქვს თანხმოვნები (Konsonanten) d, t, ან ასოთშენაერთი m,n-ით (mit der Konsonant+m/+n-Kombination), გარდა r+m/+n-ისა, ფუძესა და დაბოლოებას შორის იღებს ხმოვან -e-ს.

Numerus	Person	atmen-სუნთქვა	öffnen-გაღება	arbeiten-მუშაობა	reden-ლაპარაკი
Singular	ich	atmete	öffnete	arbeitete	redete
	du	atmetest	öffnetest	arbeitetest	redetest
	er, sie, es	atmete	öffnete	arbeitete	redete
Plural	wir	atmeten	öffneten	arbeiteten	redeten
	ihr	atmetet	öffnetet	arbeitetet	redetet
	sie, Sie	atmeten	öffneten	arbeiteten	redeten

და ა.შ.

Der Chef öffnete die Tür.

უფროსმა კარი გააღო.

- ძლიერი უღლება (starke Konjugation)
- ძლიერი უღლების ზმნის ამოსაცნობი ნიშანია (Kennzeichen) ფუძისეული ხმოვნის შეცვლა (Stammvokaländerung). ამასთან მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მესამე პირს დაბოლოება არ აქვს (endungslos), დანარჩენი ინარჩუნებს Präsens-ის დაბოლოებებს.

Numerus	Person	tragen-ტარება	laufen-სიბილი	geben-მიცემა	lesen-კითხვა
Singular	ich	trug	lief	gab	las
	du	trugst	liefst	gabst	lasest
	er, sie, es	trug	lief	gab	las
Plural	wir	trugen	liefen	gaben	lasen
	ihr	trugt	liefert	gabt	last
	sie, Sie	trugen	liefen	gaben	lasen

და ა.შ.

Ich las ein Märchenbuch.

მე ვკითხულობდი (ან წავიკითხე) ზღაპრების წიგნს.

ზოგიერთი წყვილთანხმოვნიანი ზმნა კარგავს ერთ-ერთს:

bitten → sie baten-თხოვნა → მათ ითხოვეს (ითხოვდნენ)

fallen → er fiel-დაცემა → ის დაეცა (ეცემოდა)

treffen → du trafst-შეხვედრა → შენ შეხვდი (ხვდებოდი)

და ა.შ.

ზოგიერთ ძლიერი უღლების ზმნაში სიტყვის ბოლოს ორმაგდება თანხმოვნები f და t.

saufen → er soff - ხვრეპა → მან შეხვრიპა (ხვრეპდა)

streiten → wir stritten - დავა → ჩვენ ვიდავეთ (ვდაობდით)

pfeifen → sie piffen - სტვენა → მათ დაუსტვინეს (უსტვენდნენ)

reiten → ich ritt - ჭენება → მე გავაჭენე (ვაჭენებდი)

და ა.შ.

ძლიერი ულლების ზმნაში d გადადის ორმაგ tt-ში.

schneiden → ich schnitt – ჭრა → მე გავჭერი (ვჭრიდი)

leiden → du littest – ტკივილი → შენ ატკივდა (გტკიოდა)

და ა.შ.

ძლიერი ულლების ზმნა ფუძეში მოკლე ხმოვნით და წყვილი ss-ით იცვლის ამ ხმოვანს, ss გადადის წ-ში:

essen → er aß – ჭამა → მან შეჭამა (ჭამდა)

messen → wir maßen – გაზომვა → ჩვენ გავზომეთ (ვზომავდით)

lassen → ich ließ – დატოვება → მე დავტოვე (ვტოვებდი).

და ა.შ.

და პირიქით, ძლიერი ულლების ზმნა წ თანხმოვნით იცვლის ამ თანხმოვანს, წ გადადის დიფტონგის შემდეგ ss-ში:

gießen → sie gossen – დასხმა → მათ დაასხეს (ასხამდნენ)

reißen → er riss – გლეჯა → მან გაგლეჯა (გლეჯდა)

sprießen → sie sprossen – გაშლა → მათ გაშალეს (შლიდნენ)

schmeißen → du schmisest – გადაგდება → შენ გადააგდე (აგდებდი)

და ა.შ.

- შერეული ულლება (gemischte Konjugation)
- შერეული ულლების ზმნათა დიდი ნაწილი იცვლის ფუძისეულ ხმოვანს (Stammvokaländerung), თუმცა სუსტი ულლების დაბოლოებები აქვს:

Numerus	Person	nennen- დარქმევა	senden- გაგზავნა	bringen- მოტანა	denken- ფიქრი
Singular	ich	nannte	sandte	brachte	dachte
	du	nanntest	sandtest	brachtest	dachtest
	er, sie, es	nannte	sandte	brachte	dachte
Plural	wir	nannten	sandten	brachten	dachten
	ihr	nanntet	sandtet	brachtet	dachtet
	sie, Sie	nannten	sandten	brachten	dachten

და ა.შ.

Ich sandte dir ein Päckchen.

მე შენ პაკეტი გამოგიგზავნე.

- არაწესიერი ულლება (unregelmäßige Konjugation)
- არაწესიერი ულლების ზმნები იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს (Stammvokaländerung) ისევე, როგორც ძლიერი ულლების ზმნები, ამასთან იცვლიან თანხმოვნებსაც ფუძის ბოლოში (Stamm-Endkonsonantenänderung).

Numerus	Person	gehen-წასვლა	stehen-დგომა	tun-კეთება
Singular	ich	ging	stand	tat
	du	gingst	stand(e)st	tat(e)st
	er, sie, es	ging	stand	tat
Plural	wir	gingen	standen	taten
	ihr	gingt	standet	tatet
	sie, Sie	gingen	standen	taten

და ა.შ.

Drei Kinder standen neben der Kutsche.

სამი ბავშვი ეტლის გვერდით იდგა.

მოდალური ზმნები და ზმნა "wissen" იუღლება არაწესიერი უღლების წესით.
(იხ. 4.7 თემა მოდალური ზმნები).

4.6.2.3 თავსართმოცილებადი რთული ზმნები (Fest zusammengesetzte/untrennbare Verben)

სუსტი: lernen → **verlernen**.

სწავლა, დავიწყება.
(ნასწავლის)

ძლიერი: reißen → **zerreißen**

მოგლეჯა, დაგლეჯა

შერეული: bringen → **erbringen**

მოტანა, დადასტურება

არაწესიერი: ziehen → **erziehen**

წევა, აღზრდა

ich verlernte – wir verlernten

du verlerntest – ihr verlerntet

er, sie, es verlernte – sie, Sie verlernten

ich zerriss – wir zerrissen

du zerrisest – ihr zerrisset

er, sie, es zerriss – sie, Sie zerrissen

ich erbrachte – wir erbrachten

du erbrachtest – ihr erbrachtet

er, sie, es, erbrachte – sie, Sie erbrachten

ich erzog – wir erzogen

du erzogst – ihr erzogt

er, sie, es, erzog – sie, Sie erzogen

და ა.შ.

Leider verlernten wir vieles.

სამწუხაროდ, ბევრი რამ, ადრე ნასწავლი, დაგვავიწყდა.

Wir erzogen unsere Kinder gut.

ჩვენ ჩვენი შვილები კარგად აღვზარდეთ.

4.6.2.4 თავსართმოცილებადი რთული ზმნები (Nicht fest zusammengesetzte/trennbare Verben).

თავსართმოცილებად მახვილიან ზმნას ისევე, როგორც Präsens-ში, Präteritum-შიც სცილდება ეს თავსართი და გადადის მთავარი წინადადების ბოლოში.

Numerus	Person	anlegen-ჩაცმა, გაშენება	aufstehen-ადგომა	stehenblei- ben-შეჩერება
Singular	ich	legte...an	stand...auf	blieb...stehen
	du	legtest...an	standest...auf	bliebst...stehen
	er, sie, es	legte...an	stand...auf	blieb...stehen
Plural	wir	legten...an	standen...auf	blieben...stehen
	ihr	legtet...an	standet...auf	bliebt...stehen
	sie, Sie	legten...an	standen...auf	blieben...stehen

და ა.შ.

Der Winzer legte Weinberge an.

მევენახემ ვენახი გააშენა.

Du standest nicht früh auf.

შენ ადრე არ ამდგარხარ.

Wir blieben an der Ampel stehen.

ჩვენ შუქნიშანთან შევჩერდით.

Wir zogen ein Kätzchen groß.

ჩვენ გავზარდეთ კნუტი.

განმარტება Präteritum-ის უღლებისთვის: Präteritum ანუ Imperfekt-ი ზმნის ძირითადი ფორმაც არის და ზმნის პირველი წარსული დროისაც (erste Vergangenheit). როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, Präteritum-ში სამთავან (Intinitiv, Präteritum, Partizip II) ვაუღლებთ მეორე ძირითად ანუ საწყის ფორმას (hatte, war, sagte, atmete, trug, zog sich an, brannte და ა.შ.) და დავურთავთ Präsens-ის პირის ნიშნებს. მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მესამე პირში დაბოლოება არ აქვს (ich sagte, er sagte; ich sah, er sah).

4.6.2.5 Präteritum-ი წინადადებაში (Präteritum im Satz)

დროის ეს ფორმა გამოიყენება თხრობაში, მეტწილად წერილობით ენაში (in der Schriftsprache), აღწერს მოვლენებს, რომელიც წარსულში მოხდა ან ხდებოდა, („malte-დახატა“ ან „ხატავდა“, „ging“-„წავიდა“ ან „დადიოდა“ და ა.შ.).

Es geschah im Winter.	ეს მოხდა ზამთარში.
Weihnachten schneite es nur wenig.	შობას ცოტა მოთოვა.
Alle suchten Undine.	ყველანი უნდინეს ეძებდნენ.

- ერთდროული ან დასრულებული მოქმედების გამოსახატად წარსულში:

Während der Lehrling arbeitete, stand der Meister und beaufsichtigte seine Arbeit.	ვიდრე შეგირდი მუშაობდა, ოსტატი იდგა და თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას.
Er wurde wütend und zerriss die Rechnungsformulare.	ის გაბრაზდა და ანგარიშის ბლანკები დახია.

- დამხმარე და მოდალური ზმნების Präteritum-ი საუბარში გამოიყენება Perfekt-ის ნაცვლად:

Wo waren Sie gestern?	სად ბრძანდებოდით გუშინ?
Ich war im Theater.	მე ვიყავი თეატრში.
Hatten Sie Platz im Parkett?	პარტერში გქონდათ ადგილი?
Ja, ich konnte gut sehen und hören.	დიახ, მე შემეძლო კარგად ექერა და მოსმენა.

- მხატვრულ პროზაში ე.წ. „Innerer Monolog“ ანუ, როდესაც ავტორი ფიქრობს, განცდებს გადმოსცემს. „Er blickte...in sich hinein, wo so viel Gram und Sehensucht war. Warum, warum war er hier?“ (Thomas Mann) „ის უღრმავდებოდა საკუთარ თავს, სადაც ამდენი დარდი და მონატრება იყო. რატომ, რატომ არის ის აქ?“ (თომას მანი)

4.6.3 სასაუბრო ანუ მეორე წარსული (Perfekt/2.Vergangenheit).

Perfekt-ი ზმნის რთული ფორმაა. იგი იწარმოება დამხმარე ზმნების haben ან sein-ის Präsens-ით და საულღებელი ზმნის მიმღეობა II-ს (PartizipII ანუ Partizip-Perfekt) მეშვეობით:

haben/sein-Präsens+PartizipII des Vollverbs=Perfekt


4.6.3.1 PartizipII-ი (Partizip Perfekt)

PartizipII ანუ Partizip-Perfekt-ი არის ზმნის მესამე ძირითადი ანუ საწყისი ფორმა (gemacht, gegangen). ამ ფორმით იგი გვხვდება ზმნის სამ დროსთან-Perfekt (hat gemacht, ist gegangen), Plusquamperfekt (hatte gemacht, war gegangen), Futur II (wird gemacht haben, wird gekommen sein). Perfekt-სა და Plusquamperfekt-ში მიმღეობა II დგას წინადადების ბოლოს, Futur II-ში დამხმარე ზმნის წინ. Partizip II-ის ამოსაცნობი ნიშნებია (die Kennzeichen) სუსტი ზმნებისთვის „ge“ თავსა და „t“ ბოლოში და უცვლელი ფუძისეული ხმოვანი (gelacht), ძლიერი ზმნებისთვის „ge“ თავსა და „en“ ბოლოში, ზოგჯერ ცვალეზადი ფუძისეული ხმოვანი (ablaut), მოუცილებადთავსართიანი ზმნა არ დაირთავს პრეფიქს ge-ს (bekommen), აგრეთვე -ieren-ზე დაბოლოებული და უმახვილო ზმნისწინიანი (studiert, übernommen). მოცილებადთავსართიანს „ge“ მოუდის თავსართსა და ზმნას შორის (nachgedacht, stattgefunden). (იხ. ზმნის სახელითი ფორმები 4.12)

4.6.3.2 haben-ი ან sein-ი (haben oder sein)

- Haben ან sein-ით საულღებელი ზმნა იწარმოება ორ დროში-Perfekt-სა და Plusquamperfekt-ში.
- Sein-ით იწარმოება გარდაუვალი ზმნა (intransitiv), რომელიც აღნიშნავს:

- მოძრაობას (Bewegung)- gehen, fahren, laufen, fliegen, reisen და ა.შ.
(წასვლა) (გამგზავრება) (სირბილი) (ფრენა) (მოგზაურობა)



Er ist gelaufen.

იგი გაიქცა.

Wir waren in eine Weingegend gereist.

ჩვენ ღვინის მხარეში ვიმოგზაურეთ.

- მოქმედი პირის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას (Zustandsänderung)-einsteigen (ასვლა), aufwachen (გაღვიძება).



Nico ist um 6 Uhr aufgestanden.

ნიკო 6 საათზე ადგა.

Peter ist außerordentlich schnell gewachsen.

პეტერი უჩვეულოდ ჩქარა გაიზარდა.

Er war auf die Bergspitze gestiegen.

იგი მთის მწვერვალზე ავიდა.

- დამხმარე ზმნები sein, werden.

Ich bin in Frankreich gewesen.

მე საფრანგეთში ვიყავი.

Sie ist Juristin geworden.

იგი იურისტი გახდა.

- შემდეგი ზმნები:

begegnen-შეხვედრა

gelingen-მოხერხება

bleiben-დარჩენა

mißlingen-ვერ მოხერხება

folgen-დევნა

geschehen-მოხდენა (მოხდა)

passieren-მოხდენა (მოხდა)

Wir sind zu Hause geblieben.

ჩვენ შინ დავრჩით.

Es ist vor kurzem geschehen.

ეს ცოტა ხნის წინ მოხდა.

Das Bild war ihm gelungen.

მას ნახატი (კარგი) გამოუვიდა.

- გ. ძირეული ზმნები (einfache Verben) უთავსართოდ იწარმოება haben-ით, ხოლო თავსართიანი - sein-ით:

schlafen-ძილი (haben)

blühen-ყვავილობა (haben)

einschlafen-ჩაძინება (sein)

erblühen-გაყვავება (sein)

wachen-ღვიძილი (haben)

erwachen-გაღვიძება (sein)

Nora hat 10 Minuten geschlafen.

ნორას 10 წუთი ეძინა.

Nora ist eingeschlafen.

ნორას ჩაეძინა.

- დ. მოძრაობის გამოხატველი ზოგიერთი ზმნა შეიძლება ზოგჯერ haben-ით ვაწარმოოთ იმ შემთხვევაში, თუ არ არის მინიშნებული მოქმედების მიმართულება ან მიზანი:

Er hat lange im Fluss geschwommen.

მან დიდხანს იცურავა მდინარეში.

ე. თუ არის მოძრაობის მიმართულება და მოქმედების მიზანი დაზუსტებული, თუ შეიძლება ზმნას დაესვას ერთდროულად კითხვები: „საიდან?“, „საით?“, მაშინ იგი იწარმოება **sein**-ით.

Ich bin nach Deutschland gefahren. მე გავემგზავრე გერმანიაში.
Bist du vom Sprungbrett ins Wasser gesprungen? შენ ტრამპლინიდან გადახტი წყალში?

ვ. დანარჩენი ზმნები იწარმოება **haben**-ით, ანუ:

- ყველა გარდამავალი ზმნა. (**hat gezeichnet** – დახატა)
- დამხმარე ზმნა **haben**. (**hat gehabt** – ჰქონდა, ჰყავდა)
- უპირო ზმნები ნაცვალსახელით **es**. (**Es donnert** – ქუხს; **Es hat gedonnert** – იქუხა)
- მოდალური ზმნები. (**Ich habe gekonnt**-მე შეეძელი. **Sie hat gut singen können**-(ნაცვლად **gekonnt**-ისა) – მან კარგად იმღერა).

4.6.3.3 დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

Numerus	Person	haben	sein	werden
Singular	ich	habe gehabt	bin gewesen	bin geworden
	du	hast gehabt	bist gewesen	bist geworden
	er, sie, es	hat gehabt	ist gewesen	ist geworden
Plural	wir	haben gehabt	sind gewesen	sind geworden
	ihr	habt gehabt	seid gewesen	seid geworden
	sie, Sie	haben gehabt	sind gewesen	sind geworden

არსებობს **werden**-ის მოკლე ფორმა **Partizip Perfekt**-ისთვის „**worden**“. (იხ. **Passiv 4.13.2**)

4.6.3.4 მთავარი ზმნები (Vollverben)

სუსტი ულლება (**schwache Konjugation**)

Numerus	Person	malen-ხატვა	erwachen-გაღვიძება
Singular	ich	habe gemalt	bin erwacht
	du	hast gemalt	bist erwacht
	er, sie, es	hat gemalt	ist erwacht
Plural	wir	haben gemalt	sind erwacht
	ihr	habt gemalt	seid erwacht
	sie, Sie	haben gemalt	sind erwacht

Die Kinder haben Ostereier gemalt. ბავშვებმა აღდგომის კვერცხები მოხატეს.
Das Kind ist schon erwacht. ბავშვმა უკვე გაიღვიძა.

ძლიერი ულლება (**starke Konjugation**)

Numerus	Person	sehen-დანახვა	kommen-მოსვლა
Singular	ich	habe gesehen	bin gekommen
	du	hast gesehen	bist gekommen
	er, sie, es	hat gesehen	ist gekommen
Plural	wir	haben gesehen	sind gekommen
	ihr	habt gesehen	seid gekommen
	sie, Sie	haben gesehen	sind gekommen

Wir haben die Ausstellung gesehen. ჩვენ დავათვალიერეთ გამოფენა.
Seid ihr aus Kacheti gekommen? კახეთიდან ჩამოხვედით?

4.6.3.5 თავსართმოუცილებადი რთული ზმნები (Fest zusammengesetzte/unrennbare Verben)

Numerus	Person	empfinden-შეგრძნება	überraschen-აღფრთოვანება
Singular	ich	habe empfunden	bin überrascht
	du	hast empfunden	bist überrascht
	er, sie, es	hat empfunden	ist überrascht
Plural	wir	haben empfunden	sind überrascht
	ihr	habt empfunden	seid überrascht
	sie, Sie	haben empfunden	sind überrascht

Sie haben große Freude empfunden.

მათ ძალიან გაიხარეს.

4.6.3.6 თავსართმოცილებადი რთული ზმნები (Nicht fest zusammengesetzte/trennbare Verben)

Numerus	Person	nachsehen-ნახვა	zurückkommen-დაბრუნება
Singular	ich	habe nachgesehen	bin zurückgekommen
	du	hast nachgesehen	bist zurückgekommen
	er, sie, es	hat nachgesehen	ist zurückgekommen
Plural	wir	haben nachgesehen	sind zurückgekommen
	ihr	habt nachgesehen	seid zurückgekommen
	sie, Sie	haben nachgesehen	sind zurückgekommen

Annette ist zurückgekommen.

ანეტი დაბრუნდა.

4.6.3.7 Perfekt-ი წინადადებაში (Perfekt im Satz)

Perfekt-ი წინადადებაში გვხვდება:

- საუბარში (კითხვა-პასუხში. in der Konversation)

Sind Sie in Westgeorgien gewesen?

Ja, wir haben dort abgelagerten Rotwein gekostet.

იყავით დასავლეთ საქართველოში?

დიახ, ჩვენ იქ დამკვლევლებული წითელი ღვინო დავაჭაშნიკეთ.

Hat der Vermieter von Ihnen eine Kautio n verlangt?

Nein, er hat von mir keine Kautio n verlangt.

მოითხოვა გამქირავებელმა თქვენგან წინდი?

არა, მას ჩემგან წინდი არ მოუთხოვია.

- მოკლე ზეპირ ინფორმაციებში (in mündlichen Berichten)

Wir haben alle Sendungen erhalten.

Josef hat sich beim Skifahren das Bein gebrochen.

Seine Familie ist nach Frankfurt gezogen.

ჩვენ ყველა გზავნილი მივიღეთ.

იოზეფმა თხილამურებით სრიალისას ფეხი მოიტეხა.

მისი ოჯახი ფრანკფურტში გადავიდა.

- პირად ბარათებში (in Persönlichen Briefen)

Es tut mir leid, dass deine Schwester die Hoffn un g aufgegeben hat, wieder gesund zu werden.

ვწუხვარ, რომ შენს დას გამოჯანმრთელების იმედს დაუკარგავს.

- ზოგჯერ Futur II-ის ნაცვლად (anstatt Futur II)

Wenn ich meine Arbeit beendet habe, reiche ich sie als Dissertation ein (Perf.)

როდესაც დავასრულებ ჩემს სამუშაოს, წარვადგენ დისერტაციას.

ნაცვლად:

Wenn ich meine Arbeit beendet haben werde, reiche ich sie als Dissertation ein (Fut.II)

როდესაც დავასრულებ ჩემს სამუშაოს, (დასრულებული მექნება), წარვადგენ დისერტაციას.

- უკვე მომხდარი მოვლენის დადასტურება (Allgemeine Feststellung)

Wachtang Gorgassali hat Tbilissi gegründet.

ვახტანგ გორგასალმა დააარსა თბილისი.

4.6.4 წინარე ანუ მესამე წარსული (Plusquamperfekt/3.Vergangenheit)

Plusquamperfekt-ი ზმნის რთული ფორმაა. იგი იწარმოება დამხმარე ზმნების haben ან sein-ის Präteritum-ით და საუღლებელი ზმნის მიმღობა II-ის (Partizip II ანუ Partizip-Perfekt) მეშვეობით:

haben/sein-Präteritum+PartizipII des Vollverbs =Plusquamperfekt

(haben ან sein და Partizip-Perfekt-ის განმარტება იხ. Perfekt-ში (4.6.3.1(2))

4.6.4.1 დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

Numerus	Person	haben	sein	werden
Singular	ich	hatte gehabt	war gewesen	war geworden(worden)
	du	hattest gehabt	warst gewesen	warst geworden
	er, sie, es	hatte gehabt	war gewesen	war geworden
Plural	wir	hatten gehabt	waren gewesen	waren geworden
	ihr	hattet gehabt	wart gewesen	wart geworden
	sie, Sie	hatten gehabt	waren gewesen	waren geworden

4.6.4.2 მთავარი ზმნები (Vollverben)

სუსტი უღლება (schwache Konjugation)			
Numerus	Person	malen-ხატვა	erwachen-გაღვიძება
Singular	ich	hatte gemalt	war erwacht
	du	hattest gemalt	warst erwacht
	er, sie, es	hatte gemalt	war erwacht
Plural	wir	hatten gemalt	waren erwacht
	ihr	hattet gemalt	wart erwacht
	sie, Sie	hatten gemalt	waren erwacht

Die Kinder hatten Ostereier gemalt.

ბავშვებმა აღდგომის კვერცხები მოხატეს.

ძლიერი უღლება (starke Konjugation)			
Numerus	Person	sehen-დანახვა	kommen-მოსვლა
Singular	ich	hatte gesehen	war gekommen
	du	hattest gesehen	warst gekommen
	er, sie, es	hatte gesehen	war gekommen
Plural	wir	hatten gesehen	waren gekommen
	ihr	hattet gesehen	wart gekommen
	sie, Sie	hatten gesehen	waren gekommen

Doris war gekommen.

დორისი მოვიდა.

4.6.4.3 თავსართმოუცილებადი რთული ზმნები (Fest zusammengesetzte/untrennbare Verben)

Numerus	Person	empfinden-შეგრძნება	überraschen-აღფრთოვანება
Singular	ich	hatte empfunden	war überrascht
	du	hattest empfunden	warst überrascht
	er, sie, es	hatte empfunden	war überrascht
Plural	wir	hatten empfunden	waren überrascht
	ihr	hattet empfunden	wart überrascht
	sie, Sie	hatten empfunden	waren überrascht

Die Freunde waren überrascht.

მეგობრები აღფრთოვანდნენ.

4.6.4.4 თავსართმოცილებადი რთული ზმნები (Nicht fest zusammengesetzte / trinnbare Verben)

Numerus	Person	nachsehen-ნახვა	zurückkommen-დაბრუნება
Singular	ich	hatte nachgesehen	war zurückgekommen
	du	hattest nachgesehen	warst zurückgekommen
	er, sie, es	hatte nachgesehen	war zurückgekommen
Plural	wir	hatten nachgesehen	waren zurückgekommen
	ihr	hattet nachgesehen	wart zurückgekommen
	sie, Sie	hatten nachgesehen	waren zurückgekommen

Annette war zurückgekommen.

ანეტი დაბრუნდა.

4.6.4.5 Plusquamperfekt-ი წინადადებაში (Plusquamperfekt im Satz)

Plusquamperfekt-ი არის წინარე წარსული. იგი აღნიშნავს დიდი ხნის წინ მომხდარ ამბავს, ან საუბარია მოქმედებაზე წარსულში, რომელიც დასრულდა მომდევნო მოქმედების (ასევე წარსულში) დაწყებამდე. რთულ წინადადებაში იგი გვხვდება წარსულის სხვა დროსთან Präteritum-თან, იშვიათად Perfekt-თან. მეტწილად იგი გვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში, მაგ. კავშირ „nachdem“-ის შემდეგ.

Nico war gelaufen

ნიკო გაიქცა.

Er war auf den Berg gestiegen

იგი მთაზე ავიდა.

Eka hatte einen Aufsatz geschrieben

ეკამ თხზულება დაწერა.

Sie hatten den Geburtstag gefeiert.

მათ დაბადების დღე აღნიშნეს.

Bevor er das Haus verließ, hatte er alle Lichter gelöscht.

ვიდრე სახლიდან გავიდოდა, შუქი ყველგან გამორთო.

Niemand hatte geglaubt, dass die Mauer nicht mehr existieren sollte.

არავინ დაიჯერა, რომ კედელს აღარ უნდა ეარსება.

Ich war am Kontrollpunkt geblieben, bis es Morgen wurde.

მე საკონტროლო პუნქტთან გათენებამდე დავრჩი.

Nachdem ich das Buch gelesen hatte, gab ich es zurück.

მას შემდეგ, რაც მე წიგნი წავიკითხე, დავაბრუნე უკან.

Kein Seemann hatte vor Columbus den atlantischen Ozean überquert.

არც ერთ მეზღვაურს კოლუმბამდე არ გადაუჭრია ატლანტის ოკეანე.

Das Reh zeigte sich noch einmal am Waldesrande und war dann verschwunden.

ერთხელ კიდევ გამოჩნდა შველი ტყის პირას და შემდეგ გაქრა.

4.6.5 მომავალი დრო I (Futur I/1.Zukunft)

Futur I იწარმოება დამხმარე ზმნა werden-ის Präsens-ითა და საუღლებელი ზმნის Infinitiv I – ით (lachen, fallen, bekommen, aufstehen და ა.შ.)

werden-Präsens+Infinitiv I des Vollverbs=Futur I

4.6.5.1 დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

Numerus	Person	haben	sein	werden
Singular	ich du er, sie, es	werde... haben wirst... haben wird... haben	werde... sein wirst... sein wird... sein	werde... werden wirst... werden wird... werden
Plural	wir ihr sie, Sie	werden... haben werdet... haben werden... haben	werden... sein werdet... sein werden... sein	werden... werden werdet... werden werden... werden

4.6.5.2 მთავარი ზმნები (Vollverben)

Numerus	Person	malen	gehen
Singular	ich du er, sie, es	werde... malen wirst... malen wird... malen	werde... gehen wirst... gehen wird... gehen
Plural	wir ihr sie, Sie	werden...malen werdet... malen werden... malen	werden... gehen werdet... gehen werden... gehen

- Futur I-ის წარმოების ფორმულა უცვლელია სუსტი (schwach), ძლიერი (stark), შერეული (gemischt), არაწესიერი (unregelmäßig) უღლების, აგრეთვე, თავსართმოუცილებადი (fest zusammengesetzt-untrennbar) და მოცილებადთავსართიანი (nicht fest zusammengesetzt-trennbar) ზმნებისათვის.

მოუცილებადი ზმნები (festzusam.ges.V.) vermissen→ich werde...vermissen-მე მომენატრება
zerschneiden→du wirst...zerschneiden-შენ დაჭრი

მოცილებადი ზმნები (nicht fest zusam.ges.V.) zumachen→wir werden-zumachen-ჩვენ დავხურავთ
abschreiben→ihr werdet abschreiben-თქვენ გადაწერთ

4.6.5.3 Futur I წინადადებაში (Futur I im Satz)

- ა. Futur I გამოიყენება მომავალი დროის გამოსახატავად, როდესაც მოქმედება, მოვლენა უნდა აღსრულდეს მომავალში (zukünftige Ereignisse). Infinitiv დგას წინადადების ბოლოში.
- Futur I აღნიშნავს ძირითადად მომავალ დროს (Zukunft):

Ich werde internationalen Führerschein haben. მე მექნება ინტერნაციონალური მართვის მოწმობა.
Ende Dezember wird sie in Georgien sein. დეკემბრის ბოლოს იგი საქართველოში იქნება.
Wirst du einen Gartentisch kaufen? იყიდი ბაღის მაგიდას?
Wir werden einen Apfelsaft bestellen. ჩვენ შევუკვეთავთ ვაშლის წვენს.
Martina wird ihren Arbeitsplatz antreten. მარტინა თავის სამუშაო ადგილს დაიკავებს.

- განზრახვას (Absicht):
Er wird seinen Urlaub in Griechenland machen. ის თავის შვებულებას საბერძნეთში გაატარებს.
- ბრძანებას, იძულებას (zwingende Aufforderung):
Wird's bald! აბა, ჩქარა (გააკეთე)!
Wirst du wohl still sein! არ გაჩუმდები!

- ვარაუდს (Vermutung):
Es wird neun Uhr sein. ახლა ცხრა საათი იქნება.
Sie werden im Stau stecken. ოსინი ალბათ მანქანების ჭედვაში ჩარჩნენ.
- დაშვებას (Annahme):
Wir werden vielleicht in Weimar leben. ჩვენ შესაძლოა, ვაიმარში ვიცხოვროთ.
- პროგნოზს (Prognose):
In 20 Jahren werden mehr als 8 Milliarden Menschen auf der Erde leben. ოცი წლის შემდეგ დედამიწაზე რვა მილიარდ კაცზე მეტი იცხოვრებს.
- იშვიათად დაპირებას (Versprechen):
Ich werde zu der Party kommen. მე მოვალ ზეიმზე.

ბ. Futur I დამოკიდებულ წინადადებაში (im Nebensatz)

Futur I-ის დამხმარე ზმნა „werden“ დგას დამოკიდებული წინადადების ბოლოში (am Satzende).

Ich bin sicher, dass er bald wieder kommen wird.

დარწმუნებული ვარ, ის მალე ისევ მოვა.

Wir hoffen, das Sie am Konzert

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ კონცერტში

teilnehmen werden.

მონაწილეობას მიიღებთ.

გ. Futur I მოდალურ ზმნასთან (mit Modalverb)

მოდალური ზმნა დგას Infinitiv-ში წინადადების ბოლოს (Modalverb am Satzende).

Das werden wir schreiben müssen.

ეს ჩვენ უნდა დავწეროთ.

In Hamburg wird er seine Freundin

მას სურს ჰამბურგში თავის მეგობარ

Elisabeth besuchen wollen.

ელიზაბეტს ესტუმროს.

Werden Sie mich benachrichtigen können,

შეგიძლიათ მაცნობოთ, როდესაც

wenn das Packet eingetroffen ist?

პაკეტი ჩამოვა?

(იხ.თემა: Modalverben 4.7.)

4.6.6 მომავალი დრო II (Futur II/2.Zukunft)

Futur II იწარმოება დამხმარე ზმნა werden-ის Präsens-ითა და საუღლებელი ზმნის Infinitiv II-თ (gelacht haben, gefallen sein, bekommen haben, aufgestanden sein და ა.შ.)

werden-Präsens+Infinitiv II des Vollverbs=Futur II

4.6.6.1 საწყისი II (Infinitiv II/Infinitiv Perfekt)

Infinitiv II (Infinitiv Perfekt) იწარმოება Partizip II (Partizip Perfekt)-ისა და დამხმარე ზმნების haben-ის ან sein-ის მეშვეობით.

Partizip Perfekt + haben (Infinitiv I) ან sein (Infinitiv I) = Infinitiv II

(Infinitiv I – ზმნის საწყისი ფორმა-meinen, tun, aufmachen)

(იხ.თემა. Hilfsverben: haben ან sein 4.6.3.2)

4.6.6.2 დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

Numerus	Person	haben	sein	werden
Singular	ich	werde...gehabt haben	werde..gewesen sein	werde... geworden sein
	du	wirst... gehabt haben	wirst..gewesen sein	wirst... geworden sein
	er, sie, es	wird... gehabt haben	wird... gewesen sein	wird... geworden sein
Plural	wir	werden..gehabt haben	werden..gewesen sein	werden... geworden sein
	ihr	werdet.. gehabt haben	werdet...gewesen sein	werdet... geworden sein
	sie, Sie	werden..gehabt haben	werden..gewesen sein	werden... geworden sein

4.6.6.3 მთავარი ზმნები (Vollverben)

Numerus	Person	malen	gehen
Singular	ich	werde...gemalt haben	werde... gegangen sein
	du	wirst... gemalt haben	wirst... gegangen sein
	er, sie, es	wird... gemalt haben	wird... gegangen sein
Plural	wir	werden... gemalt haben	werden... gegangen sein
	ihr	werdet... gemalt haben	werdet... gegangen sein
	sie, Sie	werden... gemalt haben	werden... gegangen sein

Futur II-ის წარმოების ფორმულაც უცვლელია სუსტი (schwach), ძლიერი (stark), შერეული (gemischt), არაწესიერი (unregelmäßig) უღლების, აგრეთვე, თავსართმოცილებადი (fest zusammengesetzt-untrennbar) და თავსართმოცილებადი (nicht fest zusammengesetzt-trennbar) ზმნებისათვის.

მოუცილებადი ზმნები (fest zusam.ges.V.)

vermissen → ich werde -vermisst haben – მე მონატრებული მეყოლები
zerschneiden → du wirst...zerschnitten haben – შენ დაჭრილი გექნება.

მოცილებადი ზმნები (nicht fest zusam ges.V.)

zumachen → wir werden...zugemacht haben – ჩვენ დაკეტილი გვექნება.
abschreiben → ihr werdet...abgeschrieben haben – თქვენ გადაწერილი გექნებათ.

4.6.6.4 Futur II წინადადებაში (Futur II im Satz)

Futur II-ც გამოიყენება მომავალი დროის გამოსახატავად, როდესაც მოქმედება, მოვლენა უნდა აღსრულდეს მომავალში (zukünftige Ereignisse). მოქმედება თუმცა არ არის დაწყებული, მაგრამ მომავალ დროშივე Futur II-ში უნდა დასრულდეს, ამიტომ მას **vollendete Zukunft** („დასრულებული მომავალი დრო“) -საც უწოდებენ.

Sie wird in zwei Wochen ihre Prüfungen abgeschlossen haben.

მას ორ კვირაში გამოცდები დამთავრებული ექნება.

Diese Frage wird morgen beantwortet sein.

ამ კითხვას ხვალ გაცემა პასუხი.

- ახლანდელ გერმანულში ზოგჯერ Futur II-ს ცვლის Perfekt-ი (2.Vergangenheit)

Wenn Sie eintreffen, haben wir die Arbeit sicher vollendet. (Perf.)

როდესაც თქვენ ჩამობრძანდებით, ჩვენ სამუშაო დამთავრებული გვექნება.

ნაცვლად:

Wenn Sie eintreffen, werden wir die Arbeit vollendet haben.(Fut.II)

როდესაც თქვენ ჩამობრძანდებით, ჩვენ სამუშაო დამთავრებული გვექნება.

- Futur II-ით გამოიხატება ჰიპოთეზა, ვარაუდი (Vermutung)

Sie werden den Zug verpasst haben.

ჩანს, მათ მატარებელზე დააგვიანეს.

Er wird betrunken sein.

ის მთვრალი უნდა იყოს.

Die Wissenschaftler vermuten, dass unsere Archäologen in diesem Jahr neue Rollen gefunden haben werden.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჩვენი არქეოლოგები წელს ახალ გრაგნილებს იპოვნენ.

Die Statistiker rechnen aus, wie viele Leute in 20 Jahren über die neue Brücke gegangen sein werden.

სტატისტიკოსები გამოთვლიან, ახალ ხიდზე 20 წლის მანძილზე რამდენი ადამიანი გადაივლის.

Er wird sein Geld verloren haben.

მას ფული დაკარგული ექნება.

Dein Freund wird krank gewesen sein.

შენი მეგობარი ავად უნდა იყოს.

4.6.7 წინადადების გადაყვანა დროის ერთი ფორმიდან მეორეში (Umformung durch alle Zeitstufen)

4.6.7.1 დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

haben-hatte-gehabt - ქონა ყოლა

Ich habe Durst

მე მწყურია.

Ich hatte Durst.

მე მწყუროდა.

Ich habe Durst gehabt

მე მომწყურდა.

Ich hatte Durst gehabt.

მე მომწყურდა.

Ich werde Durst haben.

მე მომწყურდება.

Ich werde Durst gehabt haben.

მე მომწყურდება.

sein-war-gewesen - ყოფნა

Er ist Schauspieler.

ის მსახიობია.

Er war Schauspieler.

ის მსახიობი იყო.

Er ist Schauspieler gewesen.

ის მსახიობი იყო.

Er war Schauspieler gewesen.

ის მსახიობი იყო.

Er wird Schauspieler sein.

ის მსახიობი იქნება.

Er wird Schauspieler gewesen sein.

ის მსახიობი იქნება.

werden-wurde-geworden - გადაქცევა

Der Affe wird kein Mensch.

მაიმუნი ადამიანად არ იქცევა.

Der Affe wurde kein Mensch.

მაიმუნი ადამიანად არ იქცა.

Der Affe ist kein Mensch geworden.

მაიმუნი ადამიანად არ იქცა.

Der Affe war kein Mensch geworden.

მაიმუნი ადამიანად არ იქცა.

Der Affe wird kein Mensch werden.

მაიმუნი ადამიანად არ იქცევა.

Der Affe wird kein Mensch geworden sein.

მაიმუნი ადამიანად არ იქცევა.

4.6.7.2 მთავარი ზმნები (Vollverben)

- სუსტი უღლება (schwache Konjugation)

formen – formte-geformt - შექმნა, ძერწვა

Der Bildhauer formt einen Koloss.	მოქანდაკე ძერწავს კოლოსს.
Der Bildhauer formte einen Koloss.	მოქანდაკემ გამოძერწა კოლოსი.
Der Bildhauer hat einen Koloss geformt.	მოქანდაკემ გამოძერწა კოლოსი.
Der Bildhauer hatte einen Koloss geformt	მოქანდაკემ გამოძერწა კოლოსი.
Der Bildhauer wird einen Koloss formen.	მოქანდაკე გამოძერწავს კოლოსს.
Der Bildhauer wird einen Koloss geformt haben.	მოქანდაკე კოლოსს გამოძერწავს. (ან: გამოძერწილი ექნება)

- ძლიერი უღლება (starke Konjugation)

geben – gab – gegeben – მიცემა, გამართვა

Tim gibt ein großes Fest.	ტიმი დიდ ზეიმს მართავს.
Tim gab ein großes Fest.	ტიმმა დიდი ზეიმი გამართა.
Tim hat ein großes Fest gegeben.	ტიმმა დიდი ზეიმი გამართა.
Tim hatte ein großes Fest gegeben.	ტიმმა დიდი ზეიმი გამართა.
Tim wird ein großes Fest geben.	ტიმი დიდ ზეიმს გამართავს.
Tim wird ein großes Fest gegeben haben.	ტიმი დიდ ზეიმს გამართავს. (ან: გამართული ექნება)

4.6.7.3 თავსართმოუცილებადი ზმნები (Fest zusammengesetzte/untrennbare Verben)

besuchen – besuchte – besucht - სიარული, წვევა

Du besuchst das Gymnasium.	შენ დადიხარ გიმნაზიაში.
Du besuchtest das Gymnasium.	შენ დადიოდი გიმნაზიაში.
Du hast das Gymnasium besucht.	შენ დადიოდი გიმნაზიაში.
Du hattest das Gymnasium besucht.	შენ დადიოდი გიმნაზიაში.
Du wirst das Gymnasium besuchen.	შენ ივლი გიმნაზიაში.
Du wirst das Gymnasium besucht haben.	შენ ივლი გიმნაზიაში.

4.6.7.4 თავსართმოცილებადი ზმნები (Nicht fest zusammengesetzte/trennbare Verben)

eintreffen – traf ein – eingetroffen – ჩამოსვლა

Die Gäste treffen in Georgien ein.	სტუმრები ჩამოდიან საქართველოში.
Die Gäste trafen in Georgien ein.	სტუმრები ჩამოვიდნენ საქართველოში.
Die Gäste sind in Georgien eingetroffen.	სტუმრები ჩამოვიდნენ საქართველოში.
Die Gäste waren in Georgien eingetroffen.	სტუმრები ჩამოვიდნენ საქართველოში.
Die Gäste werden in Georgien eintreffen.	სტუმრები ჩამოვლენ საქართველოში.
Die Gäste werden in Georgien eingetroffen sein.	სტუმრები ჩამოვლენ საქართველოში. (ან: ჩამოსულნი იქნებიან)

4.7 მოდალური ზმნები (Modalverben)

4.7.1 მოდალური ზმნის ფუნქცია და კლასიფიკაცია (Funktion und Klassifizierung)

მოდალური ზმნა მიუთითებს სუბიექტის დამოკიდებულებას მოქმედებისადმი, რომელსაც ძირითადი ზმნა გამოხატავს, ანუ: მას შეუძლია თქვას, რომ ეს მოქმედება არის შესაძლებელი (er kann bauen - მას შეუძლია ააშენოს), სასურველი (ich will bauen) - მე მსურს ავაშენო), აუცილებელი (ich muss (soll) bauen - მე უნდა ავაშენო) და ა.შ. მოდალურ ზმნას გააჩნია როგორც დამოუკიდებელი, ასევე დამხმარე ზმნის ფუნქცია.

გერმანულ ენაში არსებობს 6 მოდალური ზმნა: können, dürfen, mögen, wollen, sollen, müssen. მთავარი ზმნა lassen-იც ასრულებს მოდალური ზმნის ფუნქციას.

მოდალური ზმნა მიეკუთვნება არაწესიერი უღლების ზმნებს, თუმცა გააჩნია სუსტი ზმნის მიმღობა II-ის დაბოლოება (PartizipII/Partizip - Perfekt- Endung - t)gekonnt, როდესაც წინადადებაში დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციას ასრულებს (als Vollverb).

lassen-ს აქვს ძლიერი ზმნის მიმღობა II - ის დაბოლოება (PartizipII/Partizip - Perfekt- Endung - en). მოდალურ ზმნას Präsens-ში მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მესამე პირში დაბოლოება არ აქვს. Perfekt - სა და Plusquamperfekt-ს აწარმოებს „haben“-ით. მოდალურ ზმნას არ გააჩნია ვნებითი გვარი (kein Passiv). მხოლოდ „wollen“-ს (აგრეთვე „lassen“-ს) აქვს ბრძანებითი კილო (Imperativ).

4.7.2 მოდალური ზმნის ძირითადი მნიშვნელობები (Hauptbedeutungen)

können-შესაძლებლობა (Möglichkeit), უნარი (Fähigkeit), ნებართვა (Erlaubnis), ვარაუდი (Vermutung)
dürfen-უფლების ქონა, ნების დართვა (Erlaubnis), შეკითხვა ზრდილობითი ფორმით (höfliche Frage)
mögen-სურვილი (Wunsch), მოწონება, სიყვარული (gern haben), შესაძლებლობა (Vermögen), ვარაუდი (Vermutung)
wollen-სურვილი (Wunsch), განზრახვა (Absicht), გადაწყვეტილება (Entscheidung)
sollen-აუცილებლობა (Notwendigkeit), შეთავაზება (Angebot) დავალება (Auftrag), მოვალეობა (Verpflichtung)
müssen-აუცილებლობა - კატეგორიული (Notwendigkeit), ვარაუდი (Vermutung)
lassen - ნების დართვა (Erlaubnis), შესაძლებლობა (Möglichkeit), გამოწვევა მოქმედებისკენ (Aufforderung).

4.7.3 მოდალური ზმნის უღლება (Konjugation)

4.7.3.1 აწმყო (Präsens)

Präsens-ში მოდალურ ზმნას მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მესამე პირში დაბოლოება არ გააჩნია (endungslos) და იცვლის ფუძისეულ ხმოვანს (Stammvokaländerung) გარდა „sollen“-ისა ისევე, როგორც ძლიერი ზმნა Präteritum-ში უღლებისას. ამიტომ მოდალურ ზმნებს პრეტერიტო-პრეზენტიალურსაც (Präterito-Präsentia) უწოდებენ. "lassen"-ი იუღლება წესისამებრ.

Numerus	Person	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
Singular	ich	kann	darf	mag	will	soll	muss	lasse
	du	kannst	darfst	magst	willst	sollst	musst	lässt
	er, sie, es	kann	darf	mag	will	soll	muss	lässt
Plural	wir	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
	ihr	könnt	dürft	mögt	wollt	sollt	müsst	lasst
	sie, Sie	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen

Max darf heute nicht fernsehen.

მაქს არ აქვს უფლება დღეს ტელევიზორს უყუროს.

4.7.3.2 თხრობითი წარსული (Präteritum)

მოდალური ზმნის Präteritum-ი იწარმოება ზმნის ფუძეზე-te სუფიქსის დართვით. მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მესამე პირში დაბოლოება არ აქვს (endungslos) დანარჩენ ფორმებში აქვს Präsens-ის დაბოლოებანი ისევე, როგორც სუსტ ზმნას Präteritum-ში და კარგავს უმლაუტს (kein Umlaut). „lassen“-საც გააჩნია როგორც დამოუკიდებელი, ასევე დამხმარე ზმნის ფუნქცია. იუღლება, როგორც ძლიერი უღლების ზმნა Präteritum-ში.

Numerus	Person	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
Singular	ich	konnte	durfte	mochte	wollte	sollte	musste	ließ
	du	konntest	durftest	mochtest	wolltest	solltest	musstest	ließest
	er, sie, es	konnte	durte	mochte	wollte	sollte	musste	ließ
Plural	wir	konnten	durften	mochten	wollten	sollten	mussten	ließen
	ihr	konntet	durftet	mochtet	wolltet	solltet	musstet	ließ(e)t
	sie, Sie	konnten	durften	mochten	wollten	sollten	mussten	ließen

Moritz konnte gut Geige spielen.

მორისი კარგად უკრავდა ვიოლინოზე (შეეძლო დაკვრა)

შენიშვნა: ს ა უ ბ ა რ შ ი მოდალური ზმნა დგას Präteritum-ში, ნაცვლად Perfekt -ისა.

Ich wollte sowieso kommen.

მე მაინც მოსვლა მინდოდა.

Er konnte länger bleiben.

მას მეტხანს დარჩენა შეეძლო.

- ზმნა möchten=ზრდილობითი ფორმით (Höflichkeitsform) გამოხატული სურვილი (Wunsch), გამოწვევა (Ausforderung), თხოვნა (Bitte), შეკითხვა (Frage).

möchten – Infinitiv-ი მიღებულია mögen –ის Konjunktiv II ანუ Präteritum-Konjunktiv*-ისაგან. გააჩნია მხოლოდ Präsens-ი. Präteritum-ის ფორმა თანამედროვე გერმანულში: Ich wollte-მე მინდოდა.

Präsens

möchten

Numerus	Person	mögen→möchten (Konjun. II)
Singular	ich	möchte
	du	möchtest
	er, sie, es	möchte
Plural	wir	möchten
	ihr	möchtet
	sie, Sie	möchten

ქართულ ენაზე ითარგმნება: „მე მსურს, შენ გსურს, გნებავთ“ და ა.შ.

Möchten Sie mitkommen?

გნებავთ წამოსვლა?

Wir möchten ein Doppelzimmer.

ჩვენ გვინდა ორსაწოლიანი ოთახი.

* იხ.თემა: Konjunktiv 4.14.3.

4.7.3.3 სასაუბრო წარსული (Perfekt) და წინარე წარსული (Plusquamperfekt)

მოდალური ზმნის Perfekt-ი და Plusquamperfekt-ი იწარმოება დამხმარე ზმნა haben + საუღლებელი ზმნის მიმღეობა II (Ich habe (hatte) gekonnt მე შეეძელი), როცა დამოუკიდებელია მოდალური ზმნა; როცა ის დამხმარე ზმნის ფუნქციას ასრულებს, მაშინ მიმღეობა II (Partizip-Perfekt)-ის ფორმას, მაგ: „gedurft“-ს ცვლის მოძველებური ფორმა „dürfen“ ანუ ზმნის საწყისი ფორმა „zu“-ს გარეშე. ამრიგად, თავს იყრის ერთად ორი Infinitiv-ი (Doppelter Infinitiv).

haben+Infinitiv I Vollverb+Infinitiv Modalverb=Perfekt.

hatten+Infinitiv I Vollverb+Infinitiv Modalverb=Plusquamperfekt.

Numerus	Person	haben	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
Singular	ich	habe (hatte)	gekönnt	gedurft	gemocht	gewollt	gesollt	gemusst	gelassen
	du	hast (hattest)	gekönnt	gedurft	gemocht	gewollt	gesollt	gemusst	gelassen
	er, sie, es	hat (hatte)	gekönnt	gedurft	gemocht	gewollt	gesollt	gemusst	gelassen
Plural	wir	haben (hatten)	gekönnt	gedurft	gemocht	gewollt	gesollt	gemusst	gelassen
	ihr	habt(hattet)	gekönnt	gedurft	gemocht	gewollt	gesollt	gemusst	gelassen
	sie, Sie	haben(hatten)	gekönnt	gedurft	gemocht	gewollt	gesollt	gemusst	gelassen

დამოუკიდებელი { Das habe ich nicht gewollt! მე ეს არ მინდოდა!
 მნიშვნელობით: { Das hatte ich nicht gewollt! მე ეს არ მინდოდა!

- დამხმარე ზმნის ფუნქციით:
- ორმაგი Infinitiv-ი (Doppelter Infinitiv)

Er hat fliegen können (dürfen, mögen, wollen, sollen, müssen, lassen) = Perfekt
 Er hatte fliegen können (dürfen, mögen, wollen, sollen, müssen, lassen) = Plusquamperfekt

- ორმაგი Infinitiv "zu"-ს გარეშე მარტივ წინადადებაში:

Ich habe nicht kommen können. მე ვერ შევძელი მოსვლა.
 Er hatte nicht diese Arbeit machen wollen. მას არ უნდოდა ამ სამუშაოს შესრულება.
 Du hast nicht wandern gehen müssen. შენ არ უნდა წასულიყავი სასეირნოდ.
 Sie hatten nicht Beifall klatschen dürfen. მათ არ ჰქონდათ ტაშის დაკვრის უფლება.

ორმაგი Infinitiv "zu"-ს გარეშე რთულ წინადადებაში: (დამოუკიდებულში პირდაპირი წყობა!)

Er ging, weil er hatte nicht mehr dulden können. ის წავიდა, რადგან მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.
 Wir konnten nicht mehr bleiben, ჩვენ ვეღარ დავრჩებოდით, რადგან
 da der Forscher hatte lange experimentieren müssen, მკვლევარს ცდები დიდხანს უნდა ეტარებინა,
 ehe er die Lösung fand. ვიდრე ახსნას იპოვიდა.

4.7.3.4. მომავალი დრო I (Futur I)

მოდალური ზმნის Futur I იწარმოება დადგენილი წესით ანუ werden-ის Präsens-ით და საუღლებლო ზმნის Infinitiv-ით, შემდეგ დგება მოდალური ზმნის Infinitiv-ი.

werden-Präsens+Infinitiv I Vollverb+Infinitiv Modalverb=Futur I									
Nomerus	Person	werden	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
Singular	ich	werde (gehen)	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
	du	wirst (gehen)	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
	er, sie, es	wird (gehen)	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
Plural	wir	werden (gehen)	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
	ihr	werdet (gehen)	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen
	sie, Sie	werden (gehen)	können	dürfen	mögen	wollen	sollen	müssen	lassen

Du wirst in die Schule gehen können.
Wir werden die Katze den Fisch fressen lassen.
Anna ist ganz sicher, dass sie in Bonn wird bleiben dürfen. (პირდაპირი წყობა)

შენ შეძლებ სკოლაში წასვლას (როცა გაიზრდები).
ჩვენ შევაკმევთ კატას თევზს (ნებას დაერთავთ).
ანა დარწმუნებულია, რომ მას ბონში დარჩენის უფლება ექნება.

4.7.3.5 მომავალი დრო II (Futur II)

მომავალი დროის ეს ფორმა გამოიყენება იშვიათად, მხოლოდ ვარაუდის (Vermutung) გამოსახატავად.

- როგორც დამოუკიდებელი ზმნა – Du wirst das nicht gewollt haben. (ჩემი აზრით) შენ ეს არ უნდა მოგესურვებინა. (იწარმოება წესისამებრ)
- დამხმარე ზმნის ფუნქციით Infinitiv-თან „zu“-ს გარეშე.

werden-Präsens+haben+Infinitiv I Vollverb+Infinitiv Modalverb=Futur II

Er wird nicht in die Schule haben gehen wollen.

ის არ მოინდომებს სკოლაში წასვლას. (სავარაუდოდ)

4.7.3.6 ზმნა „wissen“ (Das Verb „wissen“)

არსებობს კიდევ ერთი ზმნა wissen (wusste, gewusst)- „ცოდნა“, რომელიც მოდალური ზმნის მსგავსად იუღლება:

Präs: ich weiß, du weißt, er weiß, wir wissen, ihr wisst, sie wissen

Prät: ich wusste, du wusstest, er wusste, wir wussten, ihr wusstet, sie wussten

და ა.შ.

Er wusste ganz genau, was ihm bevorstand.
Ich weiß, dass ich in Deutschland werde studieren dürfen.

მან დანამდვილებით იცოდა, რაც მას მოელოდა.
მე ვიცი, რომ გერმანიაში სწავლის უფლება მექნება.

4.7.4 მოდალური ზმნა (+„lassen“) წინადადებაში (Modalverb im Satz)

4.7.4.1 როგორც დამოუკიდებელი ზმნა (als Vollverb)

Ich kann ein bisschen Chinesisch.
Er konnte nichts für die Verspätung.
Er mag Ananassaft ohne Honig.
Du mochtest früher heiße Getränke.
Wir mussten nach Hause.
Sie haben Schweinebraten gewollt.
Dem sei, wie es wolle.
Otto hatte es gedurft.
Eka ließ den Gast außer Acht.

მე ვიცი ცოტაოდენი ჩინური.
მას დაგვიანებაში ბრალი არ მიუძღოდა.
მას უყვარს ანანასის წვენი უთაფლოდ.
შენ ადრე ცხელი სასმელი გიყვარდა.
ჩვენ შინ უნდა წავსულიყავით.
მათ მოისურვეს შემწვარი ღორის ხორცი.
მოხდეს, რაც მოსახდენია.
ოტომ მოიპოვა ამის უფლება.
ეკამ სტუმარი უყურადღებოდ დატოვა.

4.7.4.2 როგორც დამხმარე ზმნა (als Hilfsverb) ანუ მოდალური ზმნა მეორე ზმნის Infinitiv-თან „zu“-ს გარეშე (mit Infinitiv ohne zu“)

მოდალურ ზმნას უკავია დამხმარე ზმნის ადგილი, საუღლებელი ზმნის Infinitiv დგას წინადადების ბოლოში „zu“-ს გარეშე.

- **können-konnte-gekonnt-** შესაძლებლობა (imstande sein), უნარი (Vermögen), დაშვება (möglich sein), ნებართვა (erlaubt sein), ბრალეულობა (schuld sein)

Wie lange **kannst** du in Köln bleiben?

Er **kann** gut rechnen.

Sie haben lange geübt, jetzt können Sie **auftreten**.

Können Sie mir den Weg zum Bahnhof zeigen?

Ich **konnte** mir die Reise leisten.

Könnt ihr euch das vorstellen?

Wie **kann** man Geld verdienen?

Wo **kann** ich einen Computer kaufen?

Man **kann** ihr nicht widersprechen.

Sie **können** mich gerne anrufen.

Er **hat** (hatte) nicht **kommen können**.

(ნაცვლად gekonnt-ის). (2 Infin.)

რამდენ ხანს შეგიძლია კიოლნში დარჩენა?

მას შეუძლია კარგი ანგარიში.

თქვენ კარგა ხანს ივარჯიშეთ, ახლა შეგიძლიათ გამოსვლა (სცენაზე).

შეგიძლიათ სადგურისაკენ მიმავალი გზა მაჩვენოთ?

მე შემიძლო მოგზაურობა.

(თავისთვის ნება მიმეცა)

შეგიძლიათ თქვენ ამის წარმოდგენა?

როგორ შეიძლება ფულის გამომუშავება?

სად შემიძლია კომპიუტერის ყიდვა?

მას ვერ გადაათქმევინებ.

თქვენ შეგიძლიათ დამირეკოთ.

მან ვერ შეძლო მოსვლა.

können – ვარაუდი, ფაქტის შესაძლებლობა (Vermutung, mögen-ის მნიშვნელობით)

Jetzt **können** (mögen) die Wohnungen

viel mehr als vor 10 Jahren **kosten**.

ახლა ბინები ბევრად უფრო ძვირი ეღირება,

ვიდრე 10 წლის წინ.

- **dürfen – durfte – gedurft** – უფლების ქონა, ნებართვა (Erlaubnis), შეკითხვა ზრდილ. ფორმით (höfliche Frage)

Man **darf** nicht ohne Führerschein **fahren**.

Sie **durfte** auf den Ausflug **mitfahren**.

Darfst du in die Disko **gehen**?

Können Sie uns sagen, ob wir in der Wohnung

auch Haustiere **halten dürfen**?

Darf ich das Fenster **aufmachen**?

Darf ich Ihnen die Tasche **tragen**?

Sie **hat** (hatte) nicht Beifall **klatschen dürfen**.

მართვის უფლების გარეშე არ შეიძლება მანქანის ტარება.

მას შეეძლო ექსკურსიაზე წამოსვლა.

გაქვს დისკოტეკაზე წასვლის უფლება?

შეგიძლიათ გვითხრათ, გვაქვს თუ არა ნება

ბინაში ოთახის ცხოველიც ვიყოლიოთ?

შეიძლება ფანჯარა გავაღო?

შეიძლება ჩანთა წამოგიღოთ?

მას არ ჰქონდა ტაშის დაკვრის ნება.

dürfen – ჰიპოტეზა (Hypothese) Konjunktiv-ში (იხ. თემა-Konjunktiv) 4.14.3)

Die Georgier **dürften** bereits vor 26 Jahrhunderten

eine eigene Schrift **gehabt haben**.

ქართველებს, შესაძლოა, 26 საუკუნის

წინათაც ჰქონდათ საკუთარი ანბანი.

- **mögen-mochte-gemocht-** სურვილი, მოწონება, სიყვარული (Wunsch, gern haben), ვერ ატანა (ვერ იტანს) (nicht dulden), ვარაუდი (Vermutung), დაშვება (möglich sein), ზრდილობითი თხოვნა ან ბრძანება (höfliche Bitte, Aufforderung), ნატვრა (Sehensucht), ნებართვა (Erlaubnis)

Er **mag** diesen Menschen nicht **treffen**.

Die beiden **mögen** sich, **verstecht haben**.

ის ვერ იტანს ამ ადამიანს.

ალბათ ორივე დაიმაღა.

Ich mochte ihn nicht sehen.
 Wer mag das wissen?
 Du magst recht haben.
 Möge er seine Heimat mit Gedichten besingen!
 Möge diese Sehensucht in Erfüllung gehen!
 Gut, mag er eintreten!

მე არ მსურდა მისი ნახვა.
 ვის შეეძლო ეს სცოდნოდა?
 შენ იქნებ მართალი ხარ.
 უმღეროს თავის სამშობლოს ლექსებით!
 ეს ოცნება რომ ასრულდებოდა!
 კეთილი. შევიდეს!

möchten-(mögen-ის-Konjunktiv II) - სურვილი, (Wunsch), ზრდილ. თხოვნა, შეკითხვა
 (გამოხატავს ახლანდელ დროს) (höfliche Bitte, Frage)

Ich möchte Sie zum Essen einladen.
 Er möchte hier bleiben.
 Wir möchten jetzt gerne den Nachtsch bestellen.
 Möchten Sie nicht den Kölner Dom besichtigen?
 Wir möchten Ihnen einen Gefallen tun.
 Möchten Sie mir, bitte, folgen?

მინდა სადილად დაგპატიჟოთ.
 მას აქ სურს დარჩენა.
 ჩვენ გვინდა ახლა ჩაროზი შეგიკვეთოთ.
 კიოლნის ტაძარს ხომ არ დაათვალიერებდით?
 ჩვენ გვსურს გასიამოვნოთ.
 შეგიძლიათ გამომყვეთ? (მაგ., თქვენ რაღაც გაინტერესებთ და მე მინდა გაჩვენოთ).

wollen-wollte-gewollt - სურვილი (Wunsch), გადაწყვეტილების მიღება (Entscheidung), განზრახვა (Absicht), გამოწვევა მოქმედებისკენ (Aufforderung), ბრძანება (Befehl), თხოვნა (Bitte), მოლოდინი (Bevorstehen)

Gerhard wollte sie überreden.
 Zu diesem leckeren Essen will ich kein Bier trinken.
 Ich wollte sie gestern zum Abendessen einladen.
 Sie wollte alles ganz genau wissen.
 Nestan will Chinesisch lernen.
 Wir wollen nach Japan fliegen.
 Wollen wir dieses Jahr an die Nordsee reisen!
 Wollt ihr antworten!
 Wollen Sie mir Bitte helfen!
 Es will Morgen werden.
 Willst du nicht dein Deutsch verbessern?
 Wir haben (hatten) lesen wollen.
 Ich habe (hatte) das Haus bauen wollen.

გერჰარდს სურდა აზრი გადაეთქმევინებინა.
 ასეთ გემრიელ კერძთან არ მინდა ლუდის დაღვევა.
 მე მინდოდა გუშინ მისი ვახშმად დაპატიჟება.
 მას სურდა, ყველაფერი ზუსტად სცოდნოდა.
 ნესტანს სურს ჩინურის სწავლა.
 ჩვენ განვიზრახეთ იაპონიაში გამგზავრება.
 მოდით, წელს ბალტიის ზღვაზე გავემგზავროთ!
 თქვენ პასუხი უნდა აგოთ!
 დამეხმარეთ, თუ შეიძლება!
 მალე ირიყრაყებს.
 არ გსურს უკეთ ისწავლო გერმანული?
 ჩვენ კითხვა გვინდოდა.
 მე მინდოდა სახლის აშენება.

sollen-sollte-gesollt - გარეგანი აუცილებლობა (Notwendigkeit), შეთავაზება (Angebot), დავალება (Auftrag), მოლოდინი (bevorstehen), მოვალეობა (moralisch verpflichtet sein), ბედისწერით მოწეული (schicksalhaft sein), ვარაუდი (vermutung)

Der Arzt sagt, ich soll nicht rauchen.
 Aber was (sonst) sollte Julian tun?
 Sollen wir etwas dazu sagen?
 Sie sollen einen Schatz bewachen!

ექიმმა მითხრა, რომ არ (უნდა) მოვწიო.
 სხვა რა უნდა ექნა იულიანს?
 ვთქვათ ჩვენ რაიმე ამის შესახებ?
 მათ განძი უნდა დაიცვან!

Soll ich das Fenster **schließen**?
 Du **sollst nicht lügen**!
 Er **hat (hatte) sofort nach Hause kommen sollen**.
 Er **sollte Georgien nie wieder verlassen**.

დავბურო ფანჯარა?
 არ უნდა იცრუო!
 ის მაშინვე შინ უნდა დაბრუნებულიყო.
 მას საქართველო აღარასოდეს არ უნდა
 დაეტოვებინა.

Die Wohnung **soll mindestens vier Zimmer haben**.
 Man sagt, diese alte Frau **soll ihr ganzes Geld
 einer Nachbarin vererbt haben**.

ბინა, სულ ცოტა, 4 ოთახისგან უნდა შედგებოდეს.
 ამბობენ, ამ მოხუცმა ქალმა მთელი თავისი
 ფული მეზობელ ქალს დაუტოვაო
 მემკვიდრეობით.

• **müssen-musste-gemusst** – კატეგორიული, შინაგანი აუცილებლობა (Notwendigkeit), ვარაუდი (Vermutung)

Sie **müssen** in Kassel **umsteigen**.
 Ich **musst** heute etwas länger **arbeiten**.
 Er **musst** jetzt eine kurze Pause **machen**.
 Mit 16 **musste** ich im Haushalt **helfen**.
 Du **musst** dein Deutsch **verbessern**.
 Ich **musst** Ihnen **danken**.
 Rudi **verspätete** sich, weil er zum Arzt **hatte
 gehen müssen**. (პირდ. წყობა)
 Der Autofahrer **musst** eingeschlafen **gewesen sein**.
 Jonas **musst** jetzt Psalme **lesen**.
 Ich **habe (hatte)** Geige **lernen müssen**.

თქვენ კასელში უნდა გადაჯდეთ.
 მე დღეს ცოტა მეტხანს უნდა ვიმუშაო.
 მან ახლა ხანმოკლე შესვენება უნდა გააკეთოს.
 16 წლისა ოჯახს უნდა დავხმარებოდი.
 შენ გერმანული უკეთ უნდა ისწავლო.
 მე მადლობა უნდა გადაგიხადოთ.
 რუდიმ დააგვიანა, რადგან ის ექიმთან
 უნდა წასულიყო (ანუ წავიდა).
 მძღოლს ალბათ ჩაეძინა.
 იონასი ახლა ფსალმუნებს უნდა კითხულობდეს.
 მე ვიოლინო უნდა მესწავლა.

• **lassen - ließ - gelassen** - გამოძახება (veranlassen), ნების დართვა, (erlauben), მოთმინება (dulden), შესაძლებლობა (möglich sein), იძულება (zwingen), გამოწვევა (auffordern)

Ich **lasse (ließ)** den Arzt **kommen**.
 Der Hund **lässt** sich alles **gefallen**.
 Darüber **lässt** sich **reden**!
 Ich **habe (hatte)** ihn lange **warten lassen**.
Lass (Lasst) uns **anfangen**!

მე ვიძახებ ექიმს (გამოვიძახე ექიმი).
 ძაღლი ყველაფერს ითმენს.
 ამაზე შეიძლება საუბარი!
 მე მას დიდხანს ვაცდევინე.
 მოდი, დავიწყოთ!

(sich lassen – გამოწვევა ქმედებისაკენ, დაშვება – “lässt sich,” “lasst uns”=რეფლექსური ზმნაა.
 (იხ. Reflexive Verben 4.9).

4.7.5 მოდალური ზმნები – წყვილები (Partnermodalverben)

ერთი მოდალური ზმნით დასმულ კითხვას პასუხი შეიძლება მეორე მოდალური ზმნით გაეცეს; ეს პასუხი უმეტესად საპირისპირო აზრს გამოხატავს.

•

können ----->müssen

Kann ich die Rechnung auch mit Kreditkarte bezahlen?	Nein, Sie müssen in bar zahlen.
შემიძლია საკრედიტო ბარათითაც გადავიხადო?	არა, ნაღდი ფული უნდა გადაიხადოთ.
Können wir jetzt fahren?	Nein, wir müssen noch warten.
შეგვიძლია ახლა გავემგზავროთ?	არა, ჩვენ კიდევ უნდა მოვიცადოთ.
Kann Herr Rabius hier wohnen?	Nein, er muss ins Hotel gehen.
შეუძლია ბატონ რაბიუსს, აქ იცხოვროს?	არა, ის სასტუმროში უნდა წავიდეს.
Können Sie hier in Ebersberg bleiben?	Nein, ich muss morgen weg.
შეგიძლიათ აქ, ებერსბერგში დარჩენა?	არა, ხვალ უნდა წავიდე.

•

wollen ----->möchten (mögen)

Wollt ihr heute einen Ausflug machen?	Nein, wir möchten musizieren.
გინდათ ექსკურსიაზე წასვლა?	არა, ჩვენ უნდა დავუკრათ (ვიმეცადინოთ).
Will Thomas fernsehen?	Nein, er möchte ausgehen.
სურს ტომასს ტელევიზორის ყურება?	არა, მას გავლა უნდა.
Was wollen Sie heute machen?	Ich möchte heute eine schöne Party geben.
რა გინდათ დღეს გააკეთოთ?	მე მინდა პატარა წვეულება მოვაწყო.
Willst du sie heiraten?	Nein, ich möchte unabhängig sein.
გინდა მასზე დაქორწინდე?	არა, მე მინდა დამოუკიდებელი ვიყო.
აგრეთვე: Wir möchten nach Paris fliegen. (Präsens)	ჩვენ გვინდა პარიზს გამგზავრება.
Wir wollten nach Paris fliegen,	ჩვენ გვინდოდა პარიზს გამგზავრება,
aber wir hatten zu wenig Geld. (Präteritum)	მაგრამ ფული არ გვყოფნიდა. (ძალიან ცოტა ფული გვქონდა).

•

dürfen -----> sollen

Dürfen wir auf den Ausflug mitfahren?	Nein, ihr sollt hier bleiben.
შეიძლება ჩვენც გამოგვეთ ექსკურსიაზე?	არა, თქვენ უნდა დარჩეთ.
Darf Lukas heute zum Schwimmen gehen?	Nein, er soll seinen kranken Freund besuchen.
შეიძლება ლუკა საცურაოდ წავიდეს?	არა, მან თავისი ავადმყოფი მეგობარი უნდა მოინახულოს.
Dürfen wir jetzt ausgehen?	Nein, ihr sollt die Wohnung aufräumen.
შეიძლება ახლა გავიაროთ?	არა, თქვენ ბინა უნდა დაალაგოთ.

4.7.6 მთავარი ზმნები მოდალური ფუნქციით (Vollverben im Modalverbgebrauch)

ზმნები: **sehen** **hören**, **helfen**, **heißen** – წინადადებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამხმარე ზმნები. Infinitiv-ი "zu"-ს გარეშე დგას აქაც ბოლოში.

Präsens: Ich **sehe** die Kinder Fußball **spielen** (მე ვუყურებ ბავშვების თამაშს)

და ა.შ

Präteritum: Wir **sahen** die Kinder Fußball **spielen**.

Perfekt: Du **hast** die Kinder Fußball **spielen** **sehen**.

Plusquamperfekt: Ihr **hattet** die Kinder Fußball **spielen** **sehen**.

Futur I: Er **wird** die Kinder Fußball **spielen** **sehen**.

აგრეთვე:

„Heiß mich, nicht **reden!**“ (Goethe)

„მამყოფე მდუმარებაში!“ (არ მსურს ლაპარაკი!)

Er **half** mir Geschirr **waschen**.

იგი დამეხმარა ჭურჭლის გარეცხვაში.

Sie **haben** (hatten) den Vater im Garten **arbeiten** **sehen**.

მათ დაინახეს ბაღში მომუშავე მამა.

Sie **haben** (hatten) Bachs Musik **erklingen** **hören**.

მათ მოესმათ ბახის მუსიკა.

4.7.7 brauchen+zu+Infinitiv-ი “müssen”-ის მნიშვნელობით (Umschreibung von “müssen” mit brauchen+zu+Inf.)

ეს კონსტრუქცია გამოიყენება მეტწილად უარყოფის გამოხატველ წინადადებებში და ქართულ ენაზე ითარგმნება: 'არ არის საჭირო'. უახლოვდება მოდალურ ზმნას **müssen**, გამოხატავს შერბილებულ აუცილებლობას (gemilderte Notwendigkeit).

Sie **brauchen** nicht mehr auf den
Rechtsanwalt zu warten.

აღარ არის საჭირო, ადვოკატს
დაელოდოთ.

(ანუ: Sie **müssen** nicht mehr auf
den Rechtsanwalt warten).

(ანუ: თქვენ აღარ უნდა
დაელოდოთ ადვოკატს).

Du **brauchst** nicht von
jemandem abhängig zu sein.

არ არის საჭირო (არ უნდა იყო)
ვინმეზე იყო დამოკიდებული.

Das **brauchst** du nicht zu tun.

შენ არ გჭირდება ამის გაკეთება

Er **braucht** die Vokabeln nicht zu können.

მას არ სჭირდება სიტყვების ცოდნა.

Wir **haben** die Regeln nicht

ჩვენ არ გვჭირდება

auswendig zu können brauchen.

წესების ზეპირად ცოდნა.

4.7.8 მოდალური ზმნა + Infinitiv II (sein-ით Modalverb+Infinitiv II mit sein)

ეს კონსტრუქციაც გამოხატავს ვარაუდს, მოსაუბრის მოსაზრებას იმ ფაქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში. ერთსა და იმავე წინადადებაში სხვადასხვა მოდალური ზმნა არ ცვლის შინაარსს:

• können, mögen, dürfen - დაშვება

Er **kann** einst ein guter Bariton **gewesen sein**.

ის, შესაძლოა, ოდესმე კარგი ბარიტონი იყო.

Er **mag** einst ein guter Bariton **gewesen sein**.

ის, შესაძლოა, ოდესმე კარგი ბარიტონი იყო.

Er **dürfte** einst ein guter Bariton **gewesen sein**.
(Konjunktiv)

ის, შესაძლოა, ოდესმე კარგი ბარიტონი იყო.

• wollen – დაეკვება გამოთქმული აზრის მიმართ.

Er **will** einst ein guter Bariton **gewesen sein**.

მას სურს დაგვარწმუნოს, რომ იგი ოდესმე
კარგი ბარიტონი იყო.

- **sollen** – მოსაუბრე არ ადასტურებს III პირის გამონათქვამს.

Er soll einst ein guter Bariton gewesen sein. ამზობენ, ის ოდესღაც კარგი ბარიტონი იყო.

- **müssen** – მოსაუბრე ადასტურებს სხვის გამონათქვამს.

Er muss einst ein guter Bariton gewesen sein. ის ოდესღაც მართლაც კარგი ბარიტონი უნდა ყოფილიყო.

4.7.9 მოდალური ზმნა + უპირო ნაცვალსახელი „man“ (Modalverben + unpersönliches Pronomen „man“)

მოდალური ზმნა გვხვდება აგრეთვე განუსაზღვრელ ნაცვალსახელთან man, ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას და ქართულ ენაზე ითარგმნება შემდეგნაირად:


man kann...	შესაძლებელია (შეიძლება)...
man kann nicht...	შეუძლებელია (არ შეიძლება)...
man darf...	ნებადართულია...
man darf nicht...	არ არის ნებადართული...
man soll...	საჭიროა (უნდა)...
man soll nicht...	არ არის საჭირო (არ უნდა)...
man muss...	საჭიროა (უნდა)...
man muss nicht...	არ არის საჭირო (არ უნდა)...

Man kann nicht alles haben. შეუძლებელია ყველაფრის ქონა.
 Man soll immer die Wahrheit sagen. ყოველთვის სიმართლე უნდა ითქვას.

4.7.10 ზმნა “lassen“ (Das Verb “lassen“)

4.7.10.1 “lassen“ თავსართებით (“lassen“ mit Vorsilben)

- ა. როგორც მოუცილებადთავსართიანი ზმნა (als fest zusammengesetztes Verb)
- ბ. როგორც მოცილებადთავსართიანი ზმნა (als nicht fest zusammengesetztes Verb)



Infinitiv I (მოუცილებადი untrennbar)	Infinitiv I (მოცილებადი trennbar)
hinterlassen – უკან მოტოვება (კვალის დატოვება)	anlassen – ჩართვა, ამუშავება.
entlassen – დათხოვა (სამსახურიდან)	nachlassen – შემცირება, დათმობა (ფასში)
überlassen – დათმობა, ნდობა.	auslassen – გამოტოვება (უნებლიედ)
verlassen – დატოვება, მიტოვება	weglassen – გამოტოვება (განზრახ)
belassen – დატოვება პირვანდელ მდგომარეობაში	freilassen – გათავისუფლება
zerlassen – გადნობა	zulassen – დატოვება დაკეტილ მდგომარეობაში
erlassen – გამოცემა, პატიება	stehenlassen – შედგომა (გაჩერება).
Unser Chef hat viele Angestellte entlassen. ჩვენმა უფროსმა ბევრი თანამშრომელი გაათავისუფლა.	Herr Bauer lässt den Automotor an. ბატონი ბაუერი მანქანის მოტორს რთავს.
Die Hoffnung verläßt sie. იმედმა მიატოვა იგი.	Martin ließ den Schmetterling frei. მარტინმა გაუშვა პეპელა.
Wir können Ihnen einige der Bücher überlassen. ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი წიგნი დაგითმოთ.	Du hast eine Seite ausgelassen. შენ ერთი გვერდი გამოტოვე (გამოგრჩენია).
Wer erläßt die Gesetze? ვინ გამოსცემს კანონებს?	Lass die Tür zu! დატოვე კარი დაკეტილი!

4.7.10.2 "lassen" წინადადებაში ("lassen" im Satz)

ზმნა "lassen" წინადადებაში გვხვდება როგორც დამოუკიდებელი, ასევე მოდალური (დამხმარე) ზმნის სახით, მეორე ზმნის Infinitiv-თან ერთად ნაწილად "zu"-ს გარეშე, წინადადების ბოლოში.

Lassen (ließ-gelassen)-ს გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა:

- დამოუკიდებელი ზმნის სახით (als Vollverb)
 - ა. დატოვება
Sie ließ ihr Kind keinen Moment aus den Augen.
ის წუთით არ ტოვებდა ბავშვს უყურადღებოდ (თვალს არ ამორებდა).
 - ბ. შეწყვეტა
Lass diese Scherze! (ბრძ. კილო.მხ.რ.)
შეწყვიტე ასეთი ხუმრობა!
 - მოდალური ზმნის სახით (als Modalverb)
 - ა. ნებართვა/შესაძლებლობის მიცემა, დავალება
Lass mich eine Radtour durch Irland machen!
Der Vater lässt seinen Sohn im Garten arbeiten.
ნება მომეცი, ველოტური მოვაწყო ირლანდიაში!
მამა თავის ვაჟიშვილს ბაღში ამუშავებს.
 - ბ. იძულება (მსუბუქი)
Mein Lehrer lässt mich von früh bis spät üben.
მასწავლებელი „მაიძულებს“, დილიდან საღამომდე ვივარჯიშო. (ვიმეცადინო)
 - გ. ბრძანება (სუსტი)
Der König Barbarossa ließ die Bürger Fremdsprachen erlernen.
მეფემ ბრძანა, ხალხს უცხო ენები შეესწავლა.
 - დ. დაშვება
Ich lasse Sie nicht beleidigen!
მე თქვენ არ გაწყენინებთ!

- **Lasst** (მრავლობითი რიცხვის მეორე პირის Imperativ)+ნაცვალსახელი **uns (Akk)+ Infinitiv**-ს გააჩნია წაქეზების, შეგულიანების მნიშვნელობა:
Lasst uns gehen! (Gehen wir!) აბა, წავედით!
- **Lassen+sich** (უკუქცევითი ნაცვალსახელი) **Dativ ან Akkusativ** ბრუნვაში+**Infinitiv** აღნიშნავს მოქმედების აღსრულების შესაძლებლობას ან პირიქით:
Du hast dir die Haare schneiden lassen. შენ თმა შეაჭრე.
Ich lasse mich nicht ausnutzen! მე არ დავანებებ ჩემს (ბოროტად) გამოყენებას.

4.7.11 კონსტრუქცია **Infinitiv+ მოდალური ზმნის Infinitiv-ი "zu"-თი** (**Infinitiv+Infinitiv des Modalverbs mit "zu"**)

როდესაც საუბლებელი ზმნა არის თვითონ **Infinitiv "zu"-თი**, მაშინ ეს ნაწილაკი **"zu"** გადადის მოდალურ ზმნასთან:

- | | |
|---|---|
| Wir hoffen, ihn überreden zu können. | ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ გადავათქმევინოთ. |
| Es ist nicht leicht, für alte Leute mehrmals umziehen zu müssen. | ადვილი არ არის მოხუცებისათვის, საცხოვრებელი ადგილის მრავალჯერ ცვლა. |
| Es ist doch schön, nicht jeden Tag um sechs aufstehen zu müssen. | ხომ მშვენიერია, როცა ყოველდღე ექვს საათზე ადგომა არ გჭირდება. |
| Ich habe die Hoffnung, ihn besuchen zu dürfen. | ვიმედოვნებ, მასთან სტუმრობის ნებას დამრთავენ. |

- განვასხვავოთ:

- | | |
|---|---|
| ზმნა Infinitiv "zu"- თი | |
| Wir hoffen ihn zu überreden. | ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მას გადავათქმევინებთ. |
| მოდალური ზმნა Infinitiv "zu"-ს გარეშე | |
| Wir können ihn überreden. | ჩვენ შეგვიძლია მას გადავათქმევინოთ. |
| ზმნის Infinitiv-ს+მოდალური ზმნის Infinitiv-ი "zu"-თი | |
| Wir hoffen, ihn überreden zu können. | ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ გადავათქმევინოთ. |

4.8 რთული ზმნები (Zusammengesetzte Verben)

4.8.1. ზმნის თავსართები (Vorsilben und Bestimmungswörter der Verben) *

გერმანულ ენაში ზმნას გააჩნია თავსართები:

- მოუცილებადი (nicht von Verben trennbare Vorsilben) –**be-,ver-** და ა.შ
- მოცილებადი (von Verben trennbare Bestimmungswörter) –**an,-auf-** და ა.შ.
- ხან მოცილებადი და ხან მოუცილებადი (bald von Verben trennbare, bald untrennbare Bestimmungswörter) **wieder – wieder –**

პირველი ჯგუფი-უმახვილო (**unbetont**)

მეორე ჯგუფი – მახვილიანი (**betont**)

მესამე ჯგუფი – ხან მახვილიანი, ხან უმახვილო (**bald betont, bald unbetont**)

თუ მახვილი თავსართს ეცემა, ზმნა მოცილებადათავსართიანია, და პირიქით, თუ მახვილი ზმნის ძირითად ნაწილს ეცემა, ზმნა მოუცილებადათავსართიანია. ქართული ენისაგან განსხვავებით, სადაც ზმნისწინი მხოლოდ მოქმედების მიმართულებაზე მიგვანიშნებს (ჩადის↓, ადის↑ და სხვა), გერმანულ ენაში, უმეტესად, ზმნის მნიშვნელობა იცვლება თავსართის ცვლასთან ერთად. (bekommen – მიღება; ankommen – (ჩამოსვლა). ზოგ შემთხვევაში თავსართი მოქმედების მიმართულებაზეც მიგვანიშნებს (hinlaufen → გაქცევა; herlaufen ← გამოქცევა): (იხ. 4.1.1.3.)

* Vorsilbe – „წინამარცვალი“, Bestimmungswort – „განმსაზღვრელი სიტყვა“, რადგან ქართული ენის გრამატიკაში ამ ცნებებს შესატყვისი არ გააჩნია, თარგმნილია სიტყვასიტყვით. „Vorsilbe“ არის თავსართ-ზმნის უთარგმნელი ნაწილი; „Bestimmungswort“ – თავსართი, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა (წინდებული, ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, ზმნა და სხვა).

4.8.1.1 მოუცილებადი თავსართები (Nicht vom Verb trennbare Vorsilben)

მოუცილებადი თავსართებია (Vorsilben):

be-, ge-, er-, ver-, zer-, ent-, emp-, miss-, ყოველთვის უმახვილო (immer unbetont)
ყველა თავსართს გააჩნია რამდენიმე ფუნქცია, გარდა miss და zer- პრეფიქსებისა.

be – პრეფიქსი აწარმოებს ისეთ ზმნებს, რომელთა ფუძე არსებითი, ზედსართავი სახელი ან ზმნაა. იგი სხვადასხვა სემანტიკურ (შინაარსობრივ) ფუნქციას ასრულებს:

ა. აძლიერებს ზმნის მნიშვნელობას, მაგრამ არსებითად არ ცვლის მას; ბ. ცვლის მის შინაარსს. be – სუფიქსიანი ზმნა უმეტესად გარდამავალია; ასეთი ზმნის მოქმედება მიმართულია საგანზე (beflügeln der Flügel – ფრთა, ფრთის შესხმა); გამოხატავს დამატებას (besohlen – (die Sohle-ფეხსაცმლის ძირი-ფეხსაცმელზე ძირის დამაგრება).

beängstigen – დაშინება (ängstigen - შიში)
bearbeiten – დამუშავება (arbeiten - მუშაობა)
besuchen – მონახულება, სიარული (suchen - ძებნა)
sich begeben – გამგზავრება (geben - მიცემა)
behalten – დახსომება, დაჭერა (halten - ჭერა, შეჭერება)

და ა.შ.

ge – აძლიერებს ზმნის ძირითად მნიშვნელობას. გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას:

gefrieren – მთლიანად გაყინვა (frieren - ყინვა)
gefallen – მოწონება (fallen - დაცემა)
gehörchen – დამორჩილება (horchen - დაყურადება)
gehören – მიკუთვნება (მიეკუთვნება) (hören - მოსმენა)
gewähren – დაკმაყოფილება (währen – გაგრძელება (დროის)

და ა.შ.

er – პრეფიქსიანი ზმნა გამოხატავს მოქმედების დაწყების და დამთავრების პროცესს; მდგომარეობის შეცვლას:

erblühen – გაყვავება (blühen - ყვავილობა)
erleben – განცდა, გადატანა (leben - ცხოვრება)
erklingen – გაჟღერება (klingen – რეკვა, ჟღერა)

erwerben – შეძენა, მოპოვება (**werben** – დაწინდვა, ზედამხედველობის ქვეშ მოქცევა)

erstaunen – გაოცება (**staunen** - გაოცება)

erforschen – გამოკვლევა (**forschen** - კვლევა)

erheben – აღმართვა (**heben** - აღმართვა)

erblicken – დანახვა (**blicken** - ხედვა)

ermüden – დაღლა (**müde** - დაღლილი)

erblinden – დაბრმავება (**blind** - ბრმა)

და ა.შ.

ver – პრეფიქსიანი ზმნა ხშირად გამოხატავს – მოქმედების სრულყოფას; მდგომარეობის შეცვლას; აძლიერებს ძირითადი ზმნის შინაარსს: რეფლექსური ზმნა (ნაცვ. „sich“-ით) მიუთითებს მოქმედების უარყოფით მნიშვნელობაზე;

verheilen – განკურნება (**heilen** - მკურნალობა)

verstecken – დამალვა (**stecken** - შერჭობა)

verdecken – გადაფარება (**decken** - დაფარება)

verschlagen – დაჭედება (**schlagen** - დარტყმა)

verstehen – გაგება (**stehen** - დგომა)

verbergen – დაფარვა (**bergen** – დაფარვა/გადარჩენა)

vertreiben – განდევნა (**treiben** – დევნა, წევა (ეწევა))

verstummen – დამუნჯება (**stumm** - მუნჯი)

vertrocknen – გამოშრობა (**trocknen** - გაშრობა)

versprechen – დაპირება (**sprechen** - ლაპარაკი)

sich versprechen – წამოცდენა (**sprechen** - ლაპარაკი)

და ა.შ.

zer – პრეფიქსიანი ზმნა გამოხატავს დანაწევრებას, დაყოფას, დაშლას, განადგურებას:

zerfließen – გადაწურვა (მაგ. იმედის) (**fließen** - დინება)

zerstören – დანგრევა (**stören** - ხელის შეშლა)

zerbrechen – დამსხვრევა (**brechen** - მსხვრევა)

zerlegen – დაშლა (**legen** - დადება)

zergliedern – დაყოფა, დანაწევრება (**gliedern** – დაყოფა)

zerreißen – გაგლეჯა (**reißen** - გლეჯა)

zerteilen – დაყოფა ნაწილებად (**teilen** - გაყოფა)

და ა.შ.

ent – პრეფიქსი ძირითად ზმნას აძლევს საპირისპირო მნიშვნელობას. აღნიშნავს მოქმედების საწყის პროცესს, გამოხატავს განშორებას, განცალკევებას:

entbinden – მოხსნა, უარის თქმა (**binden** - შეკვრა)

entkommen – გაქცევა (**kommen** - მოსვლა)

entfärben – გაუფერულება (**färben** – ფერის მიცემა)

entfernen – განშორება, მოცილება (**fern** - შორეული)

entbrennen – ცეცხლის გაჩენა (**brennen** - წვა)

enthaltan – მოცვა (მოიცავს) (**halten** - გაჩერება, დაჭერა)

enttäuschen – იმედის გაცრუება (tauschen - გადაცვლა) (täuschen – გაცურება, მოტყუება)

და ა.შ.

emp – პრეფიქსი აწარმოებს სამ ზმნას:

empfinden – შეგრძნება (finden - პოვნა)

empfehlen – რჩევა, შეთავაზება (fehlen - კლება)

empfangen – მიღება (fangen - დაჭერა)

და ა.შ.

miss – პრეფიქსი ძირითად ზმნას აძლევს უარყოფით მნიშვნელობას ანუ მასთან ერთად ქმნის ანტონიმებს. ასეთი ზმნა გამოხატავს მოქმედების წარუმატებლობას, შეუსრულებლობას:

missverstehen – გაუგებრობა (verstehen - გაგება)

missbrauchen – ბოროტად გამოყენება (brauchen - გამოყენება)

missfallen – დაწუნება (gefallen - მოწონება)

misstrauen – უნდობლობა (trauen - ნდობა)

და ა.შ.

4.8.1.2 მოცილებადი თავსართები (Vom Verb trennbare Bestimmungswörter)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავსართი (Bestimmungswort) მოცილებადია, თუ მას ეცემა სიტყვის მახვილი. უმეტესობა მოცილებადი თავსართებისა არის წინდებული ან ზმნიზედა. ასეთი თავსართი ზმნის მნიშვნელობას ამრავალფეროვნებს. თავსართი – წინდებული და თავსართი – ზმნიზედა ძირითადად ცვლის ზმნის თავდაპირველ მნიშვნელობას, ზოგ შემთხვევაში მიგვანიშნებს მხოლოდ მოქმედების მიმართულებაზე და არ ცვლის ზმნის შინაარსს:

მოცილებადი თავსართებია (Bestimmungswörter) -

წინდებულები: ab, an, auf, bei, aus, ein, mit, nach, vor, zu

და ა.შ.

ზმნიზედები: entgegen, her, (heran, herab, herauf) hin (hinaus, hinauf), fort, wieder, zurück, fehl

და ა.შ.

არსებობს თავსართები (Bestimmungswörter), რომლებიც შეიძლება იყოს ზედსართავი ან არსებითი სახელი და ზმნა (იხ. 4,1,1,3.)

ა. თავსართი - წინდებული (Präposition als Bestimmungswort)

ab – თავსართიანი ზმნა გამოხატავს მოქმედების დაწყებას, განცალკევებას, დაშორებას, გადახვევას, აცილებას, ჩამოტანას (ჩამოზიდვას).

abreißen – მოგლეჯა

abfahren – გამგზავრება

ablehnen – უარის თქმა, თავიდან აცილება

abfliegen – გაფრენა (გამგზავრება)

abladen – ჩამოტვირთვა

და ა.შ.

an – თავსართიანი ზმნა გამოხატავს მოქმედების დაწყებას, მოქმედების მიმართვას ობიექტზე.

anfangen – დაწყება

antreten – საქმის დაწყება (საქმეს შეუდგა)

anbinden – მიბმა

anrufen – დარეკვა

ankommen – (ჩა)მოსვლა

და ა.შ.

auf – თავსართიანი ზმნა ძირითადად გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ზევითკენ.

aufheben – აღმართვა

aufführen – დადგმა (სცენაზე)

aufgehen – აღმასვლა

aufblühen – აყვავება

aufstehen – ადგომა

და ა.შ.

bei – თავსართიანი ზმნა გამოხატავს სივრცობრივ სიახლოვეს, დასწრებას, დამატებას.

beiwohnen – დასწრება, მონაწილეობის მიღება

beistehen – გვერდით დგომა

beifügen – თანდართვა

და ა.შ.

aus – თავსართიანი ზმნა გამოხატავს მოქმედების მიმართულებას შიგნიდან გარეთ, მოქმედების დასრულებას.

ausladen – გადმოტვირთვა

ausgehen – გასვლა, ამოწურვა

ausverkaufen – გაყიდვა (მთლიანად)

და ა.შ.

ein – თავსართიანი ზმნა გამოხატავს მოქმედების მიმართულებას გარედან შიგნით, გარემოცვას.

eintreten – შესვლა

einwickeln – შეხვევა, შეფუთვა

და ა.შ.

mit – თავსართიანი ზმნა გამოხატავს ერთდროულ მოქმედებას, თანხლებას.

mitarbeiten – თანამშრომლობა

mitfahren – ერთად გამგზავრება

mitbekommen – მიღება, შეძენა

და ა.შ.

nach – თავსართიანი ზმნა გამოხატავს მიყოლას, კვალში ჩადგომას, გამეორებას, მიბაძვას.

nachfolgen – გაყოლა, დადევნება

nachsprechen – ლაპარაკის განმეორება

nachdenken – მოფიქრება, გააზრება

nachahmen – მიბაძვა

და ა.შ.

vor – თავსართიანი ზმნა გამოხატავს მოქმედებას მიმართულებით - „წინ“, წინ გაძლოლას, წარდგენას.

vorrücken – წინ გაწევა.

vorlaufen – გასწრება

vorschlagen – შეთავაზება

და ა.შ.

zu - თავსართიანი ზმნა გამოხატავს მოქმედებას, მიმართულს ობიექტისაკენ; დახურვას, დამატებას.

zustimmen - დათანხმება

zurufen - დაძახება

zusehen - ყურება (რაღაცის)

zumachen - დახურვა

zusetzen - დამატება

და ა.შ.

ბ. თავსართი-ზმნიზედები (Adverbiale Bestimmungswörter)

entgegen - გამოხატავს საპირისპირო, შემხვედრ მოქმედებას.

entgegenkommen - შემხვედრი მოძრაობა

entgegensehen - ყურება წინ (რაღაცის წინაშე დგომა)

entgegenhandeln - უკუქმედება

და ა.შ.

her - გამოხატავს მოქმედების მიმართულებას მოსაუბრისაკენ: (აქეთ)



herkommen - მოსვლა

herauf kommen - ამოსვლა

herabkommen ჩამოსვლა

herunterkommen ჩამოსვლა

hereinkommen შემოსვლა

herauskommen გამოსვლა

hin - გამოხატავს მოქმედების მიმართულებას მოსაუბრისაგან: (იქით)



hingehen - წასვლა

hinaufgehen - ასვლა

hinabgehen ჩასვლა

hinuntergehen ჩასვლა

hineingehen შესვლა

hinausgehen გასვლა

fort - მოქმედება აქედან იქით

fortgehen - წასვლა

fortnehmen - წაღება (წართმევა)

wieder - განმეორებადი მოქმედება

wiedersehen - მეორედ ნახვა

wiederkommen - ხელახლა მოსვლა

zurück - მოძრაობა, მოქმედება „უკან“

zurückkehren - დაბრუნება (შინ)

zurückgeben - დაბრუნება (მიცემა)

fehl - გამოხატავს ამაო ქმედებას

fehlgehen - გზას აცდენა

fehlschlagen - მიზანს დაშორება

შენიშვნა (Anmerkung): არსებობს ზმნის თავსართი-ზმნიზედა (adverbiales Bestimmungswort), რომელიც უმახვილოა. ასეთი თავსართით შედგენილი რთული ზმნა უღლებისას თავსართმოუცილებელია (untrennbar) ისევე, როგორც თავსართმოუცილებელი ზმნები (Verben mit fest zusammengesetzten Vorsilben): (bestehen, geschehen და სხვა).

hinter - hinterlassen - დაბარება, მემკვიდრეობის დატოვება

hintergehen - უკუსვლა და სხვა.

wider - widerrufen - უარყოფა

widersprechen - წინააღმდეგ წასვლა და სხვა.

გ. თავსართი-ზედსართავი სახელები (Adjektivische Bestimmungswörter)

- gut – gutheißen – თანხმობა, მოწონება
guttun – სიკეთის კეთება
groß – großziehen – აღზრდა, მცენარის გაზარება
frei – freisprechen – გამართლება
freilassen – გათავისუფლება
schön – schön schreiben – მხატვრულად წერა
weit – weitspringen – სიგრძეზე ხტომა

დ. თავსართი – არსებითი სახელები (Substantivische Bestimmungswörter)

- Rad – radfahren – ველოსიპედით მოძრაობა
Teil – teilnehmen – მონაწილეობის მიღება
teilhaben – მონაწილეობა, გაზიარება
Dank – dank sagen – მადლობის გადახდა

ე. თავსართი – ზმნები (Verbale Bestimmungswörter)

- stehen – stehen lassen – მიტოვება
stehenbleiben – შეჩერება
liegen – liegen lassen – უკუგდება, მივიწყება
kennen – kennenlernen – გაცნობა

ვ. თავსართები – მრავალნაწილიანი (Mehrteilige Bestimmungswörter)

არსებობს რთული ზმნის შემადგენელი ნაწილი – ერთი ან რამდენიმე სიტყვა, რომელიც მას განსაზღვრავს და ძირითადი ზმნისაგან განცალკევებულად დგას:

- in Betrieb setzen – საქმეში ჩაბმა
zu Grunde gehen – დაღუპვა (ფსკერისაკენ დაშვება)

4.8.1.3 ხან მოცილებადი ხან მოუცილებადი თავსართები
(Bald von Verben trennbare, bald untrennbare Bestimmungswörter)

ერთი და იგივე თავსართი შეიძლება იყოს მოცილებადი ან მოუცილებადი იმის მიხედვით, სად ეცემა მახვილი – თავსართზე თუ ზმნის ძირითად ნაწილზე. თუ მახვილი ზმნას თავსართზე ეცემა, იგი მოცილებადია (trennbar) და პირიქით, თუ მახვილი ზმნას ძირითად ნაწილზე მოუდის, თავსართი მოუცილებადია (untrennbar).

- wieder → wiederholen – ხელახლა მოტანა
wiederholen – გამეორება
über → übersetzen – გადაყვანა (მაგ, ერთი ნაპირიდან მეორეზე)
übersetzen – თარგმნა
um → umschreiben – გადაწერა
umschreiben – აღწერა
durch → durchfahren – გავლა (ტრანსპორტით)
durchfahren – დავლა (დაივლის)
unter → unterstellen – ქვეშ მოთავსება
unterstellen – დაქვემდებარება

და ა.შ.

4.8.2 რთული ზმნები წინადადებაში (Zusammengesetzte Verben im Satz)

წინადადებაში გარდა ძირეული (მთავარი) ზმნებისა, გვხვდება აგრეთვე რთული (zusammengesetzt) ზმნები. განასხვავებენ მოუცილებადთავსართიან (fest zusammengesetzt) ზმნასა და მოცილებადთავსართიან (nicht fest zusammengesetzt) ზმნას.

- ა. ზმნები უმახვილო თავსართებით თავსართმოუცილებადია (untrennbar). ისინი ისევე იუღლებიან, როგორც მათი ძირეული ზმნები. Partizip II –ს ანუ Partizip Perfekt-ს არ გააჩნია ნიშანი „ge“.

zerreißen – zerrissen – დარღვევა
wiederholen – wiederholt – გამეორება
hintergehen – hintergangen – უკუსვლა
vollbringen – vollbracht – აღსრულება
entscheiden – entschieden – გადაწყვეტა

erkennen – erkannt – ამოცნობა
lieblosen – lieblos – მოფერება
betrinken – betrunken – სმა, დათრობა
widersprechen – widersprochen – წინააღმდეგობის გაწევა
misslingen – misslungen – ვერ მოხერხება

და ა.შ.

Habt ihr die Dame erkannt?
Diese Orange ist völlig vertrocknet.
Wir haben die Vase zerbrochen.
Klischees enthalten viel Wahrheit.
Wir empfangen eine Delegation.
Der Versuch war misslungen.
Das Kind widerspricht dem Vater.
Das Kind widersprach dem Vater.
Es ist vollbracht!

იცანით ეს ქალბატონი?
ეს ფორთოხალი მთლად გამოშრა.
ჩვენ ვაზა გავტეხეთ.
კლიშეები ბევრ სიმართლეს შეიცავენ.
ჩვენ ვიღებთ დელეგაციას.
ცდა არ შედგა (ჩაიშალა)
შვილი ეპასუხება მამას.
შვილი შეეპასუხა მამას.
აღსრულდა!

არსებობს ზოგიერთი ზმნა მახვილიანი თავსართით (mit betontem Bestimmungswort), რომელიც შეიძლება მოუცილებადთავსართიანი (untrennbar) იყოს. ასეთი ზმნა Partizip II-ის ანუ Partizip-Perfekt-ის ნიშან „ge“-ს თავში დაირთავს:

frühstücken → gefrühstückt – საუზმობა
langweilen → gelangweilt – მოწყენა (მობეზრება)

Haben Sie schon gefrühstückt?
Der Vortrag hat mich gelangweilt.

უკვე ისაუზმეთ?
ლექცია მოსაწყენი იყო (ჩემთვის).

- ბ. ყველა დანარჩენი რთული ზმნა მახვილიანი თავსართით (mit betontem Bestimmungswort) არის მოცილებადთავსართიანი (trennbar), ანუ ეს თავსართი სცილდება ძირითად ზმნას Präsens – სა და Präteritum-ში და გადადის წინადადების ბოლოში.

Der Großvater steht um 9 Uhr auf.
Die Großmutter stand um 8 Uhr auf.
Wann fängt der Film an.
Der Film fing um 6 Uhr an.
Ira tritt in die erste Klasse ein.
Ira trat in die erste Klasse ein.
Wir lassen die Ungerechtigkeit nicht zu.
Herr Neumann ließ die Tür zu.

ბაბუა ცხრაზე დგება.
ბებია რვაზე ადგა.
როდის იწყება ფილმი?
ფილმი ექვს საათზე დაიწყო.
ირა პირველ კლასში შედის.
ირა პირველ კლასში შევიდა.
ჩვენ ამ უსამართლობას არ დავუშვებთ.
ბატონმა ნოიშანმა კარები დაკეტა.

ასეთ ზმნას Partizip II-ის ანუ Partizip-Perfekt-ის ნიშანი "ge" მოუდის თავსართსა და ძირითად ნაწილს შორის (zwischen Bestimmungswort und Grundwort):

aufstehen → aufgestanden-ადგომა
 eintreten → eingetreten-შესვლა
 ausgehen → ausgegangen-გასვლა (გარეთ)
 nachgeben → nachgegeben-დათმობა
 freilassen → freigelassen-გათავისუფლება

anfangen → angefangen-დაწყება
 zulassen → zugelassen-დაშვება
 untertauchen → untergetaucht-ჩაყურყუმელავება, გაქრობა
 kennenlernen → kennengelernt-გაცნობა

Sie sind nur ausgegangen.
 Der Dieb ist gestern untergetaucht.
 Christian hat im Streit nachgegeben.
 Florian hatte Brigitte im Cafe kennengelernt.
 Der Richter hat den Übeltäter nicht freigelassen.

ისინი მხოლოდ ცოტა ხნით გავიდნენ.
 ქურდი გუშინ აიყვანეს („ჩაძირეს“)
 ქრისტიანმა დათმო (ჩხუბის დროს).
 ფლორიანმა ფრიგიტი კაფეში გაიცნო.
 მოსამართლემ დამნაშავე არ გაათავისუფლა.

გ. თუ თავსართი-ზმნიზედა ან თავსართი-წინდებული მახვილიანია, ზმნა მოცილება თავსართიანია (trennbar) და ზმნა და თავსართიც ინარჩუნებს თავდაპირველ მნიშვნელობას და პირიქით, თუ თავსართი უმახვილოა, ზმნა მოუცილება თავსართიანია (untrennbar) ზმნაც და თავსართიც კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას:

wiederholen (holte wieder, wiedergeholt) – ხელახლა მოტანა
 wiederholen (wiederholte, wiederholt) – გამეორება

Genaue Infos waren von mir gesammelt worden. (Plusq.)	დეტალური ცნობები შეგროვდა ჩემ მიერ.
Genaue Infos werden von mir gesammelt werden. (Fut. I)	დეტალური ცნობები შეგროვდება ჩემ მიერ.
Genaue Infos werden von mir gesammelt worden sein. (Fut. II)	დეტალური ცნობები შეგროვდება ჩემ მიერ (შეგროვილ იქნება ჩემ მიერ).

ბ. ზმნების გადაყვანა Aktiv-იდან Passiv-ში (Umformung Aktiv ins Passiv)

Aktiv →	Passiv
hat überprüft – ხელახლა გამოსცადა	ist überprüft worden – ხელახლა გამოიცადა
wird überzeugen – მოიფიქრებს, გაიაზრებს	wird überzeugt werden – გააზრებულ იქნება
erkannte...an – აღიარა, ცნო	wurde... anerkannt – აღიარებულ იქნა
hat untersucht – გასინჯა	ist untersucht worden – გაისინჯა
beschloss – გადაწყვიტა	wurde beschlossen – გადაწყდა
hat repariert – შეაკეთა	ist repariert worden – შეკეთდა
machte – გააკეთა	wurde gemacht – გაკეთდა
wird waschen – გარეცხავს	wird gewaschen werden – გაირეცხება
hat bezahlt – გადაიხადა	ist bezahlt worden – გადახდილ იქნა

• წინადადების გადაყვანა Aktiv-იდან Passiv-ში(პირიანი Passiv-ი"von"-ით)(Umformung im Satz)

Aktiv →	Passiv
Der Schauspieler spielt eine Rolle. მსახიობი ასრულებს როლს.	Die Rolle wird von dem Schauspieler gespielt. როლი სრულდება მსახიობის მიერ.
Die Sängerin sang eine Arie. მომღერალმა ქალმა არია იმღერა.	Die Arie wurde von der Sängerin gesungen. არია შესრულებულ იქნა მომღერალი ქალის მიერ.
Seiltänzer haben im Zirkus Kunststücke gezeigt. ჯამბაზებმა (ცირკში) საცირკო ხელოვნება აჩვენეს.	Die Kunststücke sind im Zirkus von den Seiltänzern gezeigt worden. ჯამბაზებმა საცირკო ხელოვნება აჩვენეს
Er wird morgen eine Sendung erhalten. ის ხვალ გზავნილს მიიღებს.	Die Sendung wird morgen von ihm erhalten. გზავნილი მიიღება მის მიერ (ახლა).
Eva (Sie) isst morgens Müsli. ევა დილაობით მიირთმევს მიუსლის.	Morgens wird Müsli von Eva (von ihr)gegessen. მიუსლის მიირთმევს ევა დილაობით.
Wir machen Notizen. ჩვენ ვაკეთებთ ჩანაწერებს.	Die Notizen werden von uns gemacht. ჩანაწერები კეთდება ჩვენ მიერ.
Er fand seine Lieblingsfarbe. მან მიაგნო თავის საყვარელ ფერს	Seine Lieblingsfarbe wurde von ihm gefunden. მან მიაგნო საყვარელ ფერს („მიგნებულ იქნა“)
Der Student beantwortete alle wichtigen Fragen. სტუდენტმა პასუხი გასცა ყველა მნიშვნელოვან კითხვას.	Alle wichtigen Fragen wurden vom Studenten beantwortet. ყველა მნიშვნელოვან კითხვას პასუხი გაეცა სტუდენტის მიერ.

- Aktiv-ში განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „man“ იცვლება Passiv-ის წინადადებაში უპირო ნაცვალსახელით „es“. ამასთან, „es“ დგას ყოველთვის წინადადების დასაწყისში. „es“ იკარგება საერთოდ, თუ იგი წინადადების პირველ ადგილზე არ დგას. მნიშვნელობა რჩება უცვლელი.

Aktiv	Passiv (უპირო) *
უპირო სუბიექტი „man“	უპირო „es“
Man schreibt viel - ბევრს წერენ.	Es wird viel geschrieben. - ბევრი იწერება.
Man liest heute meist oberflächlich. დღეს მეტწილად ზედაპირულად კითხულობენ.	Es wird heute meist oberflächlich gelesen. დღეს მეტწილად ზედაპირულად კითხულობენ.
Man beschloss, die Hochzeit am Samstag zu feiern. გადაწყვიტეს ქორწილი შაბათს გაემართათ.	Es wurde beschlossen, die Hochzeit am Samstag zu feiern. გადაწყდა, ქორწილი შაბათს გაემართათ.
Man eröffnet in Leipzig eine neue Ausstellung. ლაიპციგში ახალ გამოფენას ხსნიან.	Es wird in Leipzig eine neue Ausstellung eröffnet. ლაიპციგში ახალი გამოფენა იხსნება.
Im Opernhaus hat man „Aida“ gegeben. ოპერის თეატრში „აიდა“ დადგეს.	Im Opernhaus ist „Aida“ gegeben worden. ოპერის თეატრში „აიდა“ დაიდგა.
In dieser Bäckerei buk man feines Brot. ამ საცხობში საუკეთესო პური გამოაცხვეს.	Es wurde in dieser Bäckerei feines Brot gebacken. ამ საცხობში საუკეთესო პური გამოცხვა.
Man kauft selten Altbauwohnungen, normalerweise sucht man eine neue Wohnung. ძველ ბინას იშვიათად ყიდულობენ, ჩვეულებრივ, ეძებენ ახალს.	Es werden selten Altbauwohnungen gekauft, normalerweise wird eine neue Wohnung gesucht. ძველ ბინას იშვიათად ყიდულობენ, ჩვეულებრივ, ეძებენ ახალს.

*უპირო Passiv (unpersönliches Passiv) (იხ.4.13.2.3)

- სასაუბრო ენაში Passiv-ს ხშირად ცვლის წინადადებაში ნაცვალსახელი „man“.

Passiv: wird angewendet-გამოიყენება

man-ით: man wendet an-იყენებენ

Passiv: Die Prüfung wird abgelegt – გამოცდა ბარდება

man-ით: Man legt die Prüfung ab – გამოცდას აბარებენ

4.13.2.2 მდგომარეობის Passiv-ი (Zustandspassiv)

Zustandspassiv ანუ sein-Passiv-ი ეს არის კონსტრუქცია sein + Partizip II გარდამავალი (transitiv) ზმნის werden-ის გარეშე, გამოხატავს მოქმედების შედეგს (Resultat der Handlung). გრამატიკულად გააჩნია დროის ყველა ფორმა (ist geschrieben, war geschrieben, ist geschrieben gewesen და ა.შ.), მაგრამ უმეტესად გამოიყენება Präsens-ი, აგრეთვე Präteritum-ი და Futur I-ი.

Der Koch ist entlassen. (Präs.)

Zwölf Personen sind verletzt.

Ralf ist gegen Masern geimpft.

Die Berliner Mauer ist abgerissen.

Der Knabe ist gut erzogen.

Im Kinderheim sind Kinder gut versorgt.

Es ist Morgen. Die Sonne scheint,

haben wir schon einmal bedacht, welch

großes Geschenk uns damit gegeben ist?

Die Stadt war in Ost und West geteilt. (Prät.)

Der Artikel wird morgen geschrieben sein. (F.I)

მზარეული გათავისუფლებულია (სამსახურიდან).

თორმეტი ადამიანია დაჭრილი.

რალფი აცრილია წითელას წინააღმდეგ.

ბერლინის კედელი დანგრეულია.

ბიჭი კარგადაა აღზრდილი.

ბავშვთა სახლში ბავშვები კარგად არიან მოვლილი.

დილაა. მზე ანათებს,

გვიფიქრია თუნდაც ერთხელ,

ამით რა დიდი საჩუქარი გვებოძა?

ქალაქი აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილად იყო გაყოფილი.

ხვალ სტატია დაწერილი იქნება.

- წინადადების გადაყვანა მოქმედებითი Passiv-იდან მდგომარეობის Passiv-ში (Umformung Vorgangspassiv ins Zustandspassiv)

მოქმედებითი პასივი Vorgangspassiv (werden) მდგომარეობის პასივი Zustandspassiv (sein)	
Die Produktion wird ins Ausland verlegt . (Präs.) პროდუქცია გადის საზღვარგარეთ.	Die Produktion ist ins Ausland verlegt (Präs.) პროდუქცია გატანილია საზღვარგარეთ.
Zwischen Ost und West, zwischen Mensch und Mensch werden Brücken gebaut . (Präs.) აღმოსავლეთსა და დასავლეთს. კაცსა და კაცს შორის ხიდი შენდება.	Zwischen Ost und West, zwischen Mensch und Mensch sind Brücken gebaut . (Präs.) აღმოსავლეთსა და დასავლეთს, კაცსა და კაცს შორის ხიდია გადებული.
Die Bilder des Projekts wurden präsentiert . (Prät.) პროექტის ფოტოსურათები წარმოდგენილ იქნა.	Die Bilder des Projekts waren Präsentiert . (Prät.) წარმოდგენილი იყო პროექტის ფოტოსურათები.
Seine Interpretation von Mozarts „Entführung aus dem Serail“ wurde von der Presse hoch gelobt . (Prät.) მისი ინტერპრეტაცია მოცარტის ნაწარმოებისა „მოტაცება სერალიდან“ შექმნულ იქნა პრესის მიერ.	Seine Interpretation von Mozarts „Entführung aus dem Serail“ war von der Presse hoch gelobt . (Prät.) მისი ინტერპრეტაცია მოცარტის ნაწარმოებისა „მოტაცება სერალიდან“ შექმნულ იქნა პრესის მიერ.
Das Buch wird im September herausgegeben werden . (Fut.I) წიგნი სექტემბერში გამოიცემა.	Das Buch wird im September herausgegeben sein . (Fut.I) წიგნი სექტემბერში გამოიცემა.
Morgen um diese Zeit werden die Weihnachtsbäume geschmückt werden . (Fut.I) ხვალ ამ დროისათვის საშობაო ხეები მოირთვება.	Morgen um diese Zeit werden die Weihnachtsbäume geschmückt sein . (Fut.I) ხვალ ამ დროისათვის საშობაო ხეები მორთული იქნება.

4.13.2.3 პირიანი და უპირო Passiv-ი (Persönliches und unpersönliches Passiv)

Passiv-ი შეიძლება იყოს პირიანი და უპირო.

ა. პირიანი Passiv-ი (Persönliches Passiv)

პირიანია Passiv-ი, როდესაც სახეზეა Aktiv-ის წინადადების სუბიექტის მოქმედება.

Der Schmied hat die Nägel gehämmert. (Akt.)

მჭედელმა გაჭედა ლურსმნები.

Die Nägel sind vom Schmied gehämmert worden. (Pass.)

ლურსმნები გაჭედილია მჭედლის მიერ.

ე.ი. Aktiv-ის წინადადების ქვემდებარე გადადის Passiv-ის წინადადების ირიბ დამატებად; Aktiv-ის პირდ. დამატება იქცევა Passiv-ის ქვემდებარედ.

პირიანი - (Persönliches) Passiv „von“-ით	პირიანი (Persönliches) Passiv „von“-ის გარეშე
Die Kunst wird vom Künstler für den Menschen geschaffen . ხელოვნება იქმნება ხელოვანის მიერ ადამიანისათვის.	Die Kunst wird für den Menschen geschaffen . ხელოვნება იქმნება ადამიანისათვის.
Die Notizen werden von uns gemacht . ჩანაწერები კეთდება ჩვენ მიერ.	Die Notizen werden gemacht . ჩანაწერები კეთდება.
Unser Land wurde von Xenophont und Strabon beschrieben . ჩვენი ქვეყანა აღიწერა ჟენოფონტისა და სტრაბონის მიერ.	Unser land wurde beschrieben . ჩვენი ქვეყანა აღიწერა.
Heiße Getränke werden von der Tante vorbereitet . ცხელი სასმელი მზადდება დეიდას მიერ.	Heiße Getränke werden vorbereitet . ცხელი სასმელი მზადდება.
Wir sind von den Freunden mit finanzieller Hilfe unterstützt worden . მეგობრები ფინანსურად დაგვეხმარნენ.	Wir sind mit finanzieller Hilfe unterstützt worden . ფინანსურად დაგვეხმარნენ.

ბ. უპირო Passiv-ი (Unpersönliches Passiv)

უპირო Passiv-ი, სადაც არ ჩანს სუბიექტი, სახეზეა მხოლოდ ზმნის პასიური მოქმედება. სუბიექტის ფუნქციას ასრულებს "es". თუ წინადადება „es“-ით არ იწყება, იგი საერთოდ იკარგება. მნიშვნელობა რჩება იგივე.

უპირო Passiv-ი „es“-ით	უპირო Passiv-ი „es“-ის გარეშე
<p>Es wurde im Parlament viel diskutiert. პარლამენტში ბევრი იმსჯელეს.</p> <p>Es wird bis heute nicht darüber gesprochen. დღემდე არ ყოფილა ამაზე საუბარი.</p> <p>Es wurde später geredet und gelacht. მოგვიანებით ილაპარაკეს და იცინეს.</p>	<p>Im Parlamnt wurde viel diskutiert. პარლამენტში ბევრი იმსჯელეს.</p> <p>Bis heute wird nicht darüber gesprochen. დღემდე არ ყოფილა ამაზე საუბარი.</p> <p>Später wurde geredet und gelacht. მოგვიანებით ილაპარაკეს და იცინეს.</p>

4.13.2.4 კონსტრუქცია Passiv-ი მოდალური ზმნით (Passiv mit Modalverb)

ვნებითი გვარის (Leideform) საწარმოებლად გამოიყენება გარდა Passiv-ის ფორმულირება – werden+Partizip II-ისა, კონსტრუქცია Passiv-ი მოდალური ზმნით.

- Präsens: **muss verkauft (gewaschen) werden**-უნდა გაიყიდოს (გაირეცხოს)
- Präteritum: **musste verkauft (gewaschen) werden** -უნდა გაყიდულიყო (გარეცხილიყო)
- Perfekt: **hat verkauft (gewaschen) werden müssen**- უნდა გაყიდულიყო (გარეცხილიყო)
- Plusquam: **hatte verkauft (gewaschen) werden müssen**- უნდა გაყიდულიყო (გარეცხილიყო)

- Präsens: **Der Roman kann verkauft werden**-რომანი შეიძლება გაიყიდოს.
- Präteritum: **Der Roman konnte verkauft werden**-რომანი შესაძლოა გაყიდულიყო.
- Perfekt: **Der Roman hat verkauft werden dürfen**-რომანის გაყიდვა ნებადართული იყო.
- Plusquam: **Der Roman hatte verkauft werden dürfen**-რომანის გაყიდვა ნებადართული იყო.

და ა.შ.

4.13.2.5 Passiv-ი მოდალური ზმნით დამოკიდებულ წინადადებაში (Passiv mit Modalverb im Nebensatz)

წინადადების წყობა ასეთია: Partizip II+werden-ის Infinitiv-ი+ მოდალური ზმნა.

- Er meint,dass dieser Baum im alten Park **gepflanzt werden soll**.
ის ფიქრობს, რომ ძველ პარკში ეს ხე უნდა დაირგოს.
- Sie ist davon überzeugt,dass diese Medizin nicht mehr **angewendet werden darf**.
იგი დარწმუნებულია, რომ ეს წამალი აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნას.
- Er meint,dass diese Kakteen jeden Tag **gegossen werden dürfen**.
მისი აზრით, ამ კაქტუსების ყოველდღე მორწყვა შეიძლება.
- Er sagt,dass in diesen Gegenden schöne Gärten **geschaffen werden können**.
იგი ამბობს, რომ ამ ადგილებში ლამაზი ბაღების გაშენება შეიძლება.
- Wir dachten,dass im Zentrum alle Biergärten um 22:00 Uhr **geschlossen werden müssen**.
ჩვენ ვფიქრობდით, რომ ცენტრში ყველა ლუდის ბარი (ბაღი) 22:00 საათზე უნდა იკეტებოდეს.
- Er überzeugt mich davon,dass Meinungen **verändert werden können**.
ის მარწმუნებს, რომ შეხედულებები შეიძლება შეიცვალოს.

4.13.2.6 მოდალური ზმნა „können“-ის შემცვლელი ფორმები
(Alternative Formen des Modalverbs „können“ im Passiv)

können-ით:

Das Haus kann gebaut werden.

სახლი შეიძლება აშენდეს.

Das Haus kann verkauft werden.

სახლი შეიძლება გაიყიდოს.

• sich lassen+Infinitiv

Das Haus lässt sich verkaufen.

სახლი შესაძლოა გაიყიდოს.

• sein+zu+Infinitiv I

Das Haus ist zu bauen.

სახლის აშენება შეიძლება. (ასაშენებელია)

• sein+Verb+bar

Das Haus ist baubar.

სახლის აშენება შეიძლება.

• sein+Verb+lich

Das Haus ist verkäuflich.

სახლის გაყიდვა შეიძლება.

შენიშვნა: sein+zu Inf. გამოხატავს როგორც შესაძლებლობას, ასევე აუცილებლობას.

4.13.2.7 კონსტრუქცია Passiv-ი ნაწილაკ „zu“-თი (Passiv mit „zu“)

ა. კონსტრუქცია აგებულია Partizip II+ „zu“ werden-ით. (Infinitiv I Passiv „zu“-თი)

Es ist wunderbar, gelobt zu werden.

შესანიშნავია, როცა გაქებენ.

Es gibt nichts Schlimmeres, als gehasst zu werden.

არაფერია იმაზე უარესი, როცა ვინმეს სძულხარ.

(იხ.თავი. 4.12.2.4)

ბ. კონსტრუქცია აგებულია Partizip II+ „zu“ werden-Perfekt-ით (Infinitiv II Passiv „zu“-თი)

Die Maus scheint gefangen worden zu sein.

ჩანს, თავი დაიჭირეს.

Geliebt worden zu sein ist ein Glück.

ბედნიერებაა, როცა ვინმეს უყვარხარ.

(იხ.თავი 4.12.3.3)

4.13.2.8 გვარი (Genus-Genera / Verbgeschlecht)

სქესი I

Aktiv (მოქმედ.) Er schreibt einen Brief (წერს)	Passiv (ვებ.) • Der Brief wird geschrieben (იწერება) Vorg. Pass. • Der Brief ist geschrieben (დაწერილია) Zust. Pass.
---	---

ვერბითი გვარი (Passiv / Leideform)

Infinitiv Passiv: * geschrieben werden - მოქმედებითი (Vorgangspassiv) * geschrieben sein - მდგომარეობის (Zustandspassiv)	
Vorgangspassiv (mit „werden“)	Zustandspassiv (mit „sein“)
werden (Tempusformen)+ Partizip II Perfekt	sein (Tempusformen)+ Partizip II Perfekt
Präs. Das Gebäude wird gebaut.	Das Gebäude ist gebaut.
Prät. Das Gebäude wurde gebaut.	Das Gebäude war gebaut.
Perf. Das Gebäude ist gebaut worden.	_____
Plusq. Das Gebäude war gebaut worden.	_____
Fut. I Das Gebäude wird gebaut werden.	Das Gebäude wird gebaut sein.
Passiv (mit Modalverb)	
Modalverb (Tempusformen) + Infinitiv Passiv	
Präs. Der Roman kann verkauft werden - რომანი შეიძლება გაყიდოს.	
Prät. Der Roman konnte verkauft werden - რომანი შეიძლება გაყიდულიყო.	
Perf. Der Roman hat verkauft werden können - რომანი შეიძლება გაყიდულიყო (2 Inf.)*	
Plusq. Der Roman hatte verkauft werden können - რომანი შეიძლება გაყიდულიყო. (2 Inf.)	
Fut. I Der Roman wird verkauft werden können - რომანი შეიძლება გაყიდოს. (2 Inf.)	
ზმნის გადაკვანა Aktiv-იდან Passiv-ში (Umformung Aktiv ins Passiv)	
Aktiv	
Präs. Der Schauspieler spielt eine Rolle. (ასრულებს)	Die Rolle ist von dem Schauspieler gespielt. (სრულდება) Vorg. Pass.
Prät. Der Schauspieler spielte eine Rolle. (შეასრულა)	Die Rolle war von dem Schauspieler gespielt. (შესრულდა)
Fut. I Der Schauspieler wird eine Rolle spielen. (შეასრულებს)	Die Rolle wird von dem Schauspieler gespielt werden. (შესრულდება)
Präs. Sie reißen die Mauer ab. (ანგრევენ)	Die Mauer ist abgerissen. (დანგრეულია) Zust. Pass.
Prät. Sie rießen die Mauer ab. (დაანგრიეს)	Die Mauer war abgerissen. (იყო დანგრეული)
Fut. I Sie werden die Mauer abreißen. (დაანგრევენ)	Die Mauer wird abgerissen sein. (იქნება დანგრეული/ დაინგრევა)

*2 Infinitiv = verkauft werden + können

<ul style="list-style-type: none"> პირიანი და უპირო Passiv-ი (Persönliches und unpersönliches Passiv) 	
პირიანი (Persönliches) Passiv „von“-ით	პირიანი (Persönliches) Passiv „von“-ის გარეშე
<p>Die Kunst wird vom Künstler für den Menschen geschaffen. ხელოვნება ხელოვანის მიერ ადამიანისთვის იქმნება.</p>	<p>Die Kunst wird für den Menschen geschaffen. ხელოვნება ადამიანისთვის იქმნება.</p>
<ul style="list-style-type: none"> Актив: განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „man“ → Passiv: უპირო „es“-ით (ან „es“-ის გარეშე) 	
<p>Man schreibt viel. ბევრს წერენ. Man gibt in Opernhaus „Aida“. ოპერაში „აიდას“ დგამენ.</p>	<p>Es wird viel geschrieben. ბევრი იწერება („es“-ით) Im Opernhaus wird „Aida“ gegeben. ოპერაში „აიდა“ იდგმება. („es“-ის გარეშე)</p>
<ul style="list-style-type: none"> Passiv „zu“-ით (Passiv mit „zu“) 	
<p>- Partizip II (Perfekt) + „zu“ werden = Infinitiv I Passiv „zu“-ით Es gibt nichts Schlimmeres gehasst zu werden – არაფერია იმაზე უარესი, როცა ვინმეს სძულხარ.</p>	
<p>- Partizip II (Perfekt) + „zu“ werden-Perfekt = Infinitiv II Passiv „zu“-ით Es ist ein Glück, geliebt worden zu sein – ბედნერებაა, როცა ვინმეს უყვარხარ.</p>	

4.14 კილო (Modi/Aussageweisen)

4.14.1 შესავალი (Einführung)

გერმანულ ზმნას გააჩნია კილოს 3 ფორმა:

- Indikativ - თხრობითი (Wirklichkeitsform)
- Imperativ - ბრძანებითი (Aufforderungsform/Befehlsform)
- Konjunktiv - კავშირებითი (Möglichkeitsform)

სამივე ფორმა გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას მოქმედებისადმი: Indikativ-ს იგი მიმართავს, როდესაც მოქმედებას განიხილავს, როგორც რეალურ ფაქტს; Imperativ-ით მოუწოდებს მოქმედებისაკენ იმ პირებს, რომლებსაც მიმართავს; Konjunktiv-ით მიუთითებს, რომ მოქმედება არ არის რეალური ფაქტი, არამედ მხოლოდ ვარაუდი, ეჭვი, მოქმედების შესაძლებლობა, ბრძანება III პირში, ან წუხილი შეუსრულებელი სურვილის გამო, ირიბ თხრობაში და ა. შ.

Mein Freund spielt Orgel. (Ind.)	ჩემი მეგობარი უკრავს ორღანზე.
Spieler Orgel! (Imp.)	დაუკარი ორღანზე!
Würde ich auch Orgel spielen, dann ... (Konj.)	მეც რომ ვუკრავდე ორღანზე, მაშინ...

აქამდე განხილული ყველა ზმნა წარმოადგენდა თხრობით კილოს, ამიტომ პირდაპირ გადავდივართ ბრძანებით კილოზე.

4.14.2 ბრძანებითი კილო (Imperativ/Aufforderungsform ანუ Befehlsform)

ბრძანებითი კილო (Imperativ) გამოხატავს:

- აუცილებლობას (Notwendigkeit)
- ბრძანებას (Befehl)
- ნებართვას (Erlaubnis)
- გაფრთხილებას (Warnung)
- მოწოდებას (Aufforderung)
- თხოვნას (Bitte)
- აკრძალვას (Verbot)

- ბრძანებით კილოს გააჩნია 3 ფორმა: მხ. რიცხვის II პირი - du-Form – Singe! იმღერე!
მრ. რიცხვის II პირი - ihr-Form – Singt! იმღერეთ!
თავაზიანი ფორმა - Sie-Form – Singen Sie! იმღერეთ!

4.14.2.1 du-Form - მხ. რიცხვის II პირი წარმოადგენს ზმნას Präsens-ის მხ. რიცხვის II პირში, რომელსაც სცილდება ნაცვალსახელი du და პირის ნიშანი - st და ხშირ შემთხვევაში დაირთავს უმახვილო e დაბოლოებას ან არაფერს. ფუძისეული ხმოვნის შეცვლა Präsens-ის II პირში რჩება ძალაში. გამონაკლისს წარმოადგენს უმლაუტი.

Indikativ	Imperativ
du suchst .	Suche! ეძებე!
du sagst	Sage! თქვი!
du nimmst	Nimm! აიღე!
du gibst	Gib! მომეცი! ან მიეცი!
du liest	Lies! წაიკითხე!
du trägst	Trage! ატარე!
du setzt dich	Setz dich! დაჯექი!
du stehst auf	Steh auf! ადექი!
du ziehst dich an	Ziehe dich an! ჩაიცვი!

4.14.2.2 ihr-Form-მრ. რიცხვის II პირი: ihr-Form წარმოადგენს ზმნას Präsens-ის მრ. რიცხვის II პირში, რომელსაც სცილდება პირის ნაცვალსახელი ihr.

Indikativ	Imperativ
ihr sucht	Sucht! ეძებეთ!
ihr sagt	Sagt! თქვით!
ihr nehmt	Nehmt! აიღეთ!
ihr gebt	Gebt! მომეცით! (მიეცით!)
ihr lest	Lest! წაიკითხეთ!
ihr tragt	Tragt! ატარეთ!
ihr setzt euch	Setzt euch! დასხედით!
ihr steht auf	Steht auf! ადექით!
ihr zieht euch an	Zieht euch an! ჩაიცვით!

4.14.2.3 Sie-Form-თავაზიანი ფორმა: Sie-Form მიიღება Präsens-ში პირის ნაცვალსახელისა და ზმნის ადგილების შეცვლით.

Indikativ	Imperativ
Sie suchen	Suchen Sie! ეძებეთ!
Sie sagen	Sagen Sie! ბრძანეთ!
Sie nehmen	Nehmen Sie! აიღეთ!
Sie geben	Geben Sie! მომეცით! (მიეცით)
Sie lesen	Lesen Sie! წაიკითხეთ!
Sie tragen	Tragen Sie! ატარეთ!
Sie setzen sich	Setzen Sie sich! დაბრძანდით!
Sie stehen auf	Stehen Sie auf! აბრძანდით!
Sie ziehen sich an	Ziehen Sie sich an! ჩაიცვით!

4.14.2.4 Imperativ werden-ით აძლიერებს ბრძანების ხარისხს:

Sei still! (წყნარად!) - Wirst du wohl still sein! დაწყნარდები თუ არა!

Kommt her! (მოდიოთ აქ!) - Werdet ihr wohl herkommen! მოხვალთ თუ არა!

4.14.2.5 Indikativ Präsens-ი აძლიერებს ბრძანების ხარისხს!

Übe Klavier! (ივარჯიშე დაკვრაში!) - Du übst jetzt Klavier! ახლა შენ ივარჯიშებ დაკვრაში!

Gib Ruhe! (წყნარად!) - Du gibst jetzt Ruhe! ახლა შენ დაწყნარდები!

4.14.2.6 მხ. რიცხვის პირველი პირის და მხ. რიცხვის მესამე პირის Imperativ-ი (Imperativ für I. Person Plural / wir und 3. Person Singular)

მრ. რიცხვის I პირის Imperativ-ი იწარმოება თავაზიანი ფორმის მსგავსად - პირის ნაცვალსახელისა და ზმნის ადგილების შეცვლით. გამოხატავს გამოწვევას (Aufforderung):

Wir suchen - Suchen wir! ვეძებთ!

Wir bleiben sitzen - Bleiben wir sitzen! ვისხდეთ!

მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის Imperativ-ის ფორმა მოძველებულია და დღეს აღარ გამოიყენება.

Trete er ein! - შემოვიდეს!

4.14.2.7 ბრძანებითი კილო მოდალური ზმნით (Imperativ mit Modalverb)

ბრძანებითი კილო შეიძლება გამოიხატოს მოდალური ზმნით - wollen, mögen, sollen, dürfen, + lassen.

ა. wollen - გამოხატავს მოწოდებას (Aufforderung):

Wollen wir suchen!	მოდი ვეძებოთ!
--------------------	---------------

ბ. mögen - გამოხატავს ნებართვას (Erlaubnis):

Mag Luisa ins Ausland fahren!	შეუძლია ლუიზას საზღვარგარეთ გაემგზავროს!
Mögen sie im Sand spielen!	შეუძლიათ (ბავშვებს) ქვიშაში ითამაშონ!

გ. sollen - აძლიერებს ბრძანებით კილოს (verstärkt den Imperativ)

Sie sollen ihre Schulden bezahlen!	მათ პასუხი უნდა აგონ თავის დანაშაულზე!
Ihr sollt euch nicht zanken!	არ უნდა იჩხუბოთ!

დ. dürfen + nicht - გამოხატავს თხოვნას, აკრძალვას (Bitte, Verbot):

Ihr dürft nicht verzweifeln!	თქვენ არ უნდა დაეჭვდეთ!
Sie dürfen nicht mehr davon sprechen!	თქვენ ამაზე აღარ უნდა ილაპარაკოთ!

ე. lassen - გამოხატავს მოწოდებას, თხოვნას (Aufforderung, Bitte)

Lass(t) uns suchen!	ვეძებოთ!
Lassen Sie uns ehrlich sein!	მოგვეცი თ საშუალება ვიყოთ გულწრფელნი!
Lassen wir uns die gute Laune nicht verderben!	ნუ წავიხდენთ კარგ განწყობას!

4.14.2.8 Infinitiv I (Infinitiv I als Imperativ) - როგორც ბრძანებითი კილო

ეს არის უპირო ბრძანებითი კილო, როდესაც ბრძანება მიმართულია არა გარკვეული პირის, არამედ ყველასადმი. უპირო Imperativ-ი შეიძლება იყოს დადებითი (Positiv) ან უარყოფითი (verneinend). უარყოფითი გამოხატავს აკრძალვას (Verbot).

ა. Positiv: Aufstehen! ადექით! Motor abschalten! მოტორი გამორთეთ!	ბ. Verneinender Infinitiv – Verbot: Nicht rauchen! ნუ მოწევთ! Nicht füttern! ნუ აკმევთ! (ზოოპარკში)
--	--

4.14.2.9 Partizip II - როგორც ბრძანებითი კილო (Partizip II als Imperativ)

სამხედრო ბრძანებებში:

Aufgepasst! . Aufgestanden!	ყურადღება! ადექით!
--------------------------------	-----------------------

4.14.2.10 Sein-ის ბრძანებითი კილო (Imperativ von „sein“) მიღებულია ამ ზმნის Konjunktiv-ით.

(იხ. Konjunktiv Präsens 4.14.3.2.)

Sei!	იყავ!
Seid!	იყავით!
Seien Sie!	ბრძანდებოდეთ!
Seien wir!	ვიყოთ!

4.14.3 კავშირებითი კილო (Konjunktiv / Möglichkeitsform)

4.14.3.1 შესავალი (Einführung)

ა. კავშირებითი კილო (Konjunktiv / Möglichkeitsform) -

გამოხატავს ნატვრას, ვარაუდს, ეჭვს, სინანულს შესრულებადი მოქმედების შეუსრულებლობის გამო; სურვილს, რომლის შესრულება კიდევ შესაძლებელია; დაშვებას, ბრძანებას ან ნებართვას III პირში. იხმარება აგრეთვე ირიბ თხრობაში, ირიბ შეკითხვაში, ლოცვებში, Konjunktiv-ით იწარმოება sein-ის Imperativ-ი. Konjunktiv-ს გააჩნია დროის იგივე ფორმები, რაც Indikativ-ს (Präsens, Präteritum, Perfekt, Plusquamperfekt, Futur).

ბ. მაგრამ ისინი არ მიიჩნევა ზუსტი დროის აღმნიშვნელ საფეხურებად. ეს ფორმები გამოხატავენ მხოლოდ დამოკიდებულებას დროსთან. მოქმედებას Perfekt-ის ფორმებში (Konjunktiv Perfekt I + II, Futur II, Konditional II) ეწოდება *vorzeitig* (დროში უკან მოტოვებული), დანარჩენ ფორმებში (Konjunktiv I + II, Futur I, Konditional I) ეწოდება *gleichzeitig* (იმავე დროში აღსრულებული მოქმედება) ან *zukünftig* (მომავალში მოსახდენი, აღსასრულებელი მოქმედება).

გ. Indikativ-ის და Konjunktiv-ის მთელი რიგი ფორმების წარმოება ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ მათ გასარჩევად ზოგჯერ გამოიყენება დროის სხვა ფორმა (მაგ. Konditional ანუ Ersatzform).

დ. Konjunktiv-ის ამოსაცნობი ნიშანი (Kennzeichen) არის უმახვილო -e (wäre, hätte, würde, ginge, sähe, könnte).

ე. არსებობს Konjunktiv-ის 2 ჯგუფი, ისინი იწარმოებიან ზმნის ძირითადი ფორმებისაგან (Infinitiv, Präteritum, Partizip II).

I ჯგუფი - ნაწარმოები Infinitiv Präsens-ით (Konjunktiv I).

• Aktiv:

Konjunktiv I (Konj. Präsens)	→ er nehme, er komme, er müsse
Konjunktiv Perfekt I	→ er habe geschrieben, er sei gekommen
Konjunktiv Futur I	→ er werde nehmen, er werde kommen
Konjunktiv Futur II	→ er werde geschrieben haben, er werde gekommen sein.

• Passiv

Konjunktiv I (Konj. Präsens)	→ er werde bestraft
Konjunktiv Perfekt I	→ er sei bestraft worden
Konjunktiv Futur I	→ er werde bestraft werden
Konjunktiv Futur II	→ er werde bestraft worden sein

Konjunktiv I საწარმოებლად გამოიყენება Präsens-ის დროის ფორმები, ამიტომ მას *präsentisch*-საც უწოდებენ.

II ჯგუფი - ნაწარმოები Präteritum-ით (Konjunktiv II)

• Aktiv:

Konjunktiv II (Konj. Präteritum)	→ er nähme, er käme, er müsste
Konjunktiv Perfekt II (Konj. Plusq.)	→ er hätte genommen, er wäre gekommen
Konditional I	→ er würde nehmen, er würde kommen
Konditional II	→ er würde genommen haben, er würde gekommen sein.

• Passiv

Konjunktiv II (Konj. Präteritum)	→ er würde bestraft
----------------------------------	---------------------

Konjunktiv Perfekt II (Konj. Plusq.)	→ er wäre bestraft worden
Konditional I	→ er würde bestraft werden
Konditional II	→ er würde bestraft worden sein

Konjunktiv II საწარმოებლად გამოიყენება: Präteritum-ის დროის ფორმები, ამიტომ მას **präterital-საც** უწოდებენ; აგრეთვე დამხმარე ფორმა **würde+Infinitiv** ანუ Konditional (იხ.4.14.3.10).

- o. Konjunktiv-ს გააჩნია დამხმარე ფორმა Konditional ანუ Ersatzform, მას მიმართავენ, როდესაც Indikativ-თხრობითი და Konjunktiv-კავშირებითი კილოს დროის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. Konditional ენაცვლება Konjunktiv Präteritum-სა და Konjunktiv Futur-ს. არსებობს 2 შემცველი ფორმა -
- (Ersatzformen: Konditional I და Konditional II)

Konditional I = werden-ის Konjunktiv Präteritum + ძირითადი ზმნის Infinitiv I

würde pflanzen, würde reisen.

Konditional II = werden-ის Konjunktiv Präteritum + ძირითადი ზმნის Infinitiv II

würde gepflanzt haben, würde gereist sein.

4.14.3.2 კავშირებითი კილო I / ახლანდელი დრო (Konjunktiv I / Konjunktiv Präsens)

Konjunktiv Präsens-ი იწარმოება Indikativ Präsens-ის პირის ნიშნებით და Konjunktiv-ის სიმბოლო - e სუფიქსით ყველა პირში. ზმნა მხ. რიცხვის I და III პირში ნიშნებს არ დაირთავს. ძლიერი ზმნების Präsens-ისათვის დამახასიათებელი ხმოვნის შეცვლა და უმლაუტი უგულუბელყოფილია. უმლაუტს დაირთავს მოდალური ზმნა (გარდა *wollen-ისა და sollen-ისა*).

ა. უღლება (Konjugation)

დამხმარე ზმნები
Hilfsverben

Num.	Pers.	haben	sein	werden
Sing.	ich	habe	sei	werde
	du	habest	seiest	werdest
	er, sie, es	habe	sei	werde
Plural	wir	haben	seien	werden
	ihr	habet	seiet	werdet
	sie, Sie	haben	seien	werden

სუსტი ზმნა
Schwaches Verb

ძლიერი ზმნა
Starkes Verb

Num.	Pers.	machen	geben/fahren
Sing.	ich	mache	gebe/fahre
	du	machest	gebest/fahrest
	er, sie, es	mache	gebe/fahre
Plural	wir	machen	geben/fahren
	ihr	machet	gebet/fahret
	sie, Sie	machen	geben/fahren

მოდალური ზმნები (Modalverben), „lassen“, „wissen“

Num.	Pers.	können	dürfen	wollen	müssen	mögen	sollen	lassen	wissen
Sing.	ich	könne	dürfe	wolle	müsse	möge	solle	lasse	wisse
	du	könnest	dürfest	wollest	müssest	mögest	sollest	lassest	wissest
	er, sie, es	könne	dürfe	wolle	müsse	möge	solle	lasse	wisse
Plural	wir	können	dürfen	wollen	müssen	mögen	sollen	lassen	wissen
	ihr	könnet	dürfet	wollet	müset	möget	sollet	lasset	wisset
	sie, Sie	können	dürfen	wollen	müssen	mögen	sollen	lassen	wissen

- **lassen** წინადადებაში გამოიყენება როგორც მოდალური ზმნა.

სასაუბრო ენაში (in der Umgangssprache) მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის Konjunktiv I-ის ნაცვლად გამოიყენება Konjunktiv II:

du seiest - du wärest	ihr dürfet – ihr dürftet
du könntest – du könntest	ihr sollet – ihr solltet
du wissest – du wüsstest	ihr müsset – ihr müsstet
du dürfest – du dürftest	ihr wisset – ihr wüsstet
du wollest – du wolltest	ihr möget – ihr möchtet

- მოდალური ზმნა გამოხატავს მომავალ დროს:

Wenn ich morgen den Zuschauerraum betreten dürfte (ნაცვლად dürfe-სი)	ხვალ რომ მაყურებელთა დარბაზში შესვლის ნება დამართონ!
---	---

ბ. Konjunktiv Präsens-ი წინადადებაში (Konjunktiv I im Satz)

Konjunktiv Präsens გამოიყენება:

- ძლიერი სურვილის გამოსახატავად, ლოცვებში.

Gebe Gott, dass du gesund wiederkommst! Gott sei mit dir am Abend und am Morgen. Geheiligt werde Dein Name!	ღმერთმა ქნას, ჯანმრთელი დაბრუნდე! ღმერთი გფარავდეს დილიდან ბინდამდე. წმინდა იყავ სახელი შენი!
---	---

ნებართვის მიცემა მესამე პირში, შერბილებული ბრძანება.

Der Student trete ein!	შემოვიდეს სტუდენტი!
------------------------	---------------------

დათმობით წინადადებაში:

Ich esse nichts, was auch immer es sei. Wer auch kommen möge, er sei mein Gast.	მე ვერაფერს ვეახლებით, რაც არ უნდა შემომთავაზოთ. ყველას, დედამიწის ზურგზე, შეუძლია მესტუმროს (იყოს ჩემი სტუმარი).
--	--

რეცეპტებში, ინსტრუქციებში, რჩევებში. ასეთ წინადადებაში არ ჩანს ქვემდებარე, მის როლს ასრულებს განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **man**.

Man nehme Salz und löse es in Wasser auf!	ავილოთ მარილი და გავხსნით წყალში!
---	-----------------------------------

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კავშირით **damit** (რათა).

Ich gab ihm meinen Roman, damit er ihn lese. Er übte viel, damit er Vorschritte mache.	მე მივეცი მას ჩემი რომანი, რათა მას წაეკითხა. ის ბევრს ვარჯიშობდა, რათა წარმატებები ჰქონოდა.
---	--

ირიბ ნათქვამში

Er sagt, dass er keine Zeit dazu habe. Inge erklärte, sie wisse von nichts. Karl sagte, er lasse sich das nicht bieten.	ის ამბობს, რომ მას საამისო დრო არ აქვს. ინგე გვიხსნიდა, რომ მან არაფერი იცოდა. კარლმა თქვა, რომ იგი თავს არავის დაამცირებინებს.
---	--

მოდალური ზმნების Konjunktiv-ი

Sagen Sie ihm, er möge nicht verzweifeln! Hilde behauptet, sie könne kein Spanisch.	უთხარით მას, ნუ დაეჭვდება (იდარდებს). ჰილდე თვლის, რომ არ იცის ესპანური.
--	---

4.14.3.3 კავშირებითი კილო II / Präteritum-ი (Konjunktiv II/Konjunktiv Präteritum)

ა. ულლება (Konjugation)

Konjunktiv Präteritum-ი ძლიერი ზმნებისათვის იწარმოება Konjunktiv-ის სიმბოლო - e სუფიქსითა და ფუძისეული ხმოვნის უმლაუტით (ä, ö, ü).

Infinitiv	Präteritum (Ind.)	Konjunktiv II
sprechen	sprach	spräche
gießen	goss	gösse
kommen	kam	käme
fahren	fuhr	führe

და ა.შ.

სუსტი ზმნების Präteritum Indikativ და Konjunktiv II ემთხვევა ერთმანეთს.

• დამხმარე ზმნები (Hilfsverben)

Num.	Pers.	haben	sein	werden
Sing.	ich	hätte	wäre	würde
	du	hättest	wärest	würdest
	er, sie, es	hätte	wäre	würde
Plural	wir	hätten	wären	würden
	ihr	hättet	wäret	würdet
	sie, Sie	hätten	wären	würden

		სუსტი ზმნა schwaches Verb	ძლიერი ზმნა Starke Verben			
			ä	ü	ö	უმლაუტის გარეშე
Num.	Pers.	leben	kommen	fahren	gießen	greifen
Sing.	ich	lebte	käme	führe	gösse	griffe
	du	lebtest	käme	führest	gössest	griffest
	er, sie, es	lebte	käme	führe	gösse	griffe
Plural	wir	lebten	kämen	führen	gössen	griffen
	ihr	lebtet	kämet	führet	gösset	griffet
	sie, Sie	lebten	kämen	führen	gössen	griffen

მოდალურ ზმნებს და აგრეთვე ზმნას wissen აქვს Konjunktiv Präteritum-ში უმლაუტი, გარდა wollen და sollen-სა.

Num.	Pers.	müssen	dürfen	mögen	können	wollen	sollen	lassen	wissen
Sing.	ich	müsste	dürfte	möchte	könnte	wollte	sollte	ließe	wüsste
	du	müsstest	dürftest	möchtest	könntest	wolltest	solltest	ließest	wüsstest
	er, sie, es	müsste	dürfte	möchte	könnte	wollte	sollte	ließe	wüsste
Plural	wir	müssten	dürften	möchten	könnten	wollten	sollten	ließen	wüssten
	ihr	müsstet	dürftet	möchtet	könntet	wolltet	solltet	ließet	wüsstet
	sie, Sie	müssten	dürften	möchten	könnten	wollten	sollten	ließen	wüssten

ბ. Konjunktiv Präteritum -ი წინადადებაში (im Satz)

Konjunktiv Präteritum-ით გამოიხატება:

• სურვილი (Wunsch)

Gelänge es mir doch, nach Österreich zu fahren!	რომ მომიხერხდეს ავსტრიაში გამგზავრება!
Käme er heute!	დღეს რომ ჩამოვიდოდეს (ის)!
Hätte ich viel Geld!	მე რომ ბევრი ფული მქონდეს!
Wäre ich doch berühmt!	მე რომ ცნობილი ვიყო!
Wenn ich Präsident der USA wäre!	მე რომ ამერიკის პრეზიდენტი ვიყო!
Wärest du ein König!	შენ რომ მეფე იყო!
Hättest du Zeit!	შენ რომ დრო გქონდეს!
Könnte ich heute ins Theater gehen!	რომ შემეძლოს დღეს თეატრში წასვლა!
Er bliebe gern zu Hause.	ის სიმოვნებით დარჩებოდა შინ.

• ეჭვი, ვარაუდი (Zweifel, Vermutung)

Ich denke, er hätte dazu Zeit.	ჩემი აზრით, მას საამისო დრო უნდა ჰქონდეს.
Wahrscheinlich wären wir mit dem Fahrrad schon bei Lörrach.	ველოსიპედით ალბათ უკვე ლორახში ვიქნებოდით.

• უარყოფითი დამოკიდებულება (Negative Beziehung)

Ich weiß nicht, was das bedeuten könnte (sollte).	მე არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ეს.
---	------------------------------------

• ირიბ თხრობაში, როგორც Präsens -ის ფორმის შემცვლელი, როცა Konjunktiv -ი Indikativ -ს ემთხვევა.

Sage ihm, dass ich sofort führe.	უთხარი მას, რომ მე ახლავე მივემგზავრები.
----------------------------------	--

• არარეალურ წინადადებაში, რომელიც ატარებს შედარების შინაარსს კავშირებით:

als ob, als wenn, als (თითქოს).

Er hatte sich betrachtet, als ob er sich zum ersten Mal sähe.	მან ისე შეათვალიერა თავისი თავი, თითქოს პირველად ხედავდა.
Sie sah so schön aus, als wäre sie einige Jahre jünger.	ის ისე ლამაზად გამოიყურებოდა, თითქოს რამდენიმე წლით უმცროსი იყო.
Er spricht so klug, als wenn er Einstein persönlich wäre.	ის ისე ჭკვიანურად ლაპარაკობს, თითქოს თვით აინშტაინი იყოს.

• მოდალურ ზმნები (Modalver.)

Der Maler müsste das Gemälde heute beenden!	მხატვარს დღეს უნდა დაემთავრებინა სურათი!
Man müsste so ein Buch schreiben!	კაცმა ასეთი წიგნი უნდა დაწეროს!
Könntest du mir nicht deinen "Faust" leihen?	შენს „ფაუსტს“ ხომ ვერ მათხოვებდი?
Man müsste Klavier spielen können!	კაცს ფორტეპიანოს დაკვრა უნდა შეეძლოს!
Wenn ich nächstes Jahr im Ausland studieren dürfte!	ნეტავ მომავალ წელს საზღვარგარეთ სწავლის ნება დამრთონ!
Wie könnte die Geschichte weitergehen?	როგორ შეიძლება გაგრძელდეს ეს ამბავი?
Er wäre glücklich, wenn er in die Heimat zurückkehren könnte.	ის ბედნიერი იქნებოდა, საშობლოში დაბრუნება რომ შეეძლოს.
Führe ich nach München, könnten wir uns treffen.	მიუნხენში რომ წამოვსულიყავი, ერთმანეთს შევხვდებოდით.

Es wäre schön, wenn ihr bleiben könntet.

Wenn sie sich doch treffen dürften!

Er hätte früher daran denken müssen.

Das hätten Sie mir vor 10 Tagen sagen müssen! (sollen)

Wenn ich als Kind hätte Musik studieren dürfen!

Was hätte passieren können?

Wie fließend hätte er Deutsch sprechen können, wenn er in Deutschland 2 Jahre geblieben wäre.

კარგი იქნებოდა, დარჩენა რომ შეგეძლოთ.

ნეტავ მათ შეხვედრის უფლება ჰქონდეთ!

მას ადრე უნდა ეფიქრა ამაზე.

თქვენ ეს 10 დღის წინ უნდა გეთქვათ ჩემთვის!

ნეტავ ბავშვობაში ნება დაერთოთ, მუსიკა მესწავლა!

რა შეიძლება მომხდარიყო?

რა კარგად ეცოდინებოდა მას გერმანული ენა, გერმანიაში 2 წელი რომ დაეყო.

• დიდი ალბათობა, ზმნა „dürften“-ით გამოხატული (Große Wahrscheinlichkeit)

Die Rechnung dürfte stimmen.

Sie dürften um 20 Uhr eintreffen.

ანგარიში სწორი უნდა იყოს.

ისინი ალბათ 20 საათზე ჩამოვლენ.

• ზრდილობიანი თხოვნა (Höfliche bitte)

Wir hätten gern die Forelle und ein Glas Portwein.

Dürfte ich Ihnen den Mantel abnehmen?

Dürfte ich Sie um ein Glas Wasser bitten?

Hätten Sie etwas dagegen?

Könnten Sie mir vielleicht sagen, ob Herr Marder zu erreichen ist?

Wir wären Ihnen sehr dankbar, wenn Sie bald kämen.

Ich möchte eine Kreuzfahrt machen.

თუ შეიძლება, კალმახი და ერთი ჭიქა პორტვინი.

ნება მომეცით, პალტო ჩამოგართვათ.

შეიძლება, ჭიქა წყალი გთხოვოთ?

საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებოდათ?

ხომ ვერ მეტყვოდით, ბატონ მარდერთან დაკავშირება თუ შეიძლება?

ჩვენ დიდად მადლობელი დაგრჩებ(ოდ)ით, თუ თქვენ მალე ჩამოხვიდოდით.

მე მსურს (ვისურვებდი) მოგზაურობას ქვეყნის გარშემო.

• მტკიცებითი (bestätigend) Konjunktiv-ი

Das wäre erledigt!

ყველაფერი მოგვარდა!

გ. Konjunktiv Präteritum-ი ხშირად ემთხვევა Indikativ-ს. ამიტომ კილოს ამოსაცნობად გამოიყენება Konditional I (Ersatzform): werden-ის Konjunktiv Präteritum+Infinitiv I საულღებელი ზმნისა: ich würde studieren-ვისწავლიდი. (იხ. Konditional 4.14.3.10)

Ich würde gern in alten Zeiten leben.

სიამოვნებით ვიცხოვრებდი ძველ დროში.

• რჩევა (Rat)

An deiner Stelle würde ich mich nicht so viel mit dem Computer beschäftigen.

შენს ადგილას კომპიუტერით ამდენს არ დაკავდებოდი.

• ირიბი ნათქვამი (Indirekte Rede)

Er berichtete uns, dass morgen etwas passieren würde.

მან შეგვატყობინა, რომ ხვალ რაღაც უნდა მოხდეს.

• სუბიექტური მოსაზრება (Subjektive Meinung)

Ich könnte mir vorstellen, dass es ihm in Deutschland gefallen würde!

წარმომიდგენია, მას გერმანია როგორ მოეწონებოდა!

- შერბილებული ბრძანება (Gemildeter Befehl)

Würden Sie, bitte, die Füße vom Tisch nehmen!	თუ შეიძლება, ფეხები მაგიდიდან ჩამოიღეთ!
---	---

- თავაზიანი ფორმა (Höflichkeitsform)

Würden Sie hier über Nacht bleiben?	ღამეს აქ ხომ არ გაათევდით?
Würdest du mir mal deine Fotos zeigen?	იქნებ შენი ფოტოები მაჩვენო?
Würde es Sie interessieren, zum Karneval mal nach Köln zu fahren?	ხომ არ გაინტერესებთ (დაგაინტერესებდათ) ქიოლნში კარნავალზე წასვლა?

4.14.3.4 კავშირებითი კილო Perfekt I (Konjunktiv Perfekt I / Konj. Perfekt)

- ა. უღლება (Konjugation)

Konjunktiv Perfekt-ი იწარმოება დამხმარე ზმნების haben ან sein-ის Konjunktiv-ით Präsens-ში და ძირითადი ზმნის Partizip II-თი.

haben/sein - Konjunktiv Präsens + Partizip II = Konjunktiv Perfekt

- მთავარი ზმნები (Vollverben)

Numerus	Person	Konjunktiv Perfekt
Singular	ich	} gelobt, gehabt
	du	
er, sie, es		
Plural	wir	
	ihr	
	sie, Sie	
Singular	ich	} geflogen, geworden
	du	
er, sie, es		
Plural	wir	
	ihr	
	sie, Sie	

განმარტება ცნებისათვის „Perfekt“:

Perfekt I ანუ Partizip-Perfekt (სასაუბრო წარსული)

Perfekt II ანუ Plusquamperfekt (წინარე წარსული)

er hat (habe) gesagt;	er ist (sei) gekommen	=	Perf. I
er hatte (hätte) gesagt;	er war (wäre) gekommen	=	Perf. II

- მოდალური ზმნები (Modalverben)

Perfekt-ში მოდალური ზმნების Konjunktiv-ის უღლებისას ორივე ზმნის Partizip II-ს ცვლის Infinitiv-ი ისევე, როგორც Indikativ - თხრობით კილოში, gekonnt/gedurft-ს ენაცვლება können, dürfen და ა.შ. (ე.ი. ორი Infinitiv-ი წინადადების ბოლოს).

Num.	Pers.	können	dürfen	wollen	müssen	sollen	mögen
Sing.	ich	habe	habe	habe	habe	habe	habe
	du	habest	habest	habest	habest	habest	habest
	er, sie, es	habe	habe	habe	habe	habe	habe
		sehen können	sehen dürfen	sehen wollen	sehen müssen	sehen sollen	sehen mögen

Plural	wir ihr sie, Sie	haben habet haben sehen können	haben habet haben sehen dürfen	haben habet haben sehen wollen	haben habet haben sehen müssen	haben habet haben sehen sollen	haben habet haben sehen mögen
--------	------------------------	--	--	--	--	--	---

Er meint, nach der Operation
habe er besser sehen können.

ის თვლის, რომ ოპერაციის შემდეგ
უკეთ დაინახავს.

• **Konjunktiv Perfekt-ი წინადადებაში (im Satz)**

Konjunktiv Perfekt გამოიყენება შერბილებული ბრძანების, ვარაუდის, ეჭვის გამოსახატავად მთავარ წინადადებაში, ხოლო დამოკიდებულში მას იმ შემთხვევაში მივმართავთ, როდესაც თხრობა ირიბია ანუ ხდება სხვისი ნათქვამის გადმოცემა. თუ პირდაპირ ნათქვამში ზმნა დგას Indikativ-ის წარსული დროის გამომხატველ ფორმებში (Präteritum, Perfekt, Plusquamperfekt), სხვისი ნათქვამის გადმოცემისას სამივეს ფუნქციას ასრულებს ერთი - Konjunktiv Perfekt -ი. (იხ. Syntax 5.2.3.3 გ)

• ვარაუდი, ეჭვი (Vermutung, Zweifel)

Ich dachte, er habe gut geschrieben.

მე მეგონა, მან კარგად დაწერა.

Maria dachte, ihr Mann habe alles erledigt.

მარია ვარაუდობდა, რომ მისმა ქმარმა ყველაფერი მოაგვარა.

* ირიბი ნათქვამი/შეკითხვა (Indirekte Rede/Frage)

Thomas sagte, dass er noch nicht angerufen habe.

თომასმა თქვა, რომ მას ჯერ არ დაურეკავს.

Thomas sagte, dass Christian nicht gekommen sei.

თომასმა თქვა, რომ ქრისტიანი ჯერ არ მოსულა.

Hans fragte, ob der Vater die Wahrheit gesagt habe.

ჰანსმა იკითხა, თქვა თუ არა მამამ სიმართლე.

Hans fragte, ob alle Schnellzüge schon abgefahren seien.

ჰანსმა იკითხა, გავიდა თუ არა ყველა ჩქარი მატარებელი.

Mutter will wissen, ob der Arzt die Wahrheit gesagt habe.

დედას უნდა იცოდეს, ექიმმა მართალი თქვა, თუ არა უთხარი მას, რომ მე მოვედი.

Sagen Sie ihm, dass ich gekommen sei.

• პირდაპირი ნათქვამის (შეკითხვის) გადაყვანა ირიბ ნათქვამში.
(Umformung: Direkte Rede / Frage → Indirekte Rede / Frage)

Indikativ	Konjunktiv Perfekt
პირდაპირი ნათქვამი Direkte Rede	ირიბი ნათქვამი Indirekte Rede
Er sagte: "Ich hatte keine Zeit dazu" (Prät.) მან თქვა, მე არ მქონდა საამისო დრო.	Er sagte, dass er keine Zeit dazu gehabt habe. (Perf.) მან თქვა, რომ მას საამისო დრო არ ჰქონდა.
Er sagte: "Ich habe keine Zeit dazu gehabt." (Perf.) მან თქვა, მე არ მქონდა საამისო დრო.	
Er sagte: "Ich hatte keine Zeit dazu gehabt." (Plusq.) მან თქვა, მე არ მქონდა საამისო დრო.	
Sagen Sie ihm, ich kam! (Prät) უთხარით მას, მე მოვედი!	Sagen Sie ihm, dass ich gekommen sei! (Perf.) უთხარით მას, რომ მე მოვედი!
Sagen Sie ihm, ich bin gekommen! (Perf.) უთხარით მას, მე მოვედი!	
Sagen Sie ihm, ich war gekommen! (Plusq.) უთხარით მას, მე მოვედი!	

• ირიბი შეკითხვა (Indirekte Frage)

Indikativ	Konjunktiv Perfekt
პირდაპირი შეკითხვა Direkte Frage	ირიბი შეკითხვა Indirekte Frage
Monika fragte: „Hast du die Wahrheit gesagt?“ (haben-ით) მონიკამ იკითხა: -„შენ სიმართლე თქვი?“ Monika fragte: -„Sind die Gäste schon gekommen?“ (sein-ით) მონიკამ იკითხა: -„ჩამოვიდნენ უკვე სტუმრები?“	Monika fragte, ob er die Wahrheit gesagt habe. (Perf.) მონიკამ იკითხა, თქვა თუ არა მან სიმართლე. Monika fragte, ob die Gäste schon gekommen seien. (Perf.) მონიკამ იკითხა, ჩამოვიდნენ თუ არა სტუმრები.

4.14.3.5 კავშირებითი კილო Plusquamperfekt-ი (Konjunktiv Perfekt II/Konj.Plusquamperfekt)

ა. უღლება (Konjugation)

Konjunktiv Plusquamperfekt-ი იწარმოება დამხმარე ზმნების haben ან sein-ის Konjunktiv-ით Präteritum-ში და ძირითადი ზმნის Partizip II-თი.

haben/sein - Konjunktiv Präteritum + Partizip II = Konjunktiv Plusquamperfekt

• მთავარი ზმნები (Vollverben)

Numerus	Person	Konjunktiv Plusquamperfekt
Singular	ich du er, sie, es	hätte hättest hätte
Plural	wir ihr sie, Sie	hätten hättet hätten
Singular	ich du er, sie, es	wäre wärest wäre
Plural	wir ihr sie, Sie	wären wäret wären

} gelobt gehabt
} geflogen, geworden

• მოდალური ზმნები (Modalverben)

können	dürfen	wollen	müssen	sollen	mögen
hätte hättest hätte hätten hättet hätten	hätte hättest hätte hätten hättet hätten	hätte hättest hätte hätten hättet hätten	hätte hättest hätte hätten hättet hätten	hätte hättest hätte hätten hättet hätten	hätte hättest hätte hätten hättet hätten

sehen können sehen dürfen sehen wollen sehen müssen sehen sollen sehen mögen

Mit der Brille hätte er besser **sehen können**.

მას შეეძლო სათვალთ უკეთ დაენახა.

ბ. Konjunktiv Plusquamperfekt-ი წინადადებაში (im Satz)

• Konjunktiv Plusquamperfekt-ით გადმოიცემა:

- სავარაუდო აზრი (რომელიც მოხდა წარსულში, როცა მოქმედება წინ უსწრებს წარმოთქმის მომენტს)
- ვარაუდი, ეჭვი (Vermutung, Zweifel)

Früher hätte ich ihn vielleicht geheiratet,
jetzt interessiert er mich nicht mehr.
Ich denke, er hätte dazu Zeit gehabt.

ადრე იქნებ გავყოლოდი კიდეც,
ახლა მე იგი აღარ მაინტერესებს.
მე ვფიქრობ, მას საამისო დრო ჰქონდა.

- წუხილი იმის გამო, რომ სურვილი არ შესრულდა (Leid)

Hätte ich doch mein Wörterbuch mitgenommen!
Hätte ich die Universität absolviert!
Wärest du gestern rechtzeitig gekommen!
Wäre er gestern zu dir gekommen,
hättest du dich glücklich gefühlt.

წამომელო ჩემი ლექსიკონი!
უნივერსიტეტი რომ დამემთავრებინა!
გუშინ დროზე რომ მოსულიყავი!
ის გუშინ შენთან რომ მოსულიყო, თავს
ბედნიერად იგრძნობდი.

- წინადადებაში ზმნიზებებით: beinahe, fast (ლამის)

Fast wäre ich gefallen.
Du wärest beinahe erfroren.

ლამის წავიქეცი.
ლამის გაიყინე.

- დიდი ალბათობა ზმნა dürfen-ით (Große Wahrscheinlichkeit)

Es dürfte im Mai gewesen sein.

ეს მაისში უნდა მომხდარიყო.

- გ. Konjunktiv Plusquamperfekt-ი რთულ წინადადებებში:

- პირობით წინადადებებში კავშირით wenn ან უკავშიროდ და კორელატივით so ან მის გარეშე, wenn შორდება თუ წინადადება იწყება მთავარით.

Wenn ich vor dem Examen mehr
geübt hätte, (so) hätte ich eine
bessere Note bekommen.

გამოცდის წინ მეტი რომ მევარჯიშა,
უკეთეს ნიშანს მივიღებდი.

Sam hätte mit ihm alles getauscht,
wenn das nur möglich gewesen wäre.

ზამი მას ყველაფერს გაუცვლიდა,
ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

Wäre ich an die See gereist, (so)
hätte ich mich gut erholt.

ზღვაზე რომ წავსულიყავი, კარგად
დავისვენებდი.

- შედარებითი ხასიათის წინადადებებში კავშირებით: als ob, als wenn, als (თითქოს)

Der Student antwortete fließend, als
hätte er das Fach gründlich studiert.
(als ob er ... studiert hätte).

სტუდენტი პასუხობდა სხაპასხუპით,
თითქოს საგანი საფუძვლიანად ჰქონდა
შესწავლილი.

Es war, als hätte der Himmel die Erde
still geküsst. (Jos.V.Eichendorf)

მოხდა ისე, თითქოს ცა დედამიწას ეამბორა.

- როდესაც წინადადებაში ასახულია მოქმედება, რომელიც არ შესრულდა, კავშირებით anstatt dass (ნაცვლად იმისა, რომ), ohne dass (...ის გარეშე).

Anstatt dass er den Sommer im
Gebirge verbracht hätte, fuhr er an die See.
Er blieb lange in Deutschland, ohne
dass er die Aussprache verbessert hätte.

ნაცვლად იმისა, რომ ზაფხული მთაში
გაეტარებინა, გაემგზავრა ზღვაზე.
მან საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო
გერმანიაში იმისათვის, რომ გამოეთქმა
გამოესწორებინა.

- შედეგის წინადადება, რომელიც მიუთითებს მოქმედების ხარისხზე კავშირით als dass (იმისათვის, რომ).

Ich kannte diesen Bereich nicht so gut,
als dass ich einen Artikel hätte schreiben können.

მე არასაკმაოდ ვიცნობდი ამ სფეროს
იმისათვის, რომ სტატია დამეწერა.

4.14.3.6 კავშირებითი კილო Futur I (Konjunktiv Futur I)

Konjunktiv Futur I იწარმოება დამხმარე ზმნა werden-ის Konjunktiv Präsens-ით და ძირითადი ზმნის Infinitiv I-ით.

werden - Konjunktiv Präsens + Infinitiv I = Konjunktiv Futur I

Numerus	Person	Konjunktiv Futur I		
Singular	ich	werde	loben	(haben)
	du	werdest	loben	(haben)
	er, sie, es	werde	loben	(haben)
Plural	wir	werden	loben	(haben)
	ihr	werdet	loben	(haben)
	sie, Sie	werden	loben	(haben)
Singular	ich	werde	kommen	(werden)
	du	werdest	kommen	(werden)
	er, sie, es	werde	kommen	(werden)
Plural	wir	werden	kommen	(werden)
	ihr	werdet	kommen	(werden)
	sie, Sie	werden	kommen	(werden)

Er sagte, dass er das Buch lesen werde.

ის ამბობს, რომ წიგნს წაიკითხავს.

Lukas sagte, dass er den Aufsatz schreiben werde.

ლუკამ თქვა, რომ იგი თხზულებას დაწერს.

Nina will wissen, wann Alois „Parzival“
sehen werde.

ნინას უნდა იცოდეს, როდის ნახავს ალოისი
„პარცივალს“ (პიესას).

4.14.3.7 კავშირებითი კილო Futur II (Konjunktiv Futur II)

Konjunktiv Futur II იწარმოება დამხმარე ზმნა werden-ის Konjunktiv Präsens-ით და ძირითადი ზმნის Infinitiv II-ით.

werden - Konjunktiv Präsens + Infinitiv II = Konjunktiv Futur II

Numerus	Person	Konjunktiv Futur II			
Singular	ich	werde	gelobt	haben	(gehabt haben)
	du	werdest	gelobt	haben	(gehabt haben)
	er, sie, es	werde	gelobt	haben	(gehabt haben)
Plural	wir	werden	gelobt	haben	(gehabt haben)
	ihr	werdet	gelobt	haben	(gehabt haben)
	sie, Sie	werden	gelobt	haben	(gehabt haben)
Singular	ich	werde	gekommen sein		(geworden sein)
	du	werdest	gekommen sein		(geworden sein)
	er, sie, es	werde	gekommen sein		(geworden sein)
Plural	wir	werden	gekommen sein		(geworden sein)
	ihr	werdet	gekommen sein		(geworden sein)
	sie, Sie	werden	gekommen sein		(geworden sein)

Er sagte, dass er das Buch gelesen haben werde.

ის ამბობს, რომ წიგნს წაიკითხავს.

(წაკითხული ექნება)

Lukas sagte, dass er morgen den
Aufsatz geschrieben haben werde.

ლუკამ თქვა, რომ ხვალ თხზულება
დაწერილი ექნება.

4.14.3.8 Indikativ-ის შეცვლა Konjunktiv-ით (Umformung Indikativ → Konjunktiv)

Indikativ → Konjunktiv	
აწმყო (Gegenwart)	ერთდროული (gleichzeitig)
<p>Er hat keine Zeit, sich in seinen prächtigen Garten zu setzen. მას არ აქვს დრო თავის მშვენიერ ბაღში დასაჯდომად.</p>	<p>Er denkt, dass er jetzt keine Zeit habe, sich in seinen prächtigen Garten zu setzen. ის ფიქრობს, რომ მას ახლა თავის მშვენიერ ბაღში ჯდომის დრო არ აქვს.</p> <p>ან: Wenn er Zeit hätte, würde er sich in seinen prächtigen Garten setzen. (Konditional I) მას დრო რომ ჰქონდეს, თავის მშვენიერ ბაღში დაჯდებოდა.</p>
წარსული (Vergangenheit)	წარსული (vorzeitig)
<p>Sie verlor die Hoffnung. მან დაკარგა იმედი. Gestern durfte der Patient nicht ausgehen. გუშინ ავადმყოფს გასვლის ნება არ ჰქონდა.</p> <p>Du bist nicht als Vogel auf die Welt gekommen. შენ არ ხარ ამქვეყნად ფრინველად მოვლენილი.</p>	<p>Wenn sie die Hoffnung nicht verloren hätte! იმედი რომ არ დაეკარგა (მას)!</p> <p>Wenn der Patient gestern hätte ausgehen dürfen, dann... ავადმყოფს გუშინ გასვლის ნება რომ ჰქონოდა, მაშინ ...</p> <p>Wenn du als Vogel auf die Welt gekommen wärest! შენ რომ ამ ქვეყნად ფრინველად მოვლენილიყავ!</p>
აწმყო (Gegenwart)	მომავალი (zukünftig)
<p>Niemand kann seine Schwäche völlig besiegen. არავის ძალუძს თავის სისუსტეებზე სრულად გამარჯვება. Es gibt keinen Frieden auf der Erde. დედამიწაზე მშვიდობა არ არის.</p>	<p>Wenn jemand seine Schwäche völlig besiegen könnte, dann ... ვინმეს თავის სისუსტეებზე სრულად გამარჯვება რომ შეეძლოს, მაშინ...</p> <p>Wenn es auf der Erde Frieden gäbe! დედამიწაზე მშვიდობა რომ იყოს!</p>

დამატებითი განმარტება სიტყვისათვის „Gleichzeitigkeit“ Konjunktiv-თან - აქ დრო ნაჩვენებია მთავარ წინადადებაში.

Präsens: Marion sagt,
Perfekt: Marion hat gesagt,
Futur I: Marion wird morgen sagen,

} es gebe für „Spiegelei“ kein Rezept.
ერბო - კვერცხისთვის („გლაზური“)
რეცეპტი არ მოიპოვება.

4.14.3.9 Konjunktiv Passiv-ში (Konjunktiv im Passiv)

Konjunktiv Passiv-იც გამოხატავს არარეალურ სურვილს, ვარაუდს, წუხილს აუსრულებელი სურვილის გამო და ა.შ. დღევანდელ გერმანულში გამოიყენება იშვიათად.

Konjunktiv Passiv-ში Indikativ -ისგან Passiv-ში მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ზმნა werden დგას Konjunktiv-ში.

- Konjunktiv I Der Dieb befürchtet, er werde bestraft. (Präsens)
ქურდი შიშობს, რომ იგი დაისჯება.
- Konjunktiv II Die Mutter dachte, Obst würde gegessen. (Präteritum)
დედამ იფიქრა, რომ ხილი შეიჭამა.
- Konjunktiv I In der Zeitung steht, der Dieb sei bestraft worden. (Perfekt)
გაზეთში წერია, რომ ქურდი დაისაჯა.

Konjunktiv II	Wenn der Kuchen nicht verbrannt wäre, wäre er gegessen worden. (Plusquamperfekt). ნამცხვარი რომ არ დამწვარიყო, შეიჭმებოდა.
Konjunktiv I	Klaus hoffte, sein Film werde gelobt werden. (Futur I) კლაუსი იმედოვნებდა, რომ მის ფილმს მოიწონებდნენ (შეაქებდნენ).
Konjunktiv II	Man versicherte den Anwohnern, am Morgen nach dem Straßenfest werde alles aufgeräumt worden sein. (Futur II) მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ დღესასწაულის შემდეგ დილისათვის ყველაფერი დალაგდებოდა.
Konditional I	Don Carlos hoffte, er würde geliebt werden. დონ კარლოსი იმედოვნებდა, რომ მას შეიყვარებდნენ.
Konditional II	Würde Alfred so geliebt worden sein, wenn er gesund gewesen wäre? შეიყვარებდნენ ალფრედს ასე, ჯანმრთელი რომ ყოფილიყო?
Konditional I	<u>Passiv+Modelverb</u> Man befürchtete, Großvater würde ins Krankenhaus gebracht werden müssen. შიშობდნენ, რომ ბაბუა საავადმყოფოში გადასაცვანი შეიქნებოდა.

Indikativ Passiv-ის გადაყვანა Konjunktiv Passiv-ში
(Umformung Indikativ im Passiv - Konjunktiv im Passiv)

Indikativ	Konjunktiv
აწმყო (Gegenwart)	ერთდროული (gleichzeitig)
Die Tür wird geöffnet. კარები იღება.	Er denkt, die Tür werde (würde) jetzt geöffnet. ის ფიქრობს, რომ ახლა კარი გაიღება.
<u>მოდალურ ზმნასთან</u> Die Tür muss geöffnet werden. კარები უნდა გაიღოს.	Es ist 9 Uhr, also müsste die Tür jetzt geöffnet werden. 9 საათია, მაშასადამე, ახლა კარი უნდა იღებოდეს.
წარსული (Vergangenheit)	წარსული დრო (vorzeitig)
(Prät. Perf. Plusquam.)	(Plusquamperfekt)
Das Haus wurde gebaut. Das Haus ist gebaut worden. Das Haus war gebaut worden. სახლი აშენდა.	Wäre das Haus gebaut worden! სახლი რომ აშენებულიყო!
მომავალი (Zukunft)	მომავალი დრო (zukünftig)
(არარეალური, ფანტასტიკური აზრი)	
Der Minister meint: „Im nächsten Jahrtausend werden die Wohnungen mit Sonnenenergie geheizt“. ბატონი მინისტრი ფიქრობს: „შემდეგ ათასწლეულში ბინები მზის ენერჯით გათბება.“	Der Minister meint, dass im nächsten Jahrtausend die Wohnungen mit Sonnenenergie geheizt werden würden. ბატონი მინისტრი ფიქრობს, რომ შემდეგ ათასწლეულში ბინები მზის ენერჯით გათბება.

4.14.3.10 Konditional I და Konditional II (Ersatzformen für den Konjunktiv / Aussageweise der Bedingung)

არსებობს Konjunktiv-ის კიდევ ორი ფორმა **Konditional I** და **Konditional II** ანუ **Ersatzform**.

Konditional-ი ანუ პირობით-აღწერილობითი ფორმა ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებასთან ერთად დამკვიდრდა. მისი გერმანული სახელწოდება **Bedingungsform** (პირობითი), ასევე ლათინური - **Konditional**, რაც იგივეს აღნიშნავს, სრულყოფილად ვერ გამოხატავს მის ფუნქციას. გარდა პირობისა, მისი გამოყენების სფერო გაცილებით მრავალფეროვანია. მას უწოდებენ აგრეთვე „Ersatzform“-ს, რაც მის ფუნქციას წინადადებაში უკეთესად განმარტავს (ersetzen - ჩანაცვლება), რადგან **Indikativ-ის** და **Konjunktiv-ის** დამთხვევის დროს იგი ენაცვლება **Indikativ-ის** დროის ფორმებს.

ა. Konditional I და Konditional II-ის დამოკიდებულება

ზმნის სხვა დროებთან (**Zeitverhältnisse**)

- **Konditional I** აღწერს აწმყოს ან მომავალს.
Konditional II აღწერს ახლო ან წინარე წარსულს.
- **Konditional I** ცვლის **Konjunktiv Futur I-ს**
Konditional II ცვლის **Konjunktiv Futur II-ს**
- **Konditional I** ცვლის **Konjunktiv Präteritum-ს**.
Konditional II ცვლის **Konjunktiv Plusquamperfekt-ს**.
- **Konditional I** და **Konditional II** გამოიყენება მეტწილად თავაზიან მიმართვაში, თავაზიან შეკითხვაში (**höfliche Aussage, höfliche Frage**)

ბ. Konditional I იწარმოება werden-ის Konjunktiv Präteritum-ითა და საუღლებელი ზმნის Infinitiv I-ით.

Konditional I = werden - Konjunktiv II + Volverb - Infinitiv I

Numerus	Person	lesen	fahren
Singular	ich	würde lesen,	fahren
	du	würdest lesen,	fahren
	er, sie, es	würde lesen,	fahren
Plural	wir	würden lesen,	fahren
	ihr	würdet lesen,	fahren
	sie, Sie	würden lesen,	fahren

და ა.შ.

Konditional I გამოიყენება როგორც დამოკიდებულ, ასევე დამოუკიდებელ წინადადებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება არის არარეალური, საგარაუდო, სასურველი:

- აწმყო დროის გამოსახატავად (**Gegenwart**)

Ihr Leben ist interessant, ohne dass
sie reisen würde.
An seiner Stelle würde ich meine
Sprachkenntnisse verbessern.
Vielleicht würde aus ihm etwas
werden, wenn...

მისი ცხოვრება საინტერესოა
მოგზაურობის გარეშე.
მის ადგილას ენის ცოდნას
გავიუმჯობესებდი.
იქნებ მისგან რაღაც გამოსულიყო
(კაცად ქცეულიყო), თუ ...

● მომავალი დროის გამოსახატავად (Zukunpft)

Könnte er auf der Bühne auftreten, so würde er es gern tun.
 Führe ich nach München, so würde ich zu dem Fest gehen.
 Ich würde nach Venedig reisen!
 Wenn ich viel geübt hätte, so würde ich einen Salto springen können.
 Nie wieder würde Lissy froh werden können!
 Es wäre nett, wenn du mich mit deinen Fragen nicht weiter belästigen würdest.
 Würde doch endlich mal der Regen aufhören!
 Sie machte eine Miene, als würde sie zu weinen beginnen.

მას რომ სცენაზე გამოსვლა შეეძლოს, ამას დიდი სიამოვნებით გააკეთებდა. მიუნჰენში რომ წავიდოდე, დღესასწაულს დავესწრებოდი. ვენეციაში გავემგზავრებოდი! ბევრი რომ მევარჯიშა, სალტოზე გადახტომას შევძლებდი. ლიზი ვედარასოდეს გაიხარებს! კარგი იქნება, თუ შენი კითხვებით მომავალშიც არ დამტვირთავ. ბოლოს და ბოლოს შეწყდება თუ არა წვიმა! მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ტირილი უნდა დაეწყო.

● თავაზიან ფორმაში (Höflichkeitsform)

Wenn Sie es könnten, würden Sie in Ihrem Land etwas ändern?
 Haben Sie eine Geige? Würden Sie sich eine kaufen?

ხომ არ შეცვლიდით თქვენს ქვეყანაში რაიმეს, (ეს) რომ შეგეძლოთ? გაქვთ ვიოლინო? ხომ არ შეიძენდით?

გ. Konditional II იწარმოება werden-ის Konjunktiv Präteritum-ითა და საულღებელი ზმნის Infinitiv II-თი.

Konditional II = werden - Konjunktiv II + Vollverb - Infinitiv II

Numerus	Person	sagen	bleiben
Singular	ich	würde gesagt haben,	geblieben sein
	du	würdest gesagt haben,	geblieben sein
	er, sie es	würde gesagt haben,	geblieben sein
Plural	wir	würden gesagt haben,	geblieben sein
	ihr	würdet gesagt haben,	geblieben sein
	sie, Sie	würden gesagt haben,	geblieben sein

Konditional II გამოიყენება აგრეთვე როგორც დამოკიდებულ, ასევე დამოუკიდებელ წინადადებაში, რომელშიც მოქმედება არის არარეალური, სავარაუდო, სასურველი:

Würdest du die Lebensmittel gekauft haben?
 Er meinte, er würde das Buch gelesen haben, bevor ich zurückkehre.
 Ich hatte befürchtet, du würdest vor mir eingetroffen sein.

ნაყიდი გექნება პროდუქტები?
 იგი ფიქრობდა, რომ წიგნს მანამდე წაიკითხავდა, ვიდრე მე დავბრუნდებოდი.
 მე შემეშინდა, რომ შენ ჩემზე ადრე ჩამოხვიდოდი.

დ. Konditional-ი წინადადებაში (Konditional im Satz)

● Konditional I (აწმყო - Gegenwart, მომავალი - Zukunft)

Bei solchem Wetter würde ich nicht aus dem Hause gehen.
 ასეთ ამინდში მე გარეთ არ გავიდოდი.
 Hätte ich sie gestern gesehen, so würde ich mich heute glücklich fühlen.
 გუშინ ის რომ მენახა, დღეს თავს ბედნიერად ჩავთვლიდი.

• **Konditional II (ახლო და წინარე წარსული - jetzt oder später Vergangenes)**

Hätte ich mein Problem rechtzeitig gelöst, würde ich froh gewesen sein.
 დროზე რომ გადამეჭრა ჩემი პრობლემა, კმაყოფილი დავრჩებოდი.

Wäre ich gestern früher gekommen, würde ich den Dom vollständig besichtigt haben (ან können)
 გუშინ უფრო ადრე რომ მოვსულიყავი, ტაძარს მთლიანად დავათვალიერებდი.

• **Konditional I ცვლის Konjunktiv Futur I-ს.**

Es wäre gut, wenn du bald fertig werden würdest. კარგი იქნება, თუ შენ მალე მოემზადები.

• **Konditional II ცვლის Konjunktiv Futur II-ს**

Ich würde das Buch zu Ende gelesen haben. წიგნი ბოლომდე მექნება წაკითხული.

• **Konditional I ცვლის Konjunktiv Präteritum-ს.**

Wenn ich Geld hätte, würde ich ein Haus kaufen. ფული რომ მქონდეს, სახლს ვიყიდდი.

• **Konditional II ცვლის Konjunktiv Plusquamperfekt-ს.**

Wenn ich Geld gehabt hätte, würde ich ein Haus gekauft haben. ფული რომ მქონოდა, სახლს ვიყიდდი.

• **Konditional I – II-ით მეტწილად გამოიხატება თავაზიანი მიმართვა, შეკითხვა (Höfliche Aussage, Bitte)**

Diese Ausstellung würde ich nicht empfehlen. (Kond.I) ამ გამოფენის ნახვას მე არ გირჩევდით.

Würden Sie bitte vorausgehen? (Kond.I) წინ ხომ არ წაიწევდით?
 Würden Sie bitte den Platz freimachen? (Kond.I) ადგილს ხომ ვერ დამითმობდით (გაათავისუფლებდით)? (მაგ. თეატრში) რას იტყოდა ბიძია ჰანსი?

Was würde Onkel Hans wohl gesagt haben? (Kond.II) ამ სიტყვას ბებია არასოდეს იხმარდა!
 Dieses Wort würde Großmutter nie benutzt haben! (Kond.II)

<ul style="list-style-type: none"> • Indikativ – თბრობითი (Wirklichkeitsform) • Imperativ – ბრძანებითი (Aufforderungsform/Befehlsform) • Konjunktiv – კავშირებითი (Möglichkeitsform) 	
Mein Ereund spielt Orgel. (Ind.)	ჩემი მეგობარი უკრავს ორღანზე.
Spiel(e) Orgel! (Imp.)	დაუკარი ორღანზე.
Würde ich auch Orgel spielen, dann (Konj.)	მეც რომ ვუკრავდე ორღანზე, მაშინ...

ბრძანებითი კილო (Imperativ)

1. du-Form:	Suche! Sag(e)! Nimm! Gib! Lies! Trage! Setz dich! Steh auf! Zieh(e) dich an!
2. ihr-Form:	Sucht! Sagt! Nehmt! Gebt! Lest! Tragt! Setzt euch! Zieht euch an!
3. Sie-Form:	Suchen Sie! Nehmen Sie! Lesen Sie! Tragen Sie! Setzen Sie sich! Ziehen Sie sich an!
4. Imperativ-werden:	Wirst du wohl still sein!
5. Indikativ-Präsens:	Du gibst jetzt Ruhe!
6. მრ.რ. I პირი:	Bleiben wir hier!
7. Infinitiv:	Aufstehen! Nicht rauchen!
8. Partizip II:	Aufgepasst! Aufgehalten!
9. Sein:	Sei! Seid! Seien Sie! Seien wir!

კავშირებითი კილო (Konjunktiv/Möglichkeitsform)

ზმნის ულღება (Konjugation) ამოსაცნობი ნიშანი (Kennzeichen-e-)

Präs.	ich	habe	-en*	sei	-en	werde	-en	könne	-en	male	-en	gebe	-en
	du	habest	-et	sei(e)st	-et	werd-est	-et	könnest	-et	malest	-et	gebest	-et
	er,sie,es	habe	-en	sei	-en	werde	-en	könne	-en	male	-en	gebe	-en
Prät.	ich	hätte	-en	wäre	-en	würde	-en	könnte	-en	malte	-en	gäbe	-en
	du	hättest	-et	wärest	-et	würdest	-et	könntest	-et	maltest	-et	gäbest	-et
	er,sie,es	hätte	-en	wäre	-en	würde	-en	könnte	-en	malte	-en	gäbe	-en

Perf.	ich	habe gelobt	-en g-t	sei gekommen	-en g-en	habe sehen können	-en sehen können
	du	habest gelobt	-et g-t	sei(e)st gekommen	-et g-en	habest sehen können	-et sehen können
	er,sie,es	habe gelobt	-en g-t	sei gekommen	-en g-en	habe sehen können	-en sehen können
Plusq.	ich	hätte gelobt	-en g-t	wäre gekommen	-en g-en	hätte sehen können	-en sehen können
	du	hättest gelobt	-et g-t	wärest gekommen	-et g-en	hättest sehen können	-et sehen können
	er,sie,es	hätte gelobt	-en g-t	wäre gekommen	-en g-en	hätte sehen können	-en sehen können
Fut. I	ich	werde loben	-en en	werde kommen	-en en	werde sehen können	-en sehen können
	du	werdest loben	-et en	werdest kommen	-en en	werdest sehen können	-et sehen können
	er,sie,es	werde loben	-en en	werde kommen	-en en	werde sehen können	-en sehen können

*ზმნის მრ.რიცხვის დაბოლოებები

Konjunktiv I (präsental) er habe, sei, werde, könne, male, gehe, habe gelobt, sei gekommen, habe sehen können	
Konjunktiv II (präterital) er hätte, wäre, würde, könnte, hätte gelobt, wäre gekommen, hätte sehen können და ა.შ.	
1. Gott sei Dank! (K.I)	მადლობა ღმერთს!
2. Er sagt, dass er keine Zeit dazu habe (K.I).	ის ამბობს, რომ მას საამისო დრო არ აქვს.
3. Ich dachte, er habe gut geschrieben(K.I).	მე მეგონა, მან კარგად დაწერა.
1. Wäre ich doch berühmt! (K.II)	მე რომ ცნობილი ვიყო!
2. Hätten Sie etwas dagegen! (K.II)	წინააღმდეგი ხომ არ იქნებით!
3. Es dürfte im Mai geschehen sein (K.II)	ეს მაისში უნდა მომხდარიყო!

ზმნის დროების დამთხვევა (Zusammenfallen der Tempusformen)

1	Präsens-ს ცვლის	→ Präteritum (er = hätte, wäre, würde, käme, könnte)
2	Präteritum-ს	→ Plusquamperfekt ან Konditional (er = hätte gemacht ან würde machen)
3	Perfekt-ს	→ Plusquamperfekt (er hätte ein Bild gemalt)
4	Futur I-ს	→ Konditional I (er würde laut lesen)
5	Plusquamperfekt-ს	→ Konditional II (Wenn ich Geld gehabt hätte, würde ich ein heues Haus gekauft haben)
6	Futur II-ს	→ Konditional II (Ich würde das Buch gelesen haben)

Konditional I-II (Ersatzform)

Konditional I = werden-Konjunktiv II+Vollverb – Infinitiv I
Würden Sie eine Geige gekauft?
Konditional II = werden-Konjunktiv II + Vollverb – Infinitiv II
Hätte ich mein Problem gelöst, würde ich froh gewesen sein

Konjunktiv-ის დრო (Zeitangabe) რთულ ქვეწყობილ წინდადებაში

ა. პირობითი წინდადება (Bedingungssatz)

ზმნის დროების ურთიერთმიმართება (Zusammenhang)	მთავარი წინდადება (Hauptsatz)	დამოკიდებული წინდადება (Nebensatz)
მთავარსა და დამოკიდებულ წინდადებაში მოქმედება ხდება ახლანდელ დროში (Prät.Konj.)	gäbe ich es dir. (შენ მოგცემდი) ახლა!	← Wenn ich das Buch hätte, (წიგნი რომ მქონდეს)
მთავარსა და დამოკიდებულ წინდადებაში მოქმედება ხდება მომავალში (Konditional I)	würde ich es dir geben. (შენ მოგცემ)	← Wenn ich das Buch haben würde, (წიგნი თუ შევიძინე)
მთავარსა და დამოკიდებულ წინდადებაში მოქმედება ხდება წარსულში (Plusquam. Konj.)	hätte ich es dir gegeben. (შენ მოგცემდი) მაშინ!	← Wenn ich das Buch gehabt hätte, (წიგნი რომ მქონოდა)
მთავარ წინდადებაში მომავალი დროა (Kondit.I ან Prät. Konj.) დამოკიდებულში – წარსული (Plusquam. Konj.)	Ich würde das Buch dir geben, ან Ich gäbe das Buch dir, (შენ მოგცემდი) მომავალი	→ wenn ich es gehabt hätte. (წიგნი რომ შემიძინა)

მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში მოქმედება ხდება ახლანდელ დროში. (I Präs./Prät.Konj.)	Er tut so, (ის ისე იქცევა)	als ob er mich nicht sehe (sähe) (თითქოს ვერ მამჩნევდეს)
მთავარ წინადადებაში მოქმედება ხდება ახლანდელ დროში, დამოკიდებულში – წარსულში (Perf/ Plusq. Konj.)	Er tut so, (იგი ისე იქცევა)	als ob er mich nicht gesehen habe/hätte . (თითქოს ვერ შემამჩნია)

4.15 ზმნის მართვა

(Rektion und Valenz/Wertigkeit der Verben)

გერმანულ ენაში მთელ რიგ ზმნებს თან ახლავს დამატება (Ergänzung „შევსება“) წინდებულთ ან მის გარეშე.

დამატების (Ergänzung) ფუნქციას ასრულებს არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, Infinitiv-ი ან დამატება წინდებულთ (ან მის გარეშე). Rektion-ი ახლავს აგრეთვე მთელ რიგ არსებით და ზედსართავ სახელებს. ზმნის, არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, ზედსართავი სახელისა და მათი ობიექტის ურთიერთზემოქმედებას ეწოდება Rektion-ი.

Rektion-ი შეიძლება იყოს -

ა. დამატება წინდებულთან ერთად (Präpositionalergänzung)(Gen.-Dat. ან Akk.-ის)

ბ. მხოლოდ დამატება გარკვეულ ბრუნვაში (Gen.-Dat. ან Akk.-ში)

ჩვენ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია სწორედ პირველზე. რადგან Rektion-ის ქართულ ენაზე თარგმნისას წინდებულის მნიშვნელობა ამ ორ ენაზე ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს.

Rektion-ს წინდებულთ, თუ იგი უსულო არსებით სახელთან დგას, დაესმის კითხვები: worauf? wo- vor? wofür? woran? და ა.შ. თუ არსებითი სახელი სულიერია: auf wen? vor wen? an wen? და ა.შ.

ზმნის Rektion-ი აწესრიგებს წინადადების აგების სქემას (Satzbauplan) და ქმნის მთლანობაში წინადადების სურათს (Satzbild).

4.15.1 ზმნები წინდებულის გარეშე (Verben ohne Präposition)

4.15.1.1 ზმნები Nominativ-ით (Verben mit dem Nominativ)

Nominativ - ბრუნვა ახლავს ზმნებს:

ა. sein, bleiben, werden, heißen

ბ. Passiv-ის ფორმებს: genannt (geheißen, gerufen, getauft, geschimpft) werden

გ. + als

sein (Nom.)- ყოფნა Mein Nachbar ist Künstler. bleiben (Nom.) - დარჩენა Trotz alledem bleibt er mein Konkurrent. genannt werden (Nom.) - დარქმევა, წოდება. Er wurde David der Erbauer gennant. ზმნა+als (Nom.) Sein Sohn kehrte als Sieger in die Heimat zurück.	ჩემი მეზობელი ხელოვანია. მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი ჩემ კონკურენტად რჩება. მას დავით აღმაშენებელი ეწოდა. მისი ვაჟიშვილი სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა.
--	--

4.15.1.2 ზმნები Genitiv-ით (Verben mit dem Genitiv)

ზმნის მართვა ობიექტით Genitiv-ში გვხვდება იშვიათად. იგი მოძველებული ფორმაა და მას მიმართავენ მეტწილად პოეზიაში.

<p>gedenken (Gen.)-მოსენიება Am Totensonntag gedenkt man der Toten.</p> <p>bedürfen (Gen.)-მოთხოვნილება Selbst im Augenblick des höchsten Glücks und der höchsten Not bedürfen wir des Künstlers. (I.W.Goethe)</p> <p>entbehren (Gen.)-მოკლება Ihre Behauptungen entbehren jeder Grundlage.</p> <p>(Wege) gehen (Gen.)- ... გზით წასვლა Geh deiner Wege!</p> <p>verlustig gehen (Gen.)- დაკარგვა, კლება. In Paris ist Gabi ihres gesamten Gepäcks verlustig gegangen!</p> <p>spotten (Gen.)- დაცინვა, (რადაცის) ვერ შესრულება Diese Dummheit spottet jeder Beschreibung!</p> <p>es braucht (Gen.)es bedarf (Gen.)-საკიროა Um Kinder zu erziehen braucht es oft nur eines kleinen Fingerzeigs.</p> <p>harren (Gen.)- მოლოდინი Wir harren dessen, was da kommt.</p>	<p>მიცვალებულთა (ხსენების) დღეს იხსენიებენ გარდაცვლილებს.</p> <p>თვით უმაღლესი ბედნიერებისა და უკიდურესი გაჭირვების ჟამს გვაქვს მოთხოვნილება ხელოვნებისა. (ი.ვ. გოეთე)</p> <p>თქვენი მოსაზრებანი ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული.</p> <p>შენ შენი გზით იარე!</p> <p>პარიზში გაბი ჩავიდა ბარგის გარეშე. (მთელი ბარგი დაკარგა)</p> <p>ამ სისულელის აღწერა შეუძლებელია.</p> <p>ბავშვების აღსაზრდელად ხშირად მხოლოდ თითის დაქნევაა საკირო.</p> <p>ჩვენ მოწევნადს ველით.</p>
--	--

• დამოუკიდებელი Genitiv-ი დგას აგრეთვე scheinen, werden, bleiben, sein-ის შემდეგ:

<p>scheinen (Gen)- ჩენა (ჩანს) Noch am morgen schien er guten Mutes.</p> <p>werden (Gen.)- გახდომა ..., und dann wurde er schlechter Laune...</p> <p>bleiben (Gen.)- დარჩენა, შენარჩუნება Bleibe guten Gewissen bei deiner Meinung!</p> <p>sein (Gen.)- ყოფნა, არსებობა Solange du willens bist, wirst du es auch schaffen!</p>	<p>ჯერ კიდევ დილით ხალისიანი ჩანდა.</p> <p>... შემდეგ უგუნებოდ შეიქნა.</p> <p>შეინარჩუნე სუფთა სინდისი შენი შეხედულების ჩამოყალიბებისას!</p> <p>იქამდე, ვიდრე შენი სურვილი იარსებებს, შენ შექმნი (შემოქმედებას).</p>
---	--

4.15.1.3 ზმნები Dativ-ით (Verben mit dem Dativ)

- ა. არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი (პიროვნება) Dativ-ში (Dativ der Person) გვხვდება ისეთ ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის შეგრძნებებს, მის დამოკიდებულებას სხვადასხვა ვითარებისადმი, საზოგადოებასთან ურთიერთობას, მიდრეკილებებს.

<p>schmecken (Dat.) Schokoladeneis schmeckt ihm am besten.</p> <p>gehören (Dat.)- მიეკუთვნება Wem gehört dieser Pullover?</p> <p>gefallen (Dat.)- მოწონება Porzellanfiguren gefallen mir nicht.</p> <p>stehen (Dat.)- მოხდება Diese Farbe steht dir nicht besonders.</p> <p>passen (Dat.) - მორგება Dieses Abendkleid passt ihr nicht mehr.</p> <p>danken (Dat.)- მადლობის გადახდა Ich danke Ihnen herzlich!</p> <p>fehlen (Dat.)- კლება Ach, du fehlst mir so sehr!</p> <p>helfen (Dat.)- დახმარება Kann ich Ihnen etwas helfen?</p> <p>folgen (Dat.) მიდევნება, ხლება Sie folgte ihm bis nach Texas.</p> <p>vertrauen (Dat.)- ნდობა Sie vertrauen nicht mal ihrem Sohn.</p> <p>nützen (Dat.) საჭიროება, სარგებლობა Überlege, wem die Sache nützt!</p>	<p>შოკოლადის ნაყინი მას ყველაფერზე მეტად ეგემრიელება.</p> <p>ვის ეკუთვნის ეს პულოვერი?</p> <p>ფაიფურის ფიგურები მე არ მომწონს.</p> <p>ეს ფერი შენ მაინცდამაინც არ გიხდება.</p> <p>ეს საღამოს კაბა მას აღარ არგია.</p> <p>გულითად მადლობას გიხდით!</p> <p>ო, როგორ მაკლიხარ შენ მე!</p> <p>შემიძლია რაიმეთი დაგეხმარო?</p> <p>იგი მას ტეხასამდე გაჰყვა.</p> <p>ისინი არ ენდობიან თავიანთ ვაჟიშვილს.</p> <p>იფიქრე, ვის სჭირდება ეს საგანი!</p>
--	---

და ა.შ.

- ბ. სულიერი არსებითი სახელი, ნაცვალსახელი (პიროვნება) Dativ-ში დგას აგრეთვე ზმნებთან თავსართებით (Bestimmungswörter): -bei, -vor, -nach, -ein, -auf, -zu და ა.შ.

<p>beistehen (Dat.)- გვერდში დგომა, დახმარება, მფარველობა Gott steh uns bei!</p> <p>vorlesen (Dat.)- წაკითხვა Liest du mir heute vor, Mama?</p> <p>nachgeben (Dat.)- დათმობა Gib deiner Frau doch nach!</p> <p>einfallen (Dat.)- მოფიქრება, აზრად მოსვლა... Was fällt dir ein!</p> <p>auffallen (Dat.)- თვალში ცემა Ist Ihnen der Mann mit Hut nicht aufgefallen?</p> <p>zusagen (Dat.)- თანხმობა, დაპირება Ich kann euch leider noch nicht zusagen.</p>	<p>ღმერთო დაგვიფარე ჩვენ!</p> <p>წამიკითხავ დღეს, დედა?</p> <p>დაუთმე შენს ცოლს, რა მოხდება!</p> <p>რა აღარ მოგივა აზრად!</p> <p>არ გეცათ თვალში კაცი ქუდით (შლაპით)?</p> <p>სამწუხაროდ, ჯერ არ შემიძლია დაგეთანხმოთ.</p>
--	---

და ა.შ.

გ. Dativ der Person მოუცილებელთავსართიან ზმნასთან „wider“-ით

<p><u>widersprechen</u> (Dat.)- შეპასუხება Widerspruch dem Lehrer nicht! <u>widerstehen</u> (Dat.)- წინააღმდეგობის გაწევა Ich kann ihm einfach nicht widerstehen!</p>	<p>ნუ ეპასუხები მასწავლებელს! მე უბრალოდ წინ ვერ აღვუდგები მას.</p>
---	---

და ა. შ.

დ. რამდენიმე პირნაკლ ზმნასთან es-ით

<p><u>es schmeckt...</u> (Dat.)- ეგემრიელება Martha, es schmeckt ihm nicht! <u>es geht...</u>(Dat.)!-ითარგმნება მხოლოდ გამოთქმებში Es geht mir gut, danke! <u>es tut ... leid</u> (Dat.)- სამწუხაროა Tut es dir nicht leid?! <u>es gelingt ...</u> (Dat.)-მოხერხდება Es will uns einfach nicht gelingen!</p>	<p>მართა, მას არ ეგემრიელა! მე კარგად ვარ, გმადლობთ! არ წუხხარ, განა?! ამას ჩვენ უბრალოდ ვერ მოვახერხებთ!</p>
--	---

და ა. შ.

ე. ე.წ. Der Freie Dativ

<p>Dem Glücklichen schlägt keine Stunde! Juckt dir die Hand? Dies ist mir eine schöne Überraschung!</p>	<p>ბედნიერისთვის არასოდეს დაჰკრავს ვნების საათი! ხელი გექავება? ეს მშვენიერი სიურპრიზია ჩემთვის!</p>
---	--

და ა. შ.

4.15.1.4 ზმნები Dativ-ითა და Akkusativ (Verben mit dem Dativ und Akkusativ)

Dativ der Person ზოგჯერ დგას Akkusativ der Sache-სთან (ანუ არსებითი ან ნაცვალსახელი (საგანი) Akkusativ-ში.

ა. ძირეულ ან ნაწარმოებ ზმნებთან

<p><u>zeigen</u> (Dat.+Akk.)-ჩვენება Arian zeigt mir (Dat.) seine Schmetterlingsammlung (Akk.)</p> <p><u>reichen</u> (Dat.+Akk.)-გაწვდა Reich mir (Dat.) die Hand (Akk.), mein Schatz!</p> <p><u>schicken</u> (Dat.+Akk.)-გაგზავნა Morgen schicken wir Ihnen (Dat.) die Gutscheine (Akk.)</p> <p><u>rauben</u> (Dat.+Akk.)-წართმევა Sie raubt ihm (Dat.) die letzte Hoffnung (Akk.)!</p> <p><u>leihen</u> (Dat.+Akk.) თხოვება Könnt ihr uns (Dat.) euren Kinderwagen (Akk.) leihen?</p> <p><u>schenken</u> (Dat.+Akk.)-ჩუქება Sie schenkt ihm (Dat.) eine bunte Krawatte (Akk.).</p> <p><u>sagen</u> (Dat.+Akk.)-თქმა Er sagt dir (Dat.) sein Geheimnis (Akk.) sicher nicht!</p> <p><u>liefern</u> (Dat.+Akk.)-მიწოდება, გაგზავნა Das Geschäft lieferte ihnen (Dat.) die Waren (Akk.)</p> <p><u>bringen</u> (Dat.+Akk.)-მოტანა Ich bringe euch (Dat.) den Wagen (Akk.)</p> <p><u>geben</u> (Dat.+Akk.)-მიცემა/მოცემა Warum gebt ihr (Nom.) ihr (Dat.) nicht euren Schlüssel (Akk.)?</p>	<p>არიანი მიჩვენებს თავის პეპელების კოლექციას.</p> <p>გამომიწოდე ხელი, ჩემო ძვირფასო!</p> <p>ხვალ გამოგიგზავნით ტალონებს.</p> <p>იგი მას უკანასკნელ იმედს ართმევს!</p> <p>შეგიძლიათ, თქვენი საბავშვო ეტლი გვათხოვოთ?</p> <p>ის მას ფერად ჰალსტუხს ჩუქნის.</p> <p>ის თავის საიდუმლოს შენ ნამდვილად არ გეტყვის!</p> <p>საწარმომ მათ საქონელი მიაწოდა.</p> <p>მე მოგიტანთ თქვენ ეტლს.</p> <p>რატომ თქვენს გასაღებს არ მისცემთ მას?</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
---	---

ბ. ზმნებთან მოცილებადი თავსართებით bei-, vor-, nach-, an-, auf-, zu- და სხვა.

<p><u>beifügen</u> (Dat.+Akk.)-დართვა, დამატება Ines fügt dem Päckchen eine Weihnachtskarte bei.</p> <p><u>vortragen</u> (Dat.+Akk.)-წაკითხვა (წაუკითხა), მღერა (უმღერა) Er hat uns das ganze Gedicht vorgetragen.</p> <p><u>nachsehen</u> (Dat.+Akk.)-მიტევა, ნახვა-შემოწმება. Wir haben ihm diesen Fehler nachgesehen.</p> <p><u>anbieten</u> (Dat.+Akk.)-შეთავაზება Darf ich Ihnen eine Tasse Tee anbieten?</p> <p><u>aufschließen</u> (Dat.+Akk.)-გაღება Warte kurz, dann schließe ich dir die Tür auf!</p> <p><u>zusenden</u> (Dat.+Akk.)-გაგზავნა Den Brief sende ich dir später zu.</p>	<p>ინესი პაკეტს საშობაო ბარათს დაურთავს.</p> <p>მან ჩვენ მთელი ლექსი წაგვიკითხა.</p> <p>ჩვენ მას ეს შეცდომა ვაპატიეთ.</p> <p>შეიძლება, ფინჯანი ჩაი შემოგთავაზოთ?</p> <p>ცოტა მოითმინე და გაგიღებ კარს.</p> <p>წერილს მოგვიანებით გამოგიგზავნი.</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
--	--

გ. ზმნებთან მოუცილებადი თავსართებით be-, ge-, er-, ver-, zer- და სხვა.

<p>bereiten (Dat.+Akk.)-მომზადება Ich bereite Ihnen schnell eine Tasse Kaffee.</p>	<p>მე სწრაფად მოგიმზადებთ ფინჯან ყავას</p>
<p>gestatten (Dat.+Akk.)-ნების დართვა Gestatten Sie mir eine Bitte!</p>	<p>ნება მიბოძეთ, ერთი რამ გთხოვოთ!</p>
<p>erlauben (Dat.+Akk.)-ნების დართვა Wir erlauben unserem Sohn diesen Kinobesuch nicht.</p>	<p>ჩვენ არ ვაძლევთ ჩვენს ვაჟიშვილს კინოში წასვლის უფლებას (ამ ფილმის ნახვის)</p>
<p>verbieten (Dat.+Akk.)-აკრძალვა Ich verbiete dir diesen Tonfall!</p>	<p>მე გიკრძალავ, ასეთი ტონით ლაპარაკს!</p>
<p>verzeihen (Dat.+Akk.)-პატიება Verzeihst du mir meine Ungeschicklichkeit?</p>	<p>მაპატიებ ჩემს მოუქნელობას?</p>
<p>versprechen (Dat.+Akk.)-დაპირება, აღთქმა Er versprach ihr den Himmel auf Erden.</p>	<p>მან აღუთქვა ცა და დედამიწა. („ცის ჩამოტანა“) და ა.შ.</p>

დ. ზოგჯერ Akkusativ-ს ცვლის Infinitiv „zu“-თი, ინფინიტივური ჯგუფი ან დამოკიდებული წინადადება.

<p>Er versprach mir, vorbeizukommen. Sie befahl den Kindern, um sechs Uhr zu Hause zu sein.</p>	<p>ის დაპირდა, რომ შემომვივლიდა. მან ბავშვებს უბრძანა, ექვსისთვის შინ ყოფილიყვნენ.</p>
<p>Ich verzeihe dir, dass du gelogen hast. Ich verzeihe dir, gelogen zu haben.</p>	<p>მიპატიებია შენი ტყუილი (რომ მოიტყუე). მიპატიებია შენი ტყუილი. და ა.შ.</p>

ე. ზოგიერთ რეფლექსურ ზმნასთან გარდა მისი ნაცვალსახელისა „sich“ „Akkusativ-ში, დგას Dativ der Person ან Dativ der Sache.

<p>sich anvertrauen (Dat.)-ნდობა, დაყრდნობა Du kannst dich mir problemlos anvertrauen!</p>	<p>შენ შეგიძლია მე უპრობლემოდ დამეყრდნო.</p>
<p>sich widersetzen (Dat.)-წინააღმდეგობა, შეცვლა, გვერდის ავლა Junge Autofahrer widersetzen sich gern der Straßenverkehrsordnung.</p>	<p>ახალგაზრდა მძღოლები არად დაგიდევენ მოძრაობის წესებს.</p>
<p>sich widmen (Dat.)-მიძღვნა (საკუთარი თავის) Ich widme mich der Hausarbeit nur ungern.</p>	<p>საოჯახო საქმეებს უხალისოდ ვაკეთებ. და ა.შ.</p>

4.15.1.5 ზმნები Akkusativ-ით (Verben mit dem Akkusativ)

ა. ყველა გარდამავალ ზმნას ახლავს Akkusativ-ი.

<p>finden (Akk.)-პოვნა Lisa fand einen goldenen Ring.</p> <p>erfinden (Akk.)-გამოგონება Wer hat das Rad erfunden?</p> <p>rufen (Akk.)-ძახილი Der Vater ruft seinen Sohn.</p> <p>anrufen (Akk.) -დარეკვა Wann rufst du mich an?</p> <p>essen (Akk.)-ჭამა, მირთმევა Er aß eine Banane und einen Keks.</p> <p>trinken (Akk.)-სმა Diesen Wein trinken wir nicht.</p> <p>füttern (Akk.)-დაპურება Der Bauer füttert die Hühner.</p> <p>beißen (Akk.)-კბენა Der Hund hat den Jungen gebissen.</p> <p>ernten (Akk.)-მოსავლის აღება Heutzutage erntet eine Maschine das Getreide.</p> <p>treffen (Akk.)-შეხვედრა Flavius traf seinen Freund.</p> <p>kaufen (Akk.)-ყიდვა Ich kaufte einen Wagen.</p> <p>nehmen (Akk.)-აღება Diese Tasche nehme ich!</p> <p>waschen (Akk.)-რეცხვა Er wäscht seine Wäsche selber.</p> <p>lesen (Akk.) -კითხვა Hast du die heutige Zeitung gelesen?</p> <p>schreiben (Akk.)-წერა Sie schreibt einen Brief.</p> <p>haben (Akk.)-ქონა, ყოლა Er hat einen Hund</p>	<p>ლიზამ ოქროს ბეჭედი იპოვა.</p> <p>ვინ გამოიგონა ბორბალი?</p> <p>მამა თავის ვაჟიშვილს ეძახის.</p> <p>როდის დამირეკავ?</p> <p>მან ბანანი და კექსი მიირთვა.</p> <p>ამ ღვინოს ჩვენ არ დავლევთ.</p> <p>გლეხი ქათმებს აპურებს.</p> <p>ძაღლმა ბიჭს უკბინა.</p> <p>დღეს მარცვლეულის მოსავალს მანქანა იღებს.</p> <p>ფლავიუსი თავის მეგობარს შეხვდა.</p> <p>მე ვიყიდე მანქანა.</p> <p>ამ ჩანთას მე ავიღებ!</p> <p>ის თავის სარეცხს თვითონ რეცხავს.</p> <p>წაიკითხე დღევანდელი გაზეთი?</p> <p>ის წერილს წერს.</p> <p>მას ჰყავს ძაღლი.</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
--	--

ბ. ზოგჯერ Akkusativ-ს ცვლის Infinitiv „zu“-თი ან მის გარეშე, ინფინიტივური ჯგუფი, ან დამოკიდებული წინადადება.

<p>Matthias weiß sich zu amüsieren.</p> <p>Er versucht einzuschlafen.</p> <p>Rosa geht spielen.</p> <p>Maike lernt töpfern.</p> <p>Er verstand es, mich zu überzeugen.</p> <p>Er vergaß, den Strom abzustellen.</p> <p>Ich wünsche, nicht gestört zu werden!</p> <p>Ich liebe es, die Tage im Freien zu verbringen.</p> <p>Ich mag es nicht, wenn man lügt.</p>	<p>მატიასს შეუძლია თავი გაირთოს.</p> <p>იგი ჩაძინებას ცდილობს.</p> <p>როზა მიდის სათამაშოდ.</p> <p>მაიკე სწავლობს მეთუნის საქმიანობას.</p> <p>მას შეუძლია ჩემი დარწმუნება.</p> <p>მას დენის გამორთვა დაავიწყდა.</p> <p>არ მინდა ხელი შემეშალოს!</p> <p>მე მიყვარს დღის გატარება ღია ცის ქვეშ.</p> <p>არ მიყვარს, როცა ცრუობენ.</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
--	--

გ. ბევრი პირნაკლი ზმნა დგას წინადადებაში Akkusativ-ით, ასევე „es gibt“.

<p>Es friert mich. Es freut mich, wenn du kommst. Dieser Kauf reut uns nicht. Dieses Ergebnis wundert ihn. Es gibt keinen Zucker mehr. Es wird Schnee geben. Diese Manieren gab es früher nicht.</p>	<p>ვიყინები. მიხარია, როცა შენ მოდიხარ. არ ვნანოთ ამის ყიდვას („ამ შენაძენს“). ეს შედეგი მას აოცებს. შაქარი აღარ არის. მოთოვს. ეს მანერები ადრე არ არსებობდა.</p>
--	---

და ა.შ.

დ. Akkusativ-ი გარემოების ფუნქციით პასუხობს კითხვებს: **wie viel?** (რამდენი?) **wie weit?** (რამდენად?) **wie oft?** (რა სიხშირით) **wie lange?** (რამდენ ხანს?) **wohin?** (საითკენ?)

<p>Maiers haben drei Kinder. Der Everest misst mehr als 8000 Meter. Fahren Sie einen Kilometer, dann geht es links ab. Üben Sie dreimal täglich! Wir bleiben den ganzen Winter. Ich habe eine dreiviertel Stunde gewartet! Wir gehen den Berg hinab.</p>	<p>მაიერის ოჯახს სამი შვილი ჰყავს. ევერესტი 8000 მეტრზე მაღალია. გაიარეთ კილომეტრი, შემდეგ მარცხნივ გაუხვიეთ. ივარჯიშეთ სამჯერ დღეში! ჩვენ მთელი ზამთრის განმავლობაში დავრჩებით. მე ორმოცდახუთი წუთი ვიცადე! ჩვენ ავდივართ მთაზე.</p>
---	--

და ა.შ.

4.15.1.6 ზმნები ორმაგი Akkusativ-ით (Verben mit doppeltem Akkusativ)

ა. ზოგიერთი ზმნა, როგორცაა „abfragen“ (გამოკითხვა), „fragen“ (შეკითხვა), „lehren“ (სწავლება), „heißen“, „nennen“ (დარქმევა), შეიძლება იდგეს ორმაგი ბრუნვით - Akkusativ der Person, Akkusativ der Sache (Doppelter Akkusativ), ზოგჯერ წინდებულით. ზმნას „kosten“ (ღირს) შეიძლება ახლდეს Dativ ან Akusativ der Person-ი.

<p>abfragen (2 Akk)-გამოკითხვა Soll ich dich die Vokabeln abfragen?</p>	<p>გამოგკითხო სიტყვები?</p>
<p>fragen (2 Akk.)-კითხვა Ich frage ihn nur die einfachsten Sachen.</p>	<p>მე მას მხოლოდ მარტივ კითხვებს ვუსვამ.</p>
<p>bitten (2 Akk.)-თხოვნა Er bittet mich schon die ganze Zeit!</p>	<p>რამდენი ხანია მთხოვს მე (რალაცას)!</p>
<p>lehren (2 Akk.)-სწავლება Er hat dich die Sprichwörter gelehrt.</p>	<p>მან გასწავლა შენ ანდაზები.</p>
<p>heißen/nennen (2 Akk.) Man heißt/nennt ihn einen Taugenichts.</p>	<p>მას უსაქმურს ეძახიან.</p>
<p>kosten (2Akk.) - ღირებულება (ღირს) Diese Sache kostet mich große Überwindung. Das neue Auto kostet sie ein Vermögen. Die Einladung hat mich einen Hunderter gekostet.</p>	<p>ეს საქმე ჩემგან დიდ ძალმოსილებას მოითხოვს. ეს მანქანა მას ერთობ ძვირი უჯდება. ეს მიპატივება მე ერთი „ასიანი“ დამიჯდა.</p>

- ბ. რეფლექსური ზმნების უმეტესობას აქვს ორი Akkusativ-ი: ერთი რეფლექსური ნაცვალსახელი „sich“ და მეორე Akkusativ-ი, როგორც ობიექტი (Ergänzung); ან „sich“-ი და ობიექტი (Ergänzung) Akk-ში წინდებულთ, ან Dat.-ში წინდებულთ.

sich gedulden (2 Akk.)-მოთმენა Isolde geduldete sich vier Wochen lang.	იზოლდა ოთხი კვირა ითმენდა.
sich weigern (2Akk.)-წინააღმდეგობის გაწევა Ich weigerte mich, ihn zu sehen.	მე მისი ნახვის წინააღმდეგი ვიყავი.
sich erinnern an (Akk.)-მოგონება Erinnert ihr euch an sie?	იგონებთ თქვენ მას?
sich bedanken für (Akk.)-მადლობის გადახდა Ich bedanke mich für Ihre Aufmerksamkeit!	მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის.
sich sehnen nach (Dat.)-მონატრება Ich sehne mich so sehr nach dir!	მე ისე ძალიან მენატრები!

- გ. ორმაგი Akkusativ-ის მეორე ბრუნვა ზოგჯერ დაირთავს „als“-ს ან „für“-ს.

annehmen als (2Akk.)-მიღება, აღქმა Wir nehmen ihn als unseren zweiten Sohn an.	ჩვენ მას ჩვენს მეორე ვაჟიშვილად აღვიქვამთ.
rühmen als (2Akk.)-ქება, ამალღება Man rühmt sie als beste Sportlerin des Jahres.	იგი წლის საუკეთესო სპორტსმენის სიმალღემდე აჰყავთ.
preisen als (2Akk.)-განდიდება Sie preisen Gott als Hirten der Menschheit.	ისინი ადიდებან ღმერთს, როგორც კაცობრიობის მწყემსს.
halten für (2Akk.)-მიჩნევა Der Chef hält sie nicht für eine Koryphäe.	ხელმძღვანელი მას დიდ მოღვაწედ არ მიიჩნევს. და ა.შ.

- დ. მეორე Akkusativ-ი შეიძლება იყოს Infinitiv „zu“-ს გარეშე. ამ კონსტრუქციას უწოდებენ „a.c.i“ (ლათ. Accusativus cum infinitivo).

lehren („a.c.i“)-სწავლება Er lehrt seinen Sohn schreiben.	იგი თავის ვაჟიშვილს წერას ასწავლის.
heißen („a.c.i“)-დარქმევა, მსუბუქი ბრძანება Heiß mich nicht reden, heiß mich schweigen! (Goethe)	მიბრძანე დუმილი, ნუ მომთხოვ ამბობას! (გოეთე)
lassen („a.c.i“) აქ: დამხმარე ზმნა Oh Gott, lass ihn gesund zurückkommen!	ო, ღმერთო, ჯანმრთელი დააბრუნე!
machen („a.c.i“)-მოგვრა, ქმნა Seine Ideen machen mich lächeln.	მისი იდეები ღიმილს მგვრიან.
sehen („a.c.i“)-ნახვა Wir sahen das Flugzeug abstürzen.	ჩვენ დავინახეთ თვითმფრინავის ვარდნა.
fühlen („a.c.i“)-გრძნობა Ich fühle den Frühling kommen.	მე ვგრძნობ გაზაფხულის მოახლოებას. და ა.შ.

4.15.1.7 ზმნები Akkusativ-ითა და Genitiv-ით (Verben mit dem Akkusativ und Genitiv)

- ა. ზოგერთ ზმნას მართავს Akkusativ der Person (პიროვნება) და Genitiv der Sache (საგანი) რომელსაც დაესმის კითხვა „wessen“?

<p>entheben - ჩამოშორება, გათავისუფლება სამსახურიდან Man enthebt den Vorsitzenden aller seiner Ämter.</p> <p>entkleiden-გაშიშვლება, აყრა Der Präsident entkleidete mich aller meiner Würden.</p> <p>beschuldigen-დადანაშაულება berichtigen- გამართლება Man beschuldigt (=berichtigt) ihn der Heiratsschwindelei.</p> <p>berauben-ძარცვა, წართმევა In Rom hat sie jemand ihrer ganzen Habe beraubt!</p> <p>würdigen-ღირსად მიჩნევა, დაფასება Er würdigte das Publikum keines Dankes.</p>	<p>თავმჯდომარე ჩამოაშორეს მის ყველა ორგანიზაციას.</p> <p>პრეზიდენტმა ყველა ჩემი წოდება ამყარა.</p> <p>მას ადანაშაულებენ (ამართლებენ) ქორწინებასთან დაკავშირებულ გაუგებრობაში.</p> <p>რომში მას ვიღაცამ მთელი მისი ავლა-დიდება წაართვა.</p> <p>მან პუბლიკას მადლობა არ აღირსა.</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
--	---

- ბ. ასევე რეფლექსურ ზმნებთან:

<p>sich besinnen-გონს მოსვლა, განსჯა Er basann sich schnell eines Besseren.</p> <p>sich vergewissern-დადასტურება, დამტკიცება Die Chefin vergewissert sich der Kompetenz ihres Teams.</p> <p>sich entsinnen-გახსენება Ich kann mich keines Fehlers entsinnen.</p> <p>sich enthalten-თავის შეკავება Enthalte dich jeglichen Kommentars!</p>	<p>იგი სწრაფად მოეგო გონს.</p> <p>ხელმძღვანელმა დაამტკიცა თავისი გუნდის კომპეტენტურობა.</p> <p>მე ვერცერთ შეცდომას ვერ ვიხსენებ.</p> <p>თავი შეიკავე რაგინდარა კომენტარისაგან!</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
---	--

- გ. აგრეთვე ზოგერთ პირნაკლ ზმნასთან

<p>es dauert - შებრალება Dauert es dich dieses Jungen nicht?</p>	<p>არ გებრალება ეს ყმაწვილი?</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
---	--

4.15.2 ზმნები წინდებულობით (Verben mit Präposition)

4.15.2.1 ზმნები Dativ წინდებულობით (Verben mit Dativ-Präposition)

ზმნებს წინდებულებით: vor, von, mit zu, nach, bei, aus, unter - მოსდევს Dativ- ბრუნვა (ყოველთვის); ზოგჯერ ზმნებსაც წინდებულებით - an, in. (იხ. 8.4.2.2).

<p>erschrecken vor (Dat.)-შიში Die kleine Ida erschrickt vor dem Hund.</p>	პატარა იდას ძაღლის ეშინია.
<p>sich hüten vor (Dat.)-გაფრთხილება Hüte dich vor den unbekannten Früchten des Waldes!</p>	უფრთხილდი ტყის უცნობ ხილს.
<p>schwärmen von (Dat.)-ოცნება Sie schwärmt von der Reise ins Ausland.</p>	იგი ოცნებობს საზღვარგარეთ მოგზაურობაზე.
<p>sich erholen von (Dat.)-დასვენება, გონს მოსვლა. Ich muss mich vom Urlaub erholen!</p>	მინდა შევებულების მერე გონს მოვიდე.
<p>zögern mit (Dat.)-ყოყმანი Er zögert noch mit der Entscheidung.</p>	იგი ვერ იღებს გადაწყვეტილებას (ყოყმანობს).
<p>sich begnügen mit (Dat.)-დაკმაყოფილება Sie will sich nicht mit der schlechteren Note begnügen.</p>	მას არ სურს უამურ ნოტზე შეწყვიტოს საუბარი (ნათქვამით დაკმაყოფილდეს).
<p>dienen zu (Dat.)-სამსახური Dieses Gerät dient zur Kaffeebereitung.</p>	ეს მოწყობილობა ყავის მოსამზადებლად გამოიყენება („ამას ემსახურება“).
<p>zählen zu (Dat.)-მიკუთვნება Er zählt zu den besten Schachspielern der Welt.</p>	იგი მიეკუთვნება მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა რიცხვს.
<p>suchen nach (Dat.)-ძებნა Sie sucht nach ihrem Schlüssel.</p>	იგი თავის გასაღებს ეძებს.
<p>greifen nach (Dat.)- შეხება, ჩავლება, მიწვდომა Wer möchte nicht nach den Sternen greifen?!</p>	ვის არ უნდა ვარსკვლავებს მისწვდეს?!
<p>helfen bei (Dat.)-დახმარება Lisa hilft bei der Gartenarbeit.</p>	ლიზამ იცის დახმარება ბაღში მუშაობისას.
<p>bestehen aus (Dat.)-შედგენა (შედგება) Das Frühstück besteht aus einem Butterbrötchen und einer Tasse Kaffee.</p>	საუზმე შედგება კარაქიანი ფუნთუშისა და ფინჯანი ყავისაგან.
<p>leiden unter (Dat.)- წუხილი, ტანჯვა Andreas leidet unter seinem Chef.</p>	ანდრეასს უჭირს უფროსის წნეხის ატანა.
<p>sich beteiligen an (Dat.)- მონაწილეობის მიღება Wir beteiligen uns an dem Fest.</p>	ჩვენ ვმონაწილეობთ ზეიმში.
<p>sich irren in (Dat.)- შეცდომა (შეცდა) Ich habe mich in den Details geirrt.</p>	მე შევეცდი დეტალებში.

და ა.შ.

4.15.2.2 ზმნები Akkusativ-ის წინდებულთ (Verben mit Akkusativ-Präposition)

ზმნებს წინდებულებით: auf, über, für, gegen, um მოსდევს Akkusativ- ბრუნვა, ზოგჯერ ზმნებსაც წინდებულებით in და an (იხ.8.4.2.3).

<p><u>vertrauen auf</u> (Akk.)-ნდობა Wir vertrauen nicht mehr auf den Wetterbericht.</p>	<p>ჩვენ აღარ ვენდობით ამინდის პროგნოზს.</p>
<p><u>sich verlassen auf</u> (Akk.)-დაყრდნობა Wir hätten uns nicht auf sein Wort verlassen sollen!</p>	<p>ჩვენ არ უნდა დაყრდნობოდით მის სიტყვას!</p>
<p><u>lachen über</u> (Akk.)-გაცინება Über diesen Witz kann man kaum lachen!</p>	<p>ამ ხუმრობაზე ვერ გაცინებ!</p>
<p><u>sich wundern über</u> (Akk.)-აღფრთოვანება Ich wundere mich über diesen Kerl nicht mehr!</p>	<p>ეს სუბიექტი მე ვეღარ აღმაფრთოვანებს!</p>
<p><u>sorgen für</u> (Akk.)-ზრუნვა Wer sorgt für deine kleinen Geschwister?</p>	<p>ვინ ზრუნავს შენს პატარა და-ძმაზე?</p>
<p><u>sich entscheiden für</u> (Akk.)-გადაწყვეტა Tobias hat sich für das Physikstudium entschieden.</p>	<p>ტობიასმა გადაწყვიტა ფიზიკა შეესწავლა.</p>
<p><u>sich wehren gegen</u> (Akk.)-თავის დაცვა Gegen diese Willkür muss man sich wehren!</p>	<p>ამ თვითნებობისაგან თავის დაცვაა საჭირო!</p>
<p><u>trauern um</u> (Akk.)-გლოვა Er trauert um seinen Bruder.</p>	<p>იგი თავის ძმას იგლოვს.</p>
<p><u>streiten um</u> (Akk.)-დავა, ჩხუბი Kinder streiten auch um ein Stück Schokolade.</p>	<p>ბავშვები შოკოლადის ერთი ნატეხისთვისაც ჩხუბობენ.</p>
<p><u>sich bewerben um</u> (Akk.) - განცხადების შეტანა, ცდა ადგილის მოსაპოვებლად (სამსახ. სასწავლ.). Wir bewerben uns bei ihrer Firma um eine Stellung.</p>	<p>ჩვენ შემოვიტანეთ განცხადება თქვენს ფირმაში ადგილის მოსაპოვებლად.</p>
<p><u>sich verwandeln in</u> (Akk.)-გადაქცევა Ich würde mich gern in einen Vogel verwandeln.</p>	<p>სიამოვნებით გადავიქცეოდი ფრინველად!</p>
<p><u>sich gewöhnen an</u> (Akk.)-მიჩვევა Hast du dich an das Klima gewöhnt?</p>	<p>მიეჩვიე კლიმატს?</p>

და ა.შ.

4.15.2.3 ზმნები რამდენიმე წინდებულთ (Verben mit mehreren Präpositionen)

ა. ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა წინდებულთ, ერთნაირი მნიშვნელობით.

<p>{ <u>sich freuen über</u> (Akk.)-გახარება (წარსული) { <u>sich freuen auf</u> (Akk.)-გახარება (მომავალი) Ich freue mich über deine bestandene Aufnahmeprüfung. Die Kinder freuen sich auf die Ferien.</p>	<p>მიხარია, რომ მისაღები გამოცდა შენ (უკვე) ჩააბარე. ბავშვებს ახარებს (მომავალი) არდადეგები. და ა.შ.</p>
--	--

ბ. ზოგ შემთხვევაში ერთსა და იმავე ზმნას სხვადასხვა წინდებულთ განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია.

<p>{ <u>j-n. halten für</u> (Akk.) - ჩათვლა, მიჩნევა { <u>etw. halten von</u> (Dat.) - წარმოდგენის ქონა (ცოდნა) Ich halte ihn für meinen besten Freund. Er hält nichts von modernen Architektur.</p> <p>{ <u>handeln mit</u> (Dat.)- ქმედება (მუშაობა) { <u>handeln von</u> (Dat.)- მოთხრობა (-შესახებ) { <u>sich handeln um</u> (Akk.)- საქმე ეხება Die Ambachers handeln mit Elektrogeräten. Dieses Buch handelt vom Indochinakrieg. Es handelt sich hierbei um ein Missverständnis.</p>	<p>მე მას ჩემ საუკეთესო მეგობრად ვთვლი. მას თანამედროვე არქიტექტურის არაფერი გაეგება.</p> <p>ამბახერები ელექტროხელსაწყოებით მუშაობენ. წიგნი მოგვითხრობს ინდოჩინეთის ომის შესახებ. აქ საქმე ეხება გაუგებრობას. და ა.შ.</p>
--	---

4.15.2.4 Rektion-ი ორი დამატებით (Zweiwertige Verben)

<p><u>j.m gratulieren zu</u> (Dat.) - მილოცვა Wir gratulieren dir zum Geburtstag!</p> <p><u>j.m erzählen von</u> (Dat.) - მოთხრობა, მოყოლა Du hast mir noch nichts von deinem Urlaub in Spanien erzählt.</p> <p><u>j.m helfen bei</u> (Dat.) - დახმარება Kann ich Ihnen bei dieser Arbeit helfen?</p> <p><u>j.n fragen nach</u> (Dat.) - შეკითხვა Der Fremde fragte mich nach dem Weg.</p> <p><u>j.n überzeugen von</u> (Dat.) - დარწმუნება Er hat seine Mutter von der Notwendigkeit der Operation überzeugt.</p> <p><u>j.n erkennen an</u> (Dat.) - ამოცნობა, ცნობა Ich habe ihn an den Augen erkannt.</p> <p><u>j.m antworten auf</u> (Akk.) - პასუხის გაცემა Hansi antwortet dem Lehrer nicht auf seine Frage.</p> <p><u>j.n erinnern an</u> (Akk.) - მოგონება Er erinnert mich an meinen Großvater.</p> <p><u>j.n bitten um</u> (Akk.) - თხოვნა Mein Freund bat mich um Hilfe.</p>	<p>ჩვენ გილოცავთ (შენ) დაბადების დღეს!</p> <p>შენ ჯერ არაფერი მოგიყოლია ჩემთვის შენი ესპანეთში გატარებული შვებულების შესახებ.</p> <p>შემიძლია ამ საქმეში დაგეხმაროთ?</p> <p>უცნობმა მთხოვა გზა მიმესწავლებინა. (შეკითხვა)</p> <p>მან დაარწმუნა დედამისი ოპერაციის გაკეთების აუცილებლობაში.</p> <p>მე იგი თვალებით ვიცანი.</p> <p>ჰანსი არ პასუხობს მასწავლებლის შეკითხვას.</p> <p>ის ბაბუას მაგონებს.</p> <p>ჩემმა მეგობარმა დახმარება მთხოვა. და ა.შ.</p>
--	---

4.15.2.5 Rektion-ი სამი დამატებით (Dreiwertige Verben)

<p><u>wünschen</u> - სურვილი (უსურვა) Ich wünsche dir alles Gute für das Examen.</p> <p><u>nehmen</u> - აღება Er nimmt mit beiden Händen einen Stapel Bücher aus dem Regal.</p> <p><u>geben</u> - მიცემა Ich gebe dem Kind ein Spielzeug in die Hand.</p> <p><u>legen</u> - დადება Sie legt dem Gast eine kleine Schokolade auf das Kopfkissen.</p> <p><u>schreiben</u> - წერა Die Firma ABC schreibt den Kunden einen Brief wegen der Rabattaktion.</p>	<p>გისურვებ წარმატებას გამოცდაზე.</p> <p>იგი თაროდან ორივე ხელით რამდენიმე წიგნს იღებს.</p> <p>მე (ხელში) ვაძლევ ბავშვს სათამაშოს.</p> <p>იგი სტუმარს ბალიშზე უდებს პატარა შოკოლადს.</p> <p>ფირმა ABC წერილს უგზავნის მყიდველს ფასდაკლების აქციის გამო.</p>
--	---

და ა.შ.

(მაგ. პირველ წინადადებაში - 3 დამატება: dir, alles Gute, für das Examen...)

4.15.2.6 ორმაგი მართვა (Doppelrektion)

ზოგიერთი ზმნა მოითხოვს ერთდროულად ორმაგ Rektion-ს, მაგ. **reden mit ... über** - (საუბარი ვინმესთან რაღაცის შესახებ). ზოგიერთს აქვს ხან ერთი, ხან მეორე წინდებული. მაგ. **sich freuen... über (Akk.)**-ით იხმარება უკვე ჩავლილი მოქმედების გამოსახატავად; **sich freuen auf (Akk.)**-ით გამოიყენება იმ ზმნასთან, რომელიც მომავალ დროს ასახავს, ზმნის მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

ა. ზმნა + 2 წინდებული: Dativ-ი და Akkusativ-ი

<p><u>diskutieren mit (Dat.) über (Akk.)</u>-დიკუსია, დავა, ბჭობა Wir diskutierten mit den Freunden über die Ausstellung.</p> <p><u>sprechen mit (Dat.) über (Akk.)</u>-საუბარი Sie sprechen mit dem Leiter über den Silvesterabend.</p> <p><u>verhandeln mit (Dat.) über (Akk.)</u>-მოლაპარაკება Wir verhandeln mit ihm über die Sommerakademie.</p> <p><u>sich bedanken bei (Dat.) für (Akk.)</u>-მადლობის გადახდა Wir bedanken uns bei ihr für den freundlichen Empfang.</p> <p><u>sich informieren bei (Dat.) über (Akk.)</u> -ინფორმაციის მიღება Informieren Sie sich bei der Botschaft über das Visum!</p> <p><u>sich beschweren bei (Dat.) über (Akk.)</u>-ჩივილი Bei wem kann ich mich über den nächtlichen Lärm beschweren?</p>	<p>ჩვენ მეგობრებთან ერთად ვბჭობდით გამოფენის შესახებ.</p> <p>ისინი საუბრობდნენ ხელმძღვანელთან ერთად სილვესტერზე (ახალი წლის შეხვედრა)</p> <p>ჩვენ მასთან ერთად საზაფხულო აკადემიის შესახებ მოვილაპარაკებთ.</p> <p>ჩვენ მადლობას ვუხდით მას მეგობრული მიღებისათვის.</p> <p>ინფორმაცია ვიზის შესახებ მიიღეთ საელჩოში!</p> <p>ვისთან შეიძლება ვიჩივლო დამ-დამობით ხმაურის გამო.</p>
--	--

და ა.შ.

4.15.3 ზმნები და ნაცვალსახელი-ზმნიზებები (Verben und Pronominaladverben)

წინდებულს, რომელიც ზმნას მართავს, უმეტესად იმ შემთხვევაში, თუ შემდეგ დამოკიდებული წინადადება დგას, ენაცვლება ნაცვალსახელი-ზმნიზება (იხ.6.4.3).

<p>sprechen über (Akk.)-ლაპარაკი, საუბარი Wir sprechen über die Zukunft. Worüber spricht ihr? Wir sprechen darüber, wie es weitergehen soll.</p> <p>sich freuen über (Akk.)-გახარება Er freut sich über mein Geschenk. Worüber freut er sich? Er freut sich darüber, dass ich an ihn gedacht habe.</p> <p>sich interessieren für (Akk.)-დაინტერესება Robert interessiert sich für Spanisch. Wofür interessiert er sich? Er interessiert sich für Spanisch, und ich interessiere mich auch dafür.</p> <p>träumen von (Dat.)-ოცნება Ich träueme von einer Reise nach Deutschland. Wovon träumst du? Von einer Reise nach Deutschland? Ja, davon träume ich.</p>	<p>ჩვენ მომავალზე ვსაუბრობთ. რაზე საუბრობთ (თქვენ)? ჩვენ ვსაუბრობთ იმის შესახებ, როგორ წავა საქმე შემდგომში.</p> <p>მას ჩემი საჩუქარი ახარებს. (უკვე ნაჩუქარი) რა უხარია მას? მას ის ახარებს, რომ მე მასზე ვიფიქრე.</p> <p>რობერტს აინტერესებს ესპანური. რა აინტერესებს მას? მას აინტერესებს ესპანური და მეც მაინტერესებს იგი.</p> <p>მე ვოცნებობ გერმანიაში მოგზაურობაზე. რაზე ოცნებობ? გერმანიაში მოგზაურობაზე? დიახ, ამაზე ვოცნებობ მე.</p>
---	--

4.15.4 ზმნები გარემოებებით (Verben mit Umstandsbestimmungen)

ზოგიერთი ზმნა ობიექტის ნაცვლად, როგორც აუცილებელ შევსებას, მოითხოვს გარემოებას (ადგილის, დროის, ვითარების ან მიზეზის). თუ არა ეს გარემოება, გვექნებოდა ასეთი არასრული, უაზრო წინადადებები:

Die Schule dauert... - სწავლა გრძელდება...

Es geschah... - ეს მოხდა...

Michael wohnt... - მიხეილი ცხოვრობს...

ა. ზმნები, რომლებიც მოითხოვენ გარემოებას:

dauern - გრძლივობა (გრძელდება)	weilen-ყოფნა(იმყოფება) დაყოვნება	gelangen-მიღწევა(მისვლა)
geschehen-მოხდენა (მოხდა)	verweilen-ყოფნა (გაჩერება)	geraten-ჩაღწევა (მოხვედრა)
wohnen-ცხოვრება	aussehen-გამოხედვა(გამოიყურება)	stammen-წარმომავლობა
lagern-შენახვა	brauchen-საჭიროება(საჭიროებს)	währen-გაგრძელება
gehen-წასვლა	liegen-წოლა, დება, მდებარეობა	sein-ყოფნა
sich benehmen-ქცევა	sich aufhalten-შეყოვნება, გაჩერება	
sich verhalten-ქცევა (ურთიერთობა)	sich fühlen-გრძნობა (თავს გრძნობს)	
sich ereignen-მოხდენა (მოხდა)	sich erstrecken-გადაჭიმვა (გადაჭიმულია)	
sich befinden-მდებარეობა, ყოფნა, გრძნობა (თავს გრძნობს)	sich begeben-გზაზე დადგომა (გზას გაუდგა) და ა.შ.	

Die Schule dauert von 8 bis 13 Uhr.	სწავლა გრძელდება 8-დან 13 საათამდე.
Der Unfall geschah vor genau drei Wochen an dieser Stelle.	უბედურება მოხდა ზუსტად სამი კვირის წინ ამ ადგილას.
Michael wohnt in der Orffstraße.	მიხეილი ცხოვრობს ორფის ქუჩაზე.
Die Früchte lagern im Kühlschrank.	ხილი მაცივარში ინახება.
Die Schulklasse lagerte am Waldrand.	კლასი დაბანაკდა ტყის პირას.
Ich gehe nach Hause.	მე შინ მივდივარ.
Christian weilt zurzeit in Wien.	ქრისტიანი ამჟამად ვენაში იმყოფება.
Er verweilte hier nur einen Tag.	იგი აქ მხოლოდ ერთ დღეს გაჩერდა.
Diese Wolken sehen bedrohlich aus!	ეს ღრუბლები მუქარით დაგვყურებენ!
Von Stuttgart nach München brauchst du nur drei Stunden.	შტუტგარტიდან მიუნხენამდე მხოლოდ სამი საათი დაგჭირდება.
München lag schon immer an der Isar.	მიუნხენი ყოველთვის იზართან მდებარეობდა.
In ein paar Minuten gelangen wir an die Neckarquelle.	რამდენიმე წუთში მივალთ (მივალწევთ) ნეკარის წყაროსთან.
Er geriet auf seiner Wanderschaft auch nach Dresden.	ამ ხეტიალით მან დრეზდენამდე ჩააღწია.
Woher stammen Sie? Aus Baden-Württemberg.	საიდან ბრძანდებით (წარმომავლობით)? ბადენის ვიურტემბერგიდან.
Diese Litanei währt nun schon eineinhalb Stunden!	ეს ვაი-ვაგლახი უკვე საათნახევარი გრძელდება!
Ich bin morgen zu Hause.	მე ხვალ შინ ვიქნები.
Er verhält sich korrekt.	იგი კორექტულად იქცევა.
Der Flugzeugabsturz ereignete sich am 25. April 1992.	თვითმფრინავი ჩამოვარდა 1992 წლის 25 აპრილს.
Walter befindet sich in einer schwierigen Lage.	ვალტერი მძიმე მდგომარეობაშია. („იმყოფება“)
Er hält sich gegenwärtig in London auf.	იგი ამჟამად ლონდონშია გაჩერებული.
Er fühlt sich einsam.	ის თავს მარტოსულად გრძნობს.
Der Kaukasus erstreckt sich vom Schwarzen bis zum Kaspischen Meer.	კავკასია გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.
Sie musste sich infolge des Unfalls ins Krankenhaus begeben.	უბედური შემთხვევის შედეგად იგი საავადმყოფოში მოხვდა.

ბ. ზოგიერთ ზმნას გარემოებით ახლავს აგრეთვე Dativ - ან Akkusativobjekt-ი, ზოგჯერ წინდებულთანაც (Präpositionalobjekt):

<p>setzen-დასმა (აჯენს) Corinna setzt ihre Tochter in die Badewanne.</p> <p>legen-დადება Die Mutter legte den Pinsel ins Glas.</p> <p>stellen-დადგმა, დაყენება Stell doch die Kaffeekanne auf den Tisch!</p> <p>hängen-დაკიდება Hängen Sie die Lampe über den Tisch!</p> <p>stapeln-დაგროვება, დახვავება Herbert stapelt seine Bücher im Flur auf dem Fußboden.</p> <p>suchen-ძებნა Ich suchte gestern meinen Schal sogar in dem Bücherschrank.</p> <p>finden-პოვნა Ich fand in einem Buch Trockenblumen.</p> <p>führen-წყვანა, მართვა Ein Schutzengel führte Knut auf den rechten Weg.</p> <p>ziehen-წევა Voller Verzweiflung zogen sie das Wrack vom Meer ans Land.</p> <p>stecken-ჩადება, დატენვა Ines steckte den neuen Führerschein sogleich in ihre Handtasche.</p>	<p>კორინა თავის ქალიშვილს აბაზანაში სვამს.</p> <p>დედამ ფუნჯი ჭიქაში ჩადო</p> <p>დადგი ყავადანი მაგიდაზე!</p> <p>დაკიდეთ ლამპა მაგიდის თავზე!</p> <p>ჰერბერტი თავის წიგნებს შემოსასვლელში იატაკზე ახვავებს.</p> <p>ჩემ თავშალს გუშინ წიგნის კარადაშიც კი ვეძებდი.</p> <p>ერთ-ერთ წიგნში ხმელი ყვავილები ვიპოვე.</p> <p>მფარველმა ანგელოზმა კნუტი ჭეშმარიტების გზაზე დააყენა.</p> <p>სასოწარკვეთილმა (ადამიანებმა) გემის ნარჩენები ზღვიდან ნაპირისაკენ (ხმელეთისკენ) გააცურეს.</p> <p>ინესმა ახალი მართვის მოწმობა მაშინვე ხელჩანთაში ჩაიდო.</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
---	---

გ. არსებობს რიგი ზმნებისა გარემოებით, რომლებიც გამოხატავენ ადამიანთან შეხებას. ამ შემთხვევაში, თვითონ (არს.სახელი)(პიროვნება), ვისაც ეხებიან, დგას Dativ -ში ან Akkusativ-ში:

<p>küssen - კოცნა Er hat mich auf die Stirn geküsst.</p> <p>schlagen - დარტყმა Er schlug ihm die Faust mitten ins Gesicht.</p> <p>treten - შესვლა, აქ: დაჯახება Konrad hat mir (mich) in den Bauch getreten!</p> <p>stechen - მოხვედრა, ჩხვლეტა Jemand hat ihm (ihn) ins Auge gestochen.</p> <p>werfen - გდება, ყრა Du sollst ihr keinen Sand in die Augen werfen!</p> <p>streichen - ხელის დასმა Vorsichtig streicht sie dem Baby über den Kopf.</p> <p>beißen - კბენა Oh weh, ich habe mir auf die Zunge gebissen. Der Hund hat sie (ihr) ins Bein gebissen.</p>	<p>მან მე შუბლზე მაკოცა.</p> <p>მან მუშტი (მას) პირდაპირ სახეში დაარტყა.</p> <p>კონრადი (პირდაპირ) მუცელზე დამეჯახა.</p> <p>ვიღაცამ თვალში (რალაც) მოახვედრა.</p> <p>თვალეში ქვიშა არ უნდა შეაყარო!</p> <p>ფრთხილად უსვამს ჩვილს თავზე ხელს.</p> <p>ვაი, ენაზე ვიკბინე! მალღმა ფეხზე უკბინა.</p>
---	--

და ა.შ

დ. ზმნის დამატება - Notwendige Ergänzung შეიძლება იყოს მოცილებადი ან მოუცილებადი თავსართი.

fahren: abfahren - გასვლა (გამგზავრება)

hinfahren - (იქეთ) გამგზავრება erfahren - შეტყობა

vorbeifahren - გავლა (შევლა)

überfahren - გადავლა (გზის გადაჭრა)

<p>Morgen fahren wir in den Urlaub. Der Zug fuhr ab. Wir sind hingefahren. Was hast du erfahren? Fahr einfach vorbei! Ein Fuchs wurde überfahren.</p>	<p>ხვალ შევებულევაში მივემგზავრებით. მატარებელი გავიდა. ჩვენ იქეთ გავემგზავრეთ. რა შეიტყვე? უბრალოდ ჩაუარე! მელიას (მანქანამ) გადაუარა.</p>
---	---

stehen: verstehen-გაგება

ausstehen - ატანა, გამოფენა

aufstehen - ადგომა

<p>Ich stehe unter der Laterne. Verstehst du mich? Sie kann ihn nicht ausstehen! Steh auf, bitte!</p>	<p>მე ვდგავარ ფარნის ქვეშ. გესმის ჩემი? ის მას ვერ იტანს. ადექი, გეთაყვა!</p>
---	---

4.16 დამხმარე ზმნების ფუნქციები (Funktionen der Hilfsverben)

4.16.1 "sein"-ის ფუნქციები ("sein" – Funktionen)

4.16.1.1 თხრობითი კილო (Indikativ)

- ა. "sein"-ის ძირითადი მნიშვნელობები - ყოფნა, არსებობა, სიცოცხლე, შედგენა (შედგება), მდებარეობა (ადგილი)

Das sind wir.	ეს ჩვენ ვართ.
Sind (existieren) einige Dinge, die dir Freude machen?	არსებობს რაიმე ისეთი (საგნები), რაც შენ სიხარულს განიჭებს?
Ihr Vater ist nicht mehr.	მამამისი ცოცხალი აღარ არის.
Die letzte Besprechung ist morgen.	ბოლო მოლაპარაკება ხვალ შედგება.
Er ist in München.	ის მიუნხენშია.

- ბ. დამოუკიდებელი ზმნის მნიშვნელობით (sein -ყოფნა).

Ich bin zu Hause. (Präs.)	მე შინ ვარ.
Anna und Eva sind in München (Präs.)	ანა და ევა მიუნხენში არიან.
Anna und Eva waren in München (Prät.)	ანა და ევა მიუნხენში იყვნენ.
Anna und Eva sind in München gewesen (Perf.)	ანა და ევა მიუნხენში იყვნენ.
Anna und Eva waren in München gewesen (Plusq.)	ანა და ევა მიუნხენში იყვნენ.
Anna und Eva werden in München sein (Futur I)	ანა და ევა მიუნხენში იქნებიან.

(sein-ის Perfekt-ი და Plusquamperfekt-ი sein-ითვე იწარმოება)

საუბარში:

In fünf Minuten sind alle da.

ხუთ წუთში ყველა აქ იქნება.

Wer ist die da?

ვინ არის ის იქ?

- გ. დამხმარე ზმნის მნიშვნელობით Perfekt-ისა და Plusquamperfekt-ის საწარმოებლად (აქ კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას და ცალკე არ ითარგმნება.)

Sein-ით იწარმოება გარდაუვალი ზმნა:

- რომელიც გამოხატავს გადაადგილებას, მოძრაობას (Bewegung).

gehen- წასვლა	fliegen - ფრენა	absteigen - ჩამოსვლა
kommen- მოსვლა	reisen - მგზავრობა	ankommen - ჩამოსვლა
laufen- სირბილი	schwimmen - ცურვა	heimkehren - შინ დაბრუნება
fahren- გამგზავრება	sinken - ჩაძირვა	begegnen - შეხვედრა
fallen- ვარდნა	springen - ხტუნვა	abfahren - გამგზავრება
fließen- დენა	steigen - ასვლა	და ა.შ.

Die Fischer sind gegangen.	მეთევზეები წავიდნენ.
Ist das Schiff gesunken?	ჩაიძირა გემი?
Die Gäste waren abgefahren.	სტუმრები გაემგზავრნენ.
Seid ihr dem Gärtner begegnet?	შეხვდით მეზღვეს?
Alle sind heimgekehrt.	ყველანი შინ დაბრუნდნენ.

- რომელიც გამოხატავს მდგომარეობის შეცვლას (Zustandsänderung)

aufstehen - აღდგომა	abbrennen - დაწვა	erkranken - დაავადება
aufblühen - გაყვავება	gefrieren - გაყინვა	erlöschen - ჩაქრობა
aufwachsen - ზრდა	wachsen - ზრდა	erstarren - გაქვავება
einschlafen - ჩაძინება	geboren - დაბადება	aufwachen - გაღვიძება
reifen - დამწიფება	sterben - სიკვდილი	და ა.შ.

Onkel Paul ist aufgewacht.	ბიძია პაულმა გაიღვიძა.
Die Kinder waren erkrankt.	ბავშვები დაავადდნენ.
Wir sind früh aufgestanden.	ჩვენ ადრე ავდექით.
Wo bist du geboren?	სად დაიბადე?
Meine Großmutter ist gestorben.	ჩემი ბებია გარდაიცვალა.

- დამხმარე ზმნები - sein, werden.

Mein Freund ist zweimal in Deutschland gewesen.	ჩემი მეგობარი ორჯერ იყო გერმანიაში.
Sie sind groß geworden.	ისინი გაიზარდნენ.

- ზოგიერთი უპირო ზმნა (unpersönliches Verb)

gelingen - მოხერხება	(er)folgen - დევნა
mißlingen - ვერმოხერხება	glücken - გამართლება
geschehen - მოხდენა (მოხდა)	mißglücken - არგამართლება
bleiben - დარჩენა	passieren - მოხდენა (მოხდა)
	და ა.შ.

Ich bin nicht sicher, ob es in Wirklichkeit geschehen ist!	არ ვარ დარწმუნებული, მოხდა თუ არა ეს სინამდვილეში.
Es ist ihm gelungen.	ეს მან მოახერხა. (მოუხერხდა)
Alle sind zu Hause geblieben.	ყველანი შინ დარჩნენ.

დ. sein ან haben.

sein-ით ან haben-ით იწარმოება ხან გარდამავალი, ხან გარდაუვალი ზმნა. როცა ზმნა გარდამავალია იწარმოება haben-ით, ხოლო როცა გარდაუვალია და მიანიშნებს ზმნის მოქმედების შედეგზე - sein-ით.

verderden - გაფუჭება	trocknen - გაშრობა, გამშრალება
brechen - დარღვევა, გატეხვა	heilen - მკურნალობა
zerbrechen - გატეხვა	ersticken - ჩახშობა, დახრჩობა
	და ა.შ.

Disko hat die Jugehdlichen verdorben.	დისკოტეკამ გარყვნა ახალგაზრდობა.
Das Obst ist völlig verdorben.	ხილი მთლიანად გაფუჭდა.
Wer hat den Vertrag gebrochen?	ვინ დაარღვია ხელშეკრულება?
Das Eis ist im März gebrochen.	ყინული მარტში ტყდება.

- ზოგიერთი ზმნა თავსართით იწარმოება sein-ით, უთავსართოდ - haben-ით:

Er ist eingeschlafen. მას ჩაეძინა.

მაგრამ:

Er hat geschlafen. მან დაიძინა.

(ასეთი ზმნებია: wachen - (er)wachen, blühen - (er)blühen და სხვ.)

- ლექსიკონში ზმნას, რომელიც **sein**-ით იწარმოება, აქვს ნიშანი **-(s)**, რომელიც ხან **haben**-ით, ხან **sein**-ით იწარმოება - (**h, s**), თუ არავითარი ნიშანი არ აქვს, იწარმოება **haben**-ით.

ე. **sein** არსებით ან ზედსართავ სახელთან ქმნის შედგენილ შემასმენელს. ამ შემთხვევაში იგი ასრულებს მათეთის (**Kopula**) ფუნქციას.

Dieser Mann ist Referent. Ist das dein Ernst? Schöne Literatur war und ist für mich lebensrettend.	ეს კაცი რეფერენტია. შენ არ ხუმრობ? მხატვრული ლიტერატურა იყო და არის ჩემი მაცოცხლებელი.
--	--

- ნაცვალსახელთან **es** (mit Pronomen **es**)

Es ist furchtbar wichtig für mich. Es ist ihm egal, was ich schaffe. Es ist Frühling. Es war windig.	ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რას ვქმნი მე. გაზაფხულია. ქარი ქროდა.
---	---

ვ. კონსტრუქცია **sein + zu + Infinitiv I** გამოხატავს აუცილებლობას, შესაძლებლობას, **haben**-ისაგან განსხვავებით, ქვემდებარე თვითონ განიცდის ზემოქმედებას:

Der Staat ist aufzubauen. Dabei ist wichtig festzuhalten: Faulenzerei bringt uns nicht zum Ziel.	სახელმწიფო ასაშენებელია (უნდა აშენდეს). ამასთან მნიშვნელოვანია, მტკიცედ ვიცოდეთ: სიზარმაცე ვერ მიგვიყვანს მიზანთან.
---	--

ზ. **sein** აწარმოებს Infinitiv II-ს (**geblieben sein, geworden sein**)

Er wird **verzweifelt sein**. ის სასოწარკვეთილი იქნება.

თ. მოდალურ ზმნასთან (mit Modalverb)

Es muss etwas Ernstes sein. Das Haus muss ja gar kein Schloss sein. Das kann sein, dass man in der Realität solche Menschen findet. Ich möchte wissen, wie hoch das Haus sein darf.	რაღაც სერიოზული უნდა იყოს. სახლი ციხე-სიმაგრე ხომ არ უნდა იყოს. შეიძლება სინამდვილეში ასეთი ადამიანები მოიძებნოს. მე მინდა ვიცოდე, რა სიმაღლის შეიძლება იყოს სახლი.
--	--

4.16.1.2 კავშირებითი კილო (Konjunktiv)

ა. ირიბ ნათქვამში (in der indirekten Rede)

Er ist überzeugt davon, dass alle Reisenden schon geflogen seien . Er erzählt, dass sein Freund zurückgekehrt sei.	იგი დარწმუნებულია, რომ უკვე ყველა მგზავრი გაფრინდა. იგი ყვება, რომ მისი მეგობარი დაბრუნდა.
--	---

ბ. ირიბ შეკითხვაში (in der indirekten Frage)

Er fragt, ob Nikolaus angekommen sei. იგი კითხულობს, ჩამოვიდა თუ არა ნიკოლაუსი.

გ. ნატვრის, სურვილის გამოსახატავად (Sehnsucht, Wunsch)

Wäre ich Musiker! Das wäre nicht so schlimm, wenn alle andere Systeme funktionieren würden.	ნეტავ მუსიკოსი ვიყო! არ იქნებოდა ურიგო, ყველა სხვა სისტემას რომ ემუშავა.
--	---

დ. თავაზიან გამოთქმებში (in den Höflichkeitsformen)

Wir wären Ihnen dankbar, wenn Sie bald einträfen.	ჩვენ მადლობელი დაგჩებით, მალე თუ ჩამობრძანდებით.
Wie wäre es mit einem Glas Wein?	ქიქა ღვინოს ხომ არ მიირთმევდით?

4.16.2 haben -ის ფუნქციები („haben“-Funktionen)

4.16.2.1 თხრობითი კილო (Indikativ)

haben-ის ძირითადი მნიშვნელობები - ქონა, ყოლა, ფლობა, შექმნა, მიღება - მოითხოვს Akkusativ ბრუნვას.

ა. დამუკიდებელი მნიშვნელობით (haben - ქონა, ყოლა)

Ich habe zwei Söhne. (Präs.)	მე მყავს ორი ვაჟიშვილი.
Die Kinder haben Spielzeuge. (Präs.)	ბავშვებს აქვთ სათამაშოები.
Die Kinder hatten Spielzeuge. (Prät.)	ბავშვებს ჰქონდათ სათამაშოები.
Die Kinder haben Spielzeuge gehabt. (Perf.)	ბავშვებს ჰქონდათ სათამაშოები.
Die Kinder hatten Spielzeuge gehabt. (Plusquam.)	ბავშვებს ჰქონდათ სათამაშოები.
Die Kinder werden Spielzeuge haben. (Fut.I)	ბავშვებს ექნებათ სათამაშოები.

ბ. დამხმარე ზმნის მნიშვნელობით Perfekt-ისა და Plusquamperfekt-ის საწარმოებლად (კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას და ცალკე არ ითარგმნება).

Der Gärtner hat exotische Blumen gepflanzt. მებაღემ ეგზოტიკური ყვავილები დარგო.

haben-ით იწარმოება ყველა ის ზმნა, რომელსაც არ ახლავს sein-ი. (იხ. sein-ის ფუნქციები), ანუ:

- ყველა გარდამავალი ზმნა
- დამხმარე ზმნა haben
- უპირო ზმნები ნაცვალსახელით
- მოდალური ზმნები
- რეფლექსური ზმნები
- ზმნა, რომელიც გამოხატავს დაუსრულებელ მოქმედებას გარკვეული დროს განმავლობაში.

Klaus hat ein Packet gebracht.	კლაუსმა პაკეტი მოიტანა.
Er hat viel Geld gahabt.	მას ბევრი ფული ჰქონდა.
Hat es gestern geregnet?	გუშინ იწვიმა?
Er hat nichts für sein Problem gekonnt.	მან თავის პრობლემას ვერაფერი მოუხერხა.
Wir haben uns gut erholt.	ჩვენ კარგად დავისვენეთ.
Das hatten wir an der Uni nicht studiert.	ეს ჩვენ უნივერსიტეტში არ გვისწავლია. და ა.შ.

გ. კონსტრუქცია haben + zu + Infinitiv I გამოხატავს შესაძლებლობას, აუცილებლობას.

Die Seeleute haben viel Interessantes zu erzählen.	მეზღვაურებს ბევრი რამ საინტერესო აქვთ მოსათხრობი. (შეუძლიათ მოგვითხრონ)
Die Seeleute hatten viel Interessantes zu erzählen.	მეზღვაურებს ბევრი რამ საინტერესო ჰქონდათ მოსათხრობი (შეეძლოთ მოყოლა).
Ich habe meine deutschen Freunde anzurufen und frohe Weihnachten zu wünschen.	მე უნდა დავურევო ჩემს გერმანელ მეგობრებს და მოზა მივულოცო (მაქვს დასარეკი).

დ. კონსრუქცია **haben + Modalverb Infinitiv I**

Ich hatte viele schöne Sachen verschenken wollen .	მე მინდოდა მშვენიერი ნივთები გამეჩუქებინა.
Du hast die Hoffnung eben nicht aufgeben können .	შენ სწორედ არ გაქვს უფლება იმედი გადაიწყვიტო.
Er hatte keine Akupunktur anwenden müssen .	მას აკუპუნქტურა არ უნდა გამოეყენებინა.

ე. იდიომატურ გამოთქემში:

Davon habe ich nichts.	მე (ა)მისგან არავითარი სარგებლობა არ გამაჩნია.
Was hat er denn?	მაინც რა დაემართა?

4.16.2.2 კავშირებითი კილო (Konjunktiv)

ა. **haben** ირიბ ნათქვამში (in der indirekten Rede)

Sie meint, dass ihr Freund keinen Hund mehr habe .	იგი ფიქრობს, რომ მის მეგობარს აღარ ჰყავს ძაღლი.
Mein Sohn sagt, dass er tolle Souvenirs mitgebracht habe .	ჩემმა ვაჟმა თქვა, რომ მშვენიერი სუვენირები ჩამოიტანა.

ბ. **haben** ირიბ შეკითხვაში (in der indirekten Frage)

Er fragt, ob er zu unterrichten **begonnen habe**. ის ეკითხება, დაიწყო თუ არა მან მეცადინეობა.

გ. ნატერის, სურვილის გამოსახატავად (Sehnsucht, Wunsch)

Wenn ich ein schickes Auto hätte!	ნეტავ ძვირფასი მანქანა მქონდეს!
Hätte ich im vorigen Jahr einen Studienplatz erhalten!	ნეტავ შარშან სტუდენტი გავმხდარიყავი (სასწავლებელში ადგილი მიმელო)!
Hätte ich damals Freizeit gehabt!	მაშინ თავისუფალი დრო რომ მქონოდა!

დ. თავაზიან ფორმებში: (in den Höflichkeitsformen)

Hätten Sie etwas dagegen?	ხომ არაფერი გექნებოდათ საწინააღმდეგო?
Hätten Sie mir helfen können?	ხომ ვერ დამეხმარებით?

ე. კონსტრუქცია **haben + Modalverb Infinitiv I**

Das hätten Sie mir früher sagen müssen.	თქვენ ეს ჩემთვის ადრე უნდა გეთქვათ.
Was hätte passieren können?	რა შეიძლება მომხდარიყო?
Wenn ich sie überreden hätte können, so wäre sie nicht weggefahren.	რომ გადამეთქმევინებინა მისთვის, იგი აღარ გაემგზავრებოდა.

4.16.3 werden-ის ფუნქციები („werden“ – Funktionen)

4.16.3.1 თბრობითი კილო, Aktiv-ი (Indikativ/Aktiv)

ა. **werden**-ის ძირითადი მნიშვნელობები: გახდომა, გადაქცევა, შეცვლა, მუქარა, მომავალი დროის გამოსახატავად.

Er ist Programmierer geworden .	ის პროგრამისტი გახდა.
Eisen kann nicht zu Gold werden .	რკინა ოქროდ არ იქცევა.
Es wird mir etwas schlecht.	რაღაც ცუდად შევიქენი.
Was ist aus ihm geworden ?	რა დაემართა?
Freche Kinder, euch werde ich!	თვხედო ბავშვებო, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!
Wir werden morgen ins Kino gehen .	ჩვენ ხვალ კინოში წავალთ.

ბ. არსებით სახელთან (mit Substantiv)

Hans wird Architekt. Was wurde aus dem Hund? Was Verlust war, ist zum Gewinn geworden.	ჰანსი არქიტექტორი გამოვა. რა დაემართა ძაღლს? რასაც წაგება ერქვა, მოგებად იქცა.
--	--

გ. ზედსართავ სახელთან (mit Adjektiv)

Sie wird alt. Das Wetter wird schön. Die Computer werden teurer. Uns wurde klar, was er von uns verlangt. Seine Handflächen wurden ganz feucht.	ის ბერდება. გამოიდარებს. (ამინდი გამოდის) კომპიუტერები (გა)ძვირდება. ჩვენთვის ნათელი შეიქნა, რას მოითხოვს იგი ჩვენგან. ხელისგულები სულ დაენამა.
---	---

დ. ზმნიზედასთან (mit Adverb)

Ihm wurde gut zumute.	კარგ გუნებაზე დადგა.
-----------------------	----------------------

ე. რიცხვით სახელთან (mit Zahlwort)

Lukas wird im Herbst zwölf.	ლუკა შემოდგომაზე 12 წლის გახდება.
-----------------------------	-----------------------------------

ვ. როგორც Infinitiv-ი ნაწილად „zu“-თი (als Infinitiv mit „zu“)

Du bist auf dem besten Wege, ein guter Maler zu werden.	შენ საუკეთესო გზას ადგახარ იმისათვის, რომ კარგი მხატვარი გამოხვიდე.
---	---

ზ. მოდალურ ზმნასთან (mit Modalverb)

Was will er werden? Er kann ein guter Maler werden.	რა უნდა, რომ გამოვიდეს? მას შეუძლია კარგი მხატვარი გამოვიდეს.
--	--

თ. werden + Infinitiv-ი ნაწილად „zu“-ს გარეშე აწარმოებს მომავალ დროს (werden + Infinitiv ohne „zu“=Futur I-II)

Gisela wird einen Brief schreiben. (Fut.I) Nächstes Jahr werde ich aufs Land umziehen. (Fut.I) Bis du kommst, werde ich den Kuchen aufgegessen haben. (Fut.II)	გიზელა დაწერს წერილს. მომავალ წელს გადავალ სოფელში საცხოვრებლად. ვიდრე შენ მოხვალ, მე შევჭამ ნამცხვარს (შექმული მექნება).
--	---

• მოდალურ ზმნასთან (mit Modalverb)

Sie werden am Konzert teilnehmen können.	თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ კონცერტში.
--	---

• რთულ წინადადებაში (im zusammengesetzten Satz)

Wenn du für mich eine Weihnachtsstolle backst, werde ich dir einen Blumenstrauß schenken.	თუ შენ მე საშობაო ნამცხვარს გამომიცხობ, მე შენ ყვავილების თაიგულს მოგართმევ.
---	--

• werden + Infinitiv გვხვდება არარეალურ წინადადებებშიც (in den irrealen Sätzen)

კონსტრუქცია werden + Infinitiv = Futur-ი გამოხატავს უმეტესწილად ვარაუდს (Vermutung) სამივე დროში:

აწმყო (Gegenwart):

Sie wird nicht ganz glücklich sein. Tekla wird wohl 19 sein.	ის არც მთლად ბედნიერი უნდა იყოს. თეკლა ალბათ ცხრამეტის იქნება.
---	---

წარსული (Vergangenheit):

Der Schneider wird einen Stehkragen genäht haben. Marders werden wohl verweist sein.	მკერავს მაღალი საცლო უნდა ჰქონდეს შეკერილი. მარდერის ოჯახი ალბათ გაემგზავრა.
---	---

მომავალი (Zukunft):

Dieser Preis wird ihr recht sein. Peter wird wohl Musiker werden. Sie werden schon unser Projekt verwirklichen.	ეს ფასი მისთვის ხელსაყრელი იქნება. პეტერი ალბათ მუსიკოსი გამოვა. ისინი ალბათ უკვე ჩვენ პროექტს ახორციელებენ.
---	--

ეს კონსტრუქცია მომავალ დროში (იშვიათად) გამოხატავს:

მოლოდინს (Erwartung):

Morgen wird man sich diese Lieder vor dem Theater anhören.	ხვალ შესაძლებელი იქნება თეატრის წინ ამ სიმღერების მოსმენა.
--	--

დაპირება (Versprechen):

Er wird die Sendung noch rechtzeitig erhalten.	ის გზავნილს მაინც დროულად მიიღებს.
--	------------------------------------

მუქარა(Drohung):

Das wird Ihnen noch Leid tun!	თქვენ ცუდად წაგივით საქმე!
-------------------------------	----------------------------

თავდაჯერებულობა (Entschlossenheit):

Ich werde alle Prüfungen bestehen!	მე ყველა გამოცდას ჩავაბარებ!
------------------------------------	------------------------------

4.16.3.2 თბრობითი კილო /Passiv-ი (Indikativ / Passiv)

ა. მარტივ წინადადებაში (im einfachen Satz)

Es wird viele Probleme gegeben haben. In leipzig wurde die neue Messe eröffnet.	ბევრი პრობლემა წარმოიქმნება. ლაიპციგში ახალი ბაზრობა გაიხსნა.
--	--

ბ. რთულ წინადადებაში (im zusammengesetzten Satz)

Sie wussten, dass im Zentrum keine Hochhäuser gebaut werden. Wir sprachen von der Poesie, aber ganz plötzlich wird ein anderes Thema angeschlagen.	მათ იცოდნენ, რომ ცენტრში მაღლივი შენობები არ შენდება. ჩვენ პოეზიაზე ვსაუბრობდით, მაგრამ უცბად სრულიად განსხვავებული თემა შემოიჭრა.
---	---

გ. მოდალურ ზმნასთან (mit Modalverb)

Die Meinungen können verändert werden. Dieser Baum darf im alten Garten gepflanzt werden. Diese Blumen dürfen jeden Tag gegossen werden. Er überzeugt uns, dass diese Artikel veröffentlicht werden können.	შეხედულებები შეიძლება შეიცვალოს. ეს ხე შეიძლება (ნებადართულია) ძველ ბაღში დაირგოს. ეს ყვავილები შეიძლება ყოველდღე მოირწყას. ის გვარწმუნებს, რომ ამ სტატიების გამოქვეყნება შეიძლება.
--	--

დ. როგორც Infinitiv-ი ნაწილაკ „zu“-თი (als infinitiv mit „zu“)

Es macht mir keinen Spass, gelobt zu werden. არ მსიამოვნებს, როცა მაქებენ.
(აქ Infinitiv-ია gelobt werden, „zu“ ჩადგა ამ ორ ზმნას შორის)

4.16.3.3 კავშირებითი კილო (Konjunktiv)

კონსტრუქცია würde + Infinitiv = Konditional (Ersatzform) გვხვდება სამივე დროში (Tempusformen) არარეალური, სავარაუდო, სასურველი მოქმედების გამოსახატავად.

ა. Er würde gerne seine Patenkinder besuchen. (აწმყო)	ის სიამოვნებით ეწვეოდა თავის ნათლულებს.
ბ. Wenn, ich genug Geld gehabt hätte, würde ich es an die Menschen verschenken. (წარსული)	მე რომ ბევრი (საკმაო) ფული მქონოდა, ადამიანებს ვაჩუქებდი.
გ. Was würde ich tun, wenn ich Sänger wäre? Ich würde stundenlang singen. (მომავალი)	რას გავაკეთებდი, მომდერალი რომ ვიყო? საათობით ვიმღერებდი.

ზედსართავი სახელი

Das Adjektiv/Das Eigenschaftswort

ზედსართავი სახელები გამოიყენება შემდეგნაირად:

- ცვალებადი: (flexionsfähig) არსებითი სახელის განსაზღვრება (Attribut)
- უცვლელი: (flexionslos) ზედსართავი + დამხმარე ზმნა (Prädikativ)
- როგორც ვითარების გარემოება (adverbial)
- როგორც არსებითი სახელი (als Nomen)

5.1 ზედსართავი სახელის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Adjektive)

5.1.1 აგებულების მიხედვით (... dem Bau nach)

არსებობს მარტივი, ნაწარმოები და რთული ზედსართავი სახელები.

ზედსართავი სახელები იწარმოება პრეფიქსებით (Vorsilben), სუფიქსებით (Nachsilben) და სიტყვათა შერწყმით (Zusammensetzung).

5.1.1.1 მარტივი ზედსართავი სახელები (Einfache / ursprüngliche Adjektive)

ისინი მეტწილად ერთმარცვლიანია ან აქვთ ბოლოში უმახვილო e.

kurz - მოკლე	neu - ახალი	schön - ლამაზი
lang - გრძელი	klein - პატარა	gut - კარგი
lieb -საყვარელი	arm - ღარიბი	alt - ძველი
leise - წყნარი	müde - დაღლილი	weise - ბრძენი

და ა.შ.

5.1.1.2 ზედსართავი სახელები პრეფიქსებით (... mit Vorsilben)

ზედსართავ სახელებს აწარმოებს თავსართები (Vorsilben)

- un - და miss - გამოიყენება ანტონიმების (Antonyme) საწარმოებლად, ანუ ზედსართავს აძლევს საპირისპირო მნიშვნელობას.

treu → untreu - ერთგული - ორგული
klug → unklug - ჭკვიანი - უჭკუო
schon → unschön - ლამაზი - ულამაზო
praktisch → unpraktisch - პრაქტიკული - არაპრაქტიკული
abhängig → unabhängig - დამოკიდებული - დამოუკიდებელი
vergnügt → missvergnügt - კმაყოფილი - უკმაყოფილო
günstig → missgünstig - ხელსაყრელი, სასიამოვნო - არახელსაყრელი, უამური

და ა.შ.

- ur - მიანიშნებს საგნის სიძველეზე, ზრდის ხარისხს.

uralt - უძველესი	urchristlich - ადრექრისტიანული
urgeorgisch - ძველქართული	urgeschichtlich - წინარეისტორიული
urkomisch - მეტისმეტად სასაცილო	urwüchsig - თვითმყოფადი, ბუნებრივი

და ა.შ.

დ. როგორც Infinitiv-ი ნაწილაკ „zu“-თი (als infinitiv mit „zu“)

Es macht mir keinen Spass, gelobt zu werden. არ მსიამოვნებს, როცა მაქვებენ.

(აქ Infinitiv-ია gelobt werden, „zu“ ჩადგა ამ ორ ზმნას შორის)

4.16.3.3 კავშირებითი კილო (Konjunktiv)

კონსტრუქცია würde + Infinitiv = Konditional (Ersatzform) გვხვდება სამივე დროში (Tempusformen) არარეალური, სავარაუდო, სასურველი მოქმედების გამოსახატავად.

ა. Er würde gerne seine Patenkinder besuchen. (აწმყო)	ის სიამოვნებით ეწვეოდა თავის ნათლულებს.
ბ. Wenn, ich genug Geld gehabt hätte, würde ich es an die Menschen verschenken. (წარსული)	მე რომ ბევრი (საკმაო) ფული მქონოდა, ადამიანებს ვაჩუქებდი.
გ. Was würde ich tun, wenn ich Sänger wäre? Ich würde stundenlang singen. (მომავალი)	რას გავაკეთებდი, მომღერალი რომ ვიყო? საათობით ვიმღერებდი.

ზედსართავი სახელი

Das Adjektiv/Das Eigenschaftswort

ზედსართავი სახელები გამოიყენება შემდეგნაირად:

- ცვალებადი: (flexionsfähig) არსებითი სახელის განსაზღვრება (Attribut)
- უცვლელი: (flexionslos) ზედსართავი + დამხმარე ზმნა (Prädikativ)
- როგორც ვითარების გარემოება (adverbial)
- როგორც არსებითი სახელი (als Nomen)

5.1 ზედსართავი სახელის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Adjektive)

5.1.1 აგებულების მიხედვით (... dem Bau nach)

არსებობს მარტივი, ნაწარმოები და რთული ზედსართავი სახელები.

ზედსართავი სახელები იწარმოება პრეფიქსებით (Vorsilben), სუფიქსებით (Nachsilben) და სიტყვათა შერწყმით (Zusammensetzung).

5.1.1.1 მარტივი ზედსართავი სახელები (Einfache / ursprüngliche Adjektive)

ისინი მეტწილად ერთმარცვლიანია ან აქვთ ბოლოში უმახვილო e.

kurz - მოკლე	neu - ახალი	schön - ლამაზი
lang - გრძელი	klein - პატარა	gut - კარგი
lieb -საყვარელი	arm - ღარიბი	alt - ძველი
leise - წყნარი	müde - დაღლილი	weise - ბრძენი

და ა.შ.

5.1.1.2 ზედსართავი სახელები პრეფიქსებით (... mit Vorsilben)

ზედსართავ სახელებს აწარმოებს თავსართები (Vorsilben)

- un - და miss - გამოიყენება ანტონიმების (Antonyme) საწარმოებლად, ანუ ზედსართავს აძლევს საპირისპირო მნიშვნელობას.

treu → untreu – ერთგული - ორგული
klug → unklug – ჭკვიანი - უჭკუო
schon → unschön – ლამაზი - ულამაზო
praktisch → unpraktisch – პრაქტიკული - არაპრაქტიკული
abhängig → unabhängig – დამოკიდებული - დამოუკიდებელი
vergnügt → missvergnügt – კმაყოფილი - უკმაყოფილო
günstig → missgünstig – ხელსაყრელი, სასიამოვნო -არახელსაყრელი, უამური

და ა.შ.

- ur - მიანიშნებს საგნის სიძველეზე, ზრდის ხარისხს.

uralt – უძველესი	urchristlich - ადრეკრისტიანული
urgeorgisch – ძველქართული	urgeschichtlich - წინარეისტორიული
urkomisch - მეტისმეტად სასაცილო	urwüchsig - თვითმყოფადი, ბუნებრივი

და ა.შ.

- **erz** - განამტკიცებს მნიშვნელობას.

erzfaul - უზარმაცესი	erzkonservativ - ძალზე კონსერვატიული	
erzdumm - უბრიყვესი	erzorthodox - მტკიცე მორწმუნე	და ა.შ.

- **be** პრეფიქსი t სუფიქსთან ერთად ქმნის ზედსართავ სახელს, რომლის ფუძე არსებითი სახელია. **be** უმახვილოა.

der Ton → betont - ხაზგასმული	der Ruhm → berühmt - ცნობილი	
das Haar → behaart - თმით შემოსილი	die Güter → begütert - მდიდარი	
die Liebe → beliebt - შეყვარებული	das Moos → bemoost - დახავსებული	და ა.შ.

t -ს გარეშე:

bequem - მოხერხებული	beständig - მყარი, მდგრადი	
behänd - მარდი		და ა.შ.

ge - პრეფიქსი

getreu - ერთგული	geheim - საიდუმლო	
gerecht - სამართლიანი	gesund - ჯანმრთელი	და ა.შ.

5.1.1.3 ზედსართავი სახელები სუფიქსებით (... mit Nachsilben)

ზედსართავ სახელებს აწარმოებს სუფიქსები (Nachsilben) -

- ა. გერმანული წარმოშობის:

<ul style="list-style-type: none"> • -lich menschlich - ადამიანური gewöhnlich - ჩვეულებრივი • -ig sonnig - მზიური vernünftig - გონივრული • -haft meisterhaft - ოსტატური schicksalhaft - საბედისწერო • -isch tierisch - ცხოველური praktisch - პრაქტიკული • -sam langsam - ნელი empfindsam - მგრძობიარე • -wert beneidenswert - შესაშური 	<ul style="list-style-type: none"> • -bar fruchtbar - ნაყოფიერი sonderbar - უცნაური • -los herzlos - უგულო freudlos - უსიხარულო • -en bronzen - ბრინჯაოს gezwungen - იძულებითი • -ern stählern - ფოლადის eisern - რკინის • -er burgunder - ბურგუნდიული heiter - მხიარული • -icht töricht - უგონო 	და ა.შ.
--	--	---------

ბ. უცხო წარმოშობის:

<ul style="list-style-type: none"> • -al fatal - საბედისწერო proportional - პროპორციული • -iv aktiv - აქტიური kreativ - შემოქმედებითი • -ell kulturell - კულტურული • -ant tolerant - ტოლერანტი • -ekt korrekt - კორექტული 	<ul style="list-style-type: none"> • -är primär - სანიმუშო, პირველი ordinär - ორდინალური • -ös graziös - გრაციოზული seriös - სერიოზული • -em extrem - ექსტრემალური • -il stabil - სტაბილური • -ent transparent - თვალსაჩინო
--	--

და ა.შ.

ამ სიტყვებში მახვილი ეცემა სუფიქსებს.

ზოგიერთი სუფიქსი გვხვდება როგორც გერმანული, ასევე უცხო წარმოშობის სიტყვებში:

<ul style="list-style-type: none"> • -el eitel - ამაო, გამოფიტული komfortabel - კომფორტული 	<ul style="list-style-type: none"> • -isch unterirdisch - მიწისქვეშა pathetisch - პათეტიკური
---	---

და ა.შ.

5.1.1.4 რთული ზედსართავი სახელები (Zusammengesetzte Adjektive)

ზედსართავი სახელები წარმოიქმნება აგრეთვე სიტყვათა შერწყმით (Zusammensetzung), სადაც ფუძე სიტყვა ზედსართავი სახელია, პირველი კი - სხვა მეტყველების ნაწილი:

ა. არსებითი სახელი (Nomen):

<p>schneeweiß - თოვლივით თეთრი felsfest - კლდესავით მყარი feuerrot - ცეცხლივით წითელი steinhart - ქვასავით მაგარი nagelneu - ახალთახალი kinderreich - ბავშვებით მდიდარი</p>	<p>fingerdick - თითის სისქისა flaschengrün - ბოთლისფერი wasserlöslich - ხსნადი kreisrund - წრიული erntefrisch - ახალმოწყვეტილი windstill - უქარო</p>
---	--

ბ. ზედსართავი სახელი (Adjektiv):

<p>bittersüß - ტკბილ-მწარე taubstumm - ყრუ-მუნჯი neuartig - ორიგინალური</p>	<p>blaugrün - ლურჯმწვანე armselig - მწირი gutmütig - გულკეთილი</p>
---	--

გ. ზმნა (Verb)

<p>denkfähig - მოაზროვნე treffsicher - ჩუბინი/მარჯვე მსროლელი rauflostig - მოჩხუბარი</p>	<p>backfrisch - ახალგამომცხვარი gehbereit - წასასვლელად მზადმყოფი</p>
--	---

დ. ნაცვალსახელი (Pronomen):

<p>selbstständig - დამოუკიდებელი diesjährig - წლევეანდელი selbstbewußt/selbstsicher - თავდაჯერებული</p>	<p>diesseitig - ამმხრივი (აქეთა) jenseitig - მიღმური</p>
---	--

ე. რიცხვითი სახელი (Numerale):

zweideutig - ორაზროვანი dreieckig - სამკუთხა siebenbändig - შვიდტომეული	zwölfköpfig - თორმეტსულიანი mehrstellig - მრავალნიშნა vielseitig - მრავალმხრივი
---	---

ვ. ზმნიზება (Adverb)

immergrün - მარადმწვანე frühgotisch - ადრეგოთიკური	außenpolitisch - საგარეოპოლიტიკური innenpolitisch - შიდაპოლიტიკური
---	---

ზ. წინდებული (Präposition):

übergroß - მეტისმეტად დიდი aufsässig - ჯიუტი	hinterhältig - ცბიერი unterhaltsam - საუბრისმოყვარე
---	--

ზოგიერთ ზედსართავ სახელს გააჩნია მაკავშირებელი -e-, -er-, -es-, -n-, -en- ან -s-.
hilfsbereit - დამხმარე schokoladenbraun - შოკოლადისფერი

და ა.შ.

5.1.1.5 მიმღებები, როგორც ზედსართავი სახელი (Partizipien als Adjektiv)

ზედსართავი სახელის როლს ასრულებს აგრეთვე მიმღებმა I-II (Partizip I+II) (იხ. მიმღებები (Partizipien) 4.15.5)

ა. Partizip I დაბოლოებით - d: წარმოქმნილია ზმნის Infinitiv-ზე d-ს დართვით:

anstrengend (მომქანცველი), bedeutend (მნიშვნელოვანი), wohlthuend (კეთილმოღვაწე), beleidigend (საწყენი), alleinstehend (მარტომდგომი), lachend (მოცინარი), faszinierend (მომხიბვლელი), glänzend (ბრწყინვალე), wachhabend (მოდარაჯე) და ა.შ.

Es ist ja beleidigend! ეს ხომ საწყენია!

ბ. Partizip II ge-t ან ge-en თავსართ-ბოლოსართით -

წარმოქმნილია ზმნის ფუძეზე ge-t ან ge-en-ის დართვით: arbeiten – ge+arbeitet+t (ნამუშევარი), gesungen (ნამღერი), verboten (აკრძალული), ungewohnt (უჩვეულო, უჩვევი), erleuchtet (განათებული), behindert (დაზიანებული), gebildet (განათლებული), enttäuscht (იმედგაცრუებული), gegliedert (დანაწევრებული)

და ა.შ.

Es ist uns etwas ungewohnt. Ich will nicht enttäuscht sein	ეს ჩვენთვის ცოტა უჩვეულოა. არ მინდა იმედი გამიცრუდეს.
---	--

5.1.2 შინაარსის მიხედვით (...dem Inhalt nach)

ა. ზედსართავი სახელი საგნის თვისების ან ხარისხის აღმნიშვნელი სიტყვაა. მისი კითხვებია: was für ein (eine, ein)? (როგორი?) wie? welcher/-e/-es? (რომელი?).

გერმანულენაში არსებობს ორგვარი ზედსართავი სახელი: ხარისხობრივი (qualitativ) და მიმართებითი (relativ).

ბ. ხარისხობრივი ზედსართავი სახელი (qualitatives Adjektiv) ფუძე სიტყვაა, რომელიც უშუალოდ საგნის თვისებას გამოხატავს.

იგი შეიძლება აღნიშნავდეს:

<ul style="list-style-type: none"> • ზომას (das Maß) dick-სქელი, მსუქანი lang-გრძელი groß-დიდი breit-განიერი • წონას (das Gewicht) schwer-მძიმე leicht-მსუბუქი • ასაკს (das Alter) jung-ახალგაზრდა alt-მოხუცი/ძველი • გემოს (der Geschmack) süß-ტკბილი bitter-მწარე sauer-მჟავე salzig-მლაშე 	<ul style="list-style-type: none"> • ფერს (die Farbe) rot-წითელი weiß-თეთრი schwarz-შავი • ტემპერატურას (die Temperatur) kalt-ცივი heiß-ცხელი warm-თბილი • ადამიანის შინაგან თვისებებს (innere Eigenschaften) böse-ბოროტი klug-გონიერი dumm-სულელი weise-ბრძენი schlau-ცრუ nett-სათნო
--	--

და ა.შ.

გ. მიმართებითი ზედსართავი სახელიც (relatives Adjektiv) გამოხატავს საგნის თვისებას და ნაწარმოება სხვა მეტყველების ნაწილების (andere Redeteile) ან თავსართ-ბოლოსართების (Vorsilben-Nachsilben) მეშვეობით. ის შეიძლება აღნიშნავდეს:

<ul style="list-style-type: none"> • მასალას, საგნის ფაქტურას (Stoff): golden-ოქროსი seiden-აბრეშუმის hölzern-ხის irden-თიხის 	<ul style="list-style-type: none"> baumwollen-ბამბის silbern-ვერცხლის ledern-ტყავის gläsern-მინის
--	---

<ul style="list-style-type: none"> • დროსა და ადგილს (Zeit und Ort): heutig-დღევანდელი pariser-პარიზული jetzig-ახლანდელი 	<ul style="list-style-type: none"> bay(e)risch-ბავარიული dortig-იქაური berliner-ბერლინური
---	--

• მიმართებით სხვადასხვა საგანთან (Beziehung zu anderen Dingen):

<ul style="list-style-type: none"> regnerisch-წვიმიანი fruchtbar-ნაყოფიერი wählerisch-წყუნია 	<ul style="list-style-type: none"> trinkbar-სასმელად ვარგისი ratlos-უმწეო unangenehm-უსიამოვნო
---	---

• ადამიანის დამახასიათებელ თვისებებს (innere Eigenschaften):

<ul style="list-style-type: none"> unzufrieden-უკმაყოფილო barmherzig-გულკეთილი 	<ul style="list-style-type: none"> lebensfroh-სიცოცხლისმოყვარე gleichgültig-გულგრილი
--	--

და ა.შ.

5.2 ზედსართავი სახელის ბრუნება (Deklination der Adjektive)

ცვალებადი (flektiert) ზედსართავი სახელი იბრუნვის არსებით სახელთან ერთდ და გააჩნია მისივე გრამატიკული კატეგორიები: გრამატიკული სქესი (Genus), რიცხვი (Numerus), ბრუნვა (Kasus) და დგას უშუალოდ არსებითი სახელის წინ არტიკლის, ნაცვალსახელის ან რიცხვითი სახელის შემდეგ; წინადადებაში ასრულებს განსაზღვრების როლს (attributiver Gebrauch).

არსებობს ზედსართავი სახელის სუსტი (schwach), შერეული (gemischt) და ძლიერი (stark) ბრუნება.

5.2.1 ზედსართავი სახელის სუსტი ბრუნება (Schwache Adjektivdeklination)

სუსტი ბრუნების წესით იბრუნვის ზედსართავი სახელი:

- განსაზღვრული არტიკლის შემდეგ - **der, die, das, (Plural: die)**
- ჩვენებითი ნაცვალსახელის შემდეგ - **dieser, jener**
- რიცხვითი ნაცვალსახელების შემდეგ - **jeder, beide, mancher, alle, sämtliche**
- კითხვითი ნაცვალსახელის შემდეგ - **welcher/-e/es, (Plural: welche)**

და ა.შ.

სუსტი ბრუნების წესი მოითხოვს Nominativ-ში **e**, ყველა დანარჩენ ბრუნვაში **e(n)** დაბოლოებას. საშუალო და მდებარეობითი სქესის არსებითი სახელების წინ ზედსართავი სახელი მხოლოდითი რიცხვს Akkusativ-ში იღებს Nominativ-ის დაბოლოებას **e**.

S I N G U L A R /Nom.-e...-en/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	der begabte Musiker	die arme Witwe	das sonnige Feld
Gen.	des begabten Musikers	der armen Witwe	des sonnigen Feldes
Dat.	dem begabten Musiker	der armen Witwe	dem sonnigen Feld
Akk..	den begabten Musiker	die arme Witwe	das sonnige Feld
	(ნიჭიერი მუსიკოსი)	(საბრალო ქვრივი ქალი)	(მზიანი ველი/ნაკვეთი)

Wie heißt der begabte Musiker? Georg schenkt der armen Witwe das sonnige Feld. Ich kaufe dieses billige Auto. Ilona liebt jeden frischen Fisch. Welche ungarische Stadt kennst du? Weißt du, wie jener helle Stern heißt? Von welcher antiken Stadt reden Sie? Man gibt „Die verkaufte Braut“ von Smetana.	რა ჰქვია ამ ნიჭიერ მუსიკოსს? გიორგი ჩუქნის საბრალო ქვრივს მზიან ნაკვეთს. მე ვიყიდი ამ იაფიან მანქანას. ილონას უყვარს ყოველგვარი ახალი თევზი. უნგრეთის რომელ ქალაქს იცნობ? იგი, რა ჰქვია იმ მბრწყინავ ვარსკვლავს? რომელ ანტიკურ ქალაქზე საუბრობთ? იდგმება სმეტანას „გაყიდული პატარძალი“.
---	--

P L U R A L /-en/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	die begabten Musiker	die armen Witwen	die sonnigen Felder
Gen.	der begabten Musiker	der armen Witwen	der sonnigen Felder
Dat.	den begabten Musikern	den armen Witwen	den sonnigen Feldern
Akk..	die begabten Musiker	die armen Witwen	die sonnigen Felder

Die letzten Worte habe ich nicht gehört. Sie essen in den teuren Lokalen. Die Karriere mancher begabten Musiker endet früh.	უკანასკნელი სიტყვები მე არ გამიგონია. ისინი მდიდრულ რესტორანში სადილობენ. ზოგიერთი ნიჭიერი მუსიკოსის კარიერა ადრე მთავრდება (...ას ადრე ამთავრებს).
---	---

5.2.2 ზედსართავი სახელის შერეული ბრუნება (Gemischte Adjektivdeklination)

ზედსართავი სახელი შერეული ბრუნების წესით იბრუნვის:

- განუსაზღვრელი არტიკლის - ein, eine, ein, (Plural:-) შემდეგ
- უარყოფა - kein, keine, kein, (Plural: - keine)-ს შემდეგ
- რიცხვითი სახელის ein-ის შემდეგ
- კუთვნილებითი ნაცვალსახელის - mein, dein, sein, unser, euer, ihr და ა.შ. შემდეგ
- კითხვითი ნაცვალსახელის - was für ein/eine/ein? (Plural: -was für?)-ის შემდეგ და ა.შ.

5.2.2.1 განუსაზღვრელი არტიკლის შემდეგ (...nach dem unbestimmten Artikel)

შერეული ბრუნების წესი: მხოლოდ რიცხვში - ზედსართავ სახელს ყველა ბრუნვაში აქვს დაბოლოება -en; Nominativ-ში განსაზღვრული არტიკლის დაბოლოება (er, e, es); მდებარეობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან Nominativ-ისა და Akkusativ-ის დაბოლოება ერთნაირია.

ზედსართავი სახელი ein-ით მრავლობით რიცხვში იღებს განსაზღვრული არტიკლის დაბოლოებას (e, er, en, e), დანარჩენი - en-ს

/-en/ S I N G U L A R /N. -er-e-e/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	ein grüner Rock	eine alte Kiste	ein schmales Beet
Gen.	eines grünen Rockes	einer alten Kiste	eines schmalen Beetes
Dat.	einem grünen Rock	einer alten Kiste	einem schmalen Beet
Akk..	einen grünen Rock	eine alte Kiste	ein schmales Beet და ა.შ.
	(მწვანე კაბა)	(ძველი ზანდუკი)	(ვიწრო კვალი)

Wir haben einen bekannten Kritiker besucht. Hier wohnt eine alte Frau. Er hat ein goldenes Herz. Dort steht kein blaues Auto. Suchst du einen humorvollen und seriösen Partner? Ein grauer, trüber Morgen bedeckt mein liebes Feld. (J.W. Goethe)	ჩვენ ვეწვიეთ ცნობილ კრიტიკოსს. აქ ცხოვრობს მოხუცი ქალი. მას ოქროს გული აქვს. იქ არ დგას ლურჯი მანქანა. შენ სერიოზულ და იუმორის გრძნობის მქონე პარტნიორს ეძებ? ჩემს საყვარელ ველს რუხი, ნალვლიანი დილა გაუთენდა. (ი.ვ. გოეთე)
--	--

P L U R A L /-e, -er, -en, -e/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	grüne Röcke	alte Kisten	schmale Beete
Gen.	grüner Röcke	alter Kisten	schmaler Beete
Dat.	grünen Röcken	alten Kisten	schmalen Beeten
Akk..	grüne Röcke	alte Kisten	schmale Beete და ა.შ.

Mir gefallen georgische Kirchen. Ich liebe den Duft frischer Brote. Wir haben tolle Geschenke erhalten. Sie machten enttäuschte Gesichter.	მე მომწონს ქართული ეკლესიები. მიყვარს ახალი პურის სურნელი. ჩვენ შესანიშნავი საჩუქრები მივიღეთ. მათ უკმაყოფილო სახეები მიიღეს.
--	--

უარყოფითი არტიკლის (Negativartikel) kein-ის მრავლობითი რიცხვის ფორმაა keine, რომლის შემდეგ ზედსართავ სახელს ოთხივე ბრუნვაში აქვს დაბოლოება en.

P L U R A L /-en/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	keine grünen Röcke	keine alten Kisten	keine schmalen Beete
Gen.	keiner grünen Röcke	keiner alten Kisten	keiner schmalen Beete
Dat.	keinen grünen Röcken	keinen alten Kisten	keinen schmalen Beeten
Akk..	keine grünen Röcke	keine alten Kisten	keine schmalen Beete და ა.შ.

Ich kenne keine typisch deutschen Getränke. მე არ ვიცნობ ტიპურ გერმანულ სასმელს.
 Im Winter kommen keine ausländischen Badegäste nach Batumi. ზამთარში არ ჩამოდიან ბათუმში უცხოელი დამსვენებლები. (საბანაოდ/საცურაოდ)

5.2.2.2 კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემდეგ (...nach Possessivpronomen)

კუთვნილებითი ნაცვალსახელის (mein, dein, unser...) შემდეგ ზედსართავი სახელი იბრუნვის ისევე როგორც kein-ის შემდეგ.

/-en/ S I N G U L A R /N. -er-e-es/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	mein kluger Sohn	meine kluge Tochter	mein kluges Mädchen
Gen.	meines klugen Sohnes	meiner klugen Tochter	meines klugen Mädchen
Dat.	meinem klugen Sohn	meiner klugen Tochter	meinem klugen Mädchen
Akk..	meinen klugen Sohn	meine kluge Tochter	mein kluges Mädchen და ა.შ.
	(ჩემი კკვიანი ვაჟიშვილი)	(ჩემი კკვიანი ქალიშვილი)	(ჩემი კკვიანი გოგონა)

Sein ruhiges Gewissen stärkt ihn. თავისი მშვიდი სინდისი მას ძალას მატებს.
 Ich schenke eurer kleinen Tochter dieses Buch. მე ამ წიგნს თქვენ პატარა ქალიშვილს ვჩუქნი.

P L U R A L /-en/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	meine klugen Söhne	meine klugen Töchter	meine klugen Mädchen
Gen.	meiner klugen Söhne	meiner klugen Töchter	meiner klugen Mädchen
Dat.	meinen klugen Söhnen	meinen klugen Töchtern	meinen klugen Mädchen
Akk..	meine klugen Söhne	meine klugen Töchter	meine klugen Mädchen და ა.შ.

Mich faszinieren Ihre traditionellen Kuckucksuhren. მე მომწონს თქვენი ტრადიციული „გუგული“ საათები.
 Ich bewahre meine guten Erinnerungen. მე ვინახავ ჩემ კარგ მოგონებებს.
 Sie lernen unsere uralten Volkslieder. ისინი სწავლობენ ჩვენ უძველეს ხალხურ სიმღერებს.
 Kommen morgen eure deutschen Freunde? მოდიან ხვალ თქვენი გერმანელი მეგობრები?

5.2.3 ზედსართავი სახელის ძლიერი ბრუნება (Starke Adjektivdeklination)

ძლიერი ბრუნების წესით იბრუნვის ზედსართავი სახელი:

- არტიკლის, ნაცვალსახელის გარეშე
- უსუფიქსო ნაცვალსახელების (ich, du, manch, solch) და რიცხვითი სახელების შემდეგ (drei, sieben) და ა.შ.
- რიცხვითი ნაცვალსახელების შემდეგ: viele, einige, wenige mehrere, etliche და ა.შ.
- ნაცვალსახელების შემდეგ: dessen, deren (Gen.), wessen?
- verschieden, gewiss, ander

ძლიერი ბრუნების წესი: ზედსართავი სახელი ყველგან იღებს განსაზღვრული არტიკლის დაბოლოებას; მამრობით და საშუალო სქესის არსებით სახელებთან Gen.-ში - en დაბოლოებას, მხოლოდით რიცხვში.

S I N G U L A R /Gen./-en/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	weißer Stein	lange Straße	schwarzes Notenpult
Gen.	weißen Steines	langer Straße	schwarzen Notenpultes
Dat.	weißem Stein	langer Straße	schwarzem Notenpult
Akk..	weißen Stein	lange Straße	schwarzes Notenpult და ა.შ.
	(თეთრი ქვა)	(გრძელი ქუჩა)	(შავი პიუპიტრი)

Guter Wein ist teuer.	კარგი ღვინო ძვირად ფასობს.
München wird „Deutschlands heimliche Hauptstadt“ genannt.	მიუნჰენი „გერმანიის საიდუმლო დედაქალაქად“ იწოდება.
Korrektes Verhalten ihm gegenüber ist wichtig.	მნიშვნელოვანია მის მიმართ კორექტული დამოკიდებულება.
Dort wohnt die Dame, von deren kleinem Sohn ich sprach.	იქ ცხოვრობს ქალბატონი, რომლის პატარა ვაჟიშვილზე მე ვლაპარაკობდი.
Ich gratuliere zu solch gutem Resultat!	გილოცავ (ასეთ) წარმატებას! (კარგ შედეგს)
Du - Schreckliches Kind!	შე, ცუდო ბავშვო!

P L U R A L /e, er, en, e/

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	weiße Steine	lange Straßen	schwarze Notenpulte
Gen.	weißer Steine	langer Straßen	schwarzer Notenpulte
Dat.	weißen Steinen	langen Straßen	schwarzen Notenpulten
Akk..	weiße Steine	lange Straßen	schwarze Notenpulte და ა.შ.

An guten Vorbildern mangelt es nicht.	კეთილი მაგალითი საკმარისად მოიპოვება.
Tobias gibt viel Geld für verschiedene alte Weine aus.	ტობიასი ფულს არ ზოგავს სხვადასხვა ძველი ღვინის საყიდლად.
Er gibt auch anderen jungen Leuten Hoffnung.	ის იმედს უწერგავს დანარჩენ ახალგაზრდებსაც.
Die Angst vieler kluger Kinder vor Versagen erstaunt mich.	მე მაკვირვებს მრავალი გონიერი ბავშვის შიში (რადაცის) ვერშესრულების გამო.

- რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგ ზედსართავი სახელი იბრუნვის ისე, როგორც განსაზღვრული არტიკლის შემდეგ მრავალობით რიცხვში.

Nom.	Fünf neue Äxte
Gen.	Fünf neuer Äxte
Dat.	Fünf neuen Äxten
Akk.	Fünf neue Äxte (ხუთი ახალი ნაჯახი)

Zwei goldene Sterne stehen am Himmel.	ცაზე ორი ოქროს ვარსკვლავია.
In fünf kurzen Zeilen entfaltet dieses Gedicht seine Kraft.	ხუთ მოკლე სტრიქონში განიფინება ძალა ამ ლექსისა.
Schreiben Sie sieben spannende Erzählungen!	დაწერეთ შვიდი გამტაცმინაარსიანი მოთხრობა!

- გამონაკლისი:

რიცხვით სახელებს „zwei“ და „drei“-ს შეიძლება გააჩნდეს დაბოლოება -er Genitiv-ში.

Sie ist Mutter zweier kleiner Töchter.	იგი დედაა ორი პატარა ასულისა.
Der Besitzer dreier alter Weingüter kommt.	მოდის სამი ძველი ვენახის პატრონი.

5.2.4 მითითებული ზედსართავი სახელის, როგორც განსაზღვრების გამოყენების შესახებ (Hinweise zum attributiven Gebrauch der Adjektive)

- ზედსართავი სახელის მსგავსად იბრუნვის მიმღობა I,II (Partizip I,II) და რიგობითი რიცხვითი სახელი (Ordinalzahl), რომელიც წინადადებაში არსებითი სახელის განსაზღვრების როლს ასრულებს.
- die glänzenden Augen - მოციმციმე თვალები (Partizip I)
- ein erfülltes Leben - სავსე ცხოვრება (Partizip II)
- die erste Klasse - პირველი კლასი (Ordinalzahl) და ა.შ.

Pia betrachtet den Christbaum mit glänzenden Augen.	ვია შეჰყურებს საშობაო ხეს ანთებული თვალებით.
Onkel Franz hatte ein erfülltes Leben.	ბიძია ფრანცმა სავსე ცხოვრებით იცხოვრა.
Ich schenke jedem meiner vielen liebgewonnenen Freunde eine Rose.	მე ვჩუქნი ყოველ ჩემს საყვარელ მეგობარს თითო ვარდს.
Möchtest du heute erster Klasse fahren?	გინდა დღეს შენ პირველი კლასით გაემგზავრო?

- ზოგიერთი ზედსართავი სახელი არ იბრუნვის (ohne Beugung):
er-სუფიქსით (Paris-pariser)

Der pariser Tiergarten ist groß.	პარიზის სამხეცე დიდია.
Im berliner Zoo wurde ein Eisbärbaby geboren.	ბერლინის ზოოპარკში თეთრი დათვის ბელი დაიბადა.
In münchener Biergarten ist viel los.	მიუნხენის ლუდის სახლში მზიარულდება.

- ნასესხები ზედსართავი სახელები: lila (იისფერი, ლურჯი), rosa (ვარდისფერი), prima (საუკეთესო).

Da trat eine prima Sängerin auf.	გამოვიდა პირველი კლასის მომღერალი.
----------------------------------	------------------------------------

- ზედსართავი სახელები შედარებით (Komparativ) და აღმატებით (Superlativ) ხარისხში იბრუნვის ისევე, როგორც ზედსართავი სახელები საწყის ფორმაში (Positiv). (იხ. შედ.ხარისხები- Steigerungsstufen 5.4)

5.2.5 ზედსართავი სახელის ბრუნვა (Adjektiv-Deklination) (სქემა)

განსაზღვრული არტიკლით der, die, das / die და ნაცვალსახელებით: dieser, jener, jeder, mancher, welcher

schwach:

S I N G U L A R

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	der große Raum	die große Halle	das große Zimmer
Gen.	des großen Raumes	der großen Halle	des großen Zimmers
Dat.	dem großen Raum	der großen Halle	dem großen Zimmer
Akk.	den großen Raum	die große Halle	das große Zimmer

P L U R A L

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	die großen Räume	die großen Hallen	die großen Zimmer
Gen.	der großen Räume	der großen Hallen	der großen Zimmer
Dat.	den großen Räumen	den großen Hallen	den großen Zimmern
Akk..	die großen Räume	die großen Hallen	die großen Zimmer

განუსაზღვრელი არტიკლით: ein, eine, ein/kein-ით

სქემა (გაგრძელება)

gemischt:

S I N G U L A R

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	(k)ein begabter Junge	(k)eine begabte Pianistin	(k)ein begabtes Mädel
Gen.	(k)eines begabten Jungen	(k)einer begabten Pianistin	(k)eines begabten Mädels
Dat.	(k)einem begabten Jungen	(k)einer begabten Pianistin	(k)einem begabten Mädel
Akk..	(k)einen begabten Jungen	(k)eine begabte Pianistin	(k)ein begabtes Mädel

P L U R A L

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	begabte Jungen	begabte Pianistinnen	begabte Mädel
Gen.	begabter Jungen	begabter Pianistinnen	begabter Mädel
Dat.	begabten Jungen	begabten Pianistinnen	begabten Mädel
Akk..	begabte Jungen	begabte Pianistinnen	begabte Mädel და ა.შ

P L U R A L (kein)

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	keine begabten Jungen	keine begabten Pianistinnen	keine begabten Mädel
Gen.	keiner begabten Jungen	keiner begabten Pianistinnen	keiner begabten Mädel
Dat.	keinen begabten Jungen	keinen begabten Pianistinnen	keinen begabten Mädeln
Akk.	keine begabten Jungen	keine begabten Pianistinnen	keine begabten Mödel

კუთვნილებითი ნაცვალსახელებით: mein, dein, sein, ihr – unser,euer, ihr, Ihr

S I N G U L A R

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	mein kluger Sohn	meine kluge Tochter	mein kluges Mädchen
Gen.	meines klugen Sohnes	meiner klugen Tochter	meines klugen Mädchens
Dat.	meinem klugen Sohn	meiner klugen Tochter	meinem klugen Mädchen
Akk.	meinen klugen Sohn	meine kluge Tochter	mein kluges Mädchen

P L U R A L

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	meine klugen Söhne	meine klugen Töchter	meine klugen Mädchen
Gen.	meiner klugen Söhne	meiner klugen Töchter	meiner klugen Mädchen
Dat.	meinen klugen Söhnen	meinen klugen Töchtern	meinen klugen Mädchen
Akk.	meine klugen Söhne	meine klugen Töchter	meine klugen Mädchen

Stark

არტიკლის გარეშე

S I N G U L A R

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	grüner Baum	grüne Hose	grünes Moos
Gen.	grünen Baumes	grüner Hose	grünen Mooses
Dat.	grünem Baum	grüner Hose	grünem Moos
Akk..	grünen Baum	grüne Hose	grünes Moos

P L U R A L

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	grüne Bäume	grüne Hosen	grüne Moose
Gen.	grüner Bäume	grüner Hosen	grüner Moose
Dat.	grünen Bäumen	grünen Hosen	grünen Moosen
Akk..	grüne Bäume	grüne Hosen	grüne Moose

5.3 უცვლელი ზედსართავი სახელების გამოყენება (Gebrauch unveränderter Adjektive)

ზედსართავი სახელი წინადადებაში გვხვდება უცვლელი ფორმით ანუ არ იბრუნვის (*unflektiert/unveränderlich*)

ზედსართავი სახელი +დამხმარე ზმნა (*Prädikativ*),-ვითარების გარემოება (*adverbial*)

Das Wetter ist schön.	კარგი ამინდია.
Ich bin bereit!	მე მზად ვარ!
Die Wirklichkeit war hart.	სინამდვილე სასტიკი იყო.
Das Lesen ist für mich lebensrettend.	კითხვა ჩემი მხსნელია.
Für mich aber ist es anstrengend.	ჩემთვის კი მომქანცველია.
Es ist bedauerlich!	სამწუხაროა / დასანანია.
Ich finde es langweilig.	ჩემთვის ეს მომაბეზრებელია.
Die Rolle dieser Persönlichkeit in der Geschichte ist groß.	დიდია ამ პიროვნების როლი ისტორიაში.
Diese Ideen sind überholt.	ეს იდეები გაცვეთილია.
Dieser Ort ist radioaktiv verseucht.	ეს ადგილი რადიაციით დასხივებულია.
Tamara lernt spielend Deutsch.	თამარი თამაშით სწავლობს გერმანულს.
Schwimmend erreicht der Hund das Ufer.	ძალი ცურვით უახლოვდება ნაპირს.

5.4 შედარებითი ხარისხები (Steigerungsstufen der Adjektive)

ზედსართავი სახელი წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამი ხარისხით:

- დადებითი ანუ საწყისი (*Positiv/Grundstufe*): ruhig-მშვიდი
- შედარებითი (*Komparativ/Vergleichsstufe*): ruhiger - უფრო მშვიდი
- აღმატებითი (*Superlativ/Höchststufe*):
 - a) der, die, das ruhigste- უმშვიდესი -(განსაზღვრება-*Attribut*)
 - b) am ruhigsten - ყველაზე მშვიდად (გარემოება - *Adverbial*)

5.4.1 შედარებითი ხარისხი (Komparativ)

Komparativ-ს აწარმოებს სუფიქსი - er.

feucht-feuchter	ნოტიო, უფრო ნოტიო
reich-reicher	მდიდარი, უფრო მდიდარი
schlimm-schlimmer	ცუდი, უფრო ცუდი
böse-böser	ბოროტი, უფრო ბოროტი
tief-tiefer	ღრმა, უფრო ღრმა
weich-weicher	რბილი, უფრო რბილი
schnell-schneller	ჩქარი, უფრო ჩქარი
betrübt-betrübter	ნაწყენი, უფრო ნაწყენი

Heute ist das Wetter schlimmer als gestern. Je tiefer die Gefühle sind, umso dauerhafter bleibt die Erinnerung.	დღეს ამინდი უფრო ცუდია, ვიდრე გუშინ. რაც უფრო ღრმაა განცდა, მით უფრო ხანგრძლივად რჩება მოგონება მეხსიერებაში.
--	--

ზედსართავი სახელები, რომელთა ფუძე ბოლოვდება **-er, -el, -en**-ზე, Komparativ-ში ზოგჯერ ხმოვან **e**-ს კარგავენ (საუბარში ან პოეზიაში).

teuer-teurer	ძვირფასი, უფრო ძვირფასი
sauer-saurer	მჟავე, უფრო მჟავე
dunkel-dunkler	ბნელი, უფრო ბნელი
eitel-eitler	მედიდური, უფრო მედიდური
bescheiden-bescheid(e)ner	გაწონასწორებული, მეტად გაწონასწორებული

და ა.შ.

5.4.2 აღმატებითი ხარისხი (Superlativ)

Superlativ-ს აწარმოებს:

ა) სუფიქსი **-(e)st** - (როგორც განსაზღვრება (attributiv))

der, die, das reichste - უმდიდრესი

der, die, das schnellste - უსწრაფესი

der, die, das teuerste - უძვირფასესი

der, die, das sauerste - უმჟავესი

ბ) პრეფიქსი **am** და სუფიქსი **-(e)sten** - (როგორც გარემოება (adverbial))

am schnellsten - უსწრაფესად, (აგრეთვე: უსწრაფესი)

am teuersten - უძვირესად, (უძვირფასესი)

- დაბოლოებით **(e)st** ზედსართავი სახელი იბრუნვის (flektiert)

Parmen ist **das bravste** Kind.

პარმენი ყველაზე ყოჩაღი ბავშვია.

- **am** და **(e)sten**-ით ზედსართავი სახელი უცვლელია (unflektiert)

Ich finde Bayern **am schönsten**.

ჩემი აზრით, ბავარია ულამაზესია.

5.4.3 ზედსართავი სახელების ხარისხები (Steigerung der Adjektive)

ა. ფუძეუცვლელი ზედსართავი სახელები.

Positiv	Komparativ	Superlativ	ქართულ ენაზე
klar	klarer	der, die, das klarste; am klarsten	ნათელი
schnell	schneller	der, die, das schnellste; am schnellsten	ჩქარი
schön	schöner	der, die, das schönste; am schönsten	ლამაზი
brav	braver	der, die, das bravste; am bravsten	ყოჩაღი
gnädig	gnädiger	der, die, das gnädigste; am gnädigsten	გულმონწყალე
herrlich	herrlicher	der, die, das herrlichste; am herrlichsten	მშვენიერი
ratsam	ratsamer	der, die, das ratsamste, am ratsamsten	მიზანშეწონილი
weise	weiser	der, die, das weiseste, am weisesten	ბრძენი

და ა.შ.

Mein Bruder läuft **schnell**.

ჩემი ძმა ჩქარა დარბის.

Du läufst **schneller**.

შენ უფრო ჩქარა დარბობარ.

Mein Freund läuft **am schnellsten**.

ჩემი მეგობარი დარბის ყველაზე ჩქარა.

Mein Freund ist **der schnellste** Läufer von allen.

ჩემი მეგობარი ყველაზე ჩქარი მორბენალია.

ბ. Komparativ-ი და Superlativ-ი უმლაუტით

ზოგიერთი ერთმარცვლიანი ზედსართავი სახელი ფუძისეული ხმოვნებით a, o, u შედარებით და აღმატებით საფეხურზე იღებს უმლაუტს:

Positiv	Komparativ	Superlativ	ქართულ ენაზე
stark	stärker	der, die, das stärkste; am stärksten	ძლიერი
warm	wärmer	der, die, das wärmste; am wärmsten	თბილი
grob	gröber	der, die, das gröbste; am gröbsten	ტლანქი
lang	länger	der, die, das längste; am längsten	გრძელი
groß	größer	der, die, das größte; am größten	დიდი
arm	ärmer	der, die, das ärmste, am ärmsten	ღარიბი
jung	jünger	der, die, das jüngste, am jüngsten	ახალგაზრდა და ა.შ.

Wir haben uns einen langen Film angesehen.	ჩვენ გრძელი ფილმი ვნახეთ.
Die Theatervorstellung dauerte länger als ich dachte.	თეატრალური წარმოდგენა უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მეგონა.
Die gestrige Vorstellung dauerte am längsten .	გუშინდელი წარმოდგენა ყველაზე მეტხანს გაგრძელდა.
Der Nil ist der längste Fluss der Welt.	ნილოსი მსოფლიოს უგრძესი მდინარეა.

გ. Superlativ-ი -e-ხმოვნით ფუძესა და სუფიქს შორის

ზედსართავი სახელები ფუძეში თანხმოვნებით d, t, s, ß, x, z იღებენ აღმატებით ხარისხში გავრცობილ სუფიქსებს: est და am...esten-ს.

Positiv	Komparativ	Superlativ	ქართულ ენაზე
kalt	kälter	der, die, das kälteste am kältesten	ცივი
kurz	kürzer	der, die, das kürzeste am kürzesten	მოკლე
tund	runder!	der, die, das rundeste am rundesten	მრგვალი
alt	älter	der, die, das älteste am ältesten	ძველი
heiß	heißer	der, die, das heißeste am heißesten	ცხელი
ratlos	ratloser	der, die, das ratloseste am ratlosesten	უმწეო
nett	netter	der, die, das netteste am nettesten	სათნო
mild	milder	der, die, das mildeste am mildesten	რბილი/ლმობიერი
fix	fixer	der, die, das fixeste am fixesten	სწრაფი
süß	süßer	der, die, das süßeste am süßesten	ტკბილი
stolz	stolzer	der, die, das stolzeste am stolzesten	ამაყი

Heute ist der heißeste Tag in diesem Jahr.	დღეს წლის ყველაზე ცხელი დღეა.
Meine älteste Schwester heißt Marta.	ჩემს (ყველაზე) უფროს დას ჰქვია მარტა.

დ. ზედსართავი სახელები, რომლებიც განსხვავებულად აწარმოებენ შედარებით ხარისხებს.

რამდენიმე ზედსართავი სახელი არ ემორჩილება დადგენილ წესს:

Positiv	Komparativ	Superlativ	ქართულ ენაზე
gut	besser	der, die, das beste am besten	კარგი
hoch	höher	der, die, das höchste am höchsten	მაღალი
nah	näher	der, die, das nächste am nächsten	მახლობელი
viel	mehr	der, die, das meiste am meisten	ბევრი
wenig	minder ან weniger	{ der, die, das mindeste zum mindesten! der, die, das wenigste am wenigsten	ცოტა

Herr Schmidt hat viel Geld.	ბატონ შმიდტს ბევრი ფული აქვს.
Mein Sohn hat mehr Geld als er.	ჩემს შვილს მეტი ფული აქვს, ვიდრე მას.
Herr Stoff hat das meiste Geld.	ბატონ შტოფს ყველაზე მეტი ფული აქვს.
Am meisten besitzt er Bilder von Otto Dix.	მას ყველაზე მეტი სურათი ოტო დიქსისა აქვს.

5.4.4 შედარებითი ხარისხების ბრუნება (Deklination der gesteigerten Adjektive)

5.4.4.1 შედარებითი ხარისხი (Komparativ)

-er- სუფიქსით დაბოლოებული ზედსართავი სახელი ანუ Komparativ-ი იბრუნვის იმავე წესით, როგორც Positiv(საწყისი)-ი. (ასევე: Partizip I-II)

- სუსტი ბრუნება (Schwache Deklination)

Singular

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	der bessere Rat	die kleinere Lampe	das hellere Zimmer
Gen.	des besseren Rates	der kleineren Lampe	des helleren Zimmers
Dat.	dem besseren Rat	der kleineren Lampe	dem helleren Zimmer
Akk.	den besseren Rat	die kleinere Lampe	das hellere Zimmer
	(უკეთესი რჩევა)	(უფრო პატარა ლამპა)	(უფრო ნათელი ოთახი) და ა.შ.

Der Pfarrer gibt mir den besseren Rat .	მოდღარი მამლევს უკეთეს რჩევას.
Die kleinere Lampe gefällt mir.	მე მომწონს მომცრო (უფრო პატარა) ლამპა.

Plural

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	die besseren Ratschläge	die kleineren Lampen	die helleren Zimmer
Gen.	der besseren Ratschläge	der kleineren Lampen	der helleren Zimmer
Dat.	den besseren Ratschlägen	den kleineren Lampen	den helleren Zimmern
Akk.	die besseren Ratschläge	die kleineren Lampen	die helleren Zimmer
			და ა.შ.

In den moderneren Wohnungen glänzt alles.	(უფრო) მოდურ სახლებში ყველაფერი ბრწყინავს.
Wir nehmen die teureren Getränke.	ავიღებთ უფრო ძვირიან სასმელს.
Sie haben zwei Söhne.	მათ ორი ვაჟიშვილი ჰყავთ.
Der hübschere von beiden ist der jüngere .	უფრო ლამაზი ამ ორიდან უმცროსია.
Den begeisterteren Eindruck machte mir der kleine Florian.	პატარა ფლორიანმა უფრო მეტად აღმაფრთოვანა.
Von uns beiden bist du der vorausschauendere Mensch.	ჩვენ ორიდან შენ უფრო შორსმჭვრეტელი ხარ.

- შერეული ბრუნება (gemischte Deklination) (იხ. 5.2.2.1)

Ist das ein besserer Wein?	ეს უკეთესი ღვინოა?
Eine ältere Uhr findest du kaum.	უფრო ძველ საათს თითქმის ვეღარ შევხვდები.
Du kannst mir keinen größeren Gefallen tun!	ამაზე მეტად ვერაფრით გამახარებდი (მასიამოვნებდი).
Geben Sie auch ärmeren Völkern eine Chance!	მიეცით უფრო გაჭირვებულ ხალხებსაც შანსი!
Dieses Jahr hatten wir einen wohltuenderen Urlaub, als letztes Jahr.	ამ წელს უკეთესი შვებულება გვქონდა, ვიდრე შარშან.
Sag mir tröstendere Worte!	მითხარი უფრო სანუგეშო რამ (სიტყვები).

- ძლიერი ბრუნება (Starke Deklination) (იხ. 5.2.3)

Milderer Klima herrscht jetzt nur im Westen.	უფრო რბილი ჰავა ახლა მხოლოდ დასავლეთშია.
Mönche streben nach höherer Erkenntnis.	ბერები ილტვიან უფრო მაღალს შეცნობისაკენ.
Frischeren Käse verkauft man auf dem Markt.	უფო ახალი ყველი ბაზარში იყიდება.
Erstklassigeres Theater gibt es nirgends.	უკეთესი თეატრი არსად მოიძებნება.
Wegen verbesserter Zukunftsaussichten gehe ich nach Schweden.	უკეთესი სამომავლო პერსპექტივებისათვის მივდივარ მე შვედეთში.

სიტყვა „mehr“ არ იბრუნვის.

სწორია: der nähere Gasthof

bessere Schulen

die kürzere Hose

höhere Häuser

არასწორია: das mehre Geld

mehre Kinder

Wir brauchen mehr Kinderspielplätze!	ჩვენ გვესაჭიროება მეტი სათამაშო მოედნები ბავშვებისათვის.
Es gibt nun mehr Arbeitslosigkeit und trotzdem höhere Preise.	უმუშევრობა ახლა მეტია, მიუხედავად ამისა, ფასები ურფო მაღალია.

5.4.4.2 აღმატებითი ხარისხი (Superlativ)

(e)st-ით ნაწარმოები ზედსართავი სახელი ანუ Superlativ ცვალებადია (flektiert), იბრუნვის არსებით სახელთან ერთად მხოლოდ განსაზღვრული არტიკლით ან უარტიკლოდ და diese, jene-სთან.

Singular

Kasus	maskulin	feminin	neutrum
Nom.	der hellste Palast	die älteste Uhr	das klügste Kind
Gen.	des hellsten Palastes	der ältesten Uhr	des klügsten Kindes
Dat.	dem hellsten Palast	der ältesten Uhr	dem klügsten Kind
Akk.	den hellsten Palast	die älteste Uhr	das klügste Kind და ა.შ.
	(უბრწყინვალესი სასახლე)	(უძველესი საათი)	(უჭკვიანესი ბავშვი)

Das älteste Auto steht im Museum.	უძველესი მანქანა დგას მუზეუმში.
Der Pokal gehört dem besten Sportler.	თასი ეკუთვნის საუკეთესო სპორტსმენს.
Der Besitzer dieser bedeutsamsten Uhr wohnt in der Schweiz.	ამ უმნიშვნელოვანესი საათის მფლობელი შვეიცარიაში ცხოვრობს.
Ich möchte der Vater jenes weltweit klügsten Kindes sein!	მე ვისურვებდი, ვიყო მამა იმ უჭკვიანესი ბავშვისა!
Das ist reinste Heuchelei!	ეს წმინდა წყლის თვალთმაქცობაა!

P L U R A L

6.7.4.2 ნაცვალსახელი-ზმნიზედა ვინ ჯგუფის სახელებთან (... für Personen)

ვინ-ჯგუფის სახელებთან ნაცვალსახელი-ზმნიზედა იცვლება წინდებული+კითხვითი ნაცვალსახელით. ამასთან წინდებული დგას ნაცვალსახელის წინ და არ ერწყმის მას.

კითხვითი (fragend)	ჩვენებითი (hinweisend)
სულიერ საგანთან	სულიერ საგანთან

bei wem?	ვისთან?	bei ihm (ihr)	მასთან
für wen?	ვისთვის?	für ihn (sie)	მისთვის
gegen wen?	ვის წინააღმდეგ?	gegen ihn (sie)	მის წინააღმდეგ
mit wem?	ვისთან ერთად?	mit ihm (ihr)	მასთან ერთად
von wem?	ვის შესახებ?	von ihm (ihr)	მის შესახებ

და ა.შ.

Von wem hängt das ab, ob du zu mir kommst? Es hängt von meinem Mann ab. In wessen Namen sprechen Sie? Ich spreche in Herrn Müllers Namen. Mit wem hat sich deine Schwester verlobt? Mit Martin. Auf wen war sie böse? Sie war auf mich böse.	ვისზეა დამოკიდებული, მოხვალ თუ არა ჩემთან? ეს ჩემს ქმარზეა დამოკიდებული. ვისი სახელით ლაპარაკობთ? მე ვლაპარაკობ ბატონი მიულერის სახელით. ვინ დანიშნა შენი და? მარტინმა. ვისზე იყო გაბრაზებული? ის ჩემზე იყო გაბრაზებული.
მაგრამ: Es kamen tausende von Menschen, darunter auch Kinder.	ჩამოვიდა ათასობით ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც.

6.7.5 კითხვითი ზმნიზედა (Frageadverbien/W - Fragen)

Wie ist die Natur bei euch? Wie sehen Ihre Zukunftspläne aus? Warum kommen Sie immer zu spät? Wo hast du diese Kirschen gekauft? Woher hast du diese Tasche? Wohin fahren wir morgen? Wann beginnt die Vorstellung?	როგორი ბუნებაა თქვენთან? როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? რატომ აგვიანებთ ყოველთვის? სად იყიდე ეს ბალი? საიდან ეს ჩანთა? საით გავემგზავროთ ხვალ? როდის იწყება წარმოდგენა?
---	--

6.8 განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაცვალსახელი (Indefinitpronomen / Unbestimmtes Fürwort)

6.8.1 განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაცვალსახელებია:

- პიროვნებები - არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი: jemand, einer, niemand, keiner, jedermann, man/alle
- საგნები - ბრუნების გარეშე: etwas (was), nichts
- es, dies, das, wer, welches
- განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (რაოდენობის აღმნიშვნელი): einige, mancher, einer, alle(s), mehrere, viele, wenige, sämtliche და ა.შ. (იხ. რიცხვითი სახელი 7)

6.8.2 einer და keiner (ვინმე, ზოგიერთი და არავინ)

განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაცვალსახელები (გარდა einer და keiner-ისა) არ იბრუნვის, ან თუ იბრუნვის, მხოლოდ ნაწილობრივ და უმეტესად მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია:

einer და keiner იბრუნვის, როგორც განსაზღვრული არტიკლი.

Kasus	Sing.	Sing.
Nom.	einer	keiner
Gen.	eines	keines
Dat.	einem	keinem
Akk.	einen	keinen

Weiß einer , wo der Bahnhof ist?	იცის ვინმემ, სად არის სადგური?
Das kann einem doch egal sein!	ეს ზოგისთვის სულერთია! (არ აქვს მნიშვნელობა)
Da soll sich einer auskennen!	ამაში ვინმე უნდა ერკვეოდეს!
Hat denn keiner Mitleid mit der Frau?	ვინმეს (არავის) გააჩნია ამ ქალის სიბრალოლი?
Hier kannst du keinen fragen.	აქ ვერავის ჰკითხავ. (პასუხს ვერავისგან მიიღებ).
Keiner konnte mir helfen.	არავის შეეძლო ჩემი შველა.

6.8.3 jemand (=einer) (ვინმე), niemand(=keiner) (არავინ) და jedermann (=alle) (ყოველი, ყველა)

Kasus	Sing.	Sing.	Sing.
Nom.	jemand	niemand	jedermann
Gen.	jemand(e)s	niemand(e)s	jedermanns
Dat.	jemand(em)	niemand(em)	jedermann
Akk.	jemand(en)	niemand(en)	jedermann

Können Sie einen (jemanden) nennen?	შეგიძლიათ ვინმე დაასახელოთ?
Ich kann keinen (niemanden) nennen.	მე არავის დასახელება არ შემიძლია.
Möchtest du jemandem einen Gefallen tun?	გინდა ვინმეს ასიამოვნო?
Kennst du hier jemanden ?	იცნობ შენ აქ ვინმეს?
Nein, ich kenne niemanden .	არა, მე არავის ვიცნობ.
Das ist nicht jedermanns Sache!	ეს არ არის ნებისმიერი ადამიანის საქმე!

- **jemand** და **niemand** დღეს გამოიყენება Dat. და Akk.-ში დაბოლოების გარეშე.

Ich habe den Brief niemand gezeigt (Dat).	მე წერილი არავისთვის მიჩვენებია.
Hast du jemand gesehen? (Akk.)	ნახე ვინმე?

6.8.4 განუსაზღვრელი (პირის) ნაცვალსახელი **man** (das unbestimmte Pronomen **man**)

ნაცვალსახელი **man** არ იბრუნვის, ქართული შესატყვისი არ გააჩნია. მას მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის Nominativ-ის ფორმა აქვს. მას მოსდევს ზმნა მხოლოდითი რიცხვის III პირში, ქართულ ენაზე ითარგმნება ზმნასთან ერთად მრავლობითი რიცხვში.

man lobt - აქებენ	man hatte gelobt - შეაქეს
man lobte - აქებდნენ	man wird loben - შეაქებენ
man hat gelobt - შეაქეს	

Hier diskutiert man zu zweit.	აქ მსჯელობენ ორ-ორნი.
Da hörte man nützliche Ratschläge.	იქ სასარგებლო რჩევებს ისმენდნენ.
Es gibt mehr Unerklärliches als man sich vorstellen kann.	არსებობს გაცილებით მეტი ამოუხსნელი რამ, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება.

- ნაცვალსახელს **man** ცვლის ზოგჯერ **einer**.

Man handelt so, wie es einem das Gewissen diktiert.	(ადამიანები) ისე იქცევიან, როგორც სინდისი კარნახობთ.
--	--

6.8.5 etwas (რაღაც) და nichts (არაფერი)

etwas და **nichts** არ იბრუნვის.

Ich verstehe etwas nicht.	მე რაღაც არ მესმის.
Sie unterscheiden sich durch nichts von einander.	ისინი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან.

- etwas და nichts-ის შემდეგ შეიძლება იდგეს გაარსებითებული ზედსართავი სახელი, ყოველთვის საშუალო სქესის. იწერება დიდი ასოთი.

Etwas Besseres findest du nicht. Es ist nichts Ungewöhnliches.	უკეთეს ვერაფერს მოძებნი. არაფერია უჩვეულო.
---	---

6.8.6 პირნაკლი ნაცვალსახელი - es (das unpersönliche Pronomen)

პირნაკლი ნაცვალსახელი es მიუთითებს იმაზე, რომ წინადადებაში მოქმედი პირი არ არის. იგი გამოიყენება:

- ა. როგორც ქვემდებარე ბუნების მოვლენების გამომხატველ უპირო ზმნებთან.

Es schneit. თოვს. Es regnet. წვიმს. Es friert. ყინავს.	Es dunkelt. ბნელდება. Es tagt. თენდება. Es ist kalt. ცივა.	და ა.შ.
---	---	---------

Gestern blitzte und donnerte es fürchterlich. Es rauscht im Gebüsch.	გუშინ საშინლად ელავდა და ქუხდა. ქარი ხმაურობს ბუჩქნარში.
---	---

- ბ. ადამიანის შეგრძნებათა გამომხატველ ზმნებთან

Es friert mich. Es schmeckt mir gut.	ვიყინები. მეგემრიელება.
---	----------------------------

- გ. პირნაკლი იდიომატურ გამოთქმებში

Hier lässt es sich leben. Es kommt immer auf den Ton an. Es geht mir heute besonders gut.	აქ შეიძლება ცხოვრება. ეს ყოველთვის ტონზეა დამოკიდებული. დღეს განსაკუთრებით კარგად ვგრძნობ თავს.
---	---

- დ. ზმნებთან უპირო Passiv-ში

Darf ich hier parken? Nein, es ist verboten. Es wird hier viel gebaut.	შეიძლება აქ გაჩერება? არა, ეს აკრძალულია. აქ ბევრი რამ შენდება.
---	--

- ე. წინადადებაში, სადაც გადმოცემულია განზოგადებული გარემოება, უმეტესად პოეზიაში, ანდაზებში.

Es ist nicht alles Gold, was glänzt.	რაც ბრწყინავს ყველაფერი ოქრო არ არის.
--------------------------------------	---------------------------------------

- ვ. გამოთქმაში es gibt (არის, მოიპოვება)

Gibt es bei euch Streit zwischen Eltern und Kindern? Es gibt Kathedralen, die mit Liebe früherer Generationen gebaut worden sind.	არის თქვენთან დავა მშობლებსა და შვილებს შორის? არსებობს ტაძრები, რომლებიც წინარე თაობების სიყვარულითაა ანაგები.
--	--

6.8.7 dies (ეს), das (ეს) და wer (ვინ, ვინც), welches (რომელი)

Dies sind meine Winterstiefel, und dies sind meine Bergschuhe. Ist das Ihre Mutter? Das war eure Idee! Wer das nicht weiß, ist dumm! Wer möchte ein Eis? Welches sind die drei höchsten Berge der Welt?	ეს ჩემი ზამთრის ჩექმაა. ეს კი - მთაში სასიარულო ფეხსაცმელი. ეს დედათქვენია? ეს თქვენი იდეა იყო! ვინც ეს არ იცის, სულელია! ვის უნდა წაყინი? რომელია მსოფლიოს სამი უმაღლესი მთა?
--	---

**6.8.8 ცალკე მდგომი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (რაოდენობის გამომხატველი)
(Allein stehende unbestimmte Zahlwörter)**

ეს ნაცვალსახელი წინადადებაში ასრულებს ქვემდებარის ან დამატების, იშვიათად, განსაზღვრების როლს და იბრუნვის როგორც განსაზღვრული არტიკლი.

ა. **jeder (e, s)** (თითოეული) არ აქვს მრავლობითი რიცხვი, მას ცვლის **alle** (ყველა)

Jeder meinte (alle meinten), dass alle Wege nach Rom führen. Der Vater sagte, jeder müsse (alle müssen) einen Stock mitbringen.	თითოეული თვლიდა (ყველანი თვლიდნენ), რომ ყველა გზა რომისკენ მიემართება. მამამ თქვა, თითოეულს თითო ჯოხი მოეტანა.
--	---

ბ. **einige** და **mancher (-e, -es; -e)** (ზოგიერთი)

Einige waren unzufrieden mit ihrer Wohnsituation. Manche bekommen keine Stelle, weil sie schon zu alt sind.	ზოგიერთი უკმაყოფილო იყო თავისი საცხოვრებელი პირობებით. ზოგიერთი ვერ იღებს (სამუშაო) ადგილს, რადგან მოხუცია.
--	--

გ. **viel (-es, -e)** (ბევრი) **wenig (-es, -e)** (ცოტა) (**wenigst** - უმცირესი) **mehrere** (რამდენიმე, ზოგიერთი)

Viele sind nach Frankfurt geflogen. Vieles bleibt unausgesprochen. Die wenigsten kennen sich damit aus. Bei mehreren fiel der Strom aus.	ბევრი ფრანკფურტის მიმართულებით გაფრინდა. ბევრი რამ გამოუთქმელი რჩება. ცოტანი ერკვევიან ამაში. რამდენიმესთან შუქი გამოირთო.
---	---

დ. **Sämtliche** (ყველა, სრული)-ს გააჩნია მხოლოდ მრავლობითი რიცხვი და იბრუნვის როგორც განსაზღვრული არტიკლი მრავლობით რიცხვში.

Ich habe Sowie sämtliche Werke geschenkt.	სოფიოს ვაჩუქე სრული ტომეული.
---	------------------------------

ბრუნება																
Singular			Plural	Singular				Plural								
mask.	fem.	neut.	m.f.n	ბრუნება Kasus	mask.	fem.	neut.	m.f.n								
dieser jener der ein solcher derselbe derjenige	diese jene die eine solche dieselbe diejenige	dieses jenes das ein solches dasselbe dasjenige	diese jene die solche dieselbe diejenige	Nom. Gen. Dat. Akk.	derselbe desselben demselben denselben	dieselbe derselben derselben dieselbe	dasselbe desselben demselben dasselbe	dieselben derselben denselben dieselben								
		selbst (selber), es არ იბრუნება		Nom. Gen. Dat. Akk.	dieser dieses diesem diesen	diese dieser dieser diese	dieses dieses diesem dieses	diese dieser diesen diese								
				Nom. Dat. Gen. Akk.	der dessen dem den	die drern der die	das dessen dem das	die derer ან deren denen die								
ნაცვალსახელთა წყვილები:				Singular				Plural								
			ბრუნება Kasus	mask.	fem.	neut.	m.f.n									
der und der der und jener dies und das dieser und jener			Nom. Dat. Gen. Akk.	ein solcher eines solchen einem solchen einen solchen	eine solche einer solchen einer solchen eine solche	ein solches eines solchen einem solchen ein solches	solche solcher solchen solche									
			Nom. Dat. Gen. Akk.	solcher solches solchem solchen	solche solcher solcher solche	solches solches solchem solches	solche solcher solchen solche									
			Nom. Dat. Gen. Akk.	solch ein solch eines solch einem solch einen	solch eine solch einer solch einer solch eine	solch ein solch eines solch einem solch ein	—									
<p>დ. უკუქცევითი ნაცვალსახელი sich დგას უკუქცევით ზმნებთან (sich anziehen)</p> <table border="0"> <tr> <td>Singular</td> <td>Plural</td> </tr> <tr> <td>13. mich, mir</td> <td>uns</td> </tr> <tr> <td>23. dich, dir</td> <td>euch</td> </tr> <tr> <td>33. sich</td> <td>sich</td> </tr> </table>									Singular	Plural	13. mich, mir	uns	23. dich, dir	euch	33. sich	sich
Singular	Plural															
13. mich, mir	uns															
23. dich, dir	euch															
33. sich	sich															

ე. კითხვითი ნაცვალსახელი Interrogativpronomen

სქემა III

კითხვითი ნაცვალსახელი	ბრუნება Kasus	ბრუნება Deklination				
			mask.	fem.	neut.	m.f.n
wer? was?						
welcher, welche, welches (welche)	Nom.	wer? was?	welcher	welche	welches	welche
	Gen.	wessen?	welches	welcher	welches	welcher
was für ein, was für eine, was für ein; (was für)?	Dat.	wem?	welchem	welcher	welchem	welchen
	Akk.	wen? was?	welchen	welche	welches	welche

ვ. განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაცვალსახელი Indefinitpronomen

განუსაზღვრელი: jeder, jede, jedes; mancher, manche, manches; einige, jemand, etwas, einer, alle, viele mehrere, wenige, sämtliche.	
უარყოფითი: keiner, niemand, nichts.	
პირნაკლი ნაცვალსახელი: es არ იცვლება (Es regnet, Es geht mir gut, Es gibt...)	განუსაზღვრელი ნაცვალსახელი: man მასთან ზმნა დგას მხ. რ. III პირში და ქართულ ენაზე ითარგმნება მრ. რ. III პირში (man lobt-აქებენ)

ზ. მიმართებითი ნაცვალსახელი Relativpronomen

welcher, welche welches (welche) wer, was der, die, das (die) wie, wo	ბრუნება Kasus	Singular			Plural
		mask.	fem.	neut.	m.f.n
	Nom.	der	die	das	die
	Dat.	dessen	deren	dessen	deren
	Gen.	dem	der	dem	denen
	Akk.	den	die	das	die
	Nom.	welcher	welche	welches	welche
	Dat.	dessen	deren	dessen	deren
	Gen.	welchem	welcher	welchem	welchen
	Akk.	welchen	welche	welches	welche

რიცხვითი სახელი

Das Numerale / Das Zahlwort

7.1 რიცხვითი სახელის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Zahlwörter)

7.1.1 კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (Klassifizierung dem Bau nach)

აგებულების მიხედვით (dem Bau nach) არსებობს:

- ა. მარტივი რიცხვითი სახელები (einfache Zahlwörter) eins (1), zwei (2) ... zwölf (12)-ის ჩათვლით, აგრეთვე hundred (100) და tausend (1000).
- ბ. ნაწარმოები რიცხვითი სახელები (abgeleitete Zahlwörter)
 - ათეულები სუფიქსით-zig: zwanzig (20)-დან neunzig (90)-ის ჩათვლით. გამონაკლისია dreißig (30).
 - რიგობითი-te სუფიქსით: zweite (მეორე) - დან neunzehnte (მეცხრამეტე)-ს ჩათვლით; ხოლო zwanzigste (მეოცე) - დან st-ს დართვით. გამონაკლისია erste (პირველი), dritte (მესამე), achte (მერვე) და ა. შ
 - წილობითი -tel სუფიქსით: drittel (მესამედი)-დან neunzehntel (მეცხრამეტედი)-ს ჩათვლით, ხოლო ზევით დაირთავს-stel - zwanzigstel (მეოცედი). ein viertel (1/4), გამონაკლისია einhalb (1/2).
 - მრავლობითი - სუფიქსებით: -mal, -fach, -erlei, -fältig: dreimal (სამჯერ), zweifach (ორგზისი), vielerlei (მრავალნაირი), vielfältig (მრავალმხრივი)

7.1.2 კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით (Klassifizierung dem Inhalt nach)

რიცხვითი სახელი შინაარსის მიხედვით (dem Inhalt nach) შეიძლება ასე დაიყოს:

- ა. განსაზღვრული რიცხვითი სახელები (Bestimmte Zahlwörter):
 - რაოდენობითი (Kardinalzahlen) – eins (ერთი), drei (სამი), (wie viel, wie viele? (რამდენი?))
 - რიგობითი (Ordinalzahlen) – erste (პირველი), neunte (მეცხრე), (der, die, das wievielte? (მერამდენე?))
 - წილობითი (Bruchzahlen) ($\frac{1}{2}$, 0, 5) (ein halb, null Komma fünf) (wie viel? (რამდენი?))
- სხვა განსაზღვრული რიცხვითი სახელები (andere bestimmte Zahlwörter) - გამრავლებადი (Vervielfältigungszahlwörter): dreifach (სამმაგი), vielfach ან mehrfach, vielfältig (მრავალმხრივი); (wievielfältig? (რამდენმხრივი); განმეორებითი (Wiederholungszahlwörter): dreimal (სამჯერ), (wievielmal? (რამდენჯერ?) ან wie oft? (რასიხშირით?))
სახეობრივი (Gattungszahlwörter): dreierlei (სამგვარი), (wievielerlei? (რამდენგვარი?))
რიგობითი (Einteilungszahlwörter): erstens (ერთი მხრივ/პირველ რიგში)
- ბ. განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები (Unbestimmte Zahlwörter)
 - მიახლოებითი (Annäherung): fast (თითქმის)

- არაზუსტი რაოდენობა (*ungenau Menge*): einige (რამდენიმე)
 - სრული რაოდენობა (*ganze Menge*): jeder (ყოველი)
- გ. რთული რიცხვითი სახელები (*zusammengesetzte Zahlwörter*) ორი ან რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი- dreizehn (13)-დან, neunzehn (19)-ის ჩათვლით შედგება ერთეულისა და zehn (10)-გან. ასეულები- dreihundert (300), ათასეულები fünftausend (5000).
- 21-დან ზევით ერთეულსა და ათეულს აკავშირებს und: achtundachtzig, იწერება ერთად.

7.2 განსაზღვრული რიცხვითი სახელები (Bestimmte Zahlwörter)

7.2.1 რაოდენობითი რიცხვითი სახელი (Kardinalzahlen/ Grundzahlen)

რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:

0 null	50 fünfzig
1 eins	60 sechzig
2 zwei	70 siebzig
3 drei	80 achtzig
4 vier	90 neunzig
5 fünf	99 neunundneunzig
6 sechs	100 hundert (auch: einhundert)
7 sieben	101 (ein)hundert(und)eins
8 acht	110 (ein)hundert(und)zehn
9 neun	120 (ein)hundert(und)zwanzig
10 zehn	124 (ein)hundertvierundzwanzig
11 elf	200 zweihundert
12 zwölf	600 sechshundert
13 dreizehn	1 000 (ein)tausend
14 vierzehn	1 007 (ein)tausend(und)sieben
15 fünfzehn	1063 (ein)tausenddreiundsechzig
16 sechzehn	1100 (ein)tausendeinhundert (auch: elfhundert)
17 siebzehn	1254 (ein)tausendzweihundertvierundfünfzig
18 achtzehn	2 000 zweitausend
19 neunzehn	6038 sechstausendachtunddreißig
20 zwanzig	10 000 zehntausend
21 einundzwanzig	83 207 dreiundachtzigtausendzweihundertsieben
22 zweiundzwanzig	100 000 (ein)hunderttausend
30 dreißig	1 000 000 eine Million
40 vierzig	2 000 000 zwei Millionen

7.2.1.1 რიცხვები 1 → 1000 (Zahlen 1 → 1000)

- ა. რაოდენობითი რიცხვითი სახელი არ იბრუნვის, გამონაკლისია eins. იგი ძირითადად დამოუკიდებლად გამოიყენება. თუ იგი არსებითი სახელის წინ დგას, იცვლება განუსაზღვრელი არტიკლის მსგავსად ანუ იბრუნვის სამივე სქესის ოთხივე ბრუნვაში.

Treffen wir uns um eins im Hotell!	პირველზე შევხვდეთ სასტუმროში.
Er hat nur einen Roman geschrieben.	მან მხოლოდ ერთი რომანი დაწერა.
Seine Poeme hat er nur einer Frau gewidmet.	თავისი პოემები მან მხოლოდ ერთ ქალს მიუძღვნა.
Ich kann nicht alle Bücher kaufen, ich kaufe nur eines (eins).	მე არ შემიძლია ყველა წიგნის ყიდვა, შევიძენ მხოლოდ ერთს.

- შენიშვნა: რიცხვითი სახელი ein (მამრ.), eine (მდედრ.), ein (საშ.) (ერთი) ზეპირმეტყველებაში განუსაზღვრელი არტიკლისაგან განსხვავდება ლოგიკური მახვილით.

- ბ. რიცხვით სახელებს zwei (2) და drei (3) Genitiv-ში აქვს დაბოლოება er, Dativ-ში-en იმ შემთხვევაში, თუ ის წინადადებაში დამოუკიდებელი წევრის როლს ასრულებს ან დგას არსებით სახელთან წილდებულისა და ნაცვალსახელის გარეშე.

Heute findet die Prüfung nur dreier (Gen.) Studenten statt.	დღეს მხოლოდ სამი სტუდენტის გამოცდა შედგება.
Von diesen dreien (Dat.) kam nur einer.	ამ სამიდან მხოლოდ ერთი მოვიდა.

- გ. რაოდენობითი რიცხვითი სახელის წინ არ დგას არტიკლი: zwei Bücher (ორი წიგნი), zehn Ikonen (ათი ხატი). რიცხვითი სახელი განსაზღვრული არტიკლით (გამონაკლისის სახით) ითარგმნება შემდეგნაირად:

Bald erschienen die acht Damen.	მალე ის რვა ქალბატონი გამოჩნდა.
Dank des Projekts werden zehn Studenten im Ausland studieren.	ამ პროექტის წყალობით ათი სტუდენტი საზღვარგარეთ ისწავლის.

- დ. ნაცვლად სიტყვისა „ორი“ (zwei), ხშირად იყენებენ სიტყვას „beide“ მრავლობითი რიცხვის, ხოლო „beides“ მხოლობითი რიცხვის გამოსახატავად. თუ სიტყვა „წყვილს“ აღნიშნავს, გამოიყენება რიცხვითი სახელი das Paar ან ein Paar. (doppel = „zwo“ (ტელ.) = zwei)

Beide Bücher sind interessant.	ორივე წიგნი საინტერესოა.
Es gefällt mir beides.	მე ორივე მომწონს.
Ich kaufe ein Paar Schuhe.	მე ვყიდულობ ერთ წყვილ ფეხსაცმელს.
Er nimmt Strümpfe, das Paar für 3 Euro.	მან აიღო წინდები, წყვილი 3 ევროდ.

- ე. რიცხვით სახელს წინდებულობით „zu“ აქვს -en ან -t დაბოლოება.

Sie kamen zu fünf.	ისინი ხუთ-ხუთნი მოვიდნენ.
Sie kamen zu fünft.	ისინი ხუთ-ხუთნი მოვიდნენ.

- ვ. გაარსებითებული რიცხვითი სახელები გვხვდება ასეთ წინადადებებში:

Er fährt mit der Drei.	ის დადის სამიანიტ (მაგ. ავტობუსი)
Er bekommt eine Fünf.	ის იღებს ხუთიანს (გერმ. ცუდი ნიშანი)

შენიშვნა: hundert (100), tausend (1000), შეიძლება იქცეს არსებით სახელად და იბრუნოს:

Das Hundert - ასეული das Tausend - ათასეული, viele Hunderte- მრავალი ასეული.

Auch heute haben Hunderte (ან hunderte)

von Menschen keinen "Brot-Beruf".

დღესაც ათასეულობით ადამიანს არ აქვს პროფესია საარსებო პურის მოსაპოვებლად.

7.2.1.2 რიცხვები ათასზევით (Zahlwörter über 1 000)

- ა. Die Millione, die Milliarde, die Billione რიცხვითი სახელებიცაა და მდებარეობითი სქესის არსებითი სახელებიც. აწარმოებენ მრავლობით რიცხვს. (zwei Millionen). რაოდენობითი რიცხვითი სახელი იწერება ერთი სიტყვით: **hundertzweitausend** (102000), მაგრამ მილიონი და მილიარდი იწერება ცალ-ცალკე: **drei Millionen hundertzehntausend** (3 110 000).
- ბ. რაოდენობითი რიცხვითი სახელის შესასწავლად სასარგებლოა წლების დასახელებაზე ვარჯიში. წლებს კითხულობენ ასეულობით- „ათოთხმეტი ასი“ ...
1435 vierzehnhundertfünfunddreißig.
Er wurde im Jahre 1966 (neunzehnhundertsechundsechzig) geboren. იგი დაიბადა 1966 წელს.
1984 (neunzehnhundertvierundachzig) 1984 წელს იგი კონსერვატორიაში ჩაირიცხა.
war sie an dem Konservatorium eingeschrieben.
მაგრამ: 2000-დან ვკითხულობთ ათასეულობით.
Er reiste 2008 (zweitausendacht) in die Schweiz. 2008 წელს იგი გაემგზავრა შვეიცარიაში.
ასევე: Im Jahre 1 011 (eintausendelf)... ათასთერთმეტ წელს...

7.2.2 რიგობითი რიცხვითი სახელი (Ordinalzahlen/Ordnungszahlen)

- ა. რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის როგორც ზედსართავი სახელი 1-დან 19-ის ჩათვლით დაირთავს დაბოლოებას -te (იხ. 5.2).

der zweite Meister des zweiten Meisters dem zweiten Meister den zweiten Meister	die fünfte Frau der fünften Frau der fünften Frau die fünfte Frau	das siebente Kreuz ან (siebte) des siebenten Kreuzes dem siebenten Kreuz das siebente Kreuz (მრ. რიცხვი არ აქვს)
(მეორე ოსტატი)	(მეხუთე ქალი)	(მეშვიდე ჯვარი)

გამონაკლისებია: der erste, der dritte, der achte, der letzte.

- Er wohnt in dem zweiten Haus links. ის ცხოვრობს მეორე სახლში მარცხნივ.
Ich nehme die erste Schachtel Pralinen. მე ავიღებ პირველ კოლოფს (შოკოლადით).
An erster Stelle steht für mich die Liebe. ჩემთვის პირველ ადგილზე დგას სიყვარული.
- 20-დან ზევით დაირთავს დაბოლოებას -ste
Das einundzwanzigste Jahrhundert hat schon begonnen. ოცდამეერთე საუკუნე უკვე დაიწყო.
- ბ. დღეების, თვეების, ოფიციალური მოვლენების წერთი ნუმერაცია ხდება ციფრებით, რომელთანაც დასმულია t ან st-დაბოლოებების შემცველი წერტილი.
Der 1. Januar- იკითხება: der erste Januar („პირველი იანვარი“)
Am 26. März- იკითხება: am sechszwanzigsten März („ოცდაექვს მარტს“)
Im 4. Jahrhundert- იკითხება: im vierten Jahrhundert („მეოთხე საუკუნეში“)
Die 11. Konferenz- იკითხება: die elfte Konferenz („მეთერთმეტე კონფერენცია“)
- გ. წერილები თარიღდება შემდეგნაირად: ადგილი, დღე, თვე, წელიწადი.
München, den 08. 05. 2008 ან
München, den 08. V. 2008 ან München, den 08. Mai 2008

დ. მეფეების სახელები იწერება რომაული ციფრებით და წერტილით.

Was weißt du über Karl V.?

რა იცი კარლოს მეხუთის შესახებ?

(იკითხება: Karl den fünften)

Wer war Heinrich 4. Frau?

ვინ იყო ჰაინრიხ მეოთხის ცოლი?

(იკითხება: Heinrich des vierten)

7.2.3 წილობითი რიცხვითი სახელი (Bruchzahlen)

ა. წილობითი რიცხვითი სახელი ზომა-წონის გამოხატველი არსებითი სახელის წინ არ იბრუნვის. წილობითი რიცხვითი სახელის მრიცხველი და მნიშვნელი იწერება ერთად:

einhalb – ½ ან არსებითი სახელი- die Hälfte- ნახევარი.

eineinhalb ან anderthalb - 1 ½

zweieinhalb - 2 ½

dreieinhalb – 3 ½

Ich habe anderthalb Tage Urlaub.

მე მაქვს დღენახევარი დასვენება.

Der Junge ist viereinhalb.

ბიჭი ოთხნახევრისაა.

ბ. წილობითი რიცხვითი სახელი 1-დან 19-მდე დაირთავს სუფიქსს-tel, 20-დან ზევით-stel-ს.

siebenachtel - 7/8

eindreiviertel Liter – 1 ¾

sechsdreifünftel Meter 6 ⅝m

fünftausendstel 5/1000 Sek.

zwölf Zweitausendstel (Mus.) -12 ოცდამეთორმეტედი (მუს.)

გ. თუ საუბარია არა ზომისა და წონის, არამედ საგნის რაოდენობის ნაწილზე, მაშინ მნიშვნელი იქცევა საშუალო სქესის არსებით სახელად და იბრუნვის. ხოლო საგნის აღმნიშვნელი არსებითი სახელი დგება Genitiv-ში.

Nom. ein Viertel der Stunde -საათის მეოთხედი...

Gen. eines Viertels der Stunde

Dat. einem Viertel der Stunde

Akk. ein Viertel der Stunde

მაგრამ: drei Viertel des Jahres -(წლის სამი მეოთხედი) არ იბრუნვის.

დ. ათწილადები (Dezimalbrüche) გამოიხატება რაოდენობითი რიცხვითი სახელებით. მთელის დასახელების შემდეგ ითქმის სიტყვა "Komma" (მძიმე), შემდეგ ვასახელებთ მეთათეს, მეთათეს და ა.შ. ვკითხულობთ თითოეულ ციფრს ცალ-ცალკე.

7, 9- sieben Komma neun

0, 16- null Komma eins sechs

20, 033 - zwanzig Komma null drei drei.

7.2.4 სხვა განსაზღვრული რიცხვითი სახელები (Andere bestimmte Zahlwörter)

ასეთი რიცხვითი სახელები იწარმოება სუფიქსებით (mit Nachsilben): **fach-fältig, mal(s), erlei, ns.**

- **Vervielfältigungszahlwörter:**- **fach-** dreifach- სამმაგი zweifach ან **doppelt-** ორმაგი ან **fältig-** vielfältig- მრავალმხრივი (მრავალკეცი)
- **Wiederholungszahlwörter:** - **mal** ან - **mals** – siebenmal- შვიდჯერ
- **Gattungszahlwörter:** - **erlei** - viererlei- ოთხგვარი
- **Einteilungszahlwörter:** - **ns-** erstens, zweitens (ერთი მხრივ, მეორე მხრივ)

ა. რიცხვითი სახელი სუფიქსით-**fach** გამოიყენება:

- სრული ფორმით არსებითი სახელის წინ;
- მოკლე ფორმით არსებითი სახელის გარეშე.

Ich möchte **eine dreifache** Kopie, bitte!

სამმაგი ასლი, თუ შეიძლება!

Die Kopie, bitte, **dreifach!**

სამმაგი ასლი, თუ შეიძლება!

რიცხვითი სახელი სუფიქსით-**fältig-** ერთგვაროვანი არსებითი სახელების გადმოსაცემად:

Er hat **vielfältige** Talente.

მას აქვს მრავალმხრივი ტალანტი.

ბ. რიცხვითი სახელი-**mal** სუფიქსით გამოიყენება მოკლე ფორმით ერთგვაროვან მოქმედებათა გადმოსაცემად:

Lies **dreimal!**

წაიკითხე სამჯერ!

გ. რიცხვითი სახელი სუფიქსებით -**erlei** გვხვდება მოკლე ფორმით, დგას არსებითი სახელის წინ სხვადასხვა სახეობის საგანთა მნიშვნელობის გადმოსაცემად.

Die Kleidung wird aus **fünferlei** Stoff genäht.

ტანსაცმელი შეიკერა ხუთგვარი ქსოვილისგან.

(-erlei მიღებულია ძველი Genitiv-ის ფორმა er+სუფიქსით-**lei**)

დ. რიცხვითი სახელი სუფიქსით-**ns**

Erstens, drittens, viertens (ჯერ ერთი, მესამეც, მეოთხეც)

Erstens bin ich müde, zweitens habe

ჯერ ერთი, დაღლილი ვარ, მეორეც,

ich keine Lust, wandern zu gehen.

ხალისი არ მაქვს სასეირნოდ წასასვლელად.

• იწერება: 1. იკითხება: erstens 7. siebtens

7.3 განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები (Unbestimmte Zahlwörter)

ა. მიახლოებითი (**Annäherung**): როდესაც საგნის რაოდენობა ან მოქმედების დრო ცნობილი არ არის, გამოიყენება ასეთი რიცხვითი სახელები:

fast-თითქმის

beinahe-ლამის

etwa-დაახლოებით

kaum-ძლივს

ungefähr-დაახლოებით

relativ-შეფარდებით, შედარებით და ა.შ.

Wir kommen **ungefähr** um drei.
Er hat **relativ wenig** getrunken.

ჩვენ მოვალთ დაახლოებით სამზე.
მან შედარებით ცოტა დალია.

- ბ. არაზუსტი რაოდენობის (**ungenau** Menge) გამოსახატავად გამოიყენება შემდეგი რიცხვითი სახელები:

manche-ზოგიერთი
mehrere-მრავალი
etliche-გარკვეული
viel(e)-ბევრი

einige-რამდენიმე
wenig(e)-ცოტა
ein paar-რამდენიმე, ორიოდე
ein bisschen-ცოტა

არ იბრუნვის: etwas-რაღაც
genug-საკმაო
mehr-მეტი

Ich brauche noch **ein paar** Zwiebeln.
Sie haben **genug** geschlafen.
Es gab **etliche** Komplikationen.
Hast du jetzt **ein bisschen** Zeit?

მე კიდევ რამდენიმე ხახვი მჭირდება.
მათ საკმარისი იძინეს.
იყო გარკვეული გართულებები.
გაქვს ახლა ცოტა დრო?

- გ. სრული რაოდენობა (**ganze** Menge): ამას მიეკუთვნება რიცხვითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ დასაზღვრულ რაოდენობას:

gesamt-მთელი
sämtlich-ყველა
ganz-სრული
all(e)- ყველა

jeder-ყოველი (ყველა)
jiglich(e)-ნებისმიერი (ყველა)
keiner-არც ერთი
einzig-ერთადერთი

არ იბრუნვის: nichts - არაფერი.

Jeder möchte die gleichen Rechte haben.

(ყოველ ადამიანს) ადამიანებს სურთ ჰქონდეთ თანაბარი უფლებები.

Die Zeitungen von heute sind **sämtlich** ausgekauft.

ყველა დღევანდელი გაზეთი გაიყიდა.

All' mein Sehnen, all' mein Hoffen...

ყველა ჩემი სწრაფვა, ყველა ჩემი იმედი...

Er ist **einzig** in seiner Art.

ის ერთადერთია თავის სახეობაში.

Habt ihr noch **nichts** gekauft?

ჯერ არაფერი გიყიდიათ?

7.4 რიცხვითი სახელი (Numerale)

სქემა

განსაზღვრული რიცხვითი სახელები (Bestimmte Zahlwörter)			
რაოდენობითი Kardinalzahlen	რიგობითი Ordinalzahlen	წილობითი Bruchzahlen	დანარჩენი რიც. სახ. andere Zahlwörter
<p>არ იბრუნვის გარდა eins-ისა, ხოლო zwei, drei-ს Gen.-ში აქვს er, dreier (სამი) Dat-ში -en ან zu-en, t-zu fünfen, zu dritt (ხუთ-ხუთნი), (სამ-სამნი) მდ. სქ. სახელებია: die Million, die Milliarde, die Billion- აწარმოებს მრ. რიცხვს.</p>	<p>იბრუნვის როგორც სუსტი ბრუნების ზედსართავი სახელი: der zweite Meister des zweiten Meisters dem zweiten Meister den zweiten Meister (მეორე ოსტატი) აწარმოებს სუფიქსი te ან ste</p>	<p>ზომა-წონის აღმნიშვნელ არსებით სახელთან არ იბრუნვის, აწარმოებს სუფიქსი (s)tel. დანარჩენი არსებითი სახელების წინ იბრუნვის შემდეგნაირად: (drei Viertel des Jahres) ein Viertel der Stunde eines Viertel der Stunde einem Viertel der Stunde ein Viertel der Stunde (საათის მეოთხედი)</p>	<p>იწარმოება სუფიქსებით: mal, erlei, fach, fältig, ns, (vielfältige Talente - მრავალმხრივი ტალანტი) drittens (მესამეც)</p>
განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები (unbestimmte Zahlwörter)			
Annäherung	ungenau Menge	ganze Menge	
<p>fast (თითქმის) beinahe (ლამის)</p>	<p>mehrere (რამდენიმე) ein bisschen (ცოტა)</p>	<p>gesamt (მთელი) jeder (ყოველი)</p>	

წინდებული

Die Präposition/Das Verhältniswort

ყველა წინდებული უცვლელია. ის გამოხატავს დამოკიდებულებას პიროვნების ან საგნის მოვლენებთან, გარემოებასთან. წინდებული დამხმარე სიტყვაა და ემსახურება წინადადების სხვადასხვა წევრის ურთიერთდამოკიდებულებას:

- შემასმენლისა დამატებასთან.
- შემასმენლისა გარემოებასთან.
- წინდებული აკავშირებს ორ არსებით სახელს.
- მართავს ზმნას, არსებით და ზედსართავ სახელს.

ზოგჯერ ერთი წინდებული გამოხატავს სხვადასხვა დამოკიდებულებას. წინდებული ყოველთვის დგას მასთან დაკავშირებული სიტყვის წინ. ზოგიერთი წინდებული ასეთი სიტყვის შემდეგ ქმნის რკალს (წინდებული+სიტყვა+წინდებული=მაგ. von Kindheit an-ბავშვობიდან).

8.1 წინდებულის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Präpositionen.)

8.1.1 აგებულების მიხედვით (...dem Bau nach)

აგებულების მიხედვით (dem Bau nach) წინდებული არსებობს:

- მარტივი (einfach/ursprünglich) in, mit, nach (ში, ით, შემდეგ) für, an, über (თვის, თან, თავზე) და ა.შ.
- ნაწარმოები (abgeleitet) mittels (საშუალებით), ungeachtet (მიუხედავად) და ა.შ.
- ორმაგი/რკალური (umrahmend) von...an (დან) um... willen (თვის) და ა.შ.

8.1.2 შინაარსის მიხედვით (...dem Inhalt nach)

წინდებულს გერმანულ ენაში სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია. იგი შეიძლება იყოს:

- ადგილის (lokal/räumlich) - wo? (სად?), woher? (საიდან?), wohin? (საით?)
zu, bei, von (კენ, თან; თან, დან), nach, aus, bis, vor (კენ, დან, მდე, წინ), um, durch, neben (ირვლოვ. გავლით, გვერდით), unweit, zwischen, über (ახლოს, შორის, თავზე) და ა.შ.
Mein Lieblingsplatz ist vor dem Kamin. ჩემი საყვარელი ადგილია ბუხრის წინ.
- დროის (temporal/zeitlich) - wann? (როდის?) seit wann? (როდიდან?) bis wann? (როდემდე?) wie lange? (რამდენ ხანს?) wie oft? (რა სიხშირით?)
um, vor, nach (ზე, წინ, შემდეგ) seit, während, bis (ამ დროიდან, განმავლობაში, მდე) და ა.შ.
Wir stehen um 7 Uhr auf. ჩვენ ვდგებით 7 საათზე.
- ვითარების (modal/Art und Weise) - wie? (როგორ?)
mit, zu, unter (ით, ძალიან, ნაკლებ...) და ა.შ.
Sie sprach mit Aufregung. იგი აღელვებით ლაპარაკობდა.

დ. მიზეზის, მიზნის, შუალობითი (kausal/Grund, Zweck, Mittel) - warum? (რატომ?) weshalb? (რატომ?) wozu? (რისთვის?) wodurch? (რის მეშვეობით?) womit? (რით?)

aus, mit, für, durch (გამო, ით, თვის, საშუალებით) wegen, zufolge, ohne (გამო, შედეგად, გარეშე) außer, ungeachtet, trotz (გარდა, მიუხედავად, მიუხედავად) um...willen (გულისთვის) და ა.შ.

Ludwig kam nur aus Neugier zu uns. ლუდვიგი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო მოვიდა ჩვენთან.

Ungeachtet aller Schwierigkeiten kam er an. მიუხედავად ყველა სიძნელისა, იგი ჩამოვიდა.

8.2 წინდებულისა და არტიკლის შერწყმა (Verschmelzung von Präposition und Artikel)

წინდებული და განუსაზღვრელი არტიკლი დგას ყოველთვის ცალ-ცალკე. (an einem..., in einem...).

წინდებული და განსაზღვრული არტიკლი ზოგჯერ შეერწყმიან ერთმანეთს.

Dativ		Akkusativ	
an+dem=am	von+dem=vom	in+das=ins	für+das=fürs
zu+dem=zum	zu+der=zur	an+das=ans	um+das=ums
bei+dem=beim	in+dem=im	auf+das=aufs	durch+das=durchs

Am Abend will Kevin mit seiner Verlobten telefonieren.

კევინს უნდა საღამოს თავის საცოლეს დაურეკოს.

Max geht zum Arzt.

მაქსი ექიმთან მიდის.

Du musst auch mal wieder zur Kur fahren.

შენ ისევ უნდა გაემგზავრო სამკურნალოდ.

Gestern war ich beim Italiener und habe eine Pizza probiert.

გუშინ ვიყავი იტალიელთან და პიზა გავსინჯე.

Frau Müller kommt vom Friseur zurück.

ქალბატონი მიულერი ბრუნდება პარიკმახერისგან.

Wir haben kein Bier im Kühlschrank.

ჩვენ მაცივარში ლუდი არ გვაქვს.

Gehen wir ins Kino!

წავიდეთ კინოში!

Das Boot gleitet ans Ufer.

ნავი მიცურავს ნაპირისკენ.

Die Vögel setzen sich aufs Dach.

ჩიტები სახურავზე სხდებიან.

- ასევე: überm Sternenzelt - ვარსკვლავიან თაღზემით
übers Jahr - წელიწადის განმავლობაში
hinterm Haus - სახლის უკან (•)
hinters Haus - სახლის უკან (→)

და ა.შ.

8.3 წინდებული და ბრუნვა (Präposition und Kasus)

ყოველი წინდებული მიუთითებს მასთან დაკავშირებული სიტყვის ბრუნვაზე. ყოველ ბრუნვას, გარდა Nominativ-ისა, გააჩნია თავისი წინდებული:

8.3.1 Genetiv-ის წინდებული (Präpositionen mit dem Genetiv)

unweit - მახლობლად	laut-თანახმად
während - განმავლობაში	anlässlich-გამო

mittels-საშუალებით
 statt-ნაცვლად
 anstatt-ნაცვლად
 ungeachtet-მიუხედავად
 diesseits-აქეთა მხარეს
 jenseits-იქითა მხარეს
 vermöge-(ის) ძალით, მეშვეობით
 um...willen-(ის) გულისთვის/თვის

unterhalb-ქვეშ, ქვემოთ
 halb(er)-თვის, გამო
 oberhalb-ზემოთ
 innerhalb-შიგნით, შუაგულში
 ausserhalb-გარეთ
 kraft-(ის) ძალით, მეშვეობით
 infolge-შედეგად
 zeit-განმავლობაში

და.ა.შ.

Sie befanden sich **unweit** des Doms.
 Er liebte die Kunst **zeit** seines Lebens.
Während des Gebets darf nicht geflüstert werden.
Mittels längerer Meditation kann die Wahrheit erfasst werden.
 Wer kommt **statt(anstatt)** deiner?
 Es geschah **ungeachtet** unserer Warnung.
Anlässlich unserer Verlobung geben wir ein Fest.

Diesseits und **jenseits** des Flusses war die Landschaft öde.
 Dringender Angelegenheiten **halber** kam sie nicht.
Oberhalb (innerhalb, ausserhalb) der zerfallenen Mauern herrschte Stille.
Um Gottes willen, steigen Sie nicht auf den Glockenturm!
Um der Kinder willen bleibe ich zu Hause.

ისინი იმყოფებოდნენ ეკლესიის მახლობლად.
 მას სიცოცხლის მანძილზე უყვარდა ხელოვნება.
 ლოცვის განმავლობაში არ შეიძლება ჩურჩული.
 ხანგრძლივი მედიტაციის (ქვრეტა) მეშვეობით შეიძლება ჭეშმარიტების წვდომა.
 ვინ მოვა შენს ნაცვლად?
 ეს მოხდა ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად.
 ჩვენი ნიშნობის გამო (აღსანიშნავად) გაემართავთ ზეიმს.
 მდინარის ორივე მხარეს (აქეთ, და იქით) ბუნება უკაცრიელი იყო.
 სასწრაფო საქმეების გამო ვერ მოვიდა.
 დანგრეულ კედლებს ზემოთ (შიგნით, გარეთ) სუფევდა სიჩუმე.
 ღვთის გულისთვის, არ ახვიდეთ სამრეკლოზე! ბავშვების გამო ვრჩები შინ (მაგ. მოსავლელად...)

8.3.2 Dativ-ის წინდებული (Präpositionen mit dem Dativ)

mit - ით, თან, ერთად, -ის
 nach - შემდეგ, მიხედვით, ში
 bei - თან, ზე, დროს
 von - დან, -ის
 zu - კენ, თვის, ით
 seit - ამ დროიდან
 ab-დან

außer - გარდა, გარეშე
 entgegen - საპირისპირო მიმართულებით
 gegenüber - მოპირდაპირედ
 gemäß - თანახმად
 dank - წყალობით
 aus - დან, გან, გამო

და ა.შ.

Er fährt **mit** der Eisenbahn.
 Er trat **mit** der ganzen Truppe auf die Bühne.
Mit 20 Jahren verlässt sie das Vaterland.
Nach den Vorlesungen treffen wir uns in der Aula.

 Sie malt **nach** der Natur.
 Alle Studenten fuhren **nach** Deutschland.
 Haydn diente **bei** einem reichen Fürsten.

ის მიემგზავრება რკინიგზით.
 ის მთელ დასთან ერთად გამოვიდა სცენაზე.
 20 წლისა იგი ტოვებს სამშობლოს.
 ლექციების შემდეგ ვხვდებით სააქტო დარბაზში.
 იგი ხატავს ნატურით.
 ყველა სტუდენტი გაემგზავრა გერმანიაში.
 ჰაიდნი მუშაობდა ერთ მდიდარ თავადთან.

Er ist bei seiner Grossmutter.
 Sie sollten bei Tag und Nacht spielen.
 Alle ziehen von Osten nach Westen.

Er hatte eine ganze Generation von Musikern erzogen.
 Wir brachten die Bilder zur Ausstellung.
 Die Zuhörer gehen zu dem Dirigenten.
 Der Priester eilte zur Rettung des Mannes.
 Komm zu mir!

Seit dem ersten Jahrhundert beten wir so.
 Die Touristen kommen aus ganz Europa.
 Aus Gold prägt man sowohl Geldstücke als auch
 Kreuze.

Meine Freunde kamen aus Zuneigung zu dir.
 Außer dir waren alle da.
 Es ist er, außer allem Zweifel.

Entgegen meiner Vermutung war der
 Zug pünktlich.
 Gegenüber dem Meseum befindet sich das Rathaus.

Nehmen Sie die Medikamenten gemäß der
 Vorschrift des Arztes!
 Dank deiner Bemühung ist sie wieder unter uns.

ის თავის ბებიასთანაა.
 მათ უნდა დღე და ღამე დაეკრათ.
 ყველანი მიემართებიან აღმოსავლეთიდან
 დასავლეთისკენ.
 მან მუსიკოსთა მთელი თაობა აღზარდა.
 ჩვენ წავიღეთ სურათები გამოსაფენად.
 მსმენელები გაემართნენ დირიჟორისკენ.
 მოძღვარი მიიჩქაროდა კაცის გადასარჩენად.
 მოდი ჩემთან!
 პირველი საუკუნიდან ჩვენ ასე ვლოცულობთ.
 მთელი ევროპიდან მოდიან ტურისტები.
 ოქროსგან ამზადებენ ფულსაც (მონეტებს) და
 ჯვრებსაც.
 ჩემი მეგობრები მოვიდნენ შენდამი სიმპატიის გამო.
 შენს გარდა ყველა აქ იყო.
 ეს არის ის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე.
 საპირისპიროდ ჩემი ვარაუდისა, მატარებელი
 დროზე მოვიდა.
 მუზეუმის პირდაპირ მდებარეობს ქალაქის
 მერიის შენობა.
 მედიკამენტები მიიღეთ თანახმად ექიმის
 დანიშნულებისა!
 შენი ზრუნვის წყალობით იგი კვლავ ჩვენს შორისაა.

შენიშვნა: შედარებით იშვიათად ვხვდებით ენაში Dativ-ის წინდებულებს: nächst-შემდეგ, nebst-გვერდით(თან), zuwider, zuliebe-რალაცის(ვილაცის) გულისთვის.

8.3.3 ხან Genitiv-ის ხან Dativ-ის წინდებულები (Präpositionen mit dem Genitiv oder Dativ)

წინდებულები laut (თანახმად), wegen (გამო), trotz (მიუხედავად), zufolge (შედეგად), zugunsten (ხელსაყრელი), längs (გასწვრივ) და ა.შ. მოითხოვენ ხან Genetiv ხან Dativ ბრუნვას. (Wechselpräposition).

laut	{	Gen: laut seines Befehls-მისი ბრძანების თანახმად
	{	Dat: laut seinem Befehl--მისი ბრძანების თანახმად
wegen	{	Gen: wegen des Windes-ქარის გამო
	{	Dat: wegen dem Wind--ქარის გამო
trotz	{	Gen: trotz des Nebels-მიუხედავად ნისლისა
	{	Dat: trotz dem Nebel-მიუხედავად ნისლისა
längs	{	Gen: längs den Straßen-ქუჩების გასწვრივ
	{	Dat: längs den Straßen - ქუჩების გასწვრივ
zufolge	{	Gen: zufolge eines Unfalls-უბედური შემთხვევის შედეგად
	{	Dat: einem Unfall zufolge-უბედური შემთხვევის შედეგად
zugunsten	{	Gen: zugunsten meiner - ჩემთვის ხელსაყრელი
	{	Dat: mir zugunsten - ჩემთვის ხელსაყრელი

8.3.4 Akkusativ-ის წინდებული (Präpositionen mit dem Akkusativ)

durch-(ით) გავლით, მეშვეობით, გამო

hindurch-განმავლობაში

ohne-გარეშე

für-თვის, -ით

um-ირგვლივ, -ზე, თვის

gegen-წინააღმდეგ, სანაცვლოდ, შედარებით, ამ დროისთვის, დაახლოებით

wider-წინააღმდეგ

bis-მდე

Die Jäger gingen durch den Wald.

„Durch drei Tugenden-Glaube, Hoffnung und Liebe-werden wir vollkommen.“

Die Männer arbeiten die ganze Nacht hindurch.

Max kauft für mich einen Sonnenblumenstrauss.

Sind Sie für moderne Erziehung?

Ich beschloss, mich für zwei Wochen an der See zu erholen.

Warte, bis dich ein Prinz heiratet.

Ohne ein Wort zu sagen, verließ sie das Auditorium.

Er steht um 6 Uhr auf.

Alle Planeten bewegen sich um die Sonne.

Gegen mich bist du ein „Talent.“

Alles machst du gegen (wider) meinen Willen.

მონადირეები მიდიოდნენ ტყით (ტყის გავლით).

„სამი სათნოების-რწმენის, იმედისა და სიყვარულის მეშვეობით ვხდებით ჩვენ სრულყოფილი.“

კაცები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობენ.

მაქსი ჩემთვის მზესუმზირის ყვავილის თაიგულს ყიდულობს.

თქვენ თანამედროვე აღზრდის მომხრე ბრძანდებით? მე გადავწყვიტე ორი კვირით ზღვაზე დავისვენო.

მოიცადე, ვიდრე შენზე უფლისწული დაქორწინდება. მან დატოვა აუდიტორია სიტყვის უთქმელად.

ის დგება 6 საათზე.

ყველა პლანეტა მზის გარშემო მოძრაობს.

შენ „ტალანტი“ ხარ ჩემთან შედარებით.

შენ ყველაფერს ჩემი სურვილის წინააღმდეგ აკეთებ.

შენიშვნა: bis გვხვდება აგრეთვე მეორე წინდებულთან კავშირში:

bis+zu (an, über, auf, nach).

bis-ს მოსდევს მეორე წინდებული, თუ არსებითი სახელის წინ დგას არტიკლი ან ნაცვალსახელი. Bis zum Abend-სალამომდე; bis an den Hals-ყელამდე; bis über die Knie-მუხლს ზემოთ, bis auf einige Fälle-ზოგიერთი შემთხვევის გამოკლებით; bis nach Augsburg-აუგსბურგამდე.

Fahren Sie bis zum Rathaus, dann rechts.

Bis auf mich kommen alle pünktlich.

გაემართეთ მერიისკენ, შემდეგ მარჯვნივ.

ჩემ გარდა ყველა დროზე მოვიდა.

8.3.5 Dativ-ის ან Akkusativ-ის წინდებული

(Präpositionen mit dem Dativ oder Akkusativ/Wechselpräpositionen)

in-ში, -ს

an-თან, ზე (ვერტ.), ში

auf-ზე (ჰორიზ.)

hinter-უკან

unter-ქვეშ, შორის

neben-გვერდით

über-ზემოთ, თავზე, შესახებ, განმავლობაში

vor-წინ

zwischen-შორის

entlang-გასწვრივ

და ა.შ.

ბან Dativ-ის, ხან Akkusativ-ის წინდებული მოითხოვს Dativ ბრუნვას იმ შემთხვევაში, თუ ზმნა გამოხატავს მდებარეობას და მიუგებს კითხვაზე wo? (im Wald), წინდებული მოითხოვს Akkusativ-ს, თუ ზმნა გამოხატავს მიმართულებას და მიუგებს კითხვაზე wohin? (in den Wald). Wo? და wohin? კითხვაზე მიუგებს ადგილის აღმნიშვნელი წინდებული; ხოლო თუ იგი დროს აღნიშნავს, მაშინ პასუხობს კითხვას wann? (am (an+dem) Morgen), wie lange? (zwei Stunden lang).

Dativ	Akkusativ
wo? (wann?)	wohin? (wie lange?)
Er sitzt in dem Sessel. ის ზის სავარძელში.	Er setzt sich in den Sessel. ის ჯდება სავარძელში.
Die Ikone hing an der Wand. ბატი ეკიდა კედელზე.	Man hängt die Ikone an die Wand. ბატს კიდებენ კედელზე.
Der Kaktus steht auf dem Fensterbrett. კაკტუსი დგას ფანჯრის რაფაზე.	Das Mädchen stellt einen Kaktus auf das Fensterbrett. გოგონა დგამს კაკტუსს ფანჯრის რაფაზე.
Das Buch liegt auf dem Tisch. წიგნი დევს მაგიდაზე.	Maria legt das Buch auf den Tisch. მარია დებს წიგნს მაგიდაზე.
Hinter den Hochhäusern war nichts zu sehen. ცათამბრუნების უკან არაფერი არ ჩანდა.	Ich stelle mich hinter das Auto. მე ვდებები მანქანის უკან.
Unter dem Baum fanden wir Pilze. ხის ქვეშ ვიპოვეთ სოკოები.	Setzt euch unter den Baum! დასხედით ხის ქვეშ!
Jörg sitzt unter den Freunden. იორგი ზის მეგობრების წრეში.	Er mischt sich unter die Freunden. ის მეგობრების წრეში ტრიალებს.
Der Hund liegt neben der Tür. ბაღლი წევს კარის გვერდით.	Ich stelle den Koffer neben die Tür. ჩემოდანს ვდგამ კარის გვერდით.
Das Bild hing über dem Schreibtisch. სურათი ეკიდა საწერი მაგიდის თავზე.	Er sprang über den breiten Graben. ის გადაახტა განიერ ორმოს.
Über der Stadt lag nächtliche Stille. ქალაქის თავზე ღამის სიმშვიდე იწვა.	Den Winter über lag Schnee. მთელი ზამთრის განმავლობაში თოვლი იდო.
Vor dem Hotel wachsen zwei Zypressen. სასტუმროს წინ ხარობს ორი კვიპაროსი.	Man pflanzt zwei Zypressen vor das Hotel. სასტუმროს წინ რგავენ ორ კვიპაროსს.
Sie stand zwischen uns. (Dat.) ის ჩვენს შორის იდგა.	Der Bischof stellte sie zwischen uns. (Akk) ეპისკოპოსმა ის ჩვენს შორის დააყენა.
Zwischen zwei und drei Uhr hörte er Schritte. ორსა და სამ საათს შორის მან ნაბიჯების ხმა გაიგონა.	Die Operation dauerte zwischen zwei und drei Stunden. ოპერაცია გრძელდებოდა ორიდან სამ საათამდე.
Entlang dem Bach wachsen Blumen. წყაროს გასწვრივ იზრდება ყვავილები.	Wir gehen die Straße entlang . ჩვენ მივდივართ ქუჩის გასწვრივ.

8.3.6 წინდებულები an, auf, in

გერმანულ ენაში წინდებული სხვაგვარად გამოიყენება, ვიდრე ქართულში. ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას, როგორც გერმანული წინადადების აგების, ასევე გერმანულიდან ქართულად თარგმნისას. სანიშნოდ განვიხილოთ-an, auf, in. ეს წინდებულები შეიძლება იდგეს Dativ-ში ან Akkusativ-ში.

ა. an-თან, ზე, ში

Die Studenten stehen **am** Fenster.

მაგრამ:

Wir studieren **an** der Universität.

Die Lampe hängt **an** der Decke.

An der Ecke steht ein Auto.

Am Anfang scheint alles schwer.

სტუდენტები ფანჯარასთან დგანან.

ჩვენ უნივერსიტეტში ვსწავლობთ.

ლამპა ჭერზე კიდია.

კუთხეში დგას მანქანა.

თავში ყველაფერი გვეძნელება.

Am Ende wird alles einfach.
Sowohl Wolken als auch Sterne stehen am Himmel.
Sie fahren nach Frankfurt am Main.
Sie fahren an den Bodensee.

ბოლოში ყველაფერი გვიადვილდება.
ცაზეა ღრუბლებიც და ვარსკვლავებიც.
ისინი მიემგზავრებიან მაინის ფრანკფურტში.
ისინი მიემგზავრებიან ბოდენზეზე.

აგრეთვე: am Montag, am 5. März, am Morgen, am Abend, am Tage, am Wochenende (ორშაბათს, 5 მარტს, დღით, საღამოს, დღისით, კვირის ბოლოს) და ა.შ.

ბ. auf-ზე, ში

Die Salzdose steht auf dem Tisch.
მაგრამ:
Gerhard wechselt Geld auf der Bank.

სამარილე დგას მაგიდაზე.
გერჰარდი ფულს ბანკში ახურდავებს.

აგრეთვე:
Er geht auf das Fest (auf die Toilette).

ის მიდის დღესასწაულზე (ტუალეტში).

გ. in-ში, ზე

In Deutschland haben wir sonniges Wetter.
Meine Bekannte wohnt in der Beethovenstrasse.
Elisabeth wohnt im zweiten Stock.
Im Oktober habe ich Urlaub.

გერმანიაში მზიანი ამინდია.
ჩემი ნაცნობი ბეთჰოვენის ქუჩაზე ცხოვრობს.
ელიზაბეტი ცხოვრობს მეორე სართულზე.
ოქტომბერში მაქვს შვებულება.

8.3.7 პრეპოზიცია → პოსტპოზიცია (Präposition → Postposition)

უმეტეს შემთხვევაში წინდებულს უკავია ადგილი არსებითი სახელის წინ (Präposition): გვხვდება წინდებული არსებული სახელის შემდეგაც (Postposition): ორივე ვარიანტი ქართულ ენაზე ერთნაირად ითარგმნება (nach, entlang, entsprechend, gegenüber, gemäss, zufolge, zugunsten, zuhächst, wegen, ungeachtet).

Meiner Meinung nach (Nach meiner Meinung)
erhält sich die Sache anders.

ჩემი აზრით, საქმე სხვაგვარადაა.

Dem Vertrag gemäß (Gemäß dem Vertrag)
erhalten Sie die Gage später.

ხელშეკრულების თანახმად, ჰონორარს მიიღებთ შემდეგ.


ყოველთვის არსებითი სახელის შემდეგ-zuliebe, zuwider, halber.

Meiner Frau zuliebe gehe ich mit ihr ins Kino.

ჩემი მეუღლის ხათრით მასთან ერთად მივდივარ კინოში.

Seines Geburtstags halber fahre ich nach Ulm.

მისი დაბადების დღის გამო მივდივარ ულმში.



8.4 წინდებულთ მართვა Rektion/Präpositionalergänzung

8.4.1 არსებითი სახელის მართვა წინდებულთ (Präpositionale Rektion der Substantive)

8.4.1.1 Genitiv-ის ჩანაცვლება (Genitiv-Ersatz)

არსებითი სახელის მართვას Genitiv-ბრუნვით ხშირად ენაცვლება წინდებულები (Präpositionen): "von", "in", "aus", "unter".

ა. ადგილის, ქვეყნის სახელწოდებანი (Orts und Ländernamen)

Die Altstadt von Dresden ist einen Besuch wert. ბველი დრეზდენის დათვალიერება (სტუმრობა) ღირს.
Die meisten Sehenswürdigkeiten von გერმანიის უმეტეს ღირსშესანიშნაობებს აღმოაჩენთ
Deutschland finden Sie im "Boedeker." „ბოედეკერში.“
Uns faszinieren die Schwefelbrunnen ჩვენ აღგვაფრთოვანებს თბილისის გოგირდის
von (in) Tbilissi. წყლები (აბანოები).

Die Kirchen von München wurden wiederaufgebaut. (ან die Kirchen in München... ან die Münchener Kirchen...) მიუნხენის ეკლესიები განახლდა.

ბ. რიცხვითი სახელების შემდეგ, რომლებიც არ იბრუნვის (nach den undeklinierbaren Zahlwörtern):

Eine Lehrerin von zweiunddreißig Schülern ოცდათორმეტი მოწაფის მასწავლებელს
braucht gute Nerven! ჯანმრთელი ნერვები უნდა ჰქონდეს!
Er ist Vater von vier Kindern. ის ოთხი შვილის მამაა.

გ. არტიკლის უგულებელყოფის შემთხვევაში (beim Wegfallen des Artikels):

Sie ist Verkäuferin von Oldtimern. ის ბველი საათების გამყიდველია.
Peter ist wirklich ein Mann von Format! პეტერი ნამდვილად სანიმუშო მამაკაცია!
Da hängt ein Selbstbildnis von Otto Dix. აქ კიდია ოტო დიქსის ავტოპორტრეტი.

დ. რიცხვითი სახელების, ზედსართავი სახელების (აღმ.ხარის.) ნაცვალსახელების შემდეგ (nach Zahlwörtern, Superlativen, Pronomina)

Ich habe ein bisschen von deinem მე შენი პუდინგის ნამცეცით პირი
Pudding genascht! ჩავიტკბარუნე!
Das lustigste von (aus, unter) diesen Spielen ist თამაშებიდან ყველაზე მხიარულია
"Sackhüpfen." „ტომრით ხტუნვა.“
Welchen von (unter) den Kandidaten gibt ამ კანდიდატებიდან რომელს აძლევს ის ხმას?
er seine Stimme?

8.4.1.2 არსებითი სახელი წინდებულთ (Substantive mit Präpositionen)

ა. არსებითი სახელი Dativ-ის წინდებულთ

die Freude an (Dat.)-სიხარული გერდას ახარებს თავისი ყვავილები .
Gerda hat Freude an ihren Blumen.
das Interesse an (Dat.)-ინტერესი. ჰაიკეს სკოლა არ აინტერესებს.
Heike zeigt keine Interesse an der Schule.
der Spaß an (Dat.)-სიამოვნების მინიჭება პაკოს მოგზაურობა სიამოვნებას ანიჭებს.
Paco hat Spaß an der Reise.
der Geschmack an (Dat.)-გემოვნება მე ამ სპექტაკლში გემოვნების ნატამალი ვერ აღმოვაჩინე.

der Streit mit (Dat.)-დავა, ჩხუბი

Warum habt ihr Streit mit den Nachbarn?

die Begegnung mit (Dat.)-შეხვედრა.

Zu einer Begegnung mit dem Autor ist er gekommen.

die Probleme mit (Dat.)-პრობლემა

Haben Sie Probleme mit der Hausrenovierung?

die Angst vor (Dat.)-შიში

Haben deine Kinder Angst vor wilden Tieren?

die Achtung vor (Dat.)-პატივისცემა

Er hat keine Achtung vor fremden Religionen.

die Meisterschaft in (Dat.)-ოსტატის წოდება

Er hat Weltmeisterschaft im Fechten gewonnen.

die Sehensucht nach (Dat.)-მონატრება

Die Sehensucht nach dem Meer ließ mich eine Kreuzfahrt machen.

die Ahnung von (Dat.)-წარმოდგენა

Zu Beginn des Studiums hatte sie keine Ahnung von der deutschen Dichtkunst.

die Rede von (Dat.)-საუბარი

Wovon wird die Rede sein?

der Mut zu (Dat.)-გამბედაობა

Mir fehlt der Mut zum Fallschirmspringen.

die Neigung zu (Dat.)-მიდრეკილება

Du hast eine Neigung zu Unüberlegten Entschlüssen.

die Lust zu (Dat.) (ან auf (Akk.)-ხალისი

Wir haben Lust zu dieser Arbeit.

• ფრაზები (Wendungen)

im Vergleich zu (Dat.)-შედარებით

Das Hotel ist im Vergleich zu dieser Wohnhaus groß.

im Gegensatz zu (Dat.)-წინააღმდეგ

Das Bautempo hat sich im Gegensatz zu den Versprechungen verlängert.

im Unterschied (im Vergleich) zu (Dat.)-განსხვავებით (შედარებით).

Der Januar war im Unterschied zum Februar sehr kalt.

unter der Voraussetzung, dass...-იმ შემთხვევაში თუ...

Unser Flugzeug trifft unter der Voraussetzung, dass das Wetter günstig bleibt, um 14 Uhr 30 im Paris ein.

რატომ ეჩხუბებით მეზობლებს?

იგი მოვიდა ავტორთან შესახვედრად.

გაქვთ თქვენ პრობლემები სახლის რემონტთან დაკავშირებით?

ემინიათ თქვენ შვილებს მხეცების?

იგი არ სცემს პატივს უცხო რელიგიებს.

მან მოიპოვა მსოფლიო ოსტატის წოდება ფარეკაობაში.

ზღვის მონატრებამ ზღვის გარშემო მოგზაურობისკენ მიბიძგა.

სწავლის დაწყებამდე მას წარმოდგენა არ ჰქონდა გერმანულ პოეზიაზე.

რაზე იქნება საუბარი?

მე მაკლია გამბედაობა პარაშუტით გადმოსახტომად.

შენ გაქვს მიდრეკილება, მიიღო მოუფიქრებელი გადაწყვეტილებები.

ჩვენ გვეხალისება ამ სამუშაოს შესრულება.

სასტუმრო დიდია ამ საცხოვრებელ სახლთან შედარებით.

წინააღმდეგ დაპირებებისა, მშენებლობის ტემპი შენელდა.

იანვარი თებერვალთან შედარებით ძალიან ცივი იყო.

იმ შემთხვევაში, თუ კარგი ამინდი შენარჩუნდება, ჩვენი თვითმფრინავი პარიზში იქნება 14:30.

in Übereinstimmung mit (Dat.)-თანახმად, გათვალისწინებით.

Ich handle in Übereinstimmung mit dem Landesrecht. მე ვმოქმედებ ქვეყნის სამართლის გათვალისწინებით.

და ა.შ.

ბ. არსებითი სახელი **Akkusativ**-ის წინდებულთ

die Hoffnung auf (Akk.)-იმედი

Ich mache mir Hoffnung auf den Gewinn.

მე მოგების იმედი მაქვს.

der Verzicht auf (Akk.)-უარისთქმა

Der Verzicht auf den Zucker im Kaffee und die Zigarette am Abend fällt mir schwer.

მიძნელდება უარის თქმა შაქრიან ყავასა და სიგარეტზე (სალამოობით).

die Erinnerung an (Akk.)-მოგონება

Ich hege schöne Erinnerungen an meine Kindheit.

მე ველოლიავები ჩემი ბავშვობის მშვენიერ მოგონებებს.

der Glaube an (Akk.)-რწმენა

Wenn man den Glauben an Gott nicht nur als persönliche Medizin für den Stress des Alltags ansähe!

ნეტავ ადამიანი ღვთისადმი რწმენას მხოლოდ ყოველდღიურობისგან თავდასახსნელ წამლად არ განიხილავდეს!

die Vorliebe für (Akk.)-უპირატესობა

Sie hat eine Vorliebe für die Farbe Weiß.

იგი უპირატესობას თეთრ ფერს ანიჭებს.

die Verantwortung für (Akk.)-პასუხისმგებლობა

Wer übernimmt die Verantwortung für den Konkurs der Firma?

ვინ იკისრებს ფირმის კონკურსზე პასუხისმგებლობას?

der Ärger über (Akk.)-ბრაზი

Aus Ärger über den Misserfolg geht er nicht ins Konzert.

გაბრაზებული, წარუმატებლობის გამო, აღარ მიდის კონცერტზე.

der Überblick über (Akk.)-მთლიანობაში აღქმა

Wir haben den Überblick über unsere Finanzen verloren.

ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ფინანსების მთლიანობაში აღქმის უნარი.

der Hass gegen (Akk.)(ან auf Akk.)-სიძულვილი

Ich glaube, dass er gegen sie bitteren Hass hegt.

მე მგონია, მას ის ძალიან ეჯავრება.

der Widerspruch gegen (Akk.)-საწინააღმდეგო აზრი, საჩივარი

Brigitte hat Widerspruch gegen die Ablehnung ihres Visumantrags eingelegt.

ბრიჯიტმა შეიტანა საჩივარი, ვიზის მიღებაზე უარის გამო.

die Einsicht in (Akk.)-აღქმა, ხედვა, შეცნობა

Ihnen fehlt die Einsicht in die Notwendigkeit, ihr Verhalten zu ändern.

თქვენ გაკლიათ შეცნობა იმის საჭიროებისა, რომ შეცვალოთ თქვენი დამოკიდებულება.

die Sorge um (Akk.)-წუხილი

Ich mache mir Sorgen um dich.

მე ვწუხვარ შენ გამო.

• ფრაზები (Wendungen)

im Anschluss an (Akk.)-(რალაცაზე) მიბმა

Im Anschluss an die Prüfung fand eine Feier statt.

გამოცდის შემდეგ ზეიმი მოეწყო (გამოცდას ზეიმი მოება).

in Bezug auf (Akk.)-რაც შეეხება...

In Bezug auf das Wetter hatte ich Glück mit meinem Urlaub.

რაც შეეხება ამინდს ჩემი შვებულების პერიოდში, ძალიან გამიმართლა.

8.4.2 ზმნის მართვა წინდებულთ (Präpositionale Rektion der Verben)

ზმნას გააჩნია რამდენიმე Rektion-ი -

ა. Genitiv-ი (anklagen wegen...)-წუხილი

ბ. Dativ-ი (träumen von...)-ოცნება

გ. Akkusativ-ი (denken an...)-ფიქრი

დ. Doppelrektion-ი (ორმაგი მართვა)

- Dativ + Akkusativ-ი (sprechen mit...über...) საუბარი.
- რეფლექსური ზმნები (Reflexivverben) (sich bedanken bei...für...).მადლობის გადახდა.
- სხვადასხვა Rektion-ი (j-n bitten um...) თხოვნა (Akk.+V+um-Akk.)

8.4.2.1 ზმნები Genitiv-ის წინდებულთ (Verben mit Genitiv-Präposition)

anklagen wegen (Gen.)-დადანაშაულება.

Ist er wegen Hochverrates angeklagt?

დადანაშაულეს ის სახელმწიფოს ღალატში?

- ზმნის მართვა Genitiv-ით წინდებულის გარეშე (ohne Präposition).

bedürfen+Gen - საჭიროება

Es bedürfte nur einer Erklärung (eines Unterrichts).

ეს მხოლოდ ერთ ახსნა-განმარტებას (ერთ მეცადინეობას) საჭიროებდა.

(ასევე: pflegen+Gen; spotten+Gen; sich rühmen+Gen; და ა.შ.) იხ. 4.15. მართვა (Rektion)

8.4.2.2 ზმნები Dativ-ის წინდებულთ (Verben mit Dativ-Präposition)

sich fürchten vor (Dat.)-შიში

Fürchte dich nicht vor dem Wolf!

ნუ გეშინია მგლის!

Fürchte dich nur vor dem Menschen!

გეშინოდეს ადამიანის!

warnen vor (Dat.)-გაფრთხილება

Er warnte vor den Gefahren der Berge.

ის ფრთხილობდა მთაში არსებული საშიშროების გამო.

träumen von (Dat.)-ოცნება

Ich träume noch oft von den lauen Sommerabenden.

მე ხშირად (ისევ) ვოცნებობ ზაფხულის თბილ საღამოებზე.

abhängen von (Dat.)-დამოკიდებულება (დამოკიდებულია)

Die Entscheidung hängt von vielen Faktoren ab.

საკითხის გადაწყვეტა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

anfangen mit (Dat.)-დაწყება

wir haben drei Monate mit dem Lernen angefangen.

ჩვენ სამი თვის წინ დავიწყეთ სწავლა.

<u>sich verabreden mit</u> (Dat.)-შეთანხმება Sabine verabedete sich per SMS mit ihrer Freundin.	საბინე SMS-ით შეუთანხმდა თავის მეგობარს.
<u>teilnehmen an</u> (Dat.)-მონაწილეობა Er nahm an dem Wettbewerb teil.	მან მონაწილეობა მიიღო კონკურსში.
<u>zweifeln an</u> (Dat.)-ეჭვი Ich zweifle an der Notwendigkeit der Sache.	მე ეჭვი მეპარება ამ საქმის აუცილებლობაში.
<u>leiden an</u> (Dat.) (ან <u>unter</u> (Dat.)-ტკივილი, წუხილი Viele begabte Kinder leiden unter dem Erfolgsdruck. Sie leidet an Hepatitis A.	მრავალ ნიჭიერ ბავშვს უჭირს წარმატების ზემოქმედების ატანა. მას აწუხებს A-ჰეპატიტი.
<u>gehören zu</u> (Dat.)-მიკუთვნება die Tasse gehört zu diesem Service.	ეს ფინჯანი ამ სერვიზისაა.
<u>passen zu</u> (Dat.)-მობდენა Der Pulli passt nicht zu diesem Kostüm.	პულოვერი ამ კოსტუმს არ უხდება.
<u>forschen nach</u> (Dat.)-გამოკვლევა Die Studenten forschen nach dem Ursprung des Weltalls.	სტუდენტები იკვლევენ სამყაროს წარმოშობას.
<u>mitwirken bei</u> (Dat.) (ან <u>an</u> (Dat.)-თანამშრომლობა Valerie hat bei der Erstellung des Programms mitgewirkt.	ვალერია ჩაერთო პროგრამის შექმნაში.

(ზმნები Dativ-ით წინდებულის გარეშე (ohne Präposition) (იხ. 4.15 ზმნის მართვა (Rektion))

8.4.2.3 ზმნები Akkusativ-ის წინდებულთ (Verben mit Akkusativ-Präposition)

<u>hoffen auf</u> (Akk.)-იმედის ქონა Wir hoffen auf gutes Wetter.	ვიმედოვნებთ, რომ კარგი ამინდი იქნება.
<u>warten auf</u> (Akk.)-მოცდა Worauf (Auf wen) warten wir?	რას (ვის) ველოდებით ჩვენ?
<u>achten auf</u> (Akk.)-ყურადღება Achten Sie immer auf die Preise, wenn Sie einkaufen gehen!	მიაქციეთ ყურადღება ფასებს, როდესაც საყიდლებზე მიდიხართ!
<u>bürgen für</u> (Akk.)-პასუხისგება Die Firma bürgt für die Qualität des Produkts.	ფირმა პასუხს აგებს პროდუქტის ხარისხზე.
<u>sich begeistern für</u> (Akk.)-აღფრთოვანება Wir begeistern uns für Dürers Kunst.	ჩვენ აღფრთოვანებული ვართ დიურერის ხელოვნებით.
<u>sich interessieren für</u> (Akk.)-დაინტერესება Ich habe mich auch für Bergwandern interessiert.	მე მთებში ხეტიალმაც დამაინტერესა.
<u>glauben an</u> (Akk.)-დაჯერება, რწმენა Glauben Sie auch an das Horoskop?	თქვენც გჯერათ ჰოროსკოპის?
<u>denken an</u> (Akk.)-ფიქრი Ich denke gerne an den Urlaub zurück.	მე ისევ შვებულებას ვიხსენებ.
<u>bitten um</u> (Akk.)-თხოვნა Darf ich um diesen Tanz bitten?	შეიძლება ჩემთან იცეკვოთ?
<u>sich bemühen um</u> (Akk.)-ზრუნვა Ich bemühe mich um die Gunst des Publikums.	მე ვზრუნავ პუბლიკის კეთილგანწყობაზე.

Nachdenken über (Akk.)-მოფიქრება

Ich habe viel über diesen Vorschlag nachgedacht.

geraten in (Akk.)-ჩაძირვა (აღმოჩენა...)

Sie gerät wieder in komische Situation.

klagen gegen (Akk.)-ჩივილი (სასამართლოში)

Herr Müller klagt gegen den Stromkonzern.

verstossen gegen (Akk.)-დარღვევა

Man darf nicht gegen die Gesetze verstossen!

verzichten auf (Akk.)-უარის თქმა

Kann ich auf das Klavier verzichten?

ამ წინადადებაზე მე ბევრი ვიფიქრე.

ის ისევ სასაცილო სიტუაციაშია.

ბატონი მიულერი უჩივის ელექტროენერგეტიკის სამსახურს.

არ შეიძლება წესების დარღვევა!

შემიძლია ფორტეპიანოზე უარის თქმა?

და ა.შ.

(ზმნები Akkusativ-ით წინდებულის გარეშე (ohne Präposition) (იხ. 4.15 ზმნის მართვა (Rektion))

8.4.2.4 ორმაგი მართვა (Doppelrektion)

- Dativ-ი და Akkusativ-ი

diskutieren mit (Dat.)...über (Akk.)-მოლაპარაკება, ბჭობა

Meine Freunde diskutieren mit den Gästen über die Feiertage.

ჩემი მეგობრები ბჭობენ სტუმრებთან სადღესასწაულო დღეების შესახებ.

- რეფლექსური ზმნები (Reflexivverben).

sich bedanken bei (Dat.)...für (Akk.)-მადლობის გადახდა

Frau Stoff bedankt sich bei der Nachbarin für die Hortensie.

ქალბატონი შტოფი მადლობას უხდის მეზობელს ჰორტენზიისათვის.

- სხვადასხვა Rektion-ი

j-n bitten um (Akk.)-თხოვნა

Der Arzt bat die Besucher um die Ruhe.

ექიმმა მნახველებს თხოვა გაჩუმებულიყვნენ.

და ა.შ.

(იხ. 4.15) (ზმნის მართვა (Rektion))

8.4.3 ზედსართავი სახელის მართვა წინდებულებით (Präpositionale Rektion der Adjektive)

ზედსართავ სახელთა ერთი ნაწილი მოითხოვს წინდებულებიან ობიექტს. ეს წინდებული განსაზღვრავს ამ ობიექტის ბრუნვას.

8.4.3.1 Dativ-ის წინდებულებით (mit Dativ-Präposition)

zufrieden mit (Dat.)-კმაყოფილი

Ich bin mit dir zufrieden.

მე შენით კმაყოფილი ვარ.

fertig mit (Dat.)-მზადყოფნა, დამთავრება

Bernd war gleich mit der Arbeit fertig.

ბერნდმა მაშინვე დაამთავრა სამუშაო.

bekannt mit (Dat.)-ნაცნობი, ცნობილი

Goethe war mit Schiller bekannt.

გოეთე იცნობდა შილერს.

krank vor (Dat.)-სნეული, ცუდად გახდომა

Die Studentin war krank vor Aufregung.

სტუდენტი გოგონა აღელვებისგან ცუდად შეიქნა.

abhängig von (Dat.)-დამოკიდებული

Ich bin noch abhängig von meinen Eltern.

მე ჯერ კიდევ ჩემს მშობლებზე ვარ დამოკიდებული.

fasziniert von (Dat.)-აღფრთოვანება

Sie waren ganz fasziniert von dem Meereswasser.

ისინი ზღვის წყალმა მეტად აღაფრთოვანა.

geeignet zu (Dat.)-ვარგისი, საიმედო

Herr Fuchs ist zu diesem Posten geeignet.

ბატონი ფუქსი ამ ადგილისთვის შესაფერისია.

interessiert an (Dat.)-დაინტერესებული

Sind Sie noch am Kauf dieses Motorrads interessiert?

თქვენ ისევ გაინტერესებთ (გსურთ) ამ მოტოციკლის შეძენა?

beliebt bei (Dat.)-შეყვარებული

Dieser freundliche Junge ist bei allen beliebt.

ეს მეგობრული ბიჭი ყველას უყვარს.

8.4.3.2 Akkusativ-ის წინდებულით (mit Akk.-Präposition)

erstaunt über (Akk.)-გაოცებული

Wir sind erstaunt über deine Fragen.

ჩვენ გვაოცებს შენი კითხვები.

glücklich über (Akk.)-ბედნიერი

Unsere Eltern sind immer glücklich über unseren Erfolg. მშობლებს ყოველთვის ახარებს ჩვენი წარმატება.

froh über (Akk.)-გახარებული/კმაყოფილი

Der Chef kann über dieses Ergebnis froh sein.

ფირმის ხელმძღვანელს შეუძლია ამ შედეგით კმაყოფილი იყოს.

ärgerlich über (Akk.)-გაბრაზება

Mein Lehrer war sehr ärgerlich über diesen Fehler.

ჩემი მასწავლებელი ამ შეცდომამ აღაშფოთა.

traurig über (Akk.)-დარდიანი, მოწყენილი

Worüber bist du traurig?

რატომ ხარ მოწყენილი?

eifersüchtig auf (Akk.)-შურიანი, ეჭვიანი

Warum ist er auf meine Erfolge eifersüchtig?

რატომ შურს მას ჩემი წარმატებები?

stolz auf (Akk.)-ამაყი

Ich bin stolz auf unsere Kultur.

მე ვამაყობ ჩვენი კულტურით.

blind gegen (Akk.)-ბრმა taub gegen (Akk.)-მუნჯი

Sie war blind und taub gegen die Probleme ihrer Freundin.

მეგობრის სიძნელების მიმართ იგი ყრუ-მუნჯი შეიქნა.

ein offenes Ohr für (Akk.)-მზადყოფი, დადარაჯებული

Die Freunde haben ein offenes Ohr für meine Sorgen.

მეგობრები მზად არიან ჩემს დასახმარებლად.

ზმნიზედა

Das Adverb/Das Umstandswort

- ზმნიზედა უცვლელი მეტყველების ნაწილია. აქვს სრული მნიშვნელობა. დაბოლოება არ გააჩნია და არც იბრუნვის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შედარებით ხარისხებს აწარმოებს. გამოხატავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს.
- ზმნიზედათა დიდი ნაწილი წინადადებაში ასრულებს მის ძირითად ფუნქციას. ესაა -ზედსართავი სახელი-ზმნიზედა.
- ზმნიზედა შეიძლება იყოს კითხვითი სიტყვა; არსებობს აგრეთვე რიცხვითი სახელი-ზმნიზედა, ნაწილაკი-ზმნიზედა.
- ზმნიზედას გააჩნია კავშირის ფუნქციაც.
- იგი დგას ზმნებთან, ზედსართავ სახელებთან, იშვიათად, არსებით სახელთან.
- გვხვდება რამდენიმე ზმნიზედა ერთმანეთის მიყოლებით.
- ზმნიზედას გააჩნია შედარებითი ხარისხები (მაგრამ, არა ყველას).

9.1 ზმნიზედის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Adverbien)

9.1.1 აგებულების მიხედვით (Klassifizierung dem Bau nach)

ა. მარტივი (einfach) ზმნიზედები:

so-ასე	da- იქ	dort-იქ
früh-ადრე	hier-აქ	dann-შემდეგ
lange-დიდხანს	nie-არასოდეს	gern-სიამოვნებით და ა.შ.

ბ. ნაწარმოები (abgeleitet) წარმოქმნილია სუფიქსებით:

-s-უმეტესად აღნიშნავს დროს: nachts (ღამით), morgens (დილით)
-(e)ns-აღნიშნავს ხარისხს: höchstens (მაქსიმუმ), nächstens (უახლოეს მომავალში)
-(t)lich-აღნიშნავს მოძალობას: wesentlich (არსებითად), sicherlich (უეჭველად), freilich (თავისუფლად)
-wärts-აღნიშნავს მიმართულებას: vorwärts (წინ), seitwärts (იქითკენ/გვერდით)
-lings-blindlings (ბრმად)

და ა.შ.

გ. რთული (zusammengesetzt) ზმნიზედა მიიღება ორი სიტყვისაგან:

mitunter-ზოგჯერ	irgendwann-როდისმე
vielleicht-იქნებ	zweifelsohne-უეჭველად
überall-ყველგან	dorthin-იქით
irgendwo-სადმე	zuerst-თავდაპირველად
irgendwie-როგორმე	dreimal-სამჯერ
-weise-აღნიშნავს ვითარების გარემოებას: glücklicherweise (საბედნიეროდ)	
-weg(s)-leichtweg (იოლად), geradewegs (პირდაპირ), keineswegs (არასგზით)	
-massen-gewissermassen (გარკვეულ დონეზე), folgendenmassen (შემდეგნაირად)	
-dings-allerdings (რა თქმა უნდა), neuerdings (ახლახანს)	

და ა.შ.

9.1.2 კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით (Klassifizierung dem Inhalt nach)

ზმნიზედა არის უცვლელი სიტყვა და შინაარსის მიხედვით იყოფა 5 ძირითად ჯგუფად:

9.1.2.1 ადგილის ზმნიზედა (Adverbien des Ortes)

ადგილის ზმნიზედა პასუხობს კითხვებს: wo?-სად? woher?-საიდან? wohin?-საით?

ა. wo? • სად?	
dort-იქ, აქ	darunter-(მის)ქვეშ
hier-აქ	dazwischen-დროდადრო
daneben-(ის) გვერდით	außen-გარედან
darauf-მასზე	draußen-გარეთ
darin-მასში	oben-ზევით
innen-შიგნით	unten-ქვევით
vorn(e)-წინ	gegenüber-პირდაპირ
links-მარცხნივ	irgendwo-სადმე
rechts-მარჯვნივ	nirgend(s)-არსად
diesseits-ამ მხარეს	überall-ყველგან
jenseits-იმ მხარეს	herum- ირგვლივ
darüber-(მის)თავზე	

და ა.შ.

Die Kinder spielen draußen Fußball.

ბავშვები გარეთ ფეხბურთს თამაშობენ.

Hier lag er die ganze Nacht.

იგი მთელი ღამის განმავლობაში აქ იწვა.

ბ. woher? → •საიდან?		
her-აქეთ	anderswoher-სხვა მხრიდან	von rechts-მარჯვნიდან
daher-იქიდან, აქეთ	irgendwoher-საიდანმე	von unten-ქვემოდან
dorthier-იქიდან	nirgendwoher-არსაიდან	von außen(her)-გარედან
herunter-ქვემოთ(კენ)	überallher-ყველა მხრიდან	von draußen(her)-გარედან

Hol bitte das Bier von unten!

ამოიტანე, გეთაყვა, ქვემოდან ლუდი!

Klaus läuft den Berg herunter.

კლაუსი ჩამორბის მთიდან.

გ. wohin? • → საით?		
hin-იქით	vorwärts-წინ	anderswohin-სხვა მხარეს
dahin-იქით	rückwärts-უკან	irgendwohin-საითმე
dorthin-იქით	heimwärts-შინისკენ	überallhin-ყველა მხარეს
hinweg-(აქედან)შორს	geradeaus-პირდაპირ	nach unten(hin)-ქვევითკენ
fort-შორს		nach vorn(hin)- წინ(ისაკენ) და ა.შ.

Wir kommen mit der Weinproduktion vorwärts.

ღვინის პროდუქტის წარმოებით ჩვენ

Gehen Sie geradeaus, dann links!

წინ მივიწევთ.

წაბრძანდით პირდაპირ, შემდეგ მარცხნივ!

9.1.2.2 დროის ზმნიზედა (Adverbien der Zeit)

დროის ზმნიზედა პასუხობს კითხვებს: wann? როდის? wie lange? რამდენ ხანს? wie oft? რა სიხშირით?

ა. wann? როდის?		
morgen-ხვალ gestern-გუშინ früh-ადრე spät-გვიან sofort-ახლავე	heute-დღეს jetzt-ახლა nie(mals)-არასოდეს neulich-ამას წინათ endlich-ბოლოს	damals-იმ დროს immer-ყოველთვის dann-შემდეგ schon-უკვე bald-მალე და ა.შ.

Beeil dich, denn es ist spät!

აჩქარდი, უკვე გვიანაა!

Neulich kamen zwei Studenten aus München.

ამას წინათ ორი სტუდენტი ჩამოვიდა მოუნებნიდან.

Ich habe das Buch gestern gelesen.

ეს წიგნი მე გუშინ წავიკითხე.

Von früh bis spät spielt Taja Geige.

ადრიდან გვიანობამდე თაია ვიოლინოს უკრავს.

Allmählich ging alles zu Grunde.

თანდათანობით ყველაფერი თავქვე წავიდა.

ბ. wie lange? რამდენ ხანს?		
stets-მუდამ seither-იმ დროიდან bisher-აქამდე	bis jetzt-ამ დრომდე für(auf)immer-სამუდამოდ unterdessen-ამასობაში inzwischen-ამასობაში	noch-ჯერ კიდევ lange-დიდხანს zeitlebens-მთელი სიცოცხლე და ა.შ.

Hast du lange gewartet?

დიდხანს იცადე?

Peter hat bis jetzt geschlafen.

პეტერს აქამდე ეძინა.

გ. wie oft? რა სიხშირით?		
oft-ხშირად häufig-ხშირად manchmal-ზოგჯერ, ხანდახან ab und zu-ხანგამოშვებით	zuweilen-დროდადრო selten-იშვიათად stündlich-საათობით monatlich-თვეობით jährlich-წლობით	einmal-ერთხელ zweimal-ორჯერ nochmals-კიდევ ერთხელ mehrmals-რამდენჯერმე და ა.შ.

Ich habe **mehrmals** probiert, mit ihr ins Gespräch zu kommen.

მე რამდენჯერმე ვცადე მასთან საუბრის წამოწყება.

Wir gehen **manchmal** ins Theater.

ჩვენ ხანდახან დავდივართ თეატრში.

Herr Maier kommt **selten** vor 7 Uhr nach Hause.

ბატონი მაიერი იშვიათად ბრუნდება შინ 7 საათზე ადრე.

9.1.2.3 ვითარების ზმნიზედა (Adverbien der Art und Weise)

ვითარების ზმნიზედა პასუხობს კითხვებს: wie? როგორ? auf welcher Weise? რა საშუალებით? wie sehr? რამდენად?

ა. wie? / auf welcher weise?

• თითქმის ყველა ზედსართავი სახელი დაბოლოების გარეშე, რომელიც (როდესაც) არ იბრუნვის:		
so-ასე leicht-მსუბუქად schwer-მძიმედ gut-კარგად	langsam-ნელა schnell-ჩქარა stabil-სტაბილურად laut-ხმამაღლა	schlimm-ცუდად perfekt-შესანიშნავად ruhig-მშვიდად irgendwie-როგორმე და ა.შ.

- დაბოლოებით-lings: blindlings-ბრმად rücklings-უკან
- დაბოლოებით-weise: teilweise-ნაწილობრივ glücklicherweise-საბედნიეროდ paarweise-წყვილად

• აგრეთვე:	
prima-ბრწყინვალედ extra-დამატებით super-შესანიშნავად konzentriert-ყურადღებით unbedingt-აუცილებლად	anders-სხვაგვარად absichtlich-განგებ zufällig-შემთხვევით vergebens-ამაოდ

და ა.შ.

Reife Äpfel fallen leicht vom Baum.

მწიფე ვაშლი ხეს ადვილად სწყდება (სცვივა).

Ich musste extra bezahlen.

მე დამატებით უნდა გადამეხადა.

Kannst du eigentlich nie konzentriert üben?

რატომ არ შეგიძლია, კაცმა რომ თქვას, ყურადღებით იმეცადინო?

Wir können langsam gehen, denn wir haben genug Zeit!

ჩვენ შეგვიძლია ნელა ვიაროთ, რადგან დრო საკმარისი გვაქვს.

Alles ist perfekt organisiert!

ყველაფერი ბრწყინვალედაა ორგანიზებული!

Sie rannte blindlings in ihr Unglück.

ის ბრმად მიჰქროდა თავისი უბედურებისაკენ.

ბ. wie? wie sehr? აღნიშნავს: ხარისხს, ინტენსივობას, მოცულობას.		
sehr-ძალიან ganz-სრულად zu-ძალიან allzu-მეტისმეტად genug-საკმაროდ völlig-სავსებით gar-საერთოდ noch-კიდევ	ziemlich-საკმაროდ mehr-მეტად sogar-ც...კი fast-თითქმის viel-ბევრად wenig-ცოტათი (ოდნავ) kaum-ძლივს nur-მხოლოდ besonders-განსაკუთრებით	weit-ვრცლად beinahe-ლამის etwas-ცოტათი ungemein-წარმოუდგენლად ausserordentlich-არაჩვეულებრივად höchstens-უმადლესი (მაქსიმუმ) wenigstens-უმცირესი (მინიმუმ) dankbar-მადლიერებით weitaus-ბევრად

და ა.შ.

Der Film war ziemlich langweilig.

ფილმი საკმაროდ მოსაწყენი იყო.

Ich brauche höchstens 10 Minuten bis zur U-Bahn.

მე მჭირდება მაქსიმუმ 10 წუთი მეტრომდე.

Das Stück war ganz toll.

პიესა სავსებით კარგი იყო.

Er liest sehr viel.

ის ძალიან ბევრს კითხულობს.

Das Haus ist wunderbar, aber zu teuer.

სახლი მშვენიერია, მაგრამ ძალზე ძვირია.

- ზედსართავ სახელებს აძლიერებს ან ასუსტებს ბ-გგუფის ზმნიზედები:

Positiv-ს -sehr, ganz, zu, ziemlich, besonders, höchst, და სხვა.

Komparativ-ს - noch, viel, wenig, weit და სხვა.

Superlativ-ს - aller, weitaus, dankbar და სხვა.

Heute hast du besonders intensiv gearbeitet!

შენ დღეს განსაკუთრებით ინტენსიურად იმუშავე!

Nita singt viel schöner als Nata.

ნიტა მღერის ბევრად უკეთესად, ვიდრე ნატა.

Tata singt wenig schöner als Nata.

თათა მღერის ცოტა უკეთესად, ვიდრე ნატა.

Das allerschönste Auto steht da.

ულამაზესი მანქანა დგას აქ.

(ან: Das Auto ist am allerschönsten). (მანქანა ულამაზესია).

9.1.2.4 მიზეზის, საბაზის ზმნიზედა (Adverbien des Grundes, der Ursache)

მიზეზის, საბაზის ზმნიზედა პასუხობს კითხვაზე: warum? weshalb? რატომ?, weswegen? რის გამო?

darum-ამიტომ	darunter-ამ(ის) მიზეზით
deshalb-ამიტომ	meinetwegen-ჩემ გამო
deswegen-ამის გამო	deinetwegen-შენ გამო
daher-ამის გამო	um eurentwillen-თქვენ გამო
also-(...სა) შედეგად	infolgedessen-ამის შედეგად / ამის გამო და ა.შ.

Ich muss zum Arzt und komme **darum** (deshalb) etwas später.
 Sie litt **darunter**.
 Ich habe **deinetwegen** den Zug verpasst.
 Plötzlich kam ein Gewitter und der Bus konnte **infolgedessen** nicht weiterfahren.

მე ექიმთან უნდა წავიდე, ამიტომ მოვალ (ცოტა) მოგვიანებით.
 ის იტანჯებოდა ამ მიზეზით.
 მე დავივიანე მატარებელზე შენ გამო.
 უცებ ამინდი გაფუქდა და ამის გამო ავტობუსმა გზა ველარ გააგრძელა.

9.1.2.5 მიზნის, შუალობითი ზმნიზედა (Adverbien des Zwecks, Mittels)

მიზნის, შუალობითი ზმნიზედა პასუხობს კითხვებს: wozu? wofür? რისთვის? womit? რით?

dazu-ამისთვის	dafür-ამ მიზნით	damit-ამით, რათა და ა.შ.
---------------	-----------------	--------------------------

Sie ist zum Fest eingeladen und braucht **dazu** schicke Kleidung und Schmuck.
 Martin träumt von einem Studium in Deutschland, aber er hat weder Geld noch Geduld **dazu**.
Dafür habe ich keine Zeit.
 Die Kinder sind sehr faul zu Hause und machen mich **damit** wütend.

ის დღესასწაულზეა მიწვეული და ამისთვის მას ძვირფასი ტანსაცმელი და მორთულობა სჭირდება.
 მარტინი ოცნებობს გერმანიაში სწავლაზე, მაგრამ ამისთვის არ აქვს არც ფული არც მოთმინება.
 ამისთვის დრო არ მაქვს.
 ბავშვები შინ ძალიან ზარმაცობენ და ამით მამბრაზებენ.

9.1.2.6 რიცხვითი სახელი-ზმნიზედა (Zahladverbien)

ა. განსაზღვრული რიცხვითი სახელი (Bestimmte Zahlwörter)

einmal-ერთხელ	erstens-თავდაპირველად, ჯერ ერთი	dreifach-სამმაგად და ა.შ.
---------------	---------------------------------	---------------------------

Wir haben nur **einmal** über die Ehe gesprochen.
 Ich möchte **erstens** ins Museum und **zweitens** in die Oper gehen.
 Dieser Teller ist **dreifach** gebrannt.

ჩვენ ქორწინებაზე მხოლოდ ერთხელ ვილაპარაკეთ.
 მე მინდა ჯერ მუზეუმში წასვლა, მერე ოპერაში.
 ეს თეფში სამჯერაა გამოშვარი.

ბ. განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი (Unbestimmte Zahlwörter)

viel-ბევრად	ganz-სრულიად
völlig-სრულად	vollends-სავსებით და ა.შ.

Jetzt fühle ich mich **viel** freier und unabhängiger als früher.
 Es ist **ganz** dunkel geworden.

მე ახლა ბევრად უფრო თავისუფლად და დამოუკიდებლად ვგრძნობ თავს, ვიდრე წინათ.
 სრულიად დაბნელდა.

9.1.2.7 ნაწილაკი - ზმნიზედა (ტონალობის) (Adverbien der Denkweise/Abtönungspartikel)

ტონალობის გამომხატველი ნაწილაკი (Abtönungspartikel) აძლიერებს არსებითი ან ზედსართავი სახელის ხარისხს. ეს გერმანული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ქართული თარგმანი არ მოეპოვება. ის მიუთითებს მოსაუბრის პიროვნულ ემოციაზე, მის დამოკიდებულებაზე გამოთქმული აზრის მიმართ და აძლევს წინადადებას თავისებურ მელოდიურობას.

ა. დასტურის განმტკიცება (Bestätigung, Zusage, Behauptung)

sogar, selbst-ც-კი - დასტურის განმტკიცება ja, doch-ხომ-დარწმუნება, დადასტურება wirklich-მართლაც-ადასტურებს მოსაზრებას jedenfalls-ყოველ შემთხვევაში aber-ხომ-აღფრთოვანება zum Glück-საბედნიეროდ	doch-მაინც gewiss-ცხადია natürlich-რასაკვირველია freilich-თუმცაღა sicherlich-დანამდვილებით
---	--

და ა.შ.

Das Reisebüro organisiert alles-Fahrt, Hotel,
sogar das Essen.

ტურისტული ბიურო ყველაფერს
უზრუნველყოფს - გზას, სასტუმროს,
კვებასაც კი.

Selbst Simone hat sich geirrt.
Du redest ja genauso wie meine Nachbarn!

სიმონეც კი შეცდა.
შენ (ხომ) სწორედ ისე ლაპარაკობ,
როგორც ჩემი მეზობლები!

Das ist doch schön!
Bei den Eltern ohne Probleme zu wohnen-das ist
aber toll.

ეს ხომ მშვენიერია!
მშობლებთან პრობლემების გარეშე ცხოვრება,
ეს ხომ კარგზე კარგია.

Die Teppiche sind wirklich schön.
Mich jedenfalls mag sie nicht.
Zum Glück war die Gemädegalerie noch auf.

ხალიჩები მართლაც ლამაზია.
ყოველ შემთხვევაში, მას მე არ ვუყვარვარ.
საბედნიეროდ სურათების გალერია ჯერ
კიდევ ღია იყო.

Du hast ihn doch auch gekannt!
Feiern wir wieder Weihnachten bei euch? Natürlich!

შენც ხომ იცნობდი მას!
შობას ხომ ისევ თქვენთან ვზეიმობთ?
რასაკვირველია!

ბ. აზრის ნაწილობრივი უარყოფა (Abschwächung, Verneinung)

nicht-არ-გაკვირვება gar nicht-სრულიადაც არა-უარყოფა nicht so-არც ისე-ზრდილობიანი უარი	keineswegs-არა და არა (ანუ ეს არ უნდა იყოს მართალი) keinesfalls-არავითარ შემთხვევაში leider-სამწუხაროდ
---	--

და ა.შ.

Das hast du mir nicht gesagt!
Es ist mir gar nicht egal, dass alles voll
automatisch wird!
Das finde ich nicht so toll!
Er ist keineswegs krank!

შენ არ მითხარი!
ჩემთვის სრულიადაც არ არის სულერთი,
რომ ყველაფერის ავტომატიზაცია ხდება!
ეს არც ისე კარგია!
ის არ უნდა იყოს (ის არა და არ არის) ავად!
(მაგ. მან ბევრი დაღია.)
სამწუხაროდ, ხვალ შინ არ ვარ.

გ. კითხვა, გაკვირვება (Frage, Erstaunen)

etwa-ნუთუ wohl-კი მაგრამ denn-ნუთუ	და ა.შ.
------------------------------------	---------

Ist Nino etwa in Deutschland?

ნუთუ ნინო გერმანიაშია?

Was er sich wohl dabei gedacht hat?
Hast du denn "Faust" nicht gelesen?

კი მაგრამ, რას ფიქრობდა (მაშინ) ამაზე?
ნუთუ „ფაუსტი“ არ წაგიკითხავს?

დ. ეჭვი, ვარაუდი (Zweifel, Vermutung)

vielleicht-იქნებ-ხომ არ möglichlicherweise-შესაძლოა, იქნებ wahrscheinlich-როგორც ჩანს, შესაძლოა wohl-ალბათ	kaum-ძლივს, ძნელად eigentlich-კი schwerlich-საეჭვოდ	და ა.შ.
---	---	---------

Möchten Sie vielleicht eine Tasse Kaffee?
Da hast du möglicherweise recht.
Wahrscheinlich hat die Probe schon angefangen.
Wir hatten eigentlich gehofft, dass du kommst.
Das ist kaum zu glauben.
Egon wird wohl verschlafen haben.
Bernd wird schwerlich seine Karriere dafür aufgeben!

ფინჯან ყავას ხომ არ ინებებდით?
იქნებ შენ მართალიც ხარ.
როგორც ჩანს, რეპეტიცია უკვე დაიწყო.
ჩვენ კი ვიმედოვნებდით, რომ მოხვიდოდი.
ეს ძნელი დასაჯერებელია.
როგორც ჩანს, ეგონს ჩაეძინა.
საეჭვოა, ბერნდმა ამისთვის თავისი კარიერა გაწიროს!

ე. სურვილი (Wunsch)

nur, bloss-რომ (ნატვრა)	hoffentlich-იმედია	doch, wenn doch-კარგი იქნებოდა და ა.შ.
-------------------------	--------------------	--

Wäre er nur lebensfroh!
Hätte mein Freund bloss mehr Zeit für mich!
Hoffentlich hast du die Blumen gegossen.
Wenn er doch endlich aufstehen würde!

ნეტავ ის სიცოცხლისმოყვარე იყოს!
ნეტავ ჩემს მეგობარს ჩემთვის მეტი დრო ჰქონდეს!
იმედია, ყვავილები მორწყე.
კარგი იქნება, თუ ბოლოსდაბოლოს ადგება!

ვ. გაფრთხილება, მუქარა, მოთხოვნა (Warnung, Drohung, Forderung)

ja - თუ არა, nur, bloss-მხოლოდ, schon-აბა.
--

Sei ja still!
Lass dich nur nicht blicken!
Komm bloss rüber!
Jetzt zahlen Sie schon!

დაწყნარდები თუ არა!
არ გაბედო თვალის დაკვრაც!
მარტო გაბედე ამოსვლა!
აბა, ახლა დათვალეთ!

ზ. სხვადასხვა ნაწილაკი (sonstige Partikel), გამოიყენება სასაუბრო ენაში და დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია: eben (ხომ), halt (თუ ასეა), ruhig (შშვიდად), mal (ერთი) და ა.შ.

Er liebt sie eben.
Komm mich halt besuchen!
Bleib ruhig daheim!
Zeig mir mal deinen Terminkalender!

მას ხომ ის უყვარს.
(მაგ. მის გამო ყველაფერს იტანს).
თუ ასეა, მოდი ჩემთან!
მაშინ დარჩი შინ! (მაგ. თუ გიჭირს)
მაჩვენე ერთი, შენი შეხვედრების ცხრილი!

თ. მითითებანი ტონალობის ნაწილაკი-ზმნიზედისათვის (Hinweise zur Abtönungspartikel)

რამდენიმე ნაწილაკის კომბინაცია (Mehrfache Kombination)
Nun komm halt erst mal herein!
Was schreit sie denn bloss nun schon wieder?!

შემოდი რას უდგახარ?
რა აღრიალებს კიდევ ამ უპატრონოს?!

• დროის გამომხატველი ნაწილაკი-ზმნიზედა (Partikel der Zeit)

erst-ჯერ მხოლოდ / მხოლოდ	schon-უკვე	endlich-ბოლოსდაბოლოს (როგორც იქნა)
Du bist erst drei Monate bei uns.		ჯერ მხოლოდ სამი თვეა, რაც ჩვენთან ხარ.
Er kommt erst um 4 Uhr.		ის ოთხზე მოვიდა (ანუ გვიან მოვიდა).
Es ist erst 6 Uhr.		მხოლოდ ექვსია (მაგ. და უკვე დაბნულდა).
Er wartet schon 10 Minuten.		ის უკვე 10 წუთია იცდის.
Es ist schon 4 Uhr.		უკვე ოთხი საათია (ანუ შენ დააგვიანე).
Er kommt schon um 4 Uhr.		ის ოთხზე უკვე აქ იყო (ანუ ადრე მოვიდა).
Da kommt er endlich!		როგორც იქნა მოვიდა!
Endlich sind Ferien!		ბოლოსდაბოლოს დადგა არდადეგები!
• ტონალობის ნაწილაკი სხვადასხვა მნიშვნელობით ან ფუნქციით		
ზოგიერთი ნაწილაკი ფორმით ემთხვევა სხვა მეტყველების ნაწილს, ამიტომ უნდა განვასხვავოთ ნაწილაკი selbst (ც...კი) ნაცვალსახელი selbst (თვითონ)-ისაგან.		
ნაწილაკი selbst დგას სიტყვის თავში, ხოლო ნაცვალსახელი selbst სიტყვის შემდეგ.		
Selbst über meinen Erfolg kann ich mich nicht freuen.		ჩემი წარმატებაც კი ვეღარ მახარებს.
Ich bin selbst darauf gekommen.		მე თვითონ მივხვდი ამას.
• ნაწილაკი denn (ნუთუ) კავშირი denn (რადგან)-ისაგან. ნაწილაკი denn დგას კითხვითი წინადადების შიგნით, კავშირი denn (რადგან)-რთული თანწყობილის მეორე წინადადების დასაწყისში.		
Heißt das denn Gastmal?		ნუთუ ამას მასპინძლობა ჰქვია?
Wir Menschen gewöhnen uns an einander im Nu, denn wir können nicht einsam sein.		ჩვენ, ადამიანები, მოკლე დროში ვეჩვევით ერთმანეთს, რადგან მართო ყოფნა არ ძალგვიძს.
• ნაწილაკი doch (ხომ) კავშირი doch (მაინც)-ისაგან. ნაწილაკი doch დგას წინადადების შიგნით, კავშირი doch დგას რთული თანწყობილის მეორე წინადადების დასაწყისში.		
Wir haben ihr doch ein Zuhause geboten.		ჩვენ ხომ მას ოჯახური გარემო შევთავაზეთ.
Zuerst hatte man mir abgesagt, doch kam man später meiner Bitte nach.		თავიდან უარი მითხრეს, შემდეგ მაინც დააკმაყოფილეს ჩემი თხოვნა.
• ნაწილაკი aber (რა) კავშირი aber (მაგრამ)-ისაგან.		
Deine Kinder sind aber gut erzogen!		რა კარგად აღზრდილები არიან შენი შვილები!
Für dich mag's Wahrheit sein, aber für mich heißt's Lüge.		იქნებ ეს შენთვის სიმართლეა, მაგრამ ჩემთვის ამას სიცრუე ჰქვია.
• ნაწილაკი etwa (განა) ზმნიზედა etwa (დაახლოებით)-საგან.		
Kennen Sie ihn etwa nicht?		განა თქვენ მას არ იცნობთ?
Etwa 7 Jahre wohnen wir hier.		დაახლოებით 7 წელია, რაც ჩვენ აქ ვცხოვრობთ.

9.2 ზმნიზედის შედარებითი ხარისხები (Steigerungsstufen der Adverbien)

უმრავლესობა ზმნიზედებისა არ იცვლება. შედარებითი ხარისხები გააჩნია მხოლოდ ზმნიზედას, რომელიც ფორმით მოკლე ზედსართავ სახელს ემთხვევა. იგი შედარებით ხარისხებს აწარმოებს ისევე, როგორც მოკლე ზედსართავი სახელები: დადებითი (Positiv), შედარებითი (Komparativ)-er აღმატებითი (Superlativ)-am(e)sten. (იხ. ზედ. სახელი (54.1-54.5.1))

9.2.1 მაგალითები (Beispiele)

Positiv	Komparativ	Superlativ	ქართულ ენაზე
klug	klüger	am klügsten	გონივრულად
schnell	schneller	am schnellsten	ჩქარა
groß	größer	am größten	დიდად და ა.შ.

ზმნიზედები hoch, nah, gern, oft, bald, wenig, viel, gut შედარებით ხარისხებს აწარმოებენ ზოგად წესიდან გადახვევით:

hoch	höher (და არა hoher)	am höchsten	მალა
nah	näher	am nächsten	ახლო
gern	lieber	am liebsten	სიამოვნებით
gut	besser	am besten	კარგად
oft	öfter	am öftesten	ხშირად
bald	eher	am ehesten	ჩქარა
wenig	minder	zum mindesten!	ცოტა
	weniger	am wenigsten	
viel	mehr	am meisten	ბევრი

Manfrid weiß sehr viel.

მანფრედმა ძალიან ბევრი იცის.

Du weißt mehr als er.

შენ მეტი იცი, ვიდრე მან.

9.2.2 მითითებანი ზმნიზედის შედარებითი ხარისხებისათვის (Hinweise zur Steigerung der Adverbien)

- ა. არსებობს ზმნიზედის Komparativ+მეორე ზმნიზედა immer: immer + lauter, immer + mehr, immer + höher და ა.შ.

Das Flugzeug steigt immer höher und höher. თვითმფრინავი ადიოდა სულ უფრო მაღლა და მაღლა.

- ბ. ზმნიზედის Superlativ-ი:

- განმტკიცება თავსართის aller-მეშვეობით:

am allerschönsten, am allerbesten

და ა.შ.

Er hat am allerbesten gesungen.

მან ყველაზე უკეთ იმღერა.

- ზმნიზედის მაღალი ინტენსივობა შედარების გარეშე "am"-ს ცვლის aufs (auf das)... ან im...:

aufs köstlichste, im geringsten

და ა.შ.

Wir werden aufs köstlichste bewirtet.

ჩვენ გაგვიმასპინძლებიან უმაღლეს დონეზე (უგემრიელესი კერძებით).

Ich bin nicht im geringsten beeindruckt.

ჩემი შთაბეჭდილება არ ასულა უმაღლეს დონემდე (ე.ი. არ აღფრთოვანებულვარ)

- am ნაწილაკის გარეშე-

höchst-უმაღლეს ხარისხში, ძალზე	höchstens-უმაღლესი (მაქსიმუმ)
demnächst-შემდეგ ჯერზე	nächstens-შემდეგ ჯერზე
meist-მეტწილად	meistens-უმეტესად
längst-დიდი ხნის წინ	längstens-არა უგვიანეს
möglichst-შეძლებისდაგვარად	wenigstens-უმცირესი (მინიმუმ)
allerletzt-სულ ბოლოს	mindestens-უმცირესი (მინიმუმ)
fürs nächste-სულ მალე	

და ა.შ.

Das ist **höchst** interessant.
Sie hat **meist** wenig Geld.
Sie brauchen **höchstens** 20 Minuten.

ეს ძალზე საინტერესოა.
მას მეტწილად ცოტა ფული აქვს.
თქვენ მაქსიმუმ 20 წუთი გჭირდებათ.

9.3 ზმნიზედის ადგილი წინადადებაში (Stellung des Adverbs im Satz)

- ა. თუ ზმნიზედა მეორე ზმნიზედას ან ზედსართავ სახელს აძლიერებს, იგი დგას ამ სიტყვის წინ.
- Dein Gedicht ist **ganz** anders als ich dachte. შენი ლექსი სულ სხვაგვარია, ვიდრე მე წარმომედგინა.
- Er kommt leider **nur** selten zu uns. სამწუხაროდ, იგი იშვიათად მოდის ჩვენთან.
- Das war ein **recht** guter Film. ის მართლაც კარგი ფილმი იყო.
- Er zeigt eine **höchst** bedenkliche Neigung zur Trunksucht. იგი სმისადმი ძალზე დამაფიქრებელ მიდრეკილებას ამჟღავნებს.
- გამონაკლისი "genug" (საკმაოდ) დგას ზმნიზედის ან ზედსართავი სახელის შემდეგ.
- Wir gehen **häufig** genug ins Kino! ჩვენ საკმაოდ ხშირად დავდივართ კინოში!
- Dieser Käse ist **teuer** genug! ეს ყველი საკმაოდ ძვირია!
- ბ. თუ ზმნიზედა ზმნასთან ახლოს დგას, ეს ზმნიზედა იკავებს ადგილს ზმნის შემდეგ (როდესაც წინადადება არსებითი სახელით იწყება).
- Sabine fliegt **morgen** nach Wien. საბინე ხვალ ვენაში მიფრინავს.
- Der Junge spielt **draußen** mit seinen Freunden. ბიჭუნა თამაშობს გარეთ თავის მეგობრებთან ერთად.
- Er fiel **rückwärts** von der Leiter. ის კიბიდან გადავარდა (უკან).
- თუ წინადადება სხვა წევრით იწყება, ზმნიზედა დგას სუბიექტის შემდეგ ან წინადადების ბოლოში.
- Die Ausstellung habe ich **gestern** schon gesehen. გამოფენა გუშინ მე უკვე დავათვალიერე.
- Am Bahnhof begegneten wir **zufällig** unserer Nachbarin. სადგურზე ჩვენ შემთხვევით ჩვენს მეზობელს შევხვდით.
- Zu diesem Fischgericht empfehle ich ihnen **Rosewein** ganz **besonders**. თევზის ამ კერძთან მე გირჩევთ (განსაკუთრებით) წითელ ღვინოს.
- In diesem Urlaub verloren wir die Kamera **glücklicherweise** nicht. საბედნიეროდ, ამ შვებულების დროს კამერა არ დაგვიკარგავს.
- თუ შემასმენელი რთულია ან იგი წინადადების ბოლოში დგას, მაშინ ზმნიზედა იკავებს ადგილს საუღლებელი ზმნის წინ.
- Er hat deinen Brief **noch** nicht gelesen. მას შენი წერილი ჯერ არ წაუკითხავს.
- Ulrike wäre bei diesem Wetter lieber früher **nach** Hause gegangen. ასეთ ამინდში ულრიკეს ერჩივნა, უფრო ადრე წასულიყო შინ.
- Ich kaufe den neuen Roman von N.N., weil ich seine Werke **gerne** lese. მე ვიყიდი (ან ვყიდულობ) N.N-ის ახალ რომანს, რადგან მის ნაწარმოებებს სიამოვნებით ვკითხულობ.

Die Konjunktion/Das Bindewort

- კავშირი აერთებს სიტყვებს, წინადადების წევრებს ან წინადადებას.
- უცვლელი მეტყველების ნაწილია.
- კავშირი ზოგჯერ სხვა მეტყველების ნაწილისგან წარმოსდგება; მაგ. წინდებული (bis), ზმნიზედა (daher), კითხვითი სიტყვა (wie?) და ა.შ.
- არსებობს მათრთებელი (nebenordnend) და მაქვემდებარებელი (unterordnend) კავშირი.

10.1 კავშირის კლასიფიკაცია (Klassifizierung der Konjunktion)

10.1.1. კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (Klassifizierung dem Bau nach)

ა. მარტივი: (einfach):

und-და auch-აგრეთვე nur-მხოლოდ oder-ან als-როდესაც wenn-როდესაც	wie-როგორც weil-რადგან so-ასე aber-მაგრამ doch-მაინც	და ა.შ.
--	--	---------

ბ. ნაწარმოები (abgeleitet) მიიღება სუფიქსებით:

-s-falls-იმ შემთხვევაში, თუ... -(e)ns-zweitens - მეორე(ც)	-lich-folglich-მაშასადამე, შედეგად -er-ferner-ამასთან	და ა.შ.
--	--	---------

გ. რთული (zusammengesetzt) კავშირი მიიღება ორი ნაწილის შეერთებით (zweiteilige Konektoren), რომელთაგან ზოგიერთი იწერება ერთად, ზოგი- ცალ-ცალკე:

• ორნაწილიანი (zweiteilig)

endlich-ბოლოს და ბოლოს deshalb-ამიტომ bis dass-იქამდე, ვიდრე	außerdem-გარდა ამისა als ob-თითქოს dessenungeacht et-მიუხედავად ამისა	და ა.შ.
--	---	---------

• მრავალწევრიანი (mehrgliedrig)

sowohl-als auch-როგორც...ასევე weder-noch-არც-არც entweder-oder-ან-ან bald-bald-ხან-ხან teils-teils-ნაწილი-ნაწილი nicht nur-sondern auch-არა მარტო - არამედ აგრეთვე einerseits-andererseits-ერთი მხრივ - მეორე მხრივ	je-desto- je-umso- je-je- insofern-als-რამდენადაც-იმდენად halb-halb-ნახევრად-ნახევრად	} რაც უფრო-მით...
--	---	-------------------

10.1.2 კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით (Klassifizierung dem Inhalt nach)

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით კავშირი იყოფა ორ ჯგუფად:

- მერთებელი (nebenordnend): und, auch... -და, აგრეთვე... და ა.შ.
- მაქვემდებარებელი (unterordnend): dass, ob, wo... -რომ, თუ, სადაც... და ა.შ.

ზოგიერთი კავშირი შეიძლება იყოს ხან მერთებელი, ხან მაქვემდებარებელი. ქვემოთ მოყვანილ დაჯგუფებაში ნაჩვენებია იქნება კავშირის ფუნქციის თავისებურებები (იხ. სინტაქსი 5.1.2)

10.1.2.1 მაჯგუფებელი, განმარტებითი, გამანაწილებელი (Anreihung, Erklärung, Einteilung)

ყველა ეს კავშირი მერთებელია (იხ. სინტაქსი 5.1.3.1)

ა. მაჯგუფებელი (Anreihung)

und-და auch-აგრეთვე oder-ან zudem-ამასთან außerdem-გარდა ამისა wie-როგორც sowie-ისე, როგორც dann-შემდეგ weiter-შემდეგ danach-მას შემდეგ nachher-მას შემდეგ endlich-ბოლოს	weder-noch-არც-არც sowohl-als auch-როგორც-ასევე erst-მხოლოდ/პირველად (დროის შესახებ) überdies-ამას გარდა desgleichen-მსგავსად ამისა ferner-(ამის) შემდეგ zuletzt-უკანასკნელად schließlich-დასასრულს ebenso-ასევე nicht nur-sondern auch-არა მარტო, არამედ აგრეთვე zunächst-თავდაპირველად და ა.შ.
---	---

Ich will weder stehen noch liegen.

Wir geben uns große mühe und der Dirigent lobt uns oft.

Die Sonne scheint, auch die Vögel zwitschern.

Sowohl die Gäste aus Osten als auch aus Westen sind schon an Ort und Stelle.

Lange wanderten die Flüchtlinge durch die Länder, schließlich kehrten sie in ihre Heimat zurück.

Nicht nur leibliche, sondern auch seelische Schönheit schmückt den Menschen.

Wir machen eine Pause, danach proben wir die Ouvertüre zu "Tannhäuser" von Richard Wagner.

Ich widme ihm ein Poem oder eine Ode.

Er sprang auf und lief fort.

მე არ მსურს არც დგომა, არც წოლა.

ჩვენ ძალას არ ვიშურებთ და დირიჟორი ხშირად გვაქვებს.

მზე ანათებს, ჩიტებიც ჟღერტულევენ.

სტუმრები, როგორც აღმოსავლეთიდან, ასევე დასავლეთიდან, უკვე ადგილზე არიან.

დიდხანს იხეტიალეს ლტოლვილებმა ქვეყნებში, ბოლოს დაბრუნდნენ სამშობლოში.

არა მხოლოდ სხეულებრივი, არამედ სულიერი მშვენიერებაც ამკობს ადამიანს.

ცოტა ხანს ვისვენებთ, შემდეგ გავდივართ რიჰარდ ვაგნერის „ტანჰოიზერის“ უვერტურის რეპეტიციას.

მე მას მივუძღვნი პოემას ან ოდას.

იგი წამოხტა და გაიქცა.

ბ. განმარტებითი (Erklärung)

selbst-თვით (თვითონ) sogar-ც...კი und zwar-კერძოდ	beziehungsweise-(b.z.w) შესაბამისად oder vielleicht-ან იქნებ nämlich-სახელდობრ და ა.შ.
---	---

Ich besuche dich bald, nämlich nach Ostern.

მე შენ მალე გეწვევი, სახელდობრ, აღდგომის შემდეგ.

გ. გამანაწილებელი (Einteilung)

bald-bald-ხან-ხან teils-teils-ნაწილ-ნაწილ einerseits-andererseits-ერთი მხრივ-მეორე მხრივ	halb...halb-ნახევარი-ნახევარი erstens-zweitens-ჯერ ერთი-მეორეც	და ა.შ.
--	---	---------

Die Konzertbesucher waren teils Jugendliche, teils ältere Menschen.

კონცერტის მსმენელნი იყვნენ ნაწილი ახალგაზრდები, ნაწილი-უფროსები.

10.1.2.2 მაპირისპირებელი (Entgegenstellung)

მაპირისპირებელი კავშირები მეტწილად მაერთებელია (nebenordnend) (იხ. სინტაქსი 5.1.3.2)

aber-მაგრამ allein-მაგრამ, მაინც doch-მაინც jedoch-მაინც dennoch-მაინც indessen-ამასობაში (დროის ამ მონაკვეთში)	trotzdem-მიუხედავად ამისა vielmehr-ბევრად მეტი dagegen-სამაგიეროდ hingegen-პირიქით nicht-sondern-არა-არამედ nur-მხოლოდ allerdings-რასაკვირველია, მართალია	და ა.შ.
--	---	---------

Heute hast du Kummer, aber morgen wirst du ein großer Künstler sein!

დღეს კი იტანჯები, მაგრამ ხვალ დიდი ხელოვანი გახდები!

Mariam fühlte sich heute nicht wohl, doch besuchte sie mich.

მარიამი დღეს თავს ვერ გრძნობდა კარგად, (მაგრამ) მაინც მესტუმრა.

- მხოლოდ მცირე ნაწილი კავშირებისა არის მაქვემდებარებელი (unterordnend), კერძოდ, während (მაშინ, როდესაც), wohingegen (საპირისპიროდ).

Ich bin dafür, während mein Bruder dagegen ist.

მე თანახმა ვარ (ასეთია ჩემი შეხედულება) მაშინ, როდესაც ჩემი ძმა ამის საპირისპიროს ამტკიცებს.

10.1.2.3 მაცალკეებელი (Ausschließung)

მხოლოდ მაერთებელი (nebenordnend) (იხ. სინტაქსი 5.1.3.3):

oder-ან entweder-oder-ან-ან sonst-თორემ	anderenfalls-სხვა შემთხვევაში im anderen Fall-სხვა შემთხვევაში	და ა.შ.
---	---	---------

Fliegst du heute oder morgen?

დღეს მიფრინავ თუ ხვალ?

Entweder du kommst jetzt sofort, oder gar nicht.

ან ახლავე მოხვალ, ან-საერთოდაც არა.

Geh gleich nach Hause, sonst bekommst du Ärger!

წადი ახლავე შინ, თორემ იცემები.

10.1.2.4 ადგილის (Ortsbestimmung)

- ა. მაერთებელი (nebenordnend):

daher-იქედან (აქეთ) dahin-იქამდე	da-იქ/აქ dort-იქ	და ა.შ.
-------------------------------------	---------------------	---------

Kennen Sie Salzburg? Daher komme ich.

იცით თქვენ ზალცბურგი? მე იქიდან გახლავართ.

ბ. მაქვემდებარებელი (unterordnend):

wo-სადაც	wohin-საითაც	woher-საიდანაც
----------	--------------	----------------

Ich möchte eine Wohnung finden, wo viel
Flieder blüht.
Das ist Murnau, wohin wir jetzt fahren.

მე მინდა ბინა იქ მოვძებნო, სადაც
ბევრი იასამანი ყვავის.
ეს გახლავთ მურნაუ (ქალაქი), საითაც ჩვენ
ახლა მივემართებით.

10.1.2.5 დროის (Zeitbestimmung)

ა. მერთებელი (nebenordnend):

da-ახლა zuvor-ამის წინ, ჯერ dann-შემდეგ seitdem-მას შემდეგ, რაც	indessen-ამასობაში, თუმცა eher-ადრე darauf-(ამის) შემდეგ	zugleich-მაშინვე vorher-წინათ später-მოგვიანებით
--	--	--

Erst essen wir, dann singen und tanzen wir!

ჯერ მივირთვით, შემდეგ ვიმღეროთ და
ვიცეკვოთ!

ბ. მაქვემდებარებელი (unterordnend):

wenn-როცა indessen-განმავლობაში ehe-ის-ის იყო nachdem-მას შემდეგ, რაც	als-როცა da-როდესაც während-განმავლობაში bevor-ვიდრე seit-ამ დროიდან	wie-როგორც indem-მაშინ, როდესაც bis-იქამდე (იმ დრომდე) solange-იმდენ ხანს sooft-ყოველთვის, როდესაც
--	--	--

Sie bekam Angst, als es dunkel wurde.

იგი შეშინდა როცა დაბნელდა.

Das Publikum merkt es, wenn der Musiker nicht
viel übt.

პუბლიკა ამჩნევს, როცა მუსიკოსი ბევრს
არ ვარჯიშობს.

Nachdem er das Testament gemacht hatte, lebte
er noch 30 Jahre.

მას შემდეგ, რაც მან ანდერძი შეადგინა,
კიდევ 30 წელი იცოცხლა.

10.1.2.6 ვითარების (Art und Weise)

ა. მერთებელი (nebenordnend):

შედარებითი (vergleich)	
so-ასე so...wie-ისე, როგორც wie-როგორც als-ვიდრე	denn-რადგან also-მაშასადამე ebenso...wie-ისევე, როგორც genauso...wie-ისევე, როგორც
ხარისხობრივი (Steigerung) besonders-განსაკუთრებით, umso-მით უფრო, desto-მით უფრო	
შემავესებელი (Ergänzung) geschweige...(denn)-(...ზე) რომ აღარაფერი ვთქვათ, განსაკუთრებით	
დაღმავალი (Einschränkung) insofern, insoweit-რამდენადაც, ამდენად	

Er ist nicht so alt wie seine Frau.

ის არც ისე ხნიერია, როგორც მისი ცოლი.

Diese Jacke gefällt mir, besonders der Schnitt.

ეს პიჯაკი მე მომწონს, განსაკუთრებით

Er darf keine Süßigkeiten essen, **geschweige denn** Schokolade.

(მისი) თარგი.

მას აკრძალული აქვს ტკბილეული, შოკოლადზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ბ. მაქვემდებარებელი (unterordnend):

მოდალური (Modus)	
dadurch, dass- იმის წყალობით, რომ	
შედარებითი (Vergleich)	
wie-როგორც gleichwie-ისევე როგორც so-ისე so wie-ისე, როგორც	als, als ob-თითქოს als wenn-თითქოს wie wenn-თითქოს
ხარისხობრივი (Steigerung):	
je...je, je...desto / je...um so-რაც უფრო მით უფრო.	
შემაჯავებელი (Ergänzung):	
kaum, dass-მხოლოდ / დიდი-დიდი, ohne, dass-ისე, რომ არ... ohne zu-რადაცის გარეშე, (an) statt dass-იმის ნაცვლად.	
დაღმავალი (Einschränkung):	
sofern, soweit-რამდენადაც, nur, dass-მხოლოდ ის, რომ...	

და ა.შ.

Dadurch, dass sie bald zurückkommt, können wir die Gedichte übersetzen.
 Du bist sehr hübsch, so wie deine Schwester.
 Der Professor hat dem Studenten eine Note gegeben, ohne dass er ihn geprüft hat.
 Er betrachtet das Porträt, als ob es sein Selbstbildnis wäre.
 Alles lief glatt, als noch der König auf dem Thron saß und das Land regierte.
 Sie tat so, als ob sie fest schliefte.
 Je länger der Regen andauerte, desto verzweifelter wurden die Wanderer.
 Er kennt den Schriftsteller nicht, kaum dass er ein paar Titel weiß.

იმის წყალობით, რომ იგი მალე დაბრუნდება, ჩვენ შევძლებთ ლექსების თარგმნას.
 შენ ისევე მშვენიერი ხარ, როგორც შენი და.
 პროფესორმა სტუდენტს ნიშანი დაუწერა, ისე, რომ არ გამოუცდია.
 იგი ისე ათვალისწინებს სურათს, თითქოს ის თავისი ავტოპორტრეტი იყოს.
 ყველაფერი კარგად მიდიოდა, თითქოს მეფე ჯერ კიდევ ტახტზე იჯდა და სახელმწიფოს მართავდა.
 იგი ისე მოიქცა, თითქოს ღრმად ეძინა.
 რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა წვიმა, მითმეტად ეკარგებოდათ იმედი ექსკურსანტებს.
 იგი არც იცნობს მწერალს, დიდი-დიდი (მისი) ნაწარმოების რამდენიმე სათაური იცოდეს.

10.1.2.7 მიზეზის (Grund), მიზნის (Zweck), შედეგის (Folge), დათმობითი (Einräumung), პირობითი (Bedingung)

ა. მერთებელი (nebenordnend) (იხ. სინტაქსი 5.1.3.4)

მიზეზის (Begründung)-denn-რადგან, ja-დიახაც
მიზნის (Zweck)-dazu, darum-ამისთვის (ამ მიზნით)
საბაბის (Ursache)-denn-რადგან
შედეგის (Folge)-also-მაშასადამე, deswegen, deshalb, darum-ამიტომ, folglich-(ამის) შედეგად, infolgedessen-ამის გამო, somit-ამ მიზეზით, მაშასადამე
პირობითი (Bedingung)-andererfalls-წინააღმდეგ შემთხვევაში, sonst-თორემ
დათმობითი (Einräumung)-trotzdem-მიუხედავად, jedoch, zwar, aber-თუმცა...მაგრამ

Ich kann dir leider nicht helfen, denn ich habe selbst viel zu tun.	სამწუხაროდ, მე ვერ დაგეხმარები, რადგან თვითონ მაქვს ბევრი სამუშაო.
Bald beginnt die Weihnachtszeit, also kommt der Botschafter noch nicht.	მალე იწყება შობის დღეები, მაშასადამე, ელჩი ჯერ ვერ ჩამოვა.

ბ. მაქვემდებარებელი (unterordnend):

შედეგის (Folge)-dass-რომ, so dass-ასე რომ (შედეგად), weshalb, weswegen-რის შედეგად, zu...als dass, zu...umzu-მალიან...რათა, ohne zu, ohne dass-გარეშე
პირობითი (Bedingung)-falls, im Folge dass-იმ შემთხვევაში თუ...wenn, sofern-თუ
მიზეზის (Begründung)-da, weil-რადგან, um so mehr als-მით უფრო მეტად, ვიდრე
მიზნის (Zweck)-damit, um...zu-რათა.
დათმობითი (Einräumung)-obwohl, obgleich-თუმცა, wenn...auch-კიდევ რომ, ungeachtet-მიუხედავად

Inge hat Salz vergessen, so dass die Suppe fad schmeckt.	ინგას მარილი დაავიწყდა, შედეგად სუპი უგემური გამოვიდა.
Würdest du mich anrufen, wenn ich dir meine Nummer gebe.	დამირეკავ ჩემი ნომერი რომ მოგცე?
Falls du mir nicht helfen kannst, bitte ich jemand anderen.	იმ შემთხვევაში, თუ შენ ჩემ დახმარებას ვერ შეძლებ, სხვა ვინმეს ვთხოვ.
Ich habe sie angerufen, damit sie den Termin nicht vergisst.	მე მას დავურეკე, რათა შეხვედრა არ დავიწყებოდა.
Obwohl ich wenig Geld habe, lade ich dich ein.	თუმცა მე ცოტა ფული მაქვს, მაინც გეპატიჟები.

10.1.2.8 დამოუკიდებელი მნიშვნელობის გარეშე (ohne Bedeutungsinhalt)

ა. მერთებელი (nebenordnend): als-როგორც..., wie-როგორც და ა.შ.

Du als Lehrer musst es wissen.	შენ, როგორც პედაგოგმა, ეს უნდა იცოდე.
Ein Schäferhund gilt als treu.	მეცხვარე ძაღლი ერთგულია.
Es regnet, wie du siehst.	წვიმს, როგორც ხედავ.

ბ. მაქვემდებარებელი (unterordnend) dass-რომ, ob-თუ არა და ა.შ.

Die kleine Eka sagte mir ins Ohr, dass sie alles umgekehrt machen wolle.	პატარა ეკამ გამანდო, რომ ყველაფრის უკუღმა გაკეთება სურს.
Ich weiß nicht, ob er kommt.	მე არ ვიცი, მოვა ის თუ არა.

10.1.2.9 მაქვემდებარებელი კავშირი-სხვა მეტყველების ნაწილი
(Unterordnende Konjunktionen nach Wortarten)

წინადადებაში მაქვემდებარებელი (unterordnend) კავშირის ფუნქციას ასრულებს აგრეთვე:

- ა. ნაცვალსახელი (Pronomen): wer (ვინც), was (რაც)
der, die, das / die,
welcher, welche, welches / welche (რომელიც);
was für ein (eine, ein) was für (როგორც) და ა.შ.
- Er besaß fast alles, **was** für mich so wertvoll ist. იგი ფლობდა თითქმის ყველაფერს, რაც ჩემთვის ასე ღირებულია.
- Sag mal endlich, **wer** heute kommt! მითხარი, ბოლოს და ბოლოს, დღეს ვინ ჩამოდის!
- ბ. ზმნიზედა (Adverb): wo (სად(აც)), wie (როგორც), wohin (საით(აც)), woher (საიდან(აც)), wann (როდის) და ა.შ.
- Köln ist eine Stadt, **wo** ich gerne wohnen würde. კიოლნი ის ქალაქია, სადაც მე სიამოვნებით ვიცხოვრებდი.
- Nanette ist doch intelligent, **wie** ich mir schon gedacht habe. ნანეტი სწორედაც ინტელიგენტია, როგორც მე წარმომედგინა.
- Sag mir endlich, **wann** er kommt! მითხარი, ბოლოს და ბოლოს, როდის ჩამოდის!
- გ. ნაცვალსახელი-ზმნიზედა (Pronominaladverb): womit (რით(აც)), wozu (რისთვის(აც)), wofür (რისთვის(აც)), wobei (რასთან(აც)), wonach (რის შემდეგ(აც)) და ა.შ.
- Es ist mir ganz egal, **wozu** er das nötig hat. არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, რისთვის სჭირდება მას ეს.
- Sag mal endlich, **womit** er kommt! მითხარი ბოლოს და ბოლოს რით ჩამოდის!

შენიშვნა: კავშირის ზოგიერთი სახელწოდება თარგმნილია შინაარსთან მიახლოებით იმ შემთხვევაში, თუ ქართული ენის გრამატიკაში მისი ზუსტი შესატყვისი არ მოიპოვება.

10.2 კავშირის ხმარება (Gebrauch der Konjunktion)

10.2.1. მაერთებელკავშირიანი წინადადების სიტყვათა წყობა (Wortstellung im Satz mit einer nebenordnenden Konjunktion)

- ა. მაერთებელი კავშირები-und, aber, allein, denn, sondern, oder, nicht-sondern, nicht nur-sondern auch და სხვა არ ცვლის წინადადებაში სიტყვათა წყობას (keine Umstellung), ანუ ზმნა დგას მეორე ადგილას (Verb-Position 2), ეწოდება "echte Konjunktion." კავშირი დგას დამოკიდებული წინადადების თავში (Position 1) (იხ. სინტაქსი 5.1.2.1)
- Im Garten sang die Nachtigall, **auch** das Bächlein murmelte. ბულბული გალობდა, ნაკადულიც რაკრაკებდა.
- Simone arbeitete nur halbtags, **aber** sie verdient genug Geld. სიმონე ნახევარ დღეს მუშაობს, მაგრამ საკმაო ფულს გამოიმუშავებს.
- Gehst du, **oder** bleibst du? მიდიხარ თუ რჩები?
- Ich habe es nicht getan, **sondern** ich habe mein Manuskript abgeschlossen. მე ეგ კი არ გამიკეთებია, (არამედ) ჩემი ხელნაწერი დავასრულე.

- aber, აგრეთვე, კავშირები: ja, nein, nur, nämlich დგას ხან დამოკიდებული წინადადების თავში, ხან შუაში.

Simone arbeitete nur halbtags, sie verdient aber genug Geld.

სიმონე ნახევარ დღეს მუშაობს, მაგრამ საკმარის ფულს იღებს.

Ich komme später, ich habe nämlich verschlafen.

მე მოგვიანებით მოვალ, რადგან ჩამძინებია.

- ბ. მართებული კავშირები-also, folgend, folglich, weder-noch, teils-teils, bald-bald, darum და ა.შ.

მოქმედებს სიტყვათა წყობაზე ისევე, როგორც წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, ეწოდება "unechte Konjunktion". ზმნა რჩება მეორე ადგილზე (Position 2) კავშირის შემდეგ. სუბიექტი დგას მესამე ადგილზე.

Bald regnet es, bald scheint es.

ხან წვიმს, ხან მზე ანათებს.

Am Morgen regnete es in Strömen, also müssen wir zu Hause bleiben.

დილით კოკისპირულად წვიმდა, მაშასადამე, შინ უნდა დავრჩენილიყავით.

Ich kenne weder ihren Lebensstil, noch interessieren mich ihre finanziellen Verhältnisse.

მე არც მათ ცხოვრების სტილს ვიცნობ, არც მათი ფინანსური მდგომარეობა მაინტერესებს.

Er wollte seinen Lebensstil ändern, darum zieht er von zu Hause aus.

მას ცხოვრების სტილის შეცვლა უნდოდა, ამიტომ მიდის სახლიდან.

10.2.2 მაქვემდებარებელკავშირიანი წინადადების სიტყვათა წყობა (Wortstellung im Satz mit einer unterordnenden Konjunktion)

მაქვემდებარებელი კავშირი, როგორც წესი, დგას დამოკიდებული წინადადების თავში, მის შემდეგ ქვემდებარე (განსაზღვრებით) და დანარჩენი მეორეხარისხოვანი წევრები. ბოლო ადგილზე კი დგას შემასმენელი (ზმნა) (Verb an letzter Position). ამასთან, შემასმენლის ცვალებადი ნაწილი (Hilfsverb, Modalverb) იჭერს სულ ბოლო ადგილს, ხოლო უცვლელი ნაწილი (Infinitiv, Partizip II) დგას ბოლოდან მეორე ადგილზე. ყველა მაქვემდებარებელ კავშირს ეწოდება "echte Konjunktion."

Sie fragte mich, ob ich Spenglers Werke kenne.

მან მკითხა, ვიცნობ თუ არა შპენგლერის თხზულებებს.

Ich habe geantwortet, dass ich leider nur den "Untergang des Abendlandes" gelesen habe.

მე ვუპასუხე, რომ სამწუხაროდ, მხოლოდ „ევროპის მზის ჩასვენება“ მქონდა წაკითხული.

Vater sagt, dass er Hochmut und Trägheit nicht völlig überwinden kann.

მამა ამბობს, რომ მას არ ძალუძს სრულად ამპარტავნებისა და მცონარობის დათრგუნვა.

Es gibt viele Gründe, weshalb man bei uns so wenig Kinder hat.

ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, რომ ჩვენთან ასე ცოტა შვილები ჰყავთ.

Obwohl er zu Hause war, hat dem Vater nicht geholfen.

თუმცა ის შინ იყო, მამას არ მიეხმარა.

- მაქვემდებარებელი კავშირი მთავარი წინადადების წყობაზეც მოქმედებს, თუ იგი თავში დგას: ზმნა იკავებს პირველ ადგილს (Position 1)

Ob mein Lieblingsort die Tennisplätze sind, fragt er mich.

იგი მეკითხება, არის თუ არა ჩემი საყვარელი ადგილი ჩოგბურთის კორტები.

10.3 კავშირი (Die Konjunktion)

სქემა

კავშირის წარმოება Bildung der Konjunktion		
მარტივი (einfach)	ნაწარმოები (abgeleitet)	როული (zusammengesetzt)
auch, nur, oder	falls, folglich	als, ob, außerdem

კავშირის კლასიფიკაცია (Einteilung der Konjunktion)	
მაერთებელი (nebenordnend) und, auch	მაქვემდებარებელი (unterordnend) dass, ob
<p>1. მაკავშირებელი (Anreihung): und, auch, zudem, ausserdem, wie, sowie, dann, weiter, nach, nachher, endlich, bald-bald, sogar, weder-noch, halb-halb, einerseits-andererseits, sowohl-als auch, überdies, desgleichen, erst, zuerst, ferner, zuletzt, schließlich, erstens, zweitens, entweder, selbst, ebenso, nicht nur-sondern auch, teils-teils</p> <p>2. მაპირისპირებელი (Entgegenstellung) aber, allein, doch, jedoch, dennoch, indessen, vielmehr, dagegen, hingegen, nicht-sondern, allerdings, während</p> <p>3. მაცალკევებელი (Ausschließung) entweder...oder, sonst</p> <p>4. ადგილის (Ortsbestimmung) dahin, daher</p> <p>5. დროის (Zeitbestimmung) zugleich, zuvor, später</p> <p>6. ვითარების (Art und Weise) wie, als, umso.</p> <p>7. მიზეზის, მიზნის, შედეგის, დათმობითი პირობითი. (Grund, Zweck, Folge, Einräumung, Bedingung) denn, somit, nämlich, also, folglich, deshalb, trotzdem, jedoch, obwohl, ungeachtet</p> <p>8. დამოუკიდებელი მნიშვნელობის გარეშე (ohne Bedeutungsinhalt) als, wie, dass, ob</p>	<p>1. ადგილის (Ortsbestimmung) wo, wohin, woher</p> <p>2. დროის (Zeitbestimmung) als, wenn, da, ehe, bevor, bis, nachdem, seitdem, indem, indessen, während, solange, sobald, sooft, wie, kaum dass</p> <p>3. ვითარების (Art und Weise) ohne dass, wie, als, als ob, wie wenn</p> <p>4. მიზეზის (Grund) da, weil, damit, dass, auf dass, so dass, wenn, falls, obwohl, trotzdem</p> <p>5. დამოუკიდებელი მნიშვნელობის გარეშე (ohne Bedeutungsinhalt) als, wie</p> <p>მაკავშირებელი სიტყვები: 1. ნაცვალსახელი: wer, was; der, die, das, die; welcher, welche, welches, welche; was für ein (eine, ein), was für 2. ზმნიზედა: wo, wohin, woher, wann, wie. 3. ნაცვალსახელური ზმნიზედა: womit, wozu, wofür, wonach, wobei</p>

(იხ. სინტაქსი, როული წინადადება 5)

შორისდებული Die Interjektion/Das Empfindungswort

შორისდებული მეტყველების უცვლელი ნაწილია. იგი გამოხატავს სხვადასხვაგვარ გრძნობას, არ აქვს წინადადებაში სინტაქსური დატვირთვა. იგი სათქმელს აძლევს ემოციურ შეფერილობას. არ ცვლის სიტყვათა წყობას.

- გერმანულ ენაში განასხვავებენ შორისდებულთა ორ ძირითად ჯგუფს:
 - ძირეული (echt)
 - წარმოქმნილი (unecht): ნაწარმოები სხვა სიტყვებისგან

11.1 ძირეული შორისდებული (Echte Interjektion)

- ა. ალტაცების, წუხილის, გაოცების, გაკვირვების შემახილები - (Empfindungslaute) Ach! Oh! Ei! და ა.შ.
- ბ. მიმართვები გამოწვევა (Zurufe)
- | | |
|----------------------|--------------------|
| Auf!-ადექი! | Hallo!-მისალმება |
| Stop! Halt!-შეჩერდი! | He! Heda!-შენ, ეი! |
| Hier!-ინებეთ! | Pst! Scht!-ჩუ! სუ! |
| Zurück!-დაბრუნდი! | და ა.შ. |
- გ. ბუნებაში არსებობს ხმების მიბაძვა (Naturstimmennachahmung)
- Miau! Kuck-Kuck! Wau-Wau! (ცხოველთა და ფრინველთა) Tick-Tack!-საათის ხმა Bim-Bam!-ზარის ხმა.

11.2 წარმოქმნილი შორისდებული (Unechte Interjektion)

წარმოქმნილს მიეკუთვნება მეტყველების სხვა ნაწილებისგან ნაწარმოები შორისდებულები:

Mein Gott!-ღმერთო ჩემო!	Fort!-შორს!
Zum Teufel!-ემშაკმა დალახვროს!	Verdammt!-წყეულიმც იყოს!
Los!- კმარა!	

11.3 შორისდებული შინაარსის მიხედვით (dem Inhalt nach)

- ა. სიხარულის გამოხატვა (Freude) ei! juhe! heisa! hei!
Ei, welch liebliche Stimme! აუჰ, რა სასიამოვნო ხმაა!
- ბ. ტკივილის გამოხატვა (Schmerz). au! o weh! aua!
Aua, mein Fuss! ვაი, (ჩემი)ფეხი!
- გ. შიშის გამოხატველი (Furcht) hu! huhul
Hu, ich habe Angst, so allein in den Wald zu gehen! უჰ, მეშინია მარტო ტყეში წასვლა!
- დ. ალტაცების გამოხატველი (Verwunderung) nanu! eil potz! aha!

- Nanu, was machst du denn hier! დედა, რა მშვენიერია! (აქ რამ მოგიყვანა!)
- გ. დაცინვის, ირონიის, გამომხატველი (Spott) hoho! haha! ätsch!
Hoho, schau mal wie der tanzt! ოჰო. შენ ცეკვა შეგძლება!
- ვ. ეჭვის გამომხატველი (Zweifel) hm! hum!
Hm, das müsste noch einmal geprüft werden! ჰმ, ეს კიდევ ერთხელ უნდა გამოიცადოს!
- ზ. შეძრწუნების, და ზიზღის გამომხატველი (Abscheu, Ekel) ih! pfui! bah! igit! brr!
Pfui, Teufel! ფუჰ, ფუი, ეშმაკს!
- თ. მოწოდება გაჩუმებისკენ (Schweigen) sch! st! pst! still!
Pst! Da kommt jemand! ჩუ! ვიღაც მოდის!
- ი. მოფერება (Liebkosung) eia! eia-eia!
- კ. მიხედრა (Verständnis) aha!
Aha, so ist das also! აჰა, მაშ ასეა საქმე!
- ლ. ცხოველების მოხმობა (Tiere locken)
hu! hott! putt putt! brr!
Brrr, bleib stehen, mein Pferdchen! დრრრ! შეჩერდი ჩემო კვიცო!
- შორისდებული დგას ჩვეულებრივ წინადადების თავში. წერით მეტყველებაში გამოყოფილია მძიმით ან ძახილის ნიშნით.
Na, geh schon! აბა, ახლა კი წადი!

III

სინტაქსი SYNTAX (Satzlehre)

1

შესავალი Einführung

- ყოველი წინადადება შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადების წევრებით. წინადადების წევრი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სიტყვა.
 - წინადადების ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი, წინადადების საყრდენი, არის შემასმენელი (**Prädikat** ანუ **Satzaussage**) იგი ყოველთვის ზმნაა. დანარჩენი წევრები ქმნიან წინადადების ჩარჩოს.
 - შემასმენელთან პირდაპირ კონტაქტში დგას მოქმედი პირი ან საგანი, რის ან ვის შესახებაც შემასმენელი რაღაცას გვაუწყებს. ამ პირს ან საგანს ეწოდება სუბიექტი (**Subjekt** ანუ **Satzgegenstand**) შემასმენელი და სუბიექტი დგანან ერთმანეთის გვერდიგვერდ, გარდა დამოკიდებული წინადადებისა.
 - მარტივი წინადადება (**einfacher Satz**) შედგება სუბიექტისა და შემასმენლისგან. თუ შემოდის სხვა წევრებიც, იქმნება მარტივი გავრცობილი წინადადება (**erweiterter einfacher Satz**). მთავარი წინადადება (**Hauptsatz**) დამოუკიდებელია და დგას ცალკე ან სხვა წინადადებაებთან ერთად. დამოკიდებული წინადადება (**Nebensatz** ანუ **Gliedsatz**) დგას ყოველთვის მთავართან (ან სხვა დამოკიდებულ წინადადებაებთან ერთად).
 - რთულ წინადადებას (**zusammengesetzter Satz**) ქმნის რამდენიმე მარტივი წინადადების კავშირი. რთული თანწყობილი წინადადება (**Satzreihe**) შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი წინადადებისგან. თუ იგი შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებისგან, ეწოდება რთული ქვეწყობილი წინადადება (**Satzgefüge**).
 - რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადებით მიიღება ე.წ. **mehrfach zusammengesetzter Satz**.
 - თუ წინადადება დასრულებულ აზრს გადმოსცემს (მასში შედის ყველა საჭირო წევრი), ეწოდება სრული წინადადება (**vollständiger Satz**), თუ დასრულებული აზრი გადმოცემულია არასრული წინადადებით, ეწოდება (**Kurzatz**, ანუ **Ellipse**).
 - ყოველი წინადადება ბოლოვდება სასვენი ნიშნით-წერტილი, კითხვის ან ძახილის ნიშანი.
 - წინადადების ნებისმიერი პირველი სიტყვა იწყება დიდი ასოთი.
 - წინადადების შინაარსი გადმოიცემა მისი წევრების რიგითობითა და მთლიან ტექსტთან მიმართებით, ზეპირმეტყველებაში-სიტყვათა მახვილით, წინადადების მელოდიით, აგრეთვე საუბრის მთლიან შინაარსთან დაკავშირებით.
 - სასვენი ნიშნებია (**Interpunktionen**): წერტილი (**der Punkt**), მძიმე (**das Komma** ანუ **der Beistrich**), კითხვითი ნიშანი (**das Fragezeichen**), ძახილის ნიშანი (**das Ausrufezeichen**), წერტილ-მძიმე (**der Streichpunkt** ანუ **das Semikolon**), ორი წერტილი (**der Doppelpunkt**), დეფისი (**der Gedankenstrich**), მრავალწერტილი (**Gedankenpunkte**), ბრჭყალები (**das Anführungszeichen** ანუ **die Anführungsstriche**), ფრჩხილები (**die Klammer**).
მეტყველების ნაწილებს (მორფოლოგიურად) ეწოდება წინადადების წევრები (სინტაქსურად).
- წინადადების მთავარი წევრები (**Haupt-Satzglieder**):
- ქვემდებარე (**Subjekt**);
 - შემასმენელი (**Prädikat**) - ზმნური (**verball**) და სახელითი (**nominal**);

■ წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები (Neben-Satzglieder):

- დამატება (Objekt) - პირდაპირი (direkt) და ირიბი (indirekt);
- განსაზღვრება (Attribut) - შეთანხმებული (kongruierend), შეუთანხმებელი (nichtkongruierend), გავერცობილი (erweitert), დანართი (Apposition).
- გარემოება (adverbiale/Bestimmung) - ადგილის (des Ortes), დროის (der Zeit), პირობის (konditional), დათმობითი (konzessiv).

წინადადების დამოუკიდებელი წევრია ქვემდებარე, შემასმენელი, აგრეთვე დამატება, განსაზღვრება და სხვა, რომელიც განმარტავს შემასმენელს.

დამოკიდებული წევრები განმარტავენ წინადადების დანარჩენ წევრებს.

სინტაქსურ მთლიანობას ქმნის წინადადების ის დამოუკიდებელი წევრი, რომელიც მეორეს არ ერწყმის.

● წინადადების წევრის ამოცნობა შეიძლება მისი სხვადასხვა ვარიანტით გადანაცვლების გზით!

Susi	geht	mit ihrer Freundin	am Morgen	in die Schule.
Am Morgen	geht	Susi	mit ihrer Freundin	in die Schule.
Mit ihrer Freundin	geht	Susi	am Morgen	in die Schule.
Geht	Susi	am Morgen	mit ihrer Freundin	in die Schule?

(სუზი დილით მეგობართან ერთად სკოლაში მიდის.)

წინადადების მთავარი წევრები

Die Haupt-Satzglieder

2.1 ქვემდებარე (Das Subjekt/Der Satzgegenstand)

ქვემდებარე არის წინადადების მთავარი წევრი, პიროვნება ან საგანი, რომელიც გვევლინება, როგორც მოქმედების წამყვანი ან რაიმე ნიშან-თვისების მატარებელი. მიუგებს Nominativ-ის კითხვებს: ვინ? (wer?) ან რა? (was?) როგორც წესი, დგას შემასმენლის წინ (ან მის შემდეგ).

2.1.1 ქვემდებარის სახეები (Arten des Subjekts)

წინადადებაში ქვემდებარის როლს ასრულებს არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, Infinitiv-I, ინფინიტივური ჯგუფი, ზმნიზედა, დამოკიდებული წინადადება.

Subjekt im Satz		
Nomen	Nebensätze	InfinitivI/Infinitivgruppe
Pronomen		Advebiale Wortgruppe

2.1.1.1 არსებითი სახელი (ან „გაარსებითებული“ სიტყვა) (Substantiv oder substantiviertes Wort)

არსებითი სახელი შეიძლება იდგეს არტიკლით ან მის გარეშე ან განსაზღვრებით:

Der Professor sprach über Goethe.

პროფესორი გოეთეზე საუბრობდა.

Das Hotel steht hier seit 1950.

ეს სასტუმრო აქ 1950 წლიდან დგას.

München liegt an der Isar.

მიუნხენი იზართან მდებარეობს.

Silke wird am Abend eintreffen.

ზილკე საღამოს ჩამოვა.

Jungen entwickeln sich später als Mädchen.

ვაჟები უფრო გვიან მწიფდებიან, ვიდრე გოგონები.

Die schwarze Tasche gehört mir.

შავი ჩანთა მე მეკუთვნის (ჩემია).

Reife Bananen sind billiger und schmecken besser.

მწიფე ბანანი უფრო იაფია და უფრო გემრიელი.

Das Lesen war ihm ein Bedürfnis.

კითხვა მისი მოთხოვნილება იყო.

Die Hübscheste in der Truppe war Medeja.

დასში უმშვენიერესი მედეა იყო.

Blau ist ihre Lieblingsfarbe.

მისი საყვარელი ფერია ლურჯი.

Die Drei fährt bis zum Bahnhof.

სამიანი მიდის სადგურამდე.

- ხანდახან არსებითი სახელი სუბიექტის როლში დგას შემასმენლის შემდეგ. ასეთი წინადადება იწყება "es"-ით. "es" არ არის სუბიექტი, იგი მხოლოდ მიუთითებს ვინმეზე ან რაიმეზე. "es"-ის ნაცვლად აქ შეიძლება იდგეს ზმნიზედა.

Es war einmal ein armes Mädchen.

იყო და არა იყო რა, იყო საბრალო გოგონა.

Es war ein Unfall passiert.

რაც უბედურება მოხდა.

Einst gingen drei Wanderer durch den Wald.

ერთხელ სამმა მწირმა ტყე გადაჭრა.

2.1.1.2 ნაცვალსახელი (Pronomen)

Sie lasen vieles über Peter Iberi.

მათ ბევრი რამ წაიკითხეს პეტრე იბერის შესახებ.

Ich komme aus dem Emsland.

მე ემსლანდიდან ვარ (მოვდივარ).

Wir sind ins Schwimmbad gegangen.

ჩვენ საცურაო აუზზე წავედით.

Du bist gekommen?!

შენ მოხვედი?!

Der gehört mir!

ეს (ის) მე მეკუთვნის!

• აგრეთვე კითხვითი ნაცვალსახელი (Indefinita)

Wer steht da in der Ecke?	ვინ დგას ეგერ იქ, კუთხეში?
Was gefällt dir nicht?	რა არ მოგწონს?
Was ist kaputt gegangen?	რა გაფუჭდა?

• რიცხვითი სახელები (Zahlwörter)

Alle wollen gleichzeitig drankommen.	ყველას უნდა იქ დროზე იყოს (მოვიდეს).
Drei (Leute) sind gekommen.	სამნი მოვიდნენ.

2.1.1.3 Infinitiv I, ინფინიტიური ჯგუფი (Infinitiv I, Infinitivgruppe)

Infinitiv-ი, როგორც ქვემდებარე გვხვდება მეტწილად ნაწილად "zu"-ს გარეშე. თუ Infinitiv-ს განავრცობს სხვა, მასთან შინაარსობრივად ახლო მდგომი სიტყვები, მაშინ იგი მოცემულია ნაწილად "zu"-თი.

Radfahren ist hier verboten.	ველისოპედით მოძრაობა აქ აკრძალულია.
Schwimmen ist meine beste Erholung.	ცურვა ჩემთვის დასვენების საუკეთესო საშუალებაა.
(Das) Auswendiglernen fällt mir schwer.	ზეპირად დასწავლა მიჭირს.
Schnell zu fahren ist in Mode gekommen.	მაღალი სიჩქარით (მანქანის) მართვა მოდაში შემოვიდა.
Mit einem Dummen zu sprechen ist Unsinn.	უაზრობაა სულელთან საუბარი.
Frei leben heißt glücklich sein.	თავისუფლად ცხოვრება ბედნიერებაა.

2.1.1.4 რამდენიმე სიტყვიანი ზმნიზედა (Adverbiale Wortgruppen)

Sonntags nie! ist ein interessanter Grundsatz.	კვირაობით არასოდეს! ეს საინტერესო პრინციპია.
"In 80 Tagen um die Welt" ist von Jules Verne.	„80 დღე მსოფლიოს გარშემო“ ეკუთვნის ჟიულ ვერნს.
Wegen mangelnder Beweise war die Begründung für seinen Freispruch.	არასაკმარის დამადასტურებელი საბუთის გამო მას თავისმართლება დასჭირდა.

2.1.1.5 დამოუკიდებელი წინადადებები (Nebensätze)

Wer viel liest, kommt weit.	ვინც ბევრს კითხულობს, შორს წავა.
Wer das nicht weiß, ist wirklich dumm.	ვინც ეს არ იცის, მართლა სულელია.
Wem der große Wurf gelungen, ..., mische seinen Jubel ein (F. Schiller).	ვისაც შორსგატყორცნა ხელეწიფა, ..., გაიზიარე მისი სიხარული (ფ. შილერი).
Wem die Entscheidung nicht gefällt, soll Widerspruch einlegen!	ვისაც გადაწყვეტილება არ მოსწონს, საწინააღმდეგო (აზრი, დოკუმენტი) უნდა წარმოადგინოს (ჩართოს).

2.1.2 წინადადებები ქვემდებარის გარეშე (Sätze ohne Subjektwort)

ა. ბრძანებითი კილო (Imperativ)

მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის მეორე პირში ბრძანებითი კილო გადმოცემულია სუბიექტის გარეშე.

Sei zufrieden!	დაკმაყოფილდი!
Vergiss mich nicht!	არ დამივიწყო!
Übe täglich eine Stunde!	ივარჯიშე დღეში ერთი საათი!
Seid nett zueinander!	იყავით ერთმანეთის მიმართ სათნონი!

Holt euer Gepäck aus dem Wagen!
Raucht und trinkt nicht so viel!

ჩამოიტანეთ მანქანიდან თქვენი ბარგი!
ნუ ეწევით და ნუ სვამთ ამდენს!

- ბ. თუ ქვემდებარე მის დაუსახელებლად ამოიცნობა, მაშინ იგი თხრობითი კილოს წინადადებაშიც უგულებელყოფილია. (განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში).

Habe heute um zehn gefrühstickt.
Hast halt nicht aufgepast!
Bist ausgerückt, oder?
So so, wohnst jetzt in der Bachstrasse!

დღეს ათზე ვისაუზმე.
უყურადღებობა გამოიჩინე!
წაიბორძიკე, თუ?
მაშ ასე, ახლა (შენ) ბახშტრასეზე
(ბახის ქუჩაზე) ცხოვრობ!

- გ. წინადადებას უპირო პასივში ქვემდებარე არ გააჩნია. ზოგჯერ ასეთ წინადადებაში მოცემულია „es“, როგორც წარმოსახვითი სუბიექტი.

Ab morgen wird gespart!
Es wird ab morgen gespart!
Getanz und gelacht wurde.
Es wurde getanzt und gelacht.
Neuerdings wird langsamer gefahren.

ხვალიდან უნდა დაიზოგოს!
ხვალიდან უნდა დაიზოგოს!
იყო ცეკვა და სიცილი.
იყო ცეკვა და სიცილი.
ამ ბოლო ხანს უფრო ნელა მოძრაობენ
(მანქანები).
დანა-ჩანგლით უნდა იჭამოს!
ჩვენთან სახლში ბევრს მღერიან.
აქ არ შეიძლება მუზიციერება (მეცადინეობა).

Es wird mit Messer und Gabel gegessen.
Bei uns zu Hause wird viel gesungen.
Hier darf nicht musiziert werden.

- დ. წინადადებაში, სადაც გამოხატულია ადამიანის სხეულებრივი შეგრძნებები, განსაკუთრებით ლიტერატურულ ენაში, ქვემდებარე უგულებელყოფილია. სასაუბრო ენაში გვხვდება „es.“

Mich friert-Es friert mich.
Mich hungert-Es hungert mich.
Es mangelt ihm an persönlichem Eifer.

ვიყინები-ვიყინები.
მშია-მშია.
მას აკლია პიროვნული მისწრაფება.

- ე. უპიროვნულ წინადადებაში სუბიექტის როლს ასრულებს ე.წ. indefinite „es“.

Es schneit.
Es blitzt.
Es hagelt.

თოვს.
ელავს.
სეტყვაა.

2.2 შემასმენელი (Das Prädikat/Die Satzaussage/Der Satzkern)

- შემასმენელი, სუბიექტის მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი წინადადების მთავარი წევრია.
- მიუგებს კითხვებს: რას შვება (სუბიექტი)? (Was macht/tut das Subjekt?), რა ხდება/რა მოხდა? (Was ist los/geschehen?).
- შემასმენელს ჰქვია ზმნური (verbal), თუ იგი სრულმნიშვნელოვანი ზმნაა.
- შემასმენელს ჰქვია ნომინალური (nominal ან teilverbal-ნაწილობრივ ზმნური), თუ იგი გამომხატულია კავშირში სხვა ზმნებთან - "sein", "scheinen", "heißen", "bleiben", "werden" და ა.შ.
- შემასმენელთა უმრავლესობა არის შედგენილი (zusammengesetzt-umschrieben).
- შემასმენლის ცალკეული ნაწილები ქმნიან წინადადების ჩარჩოს (Satzrahmen).
- წინადადებაში შეიძლება მოცემული იყოს რამდენიმე შემასმენელი.

2.2.1 ზმნური შემასმენელი (Verbales Prädikat)

- ზმნური შემასმენელი გამოხატავს მოქმედებას, მდგომარეობას, მოვლენას.

2.2.1.1 სრული ზმნური შემასმენელი (Vollverbales Prädikat)

- ა. შემასმენელი-აბსოლუტური (absolut) ზმნები: spielen, sich rasieren, einkaufen, regnen და ა.შ.
- | | |
|---------------------|----------------------|
| Die Kinder spielen. | ბავშვები თამაშობენ. |
| Vater rasiert sich. | მამა წვერს იპარსავს. |
| Es regnet. | წვიმს. |
- შედგენილი:
Mutter kauft ein. დედა საყიდლებზეა
Paul hat geweiht. პაულმა იტირა.
 - გავრცობილი:
Er malt den ganzen Tag. იგი მთელი დღე ხატავს.
Er sang laut. იგი ხმამაღლა მღეროდა.
 - შედგენილი და გავრცობილი:
Pauline hat die Sonntagskleider ausgezogen. პაულინამ საკვირაო ტანსაცმელი გაიხადა.
"Ich kam, sah und siegte." „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე.“
- ბ. მიმართებითი ზმნები: (ergänzungsbedürftig) kaufen, schreiben, wandern, sprechen, liegen, glauben და ა.შ.
- ობიექტთან დაკავშირებული
Susi kauft eine Tafel Schokolade. სუსი ყიდულობს ფილა შოკოლადს.
Markus schreibt mir einen Brief. მარკუსი მწერს წერილს.
 - გარემოებასთან დაკავშირებული
Wir wanderten gestern in den Bergen. ჩვენ გუშინ მთებში ვიხეტიალეთ.
Er spricht laut. იგი ხმამაღლა ლაპარაკობს.
Wir lagen in der Sonne. ჩვენ ვიწექით მზეზე.

2.2.1.2 მოდალურ-ზმნური შემასმენელი (Modal-verbales Prädikat)

ულლებად მოდალურ ზმნასთან დგას საულლებელი ზმნის Infinitiv I

Konjugiertes Modalverb + Infinitiv I eines	{ absoluten ergänzungsbedürftigen }	Vollverbs
--	-------------------------------------	-----------

Ich kann Fußball spielen.	მე შემიძლია ფეხბურთის თამაში.
Ihr sollt nach Hause kommen .	თქვენ შინ უნდა მოხვიდეთ.
Er möchte Urlaub machen .	მას უნდა შვებულება (შვებულებაში გასვლა).
Wir müssen gehen.	ჩვენ უნდა წავიდეთ.
Wir haben schweigen müssen .	ჩვენ უნდა გავჩუმებულიყავით.
Ines wollte spazieren gehen .	ინესს უნდოდა სასეირნოდ წასვლა.
Saskia lässt sich ein Kostüm schneiden .	სასკია კოსტიუმს აკერინებს.

2.2.1.3 მოდიფიცირებული-ზმნური შემასმენელი (Modifiziert-verbales Prädikat)

ულლებად მოდიფიცირებულ ზმნასთან დგას საულლებელი ზმნის Infinitiv I "zu"-თი.

Konjugiertes modifizierendes Verb+zu+ Infinitiv I eines	{ absoluten ergänzungsbedürftigen }	Vollverbs
---	-------------------------------------	-----------

Das hast du dem Vater zu verdanken .	ამას მამას უნდა უმადლოდე.
Seine Absicht ist leicht zu durchschauen .	მისი განზრახვა ადვილი ამოსაცნობია.
Es bleibt zu hoffen , dass alles gut geht.	რჩება იმედი, რომ ყველაერი კარგად იქნება.
Du brauchst keine Angst zu haben .	შენ არ უნდა გეშინოდეს.
Das vermag ich nicht abzuschätzen .	ამის შეფასება მე არ ძალმიძს.
Ich weiß Ihr Kompliment zu schätzen .	მე ვაფასებ თქვენს კონპლიმენტს.
Er pflegt mittags zu schlafen .	იგი მიჩვეულია შუადღისით დაძინებას.
Ingrid versprach zu kommen .	ინგრიდი მოსვლას და(მ)პირდა.
Das Hotel droht einzustürzen.	სასტუმროს დანგრევა ემუქრება.
Er meint zu verstehen , was Derrida sagt.	ფიქრობს ჩასწვდება, რასაც დერიდა ამბობს.

2.2.1.4 კომპლექსურ-ზმნური შემასმენელი (Komplex-verbales Prädikat)

in Betrieb nehmen-ექსპლოატაციაში გაშვება	in Ehren halten-პატივში ყოლა
in Frage stellen-კითხვის ქვეშ დაყენება	instand setzen-მოწესრიგება
Frieden schliessen-მშვიდობის დამყარება	vor Augen führen-თვალწინ დადება (ჩვენება) და ა.შ.

Die neue Autobahn wird in Betrieb genommen .	ახალი ავტობანი ექსპლოატაციაშია.
Man soll die Alten in Ehren halten !	მოხუცები კაცს პატივში უნდა ჰყავდეს!
Er setzt sein Haus nicht in instand .	იგი თავის სახლს არ აწესრიგებს (შეაკეთებს).
Diese Aussage stelle ich in Frage !	ეს მოწმობა (იურ. ჩვენება) საექვოდ მიმაჩნია (კითხვის ქვეშ ვაყენებ).

2.2.2 ნაწილობრივ-ზმნური შემასმენელი პრედიკატივუმით (Teilverbales Prädikat mit Prädikativum)

- მაკავშირებელი ანუ მაერთი (die Kopula)-ზმნები: sein, werden, bleiben, heißen, scheinen, erscheinen, sich dünken.
 - შემასმენლისი ანუ პრედიკატივი (das Predikativum): ზედსართავი და არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნიზედა.
- ა. უცვლელი ზედსართავი სახელი (არ იბრუნვის)
- | | |
|-------------------------------------|--------------------------------|
| Die Morgenluft ist frisch. | დილის ჰაერი ცინცხალია. |
| Du dünkst dich gläubig. | შენ თავი მორწმუნედ მიგაჩნია. |
| Dieser Film erschien mir bedeutsam. | ვფიქრობ, ფილმი მნიშვნელოვანია. |
- ბ. ცვალეზადი ზედსართავი სახელი (იბრუნვის)
- | | |
|----------------------------------|----------------------|
| Ist diese Bluse eine gebrauchte? | გაცვეთილია ეს ზლუზი? |
|----------------------------------|----------------------|
- გ. არსებითი სახელი Nominativ, Genitiv ბრუნვაში და წინდებულთ.
- | | |
|--|--|
| Er ist Arzt. | ის ექიშია. |
| Sie alle werden Berufsmusiker. | ყველანი პროფესიონალი მუსიკოსები გახდებიან. |
| Sie scheint sich ihres Lebens zu freuen. | ჩანს, იგი თავისი ცხოვრებით გახარებულია. |
| Großmutter ist nicht mehr bei Sinnen. | ბებიამ აზროვნების უნარი დაკარგა. |
- დ. ნაცვალსახელი.
- | | |
|-------------------------------|-------------------------|
| Das war er und nicht ich! | ეს იყო იგი და არა მე! |
| Es scheint nicht sie zu sein. | იგი თითქოს იგი არ არის. |
- ე. რიცხვითი სახელი.
- | | |
|----------------------|---------------------|
| Wir waren drei. | ჩვენ სამნი ვიყავით. |
| Das wird zu viel. | ეს ბევრი იქნება. |
| Das erscheint wenig. | ეს ცოტა გამოჩნდება. |
- ვ. ზმნიზედა.
- | | |
|-----------------------------------|---------------------------------------|
| Was heißt hier langsam? | რას ჰქვია ნელა? |
| Das scheint immer möglich. | ეს ყოველთვის შესაძლებელია (ასე ჩანს). |
| Ich bin zufälligerweise zu Hause. | მე შემთხვევით ვარ შინ. |
- ზ. შედარება სიტყვით "wie"
- | | |
|--|---|
| Er scheint wie vom Erdboden verschluckt. | იგი თითქოს მიწამ ჩაყლაპა. |
| Es bleibt wie besprochen. | დარჩეს ისე, როგორც იყო შეთანხმება. |
| Arnold ist wie besessen (von der Idee.) | არნოლდი იყო როგორც შეპყრობილი (ამ იდეით). |
- თ. დამოკიდებული წინადადება.
- | | |
|--|--|
| Es bleibt, wie es ist. | დარჩეს, როგორც არის. |
| Er bleibt das, was er ist. | ის იგივე დარჩება, რაც დღესაა. |
| Meine Schwester heißt Tekla, so wie unsere Großmutter. | ჩემს დას თეკლა ჰქვია ისევე, როგორც ჩვენს ბებიას. |

o. Infinitiv I "zu"-ს გარეშე და "zu"- თი

Lieben heißt **annehmen können**.

სიყვარული ნიშნავს, შეძლო მისი მიღება (მოვლა).

Das scheint **zuzutreffen**.

ეს აღსრულებადია.

Es bleibt **zu hoffen**, dass...

რჩება იმედი რომ...

2.2.3 კომპლემენტი (შევსება/დამატება) როგორც შემასმენლის ნაწილი (Das Komplement als Teil des Prädikats)

- კომპლემენტი არის შემასმენლის თანმხლები ნაწილი, რომელიც უშუალოდ ზმნას ეკუთვნის.
- ზოგიერთი ზმნა საჭიროებს ამ კომპლემენტს, ზოგი-არა.
- კომპლემენტი მსგავსია ნაწილობრივ-ზმნური შემასმენლის Prädikativum-ისა.
- კომპლემენტი შეიძლება იყოს:

ა. ზედსართავი (რომელიც არ იბრუნვის), ზოგჯერ "für" ან "als"-თან ერთად.

Ihr Geschrei lässt mich **verzweifeln**.

მისი ყვირილი მაქცევებს.

Meine Tochter singt **schön**.

ჩემი ქალიშვილი მშვენივრად მღერის.

Ich schätze ihn **als ehrlich** ein.

მე მის გულრწფელობას ვაფასებ.

Ich halte ihn **für unglaubwürdig**.

ის არასანდოდ მიმაჩნია.

ბ. არსებითი სახელი, ზოგჯერ "als", "für" ან "wie"-სთან ერთად.

Ich reiste **als junge Frau** (nach Schweden).

მე ახალგაზრდობაში (ახალგაზრდა ქალმა) ვიმოგზაურე შვედეთში.

Es regnet **wie aus vollen Kübeln**.

კოკისპირულად წვიმს.

Wir halten ihn **für einen echten Erfinder**.

ჩვენ მას ნამდვილ გამომგონებლად მოვიჩნევთ.

Ich nenne dich **keinen Lügner!**

მე შენ მატყუარას არ გიწოდებ!

Frohen Mutes **kehrte er zurück**.

მხიარული განწყობით დაბრუნდა უკან.

გ. დამოკიდებული წინადადება.

Benehmen Sie sich, **wie es sich gehört!**

მოიქცევით ისე, როგორც წესი და რიგია!

Über seinen Vorschlag **nachdenkend, stieg ich ins Auto**.

მის წინადადებაზე (შემოთავაზებაზე) დაფიქრებული ჩავჯექი მანქანაში.

დ. Infinitiv I, მეტწილად "zu"-ს გარეშე:

Ich höre ihn **Trompete üben**.

მესმის მისი საყვირის დაკვრა (მეცადინეობა).

Wir sahen das Kind **ertrinken**.

ჩვენ დავინახეთ, როგორ იძირებოდა ბავშვი.

- ზოგჯერ კომპლემენტი ფორმით გარემოებას ემთხვევა, მნიშვნელობით კი განსხვავდება. ნიმუში:

leicht fallen (Kompl.): Das Kind fällt leicht in den Sand.

ბავშვს უყვარს ქვიშაში თამაში.

leicht fallen (adv. B.): Das Kind fällt leicht in den Sand.

ბავშვი ქვიშაზე ადვილად ეცემა.

2.3 ქვემდებარე და შემასმენელი წინადადებაში (Subjekt und Prädikat im Satz)

- ა. წინადადებაში ქვემდებარესა და შემასმენელს თანაბარი წონა აქვთ. ისინი ერთმანებთან ერთმანეთს პირში, რიცხვსა და ბრუნვაში.
- | | |
|-----------------------------|------------------------------|
| Wir lesen. | ჩვენ ვკითხულობთ. |
| Du rauchst. | შენ ეწევი (სიგარეტს). |
| Ich bleibe hier. | მე აქ ვრჩები. |
| Er trinkt. | ის სვამს. |
| Die Wurst ist teuer. | ძეხვი ძვირია. |
| Unsere Koffer sind gepackt. | ჩვენი ჩემოდნები ჩალაგებულია. |
- ბ. შემასმენლისა და პრედიკატივის (თუ არსებითი სახელია) პირისა და რიცხვის ფორმები ყოველთვის არ ეთანხმება ერთმანეთს.
- | | |
|--------------------------------------|-------------------------------------|
| Sein Bruder ist eine Last. | მისი ძმა ზედმეტი ბარგია. |
| Schulden sind eine Last. | ვალი (ვალები) ტვირთია. |
| Das Baby ist unser Glück. | პატარა ჩვენი ბედნიერებაა. |
| Unsere vier Kinder sind unser Glück. | ჩვენი ოთხი შვილი ჩვენი ბედნიერებაა. |
- გ. სუბიექტისა და პრედიკატივის (თუ არსებითი სახელია) გრამატიკული სქესი ზოგჯერ განსხვავებულია.
- | | |
|-----------------------------------|---------------------------------------|
| Sie ist ein Glückskind. | იგი ბედის ნუბიერია. |
| Er ist eine Bereicherung. | ის ნამდვილი განძია. |
| Dieser Wein ist das einzig Wahre. | ეს (ღვინო) ერთადერთი ნამდვილი ღვინოა. |
- დ. თავაზიან ფორმაში ზმნის პირი დგას ყოველთვის მრავლობით რიცხვში, თუნდაც საუბარი ერთ პიროვნებას ეხებოდეს.
- | | |
|--|--|
| Herr Maier, wie fühlen Sie sich heute? | ბატონო მაიერ, თავს როგორ გრძნობთ დღეს? |
| Kommen Sie mich besuchen? | მესტუმრებით? |
| Bitte wechseln Sie diesen Geldschein. | თუ შეიძლება ეს კუპიურა დამიხურდავეთ. |
- ე. თუ წინადადებაში რამდენიმე სუბიექტია, შემასმენელი დგას მრავლობით რიცხვში.
- | | |
|--|--|
| Blitz und Donner erschrecken das Dorf. | ელვა და ჭექა-ქუხილი აძრწუნებს სოფელს. |
| Vater, Mutter und Kind gehören zu einer Familie. | მამა, დედა და შვილი ერთ ოჯახს ეკუთვნიან. |
| Du und dein Mann sind herzlich willkommen. | გულით გეპატიჟებით შენ და შენს ქმარს. |
- ვ. მათემატიკური გამოთვლებისას შემასმენელი დგას მხოლოდ ერთ რიცხვში.
- | | |
|---|--------------------------------------|
| Vier plus drei ist sieben. | ოთხს მივუმატოდ სამი არის შვიდი. |
| Drei mal acht ist vierundzwanzig. | სამჯერ რვა არის ოცდაოთხი. |
| Zwei noch zwei ist vier. | ორი და ორი არის ოთხი. |
| Dreiundsechzig geteilt durch sieben ist neun. | სამოცდასამი გავყოთ შვიდზე არის ცხრა. |

მარტივი წინადადება Der einfache Hauptsatz

3.1 მარტივი წინადადების კლასიფიკაცია (Klassifizierung des einfachen Hauptsatzes)

3.1.1 კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (Klassifizierung dem Bau nach)

ყოველი წინადადება წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ მთლიანობას. წინადადების წევრების შედგენილობის მიხედვით მარტივი წინადადება არსებობს:

ა. წინადადება სუბიექტითა და შემასმენლით (Satz mit Subjekt und Prädikat)

Nanette tanzt.	ნანეტე ცეკვავს.
Das Getreide reift.	ხორბალი მწიფს (მოწეულია).
Die Sonne scheint.	მზე ანათებს.
Marika ist müde.	მარიკა დაღლილია.
Sein Wein wird ausgezeichnet.	მისი ღვინო შესანიშნავი იქნება (დადგება).
Es donnert.	ქუხს.

ბ. მარტივი გავრცობილი წინადადება. (Erweiterter einfacher Satz)

ასეთ წინადადებაში შედის ქვემდებარე, შემასმენელი და წინადადების სხვა წევრები.

Nanatte tanzt wunderbar.	ნანეტე მშვენივრად ცეკვავს.
Das Buch liegt auf dem Tisch.	წიგნი დევს მაგიდაზე.
Simon geht mit seiner Freundin am Abend ins Kino.	სიმონი საღამოს თავის მეგობართან ერთად მიდის კინოში.

• თუ წინადადებაში რამდენიმე ერთგვაროვანი წევრია, მას შერწყმული (verschmolzen) ეწოდება.

Nanette, Kevin und ihre Freunde tanzen.	ნანეტე, კევინი და მათი მეგობრები ცეკვავენ.
Meine Schwester und ich reisen und lesen gern.	მე და ჩემ დას გვიყვარს კითხვა და მოგზაურობა.
Der Mensch muss trinken, essen, schlafen und sterben.	კაცმა უნდა ჭამოს, სვას, ეძინოს და მოკვდეს.

გ. მოკლე წინადადება (Ellipse) მთავარი წევრების გარეშე არის დამოუკიდებელი. (მეტწილად მახილის წინადადება).

Natürlich!	რა თქმა უნდა!
Ende gut, alles gut!	საქმეს ბოლო წარმოაჩენს!
Alles in Ordnung!	ყველაფერი რიგზეა!
Auf ihr Wohl!	თქვენ გაგიმარჯოთ!
Nur keine Panik!	პანიკის გარეშე!
Eine perfekte Idee!	ბრწყინვალე აზრია!

3.1.2 კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით (Klassifizierung der Qualität nach)

ა. მტკიცებითი (bejaend) წინადადება

Das Auto fährt langsam.

Ich habe angerufen.

მანქანა ნელა მოძრაობს.

მე დავრეკე (ტელეფონით).

ბ. უარყოფის გამომხატველი (verneinend)

• წინადადების უარყოფა (Satzverneinung)

Der Mond scheint nicht.

Ich habe nicht angerufen.

მთვარე არ ანათებს.

მე არ დამირეკავს.

• სიტყვის უარყოფა. (Wortverneinung).

Nicht Käsekuchen schmeckt gut, sondern
Weihnachtsstolle.

Nicht das Auto fährt langsam, sondern der Bus.

Das Auto fährt nicht langsam, sondern schnell.

Das ist kein Fehler.

ყველის კი არა, საშობაო ნამცხვარია გემრიელი.

მანქანა კი არა, ავტობუსი მოძრაობს ნელა.

მანქანა ნელა კი არა, ჩქარა მოძრაობს.

ეს არაა შეცდომა.

3.1.3 კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით (Klassifizierung dem Inhalt nach)

არსებობს წინადადების ოთხი სახეობა:

ა. თხრობითი (Aussagesatz)

Das Kind schläft.

Dies ist unwahrscheinlich.

Wir verstehen uns ausgezeichnet.

ბავშვს ძინავს.

ეს უეჭველია.

ჩვენ ერთმანეთის შესანიშნავად გვესმის.

ბ. კითხვითი (Fragesatz)

• წინადადება კითხვითი სიტყვით.

Wo wohnst du?

Wie geht es dir?

სად ცხოვრობ?

როგორ ხარ?

• კითხვითი სიტყვის გარეშე.

Werden Sie mich in Erinnerung behalten?

Sind die Trauben reif?

გემახსოვრებით?

მწიფს ყურძენი?

გ. ბრძანებითი (Aufforderungssatz, Befehlssatz)

Mirjan komm heraus!

Passen Sie auf, bitte!

მირიან, გამოდი!

ყურადღებით, გეთაყვა!

დ. ძაბილის (Ausrufesatz, Wunschsatz)

Oh, wie schön ist Panama!

Was haben wir belacht!

Wenn es doch schön würde!

ო, რა მშვენიერია პანამა!

რა ვიცინეთ!

ყველაფერი რომ კარგად იქნებოდეს!

3.1.4 კლასიფიკაცია ფორმის მიხედვით (Klassifizierung der Form nach)

- ფორმის მიხედვით განასხვავებენ წინადადების ოთხ სახეობას სიტყვათა წყობის მეშვეობით.
- ა. თხრობით წინადადებაში უღლებადი ზმნა დგას ყოველთვის მეორე ადგილზე (Position2)
Der Mond **scheint**. მთვარე ანათებს.
- ბ. კითხვით წინადადებაში (კითხვითი სიტყვის გარეშე) უღლებადი ზმნა დგას პირველ ადგილზე (Position1).
Scheint der Mond? ანათებს მთვარე?
წინადადებაში (კითხვითი სიტყვით) უღლებადი ზმნა დგას მეორე ადგილზე (Position2)
Wann **scheint** der Mond? როდის ამოდის (ანათებს) მთვარე?
- გ. ბრძანებით წინადადებაში უღლებადი ზმნა დგას ყოველთვის პირველ ადგილზე (Position1).
Gib acht! ყურადღებით!
Bleiben Sie stehen! შეჩერდით!
- დ. ძახილის წინადადებაში უღლებადი ზმნა დგას პირველ, მეორე ან ბოლო ადგილზე (Position 1, 2 oder am Satzende).
Gäbe es doch Strom! ნეტავ შუქს (დენს) მოგვცემდნენ!
Dumm bist du gewesen! სულელი ყოფილხარ! (სულელურად მოქცეულხარ!)
Wie nett sie ist! რა სათნო (ადამიანია)!

3.2 წინადადების სახეები (Die Satzarten)

3.2.1 თხრობითი წინადადება (Der Aussagesatz)

- თხრობითი წინადადების ამოსაცნობი ნიშანი: შემასმენლის უღლებადი ზმნა ყოველთვის მეორე ადგილზეა წინადადების აგებულების სქემაში.
- ქვემდებარე დგას პირველ ან მესამე ადგილზე ანუ ყოველთვის ზმნის გვერდით (მოუცილებლად!)
- მოცილებადთავსართიანი ზმნის თავსართი (Bestimmungswort) Präsens-სა და Präteritum-ში დგას წინადადების ბოლოს.
Ia zieht sich **an**. (Präs.) ია იცვამს.
Ia zog sich **an**. (Prät.) იამ ჩაიცვა.
- თხრობით წინადადებას დაესმის წერტილი.
Paata spielt Trompete. პაატა საყვირზე უკრავს.
Jochen fuhr weg. იოხენი გამგზავრა.
Du kämmst dich. შენ ივარცხნი.
- უარყოფით წინადადებაში "nicht", "nie", "niemals" და ა.შ. დგას ზმნასთან ან რეფლექსურ ნაცვალსახელთან მოუცილებლად.
არსებითი სახელი-პრედიკატივის წინ დგას უარყოფა "kein".
Anna raucht **nie**. ანა არასოდეს ეწევა.
Jochen fuhr **nicht** weg. იოხენი არ გამგზავრებულა.
Ich bin **nicht** betrübt. მე არ ვარ ნაწყენი.
Er ärgert sich **nicht**. ის არ ბრაზობს.

3.2.2.1 კითხვითი სიტყვით (W-Frage / Die Ergänzungsfrage)

- კითხვით წინადადებაში წინადადების უცხო წევრს დაესმის კითხვა W-Frage: კითხვითი სიტყვის მეშვეობით, კითხვითი ნაცვალსახელით ან კითხვითი ზმნიზებით (იხ. სინტ. 4.7.1) მარტივ წინადადებაში კითხვა დაესმის:
 - ა. ქვემდებარეს- "wer?" თუ პიროვნებაა და "was?" თუ უსულო საგანია.
 - Wer arbeitet?- Ich (arbeite). ვინ მუშაობს?- მე (ვმუშაობ).
 - Wer ist krank?- Ralf und Anja (sind krank). ვინ არის ავად?- რალფი და ანა (არიან ავად).
 - Was raucht?- Der Schornstein (raucht). რა ბოლავს?- ბუხრის საკვამური (ბოლავს).
 - Was ist nicht übrig?- Viel Zeit (ist nicht übrig). რა არ არის ზედმეტი?- ბევრი დრო (არ არის ზედმეტი).
 - ბ. პრედიკატივს- "wer?" (სულიერ საკუთარ სახელებს).
 - Wer bist du?- Ich bin Claudia. ვინ ხარ შენ?- მე ვარ კლაუდია.
 - Wer sind Sie?- Ich bin Ralf Braun. ვინ ბრძანდებით?- რალფ ბრაუნი გახლავართ.
 - Wer ist das/er?- (Das ist) der neue Kollege. ვინ არის ეს/ის?- (ეს არის) ახალი კოლეგა.
 - Wer ist Ihr Vater?- Mein vater ist Der Besitzer des Cafes. ვინ არის მამათქვენი?- მამაჩემი არის კაფეს მეპატრონე.
- პროფესიის აღმნიშვნელ და სხვა საზოგადო სახელებს - "was?"
 - Was bist du?- (Ich bin) Sekräterin. რა პროფესიის ხართ?- (მე) მდივანი (ვარ).
 - Was sind Sie?- (Ich bin) Kellner. რა პროფესიის ბრძანდებით?- მიმტანი (გახლავართ).
 - Was will er werden?- (Er will) Architekt (werden). რა სურს მას გამოვიდეს?- (სურს) არქიტექტორი (გამოვიდეს).
 - Was ist das?- (Das ist) ein Igel. რა ერის ეს?- (ეს არის) ზღარბი.
- რიცხვით სახელებს - "wie viel?"
 - Wie viele seid ihr?- (Wir sind) zehn. რამდენი ხართ?- (ჩვენ ვართ) ათნი.
- ზედსართავ სახელებს - "wie?" ან "was?"
 - Wie hast du geschlafen?- (Ich habe) gut (geschlafen). როგორ გეძინა?- კარგად (მეძინა).
 - Was bist du?- (Ich bin) gesund. როგორ ხარ?- (მე ვარ) ჯანზე.
- გ. ზმნას - "was tut/macht/passiert/geschieht?"
 - Was macht Ina?- (Sie) arbeitet. რას აკეთებს ინა?- (ის) მუშაობს.
 - Was ist passiert?- Max ist hingefallen. რა მოხდა?- მაქსი წაიქცა.

3.2.2.2 კითხვითი სიტყვის გარეშე (ალტერნატიული შეკითხვა) (Die Entscheidungsfrage)

- წინადადება იწყება უღლებადი ზმნის რომელიმე პირის ფორმით. კითხულობს, რამდენად სწორია გამონათქვამი (იხ. სინტ. 4.7.2)
- პასუხი არის "ja", "nein", "doch" ან მსგავსი ზმნიზედა, დასტურის ან უარყოფის გამოთხატველი.
- ა. შეკითხვა პასუხით "ja" ან "nein."
 - Liest du gern?- Ja, ich lese gern. გიყვარს კითხვა?- დიახ, მიყვარს კითხვა.
 - Nein, ich lese nicht gern. არა, არ მიყვარს კითხვა.
 - Fahren Sie voraus?- Ja, ich fahre voraus. თქვენ წინ მიუძღვებით?- დიახ, წინ მიუძღვებით.

Nein, ich fahre nicht voraus.
Sind Sie ein guter Detektiv?- Ja, ich bin ein guter Detektiv.
Nein, ich bin kein guter Detektiv.

არა, წინ არ მივუძღვები.
თქვენ კარგი დეტექტივი ბრძანდებით? - დიახ, მე კარგი დეტექტივი ვარ.
არა, მე არ ვარ კარგი დეტექტივი.

ბ. doch - როგორ არა

თუ შეკითხვაში მოცემულია უარყოფა - **nicht, kein, nie, niemand** და ა.შ. დადასტურების შემთხვევაში კასუსხია - **doch** (როგორ არა/ დიახ)

Kommt Mathias nicht ?	არ მოდის მათე?
Doch (,er kommt).	როგორ არა (,ის მოდის)
Magst du kein Bier (keinen Wein)?	არ გიყვარს ლუდი (ღვინო)?
Doch (, ich mag...).	როგორ არა (,მე მიყვარს...).
Hast du niemanden gesehen?	არავინ გინახავს?
Doch (,ich habe ... gesehen).	როგორ არა (,მე ვნახე ...).

3.2.3 ბრძანებითი წინადადება (Der Aufforderungssatz)

- ბრძანებითი წინადადების ამოსაცნობი ნიშანი: უღლებადი ზმნა დგას ყოველთვის პირველ ადგილზე (Position1)
- ბრძანებითი წინადადება შეიძლება იყოს Imperativ-ი, (Konjunktiv-იც) ან Kurzsatz (Ellipse).
- წინადადების ბოლოს დაესმის ძახილის ნიშანი.

ა. Imperativ-ი

Schreib! Lesen Sie!	წერე! წაიკითხეთ!
Last uns anfangen!	დავიწყოთ!
Lass gut sein!	კეთილი (ასე იყოს)!
Seien Sie herzlich bedankt!	გულითადი მადლობა!
Schlaf, mein Kindlein, schlafe ein!	დაიძინე, ჩემო პატარა, დაიძინე!
Geh deinen Weg!	შენ გზას ეწიე!

- მაგრამ აგრეთვე: komm du! შენ მოდი! ცალკეული პიროვნებისადმი, განსაკუთრებული ინტონაციით.

ბ. მოკლე წინადადებები (Kurzsätze).

Ruhe! Aufgepasst!	წყნარად! ყურადღებით!
Einsteigen! An die Arbeit!	ადით! საქმეს შეუდექით!
Fenster und Türe schliessen!	დახურეთ კარ-ფანჯარა!

- უარყოფის გამომხატველ ბრძანებით წინადადებაში უარყოფა "nicht", "nie" ან მსგავსი სიტყვა დგას ზმნის შემდეგ, ინფინიტივის ან ზმნის თავსართის წინ.

Gib nicht auf!	არ დათმო პოზიცია!
Nie die Hoffnung verlieren!	იმედი არასოდეს დაკარგო!
Steigen Sie nicht ein!	არ ახვიდეთ!

3.2.4 ძახილის წინადადება (Der Ausrufesatz, Wunschsatz)

- ძახილის წინადადება გამოხატავს პიროვნების განწყობილებას, საგნის ან მოვლენის შეფასებას.
- სასაუბრო ენაში შინაარსის გასაგებად მნიშვნელოვანია ცალკეული სიტყვის ინტონაცია ან წინადადების მელოდია.
- წინადადების ბოლოს დაესმის ძახილის ნიშანი.
- ზმნის პირის ფორმა დგას:

ა. პირველ ადგილზე (Position1).

War das toll!

Hat der sich aber erschrocken!

Wäre das heute noch so!

შესანიშნავი იყო!

როგორ შეშინდა!

ნეტავ დღესაც ასევე იყოს!

ბ. მეორე ადგილზე (Position2).

Rotkäpchen hat sich vielleicht gefreut!

Heiko spart aber fleissig!

Ach, der ist dein Chef!

იქნებ გაუხარდა წითელქუდას!

ჰაიკო ბეჯითად ზოგავს (ფულს...).

ოჰ, ესაა შენი უფროსი!

გ. წინადადების ბოლოს (am Satzende).

Was er wohl sagen würde!

Wie interessant er schreibt!

Wie schnell das Geld ausgegeben wird!

ნეტავ ის რას იტყვოდა!

რა საინტერესოდ წერს!

რა ჩქარა ნიავედება ფული!

- მოკლე წინადადებები ზმნის გარეშე (Kurzsätze).

Wie gut!

Was für ein schöner Sonnenuntergang!

Welch aparte junge Dame!

რა კარგია!

რა მშვენიერი დაისია!

რა მომხიბვლელი ქალიშვილია!

გავრცობილი წინადადება Der erweiterte Hauptsatz

თუ წინადადებაში გარდა ქვემდებარისა და შემასმენლისა, მოცემულია აგრეთვე დამოუკიდებელი მნიშვნელობის სხვა სიტყვები (წევრები), წინადადება არის გავრცობილი.

4.1 წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები (Neben-Satzglieder)

გარდაწინადადების მთავარი წევრებისა (Haupt-Satzglieder), არსებობს წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები (Neben-Satzglieder):

- განსაზღვრება (Attribut)-შეთანხმებული (kongruierend), შეუთანხმებელი (nichtkongruierend), გავრცობილი (erweitert), დანართი (Apposition).
- დამატება (Objekt)- პირდაპირი (direkt) და ირიბი (indirekt).
- გარემოება (adverbiale Bestimmung)-ადგილის (des Ortes), დროის (der Zeit), ვითარების (der Art und Weise), მიზეზის (des Grundes), მიზნის (des Zieles), პირობის (konditional), დათმობითი (konzessiv).

4.2 განსაზღვრება (Das Attribut/die Beifügung)

განსაზღვრება წინადადების დამოუკიდებელი წევრია, რომელიც არსებით სახელს განსაზღვრავს. მისი კითხვებია: "welcher, e, es/e?" ან "was, für, ein, eine, ein/was für?"

ჩვეულებრივ განსაზღვრება შეიძლება იყოს შეთანხმებული (kongruierend) რიცხვში, სქესსა და ბრუნვაში იმ არსებით სახელთან. რომელსაც იგი განსაზღვრავს და პირიქით, არ შეთანხმებული (nicht kongruierend) მას შემთხვევაში, როდესაც კატეგორიებში.

არსებობს აგრეთვე განსაზღვრების ორი განსაკუთრებული სახეობა:

- დანართი (die Apposition);
- გავრცობილი განსაზღვრება (das erweiterte Attribut).
- განსაზღვრების როლს წინადადებაში ასრულებს: ზედსართავი სახელი, Genitiv-ი განსაზღვრება, ვითარების გარემოება, ზმნა+zu, განსაზღვრება წინდებულთ, დანართი.

Attribute im Satz	
Adjektivische Attribute	Genitivattribute
Adverbiale Attribute	Präpositionale Attribute
Verbale Attribute + "zu"	Apposition

4.2.1 განსაზღვრება-ზედსართავი სახელი (Adjektivische Attribute)

Adjektivische Attribute შეიძლება იყოს:

- ზედ. სახელი, მიმღობები
- გავრცობილი ზედსართავი სახელი ან მიმღობების ჯგუფი.
- ზედ. სახელი-ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი.

- ა. ჩვეულებრივ განსაზღვრება-ზედსართავი სახელი დგას არსებითი სახელის წინ და განსაზღვრავს მას. თუ არსებითი სახელი არტიკლიანია, განსაზღვრება დგას ამ არტიკლსა და არსებით სახელს შორის. ისინი ეთანხმებიან ერთმანეთს, ბრუნვაში, სქესსა და რიცხვში.

Wir erblickten das schwarze Meer.
 Unsere Hauptstadt spielte die führende Rolle.
 Sie verließen die zerstörte Stadt.
 Robert hat einen großen Fehler begangen.

ჩვენ დავინახეთ შავი ზღვა.
 ჩვენი დედაქალაქი წამყვან როლს თამაშობდა.
 ისინი დანგრეულ ქალაქს ტოვებდნენ.
 რობერტმა დიდი შეცდომა დაუშვა.

- ბ. მყარი გამოთქმა (Redewendung): განსაზღვრება დგას არსებითი სახელის წინ და არ იბრუნვის.
 Er will sich bei mir lieb Kind machen. ის თავს სხვად მაჩვენებს (მემლიქვნელება).
 გ. პირდაპირი თხრობა (direkte Rede): განსაზღვრება დგას არსებითი სახელის შემდეგ და არ იბრუნვის.
 Ich sah ein Mägdlein zart und mild. დავინახე ქალწული, ფაქიზი და სათნო.

4.2.2 განსაზღვრება-არსებითი სახელი Genitiv-ში (Genitivattribute)

- ა. Genitivattribut-ი დგას იმ არსებით სახელთან, რომელსაც განსაზღვრავს.
 Das Land meiner Väter ist die Schweiz. ჩემი წინაპრების (მამების) ქვეყანა შვეიცარიაა.
 Ich will mir nicht den Zorn des Nachbarn zuziehen. არ მინდა მეზობლის რისხვა თავს დავიტეხო.
 Der Abschluss des Vertrages verschiebt sich. ხელშეკრულების ვადა გადაწეულია.
- რთული არსებითი სახელის (კომპოზიტი) პირველი ნაწილი ცვლის Genitiv-ს.
 Mein Vaterland ist die Schweiz. ჩემი სამშობლო შვეიცარიაა.
 Sie haben keine Zukunftspläne. მათ სამომავლო გეგმები არ გააჩნიათ.
- ბ. თუ Genitivattribut-ი პიროვნებაა, იგი დგას მეტწილად იმ არსებითი სახელის წინ, რომელსაც განსაზღვრავს, არტიკლის გარეშე.
 Schillers Balladen bleiben unübertroffen. შილერის ბალადებს სიძლიერით სხვამ ვერ გადააჭარბა.
 Grossmutter's Geldbeutel ging verloren. ბებიას საფულე დაიკარგა.
- მაგრამ:
 Welche Bücher Ingrid's sollen umgezogen werden? ინგრიდის რომელი წიგნები შევფუთოთ? (უნდა შეიფუთოს).
- გ. Genitivattribut-ს ცვლის არსებითი სახელი Dativ-ბრუნვაში წინდებულით "von".
 Ich gehe gern durch das Stadtzentrum von Berlin spazieren. მე სიამოვნებით ვსეირნობ ბერლინის ცენტრში.
 Die Werke von Spengler kennt hier kaum jemand. შპენგლერის ნაწარმოებები აქ ცოტამ თუ იცის.
- დ. Genitivattribut-ს ახლავს აგრეთვე:
 • გარემოება ადგილის. Woher des Weges? საიდან მოდიხარ(თ)?
 • გარემოება დროის. Wohin des Nachts? საით გაგიწევია ამ ღამით?
 • გარემოება ვითარების. Genug der Diskussionen! კმარა დისკუსიები!
 • ნაცვალსახელი. Welches deiner Bücher schenkst du mir? შენს რომელ წიგნს მაჩუქებ?
 • რიცხვითი სახელი. Der letzte der Geschwister wurde Komponist. და-ძმას შორის უმცროსი კომპოზიტორია.
 • შედარებითი ხარისხი. Die jüngere meiner Töchter lebt in Amerika. ჩემი უმცროსი ქალიშვილი ამერიკაში ცხოვრობს.

4.2.3 განსაზღვრება წინდებულთ (Präpositionales Attribut)

Präpositionales Attribut დგას არსებითი სახელის წინ, რომელსაც განსაზღვრავს.

ა. წინდებულთ "von". (იხ. 4.2.2-ის გ.)

ბ. წინდებულთ "als" ან "wie".

Sein Beruf als Ingenieur brachte ihn um die halbe Welt.

თავისი, ინჟინრის, პროფესიის წყალობით ნახევარი მსოფლიო მოიარა.

Dem Kaffeehaus als Treffpunkt der Dichter droht das Aus.

ყავის სახლს, (როგორც) პოეტთა თავშეყრის ადგილს, დახურვა ემუქრება.

Vor mir stand ein Mann wie ein Baum.

კაცი ჩემ წინ ხესავით დაეყუდა.

Er hat Kräfte wie ein Bär.

მას დათვის ღონე აქვს.

4.2.4 განსაზღვრება-ზმნიზედა (Adverbiales Attribut)

Adverbiales Attribut დგას არსებითი სახელის შემდეგ, როგორც მისი განსაზღვრება.

ა. ადგილის ზმნიზედა.

Ich habe die Wohnung oben gemietet.

მე დავიქირავე ოთახი ზემოთ.

ბ. დროის ზმნიზედა.

Das Ballett gestern hat mir gefallen.

გუშინდელი ბალეტი მომეწონა.

გ. მიზეზის ზმნიზედა.

Machen Sie sich keine Umstände meinetwegen! ნუ შეწუხდებით ჩემ გამო.

4.2.5 განსაზღვრება-ზმნა (Infinitiv + "zu") (Verbales Attribut).

• Infinitiv "zu"-თი არის verbales Attribut, თუ იგი განსაზღვრავს მის წინ მდგომ არსებით სახელს. თუ Infinitiv-ი გაარსებითებული სიტყვაა (ანუ ახლავს არტიკლი), იწერება დიდი ასოთი.

• განსაზღვრების როლს ზოგჯერ კომპოზიტი ასრულებს (Inf. Gen. +Subst.)

Der Wunsch zu reisen verlässt mich nicht.

მოგზაურობის სურვილი არ მტოვებს.

Er hat keine Angst zu erfrieren.

მას გაყინვის არ ეშინია.

Die Lust zu leben steckt in jedem.

სიცოცხლის ხალისი (სურვილი) ყველა ადამიანშია.

(= Die Lebenslust steckt in jedem).

სიცოცხლის სურვილი ყველა ადამიანშია.

Hast du Zeit zum Spielen?

გაქვს თამაშის დრო?

4.2.6 დანართი (Apposition)

დანართი (Apposition) არის აგრეთვე განსაზღვრება, რომელიც არსებით სახელს დამატებით განმარტავს და ყოველთვის ეთანხმება ბრუნვაში, ხოლო რიცხვსა და სქესში შეიძლება არ ეთანხმებოდეს. (ზოგჯერ შემოკლებული განსაზღვრებითი წინადადებაა. (იხ. Syntax 5.2.3.2)

Peter der Erste regierte Russland.

პეტრე პირველი მართავდა რუსეთს.

Wanda Schiukaschwili, der Stolz des

ვანდა შიუკაშვილი, თბილისის კონსერვატორიის

Tbilisser Konservatoriums, unterrichtet mich.

სიამაყე, მამეცადინებს მე.

Er hat uns, seinen Freunden, das Projekt des

მან ჩვენ, მეგობრებს, ტაძრის პროექტი გვაჩვენა.

Doms gezeigt.

- თუ ორი არსებითი სახელი მოცემულია ერთსა და იმავე ბრუნვაში, მეორე არის განსაზღვრება პირველის მიმართ. წინადადებაში ორივე სიტყვას ერთი და იგივე წონა აქვს.

Sich auf Vater Staat zu verlassen ist einfacher als Eigeninitiative zu ergreifen. საკუთარ სახელმწიფოზე დაყრდნობა უფრო იოლია, ვიდრე დამოუკიდებლად ინიციატივის გამოჩენა.
 Umweltschutz dient der Mutter Erde. გარემოს დაცვა ემსახურება დედა მიწას (იცავს).

- საზოგადო არსებითი სახელი არტიკლით განსაზღვრების როლში ჩვეულებრივ დგას საზღვრული არსებითი სახელის წინ.

Der Ottomotor geht auf den Erfinder Otto zurück. ოტომოტორი მის გამომგონებელ ოტოს უბრუნდება.

Der Maler Franz Marc lebte von 1880 bis 1916. მხატვარი ფრანც მარკი ცხოვრობდა 1880-1916 წლებში.
 Der Freistaat Sachsen ist ein deutsches Bundesland. რესპუბლიკა საქსონია დასავლეთგერმანული ქვეყანაა.

ასევე: ein paar Schuhe-წყვილი ფეხსაცმელი, ein Zentner Kartoffeln-ცენტნერი კარტოფილი.

4.2.7 გავრცობილი განსაზღვრება (Erweitertes Attribut)

გერმანულ ენაში ხშირად გვხვდება ე. წ. გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი განსაზღვრება (das erweiterte Attribut). გავრცობილი განსაზღვრება წარმოადგენს საზღვრულ სიტყვასა და მის არტიკლს შორის მოთავსებულ მსაზღვრელ სიტყვათა ჯგუფს, ანუ იგი არტიკლსა და არსებით სახელს ან ნაცვალსახელს შორის დგას, გამოხატულია PartizipI-PartizipII-ით ან ზედსართავი სახელით.

Das von unseren Kybernetikern zu erforschende Material ist sehr interessant. ჩვენი კიბერნეტიკოსების მიერ გამოსაკვლევი მასალა ძალიან საინტერესოა.
 Auf dem Schreibtisch lagen alle von ihr geschriebenen Bücher. საწერ მაგიდაზე ეწყო ყველა მის მიერ დაწერილი წიგნი.
 Anfangs sprachen sie die für mich so bedeutsame Worte: "Die Sonne ist meine Mutter, der Mond mein Vater..." დასაწყისში ამბობდნენ ისინი ჩემთვის ასე მნიშვნელოვან სიტყვებს: „მზე დედაა ჩემი, მთვარე-მამაჩემი...“
 Doch diese leicht zu lösende Aufgabe kam ihm schwierig vor. ეს ადვილად გადასაჭრელი დავალებაც კი ეძნელებოდა მას.
 Diese Bauten sind nach den Entwürfen der besten Architekten gestaltet. ეს ნაგებობანი საუკეთესო არქიტექტორთა პროექტების მიხედვითაა აშენებული.

4.3 დამატება (Das Objekt/Die Ergänzung)

- არსებობს მარტივი (Einfache-) და ორმაგი დამატება (Doppelte Objekte).
- დამატება განმარტავს შემასმენელს ან ზედსართავ სახელს.
- დამატება განავრცობს შემასმენლით ან ზედსართავი სახელით გადმოცემულ შინაარსს.
- დამატება წინადადებაში თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ბრუნვით ან წინდებულითა და მისი ბრუნვით. ამრიგად არსებობს -
 Genitiv-, Dativ-, Akkusativ-და წინდებულიანი დამატება (Präpositionalobjekt). (იხ. Synt. 4.15 და 5.6).
 დამატება შეიძლება იდგეს გარემოებასა და კომპლემენტთან (ე.წ. დამატების შევსება).
- დამატების როლს წინადადებაში ასრულებს: არსებითი სახელი განსაზღვრებით ან მის გარეშე, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელური ზმნიზედა, დამოკიდებული წინადადება, Infinitiv-ი "zu"-თი ან მის გარეშე.

Objekt im Satz	
Nomen mit oder ohne Adjektive	Pronominaladverb
Pronomen	Nebensätze
Zahlwörter	Infinitiv mit oder ohne "zu"

Ich kaufe einen Pullover.	მე პულოვერს ვყიდულობ.
Ich kaufe einen grauen Pullover.	მე ვყიდულობ ნაცრისფერ პულოვერს.
Der Fremde lobt ihn.	უცნობი აქებს მას.
Hast du eine Zwei bekommen?	ორიანი მიიღე?
Wir freuen uns darüber.	ჩვენ ეს გვახარებს.
Wussten Sie nicht, dass er Probleme mit dem Alleinsein hatte?	არ იცოდით, რომ მას მარტოობის პრობლემა ჰქონდა?
Wir raten den Freunden hier zu bleiben.	ჩვენ ვურჩევთ მეგობრებს აქ დარჩენ.
Ich lehre ihn schweigen...	მე მას შევასწავლი დადუმებას...

4.3.1 მარტივი დამატება (Einfaches Objekt)

განასხვავებენ ორგვარ დამატებას:

<ul style="list-style-type: none"> • პირდაპირი (direkt)-დგას Akkusativ-ში. • ორიბი (indirekt)- Dativ-ში 	} eigentliche Objekte (უშუალო)
- იშვიათად - Genitiv-ში. →	

ა. Akkusativobjekt-ი (eigentliches Objekt)

მიუგებს კითხვაზე "wen?" (პიროვნება) "was?" (საგანი). (იხ. Morph. 4.15.1.5)

Die Tante liebt den Onkel, der Onkel liebt sie.	დეიდას უყვარს ბიძია, ბიძიას უყვარს ის.
Wir lesen den Psalm.	ჩვენ ვკითხულობთ ფსალმუნს.
Die Touristen besuchen die neue Ausstellung.	ტურისტებმა ახალი გამოფენა დაათვალიერეს.
Sie haben einen schönen Campingplatz gefunden.	მათ კემპინგისთვის მშვენიერი ადგილი მონახეს.
Bestellt ihr, bitte zehn Kilo Kartoffeln?	შეიძლება, ათი კილოგრამი კარტოფილი?
Er bekam eine Drei.	მან სამიანი მიიღო.
Sie erzählte viel Interessantes.	ის ბევრ საინტერესოს ყვებოდა.
Wir bedachten alle Für und Wider.	ჩვენ ყველა (მისი) დადებითი და უარყოფითი გავიაზრეთ.
Die Bergarbeiter gewinnen Kohle.	მთის მუშები მოიპოვებენ ქვანახშირს.
Rufen Sie Herrn Fischer an!	დაურეკეთ ბატონ ფიშერს!
Wann triffst du deinen Freund Aaron wieder?	როდის შეხვდები შენ მეგობარ აარონს ხელახლა?
Die Reisenden sahen den Zug kommen.	მგზავრებმა დაინახეს, (რომ) მატარებელი მოდიოდა.
Der Lehrer bemerkte, dass er begabt ist.	მასწავლებელმა შენიშნა, რომ ის ნიჭიერია.

ბ. Dativobjekt-ი (eigentliches Objekt)

მიუგებს კითხვაზე "wem?" (პიროვნება, იშვიათად საგანი). (იხ. Morph. 4.15.1.3)

Braten schmeckt ihm.	მას შემწვარი (ხორცი) უყვარს (ეგემრიელება).
Ich gehöre dem eingetragenen Verein an.	მე მიეკუთვნები რეგისტრირებულ გაერთიანებას.

- ე.წ. "freier Dativ" მიუთითებს პირზე.

Du gehst mir auf die Nerven!

შენ მე ნერვებს მიშლი!

Das war ihm eine Lehre!

ესეც მისი მოძღვრება!

- გ. Genitivobjekt-ი (uneigentliches Objekt).

მიუთითებს კითხვაზე "wessen?" (პიროვნება ან საგანი) (იხ. Morph. 3.5).

Es bedürfte nur eines Wortes.

საკირო იყო მხოლოდ ერთი სიტყვა.

- დ. Präpositionalobjekt-ი (uneigentliches Objekt). იგი უახლოვდება გარემოებას (იხ. Morph. 4.15.2 და 5.6.2)

Unser Land ist reich an Gold.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ოქროთი.

Denkst du daran?

ფიქრობ შენ ამაზე?

Schreiben Sie an uns!

მოგწერეთ ჩვენ!

4.3.2 ორმაგი დამატება (Doppelte Objekte)

- ა. Dativ-ი და Akkusativ-ი ((იხ. Morph. 4.15.1.4) (პიროვნება+საგანი).

Dativ der Person (wem?) + Akkusativ der Sache (was?)

Wir lesen dem Opa (Dat.) den Psalm (Akk.) vor.

ჩვენ ვუკითხავთ ბაბუას ფსალმუნს.

Ich rate dir heute zu fahren.

გირჩევ, დღეს გაემგზავრო.

Ich schenke dem Kind einen Apfel.

ბავშვს ვაძლევ (ვჩუქნი) ვაშლს.

Du gibst ihm zwei Euro.

შენ მას აძლევ ორ ევროს.

Hat Hans dir etwas Gutes getan?

უქნია ჰანსს შენთვის რაიმე კეთილი?

- ბ. Akkusativ-ი და Genitiv-ი (პიროვნება+საგანი)

Akkusativ der Person (wen?) + Genitiv der Sache (wessen?)

Man beschuldigte ihn des Mordes.

იგი მკვლელობაში დაადანაშაულეს.

Jemand hat mich meiner ganzen Habe beraubt!

ვიღაცამ (ყაჩაღმა) მთელი ჩემი ქონება წამართვა.

Herr, erbarme dich unser!

ღმერთო, დაგვიფარე!

Ich werde mich der Sache annehmen.

მე რაიმე საქმეს უნდა მოვეჭიდო.

Niemand sollte sich der Stimme enthalten.

თავი არავის შეუკავებია (ხმის მიცემისას).

- გ. ორმაგი დამატება (doppelte Objekte):

- უპირო ზმნიზედა (იხ. Morph. 4.15.1..5)
- ორი მნიშვნელობის მქონე ზმნებთან (იხ. Morph. 4.15.2.4)
- სამი მნიშვნელობის მქონე ზმნებთან (იხ. Morph. 4.15.2.5)

- დ. ორმაგი Akkusativ-ი (იხ. Morph. 4.15.1.6) (პიროვნება+საგანი)

Akkusativ der Person (wen?) + Akkusativ der Sache (was?)

Franz lehrt die Schüler Mathematik.

ფრანცი ასწავლის მოსწავლეებს მათემატიკას.

Der Wagen kostet Herrn Widmann ein kleines Vermögen.

მანქანის შეძენა ბატონ ვიდმანს პატარა ფული კი დაუჯდა.

Du fragst den Lehrer etwas Wichtiges.

შენ მასწავლებელს რაღაც მნიშვნელოვანს ეკითხები.

Ich bitte dich nichts.

მე შენ არაფერს გთხოვ.

- პიროვნება ან საგანი + კომპლემენტი-დამატების შევსება (გავრცობა)

Akkusativ der Person (wen?)	} + komplementäre Akkusativ (wie?)
Akkusativ der Sache (was?)	

Die Leute nennen **ihn** einen Dummkopf.

ხალხი მას სულელს ეძახის.

Meine Eltern taufte **mich** Saskia.

ჩემმა მშობლებმა (ნათლობისას) სასკია დამარქვეს.

Wir nannten unseren alten **Wagen** einen Spritfresser.

ჩვენ ძველ მანქანას საწვავხაპია შევარქვით.

- Komplementärer Akkusativ-ს ქმნის ზედსართავი სახელი ან მიმღებობა, რომელიც არ იბრუნვის (ზოგჯერ "als", "wie" ან "für"-ით).

Fühlst du dich **glücklich**?

თვლი (გრძნობ) თავს ბედნიერად?

Warum schimpfen Sie **die Kinder** laut?

რატომ ლანძღავთ ბავშვებს ხმამაღლა.

Fred schätzt sich **gebildet**.

ფრედი თავს განათლებულად თვლის.

- Komplementärer Akkusativ-ს ქმნის Infinitiv "zu"-ს გარეშე.

Kinder ließen **die Eltern** verzweifeln.

ბავშვებმა მშობლები დააეჭვეს.

Bitte lehren Sie **mich** tanzen!

თუ შეიძლება, ცეკვა მასწავლეთ!

4.3.3 დამატების ადგილი წინადადებაში (Stellung des Objekts im Satz).

- ა. წინადადების წევრების ძირითადი წყობა:

Subjekt	Satzklammer		
	Prädikat	Objekt	Prädikat
	Personalform		Best. wort/Prädikativum Komplement
Mein Bruder	schreibt	einen Aufsatz.	
Bettina	holt	ihre Puppe	hervor.
Wir	glauben	das.	
Er	möchte	ein Glas Bier	trinken.
Du	brauchst	keine Angst	zu haben.
Ich	finde	den Wein	zu süß.

ჩემი ძმა თხოვლებას წერს.

ბეთინას თავისი თოჯინა გამოაქვს.

ჩვენ ეს გვჯერა.

მას ჭიქა ლუდის დალევა სურს.

შენ არ უნდა გემინოდეს.

ღვინო მეტისმეტად ტკბილია.

- ბ. წინადადების უარყოფის (Satzverneinung) შემთხვევაში პირდაპირი დამატება დგას უარყოფის წინ. დამატების უარყოფის (Wortverneinung) შემთხვევაში დამატება დგას უარყოფის შემდეგ.

Er schlägt seine Kinder **nie**.

არასოდეს სცემს თავის ბავშვებს.

Ich kenne ihren Vater **nicht**.

მე მათ მამას არ ვიცნობ.

Ich kenne **nicht** ihren Vater, sondern ihre Mutter.

მე ვიცნობ არა მათ მამას, არამედ მათ დედას.

Louis isst **kein** Fleisch.

ლუისი არ ჭამს ხორცს.

Der Kranke findet **keine** Ruhe.

ავადმყოფი ვერ მშვიდდება.

გ. რამდენიმე დამატების შემთხვევაში:

- ნაცვალსახელი არსებითი სახელის წინ -

Ich schenke **ihr** dieses Kleid.

მე მას ამ კაბას ვჩუქნი.

Gabriela schneidet **ihm** den Bart.

გაბრიელა მას წვერს კრეჭს.

Vater wäscht **sich** die Hände.

მამა ხელს იბანს.

- Dativ-ი Akkusativ-ის წინ -

Ein Kellner serviert **dem** Gast das Menü.

მიმტანმა სტუმარს მაგიდაზე მენიუ დაუდო.

Ich rufe **meiner** Tochter einen Gruss zu.

მე ჩემს ქალიშვილს მოვითხვას ვუთვლი.

- უშუალო დამატება (Dat., Akk.) შუალობით დამატების (Gen., Präpositionalobjekt)-ის წინ -

Dieser Hund gehört **dem** Vater meines Freundes.

ეს ძაღლი ჩემი მეგობრის მამისაა.

Er fährt **den** Wagen seiner Frau.

იგი თავის ცოლის მანქანას ატარებს.

Ich sah **einen** Mercedes vor dem Hotel stehen.

მე დავინახე, მერსედესი სასტუმროს წინ იდგა.

Sie haben **keine** Ahnung von Kunst.

მათ ხელოვნებაზე წარმოდგენა არ აქვთ.

- "es" დგას ნაცვალსახელის წინ ან შემდეგ, ზოგჯერ შეკვეცილი-s -

Ich habe **es** ihm verziehen.

მე მას ვაპატიე.

Ich habs' ihm verziehen.

მე მას ვაპატიე.

Ich hab' ihm's verziehen.

მე მას ვაპატიე.

Ihm hab' ich's verziehen.

მე მას ვაპატიე.

დ. თუ დამატებაზე მახვილი ეცემა, ის ადგილს იცვლის -

Wir bieten **Ihnen** ein gutes Gehalt.

ჩვენ თქვენ კარგ ხელფასს გთავაზობთ.

Ihnen bieten wir ein gutes Gehalt.

თქვენ ჩვენ კარგ ხელფასს გთავაზობთ.

4.4 გარემოება

(Die adverbiale Bestimmung/Die Umstandsbestimmung/ Die Umstandsergänzung)

არსებობს ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის, პირობითი, შუალობითი გარემოება.

- გარემოება არ განავრცობს, არამედ ასახელებს მეორეხარისხოვან ვითარებებს, გამოხატავს მოქმედების ამ მდგომარეობის (შემასმენლის) თანმხლებ ნიშნებს.
- გარემოება მეტწილად წინადადების შეუცვლელი წევრია, როცა სიტყვის გარკვეული მნიშვნელობა გადმოსაცემი.
- გარემოება (adverbiale Bestimmung) ჰგავს Präpositionalobjekt-ს.
Präpositionalobjekt: - წინდებული არ იცვლება -
Ich träume **von** einem grünen Garten. (von einer Reise) ვოცნებობ მწვანე ბაღზე. (მოგზაურობაზე)
Adverbiale Bestimmung: - წინდებული იცვლება -
Ich stehe **neben** (vor, hinter) dem Bahnhof. ვდგავარ ვაგზოს გვერდით. (წინ, უკან)
- გარემოება არ არის Komplement-ი:
Georg erkrankte **jung** (Kompl.) in der reißenden Donau (adv. Best.)
გეორგი ახალგაზრდა დაიხრჩო მქუხარე დუნაიში.

- გარემოება დგას
-ზმნასთან: Roland schwieg vor Scham. როლანდი დუმდა სირცხვილის გამო.
-ზედ. სახელთან: Das war ziemlich auffällig! ეს საკმაოდ თვალშისაცემი იყო.
-ზმნიზედასთან: Die Leute strömten geradezu ხალხის მასა პირდაპირ მიდიოდა.
massenweise herbei.

4.4.1 გარემოების წარმოქმნა (Bildung adverbialer Bestimmung)

წინადადებაში გარემოების როლს ასრულებს: ზმნიზედა, წინდებულიანი არსებითი სახელი, არსებითი სახელი Gen. ან Akk. ბრუნვაში, გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, ინფინიტიური ჯგუფები.

Adverbiale Bestimmung im Satz	
Adverb	Nomen (Gen. Akk.)
Nomen mit Präpositionen	Adverbiale Nebensätze
Infinitivgruppen: ohne, zu, um...zu, statt...zu	

ა. ზმნიზედა (Adverb) -

Ich stehe hier. მე აქ ვდგავარ.
Ferdinand spielt unten. ფერდინანდი ქვემოთ თამაშობს.

• ზმნიზედა+წინდებული (Adverb+Präposition)

Er kam von dort. ის იქიდან მოვიდა.
Gehen Sie nach hinten! წაბრძანდით უკანა მხარეს!

• ზედსართავი სახელი-ზმნიზედები (Adjektiv-Adverbien) -

Klaus spielt leicht verrückt. კლაუსი შლეგივით თამაშობს.
Schreiben Sie noch schnell etwas. დაწერეთ სწრაფად კიდევ რამე!

ბ. არსებითი სახელი ან გაარსებითებული სიტყვა (Substantiv oder substantiviertes Wort) -

• + წინდებული (Präposition) -

Mein Chef schäumte vor Wut. ჩემი უფროსი ბრაზისგან ცოფდება.
Sie heiratete ihn aus Mitleid. იგი მასზე სიბრალულის გამო დაქორწინდა.

• + შედარება (Vergleich)

Du sprichst wie ein Prediger. შენ ქადაგავით ლაპარაკობ.

გ. არსებითი სახელი Genitiv-ში (როცა ნაცვალსახელით ჩანაცვლება არ ხერხდება)

• ადგილის აღნიშვნა -

linker/rechter Hand-ხელმარცხნივ/ხელმარჯვნივ
allerorten-ყველგან (seines) Weges-თავისი გზით და ა.შ.

Sie verließ das Dorf und ging ihres Weges. მან სოფელი დატოვა და წავიდა თავისი გზით
Rechter Hand sehen Sie das Café "Einstein". ხელმარჯვნივ დაინახავთ კაფე "ეინშტაინს."

• დროის აღნიშვნა -

seinerzeit-მასდროს anderentags-მომდევნო დღეს
samstags-შაბათობით des Nachts-ღამით და ა.შ.

Man hatte seinerzeit wenig Geld. მასდროს ცოტა ფული გააჩნდათ.
Anderntags schlich er sich davon. მომდევნო დღეს იქედან გაიპარა.

- ვითარების აღნიშვნა -
glücklicherweise-საბედნიეროდ
kurzerhand-სახელდახელოდ

frohen Herzens-კეთილი გულით

და ა.შ.

Susi wurde glücklichlicherweise gerettet.
Ich habe mich kurzerhand für einen Neukauf
entschieden.

სუზი საბედნიეროდ გადარჩა.
მე სახელდახელოდ გადავწყვიტე ახალი ნივთის
შეძენა.

დ. არსებითი სახელი **Akkusativ**-ში (როცა ნაცვალსახელით ჩანაცვლება არ ხერხდება)

Das interessiert mich einen Keks!
Er wird den Teufel tun und sie einladen!
Renate wohnt nur einen Katzensprung von mir.

ეს მე ცოტათი მაინტერესებს.
ის ეშმაკს დაუზავდება და მას (ქალს) დაპატიჟებს.
რენატა აგერ ყურისძირში ცხოვრობს (ჩემგან).

ე. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (**Adverbialer Nebensatz**)

Wenn die Sonne scheint, ist das Leben viel leichter.

როცა მზე ანათებს, სიცოცხლე გვიადვილდება.

ვ. **Infinitivgruppe "zu"**-თი

Er huschte von Tür zu Tür ohne nass zu werden.

მან კარდაკარ ისე იარა, არ დასველებულა.

4.4.2 წინადადებით გამოხატული გარემოება (**Satzbezogene adverbiale Bestimmung**)

ე.წ. **Abtönungspatrikel** (მახვილის შემასუსტებელი ნაწილაკი) თავისებური მნიშვნელობის გარემოება (**Adv. der Denkweise**), მიემართება მთელ წინადადებას და აძლევს სასურველ ემოციურ შეფერილობას.

Da hat sie ja ganz schön große Augen gemacht!
Er wird ja wohl hoffentlich wieder heil zurückkehren!

რა მშვენივრად გაუფართოვდა თვალები!
იმედია, ის კვლავ ჯანმრთელი და(გვი)
ბრუნდება!

4.4.3 სიტყვით (წინადადების წევრით) გამოხატული გარემოება
(**Wortbezogene /Satzgliedbezogene/ adverbiale Bestimmung**)

გარემოებას გააჩნია შვიდი ჯგუფი:
• ადგილის გარემოება. Wo? Wohin? Woher? სად? საით? საიდან?
• დროის გარემოება. Wann? Seit wann? Bis wann? Wie oft? Wie lange? როდის? როდიდან? როდემდე? რამდენჯერ? რამდენ ხანს?
• ვითარების გარემოება. Wie? Wieso? Auf welcher Weise? როგორ? რა გზით?
• მიზეზის გარემოება. Warum? Weshalb? Weswegen? Aus welchem Grund? რატომ? რა მიზეზით?
• მიზნის გარემოება. Wozu? Zu welchem Zweck? Mit welcher Absicht? რისთვის? რა მიზნით? რა განზრახვით?
• პირობითი გარემოება. Unter welcher Bedingung? In welchem Fall? რა პირობით? რა შემთხვევაში?
• შუალობითი. Wodurch? Womit? რის მეშვეობით? რით?

4.4.3.1 ადგილის გარემოება (Adverbiale Bestimmung des Ortes)

ადგილის გარემოება გამოიხატება:

ა. ადგილის ზმნიზედით:

oben-ზევით	hier-აქ	
unten-ქვევით	von dort-იქიდან	
dort-იქ		და ა.შ.

Wo liegen meine Sachen, oben oder unten? (wo?) სად აწყვია ჩემი ნივთები, ზემოთ თუ ქვემოთ.

ბ. წინდებულიანი არსებითი სახელით:

Unser Nachbar zog ins Ausland (wohin?) ჩვენი მეზობელი წავიდა საზღვარგარეთ.
Nana ist nicht aus der Schweiz (woher?) ნანა არ არის შვეიცარიელი.

4.4.3.2 დროის გარემოება (Adverbiale Bestimmung der Zeit)

დროის გარემოება გამოიხატება:

ა. დროის ზმნიზედით:

heute-დღეს	morgen-ხვალ	ab heute-დღეიდან	bis morgen-ხვალამდე	
gestern-გუშინ	vorgestern-გუშინწინ		ab sofort-ამ წუთიდან	და ა.შ.

Heute gehen wir zum Konzert. დღეს ჩვენ კონცერტზე მივდივართ.
Gestern sind sie nach Bonn geflogen. ისინი გუშინ ბონში გაფრინდნენ.
Die Unterhaltung dauert bis morgen. მოლაპარაკება ხვალამდე გაგრძელდება.

ბ. წინდებულიანი არსებითი სახელით:

An diesem Tag bleiben alle zu Hause. ამ დღეს ყველა შინ დარჩება.
Seit Juni haben wir Ferien. ივნისიდან გვაქვს არდადეგები.
Er wäre über Monate zu Fuß gegangen. იგი თვეობით ივლიდა ფეხით.
Tbilissi besteht seit dem 5. Jahrhundert. თბილისი დაარსდა მე-5 საუკუნეში (არსებობს მეხუთე საუკუნიდან).

გ. დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელით Akkusativ-ში:

Diesen Sommer legt er das Staatsexamen ab. ამ ზაფხულს იგი სახელმწიფო გამოცდას აბარებს.

დ. განუსაზღვრელი დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელით Genitiv-ში:

Es geschah eines schönen Sommertages. ეს მოხდა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს.

4.4.3.3 ვითარების გარემოება (Adverbiale Bestimmung der Art und Weise)

ვითარების გარემოება გამოიხატება:

ა. ვითარების ზმნიზედით:

Wir verstehen zufälligerweise alles. ჩვენ ყველაფერს შემთხვევით ვიგებთ.
Schweigend suchen sie ihn. ისინი მას უჩუმრად ეძებენ.
Er hörte mir gespannt zu. იგი დამაბული მისმენდა.

- ბ. წინდებულობის არსებითი სახელით: *Mit Begeisterung arbeiteten die Studenten an der Wiederherstellung des Doms.* ტაძრის აღდგენაზე სტუდენტები აღმაფრენით მუშაობდნენ.
- გ. ინფინიტივის ქცევებით- "statt zu" და "ohne zu:"
Ohne die Ermitage zu besichtigen verließ er Petersburg. მან პეტერბურგი დატოვა ერმიტაჟის დაუთვალიერებლად.

4.4.3.4 მიზეზის გარემოება, შუალობითი გარემოება (Adverbiale Bestimmung des Grundes und des Mittels)

- ა. მიზეზის გარემოება გამოიხატება:
- მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით.
Wegen dieses abscheulichen Wetters kann ich nicht ausgehen. ამ საშინელი ამინდის გამო გარეთ ვერ გავდივარ.
Damit ich erhobenen Hauptes gehen kann, lüge ich nicht. რათა თავაწეული ვიარო, არასოდეს ვცრუობ.
 - წინდებულობის არსებითი სახელით
Ihre Augen leuchteten vor Freude. მას სიხარულით უბრწყინავდა თვალები.
- ბ. შუალობითი გარემოება.
Ich habe das Bild mit Aquarellfarben gemalt. სურათი აკვარელის საღებავებით დავხატე.
Er ist durch zu wenig Sport krank geworden. მცირეოდენმა ვარჯიშმა ავად გახადა.

4.4.3.5 მიზნის გარემოება (Adverbiale Bestimmung des Zwecks)

მიზნის გარემოება გამოიხატება:

- ა. მიზნის ზმნიზედით:
Dazu sind sie geflogen. სწორედ ამისთვის გაფრინდნენ ისინი.
- ბ. *für, zu, wegen/halber, um...willen* წინდებულობის არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით:
Wir joggen für unsere Gesundheit. ჩვენ დავრბივართ გასაკაჟებლად.
Sie spielen zu ihrem Vergnügen Schach. ისინი ჭადრაკს თავისი სიამოვნებისთვის თამაშობენ.
Seinetwegen habe ich diese Sachen gekauft. ეს საგნები მისთვის ვიყიდე.
Um ihrer Gesundheit willen sollte sie Hamburg verlassen. თავისი ჯანმრთელობისთვის მას ჰამბურგი უნდა დაეტოვებინა.
- გ. Infinitivgruppe "zu"- თი:
Alle gehen in den Wald um Pilze zu sammeln. ყველამ ტყისკენ გასწია სოკოს მოსაგროვებლად.
Last uns ins Schwimmbad gehen um zu trainieren. წავიდეთ აუზზე (ცურვაში სავარჯიშოდ).

**4.4.3.6 პირობითი და დათმობითი გარემოება
(Adeverbiale Bestimmung der Bedingung und der Einräumung)**

- ა. პირობითი გარემოება გამოიხატება კავშირებით: **wenn, falls, sofern.**
Wenn er nicht dagewesen wäre, so hätten wir uns verirrt. იგი რომ არა, ჩვენ გზა აგვერეოდა.
Falls das Wetter schlecht ist, bleiben wir zu Hause. თუ ცუდი ამინდი იქნა, ჩვენ შინ ვრჩებით.
- ბ. დათმობითი გარემოება გამოიხატება ზმნიზედით-**obwohl, trotz, ungeachtet.**
Er machte sich auf den Weg, obwohl es stark regnete. იგი გაუდგა გზას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან წვიმდა.
Ungeachtet (trotz) meiner Zweifel warte ich auf seinen Erfolg. მიუხედავად ჩემი დაეჭვებისა, მე მაინც ველოდები მის წარმატებას.

**4.4.4 გარემოების ადგილი წინადადებაში
(Stellung der adverbialen Bestimmung im Satz)**

- ა. წინადადების პირდაპირ წყობაში (ქვემდებარე-შემასმენელი) გარემოება დგას შემასმენლის შემდეგ.
Ich habe in Nürnberg ein Haus. მე სახლი მაქვს ნიურნბერგში.
Es regnet ständig. გადაუღებლად წვიმს.
- ბ. წინადადების ირიბი წყობა (შემასმენელი-ქვემდებარე) გარემოება დგას ქვემდებარის შემდეგ.
Wann kommst du nach Hause? როდის მოხვალ შინ?
Mir schmeckt Käsekuchen sehr. მე ძალიან მიყვარს (მეგემრიელება) ყველის ნამცხვარი.
- გ. გავრცობილ წინადადებაში გარემოება დგას სიტყვის/წინადადების წევრის წინ, რომელიც მას უკეთ განმარტავს ანუ ზედსართავის, პრედიკატივის ან კომპლემენტის და სხვა წევრების წინ.
Du hast einen ausserordentlich interessanten Beruf. შენ მეტისმეტად საინტერესო პროფესია გაქვს.
Jeder zu Unrecht verurteilte Mensch muss sofort frei gelassen werden! ყოველი უსამართლოდ გასამართლებული ადამიანი მაშინვე უნდა გათავისუფლდეს.
- დ. თუ დროისა და ადგილის გარემოება წინადადების თავში დგას, იგი ზემოქმედებს სიტყვათა წყობაზე.
Heute findet keine Vorstellung hier statt. დღეს აქ არანაირი წარმოდგენა არ გაიმართება.
Hier findet heute keine Versteigerung statt. აქ დღეს აუქციონი არ გაიმართება.
Im Kino wird jetzt "Die Vögel" gegeben. კინოში ახლა „ჩიტებს“ წარმოადგენენ.
- ე. რამდენიმე გარემოების შემთხვევაში მოქმედებს დადგენილი წესი "Zeit vor Ort".
ან: Zeit-Ort-Grund-Art und Weise-Ort.
Treffen wir uns um 6 (zeit) am Hotel (Ort). 6-ზე სასტუმროსთან შევხვდეთ.
Die Wanderung musste am nächsten Morgen (Zeit) heftigen Sturmes halber (Grund) leider (AuW) in ein weniger gefährliches Gebiet (Ort) verlegt werden. სამწუხაროდ, ლაშქრობამ ძლიერი ქარის გამო ნაკლებად საშიშ ადგილას გადაინაცვლა.

3. გარემოებები დამატებების შორის:

Ich schenke Inge zum Geburtstag eine Puppe.
Er rasiert dem Kunden schnell noch den Bart.

ინგას დაბადების დღეზე თოჯინა ვაჩუქე.
ის კლიენტს წვერს ხელჩქარად პარსავს.

• გარემოება დამატება-ნაცვალსახელის შემდეგ:

Ich werde ihn morgen treffen.

მე მას ხვალ შევხვდები.

4.5 გავრცობილი წინადადების აგების სქემა (Der Satzbau im erweiterten Satz)

4.5.1 ზმნის ადგილი (Stellung des Verbs)

ს ი ტ ყ ვ ა თ ა წ ყ ო ბ ა (Wortstellung). სიტყვათა დაკავშირების ამ ხერხს გერმანულ ენაში დიდი როლი აკისრია. მაგ. იმის მიხედვით თუ რომელ ადგილზე დგას შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი, შეიძლება გაირკვეს წინადადების სახეობა, თხრობითია იგი, კითხვითი თუ მახილის; აგრეთვე დამოუკიდებელია, თუ დამოკიდებული. (იხ. Synt. 3.2.1 და 4.3.3.)

თუ შემასმენელი წინადადებაში მ ე ო რ ე ადგილას (Position2) დგას, ის არის თხრობითი (1) ან კითხვითი-კითხვითი სიტყვით (2); თუ შემასმენელი პ ი რ ვ ე ლ (Position1) ადგილას დგას, წინადადება კითხვითია კითხვითი სიტყვის გარეშე (3) ან ბრძანებითი (4).

Wir feiern Silvester immer zu Hause.

ჩვენ სილვესტერს (31 დეკემბერს) მუდამ შინ ვზეიმობთ.

Wie heißt denn dieser Herr da?

რა ჰქვია ამ ბატონს?

Ist dir schwindlig?

თავბრუ გესხმის?

Gib deinem Gesang mehr Seele!

მიეცი შენს გალობას მეტი სულიერება!

4.5.2 ჩარჩოს კონსტრუქცია (Rahmenkonstruktion)

აგებულების მიხედვით წინადადებაში სიტყვათა წყობა (Wortstellung) შეიძლება იყოს:

ა. პირდაპირი (direkt)

თუ თხრობით წინადადებაში შემასმენლის ორივე (ცვალეზად და უცვლელ) მხარეს შორის დგას ყველა წვერი, გარდა ქვემდებარისა თავისი განსაზღვრებით, რომელსაც პირველი ადგილი უკავია, სიტყვათა ასეთ წყობას პ ი რ დ ა პ ი რ ი ეწოდება.

Ein Mann bot beim " Spiegel" einen Artikel an.

კაცმა „შპიგელს“ სტატია შესთავაზა.

ბ. ირიბი (indirekt)

თუ თხრობით წინადადებაში შემასმენლის ორივე (ცვალეზად და უცვლელ) მხარეს შორის დგას ყველა წვერი, გარდა ერთი დამატებისა ან გარემოებისა და მას პირველი ადგილი უკავია, სიტყვათა ასეთ წყობას ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი ეწოდება.

Beim "Spiegel" bot ein Mann einen Artikel an.

„შპიგელს“ კაცმა სტატია შესთავაზა.

შემასმენელი მის ნაწილებს შორის მოქცეულ წინადადების ყველა წვერთან ერთად ქმნის ე.წ. ჩ ა რ ჩ ო ს კ ო ნ ს ტ რ უ ქ ე ც ი ა ს (Rahmenkonstruktion).

გ. მარტივ წინადადებაში შემასმენელი დგას ყოველთვის მეორე ადგილზე (Position2) შეიძლება მას წინ უძღოდეს ქვემდებარე თავისი, თუნდაც გავრცობილი განსაზღვრებით. როდესაც ვამბობთ, შემასმენელი დგას მეორე ადგილზე, აქ იგულისხმება ზმნის ცვალეზადი ნაწილი, ხოლო მეორე უცვლელი ნაწილი (მოცილებადი თავსართი PartizipII, Infinitiv, Prädikativum) დგას ბოლოში (letzte Position).

I ადგილი Position1	II ადგილი Position2	III ადგილი Position3	IV ადგილი Position4
ქვემდებარე (განსაზღვრებით)	შემასმენელის ცვალებადი ნაწილი (უღლებადი)	დამატება, გარემოება, განსაზღვრება	მოცილ. პრეფიქსი, ან ზმნის უცვლელი ნაწილი.
1. Wir	denken	anders über die Ehe.	
2. Herr Müller	kommt	auf alle Fälle pünktlich	an.
3. Meine Nachbarin	hat	vier ganze Zitronen	ausgequetscht.
4. Es	werden	Kleider in der Boutique	verkauft.
5. Ich	wollte	eben das	sagen.
6. Du	hast	mich zu lange	warten lassen.
7. Wir	haben	alle deutschsprachigen Länder	kennen zu lernen.
8. Dieses hübsche Mädchen	scheint sich	für Poesie	zu interessieren.

1. ქორწინებაზე ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ.
2. ბატონი მიულერი უთუოდ დათქმულ დროზე ჩამოვა.
3. ჩემმა მეზობელმა ოთხი მთელი ლიმონი გამოწურა.
4. ბუტიკში ტანსაცმელი იყიდება.
5. მე სწორედ ამის თქმა მსურდა.
6. შენ მე დიდხანს მაცდევინე.
7. ჩვენ უნდა გავეცნოთ ყველა გერმანულენოვან ქვეყანას.
8. ჩანს, ამ მშვენიერ გოგონას პოეზია აინტერესებს.

დ. არსებობს ჩარჩოს კონსტრუქციის დარღვევის შემთხვევები. ჩარჩოს გარეთ შეიძლება აღმოჩნდეს: (იხ. Synt. 4.3.3. და 4.4.4)

- არსებითი სახელი, რომელსაც წინ უდგას wie (როგორც), als (ვიდრე) ნაწილაკები;
- Infinitivgruppe.
- დამატება ან გარემოება.

თუ წინადადებაში არის PartizipII (Partizip Perfekt) და Infinitiv-ი “zu” ნაწილაკით, მაშინ Infinitiv + “zu” (ან ინფინიტივური ჯგუფი გადადის წინადადების ბოლოში).

Wir haben schon entschlossen in Leipzig zu studieren. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ლაიპციგში სწავლა.

I ადგილი Position 1	II ადგილი Position 2	III ადგილი Position 3	IV ადგილი Position 4	ბოლო ადგილი letzte Position
ქვემდებარე (განსაზღვრებით)	შემასმენლის ცვალებადი ნაწილი	დამატება, გარემოება (განსაზღვრებით)	მოცილ. პრეფ. ან ზმნის უცვლელი ნაწილი	არს. სახ. wie, als-ით; Infinitiv-ი დამატ. ან გარემ. შემასმენელთან ერთად.
1. Eure Gruppe	hat	inhaltreichere Aufsätze	geschrieben	als unsere Gruppe.
2. Der Mann	hat	den ganzen Tag	gараucht	statt zu essen.
3. Die lebensfrohe Simone	hat	zahlreiche Bilder	gemacht	während der Reise.
4. Die angegebene Frist	ist	zu kurz	gewesen	für so eine komplizierte Arbeit.

1. თქვენმა ჯგუფმა უფრო შინაარსიანი თხზულებები დაწერა, ვიდრე ჩვენმა ჯგუფმა.
2. კაცი მთელი დღე ეწევა იმის ნაცვლად, რომ ისადილოს.
3. ხალისიანმა სიმონემ მოგზაურობის პერიოდში ბევრი სურათი გადაიღო.
4. მოცემული ვადა ამ რთული სამუშაოსთვის ერთობ ხანმოკლეა.

ე. თუ შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე ქვემდებარეა, ისინი ერთმანეთს მიყოლებით დგას და მოსდევს შემასმენელი:

Gäste und Gastgeber machen sich früh auf den Weg. სტუმარ-მასპინძელი ადრე გაუდგა გზას.

ვ. თუ წინადადება მეორეხარისხოვანი წევრით იწყება, მაშინ ყველა ქვემდებარე შემასმენლის შემდეგ იჭერს ადგილს:

Früh machten sich Gäste und Gastgeber auf den Weg. ადრე გაუდგა გზას სტუმარ-მასპინძელი.

ზ. თუ წინადადებაში რამდენიმე შემასმენელია ერთი და იგივე დამხმარე ზმნით ერთი და იგივე დროის ფორმაში, მაშინ დამხმარე ზმნა არ მეორდება:

Der Professor hat lange gelebt und viele Entdeckungen gemacht. პროფესორმა დიდხანს იცოცხლა და ბევრი გამოგონება ჰქონდა.

თ. თუ სხვადასხვა დამხმარე ზმნაა, ისინი აუცილებლად უნდა დასახელდეს.

Die Touristen haben Kulturdenkmäler besichtigt und sind am Morgen abgereist. უცხოელებმა დაათვალიერეს კულტურის ძეგლები და დილით გაემგზავრნენ.

4.6 უარყოფა (Die Negation)

გერმანულ ენაში უ ა რ ყ ო ფ ა (Negation) გამოიხატება შემდეგი ენობრივი საშუალებებით:

- ნაცვალსახელი: niemand (არავინ), nichts (არაფერი), kein (არც ერთი), nein (არა) და ა. შ.
- კავშირი: (weder...noch (არც...არც) და ა.შ.
- ზმნიზედა: nirgends (არსად), nie, nimals (არასოდეს), nicht (არ) და ა. შ.

განასხვავებენ წინადადებისა და სიტყვის უარყოფას (იხ. Synt. 3.1.2, 3.2.1, 4.3.3)

თუ წინადადება კითხვითი სიტყვის გარეშე მოითხოვს დამადასტურებელ პასუხს, იწყება Ja, ...-ით, თუ უარყოფით პასუხს-იწყება Nein, ...ით.

4.6.1 წინადადების უარყოფა (Satznegation)

შემასმენლის უარყოფას ეწოდება წინადადების უარყოფა.

ა. თუ შემასმენელი მარტივი სრული ზმნაა, "nicht" დგას წინადადების ბოლოს, როდესაც ზმნა თავსართმოცილებადაა, მაშინ ბოლოში დგას ეს თავსართი.

Diese Regel gilt hier nicht. ეს წესი აქ არ გამოდგება.

Das Baby schlief nicht ein. პატარას არ დაუძინია.

ბ. თუ შემასმენელი რთული ზმნაა ან Perfekt, Plusquamperfekt, FuturI, FuturII ან Passiv-ის ფორმებს წარმოადგენს, მაშინ "nicht" დგას პირდაპირ შემასმენლის (Prädikativum/Komplement) ან ზმნის სახელითი ფორმების წინ. თუ Prädikativum არსებითი სახელია, "nicht"-ის ნაცვლად დგას „kein, e, ...“

Das Haus steht nicht leer. სახლი დაკავებულია („არ არის ცარიელი“).

Dieter hat nicht geraucht. დიტერს არ მოუწევია (სიგარეტი ან...).

Susi war nicht gekommen. სუსი არ მოსულა.

Der Kirschbaum wird **nicht** blühen.
 Das Glas wird **nicht** ausgetrunken worden sein.
 Dein Sohn ist **kein** Genie.
 Ihre Tochter was **keine** Künstlerin.

ბლის ხე არ აყვავდება.
 ჭიქა არ უნდა დაილიოს.
 შენი ვაჟი არ არის გენიოსი.
 მისი ქალიშვილი ხელოვანი არ ყოფილა.

გ. თუ წინადადებაში მოცემულია დამატება ან გარემოება, "nicht" დგას ჩვეულებრივ მათ შემდეგ.

Hubert pflanzte die Bäume **nicht**.
 Grüner Salat schmeckt mir **nicht**.
 Ich brauche das **nicht**.
 Anna kehrte heute **nicht**.
 In diesem Jahr habe ich mich **nicht** erholt.
 Diesen Film zeigte man gestern **nicht**.
 Den Kritiker liebte man in Bern zuerst **nicht**.

ჰუბერტი არ რგავს ხეებს.
 მწვანე სალათი მე არ მეგემრიელება.
 მე ეს არ მჭირდება.
 ანა დღეს არ დაბრუნებულა.
 წელს არ დამისვენია.
 ეს ფილმი გუშინ არ უჩვენებიათ.
 ბერნში ეს კრიტიკოსი თავიდან არ უყვარდათ.

• ზოგ შემთხვევაში "nicht" დგას გარემოების წინ.

Sie nimmt den Hund **nicht** mit in den Park.

მას არ მიჰყავს ძაღლი პარკში.

დ. "nicht"-ს ცვლის ზოგჯერ ზმნიზედა, რომელიც უარყოფას გამოხატავს.

Peter lügt **nie**.
 Das Baby schlief **keineswegs** ein.
 Der Kirschbaum wird **auf keinen Fall** blühen.

პეტერი არასოდეს ტყუის.
 არაფრით არ ჩაიძინა პატარამ.
 ბალი არავითარ შემთხვევაში არ აყვავდება.

ე. ბრძანებით წინადადებაში რომელიც უარყოფას გამოხატავს, "nicht" დგას პრდაპირ Imperativ-ის შემდეგ.

Schalte **nicht** den Herd aus!
 Sei **nicht** so dumm!
 Verlassen Sie **nicht** das Haus!

არ გამორთო ქურა!
 ნუ ხარ ასე სულელი!
 ნუ დატოვებთ სახლს!

• Infinitiv1-ის წინ:

Last euch **nicht** erpressen!
 Nicht **öffnen**!

თავს ნუ დააშანტაჟებინებთ!
 არ გააღოთ!

4.6.2 სიტყვის უარყოფა (Wortnegation)

წინადადების წევრის (გარდა Prädikat-ისა) უარყოფას ეწოდება Wortnegation.

ა. დამატების ან გარემოების უარყოფის შემთხვევაში უარყოფა დგას მათ წინ.

Sie spielten **nicht** in der Schule Fussball.
 Robert saß **nicht** am Schreibtisch.
 Ich habe darüber **nie** etwas geschrieben.
 Ich habe **nie** darüber etwas geschrieben.
 Du hast sie **nicht** deinen Eltern vorgestellt.
 Last euch **nie** wieder hier blicken!
 Du sollst **nicht** Schwarz sondern Weiss tragen.
 Nicht heute, sondern morgen kommen sie an.

ისინი ფეხბურთს სკოლაში არ თამაშობდნენ.
 რობერტი უზის არა საწერ მაგიდას...
 ამის შესახებ არასოდეს არაფერი დამიწერია.
 ამის შესახებ არასოდეს არაფერი დამიწერია.
 შენ ის შენი მშობლებისთვის არ წარგიდგენია.
 აქ აღარასოდეს არ შემოიხედოთ!
 არა შავ, არამედ თეთრ ტანსაცმელს უნდა ატარებდე.
 არა დღეს, არამედ ხვალ ჩამოდიან ისინი.

ბ. არსებითი სახელების წინ დგას ყოველთვის "kein, e..." ("kein" უარყოფს მხოლოდ განსაზღვრებას, თუ ის არსებითი სახელის წინ დგას).

Sibylle liebt **keine** Hunde.
 Ich habe dir lange **keinen** Brief geschrieben.
 Es gab **kein** Bier mehr.
 Wir konnten **keine** italienische Eisdiele finden.

სიბილას არ უყვარს ძაღლები.
 მე დიდი ხანია (წერილი) არ მომიწერია.
 ლუდი აღარ იყო (იყიდებოდა).
 ჩვენ ვერ მივაკვლიეთ იტალიურ ყინულის საფარს.

Das ist **kein** Spaß!
 Lecke **kein** Messer ab!

ეს არ არის სიამოვნება (ხუმრობა!)
 ნუ ლოკავ დანას!

მაგრამ:

Lecke **auf keinen** Fall ein Messer ab!

არავითარ შემთხვევაში არ გალოკო დანა!

გ. უარყოფითი პირის ნაცვალსახელი მეტწილად დგას წინადადების დასაწყისში.

Niemand kennt ihn.
 Keiner will etwas gesehen haben.

არავინ იცნობს მას.
 არავის უნდა რაიმე დაინახოს.

დ. ორმაგი უარყოფა აძლიერებს დამადასტურებელ ან უარყოფელ აზრს.

Ralf zeigte **niemals kein** Interesse.
 Davon hat **niemand nichts** (=überhaupt nichts) gemerkt.

რალფს ინტერესი არასოდეს გამოუვლენია.
 აქედან (საერთოდ) არავის არაფერი შეუნიშნავს.

ე. თუ წინადადებაში დაპირისპირებაა, nicht შეიძლება იდგეს წინადადების ნებისმიერი წევრის წინ, გარდა შემასმენლისა:

Nicht Bach, sondern Ozean sollte er heißen!

არა ნაკადული არამედ ოკეანე უნდა რქმეოდა მას!

ვ. წინადადების უარყოფა სიტყვის უარყოფის საპირისპიროდ:

Ich werde (kann) heute mit dir **nicht** singen.
 (Satzverneinung)
 Ich werde (kann) heute **nicht mit dir** singen.
 (Wortverneinung: mit dir)

მე არ ვიმღერებ დღეს შენთან ერთად.
 (მე არ შემძლია დღეს შენთან ერთად სიმღერა).
 მე არ ვიმღერებ დღეს შენთან ერთად.
 (მე არ შემძლია დღეს შენთან ერთად სიმღერა).

4.7 გავრცობილი კითხვითი წინადადება (Der erweiterte Fragesatz)

4.7.1 კითხვითი სიტყვა (Die Ergänzungsfrage/W-Frage/Frage mit Fragewort)

ასეთი წინადადება იწყება კითხვითი სიტყვით W-Frage. ყოველ კითხვით სიტყვას თავში აქვს ასო w, აქედან: "W-Frage." თუმცა კითხვა წინადადების უცხო წევრს დაესმის. პასუხი შეიძლება თავისუფალი იყოს (იხ. Synt. 3.2.2.1).

Wer gibt dir so viel Geld?
 Das gibt mir niemand. Das verdiene ich selbst mit meiner Arbeit.
 Wie können Sie Ihren modern erzogenen Sohn verstehen?
 Ich verstehe ihn durch zuhören.
 Wo sucht er eine Stelle?

ვინ გაძლევს ამდენ ფულს?
 არავინაც არ მაძლევს. მას მე თვითონ გამოვიმუშავე.
 როგორ უგებთ თქვენ თანამედროვე სტილით აღზრდილ ვაჟიშვილს?
 მე მას ვუგებ მოსმენით.
 სად ეძებს იგი ადგილს?

Er würde gern eine Uhrmacherlehre beginnen.

Welches passt zu Welchem?

Dieses passt jedenfalls nicht hier hin.

Wie viel deutschsprachige Länder kennen Sie?

Leider kenne ich persönlich gar keines.

Warum bleibt er hier?

Das weiß ich auch nicht.

- სასაუბრო ენაში (in der Umgangssprache) გვხვდება მოკლე წინადადებები ან ცალკე მდგომი დამოკიდებული წინადადებები:

Wer gibt dir Ratschläge?

Mein Pastor.

Wo würdest du gern wohnen?

Auf dem Lande.

Warum möchtest du lieber auf dem Lande leben?

Weil ich die Natur liebe.

Ab wann beginnst du die Sprichwörter zu lernen?

Ab heute.

იგი სიამოვნებით შეისწავლიდა საათების კეთებას (დაიწყებდა შესწავლას).

რომელი რომელს ესადაგება?

ყოველ შემთხვევაში ეს ამას არ ესადაგება.

რამდენ გერმანულენოვან ქვეყანას იცნობთ?

სამწუხაროდ, პირადად მე არც ერთს არ ვიცნობ.

რატომ რჩება აქ?

ეს მეც არ ვიცი.

რჩევებს ვინ გაძლევს?

ჩემი მოძღვარი.

სად იცხოვრებდი სიამოვნებით? (გირჩევნია)

სოფლად.

რატომ არჩევდი ქალაქგარეთ ცხოვრებას?

რადგან ბუნება მიყვარს.

როდის დაიწყებ ანდაზების სწავლას?

დღეიდან.

4.7.2 კითხვითი სიტყვის გარეშე

(Die Entscheidungsfrage/Ja-Nein-Doch-Frage/Frage ohne Fragewort)

წინადადებაში კითხვითი სიტყვის გარეშე შეკითხვა (Entscheidungsfrage) იწყება ყოველთვის უღლებადი ზმნის პირის ფორმით. იგი ითხოვს პასუხს გამონათქვამის სისწორეზე (დასტური ან უარი).

- ა. თუ შეკითხვას დადებითი პასუხი მოსდევს, იგი იწყება დასტურის გამომხატველი ზმნიზებით (Ja, ..., Natürlich, ..., Gewiss... და ა.შ.) ან უარყოფის გამომხატველი ზმნიზებით თუ პასუხი ნეგატიურია (Nein, ..., Auf keinen Fall... და ა.შ.) (იხ. Synt. 3.2.2.2ა).

Macht er Ihnen Sorgen?

Ja, er macht mir Sorgen.

Nein, er macht mir keine Sorgen.

Wissen Sie das?

Natürlich weiß ich das!

Nein, das weiß ich nicht.

Sind Sie gegen harte Strafen?

Ja, ich bin gegen harte Strafen.

Nein, ich bin dafür.

გიჩენთ იგი საზრუნავს?

დიახ, იგი მიჩენს საზრუნავს.

არა, ის არ მიჩენს საზრუნავს.

იციოთ თქვენ ეს?

რა თქნა უნდა, მე ეს ვიცი.

არა, მე ეს არ ვიცი.

მკაცრად დასჯის წინააღმდეგი ბრძანდებით?

დიახ, მკაცრად დასჯის წინააღმდეგი

გახლავართ.

არა, მე ამის მომხრე ვარ.

- ბ. თუ კითხვით წინადადებაში უკვე მოცემულია უარყოფა ("nicht", "kein, e") მაშინ ამ უარყოფის უარყოფის დადასტურება იწყება სიტყვით "nein, ..." და პირიქით, უარყოფის უარყოფა-სიტყვით "Doch, ..." (იხ. Synt. 3.2.2.2 ბ.)

Hast du Tina nicht deinen Eltern vorgestellt?

Nein, ich habe sie ihnen nicht vorgestellt.

Doch, ich habe sie ihnen bereits vorgestellt.

Haben Sie heute kein frisches Brot?

არ წარუდგინე თინა შენს მშობლებს?

არა, მე იგი მათთვის არ წარმიდგენია.

დიახ, (როგორ არა) მე იგი მათ უკვე წარუდგინე.

არ გაქვთ დღეს ახალი პური?

Nein, heute haben wir leider kein(e).
Doch, natürlich haben wir.

არა, სამწუხაროდ არ გვაქვს.
დიახ, რა თქმა უნდა, გვაქვს.

გ. არსებობს აგრეთვე შებრუნებული კითხვები (Echofragen):

Können wir ins Gewandhaus gehen?
გევანდჰაუსში ხომ არ წავსულიყავით?

Echo
→

Ob wir ins Gewandhaus gehen Können?
გევანდჰაუსში ხომ არ წავსულიყავით?

Wie finden Sie meinen Garten?
როგორ მოგწონთ ჩემი ბაღი?

Echo
→

Wie ich ihren Garten finde?
როგორ მომწონს თქვენი ბაღი?

Wann beginnt dein Studium?
როდის იწყებ სწავლას?

Echo
→

Wann mein Studium beginnt?
როდის ვიწყებ სწავლას?

4.8 მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება Der einfache und erweiterte Hauptsatz

სქემა I

მარტ. გაუვრცობილი=ზმნა/შემასმენელი+სუბიექტი=Verb+Subjektergänzung

მარტ. გავრცობილი=ზმნა/შემასმენელი+წინადადების სხვა წევრები=Ergänzung -

- ზმნები: sein, werden, heißen, (Einordnungsergänzung) (Prädikativum ან Komplement)
- პირდაპირი დამატება (Akkusativergänzung)-პიროვნება (Person), საგანი (Sache) ვინ?, რა?, ვის?, რას?
- ირიბი დამატება (Dativergänzung)-პიროვნება (Person), საგანი (Sache) ვის?, რას?
- განსაზღვრება (Genitivergänzung)-ვისი?
- მიმართულების (Direktivergänzung)-საიდან?, საით?
- სიტუაციური (Situativergänzung) - ადგილის (lokal), დროის (temporal),
მიზეზის (Grund) სად, როდის რატომ? } Umstandsergänzung
- ხარისხის (Qualitativergänzung)-როგორ?
- წინდებული (Präpositionalergänzung)-ვისთან?, ვის შესახებ?

და ა.შ.

(Der einfache Hauptsatz)				
Subjekt (Nominativ-Ergänzung)	Person Sache	Wer? Was?	Luka singt. Der Baum steht.	ლუკა მღერის. ხე დგას.
sein werden } + Einordnungsergänzung heißen (Prädikativum oder Komplement)	Was ist er von Beruf? Was wird sie? Wie heißen Sie?		Er ist Programmierer. Sie wird Journalistin. Ich heiße Nora Klein.	ის პროგრამისტია. მას ხუროს ჟურნალისტობა. მე ვარ ნორა კლაინი.
	(Der erweiterte Hauptsatz)			
	Verb transitiv haben möchten } +Akkusativergänzung	Person (Sache)	Wen? Was?	Nora sieht ihren Freund. Wir haben Kinder. Er kaufte einen Blumenstrauss. Möchten Sie Kirschsensaft?
Person (Sache)		Wem?	Gib mir dein Lexikon! Gib dem Ball einen Schubs!	მომეცი შენი ლექსიკონი! მოეცი ძალა ბურთს!
Genitiv-Ergänzung	Sache Person	Wessen?	Ich nehme mich der Sache (seiner) an.	მე მისი ტვირთი (საზრუნავი) კისრად ვიდე.
	Ort	Woher? Wohin? Wo?	Max kommt aus Salzburg. Ich fliege am liebsten nach Basel. Sie arbeitet bei Translingua. Er wohnt in Kutaisi.	მაქსი ზალცბურგიდანაა. მე მირჩევნია ბაზელში გავფრინდე. ის ტრანსლინგუაში მუშაობს. იგი ქუთაისში ცხოვრობს.
Umstandsergänzung	Zeit	Wann? Wie lange?	Die Vorlesung beginnt um zehn Uhr. Sie dauert zwei Stunden.	ლექცია 10 საათზე იწყება. იგი გრძელდება ორი საათი.
	Art und Weise	Wie?	Meine Nachbarin ist wirklich nett. Dein Album finde ich toll.	ჩემი მეზობელი სასიამოვნო ადამიანია. შენი ალბომი მომწონს.
	Grund	Warum?	Sie geht aus Interesse ins Museum.	იგი მუზეუმში მიდის ინტერესის გამო.
Präpositionalergänzung		Mit wem? An wen? Wovon? Wonach?	Kommst du mit mir? Ich denke an meinen Sohn. Er erzählt von der Musikschule. Jörg sucht nach dem Pinsel.	მოდინარ ჩემთან ერთად? მე ჩემს ვაჟზე ვფიქრობ. იგი ყვება მუსიკალური სკოლის შესახებ. იორგი ეძებს ფუნჯს.

რთული წინადადება Der zusammengesetzte Satz

რთული წინადადება ორგვარია:

- თანწყობილი (die Satzverbindung)
 - ქვეწყობილი (das Satzgefüge)
- განსხვავება თანწყობილსა და ქვეწყობილ წინადადებას შორის:
- რთულ თანწყობილ წინადადებაში ორი ან რამდენიმე დასრულებული შინაარსის წინადადება (Hauptsätze) დგას ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (unabhängig).
 - რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არის ერთი მთავარი წინადადება (Hauptsatz) და მასზე დამოკიდებული (abhängig) ერთი ან რამდენიმე წინადადება, რომელიც ასრულებს იმ მთავარი წინადადების ერთ-ერთ წევრის როლს (Gliedsatz ან Nebensatz).

5.1 რთული თანწყობილი წინადადება (Die Satzverbindung/Die Zusammensetzung von Hauptsätzen)

თანწყობილი წინადადება შედგება ორი ან მეტი მარტივი დამოუკიდებელი წინადადებისგან (selbstständige Hauptsätze). იგი შეიძლება იყოს კავშირიანი ან უკავშირო. მარტივი წინადადებები ერთმანეთს უკავშირდება მაერთებელი (nebenordnend) კავშირით ან მისი შემცვლელი მაკავშირებელი სიტყვით (ზმნიზედა).

5.1.1 უკავშირო რთული წინადადება (Unverbundene Zusammensetzung)

ასეთ წინადადებაში არ არის კავშირი, ჩვენებითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, როგორც მაკავშირებლები. მარტივი დამოუკიდებელი წინადადებები მძიმითაა გამოყოფილი.

Der Hund bellt, die Karawane geht.	მალე ყვფს, ქარავანი მიდის.
Hol die Wäsche herein, es wird gleich regnen.	შემოიტანე თეთრეული, სადაცაა გაწვიმდება.
Er soll zu Hause bleiben, ich gehe!	ის შინ უნდა დარჩეს, მე წავედი!
Die Schule ist aus, wir gehen nach Haus!	სკოლა დამთავრდა, წავედით შინ!
Der Vater geht zur Arbeit, die Mutter versorgt die Kinder.	მამა მიდის სამსახურში, დედა შვილებს უვლის.
Die Liebe kommt, die Liebe geht.	სიყვარული მოდის, სიყვარული მიდის.
Man singt, man tanzt, man genießt das Leben.	მღერიან, ცეკვავენ, ტკბებიან ცხოვრებით.

5.1.2 კავშირიანი რთული წინადადება (Verbundene Zusammensetzung)

5.1.2.1 მაერთებელი კავშირით (mit einer nebenordnenden Konjunktion)

- ა. ე.წ. „ნამდვილი“ (echt) კავშირი არ ზემოქმედებს წინადადების სიტყვათა წყობაზე (Subjekt→Prädikat) და დგას მეორე დამოუკიდებელი წინადადების თავში. (იხ. Morph. 10. 1.2. და 10.2)

und-და oder-ან	aber-მაგრამ allein-თუმცა	indes-ამასობაში indessen-ამასობაში	denn-რადგან sondern-არამედ და ა.შ.
Die Sonne scheint und die Blumen blühen.	მზე ანათებს და ყვავილები ყვავიან.	Saljeri beneidete Mozart, aber er konnte sein Talent nicht ableugnen.	სალიერის შურდა მოცარტის, მაგრამ მისი ტალანტის უარყოფა არ შეეძლო.

Sollen die Eltern bei der Heirat mitentscheiden,
oder ist das nur die Entscheidung der Kinder?

Der Wüstenbaum "Saksaul" gibt keinen Schatten,
denn er hat keine Blätter.

Ich habe die Schule nie geschwänzt, sondern du
hast das getan.

Dein Argument ist interessant, allein es überzeugt
mich nicht.

უნდა მიიღონ მშობლებმა მონაწილეობა
შვილების ქორწინებაში, თუ ეს მათ პირადად
უნდა გადაწყვიტონ?

უდაბნოს ხეს „საქსაულს“, არ გააჩნია ჩრდილი,
რადგან მას ფოთლები არ აქვს.

მე სკოლა არასოდეს გამიცდენია, ამას შენ
სჩადიოდი.

შენი არგუმენტი საინტერესოა, თუმცა
ოგი მე ვერ მარწმუნებს.

ბ. ე.წ. „არანამდვილი“ (unecht) კავშირი ხან ახდენს გავლენას წინადადების სიტყვათა წყობაზე, ხან არა.

doch-მაინც, თუმცა, მაგრამ nur-მხოლოდ	jedoch-თუმცა, მაგრამ, მაინც auch-აგრეთვე	also-მამასადამე entweder...oder-ან...ან და ა.შ.
---	---	--

Ich ging spazieren, doch es begann bald zu regnen.

Ich ging spazieren, doch began es bald zu regnen.

Entweder du gehst, oder du bleibst!

Entweder gehst du oder bleibst du!

Dieses Kleid passt mir, nur es gefällt mir nicht.

Dieses Kleid passt mir, nur gefällt es mir nicht.

მე წავედი სასეირნოდ, მაგრამ მალე წვიმა დაიწყო.

მე წავედი სასეირნოდ, მაგრამ მალე წვიმა დაიწყო.

ან წადი, ან დარჩი!

ან წადი, ან დარჩი!

ეს კაბა კარგად მაქვს, მაგრამ არ მომწონს.

ეს კაბა კარგად მაქვს, მაგრამ არ მომწონს.

გ. კავშირი ახდენს სიტყვათა წყობაზე გავლენას, თუ წინადადების თავში დგას, ვერ ახდენს გავლენას, თუ წინადადების შუაშია.

trotzdem-მიუხედავად, თუმცა	auch-თანაც, (ც)	insofern-(რ)ამდენად და ა.შ.
----------------------------	-----------------	-----------------------------

Er hatte sich den Wecker gestellt, (aber) trotzdem
hat er verschlafen.

..., (aber) er hat trotzdem verschlafen.

Ich habe Kopfschmerzen, auch bin ich müde.

..., ich bin auch müde.

Der Kaffee ist dort teuer, insofern hast du recht.

..., du hast (also) insofern recht.

მან მალეძარა დააყენა, (მაგრამ) მიუხედავად
ამისა, მაინც ჩაეძინა.

... (მაგრამ) მიუხედავად ამისა, ჩაეძინა.

თავი მტკივა, დალლილიც ვარ.

... დალლილიც ვარ.

იქ ყავა ძვირია, ამდენად შენ მართალი ხარ.

..., (მამასადამე) ამდენად შენ მართალი ხარ.

დ. კავშირი წინადადების თავში ან შუაში, როცა სიტყვათა წყობა (Subjekt→Prädikat) უცვლელია.

aber-მაგრამ	nämlich-სწორედ, კერძოდ	ja-ხომ	nein-არა	nur-მაგრამ და ა.შ.
-------------	------------------------	--------	----------	--------------------

Er wollte in den Löwenkäfer klettern, aber sein
Mut verließ ihn schnell.

..., sein Mut verließ ihn aber schnell.

Man kann schwarzfahren, nur man tut es nicht.

..., man tut es nur nicht.

Diese Strafe verdienst du, nämlich du bist selber
schuld.

..., du bist nämlich selber schuld.

მას ლომის გალიაში შეძრომა უნდოდა, მაგრამ
მისმა სიმამაცემ უმალ მიატოვა.

..., მაგრამ მისმა სიმამაცემ უმალ მიატოვა.

შეიძლება მართვის მოწმობის გარეშე (ან
უბილეთოდ) მგზავრობა, მაგრამ ამას არ
აკეთებენ.

..., მაგრამ ამას არ აკეთებენ.

ეს სასჯელი დაიმსახურე, სწორედ შენ თავად
ხარ დამნაშავე.

..., შენ თვითონ ხარ სწორედ დამნაშავე.

ე. რამდენიმე კავშირი შეიძლება გვერდიგვერდ იდგეს.

Der Kaffee dort ist teuer, **und insofern** hast du recht.
Ich habe den Verkehrsunfall verursacht, **aber auch**
der andere ist nicht unschuldig.

ყავა იქ ძვირია, და ამდენად შენ ხარ მართალი.
უბედური შემთხვევა (მოძრაობისას) თუმცა მე
მომიხდა, მაგრამ არც მეორეა უდანაშაულო.

5.1.2.2 ჩვენებითი ნაცვალსახელით (...mit einem Demonstrativpronomen)

Es war einmal ein Müller, **der** hatte eine wunderschöne
Tochter.
Ich suche einen Mann, **der** heißt Hubert.
Wir kannten eine junge Frau, **die** war an Krebs
erkrankt.
Unser Nachbar suchte seinen Wagen, **den** hatte er im
Parkhaus abgestellt.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეწისქვილე,
მას ერთი მშვენიერი გოგონა ჰყავდა.
ვეძებ კაცს, (ი) მას ჰუბერტი ჰქვია.
ჩვენ ვიცნობდით ახალგაზრდა ქალს, მას
სიმსივნე ჰქონდა.
ჩვენი მეზობელი ეძებდა თავის მანქანას, მან
ის (მანქანა) პარკში დატოვა.

5.1.2.3 ზმნიზებით (... mit einem Adverb)

„არანამდელი“ (unrecht) კავშირი წინადადებაში გარემოების ფუნქციას ასრულებს ანუ კავშირი ტოლფასია ზმნიზების და გამოხატავს მოქმედების ადგილს, დროს, მიზეზს. თუ კავშირი წინადადების თავში დგას, იცვლება სიტყვათა წყობა. ასეთივე შინაარსს ატარებს რთული წინადადება მაკავშირებელი სიტყვით.

da -იქ, აქ, მაშინ von dort -იქიდან	somit -ასე, ამგვარად daher -იქედან schließlich -ბოლოს	deswegen -ამიტომ dazu -ამისთვის (ამიტომ)	und zwar -კერძოდ trotzdem -მიუხედავად ამისა და ა.შ.
---	--	--	---

Wir trafen ihn im Juli, **da** hatte er Susi schon
geheiratet.
Er kann nicht mit seiner Großmutter sprechen,
dazu muss er Deutsch lernen.
Wir bleiben in den Ferien zu Hause, **somit** wäre diese
Frage geklärt.
Wir sind Kleingläubige, **deswegen** können wir Gott
nicht genug loben.
Gehen Sie hier geradeaus bis zur Bank; **von dort** sehen
Sie den Bahnhof.
Ich habe mich in allem versucht, **schließlich**
begann ich Verse zu machen.

ჩვენ მას ივლისში შევხვდით, მაშინ ის
სუზიზე უკვე დაქორწინებული იყო.
მას არ შეუძლია ბებიაშისთან საუბარი, ამისთვის
მან (ამიტომ) გერმანული უნდა ისწავლოს.
ჩვენ არდადეგებზე შინ დავრჩებით, ამგვარად
ეს საკითხი მოგვარდებოდა.
ჩვენ მცირედმორწმუნენი ვართ, ამიტომ არ
ძალგვიძს უფლის სრულყოფილად
თაყვანისცემა (ქება).
წაბრძანდით პირდაპირ ბანკამდე; იქედან
დაინახავთ ვაგზალს.
მე თავი ყველა სფეროში გამოვცადე, ბოლოს
კი ლექსის თხზვა დავიწყე.

5.1.2.4 კავშირი-წყვილები (Verbindende Wortpaare)

როული წინადადების ყოველ შემადგენელ წინადადებაში დგას კავშირი-წყვილის ერთ-ერთი სიტყვა. ნაწილობრივ ხდება ქვემდებარის გადანაცვლება.

weder...noch-არც...არც entweder...oder-ან...ან einerseits...andererseits-ერთი მხრივ... მეორე მხრივ nicht...sondern-არა...არამედ nicht nur...sondern auch-არა მხოლოდ...არამედ აგრეთვე erst...dann-ჯერ...შემდეგ	sowohl...als auch-როგორც...ასევე teils...teils-ნაწილი...ნაწილი bald...bald-ხან...ხან halb...halb-ნახევრად...ნახევრად der eine...der andere-ერთი...მეორე და ა.შ.
---	---

Bald rieb sich Vater die Hände, bald strich er sich den Bart.

მამა ხან ხელებს ისრესდა, ხან წვერზე ისვამდა ხელს.

Ich bin teils dafür, teils habe ich meine Bedenken.

მე ნახევრად ვეთანხმები, ნახევრად არა (ჩემი მოსაზრებები მაქვს).

Weder scheint die Sonne, noch sieht es nach Regen aus.

არც მზეა, არც წვიმა.

Der Mensch muss nicht nur trinken, sondern er will auch essen.

კაცმა არა მხოლოდ უნდა სვას, არამედ უნდა ჭამოს კიდევ.

Dem einen gefällt seine Nase nicht, der andere wünscht sich volles Haar.

ერთს მისი ცხვირი არ მოსწონს, მეორე ნატრობს (მის) ხშირ თმას.

5.1.2.5 ჩართული წინადადება (Der eingeschobene Satzsatz)

როგორც წესი, როული წინადადების შემადგენელი წინადადებები დგანან უშუალოდ ერთმანეთის მიყოლებით. ჩართულ წინადადებაში კი ერთ-ერთი მათგანი ჩასმულია მთლიანობაში.

ასეთი წინადადება მოცემულია ორ მძიმეს შორის და არის მეტწილად მოკლე.

Seine Jahre in Brasilien, das kannst du mir glauben, hat er genossen.

მისი წლები ბრაზილიაში, შეგიძლია მე დამიჯერო, იყო ნამდვილი ტკბობა.

Das schmutzige Ofenrohr ist mir, welch ein Pech, aus der Hand gerutscht.

ჭუჭყიანი ღუმელის მილი, დახე ხელის მოცარვას, ხელიდან დამისხლტა.

Morgen, darüber bin ich froh, wird er nicht fröhlich sein.

ხვალ, ეს მე ძალიან მახარებს, იგი არ ისაუზმებს.

3 mal 7, denk noch mal nach, ist keinesfalls 22!

სამჯერ შვიდი, კიდევ ერთხელ დაფიქრდი, არავითარ შემთხვევაში არ იქნება 22!

5.1.3 თანწყობილი წინადადების სახეები (Arten der Satzverbindung)

5.1.3.1 თანწყობა/მიერთება (Anreihung)

ა. დამოუკიდებელი თანწყობა, გავრცობა (იხ. Morph. 10.1.2.1)

Sabine studiert noch, Max arbeitet schon.

საბინე ჯერ კიდევ სწავლობს, მაქსი უკვე მუშაობს.

Niemand war dagegen, und ein schwaches Lächeln erhellte ihr Gesicht.

წინააღმდეგი არავინ იყო და მსუბუქმა ღიმილმა გაუნათა მას სახე.

ბ. განმარტება -

Pia spart fleißig, sie möchte nach Paris reisen.

პია ფულს ბეჯითად ზოგავს, მას პარიზში უნდა წასვლა.

Sie wollen an der Donau grillen, und zwar soll es um 18 Uhr losgehen.

მათ სურთ დუნაის ნაპირზე ცეცხლზე შეწვან ხორცი (ან სხვა რამ) და 18 საათზე დაიშალონ (შინ წავიდნენ).

გ. ნაწილებად დაყოფა -

Einerseits gefällt mir die Idee, andererseits bereitet mir die Finanzierung Kopfzerbrechen.

ერთი მხრივ, მომწონს იდეა, მეორე მხრივ, ფინანსურ თავსატეხს მიჩენს.

დ. ლოგიკური რიგითობა -

Erst wollte ich mich der Stimme enthalten, dann begann ich zu zweifeln, schließlich ging ich doch zur Wahle.

ჯერ უარი მინდოდა მეთქვა ხმის მიცემაზე, შემდეგ ეჭვი დამებოდა, ბოლოს მაინც წავედი არჩევნებზე.

ე. ე.წ. Satzreihe (სიტყვასიტყვით: წინადადებათა რიგი) წარმოიქმნება, როდესაც რთული თანწყობილი წინადადება შედგება რამდენიმე შინაარსობრივად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი (ერთნაირი წესით აგებული (მძიმით გამოყოფილი) მარტივი წინადადებებისგან.

Die Hühner schlafen, der Mond leuchtet, das Kind träumt, die Welt steht still.

ქათმებს სძინავთ, მთვარე ანათებს, ბავშვი ოცნებობს, მსოფლიო მშვიდად სუფევს.

5.1.3.2 დაპირისპირება (Entgegenstellung)

ა. შემოსაზღვრული (იხ. Morph. 10. 1.2.2)

Florian hat das Examen zwar bestanden, aber die Endnote war nicht gut.

ფლორიანმა თუმცა ჩააბარა გამოცდა, მაგრამ საბოლოო ნიშანი არც თუ ისე კარგი იყო.

Ich komme mit ins Kino, aber lass mich zuerst diesen Satz fertig schreiben.

მე მოვდივარ კინოში, მაგრამ ჯერ ეს წინადადება დამამთავრებინე (დამაწერინე).

ბ. აღმასვლა. წინადადება უარყოფა-Negation-ით -

Wir bleiben nicht in Rom, sondern (wir) reisen nach Berlin weiter.

ჩვენ ვრჩებით არა რომში, არამედ გზას ვაგრძელებთ ბერლინისკენ.

Niemals darfst du deinen Traum aufgeben, vielmehr sollst du an seiner Verwirklichung arbeiten.

შენ არასოდეს თქვა უარი შენს ოცნებაზე, უფრო მის ხორცშესხმაზე უნდა იმუშაო.

გ. აღმასვლა კავშირებით-trotzdem, nicht destoweniger, dennoch

და ა.შ.

Tonis Chancen waren aussichtslos, trotzdem hielt er an seinem Ziel fest.

ტონის წარმატების შესაძლებლობა თვალსაჩინო არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, მყარად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე (მიზნიდან არ უხვევდა).

Keiner hat mir das zugetraut, und dennoch habe ich es geschafft.

არავის სჯეროდა ჩემი, მაგრამ მე მაინც შევძელი ეს.

5.1.3.3 წინააღმდეგობის შემცველი წინადადებები (Gegensätze)

(იხ. Morph. 10.1.2.3)

Beeile dich, sonst kommst du zu spät in die Schule!
Zieh die Schuhe aus, oder ich lasse dich nicht ins
Wohnzimmer!

Die Maschine muss regelmäßig gewartet werden,
andernfalls übernehmen wir keine Garantie.

აჩქარდი, თორემ სკოლაში დაიგვიანებ!
გაიხადე ფეხსაცმელი, თორემ ოთახში არ
შეგიშვებ!

მანქანა თავის რიგს უნდა დაელოდოს,
წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობას
ჩვენს თავზე ვერ ავიღებთ.

5.1.3.4 მოტივაცია (Begründung)

(იხ. Morph. 10. 1.2.7)

ა. მოტივაცია მოცემულია მეორე წინადადებაში -

Diese Tapeten müssen erneut werden, sie sind
völlig vergilbt.

Diese Wohnung kann ich nicht mieten, (den) Miete
und Nebenkosten sind viel zu hoch.

Rufen Sie schnell einen Arzt, der Junge ist ja
schon ganz blass!

შპალერი უნდა განახლდეს, ის მთლიანად
გაყვითლებულია.

ბინის დაქირავება მე არ შემიძლია, ქირა და
გვერდითი ხარჯები ძალიან ძვირია!
დაუძახეთ ექიმს, ბიჭი ხომ მთლად
გაფითრებულია!

ბ. მოტივაცია მოცემულია პირველ წინადადებაში -

Hier gibt es heute kein Brot mehr, also versuche
ich es nebenan nochmals.

Der neue Mitarbeiter hat Grippe, folglich wird er
die ganze Woche fehlen.

აქ დღეს პური აღარ არის, მაშასადამე გვერდით
კიდევ უნდა მოვიძიო (ვგადო).
ახალ თანაშრომელს გრიპი აქვს, შესაბამისად
იგი მთელ კვირას არ ივლის.

გ. მიზნის მინიშნება -

Du willst immer den Wagen in der Garage lassen,
aber dazu haben wir ihn nicht gekauft.

შენ გინდა მანქანა მუდმივად ავტოფარეხში
გყავდეს, ამისთვის არ გვიყიდა ჩვენ ის.

დ. დათმობა -

Er war unendlich müde, und trotzdem konnte
er nicht einschlafen.

იგი უზომოდ დაღლილი იყო, მიუხედავად
ამისა, დაძინება არ შეეძლო.

ე. შემოსაზღვრა -

Klaus hat die Prüfung bestanden, und insofern
können wir zufrieden sein.

კლაუსმა გამოცდა ჩააბარა, ამ ეტაპზე ამით
შეგვიძლია დაკმაყოფილდეთ.

5.2 რთული ქვეწყობილი წინადადება (Das Satzgefüge/Die Zusammensetzung von Haupt-und Nebensätzen)

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების კავშირი არის რთული ქვეწყობილი წინადადება.

- გავრცობილი მთავარი წინადადება (*erweiterter Satz*) შედგება წინადადების ცალკეული წევრებისგან (იხ. Synt. 4.1). თუ ამ წინადადების წევრთაგან ერთ-ერთი ისეა გავრცობილი, რომ მასში მოცემულია ქვემდებარე, შემასმენელი, და ყველაფერი ერთად ქმნის სინტაქსურ მთლიანობას, ეწოდება რთული ქვეწყობილი წინადადება (*Satzgefüge*).
- მთავარი წინადადება (რთულ ქვეწყობილში) ეწოდება იმ ნაწილს, რომელშიც შემასმენლის პირის ფორმა მეორე ადგილზე დგას (*Pos.2*) (ბრძან. ძახილის წინადადებაში პირველ ადგილზე (*Pos1*) (იხ. Synt.2.3 და 3.1.4, 3.2 ასევე 4.3.3., 4.5).
- დამოკიდებული წინადადება ანუ წინადადება-წინადადებების წევრი (*Gliedsatz*) ეწოდება მთავარ წინადადებაზე დაქვემდებარებულს. იგი ასრულებს მთლიანი წინადადების ერთ-ერთი წევრის როლს. მისი შემასმენლის პირის ფორმა დგას წინადადების ბოლოს.
- მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის დგას მძიმე.

5.2.1 რთული ქვეწყობილი წინადადების კლასიფიკაცია (Klassifizierung der Satzgefüge)

5.2.1.1 კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (Klassifizierung dem Bau nach)

- ა. დამოკიდებულ წინადადებას მაკავშირებლის გარეშე არ გააჩნია: კავშირი, ნაცვალსახელი, ნაცვალსახელი-ზმნიზედა ან კითხვითი ზმნიზედა.
- | | |
|--|--|
| Wäre das Wetter schön gewesen, hätten wir einen Ausflug gemacht. | კარგი ამინდი რომ ყოფილიყო, ექსკურსიას მოვაწყობდით. |
| Brauchst du Hilfe, such sie am Ende deiner eigenen Arme! | გჭირდება შველა, მიმართე ბოლოს საკუთარ მარჯვენას! |
- ბ. მაკავშირებლიან დამოკიდებულ წინადადებას თავში მოუდის -
- მაქვემდებარებელი კავშირი (იხ. Morph. 10.1.2. და 10.2.2.)
Ich bin der Ansicht, dass er die künstlerischen Prinzipien gut kennt.
ჩემი აზრით, იგი ხელოვნების პრინციპებში კარგად ერკვევა.
 - მიმართებითი ნაცვალსახელი (წინდებულთ ან მის გარეშე), ან ნაცვალსახელი-ზმნიზედა -
Ich suche die Menschen, die einer solchen Figur ähneln könnten.
მე ვეძებ ადამიანებს, რომელნიც შეძლებდნენ ასეთ ფიგურას დამსგავსებოდნენ.
Er war eine Person, von der ich nur Gutes gehört habe.
ის იყო პიროვნება, რომლის შესახებაც მე მხოლოდ კარგი მომესმინა.
Die Wiege, worin ich als Baby lag, ist neulich verkauft worden.
აკვანი, რომელშიც მე ჩვილი ვიწექი, ახლახანს გაიყიდა.
 - კითხვითი ნაცვალსახელი, კითხვითი ზმნიზედა ან კითხვა-კავშირი "იხ."
Wir wissen noch nicht, welchen Nachtschirm wir nehmen.
ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია (არ ვიცით), რომელ ჩაროზს ავიღებთ.
Die Frage, woher sie kommt, hat sie schon beantwortet.
კითხვას, საიდან იყო იგი, მან უკვე უპასუხა.
Markus fragt, ob wir zusammen in den Park gehen.
მარკუსმა იკითხა, მივდივართ თუ არა ერთად პარკში.

5.2.1.2 კლასიფიკაცია დამოკიდებული წინადადების ადგილის მიხედვით რთულ ქვეწყობილ წინადადებაში (Klassifizierung nach der Stellung des Nebensatzes im Satzgefüge)

მთავართან მიმართებით განსაზღვრული ადგილის მიხედვით დამოკიდებული წინადადება არის:

ა. წინა (Vordersatz) -

Weil der Fahrer nicht rechtzeitig gebremst hatte, kam er zu diesem Unfall.

რადგან მძღოლმა დროზე არ დაამუხრუჭა, (ამიტომ) მოუხდა ეს უბედურება.

ბ. შუა (Mittelsatz) -

Das Kleid, das sie heute gekauft hat, steht ihr sehr.

კაბა, რომელიც მან დღეს იყიდა, (მას) ძალიან უხდება.

გ. ბოლო (Nachsatz)

Der Hass trat ihr in die Augen, als sie den Alten sah.

მას თვალებში სიძულვილი აღებეჭდა, როდესაც (მან) მოხუცი დაინახა.

5.2.1.3 კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით (Klassifizierung dem Inhalt nach)

ა. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება. (Subjektsatz) (იხ. Synt. 52.3.1)

ბ. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. (Attributsatz) (იხ. Synt. 52.3.2)

გ. დამატებითი დამოკიდებული წინადადება. (Objektsatz) (იხ. Synt. 52.3.3)

დ. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. (Adverbialsatz) (იხ. Synt. 5.2.3.4)

ე. დამოკიდებული წინადადება-პრედიკატივი. (Prädikativsatz) (იხ. Synt. 2.2.2)

ვ. დამოკიდებული წინადადება-კომპლემენტი. (Komplenemtsatz) (იხ. Synt. 2.2.3)

5.2.2 სიტყვათა წყობა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში (Wortstellung im Satzgefüge)

5.2.2.1 სიტყვათა წყობა მთავარ წინადადებაში (Wortstellung im Hauptsatz)

მთავარი წინადადების სიტყვათა წყობა არ იცვლება, თუ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შემდეგ დგას; თუ დამოკიდებული წინ უძღვის მთავარს, მაშინ მთავარში გვექნება შებრუნებული სიტყვათა წყობა (Umstellung/Inversion/indirekte Wortstellung).

ა. როგორც წესი, მთავარი წინადადების სიტყვათა წყობა ასეთია: ქვემდებარე დგას პირველ ადგილზე (Pos.1) შემასმენლის პირის ფორმის წინ, შემასმენელი დგას მეორე ადგილზე (Pos.2) -

Die Sklaven verstehen am besten (Hauptsatz),
was die Freiheit bedeutet (Nebensatz).

მონებმა ყველაზე უკეთ უწყიან, რას ნიშნავს თავისუფლება.

ბ. მთავარი წინადადების შებრუნებული წყობა ასეთია: ქვემდებარე დგას მეორე ადგილზე (Pos.2) შემასმენლის შემდეგ.

შემასმენელი დგას პირველ ადგილზე (Pos.1) -

Was die Freiheit bedeutet (Nebensatz),
verstehen die Sklaven am besten (Hauptsatz).

რას ნიშნავს თავისუფლება, მონებმა ყველაზე უკეთ უწყიან.

იშვიათად: Was die Freiheit bedeutet, die Sklaven verstehen das am besten.

რას ნიშნავს თავისუფლება, მონებმა ყველაზე კარგად უწყიან.

5.2.2.2 სიტყვათა წყობა დამოკიდებულ წინადადებაში (Wortstellung im Nebensatz)

ა. დამოკიდებული წინადადება მაკავშირებლით -

- დამოკიდებულ წინადადებაში პირველ ადგილზეა მაქვემდებარებელი კავშირი ან მაკავშირებელი სიტყვა, შემდეგ მოდის ქვემდებარე და წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები. ზმნური შემასმენელი (მარტივ დროებში) ან შემასმენლის უღლებადი ნაწილი (რთულ დროებში) უკანასკნელ ადგილზეა (letzte Position).

Ich denke an den Tag, **da** das Recht über das Unrecht siegt.

მე ვფიქრობ იმ დღეზე, როდესაც სიმართლე უსამართლობაზე გაიმარჯვებს.

Die Freunde schrieben an ihn, **dass** er bald kommen solle.

მეგობრებმა მისწერეს მას, რომ იგი მალე უნდა ჩამოვიდეს.

- როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი თავსართმოცილებადი ზმნაა, ეს თავსართი დროის არც ერთ ფორმაში არ მოსცილდება ზმნას:

Ich bitte dich darum, **dass** du eine andere Jacke **anziehst**.

გთხოვ, რომ სხვა ჟაკეტი ჩაიცვა.

- რთული შემასმენლის სახელითი ნაწილი, Prädikativ-ი ან Komplement-ი დგას ზმნის პირის ფორმის წინ.
Wenn sich Renate **als Schneewittchen verkleidet**, geht Rene als Prinz.
Obwohl ich ihn nicht **sympatisch finde**, höre ich ihm zu.

თუ რენატე ფიფქიას ტანსაცმლით შეიმოსება, რენე უფლისწულივით გაივლის. თუმცა მე იგი არ მესიმპატიურება, მაინც ვუსმენ მას.

- რეფლექსური ნაცვალსახელი შემასმენლის ნაწილია. როგორც წესი, იგი დგას ზმნის პირის ფორმის ან კავშირის შემდეგ.

Sein Sohn **interessiert sich nicht** für Malerei.
Der Maler bedauert, **dass sich** sein Sohn nicht für Malerei interessiert.

მის ვაჟიშვილს მხატვრობა არ აინტერესებს. მხატვარი წუხს, რომ მის ვაჟიშვილს მხატვრობა არ აინტერესებს.

თუ ქვემდებარე ნაცვალსახელია, "sich" დგას ამ ნაცვალსახელის შემდეგ.

Herr Müller bedauert, **dass sie sich** verspätet hat.

ბატონი მიუღერი წუხს, რომ მან დაიგვიანა.

- ეს წესი ირლვევა ზოგ შემთხვევაში:

- თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მოდალური ზმნაა-Perfekt, Plusquamperfekt, Futur I, II ან Konditional I, II-ში ("haben ან "werden"-ით ნაწარმოები), მაშინ ზმნის პირის ფორმა (ე.ი. "haben" ან "werden") დგას Infinitiv-ის წინ. მეორე Intinitiv (მოდალური ზმნა) დგას წინადადების ბოლოს.

Rudolf verspätete sich, weil er noch zum Arzt hatte gehen müssen.

რუდოლფი აგვიანებდა, რადგან ჯერ ექიმთან უნდა მისულიყო.

Wenn er das Garagentor hätte streichen wollen, hätte er genug Zeit dazu gehabt.

მას ავტოფარების შეღებვა რომ სდომოდა, საამისოდ საკმაოდ დრო ჰქონდა.

- ირეალურ, შედარებით წინადადებაში "als"-ით თავში დგას შემასმენლის პირის ფორმა კავშირის შემდეგ, ქვემდებარის წინ.

Es war, **als hätt'** der Himmel die Erde still geküsst.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ცამ დედამიწას ამბოროყო.

Bei dir sieht es aus, **als würdest** du das Wort "Ordnung" nicht kennen.

შენი შემხედვარე კაცი იფიქრებს, თითქოს სიტყვა "წესრიგს" არც იცნობ.

- თუ დამოკიდებული წინადადება გრძელია, მაშინ შესაძლებელია, როგორც სტილისტური საშუალება, შევვიღო იქნას სიტყვათა წყობა, შემასმენლის უღლებადი ნაწილი გადმოტანილ იქნას რომელიმე წევრის წინ.

Alle sahen, dass er sich in der Gefahr wie ein Ritter ohne Furcht und Tadel verhalten hatte.

ყველამ დაინახა, რომ იგი, საფრთხეში ჩავარდნილი, ისე მოიქცა როგორც უშიშარი რაინდი.

Alle sahen, dass er sich in der Gefahr verhalten hatte wie ein Ritter ohne Furcht und Tadel. Ruhig floss der Rhein, als der schöne Herbst mit seinen bunten Blättern einzog.

ყველამ დაინახა, რომ იგი საფრთხეში ისე მოიქცა, როგორც უშიშარი რაინდი. რაინი წყნარად მოედინებოდა, თითქოს მშვენიერი შემოდგომა თავისი ჭრელი ფოთლებით შემობრძანდა.

Ruhig floss der Rhein, als der schöne Herbst einzog mit seinen bunten Blättern.

რაინი წყნარად მიედინებოდა, თითქოს მშვენიერი შემოდგომა შემობრძანდა თავისი ჭრელი ფოთლებით.

ბ. უკავშირო დამოკიდებული წინადადება -

- თუ დამოკიდებული წინადადება (არაპირდაპირი ნათქვამი) უკავშიროა, მაშინ ჩვეულებრივად შემასმენლის უღლებადი ნაწილი დგას მეორე იდგულზე (Pos.2).

Sie dachte, Ida sei völlig unmusikalisch.

ფიქრობდა, რომ იდა სრულიად არამუსიკალურია.

Mutter riet ihr, sie solle heute besser zu Hause bleiben.

დედამ მას დღეს შინ დარჩენა ურჩია.

აგრეთვე:

Der Lehrer rief, still sollten die Kinder sein!

მასწავლებელმა დაიყვირა, ბავშვები ჩუმად ყოფილიყვნენ!

- უკავშირო დათმობით და პირობით დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენლის უღლებადი ნაწილი დგას პირველ ადგილზე (Pos.1).

Kommt es auch zu einer Verschlechterung Ihres Zustandes, müssen Sie nicht mit dem schlimmsten rechnen.

თქვენი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაშიც, უარესზე არ უნდა იფიქროთ.

Fragen Sie ihn, dann gibt er Auskunft.

ჰკითხეთ მას, იგი მოგაწვდით ინფორმაციას.

Hätten wir das Polarlicht gesehen, so wäre die Expedition erfolgreich gewesen.

პოლარული ნათება რომ დაგვენახა, ჩვენი ექსპედიცია შედეგიანი იქნებოდა.

5.2.3 დამოკიდებული წინადადების სახეები (Arten der Nebensätze)

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით არსებობს დამოკიდებულ წინადადებათა შემდეგი სახეები:

• ქვემდებარული (Subjektsatz)	- ადგილის (Lokalsatz)	- მიზნის (Finalsatz)
• განსაზღვრებითი (Attributsatz)	- დროის (Temporalsatz)	• პირობის (Konditionalsatz)
• დამატებითი (Objektsatz-indirekte Rede)	- ვითარების (Modalsatz)	• დათმობის (Konzessivsatz)
• გარემოებითი (Adverbialsatz):	- შედარების (Komparativsatz)	• შეზღუდვის (Restriktivsatz)
	- მიზეზის (Kausalsatz)	• შედეგის (Folgesatz)

- მიმართებითი (Relativsatz)
- წინადადების ტოლფასი ინფინიტივისა და მიმღეობის ჯგუფები (Satzwertige Infinitiv-und Partizipialgruppen/Satzgegenstandsätze)

5.2.3.1 ქვეყნის დამოკიდებული წინადადება (Subjektsätze)

ქვეყნის დამოკიდებული წინადადება ასრულებს მთავარი წინადადების ქვემდებარის როლს ან განავრცობს მის ქვეყნის პასუხობს კითხვებს: wer? ვინ? was? რა? ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება მოყვანილი დაკავშირება ხდება:

- ა. კავშირით: **dass**-რამ **wenn**-თუ, როდესაც
- Es ist kein Wunder, **dass** du vor Heimweh krank bist. არაა გასაკვირი, რომ სამშობლოს ნოსტალგიით ხარ დაავადებული.
- Es ist klar, **dass** die Rede von Verdis "Aida" war. ცხადია საუბარი ვერდის "აიდას" შეეხებოდა.
- Es wundert mich, **dass** er nicht abgesagt hat. მაკვირვებს ის რომ, მან უარი არ თქვა.
- Es ärgert mich, **dass** du faul bist. მე ის მაბრაზებს, რომ შენ ზარმაცი ხარ.
- Wenn es dir gut geht, freut es mich. მე გახარებული ვარ, როცა შენ კარგად ხარ.
- ბ. დამოკიდებული კითხვითი წინადადება "ob"-ით
- Es ist noch nicht bekannt, **ob** die Flüchtlinge im Hotel übernachten. ჯერ არ არის ცნობილი, გაათევენ თუ არა ღამეს ლტოლვილნი სასტუმროში.
- გ. მიმართებითი ნაცვალსახელით: wer-ვინც, was-რაც (ყველა ბრუნვაში) (verallgemeinerndes Relativpronomen), აგრეთვე მიმართებითი ზმნიზედა წინდებულთ ან მის გარეშე - wo-სად, wann-როდის, wovon- რის შესახებ და ა.შ.
- Wem unsere Bedingungen nicht gefallen, der kann gehen. ვისაც ჩვენი პირობები არ მოსწონს, შეუძლია წავიდეს.
- Es ist bekannt, **was** das Buch so beliebt gemacht hat. ცნობილია, რამ შეაყვარა წიგნი (ხალხს).
- Wovon im Parlament gesprochen wird, ist noch nicht bekannt. რის შესახებ იქნება პარლამენტში საუბარი, ეს ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.
- Du wirst nicht unumgänglich das werden, **was** dein Vater will, sondern das, **was** du willst. შენ უნდა გახდე არა მაინცდამაინც ის, რაც, მამაშენს სწადია, არამედ ის, რაც შენ გინდა.
- Er ist das, **was** er scheint. იგი ის არის, რაც ჩანს.
- დ. უკავშირო ქვემდებარული წინადადება /მთავარში პირნაკლი ნაცვალსახელით "es"/ დგას მთავარი წინადადების შემდეგ.
- Es ist mir lieber, du holst sie selber ab. მირჩევნია, თუ შენ მას თვითონ დახვდები.
- ე. ქვემდებარული წინადადების როლში გვხვდება აგრეთვე წინადადების ტოლფასი **Infinitivgruppe**. დგას მთავარი წინადადების წინ ან მის შემდეგ.
- In den Kindergarten **zu** gehen, ist heutzutage selbstverständlich. დღესდღეობით (ბავშვების) საბავშვო ბაღში სიარული თავისთავად გასაგებია.
- Es ist ein demokratisches Recht, zur Wahl **zu** dürfen. დემოკრატიული სამართალი იძლევა არჩევნებში წასვლის უფლებას.

5.2.3.2 განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (Attributsätze/Beifügungssätze)

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს მთავარი წინადადების განსაზღვრების როლს ან განავრცობს მის განსაზღვრებას, პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- **welcher? welche? welches? / welche?** რომელი?
- **was für ein? was für eine? was für ein? / was für** როგორი?

- ა. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მთავარი წინადადების არსებით სახელს, რომელიც შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება ან გარემოება.
- განსაზღვრავს ქვემდებარეს
Das Haus, in dem ich wohne, befindet sich hinter dem Konservatorium. სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ, მდებარეობს კონსერვატორიის უკან.
 - განსაზღვრავს დამატებას
Bitte empfehlen Sie mir ein Restaurant, das vegetarianische Speisen anbietet! მირჩიეთ რესტორანი, რომელშიც (სტუმრებს) ვეგეტარიულ კერძებს სთავაზობს.
 - განსაზღვრავს გარემოებას
An einem Abend, der so lau ist wie heute, möchte in den Biergarten gehen. ერთ საღამოს, რომელიც ასეთივე თბილი იქნება, როგორც დღესაა, წავიდოდი ლუდის ბარში.
- ბ. უმეტესობა განსაზღვრებითი წინადადებებისა არის მიმართებითი -
- იწყება მიმართებითი ნაცვალსახელით (წინდებულით ან მის გარეშე):
der, die, das/die; welcher, welche, welches/welche (რომელიც); wer, was (ვინც, რაც)
Die öffentliche Bibliothek, die wir bis heute bewundern, ist viel größer, als die Universitätsbibliothek. საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენ დღემდე აღგვაფრთოვანებს, ბევრად აღემატება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.
Meine Großmutter, von der ich als Kind diese Kette bekommen habe, starb gestern. ბებიაჩემი, რომლისგანაც ბავშვობაში ეს ძეწვევი მივიღე, გარდაიცვალა გუშინ.
Ich kenne solche Leute, mit denen du umgehst, nicht. მე არ ვცნობ ისეთ ხალხს, რომლებთანაც შენ გაქვს ურთიერთობა.
Ich kann Ihre Frage, wer das Land führen soll, noch nicht beantworten. მე თქვენს კითხვას, ვინ უნდა მართოს ქვეყანა, ჯერ არ შემიძლია ვუპასუხო.
Sie wissen ja schon genau, was Yoga ist. მათ უკვე ზუსტად იციან, რა არის იოგა.
 - მიმართებითი ნაცვალსახელი-ზმნიზედით (არა პიროვნებათა სახელებთან) wofür (რისთვის), wovon (რის შესახებაც) და ა.შ.
Das, wofür sie sich interessiert, ist Malerei. ის, რაც მას აინტერესებს, არის მხატვრობა.
 - ადგილის, დროის, მოდალურ-მიმართებითი ზმნიზედით (წინდებულით ან მის გარეშე) wo (სადაც), wann (როდესაც), wie (როგორც) და ა.შ.
Die Bauarbeiter bekamen einen genauen Hinweis, wo und wann der Dom gebaut werden sollte. მშენებლებმა მიიღეს ზუსტი მითითება, სად და როდის უნდა აშენებულიყო ტაძარი.
Zitronen, wie sie in Georgien schmecken, sind in Deutschland selten. ისეთ გემრიელ ლიმონს, როგორც საქართველოშია, გერმანიაში იშვიათად შეხვდებით.
Er hat die Information, für wann er beim Zahnarzt bestellt ist, nicht erhalten. მას არ მიუღია ინფორმაცია, როდისთვის ექნება კბილის ექიმთან შეხვედრა.
- გ. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გვხვდება კავშირით "dass" ან მის გარეშე.
- Die Überzeugung, dass wir recht haben, macht uns Mut. რწმენა იმისა, რომ ჩვენ მართალნი ვართ, ძალას გვაძლავს.
Ihre Behauptung, dass die Arbeit schwierig sei, stimmt nicht. თქვენი მტკიცევა, რომ სამუშაო რთული იქნება არასწორია.

- დ. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება კავშირით "ob" ან კითხვითი სიტყვით.
- Ihre Frage, ob der Chef einverstanden sei, wird morgen beantwortet. თქვენს შეკითხვას, თანახმაა თუ არა უფროსი, ხვალ გაეცემა პასუხი.
- Die Frage, ob genügend Stühle für die Zuhörer vorhanden sind, muss ich leider verneinen. შეკითხვას, საკმარისია თუ არა სკამები მსმენელთათვის, სამწუხაროდ, უარით უნდა ვუპასუხო.
- Das Geheimnis, wer hinter der Maske steckte, wurde bald gelüftet. საიდუმლო, ვინ იმალებოდა ნიღბის უკან, მალე გამოაშკარავდება.
- ე. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს Infinitiv-ან Partizipialgruppe.
- Die Freude, Kinder haranwachsene zu sehen, der Eltern, ist zu groß. მშობლების სიხარული, შვილების ზრდას (ტანის აყრა) რომ შეჰყურებენ, ძალზე დიდია.
- Sie geniessen Trauben, gereift an den Bäumen. ისინი პირს იტკბარუნებენ ყურძნით, რომელიც ხეებზე დამწიფებულიყო.
- Den Pinsel in der Hand haltend, näherte sich der Lehrling dem Meister. ფუნჯით ხელში მიუახლოვდა შეგირდი ოსტატს.

5.2.3.3 დამატებითი დამოკიდებული წინადადება (ირიბი ნათქვამი) (Objektsätze/Ergänzungssätze mit indirekter Rede)

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს მთავარი წინადადების პირდაპირი, ირიბი და წინდებულნიანი დამატების როლს ან განავრცობს მის დამატებას.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება პასუხობს კითხვებს:

wer? ვინ? was? რა? wessen? ვისი? (an)wem? ვის? (an)wen? ვის? wofür? რისთვის? woran? რაზე? და ა.შ.

- ა. კავშირიანი დამატებითი წინადადება იწყება კავშირით "dass", "ob", "wie" ან მიმართებითი, კითხვითი ნაცვალსახელით.

- პირდაპირი დამატება (Akkusativobjekt)

Wir glauben, dass Georgien bald tatsächlich unabhängig wird.
Ich glaube, dass du auf vieles verzichten müsstest.

Peter meint, dass sie ihr Versprechen schon gebrochen hat.
Dass sie ihr Versprechen gebrochen hat, bedauert Peter.

Mein Sohn fragt mich, ob das wahr ist.
Er weiß noch nicht, ob er morgen zurückkommen kann.

Er fragt sich, ob er sich hier ausruhen könne.
Ich weiß schon ganz genau, wo ich die Wohnung suchen möchte.

Wir werden ja sehen, wie ihm mein Käsekuchen schmeckt!
Erzähle mir doch, wen du heute getroffen hast!

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო მალე ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქვეყანა გახდება. მე ვთვლი, რომ შენ ბევრ რამეზე უნდა თქვა უარი.

პეტერის აზრით, მან (მდ.) უკვე გატეხა სიტყვა. ის (ფიქრი იმაზე), რომ მან გატეხა სიტყვა, აწუხებს პეტერს.

ჩემმა ვაჟიშვილმა მკითხა, მართალია თუ არა ეს. მან ჯერ არ იცის, შეძლებს თუ არა ხვალ უკან დაბრუნებას.

მან იკითხა, შეუძლია თუ არა მას აქ დასვენება. მე უკვე ზუსტად ვიცი, სად უნდა ვემებო ბინა.

ვნახოთ, როგორ მოეწონება ჩემი ყველის ნამცხვარი!
მომიყევი, აბა, დღეს ვის შეხვდი!

• ირიბი დამატება მიცემით ბრუნვაში (Dativobjekt)

Wer ihm gefiel, dem machte er Komplimente.
Niemandem werde ich gestehen, wem heimlich
meine Liebe gehört!

ვინც მას მოსწონდა, ქათინაურიც მას უძღვნა.
არავის გამოვუტყუდები, ვის ეკუთვნის
ჩემი (იდუმალი) სიყვარული!

• ირიბი დამატება ნათესაობით ბრუნვაში (Genitivobjekt)

Wessen Herz Trauer trägt, dessen sollte man sich
annehmen.

ვისი გულიც ნაღველს ატარებს, მასზე უნდა
იზრუნოს კაცმა.

• წინდებულიანი დამატება (Präpositionalobjekt)

Woran du mich erinnerst, daran denke ich sehr oft.

რასაც შენ მე მახსენებ, იმაზე მე ძალიან ხშირად
ვფიქრობ.

Uta versteht ganz gut, worin ihre Kraft besteht.

უტამ მშვენივრად იცის, რაშია მისი ძალა.

ბ. უკავშირო დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენლის უღლებადი ნაწილი დგას მეორე ადგილზე (Pos.2) ასეთი წინადადება გვხვდება ზმნასთან, რომელიც ემსახურება -

- აზრის გამოთქმას, გამოხატავს შეტყობინებას, ვარაუდს, რწმენას და ა.შ.

sagen-თქმა (ამბობს)	wissen-ცოდნა (იცის)	glauben-რწმენა (სწამს, სჯერა)
fragen-შეკითხვა (ეკითხება)	erklären-ახსნა (უხსნის)	bemerkten-შენიშვნა (შენიშნავს)
meinen-ვარაუდი (ვარაუდობს)	hoffen-იმედი (იმედოვნებს)	melden-ცნობა (აცნობებს) და ა.შ.

Er sagt, dass er nicht mehr komme! (კავშირით)

მან თქვა, რომ იგი აღარ მოვა.

Er sagt, er kommt nicht mehr.

მან თქვა, იგი აღარ მოვა.

Er sagte, er komme (käme) nicht mehr.

მან თქვა, (რომ) იგი აღარ მოვიდოდა.

Der Arzt meldete, der Patient sei gerettet worden!

ექიმმა შეგვატყობინა, პაციენტი გადარჩენილია.

- დამატებითი დამოკიდებული წინადადება- **Infinitivgruppe**, მთავარ და დამოკიდებულ წინადადებაში ერთი და იგივე ქვემდებარით (იხ. Synt. 5.2.3.4.6)

Er freut sich, nächste Woche eine Sinfonie von
Beethoven hören zu können.

მას უხარია, რომ მომავალ კვირას ბეთჰოვენის
სიმფონიას მოისმენს.

In der Not wünscht sich jeder, einmal richtig satt
zu werden.

გაჭირვების დროს ყველა ადამიანს სურს,
ერთხელ მაინც რიგიანად დანაყრდეს.

- **Infinitivgruppe** მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში სხვადასხვა ქვემდებარით.

Er forderte mich auf, dass ich ihn heute noch anrufe.

მან მოითხოვა, რომ დღეს მე მისთვის კიდევ
დამერეკა.

Er forderte mich auf, ihn heute noch anzurufen.

მან მოითხოვა, დღეს მე მისთვის კიდევ
დამერეკა.

გ. არაპირდაპირი (ირიბი) ნათქვამი (Indirekte Rede)

- პირდაპირი და ირიბი ნათქვამის დაპირისპირება (Gegenüberstellung):

direkte Rede	indirekte Rede
ან: wörtliche Rede	ან: nichtwörtliche Rede
გადმოსცემს ტექსტს უშუალოდ (unmittelbar) სიტყვასიტყვით.	გადმოსცემს ტექსტს სხვა გრამატიკული საშუალების დართვით (mittelbar)
არის მთავარი წინადადება, რომელსაც შეიძლება დამოკიდებული მიუერთდეს (დაექვემდებაროს).	როგორც დამატებითი წინადადება დამოკიდებულია მთავარზე, ზმნაზე, რომელიც გამოხატავს ფიქრს, მოსაზრებას და ა.შ. ეს დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს Akkusativ-ის დამატებას.
მოცემულია ბრკეალებში („...“) მთავარი წინადადების შემდეგ, რომელიც ბოლოვდება ორი წერტილით.	მოცემულია ბრკეალების გარეშე მთავარი წინადადების შემდეგ, რომელიც ბოლოვდება მძიმით.
დგას კავშირის (ან მაკავშირებელი სიტყვის) გარეშე, სიტყვათა პირდაპირი ან შებრუნებული წყობით.	დგას კავშირებით „dass“ თხრობითი წინადადება (Aussagesatz), „ob“, კითხვითი წინადადება (Fragesatz). შემასმენლის პირის ფორმა დგას ბოლოში. დგას კავშირის „dass“ გარეშე. შემასმენლის პირის ფორმა მეორე ადგილზეა (Pos.2).
დგას თხრობით კილოში (Indikativ)	დგას Konjunktiv-ში. სასაუბრო ენაში გვხვდება Indikativ-ის ფორმებიც, როდესაც ნათქვამის სიზუსტეს უნდა გაეხვას ხაზი.
დროის ფორმებზე ყურადღება გამახვილებული	დროის ფორმებზე ყურადღება გამახვილებული არ არის.
	იცვლება პირის, კუთვნილებითი და რეფლექსური ნაცვალსახელის პირველი პირი მესამეთი, შესაბამისად, მეორე-პირველით.
ბრძანებითი წინადადებები დგას Imperativ-ში	ბრძანებითი წინადადება შეიცავს „sollen“ ან „müssen“-ით გამოხატულ შემასმენელს, „mögen“ ან „können“-ს = სურვილის გამოსახატავად.

- დროის ფორმების თანმიმდევრობა (Zeitenfolge)

როგორც ვხედავთ, პირდაპირ და ირიბ ნათქვამში კილოს ფორმები განსხვავებულია. განსხვავებულია აგრეთვე დროის ზოგიერთი ფორმაც. ის, რაც პირდაპირ ნათქვამში Präteritum-ის, Perfekt-ისა და Plusquamperfekt-ის მეშვეობით გამოითქმება, არაპირდაპირ ნათქვამში მოითხოვს Perfekt-ს.

პირდაპირი ნათქვამი (direkte Rede) (Indikativ)	ირიბი ნათქვამი (indirekte Rede) (Konjunktiv)
Präsens	Präsens
Präteritum	Perfekt
Perfekt	
Plusquamperfekt	
FuturI	FuturI
FuturII	FuturII

Er sagt: „Ich baue das Haus.“ (Präs.)
მან თქვა: „მე ვაშენებ სახლს“.

Er sagte, dass er das Haus baue (Präs.)
ან: Er sagte, er baue das Haus.
მან თქვა, რომ სახლს აშენებს.

Er sagte: "Ich baute das Haus." (Prät.)
 მან თქვა: მე ავაშენე სახლი
 Er sagte: "Ich habe das Haus gebaut." (Perf.)
 მან თქვა: მე ავაშენე სახლი.
 Er sagte: "Ich hatte das Haus gebaut." (Plusq.)
 მან თქვა: „მე ავაშენე სახლი“.

Er sagte, dass er das Haus gebaut habe. (Perf.)
 ან: Er sagte, er habe das Haus gebaut.
 მან თქვა, რომ სახლი ააშენა.

Er sagte: "Ich werde das Haus bauen." (Fut.I)
 მან თქვა: „მე ავაშენებ სახლს“.

Er sagte, dass er das Haus bauen werde. (Fut.I)
 ან: Er sagte, er werde das Haus bauen. (Fut.I)
 მან თქვა, რომ სახლს ააშენებს.

Er sagte: "Ich werde das Haus gebaut haben." (Fut.II)
 მან თქვა: „მე სახლი აშენებული მექნება“.

Er sagte, dass er das Haus gebaut haben werde. (Fut.II)
 ან: Er sagte, er werde das Haus gebaut haben. (Fut.II)
 მან თქვა, რომ სახლი აშენებული ექნება.

• პირდაპირი და ირიბი შეკითხვა (direkte und indirekte Frage)

დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება კავშირი **ob**, ან კითხვითი სიტყვა თუ იგი ირიბ კითხვას წარმოადგენს. აქ კილო შეიძლება თხრობითი (Indikativ) იყოს და კავშირებითი (Konjunktiv).

პირდაპირი კითხვა (direkte Frage)	ირიბი კითხვა (indirekte Frage)
Mein Freund fragte mich: "Sind die Studenten nach Paris gefahren?" ჩემმა მეგობარმა მკითხა: გაემგზავრნენ სტუდენტები პარიზში?	Mein Freund fragte mich, ob die Studenten nach Paris gefahren sind. (Ind.) ან seien (Konj.) ჩემმა მეგობარმა მკითხა, გაემგზავრნენ თუ არა სტუდენტები პარიზში.
Susi fragte den Gemüsehändler: "Wie viel kosten die Tomaten heute?" სუსიმ ჰკითხა ბოსტნეულის გამყიდველს: რა ღირს დღეს პამიდორი?	Susi fragte den Gemüsehändler, wie viel die Tomaten heute kosten. (Ind.) (kosten würden) (Kond.) სუსიმ ჰკითხა ბოსტნეულის გამყიდველს, რა ღირს (რა ეღირება) დღეს პამიდორი.

5.2.3.4 გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (Adverbialsatz/Umstandssatz)

უმეტესობა გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისა არის კავშირიანი. შემასმენლის პირის ფორმა დგას ბოლოში (Endstellung). გვხვდება უკავშირო წინადადებებიც. შემასმენლის პირის ფორმა დგას პირველ ადგილზე (Pos.1).

გარემოებითი წინადადების სხვადასხვა სახეობას შორის გვხვდება ე.წ. გადაკვეთა (Überschneidung და გადასვლა (Übergang).

საერთოდ, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი ინფორმაცია გადმოცემულია არა მთავარში, არამედ დამოკიდებულში, განსაკუთრებით, გარემოებით წინადადებაში.

- მთავარ წინადადებაში უმეტესად დასახელებულია სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადების სახეობას. მას ეწოდება **კორელატი**. იგი მაკავშირებლის (Verknüpfungswort) ფუნქციას ასრულებს.

- კორელატი წინადადებაში შეიძლება იყოს:

- ჩვენებითი ნაცვალსახელი - **der, die, das, solche, derjenige** (ყველა ბრუნვაში) და ა.შ.
- ზმნიზება **da, hier, jetzt** და ა.შ.
- უპირო ნაცვალსახელი **es**;
- ნაცვალსახელური ზმნიზება **dafür, darüber, daran** და ა.შ.
- სიტყვები: **so, eben, insofern** (შედარების გამომხატველ წინადადებაში)

Man vertraut dem, der sein Wort hält.
Da blüht die Kultur, wo die Folklore ein hohes
Niveau hat.

სჯერათ მისი, ვინც სიტყვის პატრონია.
იქ ყვავის კულტურა, სადაც ფოლკლორი
მაღალ დონეზეა.

5.2.3.4.1 ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (Lokalsatz/Umsandssatz des Ortes und Raumes)

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს სივრცობრივ მიმართებას მთავარ და დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნულ მოქმედებებს შორის.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება განავრცობს მთავარი წინადადების ადგილის გარემოებას და პასუხობს კითხვებს: **wo? wohin? woher? wie weit? von wo?** და ა.შ.

ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მართავს კავშირები **wo** (სადაც), **wohin** (საითაც), **woher** (საიდანაც).

ადგილის გარემოებითი წინადადების მთავარში მოცემულია გარემოებითი კორელატები: **da, hier, dort, an, dahin, daher** და სხვა.

Wir suchen das Glück **da, wo** es nicht existiert.

ჩვენ ბედნიერებას ვეძებთ იქ, სადაც ის არ არის.

Die Nachricht kommt **daher, wohin** wir im nächsten
Jahr fahren.

ცნობა იქიდან მოვიდა, საითაც ჩვენ მომავალ
წელს გავემგზავრებით.

Meine Freundin kommt **von dort, woher** du
gestern die Briefe erhalten hast.

ჩემი მეგობარი იქიდანაა, საიდანაც შენ გუშინ
წერილები მიიღე.

- არა ყველა წინადადება, დაწყებული კავშირებით: **wo, woher, wohin, soweit**. არის ადგილის გარემოებითი. იგი შეიძლება იყოს:

ა. ქვემდებრული (Subjektsätze)

Woher diese Bücher stammen, ist allen bekannt.

საიდანაც ეს წიგნები წარმოსდგება, ყველასათვის
ცნობილია.

ბ. დამატებითი (Objektsätze)

Wir wollen uns erkundigen, wo Anna wohnt.

ჩვენ გვინდა შევიტყოთ, სად ცხოვრობს ანა.

გ. განსაზღვრებითი (Attributsätze)

Afrika ist das Ziel, wohin die meisten Zugvögel
im Herbst fliegen.

აფრიკა მხარეა, სადაც გადამფრენი ჩიტების
უმეტესობა მიფრინავს.

დ. პირობითი (Konditionalsätze)

Michael studierte Medizin, soweit ich weiß.

მიხეილი მედიცინას სწავლობდა, რამდენადაც
მე ვიცი.

ე. დათმობითი (Konzessivsätze)

Er bleibt mein Freund, wohin er auch gehen mag.

იგი ჩემი მეგობარი დარჩება, გულმა საითაც არ
უნდა გაუწიოს.

ვ. დროის გარემოებითი (Temporalsätze)

Heutzutage, wo sich Menschen über das Internet
verständigen, stellt sich die Frage nach dem
Sinn von Ländergrenzen.

დღესდღეობით როდესაც ადამიანები
ინტერნეტით ურთიერთობენ, წამოიჭრება
კითხვა, აქვს თუ არა აზრი საზღვრებს ქვეყნებს
შორის.

5.2.3.4.2 დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (Temporalsatz/Umstandssatz der Zeit)

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს დროის მიმართებას მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნულ მოქმედებებს შორის. იგი გვაწვდის ცნობებს:

- სინქრონულია თუ არა მოქმედება.
- მოხდა ადრე.
- უნდა მოხდეს.
- ერთჯერადია.
- მოხდება რამდენჯერმე.
- რამდენ ხანს გრძელდება.

იგი პასუხობს კითხვებს: wann? როდის? wie oft? რამდენჯერ? wie lange? რამდენ ხანს? bis wann? რა დრომდე? seit wann? რა დროიდან? და ა.შ.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია:

wenn-როდესაც	sooft-ყოველთვის, როდესაც
als-როდესაც	seit-იმ დროიდან, რაც
solange-ვიდრე	nachdem-მას შემდეგ, რაც
während-ვიდრე	bevor, ehe-სანამ
bis-მდე, ვიდრე	sobald-როგორც კი
	და ა.შ.

ა. კავშირები wenn და als ორივე ქართულ ენაზე ითარგმნება „როგორც“, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ wenn გამოიყენება მრავალჯერადი მოვლენის (widerholtes Ereignis), ხოლო als ერთჯერადი მოვლენის (einmaliges/Ereignis) გამოსახატავად.

wenn აკავშირებს დამოკიდებულს მთავართან, თუ მოქმედება მრავალჯერადია და წ ა რ ს უ ლ ს ა და ა ხ ლ ა ნ დ ე ლ დროში მიმდინარეობს; მომავალი დროის მოქმედება შეიძლება იყოს როგორც ერთჯერადი, ასევე მრავალჯერადი.

• ერთჯერადი მოვლენა -

Ich bin zu Hause, wenn du kommst.

მე შინ ვიქნები, როცა შენ მოხვალ.

Wenn ich beichte, wird es mir danach besser gehen.
(Fut. I)

როდესაც აღსარებას ვიტყვი, თავს უკეთ ვიგრძნობ.

• მრავალჯერადი მოვლენა -

Jedes Mal, wenn er mich besuchte, sahen wir uns neue Filme an. (Prät.)

ყოველთვის, როცა იგი ჩემთან მოდიოდა, ჩვენ ვნახულობდით ახალ ფილმებს.

Wenn ich auf dem Berg Mtazminda bin, besichtige ich immer den Pantheon. (Präs.)

როდესაც მთაწმინდაზე ავდივარ, ყოველთვის ვათვალიერებ პანთეონს.

ბ. Als გამოხატავს ერთჯერად (einmalig) მაქმედებას წ ა რ ს უ ლ დროში. თუ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი ერთი და იგივე დროშია, ორივეში გამოიყენება Präteritum-ი; თუ დამოკიდებული წინადადების მოქმედებას წინ უსწრებს მთავარი წინადადების მოქმედება, მაშინ მთავარში იქნება Plusquamperfekt-ი, დამოკიდებულში კი Präteritum-ი.

Sie staunte, als Lukas so spät noch anrief.

მას გაუკვირდა, როდესაც ლუკამ ასე გვიან ისევ დარეკა.

Alle waren glücklich, als die Zeugnisse überreicht wurden.

ყველას უხაროდა, როცა მოწმობები გადაეცათ.

Als ich nach Hause kam, waren die Gäste schon gegangen.

როდესაც მე შინ მივედი, სტუმრები უკვე წასულიყვნენ.

გ. während და solange გამოხატავს დროის ხანგრძლივობას, როგორც მთავარში, ასევე დამოკიდებულ წინადადებაში.

Während wir im Wohnzimmer saßen, spielte er Klavier.

ვიდრე ჩვენ მისაღებ ოთახში ვისხედით, იგი ფორტეპიანოს უკრავდა.

Solange Toni ihre Hausaufgaben machte, lief das Radio.

იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ტონი დავალებებს ასრულებდა, მუშაობდა რადიო.

“während”-ით წინადადება შეიძლება იყოს არა დროის გარემოებითი. ზოგ შემთხვევაში იგი კავშირია (Konjunktion), თუ წინადადებაში გადმოცემულია (მოსაზრებათა) დაპირისპირება.

Ich bin dafür, während meine Schwester dagegen ist.

მე თანახმა ვარ, მაშინ როცა ჩემი და წინააღმდეგია.

დ. კავშირი nachdem გამოიხატება ისეთი მოქმედება, რომელიც წინ უსწრებს მთავარი წინადადების მოქმედებას. ამასთან მთავარი წინადადების ზმნა დგას Präteritum-ში, დამოკიდებულის - Plusquamperfekt-ში.

Nachdem meine Freunde die Prüfungen bestanden hatten, fuhren wir alle zusammen nach Pshawi.

მას შემდეგ, რაც ჩემმა მეგობრებმა გამოცდები ჩააბარეს, ყველანი ერთად გავემგზავრეთ ფშავში.

• მომავალი დროის გამოსახატავად ან განმეორებადი მოქმედების შემთხვევაში მთავარი წინადადება Präsens-შია ხოლო დამოკიდებულის - Perfekt-ში.

Nachdem ich nun die Diplomarbeit beendet habe, verlasse ich diese Stadt.

როგორც კი სადიპლომოს სამუშაოს დავამთავრებ, დავტოვებ ამ ქალაქს.

Nachdem er die Pflanzen gegossen hat, beginnt er alte Gesänge zu hören.

როგორც კი მცენარეებს მორწყავს, დაიწყებს ძველი სიმღერების მოსმენას.

ე. sobald-ით გამოიხატება დამოკიდებული წინადადების მოქმედება, რომელიც მოსდევს მთავარში დასრულებულ მოქმედებას.

Sobald das Paket da ist, ruf mich an, bitte!

როგორც კი გზავნილი ჩამოვა, თუ შეიძლება დამირეკე.

ვ. bis კავშირიან წინადადებაში მოქმედება იწყება მთავარი წინადადების მოქმედების დამთავრების შემდეგ.

Warten Sie bitte, bis ich komme.

მოიცადეთ თუ შეიძლება, ვიდრე მე მოვალ.

ზ. bevor ან ehe (დამოკიდებული) წინადადების დასაწყისში მიუთითებს, რომ ჯერ მთავარში გადმოცემული მოვლენა უნდა მოხდეს, შემდეგ- დამოკიდებულში მოთხრობილი.

Bevor (ან:ehe) die Wahlergebnisse nicht bekannt sind, ist die politische Lage des Landes unklar.

ვიდრე არ იქნება ცნობილი არჩევნების შედეგები, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა გაურკვეველი იქნება.

5.2.3.4.3 ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (Modalsätze/Umstandssätze der Art und Weise)

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს მთავარი წინადადების ვითარების გარემოების როლს. იგი განმარტავს, რა ვითარებაში ხდება მოქმედება. გამოხატავს შედარებას, პროპორციულობას. პასუხობს კითხვებს: wie? როგორ? auf welcher Weise? რა გზით?

ა. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება შემდეგი კავშირებით:

<p>მოდალური: indem-იმით, რომ შედარებითი: wie-როგორც, gleich, wie-ისევე, როგორც პროპორციული: je...desto, je...um so-რაც უფრო, მით უფრო დამატებითი: kaum dass- ძლივს...ohne zu+Inf. - გარეშე (an)statt zu+Inf.-ნაცვლად</p>	<p>dadurch dass-იმის წყალობით, რომ als-ვიდრე so, so... wie-ისე... როგორც als ob, als wenn-თითქოს gleichsam, als-ისე, თითქოს ohne dass-(იმის) გარეშე (an)statt dass-ნაცვლად იმისა, რომ geschweige (denn) dass-იმზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ</p>
---	--

Indem Sie ein reges Kulturleben führen, erweitern Sie bald Ihre Kenntnisse.

იმის წყალობით, რომ თქვენ აქტიური კულტურული ცხოვრების წესით ცხოვრობთ, მალე გაიფართოვებთ ცოდნას.

Sie fuhr nach Bakuriani, **ohne dass** sie um Erlaubnis gebeten hatte (ან: Sie fuhr nach Bakuriani ohne um Erlaubnis gebeten zu haben).

იგი გაემგზავრა ბაკურიანში ისე, რომ ნებართვა არ უთხოვია (ან: ნებართვის გარეშე გაემგზავრა ბაკურიანში)

(An)statt dass er zur Vorlesung ging, ging er ins Kino (ან:**(An)statt zur Vorlesung zu gehen, ging er ins Kino**).

ნაცვლად იმისა, რომ ლექციაზე წასულიყო, იგი კინოში წავიდა (ან: ლექციაზე წასვლის ნაცვლად, იგი კინოში წავიდა.)

ბ. შედარებითი დამოკიდებული წინადადება (**Komparativ-Satz/Vergleichsatz**)

- კავშირებით **wie** ან **so...wie** (იშვითად **als**) საუბარია ერთნაირ მოვლენაზე ან საგანზე.
- კავშირით **als** საუბარია სხვადასხვაგვარ მოვლენაზე ან საგანზე.

Wie es in den Wald hineinruft, **so** schallt es heraus.

ტყეს რასაც გასძახებ, იმას გამოგძახებს.

- არარეალური შედარებითი წინადადება კავშირებით: **als, als ob/wie wenn, gleich(sam), als Konjunktiv Präteritum**-ით ან **Konjunktiv Perfekt II/Konjunktiv Plusquamperfekt**-ით.

Es klingt **so, als wäre** es ein Stück von Mozart.

ისეთი ჰანგები ისმის, თითქოს მოცარტის ნაწარმოებია (მოცარტს უკრავენ).

Im Wohnzimmer krachte es, **gleichsam als hätte** der Blitz eingeschlagen.

ოთახში ისე დაიგრუხუნა, თითქოს მეხი გავარდა.

Der Bär tut **so, als ob** (ან: **als wenn**) er dich nicht bemerkt hätte.

დათვი ისე იქცევა, თითქოს შენ ვერ გამჩნევდეს.

Dieser König verhält sich, **als wäre** (ან: sei) er ein gewöhnlicher Mensch.

ეს მეფე ისე იქცევა, თითქოს უბრალო ადამიანი იყოს.

გ. პროპორციული წინადადება (**Proportionalsatz**):

Je **feiner** du nähst, **desto** schöner sieht es später aus.

რაც უფრო ფაქიზად კერავ, მით უფრო მშვენივრად გამოგდის.

Je **tiefer** die Gefühle sind, **um so** dauerhafter bleibt im Gedächtnis die Erinnerung.

რაც უფრო ღრმაა განცდები, მით უფრო ხანგრძლივად რჩება მეხსიერებაში მოგონებები.

Je **tiefer** und **vielseitigere** Kenntnisse ich mir aneigne, **desto** (ან **um so**) **besser** erkenne ich, welche Perspektiven ich habe.

რაც უფრო ღრმა და მრავალმხრივ განათლებას ვიძენ, მით უკეთესად ვწვდები იმას, რა პერსპექტივები გამაჩნია მე.

5.2.3.4.4 მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
(Kausalsatz/Umstandssatz des Grundes)

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარ წინადადებაში მოცემულ მოქმედების მიზეზს ან საფუძველს. იგი პასუხობს კითხვებს: **aus welchem Grund? wieso?** რა მიზეზით? რის საფუძველზე? **warum? weshalb, weswegen? wodurch?** რატომ? რისთვის? რის გამო?

- მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია:

da -რადგან (მეტწილად წინადადების თავში)	weil -რადგან (არაპირდაპირი წყობა)
denn -რადგან (პირდაპირი წყობა)	deshalb, deswegen -ამიტომ
darum -იმიტომ	dass -რომ
darum auch -იმიტომაც	um so mehr als -მით უფრო მეტად (მეტი) ვიდრე და ა.შ.

Da ich es genau weiß, kann ich dir alles erklären.

რადგან ეს მე ზუსტად ვიცი, შემძლია ყველაფერი აგიხსნა.

In der Wüste sind die Bäume nackt, weil hier die Blätter ein zu großes Luxus wäre.

უდაბნოში ხეები შიშველია, რადგან აქ ფოთლები დიდი ფუფუნება იქნებოდა.

Ich wohne allein, weil ich unabhängig sein will.

მე მარტო ვცხოვრობ, რადგან მინდა დამოუკიდებელი ვიყო.

In der Wüste wachsen keine Laubbäume, denn es gibt dort wenig Wasser.

უდაბნოში ფოთლოვანი ხეები არ იზრდება, რადგან იქ ცოტა წყალია.

Hans verdient nicht viel, deshalb muss die Wohnung billig sein.

ჰანსი ცოტას გამოიმუშავებს, ამიტომ ბინა იაფი უნდა იყოს.

- დამოკიდებული წინადადების კავშირს **dass** მთავარში ახლავს კორელატები: **dafür, darüber, daron, deswegen, deshalb, darum** და სხვა.

Wir studieren und arbeiten dafür, dass wir leben können.

ჩვენ ვსწავლობთ და ვმუშაობთ იმისთვის, რომ შევძლოთ ცხოვრება.

Der Lehrling freut sich darüber, dass der Meister seine Arbeit lobt.

შეგირდს ახარებს ის, რომ ოსტატი მის ნამუშევარს აქებს.

- შუალობითი დამოკიდებული წინადადება პასუხობს კითხვებს: **womit? rait? wodurch?** რის წყალობით? **wie? როგორ? იწყება კავშირებით -**

dadurch, weil-იმიტომ..., რადგან(აც)

dadurch, dass-იმიტომ, რომ

შუალობითი წინადადება, რომელიც მიუგებს კითხვას **wie?** არის აგრეთვე მოდალური (წინადადება).

Dieses Missverständnis kam nur dadurch zustande, weil sie die Sprache nicht versteht.

ეს გაუგებრობა იმიტომ მოხდა, რომ მან ენა არ იცის.

5.2.3.4.5 მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
(Finalsatz/Umstandssatz des Zwecks, der Absicht)

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს, რა მიზნით, რა ჩანაფიქრით ხდება მთავარში მოცემული მოქმედება. იგი პასუხობს კითხვებს: **wozu? რისთვის? zu welchem Zweck? რა მიზნით? In welcher Absicht?** რა განზრახვით?

- მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია:

damit-იმისთვის, რომ, რათა. (ასეთ წინადადებაში ორი სხვადასხვა სუბიექტია).

dass- რომ **dazu, dass**-იმისთვის, რომ

Mein Vater schickt mir genug Geld, damit ich nicht mehr sparen muss.

მამაჩემი მიგზავნის საკმაო ფულს, რათა მომჭირნად არ ვხარჯო.

- როცა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ერთი და იგივე სუბიექტია, მაშინ შეიძლება დამოკიდებული შეიცვალოს ინფინიტივური ქცევით- **um...zu+Infinitiv** -

Hans kauft mir die Veilchen, **um** mir eine Freude zu machen.

ჰანსი ყიდულობს ჩემთვის იებს, რათა გამახაროს.

Um die komplexen Strukturen der deutschen Sprache sicherer zu beherrschen, braucht man viel Training.

გერმანული ენის რთული სტრუქტურების კარგად შესასწავლად საჭიროა ბევრი ვარჯიში.

5.2.3.4.6 პირობითი დამოკიდებული წინადადება (Konditionalsatz/Bedingungssatz)

პირობითი დამოკიდებული წინადადება განმარტავს იმ პირობებს, რომელშიც მიმდინარეობს მთავარი წინადადების მოქმედება და პასუხობს კითხვებს: **in welchem Fall?** რა შემთხვევაში? **unter welcher Bedingung?** რა პირობით? **wann?** როდის?

- პირობითი დამოკიდებული წინადადებაის კავშირებია:

<p>wenn-თუ, რომ falls-იმ შემთხვევაში, თუ im Falle, dass-იმ შემთხვევაში თუ dass-რომ</p>	<p>unter der Bedingung, dass-იმ პირობით, რომ unter der Voraussetzung, dass-იმ მოსაზრებით, რომ vorausgesetzt, dass-ნაწარაუდევია, რომ</p> <p style="text-align: right;">და ა.შ.</p>
--	---

რეალური შინაარსის წინადადება გამოხატავს მოქმედების ისეთ პირობებს, რომლის შესრულებაც შესაძლებელია. აქ Futur I გამოხატულია Präsens-ით. ასეთ წინადადებაში ზმნა დგას Indikativ-ში (თხრ. კილო).

Wenn alles klappt, fahre ich nach Griechenland.

თუ ყველაფერი მოგვარდა, საბერძნეთში გავემგზავრები.

Wenn du einmal arbeitslos bist, denkst du anders.

შენ რომ უმუშევარი იყო, სხვანაირად იფიქრებდი.

Wenn er dieses Buch hat, schickt er es mir ganz sicher.

მას თუ აქვს ეს წიგნი, უთუოდ გამომიგზავნის.

Falls es weiter so regnet, fällt der Ausflug ins Wasser.

თუ ასეთი წვიმა გაგრძელდა, ექსკურსია ჩაიშლება.

Grüße Anna von mir, falls ich die Vorlesung versäume.

ანას ჩემი სალამი გადაეცი, თუ მე ლექცია გავაცდინე.

Man kann nur unter der Bedingung studieren, dass man das Abitur besteht.

კაცმა მხოლოდ იმ პირობით უნდა დაიწყოს მეცადინეობა (ისწავლოს), რომ მისაღები გამოცდები ჩააბაროს.

- პირობით დამოკიდებულ წინადადებაში (Konditionalsatz) კავშირებით **wenn** ან **falls** მთავარი შეიძლება დაიწყოს კორელატებით **so** ან **dann**.

Wenn du eine Spülmaschine brauchst, dann kaufe eine!

თუ შენ ჭურჭლის სარეცხი მანქანა გჭირდება, ადექი და იყიდე!

Falls du nach Berlin reist, dann schicke mir doch eine Postkarte!

იმ შემთხვევაში, თუ ბერლინში გაემგზავრები, გამომიგზავნე საფოსტო ბარათი!

- უკავშირო პირობითი წინადადება (შემასმენლის უღლებადი ნაწილი პირველ ადგილზე (Pos.I) დგას რთული წინადადების დასაწყისში, მისი მომდევნო მთავარი იწყება კორელატებით **so** ან **dann**.

Brauchst du Hilfe, so suche sie bei mir!

გჭირდება დახმარება, მაშ ეძიე იგი ჩემთან!

Hören Sie auf zu rauchen, dann tun Sie Ihrer Gesundheit etwas gutes.

(თუ) მიატოვებთ სიგარეტის მოწევას, სიკეთეს მოუტანთ საკუთარ ჯანმრთელობას.

- შინაარსის მიხედვით პირობითი დამოკიდებული წინადადება არის რეალური და არარეალური.. პირველი მოითხოვს თხრობით (Indikativ), მეორე კავშირებით (Konjunktiv) კილოს, ხშირად აგრეთვე - Konditional I ან II-ს.

არარეალური წინადადებები ზოგჯერ უკავშიროა.

Wenn ich morgen Zeit hätte, würde ich Früchte pflücken. ხვალ თუ დრო მექნება, ხილს დაგვრეფ.
 Wenn mich das Stück nicht interessiert hätte, wäre ich früher nach Hause gegangen. პიესა რომ არ მომწონებოდა, ადრე წავიდოდი შინ.
 Würdest du nach Dresden reisen, so könntest du die Gemäldegalerie besuchen. დრეზდენში თუ გაემგზავრები, სურათების გალერიას ნახავ (ნახავდი).

- პირობითი (Konditional) დამოკიდებული წინადადება ჰკავს დათმობითს (konzessiv), როდესაც იგი შედგეს მხოლოდ ნაწილობრივ განაპირობებს. მისი კავშირებია:

sofern-თუკი, რადგანაც außer wenn-მაშინაც, როცა	es sei denn, dass-კიდევ რომ es sei denn-იმ შემთხვევაშიც... და ა.შ.
---	---

Er kocht immer, sofern er Zeit hat. ის ყოველთვის ამზადებს კერძებს, თუკი დრო აქვს.
 Pias Eltern wandern gern, außer wenn es stark regnet. პიას მშობლებს უყვართ სეირნობა (ხეტიალი) მაშინაც, როცა ძლიერი წვიმაა.
 Ich komme gern zu eurer Hochzeit, es sei denn, dass ich keinen Urlaub nehmen kann. მე მოვალ თქვენ ქორწილზე, კიდევ რომ ვერ ავიღო შვებულება.

5.2.3.4.7 დათმობითი დამოკიდებული წინადადება (Konzessivsatz/Einräumungssatz/Nebensatz des Gegengrundes)

დათმობითი დამოკიდებული წინადადება ხაზს უსვამს იმ წინააღმდეგობას, რომლის არსებობის მიუხედავად, მოქმედება მთავარ წინადადებაში მაინც სრულდება. იგი პასუხობს კითხვებს:

troz welchen Umstandes? მიუხედავად რა გარემოებისა?
 wessen ungeachtet? რის მიუხედავად?

დათმობითი დამოკიდებული წინადადება (Konzessivsatz) გვხვდება უკავშიროდაც (შემასმენლის ნაწილი პირველ ადგილზე (Pos.1). დგას მეტწილად რთული წინადადების დასაწყისში. დათმობითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია:

obwohl, obgleich, (ob)zwar, wiewohl, wenngleich-თუმცა wenn...auch, ob...auch, so sehr...auch-თუნდაც, (კიდევ, რომ) wo-სადაც trotzdem (dass)-მიუხედავად (მახვილი "dem"-ზე)	და ა. შ.
---	----------

რთულ კავშირებში „ob“ და „wenn“ ზოგჯერ განცალკევებულად დგას (ლირიკაში).

Obwohl (ან obgleich) es stark regnete, kamen alle eingeladenen Gäste pünktlich. თუმცა ძალიან წვიმდა, ყველა მოწვეული სტუმარი დროზე მოვიდა.
 Trotzdem ich Kopfschmerzen hatte, besuchte ich meine alte Lehrerin. მიუხედავად იმისა, რომ თავი მტკიოდა, მაინც მოვინახულე ჩემი მოხუცი პედაგოგი.

- თუ მთავარი წინადადება დამოკიდებულის შემდეგ დგას, იგი ხშირად იწყება "so"-თი და მასში გამოთქმულ აზრს აძლიერებს შემეგი ზმნიზედები:

(so) doch, dennoch, gleichwohl, trotzdem- მაინც nichtdestoweniger, dessenungeachtet-მიუხედავად noch-კიდევ	schon-უკვე auch-აგრეთვე, ...ც
---	----------------------------------

და ა.შ.

- Obwohl mir Spargel sehr gut schmeckt, so werde ich heute dennoch darauf verzichten. თუმცა ძალიან მიყვარს სატაცური, დღეს მაინც უარი უნდა ვთქვა მასზე.
- დათმობითი წინადადება ზოგ შემთხვევაში იწყება მოდალური ზმნით mögen.
Magst du auch dagegen sein, so bin ich doch dafür. შენ შეგიძლია წინააღმდეგი იყო, მე მაინც ჩემ აზრზე დავრჩები. (ანუ: ვეთანხმები)
- დათმობითი წინადადება შეიძლება იყოს რეალური (Indikativ) და არარეალური (Konjunktiv).
Wie schlecht das Wetter auch ist, wir steigen doch auf den Ushba. (Ind. Präsens) როგორი ცუდიც არ უნდა იყოს ამინდი, ჩვენ მაინც ავდივართ უშბაზე.
Wie schlecht das Wetter auch sei, wir werden auf den Ushba steigen. (Kon. Futur) როგორი ცუდიც არ უნდა იყოს ამინდი, ჩვენ მაინც ავალთ უშბაზე.
- დათმობითი წინადადება, რომელიც განმარტობს კითხვითი სიტყვით იწყება:

wer auch (immer)-ვინც არ უნდა was auch (immer)-რაც არ უნდა wo auch (immer)-სადაც არ უნდა	wann auch (immer)-როდესაც არ უნდა wie oft auch (immer)-რამდენჯერაც არ უნდა wie weit auch (immer)-როგორც არ უნდა
wer immer (auch)-ვინც არ უნდა was immer (auch)-რაც არ უნდა wo immer (auch)-სადაც არ უნდა	wann immer (auch)-როდესაც არ უნდა და ა.შ.

აქ შემასმენელი მეტწილად Konjunktiv I-ში დგას.

- Wer er auch sei, ich kann ihn überzeugen. ვინც არ უნდა იყოს იგი, მე მაინც შემიძლია მისი დარწმუნება.
- Was auch (ან: was immer) unser Klub unternahm, ihm gelang alles. რაც არ უნდა წამოეწყო ჩვენს კლუბს, ყველაფერს თავს ადგამდა.
- Wie dem auch sei, du hast (doch) nicht recht. როგორც არ უნდა იყოს (საქმე), შენ მაინც არ ხარ მართალი.
- Wo auch immer er erscheint, öffnen ihm alle Türe. სადაც არ უნდა გამოჩნდეს იგი, მის წინ ყველა კარები იღება.

5.2.3.4.8 შეზღუდვის დამოკიდებული წინადადება (Restriktivsatz/Einschränkungssatz)

შეზღუდვის დამოკიდებული წინადადება დგას დათმობისა და პირობით წინადადებას შორის და წარმოაჩენს ნაწილობრივ პირობას, შეზღუდვას (Einschränkung).

შეზღუდვის დამოკიდებული წინადადება გამოხატავს იმ გარემოებას, რომელიც ზღუდავს, საზღვარს უდებს მთავარ წინადადებაში მოცემულ მოქმედებას. იგი პასუხობს კითხვებს: **inwieweit? inwiefern?** რამდენად?

- შეზღუდვის დამოკიდებული წინადადების კავშირებია:

soviel, soweit, sofern-თუკი/იმდენად, რამდენადაც wenn...nur-მხოლოდ თუ ausser dass-მხოლოდდამხოლოდ anstatt zu+Inf.1-ნაცვლად weit entfernt (davon) zu+Inf.1-გაცილებით შორს...დან (გან)	nicht dass-არა ის anstatt dass-ნაცვლად იმისა insofern als-იმის ფარგლებში, რამდენადაც weit entfernt davon, dass-გაცილებით შორს ...დან (გან)
--	---

Soviel mir bekannt ist, werden die Verhandlungen bald zu Ende sein.
Die Verhandlungen werden in drei Tagen zu Ende sein, **sofern (soweit)** ich richtig informiert bin.
Ich kann Verhandlungen nur **insofern** beurteilen, **als** ich informiert bin.

Ich schenke dir gern diese Uhr, **wenn** du sie nur nicht verlierst.
Anstatt auf dem direkten Wege zur Post zu gehen, machte sie einen Umweg.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოლაპარაკებები მალე დამთავრდება.
მოლაპარაკებები სამ დღეში დამთავრდება, თუკი სწორად ვარ ინფორმირებული.
მოლაპარაკებების შესახებ მე შემძლია ვიმსჯელო იმის ფარგლებში, რამდენადაც ინფორმირებული ვარ.
მე სიამოვნებით გაჩუქებ ამ საათს, თუკი შენ მას არ დაკარგავ.
ნაცვლად პირდაპირ ფოსტაში წასვლისა, მან გზიდან გადაუხვია.

ზ. დათმობით ან პირობით წინადადებებს შორისაც გვხვდება ორმაგკავშირიანი დამოკიდებული წინადადება-

ob...oder-თუ... ან sei es, dass... sei es, dass-თუნდა (მოხდეს ისე, ...რომ)...თუნდა	ob...ob-ან...ან
---	-----------------

როდესაც დამოკიდებული მთავარი წინადადების წინ დგას, მაშინაც, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იცვლება სიტყვათა წყობა (შემასმენელი-ქვემდებარე). Ob du es glaubst oder nicht, ich habe die Prüfung **შენ გჯერა თუ არა, მე კი გამოცდა ჩავაბარე.**

bestanden.
Sei es, dass es regnet, sei es, dass es schneit, wir brechen unseren Urlaub nicht ab. თუნდა (მოხდეს ისე, რომ) იწვიმოს, თუნდა(ც) ითოვოს, ჩვენ მაინც არ გადავდებთ შვებულებას.

5.2.3.4.9 შედეგის დამოკიდებული წინადადება (Konsekutivsatz/Folgesatz)

შედეგის დამოკიდებული წინადადება ასახელებს მთავარში გადმოცემული მოქმედების შედეგს (Folge). მიუგებს კითხვებზე: **wie? როგორ? mit welcher Folge? რა შედეგით? დგას უმეტესად მთავარი წინადადების შემდეგ.**

• შედეგის დამოკიდებული წინადადების კავშირებია:

dass-რომ, so...,dass-ისე..., რომ	sodass-ასე რომ...
----------------------------------	-------------------

მთავარ წინადადებაში მოცემული კორელატებით **so (ისე), so sehr (ისე ძალიან), derartig (ისე, ისეთი სახით), dermassen (იმდენად, იმ ზომამდე), ein solcher, solch ein, ein derartiger (ასეთი)** ამოიცნობა შედეგის დამოკიდებული წინადადება.

Es war **so** heiß, **dass** ich nicht atmen konnte.
Arnold hatte **dermassen** Bauchschmerzen, **dass** er nicht mit ins Theater gehen konnte. ისე ცხელოდა, რომ მე სუნთქვა არ შემეძლო.
არნოლდს იმ ზომამდე სტკიოდა მუცელი, რომ თეატრში წამოსვლა ვერ შეძლო.

(all) zu+Adjektiv+als dass Adjektiv+genug+als dass შედარებითი ხარისხი მთავარში+als dass	საიმისოდ, რომ
---	---------------

ასეთ კონსტრუქციას ზოგჯერ ენაცვლება Infinitiv zu - ან um...zu-თი.

Er ist zu klug, **als dass** er solch eine Dummheit begehen könnte.
Er ist klug genug, (**um**) eine solche Dummheit nicht zu begehen. ის მეტისმეტად გონიერია საიმისოდ, რომ ასეთი სისულელე ჩაედინა.
ის საკმაოდ გონიერია საიმისოდ, რომ ასეთი სისულელე არ ჩაიდინოს.

ასეთ კონსტრუქციას აქვს უარყოფითი (verneinend) მნიშვნელობა. შემასმენელი დგას უმეტესად Konjunktiv-ში. ხან ენაცვლება Infinitiv zu - ნაწილაკით.

Er sah die Kinovorstellung, ohne dass er Eintritt bezahlte მან ნახა ფილმი (კინოწარმოდგენა) ისე, (ohne dass er E. bezahlt hätte/ohne E. zu bezahlen) რომ შესვლის საფასური არ გადაუხდია.

5.2.3.5 მიმართებითი (განსაზღვრებითი) დამოკიდებული წინადადება (Relativsatz/Bezugssatz)

- **Relativsatz** იწყება მიმართებითი ნაცვალსახელით ან ზმნიზედით.
- მიმართებითი ნაცვალსახელი wer (ვინც); der, die, das; die ((რომელიც); der, das, diejenige (ის); welcher, welches, welche (რომელიც)-ყველა ბრუნვაში გვხვდება პიროვნებათა სახელებთან. der, die, das გვხვდება აგრეთვე უსულო საგნებთან, ცხოველებთან.
- მიმართებითი ნაცვალსახელის წინ ზოგჯერ დგას წინდებული (über den, von denen...) ან მიმართებითი ნაცვალსახელი- ზმნიზედა. (wodurch, worauf...)

Wer anderen eine Grabe gräbt, (der) fällt selbst hinein. ვინც სხვას ორმოს უთხრის, ის მასში თვითონ ჩავარდება.

Wer einmal lügt, dem glaubt man nicht mehr. ვინც ერთხელ იცრუებს, მას აღარ დაუჯერებენ.

Kann ich die Bluse, die dort hängt, mal anprobieren? შემიძლია ბლუზი, რომელიც იქ კიდია მოვიზომო?

Max, dem das Konzert nicht gefallen hat, ist früher nach Hause gegangen. მაქსი, რომელსაც კონცერტი არ მოეწონა, ადრე წავიდა შინ.

Da liegen die Blumen, die ich gerade gepflückt habe. იქ აწყვია ყვავილები, რომლებიც მე ახლახანს დავკრიფე.

Ein Fuchs, der sich Menschen nähert, ist meist an Tollwut erkrankt. მელია, რომელიც ადამიანებთან მიდის, (უახლოვდება) უმეტესად ცოფითაა დაავადებული.

- **წინდებულთ (mit Präposition):**
Der Komiker, über den wir so gelacht haben, beendet seine Karriere. კომიკოსი, რომელსაც ჩვენ ასე დავცინეთ, ამთავრებს თავის კარიერას.
- მიმართებითი ნაცვალსახელი-ზმნიზედით (mit Pronomialadverb).
Weisst du vielleicht, wovon die Rede war? იქნებ შენ იცი, რას შეეხებოდა საუბარი.
- მიმართებითი ნაცვალსახელი was გვხვდება წინადადებაში, სადაც არის მინიშნება აბსტრაქტულ ცნებებზე. მასში მოცემულია განსაზღვრული ნაცვალსახელი, გაარსებითებული ზედსართავი სახელი (Partizip-ები, განსაკუთრებით, აღმატებით (Superlativ) ხარისხში). was მიმართება მთავარ წინადადებაში გადმოცემულ მთლიან შინაარსს.
Er sagte alles, was er wusste. მან ყველაფერი თქვა, რაც იცოდა.
Der Student konnte nicht erklären, was er meinte. სტუდენტმა ვერ ახსნა, რას გულისხმობდა.
Alles, was ich mir zur Zeit wünsche, ist Freizeit. ყველაფერი, რაც მე ახლა მსურს, არის თავისუფალი დრო.
Das Schönste, was ich erlebt habe, war der Urlaub mit dir. უმშვენიერესი, რაც მე განვიცადე, იყო შენთან ერთად გატარებული შვებულება.

- კონკრეტულ საგნებთან დგება მიმართებით ნაცვალსახელი **das**.
Das kleinste Auto, das ich kenne, ist die Isetta. ყველაზე პატარა მანქანა, რომელსაც კი მე ვიცნობ, არის იზეტა.
- იშვიათად გვხვდება მიმართებითი ნაცვალსახელი-ზმნიზედა **wo** (მიუთითებს მოქმედების დროზე) და **wie** (მიუთითებს ვითარებაზე).
- მთავარი წინადადების კორელატი **derjenige** (ის), **derselbe** (იგივე), **dort** (იქ), **was** (რა), **etwas** (რაღაც) მიანიშნებს, რომ დამოკიდებული წინადადება არის **Relativsatz**-ი.
- უმეტესობა **Relativsatz**-ებისა განსაზღვრებითია (**Attributsatz**) (იხ. Synt. 5.2.3.2)
ისეთ დამოკიდებულში, სადაც მოცემულია მიმართება წინადადების ერთ კონკრეტულ წევრთან, ის შეიძლება იყოს ქვემდებრული (**Subjektsatz**) (იხ. Synt. 5.2.3.1), დამატებითი (**Objektsatz**) (იხ. Synt. 5.2.3.3) ან გარემოებითი (**Adverbialsatz**) (იხ. Synt. 5.2.3.4).

5.2.3.6 წინადადების ტოლფასი ინფინიტივისა და მიმლეობის ჯგუფები (**Satzwertige Infinitivgruppen und Partizipialgruppen**)

თუ **Infinitiv**-ი ან **Partizip**-ი წინადადების წევრებით ან სხვა სიტყვებით არის გავრცობილი, წარმოიქმნება ინფინიტივური ჯგუფი (**Infinitivgruppe**), ასევე- მიმლეობის ჯგუფი (**Partizipialgruppe** ანუ **Partizipialkonstruktion**).

ზოგჯერ ასეთი ჯგუფი იმდენად შორდება მთავარს, რომ დამოკიდებული წინადადების სახეს იღებს. ამიტომ მას "satzwertig" (წინადადების ტოლფასი)-ს უწოდებენ:

ინფინიტივურს- **Infinitivsatz**-ს და მიმლეობისას-**Partizipialsatz**-ს.

- გაუვრცობელი **Infinitiv**-ი
Er hat keine Zeit zu fahren. მას არ აქვს დრო გასამგზავრებლად.
- გავრცობილი **Infinitiv=Partizipialgruppe**
Er hat keine Zeit, nach Jena zu fahren. მას არ აქვს დრო, იენაში გასამგზავრებლად.
- დამოკიდებულთან მიახლოებული= **satzwertige Infinitivgruppe**
Er hat keine Zeit, nach Jena zu dir zu fahren. მას არ აქვს დრო, იენაში შენთან გამოსამგზავრებლად.
- ინფინიტივური დამოკიდებული წინადადება=**Infinitivsatz**.
Er hat keine Zeit, übermorgen selbst zu dir hinaus nach Windoch zu fahren. მას არ აქვს დრო, ზეგ (თვით) შენთან ვინდახში გამოსამგზავრებლად.
- გაუვრცობელი მიმლეობა (**Partizip**)
Lachend kam Albert zu mir. ალბერტი სიცილით წამოვიდა ჩემკენ.
Rasiert verließ er das Haus. გაპარსულმა, დატოვა მან სახლი.
- გავრცობილი მიმლეობა=**Partizipialgruppe**
Fröhlich lachend kam Albert zu mir. გახარებული, სიცილით წამოვიდა ალბერტი ჩემკენ.
Frischrasiert verließ er das Haus. მან ახლადგაპარსულმა, დატოვა სახლი.
- მიმლეობის ჯგუფით შექმნილი დამოკიდებული წინადადება=**Partizipialsatz**
Fröhlich aus vollem Halse lachend, kam Albert zu mir. გახარებული, გულიდან ამოხეთქილი სიცილით წამოვიდა ალბერტი ჩემკენ.
Den Bart am mögen frischrasiert, verließ er das Haus. მან, (დილით) ახალგაპარსულმა, დატოვა სახლი.

- ინფინიტივურ ან მიმღობით ჯგუფს არ გააჩნია სუბიექტი. ასეთ წინადადებაში Infinitiv-ი და Partizip-ი ყოველთვის წინადადების ბოლოს დგას.

- Infinitiv ან Partizipialgruppe არის განსაკუთრებული კატეგორია, ის არ წარმოადგენს ე.წ. „შეკვეცილ“ წინადადებას. გრამატიკაში უკავია შუალედური ადგილი წინადადების წევრებსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის.

5.2.4 მირთული წინადადება (Komplexe Satzgefüge/Weiterführende Satz)

მირთული წინადადება განმარტავს ან განავრცობს მთელ წინადადებას; ავსებს მის შინაარსს ან ახალ აზრს დაურთავს. იგი მთავარ წინადადებას უკავშირდება:

ა. კავშირით ან კითხვითი ნაცვალსახელით (კითხვითი სიტყვა) (Konjunktion oder Fragewort).

Ich weiß nicht, **ob** er sich erkundigt hat, **wann** der Zug ankommt.

Man teilte im Fernsehen mit, **dass** die Flüchtlinge in Tbilissi in einer komplizierten Lage sind, **was** wir aber schon früher wussten.

Urteile nicht danach, **wie** groß ein Mensch von Gestalt ist, sondern, **was** er im Leben getan hat.

მე არ ვიცი, გაიგო თუ არა მან, როდის ჩამოდის მატარებელი.

ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ლტოლვილები თბილისში მძიმე სიტუაციაში ცხოვრობენ, რაც ჩვენ ადრეც ვიცოდით.

ნუ განსჯი ადამიანს მისი გარეგნული აგებულების მიხედვით, არამედ იმით, (თუ) რა უკეთებია ცხოვრებაში.

ბ. კავშირით და ნაცვალსახელი-ზმნიზედით (mit Konjunktion oder Pronominaladverb).

Nach seiner Heimkehr berichtete der Regisseur seinen deutschen Freunden, **dass** seine Aufführung Erfolg hatte, **worüber** er sich auch sehr gefreut hatte.

შინ დაბრუნებისას რეჟისორი ატყობინებდა თავის გერმანულ მეგობრებს, რომ მის წარმოდგენას წარმატება ჰქონდა, რამაც ის თვითონაც ძალიან გაახარა.

1 ძლიერი და არაწესიერი ზმნები
Starke und unregelmäßige Verben

1.1 ძლიერი ზმნების ძირითადი ფორმების კლასიფიკაცია
(Hauptreihen der starken Verben)

	Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართ. ენაზე
1.	ei schreiben	ie schrieb	ie geschrieben	წერა
2.	ei greifen	i griff	i gegriffen	ჩავლება
3.	ie fliegen	o flog	o geflogen	ფრენა
4.	e (ā, ö, i, a) heben	o hob	o gehoben	აწევა, ატანა
5.	i singen	a(u) sang	u gesungen	მღერა
6.	i beginnen	a began	o begonnen	დაწყება
7.	e (ā, o) befehlen	a befahl	o befohlen	ბრძანება
8.	a tragen	u trug	a getragen	ტარება
9.	a (ā, o, u, au, i) schlafen	ie(i) schlief	a (o, u, au, ei) geschlafen	ძილი
10.	e (i, ie) sehen	a sah	e gesehen	ხედვა (დანახვა)
11.	au (ü) saugen	o sog	o gesogen	(შე)წოვა

1.2 ძლიერი და არაწესიერი ზმნების სია
(Liste der starken und unregelmäßigen Verben)

	Infinitiv	Präteritum	Partizip II	ქართ. ენაზე
1.	ei beweisen	ie bewies	ie bewiesen	დამტკიცება
	bleiben	blieb	geblieben	დარჩენა
	einreiben	rieb ein	ingerieben	შეზღვევა
	gedeihen	gedieh	gediehen	გახარება (მცენარის)

leihen	lieh	geliehen	თხოვება (სესხება)
meiden	mied	gemieden	გაქცევა (გაურბის)
preisen	pries	gepriesen	ქება (ხოტბის შესხმა)
reiben	rieb	gerieben	ხეხვა, წმენდა
scheiden	schied	geschieden	გაყრა (განცალკევება)
scheinen	schien	geschienen	ნათება
schreiben	schrieb	geschrieben	წერა
schreien	schrie	geschrien	ყვირილი
schweigen	schwieg	geschwiegen	დუმილი
speien	spie	gespien	ფურთხება
treiben	trieb	getrieben	გარეკვა, მიდევნება, დასაქმება
(ein)steigen	stieg (ein)	(ein)gestiegen	ასვლა, ჩაჯდომა (ტრანსკ.)
verzeihen	verzieh	verziehen	პატიება
weichen	wich	gewichen	დათმობა, დარბილება
weisen	wies	gewiesen	მითითება
ziehen	zieh	geziehen	მხილება
2. ei	i	i	
beißen	biss	gebissen	კმენა (კბეჩა)
bleichen	blich	geblichen	გაფითრება
gleich	glich	geglichen	მსგავსება
gleißen	gliss	geglissen	ბრწყინვა
gleiten	glitt	geglitten	მოცურება
greifen	griff	gegriffen	ჩაეღება
kneifen	kniff	gekniffen	მოწინწკნა, ჩქმეტა
leiden	litt	gelitten	ტკივილი, წუხილი
pfeifen	pfiff	gepfiffen	სტვენა
reißen	riss	gerissen	ხევა (ხევის)
reiten	ritt	geritten	ქენება
schleichen	schlich	geschlichen	ხოხვა, ცოცვა
